წმიდად გრიგოლ ნოსელი

თარგმანებად ჭეშისა ჭეშათადსად

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
თბილისის სასულიერო აკადემია

წმ. გრიგოლ ნოსელი

თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲ

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო

გულნაზ კიკნაძემ

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის
გამომცემლობა
თბილისი
2013

წინამდებარე წიგნში პირველად ქვეყნდება IV ს-ის დიდი ბიზანტიელი ღვთისმეტყველის, წმ. გრიგოლ ნოსელის ეგზეგეტიკური ნაშრომის – "თარგმანება ქებისა ქებათაჲსაჲ" – ქართული თარგმანი, შესრულებული XI ს-ის უდიდესი საეკლესიო მამისა და ღვთისმეტყველის, წმ. გიორგი მთაწმიდლის მიერ. "ქება ქებათა" ერთ-ერთი ყველაზე დაფარული შინაარსის მქონე ბიბლიური წიგნია, რომლის განმარტებაზეც არაერთ წმ. მამას უშრომია. ამიტომ წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულება მნიშვნელოვანი და ფასეულია როგორც ძველი ქართული მწერლობის მკვლევართათვის, ასევე ყველა დაინტერესებული მკითხველისათვის. გრიგოლ ნოსელისეული ვრცელი განმარტებები, რომლებიც წმიდა წერილს ეფუძნება, იმ სახით არის მოწოდებული, რომ ისინი, ამავე დროს, ბიბლიური ტექსტის დიდი ნაწილის განმარტებებსაც წარმოადგენს. ამდენად, „თარგმანება ქებისა ქებათაჲსაჲ" სცილდება ერთი ბიბლიური წიგნის განმარტებას და უაღრესად მასშტაბურ და ღირებულ ნაშრომს წარმოადგენს.

The Georgian translation of exegetic work by IV century great Byzantine theologian St. Gregory of Nyssa – "The Commentary on the Song of Songs (Canticum Canticorum)" – is for the first time published in the present book. The translation was done by St. George the Athonite – the greatest church father and theologian of the XI century. "The Song of Songs" is a Biblical book, having one of the most hidden content. Many Saint Fathers have worked on its commentaries. That's why St. Gregory of Nyssa 's work is of great value and importance both for the researchers of the Old Georgian literature and all the interested readers. St. Gregory of Nyssa's comprehensive explanations, which are based on the Holy Script, are supplied so that at the same time they are definitions for a great part of the Biblical text. Therefore, " The Commentary on the Song of Songs " is far more than commentaries for one Biblical Book and is the most large-scale and valuable work.

რედაქტორი: ნინო მელიქიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

Editor: **Nino Melikishvili**
Doctor of Philological Sciences

რეცენზენტი: ედიშერ ჭელიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

Reviewer: **Edisher Chelidze**
Doctor of Philological Sciences

© თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა
ISBN 978-9941-9258-2-5

IV საუკუნის დიდი ბიზანტიელი მამისა და ღვთისმეტყველის, წმ. გრიგოლ ნოსელის ნაშრომის – „თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲს“ ქართული თარგმანის გამოქვეყნება უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული ფილოლოგიური და, ზოგადად, მთელი ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის. წმ. გრიგოლ ნოსელი „ქება ქებათას“ მცირე მოცულობის ტექსტს [პირველი ექესი თაეი] განმარტავს რამდენიმე ასეული გვერდის მოცულობის კომენტარებით. უკვე ეს ფაქტი მეტყველებს ამ ბიბლიური წიგნის სიღრმესა და მნიშვნელობაზე. მისი დაფარული აზრი ბევრი განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა. სწორედ ამაზე მიანიშნებს წმ. გრიგოლი თავისი ნაშრომისათვის წამძღვარებულ ეპისტოლეში იმ პირის მიმართ, რომელმაც თხოვნით მიმართა მას, დაეწერა ეს თარგმანება: „რაჲთა ჴორციელთა ვიეთმე და ზრქელთა სარგებელი რაჲმე ჰოონ სულიერისა და უნივთოჲსა ცხორებისაჲ, რომლისა მიმართ მიიყვანებს წიგნი ესე მის შორის დაფარულისა მის მიერ სიბრძნისა“ (A 55, 73vb).

წმ. გრიგოლ ნოსელის თარგმანება, რომელშიც დიდი საეკლესიო მამა და ღვთისმეტყველი წმიდა წერილზე დაყრდნობით განმარტავს „ქებას ქებათას“ ტექსტს, ამავე დროს, ფაქტიურად, მთელი ბიბლიის კომენტირებას წარმოადგენს. თარგმანებაში ამა თუ იმ ბიბლიური ციტატის მოხმობისას, გრიგოლ ნოსელს უხდებოდა თვით ამ ბიბლიური ადგილის განმარტება, რათა უფრო ნათლად ეთქვა სათქმელი მკითხველისათვის. წმ. გრიგოლი კარგად უწყოდა ამგვარი განმარტების აუცილებლობას. იმავე ეპისტოლეში ის წერს: „და ესეეითარნი ბევრეულნი სიტყუანი იპოვებიან სახარებასა შინა, რომელთა-იგი მარტიეი პირი სხუაჲ არს და გონებაჲ, რომლისა მიმართ ხედავს სიღრმე მისი, სხუაჲ არს“ (74rb).

ეპისტოლეში წმ. გრიგოლი იმაზეც მიანიშნებს, რომ იგი პირველი არ არის, ვინც ამ ბიბლიური წიგნის განმარტებას მოჰკიდა ხელი. ეს საქმე მასზე ადრე ორიგენეს უტვირთავს. გრიგოლ ნოსელის სიტყვებიდან აშკარაა, რომ მას ზედმეტად არ მიაჩნია მსგავსი სამუშაოს კვლავ ჩატარება და ამიტომაც შესდგომია ამ საქმეს: „ხოლო რამეთუ ორიგენი მოსწრაფებაჲ აჩუენა ამის წიგნისათჳს და ჩუენ შრომისა ჩუენისა აღწერად გულს-ვიდგინეთ, ნუვინ გუაბრალობს, არამედ სიტყუაჲ იგი სამოციქულოჲ გულისჴმა-ყავნ, ვითარმედ: „თითოეულმან სასყიდელი მოიღოს თჳსისაებრ შრომისა, რამეთუ ჩუენ არა თუ საჩუენებელად ვისსამე აღვსწერთ თქუმულთა ამათ, არამედ სახილველად მხოლოჲსა ღმრთისა, რომელი-იგი არს მომცემელი სიტყჳსაჲ“ (75rab).

წმ. გრიგოლ ნოსელის ნაშრომის ღირებულებას კიდევ უფრო ზრდის

მისი ქართველი მთარგმნელის ვინაობა: დიდმა საეკლესიო მამამ, ღრმა საღვთისმეტყველო ცოდნით აღჭურვილმა წმ. გიორგი მთაწმიდელმა გადმოიღო ეს ურთულესი ტექსტი ქართულ ენაზე და ამჯერადაც მთარგმნელობითი ხელოვნების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.

ქართული თარგმანის ტექსტი მომზადებულია გამოსაცემად გასული საუკუნის 60-იან წლებში კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ამჟამინდელი „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი") აწ განსვენებული მეცნიერის, გულნაზ კიკნაძის მიერ. ეს ნაშრომი მისი საკანდიდატო დისერტაცია იყო, რომელიც რიგი მიზეზების გამო იმ დროს ვერ გამოქვეყნდა. წმ. გრიგოლ ნოსელის ნაშრომი მკვლევარმა ორ წერილში მიმოიხილა, რომლებიც წავუმძღვარეთ თარგმანის ტექსტს, რადგან ღღესდღეობით ამ საკანდიდატო დისერტაციის კვლევით ნაწილს ველარ მივაგენით. გულნაზ კიკნაძის ავტორეფერატის გაცნობამ ჩვენთვის ნათელი გახადა, რომ მისი დაკარგული გამოკვლევის ძირითადი დასკვნები და სათანადო საილუსტრაციო მასალა საკმაოდ სრულად არის წარმოდგენილი ამ წერილებში. მათში მიმოხილულია წმ. გრიგოლ ნოსელის ნაშრომის ქართული თარგმანის ენობრივი თავისებურებები, წმ. გიორგი მთაწმიდლის მთარგმნელობითი მეთოდი, ქართული ტექსტის მიმართება ოშკისა და ბაქარის ბიბლიებში არსებულ ამავე ბიბლიური წიგნის ტექსტთან და ბერძნულ ორიგინალთან. ერთ-ერთ წერილში გაკეთებულია ძეგლის სრული ლექსიკოლოგიური ანალიზი.

წმ. გრიგოლ ნოსელის ნაშრომის ქართული თარგმანი გამოსაცემად ოთხი ათეული წლის წინ მომზადდა. ამის გამო იძულებული შევიქენით, ჩვენი მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა მისთვის საბოლოო სახის მიცემაში, რომელიც ტექსტოლოგიის დღევანდელ მოთხოვნებს შეესატყვისება. მოგვიხდა, აგრეთვე, ბიბლიური ციტაციის მითითებათა შევსება, სალექსიკონო მასალის გადახედვა და მოწესრიგება ბერძნულ ორიგინალზე დაყრდნობით. რიგი ხარვეზებისა გამოწვეული იყო მანქანაზე გადაბეჭდილ ტექსტში მბეჭდაყის მიერ დაშვებული შეცდომებით, რის გამოც აუცილებელი შეიქნა საეჭვო წაკითხვების სწორება ხელნაწერზე დაყრდნობით.

ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მომზადებულია XII ს-ის ხელნაწერ A 55-ის, XII-XIII სს-ის A 108-ისა და XVIII ს-ის Q 1052-ის მიხედვით. რაც შეეხება XI ს-ის ნუსხას, Ath. 49-ს, რომელიც წმ. გიორგი მთაწმიდლის ავტოგრაფს წარმოადგენს და რომელშიც აგრეთვე დაცულია ეს ტექსტი, საქართველოში მისი მხოლოდ ძალიან უხარისხო, ძნელად წასაკითხი ფოტოპირი მოიპოვება, რა მიზეზითაც, როგორც ჩანს, გულნაზ კიკნაძემ თავის დროზე ვერ გამოიყენა ის და ვერ ასახა გამოსაცემად მომზადებულ ტექსტში. ზემოთ ჩამოთვლილი სამი ხელნაწერის მიხედვით მომზადებული

ტექსტის გარკვეული ნაწილი შეეუდარეთ Ath. 49-ის ფოტოპირს იმ განზრახვით, რომ მნიშვნელოვანი სხვაობების არსებობის შემთხვევაში შეგვეტანა მისი წაკითხვები გამოცემაში; აღმოჩნდა, რომ განსხვავებები Ath. 49-სა და ზემოთ ჩამოთვლილ სამ ნუსხას შორის არ სცილდებოდა ფონეტიკურ-ორთოგრაფიულ ფარგლებს. ამის გამო წმ. გრიგოლ ნოსელის ნაშრომის „თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲ“ ქართული თარგმანი ქვეყნდება A 55-ის, A 108-ისა და Q 1052-ის საფუძველზე, რომელთა მიხედვითაც მოამზადა ტექსტი განსვენებულმა მკვლევარმა.

წინამდებარე ნაშრომი, რომელიც გულნაზ კიკნაძის მიერ საქმის ცოდნითა და დიდი პასუხისმგებლობით არის შესრულებული, დიდად გამოადგება შესაბამისი დარგების მკვლევართ.

ნინო მელიქიშვილი

I. გიორგი მთაწმიდლის ერთი თარგმანის კომენი და ლექსიკა

IV საუკუნის ბერძენ მწერალს, წმ. გრიგოლ ნოსელს, ეკუთვნის ბიბლიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წიგნის, „ქება ქებათას", განმარტება ანუ თარგმანება. ამ ვრცელ ნაშრომში, სადაც განმარტებულია „ქება ქებათას" პირველი 6 თავი (მე-8 მუხლამდე), წმ. გრ. ნოსელი, სხვა კომენტატორების (ორიგენეს, იპოლიტე რომაელის...)[1] მსგავსად, იძლევა ამ ბრწყინვალე სატრფიალო საგალობლების ალეგორიულ გაგებას, ასაბუთებს მათ სასულიერო ხასიათს და დანიშნულებას.

წმ. გრიგოლ ნოსელის „თარგმანება"[2] XI საუკუნეში უთარგმნია ქართული კულტურის დაუღალავ მოღვაწეს, წმ. გიორგი მთაწმიდელს. ეს თარგმანი მრავალმხრივ საგულისხმო და ფასეული წყაროა გიორგი მთაწმიდლის მთარგმნელობითი მეთოდისა და ენობრივ თავისებურებათა კვლევისათვის, ამდენად, უაღრესი მნიშვნელობა აქვს ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისთვის.

წმ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანის საკითხების შესწავლის მიზნით ერთმანეთს შევუწამეთ „თარგმანების" ქართული და ბერძნული ტექსტები[3].

შეწამებამ გვიჩვენა მაღალი ოსტატობით შესრულებული თარგმანი, რომელიც მხატვრულობით არ ჩამოუვარდება ორიგინალს.

თარგმანის თავისებურებათა რკვევისას ბუნებრივად დაისვა საკითხი გიორგი მთაწმიდლის დამოკიდებულების შესახებ ძირითადი, კომენური ტექსტისადმი. „თარგმანებაში", ჩვეულებრივ, თვითოეული თავის დასაწყისში წარმოდგენილია განსამარტებლად შერჩეული ნაწყვეტი, შემდეგ მოსდევს კომენტარები. ჩვენ გამოვკრიბეთ

---

1 Толковая Библия или комментарии на все книги Св. Писания Ветхого и Нового завета, СПБ, 1914, проф. А. П. Лопухин, т. VI, стр. 38-39.

2 სიმოკლისათვის ვეხმარობთ „თარგმანებას". მისი ქართული თარგმანი ცნობილია ოთხი ხელნაწერით. ამათგან სამი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში. A 55 (73vb-165vb) A 108 (412-694), Q 1052, მეოთხე კი – ათონზე (ბლეიკი, 49, 148-207). იხ. R.P. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la Laura d'Iviron au Mont Athos, Revue de l'Orient Chrétien, t. 28-29, Paris, 1931-1934. ჩვენ ხელთ გვქონდა პირველი სამი. საილუსტრაციო მასალა მოგვაქვს A 55-დან, რომელიც უკეთ დაცული და უძველესი ნუსხაა, XII საუკუნის დასაწყისით თარიღდება (თ. ჟორდანია, Описание рукописей и старопечатных книг Церковного Музея духовенства Грузинской епархии); A 108 მეტად ნაკლული და დაზიანებულია, Q 1052 გვიანდელი, XVIII საუკუნის ნუსხაა, აკლია მხოლოდ შესავალი ნაწილი.

3 ბერძნულთან შეპირისპირებისათვის ვიყენებდით: Patrologiae graeca, cursus completus, accurante et recognoscente J.P. Migne, Turnhout (Belgium), t. 44,1863. col. 757-1120, რომელშიც წმ. გრიგოლ ნოსელის ეს თხზულებაა გამოქვეყნებული ლათინური თარგმანითურთ.

ეს ნაწყვეტები „ქება ქებათას“ ძველ ქართულ ნუსხებთან შედარების მიზნით.

შედარებისათვის უპირველესად მიემართეთ ოშკის (ათონის) ბიბლიას[4], რომელიც ერთ-ერთი უძველესია ბიბლიის რედაქციათა შორის[5]. საფიქრებელია, რომ გიორგი მთაწმიდელს ხელთ ექნებოდა სწორედ ეს, ათონზე დაცული რედაქცია. გაირკვა, რომ ჩვენს ხელნაწერში დადასტურებული ტექსტი ცალკე დგას ოშკური რედაქციის „ქება ქებათასაგან“.

„ქება ქებათა“ ბიბლიის ოშკურ ხელნაწერში, როგორც ცნობილია, დიალოგის ფორმითაა წარმოდგენილი; მის გარკვეულ მონაკვეთებს წინ უძღვის სიტყვები: „სიძე ეტყჳს სძალსა“, „სძალი თავისთჳს და სიძისთჳს იტყჳს“, „ასულნი ჰკითხვენ“, „სძალი აგრძნობს სიძესა რეკასა ზარისასა“ და სხვა. A 55-ისეულ „ქება ქებათას“ ეს ფრაზები არ ახლავს.

ამასთან, ჩვენი ტექსტი უფრო ვრცელი რედაქციისაა. მისი მრავალი ფრაზა (4,3; 5,12; 6,8...) და მთელი მუხლიც (3,2) ოშკურში წარმოდგენილი არაა. განსხვავებაა უამრავ ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ და ენობრივ მაჩვენებელშიც. მთაწმიდლისეული ტექსტი უფრო დაახლოებულია ბერძნულს, მისდევს სეპტანტას.

ქვემოთ ვუჩვენებთ ამ განსხვავებას

A 55	ოშკის	ბერძნ.
პუნესა ჩემსა ეტლთა შორის ფარაოჲსთა გამსგავსე შენ 1,9.	საკედარსა ჩემსა ეტლთა შორის ფარაოჲსთა გამსგავსე შენ.	τῇ ἵππῳ ἐν ἅρμασι φαραὼ ὡμοιώσα σε.
გამსგავსოთ შენ... წულილად დასხმულსა ვეცხლსა 1,11.	გამსგავსოთ შენ... წულილად დაცუმულსა ვეცხლსა.	Ὁμοιώματα χρυσίου ποήσομέν σοι μετὰ στιγμάτων τοῦ ἀργουρίου.
შეკრული შტახსი... შორის ძუძუთა შენთა განი-	შეკრული შტახში... შორის სასძეურთა შენთა	Ἀπόδεσμος στακτῆς... ἀνὰ μέσον μαστῶν μου

4 ვისარგებლეთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ფოტოპირით: Rl. 11, გვ. 265-271.

5 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1960, გვ. 419; პ. ინგოროყვა, ძველი ქართული მწერლობის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, 1939, №4, გვ. 118. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. I, 1886, გვ. LI, სადაც გამოქვეყნებულია „ქება ქებათას“ ოშკური რედაქციის ტექსტი და გარკვეულია მისი დამოკიდებულება ბაქარისეულ ბიბლიასთან.

ისუენენ 1,13.	განისუენენ.	αὐλισθήσεται.
ვიდრემდისცა ინებოს 2,7.	რაჟამსცა უნდეს.	...ἕως οὗ θελήσῃ.
ემსგავსე შენ... ნუკრსა ირმისასა მთათა ზედა ღელოვანთა 2,17.	ემსგავსე შენ... ნუკრსა ირმისასა მთათა ზედა სულნელთა.	...ὁμοιώθητι σὺ... τῷ δόρκωνι, ἢ νεβρῷ ἐλάφων ἐπὶ ὄρη κοιλωμάτων.
მოდგენ აჩრდილნი 2,17.	მოვიდეს აჩრდილი...	...κινηθῶσιν αἱ σκιαί.
ნუუკუე იხილეთა, რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან 3,3.	ნუთუ ჰპოვეთ, რომელი უყუარს სულსა ჩემსა.	Μὴ ὃν ἠγαπήσεν ἡ ψυχή μου, εἴδετε.
ვინ არს ესე, რომელი აღმოვალს უდაბნოჲთ, ვითარცა რტოჲ კუამლისა კუმეულისაჲ. მური და გუნდრუკი ყოველთაგან მტუერთა მენელსაცხებლეთაჲსა 3,6.	ვინ არს ესე, მომავალი უდაბნოჲთ, აღმაღლებული, ვითარცა კუამლი საკუმეველთაჲ, ზმური და გუნდრუკი და ყოველი შეზავებული ნელსაცხებელისმოქმედთაჲ.	Τίς αὕτη ἀναβαίνουσα ἐκ τῆς ἐρήμου, ὡς στέλεχη τεθυμιαμένη, σμύρναν καὶ λίβανον, ἀπὸ πάντων κονιορτῶν μυρεψοῦ.
ყოველთა უპყრიეს მახული, წურთილნი ბრძოლასა კაცი და მახული მისი წელთა მისთა შიშისათჳს და განკრთომისა ღამესა შინა 3,8.	ყოველთა მახული წელთა, წურთილნი ღუაწლსა კაცად-კაცადი, საბარკალი თანა შიშისათჳს ღამისაჲსა.	Πάντες κατέχοντες ρομφαίαν, δεδιδυγμένοι πολέμων. Ἀνὴρ ῥομφαίαν αὐτου ἐπὶ μηρόν αὐτοῦ ἀπὸ θάμβος ἐν νοξίν.
აღსაჯალი მისი პორფირი, იატაკი მისი ქვაფენილ — სიყუარული ასულთაგან იერუსალჵმისათა 3,10.	საჯდომელი მისი ძოწეულისაჲ, იატაკი მისი ანთრაკ-ლესულ სიყუარულისაგან ასულთა იერუსალჵმისათა.	...ἐπίβασις αυτοῦ πορφυρᾶ. Ἐντὸς αὐτοῦ λιθόστρωτον, ἀγάπην ἀπὸ θυγατέρων Ἰερουσαλήμ.
განვედით და იხილეთ, ასულნო სიონისანო, მეფე სოლომონ გურგუნითა მით,	განვედით და იხილეთ მეფჱ სოლომონ და მიჰხედეთ გურგუნსა მას მისსა,	Θυγατέρες Σιὼν, ἐξέλθετε, καὶ ἴδετε ἐν τῷ βασιλεῖ Σολομὼν, ἐν τῷ

რომლითა გურგუნოსან-ყო იგი დედამან მისმან დღესა მას სიძობისა მისისა და დღესა სიხარულისა გულისა მისისა 3,11.	რომელი-იგი დაადგა მას დედამან მისმან დღესა სიძობისა მისისასა და დღესა სიხარულისა მისისასა.	στεφάνῳ, ᾧ ἐστεφάνωσεν αὐτὸν ἡ μήτηρ αὐτοῦ ἐν ἡμέρᾳ νυμφεύσεως αὐτοῦ καὶ ἐν ἡμέρᾳ εὐφροσύνης καὶ ἐν ἡμέρᾳ εὐφροσύνης καρδίας αὐτοῦ.
ვითარცა საბელი ძოწეული ბაგენი შენნი 4,3.	მეწამულ ბაგენი შენნი, ვითარცა ძოწით ღებულნი გარდანაღები ერთი ქსლისაჲ.	Ὡς σπαρτίον τὸ κόκκιον χείλη σου...
ვითარცა გოდოლი დავითისი, ქედი შენი, რომელი-იგი აღშენებულ არს თალპიოთს 4,4.	ვითარცა გოდოლი დავითისი, ქედი შენი.	Ὡς πύργος Δαβὶδ τραχηλός σου, ὁ ᾠκοδομημένος εἰς Θαλπιώθ.
...და წარმოპელო დასაბამით სარწმუნოებისაჲთ 4,8.	...და წარმოპელო თავსა ზედა არეეთასა.	...καὶ διελεύσῃ ἀπ' ἀρχῆς πίστεως.
მოვედ ლიბანით 4,8.	მოვედ გუნდრუკოენით.	Δεῦρο ἀπὸ Λιβάνου.
გული გუალმე ჩუენ ერთითა თუალთა შენთაჲთა და ერთითა მძივითა ყელისა შენისაჲთა 4,9.	გული გუალმე ჩუენ ერთითა ყელისსაბმელითა მძივისა შენისაჲთა.	...ἐκαρδίωσας ἡμᾶς ἐνὶ ἀπὸ ἀφθαλμῶν σου, ἐν μιᾷ ἐνθέματι τραχήλου σου.
მტილი დაკშული 4,12	მტილი მოკრძალული...	κῆπος κεκλεισμένος...
...მური და ალოჲ ყოველთა თანა პირველთა ნელსაცხებელთა 4,14.	...ზმურით და ალოჲ ყოვლითურთ პატიოსნით საკუმეველი.	σμύρνα καὶ ἀλωὴ μετὰ πάντων πρώτων μύρων.
წყაროჲ მტილი და ჯურღმული წყლისა ცხოველისაჲ და მძაფრ მომავალისაჲ ლიბანით 4,15.	წყაროჲ სამოთხის და თავწყარო ცხოველის, გაშმაგალი ლიბანით.	Πηγὴ κήπου, καὶ φρέαρ ὕδατος ζώντος, καὶ ῥοιζοῦντος ἀπὸ τοῦ Λιβάνου.

აღდეგ, ჩრდილოო, და მოვედ, ბღუარო 4,16.	განიაყრე, სამხარო, და მოვედ, ბღუარო.	Ἐξεγέρθητι, Βορρᾶ, καὶ ἔρχου, Νότε.
და დიოდენ ნელსაცხებელნი ჩემნი 4,16.	და გამოუტევე სულნელებაჲ საკუმეველთა ჩემთაჲ.	...καὶ ῥευσάτω σανάρώματά μου.
მოვისთულე მური ჩემი ნელსაცხებლით ჩემითურთ 5,1.	მოვწილე ზმური საკუმეველითურთ ჩემით.	Ετρύγησα σμύρναν μου μετὰ ἀρωμάτων μου
უკმობდ მას და არა კმამცა 5,6.	ვკადოდე მას და არა მომიგო მე.	...ἐκάλεσα αὐτὸν, καὶ οὐχ ὑπήκουσέ μου.
მპოვეს მე მკუმილთა 5,7.	მპოვეს მე მცველთა...	Εὕροσάν με οἱ φύλακες.
გაფუცებ... ძალთა და სიმტკიცეთა აგარაკისათა 5,8.	გაფუცებ... ძალთა და ძლიერებათა ველისათა.	Ὥρκισα ὑμᾶς... ἐν ταῖς δυνάμεσι, καὶ ἐν ταῖς ἰσχύσεσι τοῦ ἀγροῦ.
თხზული თმათა მისთაჲ — ვითარცა ჭედილი 5,11.	კოწოლნი მისნი — ვითარცა ხე დანაკის კუდისაჲ.	βόστρυχαι αὐτοῦ ἐλαταί.
თუალნი მისნი — ვითარცა ტრედისანი სავსებასა ზედა წყალთასა, განბანილნი სძითა, მჯდომარე სავსებასა ზედა წყალთასა 5,12.	თუალნი მისნი — ვითარცა ტრედისანი სავსებასა ზედა წყალთასა.	...ὀφθαλμοὶ αὐτοῦ ὡς περιστεραὶ ἐπὶ πληρώματα ὑδάτων, λελουμέναι ἐν γάλακτι, καθήμεναι ἐπὶ πληρώματα ὑδάτων.
ღაწუნი მისნი — ვითარცა ფიალნი ნელსაცხებელთანი, ფშუან სულნელებასა ნელსაცხებელთ მგბოლველთასა 5,13.	ღაწუნი მისნი — ვითარცა ფიალნი სულნელთანი, რომელნი აღმოაცენებენ ნელსაცხებელსა გბოლვითა.	Σιαγόνες αὐτοῦ ὡς φιάλαι τοῦ ἀρώματος φύουσαι μυρεψικά.
ბაგენი მისნი — შროშან და მოწთოლვარე მურისა	ბაგენი მისნი — ვითარცა შროშანნი, წუთოდიან სა-	Χείλη αὐτου κρίνα στάζοντα σμύρναν πλήρη.

საესედ 5,13.	ნელსაცხებელთა საგბოლეელთა.	
მუცელი მისი – ვითარცა ფიცარი პილოჲსჵულისაჲ თუალსა ზედა საფიროვნსა 5,14.	მუცელი მისი – ვითარცა ფიცარი პილოჲსჵულისაჲ, ლესულ თუალთაგან საფიროვნისათა.	Κοιλία αὐτοῦ πυξίον ἐλεφάντινον ἐπὶ λίθου σαπφείρου.
წჳენი მისნი – სუეტნი მარმარილოჲსანი, დაფუძნებულნი ხარისხსა ზედა ოქროჲსასა 5,15.	წჳენი მისნი მარმარინოჲსანი, დამტკიცებულ ზედა სადგომელთა ოქროჲსათა.	Κνῆμαι αὐτου στύλο μαρμάρινοι, τεθεμελιωμένοι ἐπὶ βάσεις χρυσᾶς.
მიდრიკენ თუალნი შენნი, რამეთუ ამათ ფრთოვანმყუეს მე 6,4.	მარიდენ თუალნი შენნი წინაშე ჩემსა, რამეთუ მაგათ აღმაფრინეს.	Ἀπόστρεψον ὀφθαλμούς σου ἀπεναντίον μου, ὅτι αὐτοὶ ἀνεπτερωσάν με.
სამეოც არიან დედოფალნი და ოთხმეოც ხარჭნი და ქალწულნი, რომელთაჲ არა არს რიცხჳ 6,7.	სამეოც არიან დედოფალნი და ოთხმეოც – ხარჭნი.	Ἑξήκοντα βασίλισσαι, καὶ ὀγδοήκοντα παλλακαὶ, καὶ νεάνιδες ὧν οὐκ ἔστιν ἀριθμός.

„ქება ქებათას“ ცნობილი ნუსხების (და ნაბეჭდი ბიბლიის) მიხედვით, ოშკურის გარდა გამოიყოფა კიდევ სამი რედაქცია, რომელთაგან ერთი დაუცავს XIII საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ ნუსხას (A 65), მეორე – მოსკოვურ ბიბლიას და მესამე – მცხეთის ბიბლიას (A 51).

პირველი ორი მეტ-ნაკლებად განსხვავდება გიორგი მთაწმიდლისეული „ქება-ქებათა“-სგან. საილუსტრაციოდ მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს.

მთაწმიდელი: გარე-მოიცავენ კოლტსა სხუასა.

მოსკ.: მოიცავენ არვეთა ზედა სხუათა შენთათა.

A 65: გარემოცული კოლტსა შორის მოყუასთასა.

მთაწმიდელი: ყელი შენი – ვითარცა მძიე დაცუმული, ქმნულებასა ოქროჲსასა გამსგავსოთ შენ და წულილად დასხმულსა ვეცხლსა.

მოსკ.: ყელი შენი – ვითარცა ფარღული, მსგავსი ოქროჲსა ქმნით შენ სიჭრელითურთ ვეცხლისაჲთ.

A 65: ქედი შენი – ვითარცა მანიაკი, მსგავსებანი ოქროჲსანი გქმნეთ შენ ცუართა თანა ვეცხლისათა.

მთაწმიდელი: და იხედავს სარკუმლით გამო, გარდამოიხედავს არდაბაგდადგთ.

მოსკ.: განმსტრობილი სარკუმლით, გარდამომხედავი შორის არდაბაგდადგთ.

A 65: იჭურობს სარკუმელთა, შემიჭურობდეს ბადეთა მიერ.

მთაწმიდელი: ორთმსხმელი, მოსკ.: ორთკორცნი; A 65: მარჩიენთმშობელი.

მთაწმიდელი: ყოველთა უპყრიეს მახული.

მოსკ.: ყოველთა მქონებელთა საჭურველთა.

A 65: ყოველნი მახულ ქდილნი.

მთაწმიდელი: თავი მისი ოქროჲსა ოფაზისაჲ.

მოსკ.: თავი მისი ოქროჲსა რჩეულისაჲ.

A 65: თავი მისი — ოქროჲსა კოფაზისა, წარბნი მისნი — განჭედილ და მელნისფერ.

სულ სხვა ჩვენება მოგვცა მცხეთის ბიბლიამ (A 51).

„ქება ქებათას“ წმ. გიორგი მთაწმიდლისეული ნაწყვეტი თითქმის ზედმიწევით თანხვდება აქ წარმოდგენილ რედაქციას, თუმცა მცირეოდენი განსხვავებაა ორიოდე ენობრივ-ლექსიკურ მაჩვენებელში. ολύνθος-ის შესატყვისად A 55-ის „ყუავილის“ მაგიერ A 51 ხმარობს „გაგაჲ“-ს („ლელუმან გამოუტეა გაგაჲ თჳსი“); აღმოქდეს 6,5 (A 55) ‖ აღმოვიდეს (A 51); დიოდენ 5,16 (A 55) ‖ დიოდედ (A 51); კუამლისა კუშეულისაჲ 3,6 (A 55) ‖ კუამლი საკუმეველისაჲ (A 55). მესამე თავის მე-2 მუხლს არც აქ, A 51-ში, ვნახულობთ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მხედრულით ჩანაწერს, რომელიც სხვა რედაქციის კუთვნილება ჩანს. A 55: „მოელო ქალაქი, სავაჭრონი და უბანნი“; A 51: „მოვლენ ქალაქნი, უბანნი და ურაკპარაკნი („ურაკპარაკი“ ამ ადგილზე არც ერთ ცნობილ ნუსხაში არაა, შეიძლება სომხურიდან მოდიოდეს).

მოტანილი პარალელური ნიმუშები არ სცილდება ვარიანტულ სხვაობათა სფეროს. ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ A 55 და A 51-ში შემონახული ტექსტები (პირველში ნაწყვეტის სახით, მეორეში — სრულად) სათავეს ერთი საერთო წყაროდან იღებს. ისინი ერთი რედაქციის ხელნაწერებია.

საფიქრებელია, რომ წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულების პარალელურად, წმ. გიორგი მთაწმიდელს ხელთ ჰქონდა „ქება ქებათას“ ძველი ნუსხები, რომლებშიც იხედებოდა კომენური ტექსტის თარგმნისას, უწამებდა ბერძნულს და უახლოებდა მას.

„თარგმანების“ ქართულ ტექსტში წმ. გიორგი მთაწმიდელი ბევრ ადგილას ჩანს, როგორც ბიბლიის ძველი ქართული თარგმანების ღრმად მცოდნე. ჩვენ ზემოთ სიტყვები „საბარკალი“ და „მახული“ აღვნიშნეთ, როგორც ოშკურისა და A 55-ისეულ „ქება ქებათას“ შორის რედაქციული განსხვავების ნიმუში. სიტყვა „საბარკალი“ თავს იჩენს წმ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანში მსჯელობის დროს განმეორებით მოტანილ ციტატაში (გვ. 102, 104). ციტირებისას „თხზული თმათაჲს“ სინონიმად გველინება ოშკურის „კოწოლიც“ (150 v). მსჯელობის დროს ხმარობს გიორგი მთაწმიდელი მცხეთურის „გაგასაც“ (გვ. 97).

ოშკურ რედაქციაში (აგრეთვე A 51-სა და ბაქარისეულშიც) ბერძნული ტექსტის ἑταίρων-ს (ἑταῖρος — მეგობარი, მეზობელი) გადმოსცემს სიტყვა „სხუათასა“, ალბათ, ἑταῖρος-ის ἕτερος-თან (სხვა, მეორე) აღრევის ნიადაგზე (A 65 აქ „მოყუასს“ ხმარობს). ამ მთარგმნელობით ტრადიციას ინარჩუნებს წმ. გიორგი მთაწმიდელიც.

ამრიგად, „თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲს“ კომენური ტექსტისა და „ქება ქებათას“ ძველი ქართული ნუსხების შედარებითი შესწავლა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ წმ. გიორგი მთაწმიდლის მთარგმნელობითი მუშაობისათვის ნიშანდობლივია ძველი რედაქციების ჩვენებათა გათვალისწინება.[6]

„თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲს“ წმ. გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანის კომენურ ტექსტს დიდი მნიშვნელობა აქვს ბიბლიის წიგნთა ქართული რედაქციების შესწავლისათვის. საგულისხმო ფაქტია, რომ იგი თითქმის 7 საუკუნით უსწრებს მცხეთური ბიბლიის ამაღე რედაქციის „ქება ქებათას“ ხელნაწერს.

„ქება ქებათას“ კომენტარების მთაწმიდლისეული თარგმანი საინტერესოა როგორც მდიდარი ლექსიკური საგანძურის შემცველი ძეგლი. იგი, ერთი მხრივ, უხვად საზრდოობს კლასიკური ქართულის (განსაკუთრებით, ბიბლიური ტექსტების) ლექსიკური მასალით, მეორე მხრივ, სიახლისადმი მიდრეკილებასაც გვიჩვენებს.[7]

აქ ყურადღებას იქცევს როგორც შედარებით იშვიათი ხმარების, ისე ძველის პარალელურად ახალი შინაარსის, ან ჩვეულებრივისაგან განსხვაებული მნიშვნელობის მქონე სიტყვები. ძეგლის სიტყვიერ მარაგს ავსებს, ამრავალფეროვნებს ნაწარმოები და რთული სახელები, კომპოზიტები. ეს უკანასკნელი, ბერძნულიდან შემოსულ სიტყვებთან ერთად, საინტერესო მასალაა წმ. გიორგი მთაწმიდლის მთარგმნელობითი მუშაობის შესასწავლად.

ქვემოთ შეეხებით „თარგმანების“ ლექსიკის ძირითად საკითხებს.

1. ძეგლში დასტურდება მრავალი სიტყვა, შეთვისებული ბერძნულიდან სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში ზეპირი თუ მწიგნობრული ურთიერთობის გზით.

აქ წარმოდგენილი სიტყვების ერთი ნაკადი ქრისტიანობისა და ბიბლიური ტექსტების გავრცელების დროიდან მოჰყვება ქართულ ენას (იგულისხმება ბერძნული გზით შემოსული ებრაული სიტყვებიც). ლექსიკურ ერთეულთა მეორე ნაკადი შედარებით გვიანაა დამკვიდრებული და ნაკლებადაა გავრცელებული. მათ გამოყენებას „თარგმანების“ ქართულ ტექსტში აპირობებს როგორც ტრადიცია, ისე ბერძნული დედანი.

საგულისხმოა ისიც, რომ ზოგი ბერძნული თუ ებრაული ტერმინი ახსნილია და

---

6 ქ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1960, გვ. 419.

7 აკ. შანიძე, გიორგი მთაწმიდელის ენა იოვანეს და ეფთუმეს ცხოვრების მიხედვით: გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთუმესი, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, 1946, გვ. 82.

ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გიორგი მთაწმიდლის თარგმანი, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, 1947, გვ. 406.

განმარტებული ჩვენს ტექსტშიეე, რაც ძეგლის ხასიათიდან გამომდინარეობს. ბერძნულთან ერთად ნახმარია მისი ქართული შესატყვისები, რასაც გზადაგზა ვუჩვენებთ.

ისე, როგორც მრავალ ნათარგმნსა თუ ორიგინალურ ძეგლში, „თარგმანებაშიც" ვხვდებით შემდეგ ბერძნულ სიტყვებს (მოგვაქვს ის ნასესხები სიტყვებიც, რომელთა შესაბამისად ბერძნულ ტექსტში იმავე მნიშვნელობის სხვა სიტყვაა):

ალო ἁλόη ἡ 124 va;

ანგელოზი ἄγγελος ὁ 78 va; 143 va;

ასპიტი ἄσπις ἡ, ἀσπίδος 100 rb; 156 rb;

დრაქმა δραχμὴ ἡ 145 rb;

ეთერი αἰθέριον τό 87 va; 101 va;

ეკლესია Ἐκκλησία ἡ 113 ra; 140 vb;

ემბაზი ἔμβασις ἡ 81 vb; 87rb.

[ოღონდ „ემბაზი" აქ გადმოგვცემს სხვა ბერძნულ სიტყვებს: ὁ λυτρός-სა და τὸ ὕδωρ-ს].

ეპისკოპოსი ἐπισκοπή 117 vb, 152 ra;

ეროდიონი ἐρωδιός ὁ 94 va;

[აღსანიშნავია, რომ საბა ამ სიტყვას იცნობს „ეროდიოსის" ფორმით და მას, თუმცა არ მიუთითებს, განმარტავს ჩვენი ტექსტის მიხედვით (ან ორივე ერთ წყაროს ეყრდნობა).

„ეროდიოს ფრინველი ესე მოძაგე არს მამლობისა და ბუნების მიერ რა იიძულების მართველობად, რათა არა აღიკოცოს თესლი მისი სიძაგულსა მას იძულებით შეერთებასა, უგემურობით რითამე გარე-მიქცევითა საანჯმნო-ჰყოფს. ეროდიოს ებრაულ არს, ეიეთთაგან ყარყადად ითქმის, ვიეთთაგან არა" (საბა).[8]

„თარგმანებაში" კითხულობთ: „ხოლო იტყჳან ამათ მფრინველთათჳს, ვითარმედ მოძაგე არიან მამლობისა და იძულებითა რაჲ ბუნებისაჲთა ეგულებოდის მამლობაჲ, რაჲთა არა აღიკოცოს თესლი მათი, სიძაგულსა მას და იძულებითსა შეერთებასა უგემურებითა რაჲთმე და გარემიქცევითა საანჯმნო-ჰყოფს". 94 vab. ამავე წყაროს ეყრდნობა საბა „კინამო"-ს განმარტებაშიც].

თეატრონი θέατρον τό 109 rb;

ია ἴον τό 102 va;

იაკინთი ὑακίνθος 81 rb (სხვაგან – 114 rb, 112 rb – იგი გადმოსცემს ბერძნული ლედნის λίθος-ს).

იქედნე ἔχιδνα ἡ 100 rb;

კამარა κάμαρα 114 ra (ორიგინალშია ἀνακλίτον);

---

8 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძის და აკ. შანიძის რედაქციით, 1928.

კანონი κανών ὁ 159 va;

კინამოჲ κιννάμωμον 124 va;

კუპრი κυπρός ἡ 124 va;

კლიტე κλείς ἡ 103 rb, 137 rb (ორიგინალში გვხვდება κλεῖθρον-იც);

ლაკუა λάκκος 152 ra (თარგმნილია „ჯურღმულითაც").

ლიტონი λιτός 115 ra; 134 ra (შეესაბამება ἅπλος და ψιλή-ს).

მანიაკი μανίακης ὁ 76 rb (გადმოსცემს κλοιός-სსაც; 89 rb).

მანქანა μηχάνημα τό 101 rb;

მარგალიტი μαργάριτης ὁ 89 ra;

მარმარილო μαρμάρινος 149 va;

მური[9] 124 va, 153 ra (გადმოსცემს ბერძნულ σμύρνα-ს, პარალელურად დასტურდება „მიპრონიც": 90 va, 91 rb).

მურტი μυρσίνη ἡ 127 va;

ნარდიონი νάρδος 124 va (გვხვდება „ნარდიც": 107 ra).

ნოტია νοτιὰ ἡ 102 vb, 101 va (გამოყენებულია νότις, ἴκμας-ის გადმოსაცემად).

პორფირი πορφύρα ἡ 116 va;

პასექი Πάσχα 100 vb (სიტყვა ებრაულია, შემოსული უნდა იყოს ბერძნულიდან)[10].

ასევე საფირონიც σάπφειρος ἡ 149 ra; 155 rb;

სუნიდისი συνείδησις 81 va, 91 vb; (მის ეკვივალენტად წარმოდგენილია „გონებაც").

ტაბლა τάβλα ἡ 144 vb (ყოველთვის გადმოსცემს მეორე, ძველ ქართულში საკმაოდ გავრცელებულ ბერძნულსაგე სიტყვას: τραπέζα).

[აღსანიშნავია, რომ თავის ორიგინალურ ნაწარმოებში, „იოვანეს და ეფთუმეს ცხოვრება", წმ. გიორგი მთაწმიდელი ხმარობს „ტრაპეზსაც" და „ტაბლასაც"].

ტალანტი τάλαντον 146 vb;

ფინიკი φοῖνιξ ὁ 127 ra;

ფიალი φίαλη ἡ 151 ra (სხვა ადგილას ეს სიტყვა გადმოდის „ჭედით" 157 vb);

ფილოსოფოსობაჲ φιλοσοφία ἡ 77 ra, 106 vb (ენაცვლება „სიბრძნისმეტყველებაც").

---

9 მური, ნ. მარის აზრით, ბერძნ. σμύρνα-ს სომხური გზით გადმოცემაა, თუმცა პარალელურად μύρρα-ც არის ბერძნულში, მაგრამ იქ უნდა იყოს „მურაო" (TP. III, გვ. LIX).

„მური ფორმით სომხურთან დგას, მაგრამ იგი სემური ნასესხები სიტყვაა, ამიტომ თვით ბერძნული σμύρνη-ს პარალელურად გვაქვს μύρρα" (ს. ყაუხჩიშვილი, ადიშის ხელნაწერის ბერძნიზმები: ენიმკის მოამბე, XIV, 1944 გვ. 100).

10 ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთაავის სიმფონია-ლექსიკონი, 1949, გვ. 439.

ფსალმუნი ψαλμός ὁ 128 rb; 136 va;

ჰაერი ἀήρ 101 va.

გეხვდება შედარებით იშვიათად ხმარებული სიტყვებიც:

ედნა τὸ ἔδνον 77rb (ბერძნულში უპირატესად იხმარება მრ. რიცხვში τὰ ἔδνα, აქედან მოდის ქართული ფორმაც). სიტყვა ახსნილია ტექსტშივე: „ესე იგი არს ნიჭი წინდობისაჲ“: საკორწინო საჩუქარი. საყურადღებოა, რომ ეს სიტყვა კომპოზიტში წმ. გიორგი მთაწმიდლის მიერ თარგმნილია „ძღუენით“ ἐδνοφόρος: ძღუნისმომღებელი (იქვე).

თერისტრჲ τὸ θέριστρον. 146 ra, 146 va, თერისტრი 145 va. განმარტება წარმოდგენილია ტექსტშივე – „რომელ არს ზეწარი რაჲმე სასძლოჲ“ 145 va. θέριστρον-ის ბადალია „ზეწარი“ სხვა ადგილასაც, 146 rb-ში, განსამარტებელ ტექსტში გეხვდება „სამოსელი“ (140 va).

ბეგლში დასტურდება საინტერესო პალეოგრაფიული ტერმინი „სიმია“ σημεῖα ἡ. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, იგი არის საგანგებო ნიშანი ადამიანის სწრაფი საუბრის ჩასაწერად. ამგვარი ნიშნების მცოდნე კი „სიმიოგრაფს“ ეძახდნენ; მასვე მოჰყავს „სიმიოგრაფის“ შესატყვისი „სიმიათა-მწერალი“ „ელასიპეს, მელასიპეს და სპევსეჲს მარტვილობიდან“ (ოღონდ განსხვავებული მნიშვნელობით – სამკურნალო ნიშნების მცოდნე), მაგრამ ამ ტერმინს რომ ძველ ქართულში „სტენოგრაფის“, „მალემწერლის“ მნიშვნელობით ხმარობდნენ, ჩანს საბას განმარტებიდანაც[11]: „სიმიათა მწერალი – წარსაგებლის მწერალი, გინა მონასმენის მწერალი“.

ტერმინი „სიმიათმწერალი“, ილ. აბულაძის ცნობით, გეხვდება „რიფსიმიანეთა მარტვილობის“ ქართულ თარგმანშიც[12].

„სიმიაჲ“, როგორც შემოკლებული წერის აღმნიშვნელი ტერმინი, ს. ყაუხჩიშვილის მიერ დადასტურებულია შატბერდისეული კრებულის სასწავლო წიგნშიც[13], რასაც მხარს უჭერს ჩვენი ძეგლის ჩვენებაც.

„ხოლო ვინაჲთგან უმრაველესნი ამათ თქმულთანი ეკლესიასა შინა ითქუნეს ჩუენ მიერ და ვიეთმე ჩუენ თანა მყოფთა სწაელისმოყუარეთა აღწერნეს სიმიაჲთა, აღწერილი იგი მათი მოვიღეთ და რომელი ნუსხათა შინა შეწყობილად მოვიღდა, მიერ აღვწერეთ და სხუაჲ, რომელი საჭირო იყო შეძინებად, თავით თჳსით შევსძინეთ“ 75 rb.

„ἀλλ' ἐπειδὴ τὰ πολλὰ τῶν Ἐκκλησίας ρηθέντων τινες τῶν συνόντων, ἡμῶν ὑ πὸ φιλ-ομαθείας ἐσημειώσαντω, τὰ μὲν παρ' ἐκείνων λαβών, ὅσα δι' ἀκολούθου ἔσ χεν αὐτῶν ἡσημ-είωσις τὰ δὲ καὶ ἀπ' ἐμαυτοῦ προσθείς“ 764 B 5-10.

---

11 ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 130.

12 ი. აბულაძე, აგათანგელოსის „რიფსიმიანეთა მარტვილობის“ ძველი ქართული თარგმანი: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II. 1960, გვ. 153.

13 ს. ყაუხჩიშვილი, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი, „თსუ მოამბე“, III, 184.

ἐσημειώσαντο-ს ლათინურ თარგმანშიც შეესაბამება adnotarunt – ჩანიშნეს; „აღწერნეს სიმიაჲთა“ ნიშნავს: საგანგებო ნიშნებით ჩაწერეს.

წმ. გიორგი მთაწმიდელი რომ გ-ს ღ-დ გამოთქვამდა, ეს ცნობილია მისი „ფსალმუნის“ ანდერძიდანაც და „იოვანეს და ეფთუმეს ცხოვრებიდან“, აგრეთვე „ექუსთა დღეთაჲს“ მის მიერ შესრულებული თარგმანიდან[14]. ახალი ბერძნული გამოთქმის გაელენა იგრძნობა ὄργαν-ის ორღანო-თი გადმოცემისას ჩვენ ძეგლშიც (76 ra; 119 rb; 157 ra).

ზემოთ ჩამოთვლილი ბერძნული სიტყვები მარტო ჩვენი ძეგლის კუთვნილება არაა. ისინი გავრცელებულია ნათარგმნსა და ორიგინალურ ძეგლებშიც. მათ ხმარებას წმ. გიორგი მთაწმიდლის ენაში აპირობებს როგორც ტრადიცია, ისე ბერძნული დედანი. ბერძნული სიტყვების გადმოსაცემად პარალელურად ქართული შესატყვისობების ხმარება ენის სიწმიდისადმი მიდრეკილებით და სტილისტური თავისებურებებით შეიძლება აიხსნას.

აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ეს ბერძნული ტერმინები, რომლებიც უცვლელადაა გადასული სხვა ენებში და მოქალაქეობრივი უფლებით სარგებლობენ თანამედროვე ქართულშიც, წმ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანში წარმოდგენილია ქართული შესატყვისობებით.

ἀλληγορία იგავი 105 ra; ἀναλογία შეტყუება 144 ra; ἀρτηρία გულისა ეზო 119 va; ἀρχέτυπος პირმშო 82 vb; θεωρία ხედვა, ἐπιγραφή წარწერილი 164 vb; ἱστορία უწყება 73 vb, 158 rb; შეტყუებაჲ 117 vb; κατάλογος მწყობრი 125 va; κοσμογενεία დაბადება 121 rb; μύθος ზღაპარი 130 r a; σύμβολος სახე 77 ra; συμπαθεία ლმობიერება 84 rb; φαντασία საუცრება 130 ra.

ამ ბერძნული ტერმინების დამკვიდრება ქართულ ენაში, როგორც ჩანს, შემდეგდროინდელი მოვლენაა.

„თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲ“ ეგზეგეტიკური შინაარსის ძეგლია. ავტორი თავისი მიზნებისათვის იშველიებს ბიბლიურ (ახალი და ძველი აღთქმის) სიუჟეტებს და წინასწარმეტყველების, მოციქულებისა თუ მახარებლების გამონათქვამებს. ამიტომ ძეგლში მრავლადაა ტოპონიმიკური ტერმინები და ადამიანთა სახელები. მასში ასამდე პირისა თუ გეოგრაფიული სახელია. მათი უმრავლესობა ბერძნულია ან ებრაული. ბუნებრივია, ისინი გადმოჰყვა თარგმანს. საინტერესოა მათი გადმოცემის ფორმები, მაგრამ ამაზე სხვაგან.

აი, ზოგიერთი მათგანი: აბრაჰამ 73 vb, 101 va; სარრა 158 ra; ნოე 162 rb; კურნილე 153 rb; მატთეოს 133 ra; სუმეონ 120 ra; ტუროს 82 rb; სანარი, ერმონი

14 აქ. შანიძე, გიორგი მთაწმიდელის ენა იოვანეს და ეფთუმეს ცხოვრების მიხედვით: გიორგი მთაწმიდელი. ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთუმესი. 1946, გვ. 80. ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, წმ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანი. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, 1947, გვ. 66.

122 va; მთანი ბეთელისანი 100 v.

განსამარტებელ ტექსტში (აქედან განმარტებაშიც) დასტურდება სიტყვები, რომლებიც მიუთითებს მათი შემოსელის არაბერძნულ გზაზე.

თარშიი

„კელნი მისნი ოქროჲსანი წახნაგებულ, აღსებულ თარშითა“ 152 ra.

Χείρες αὐτοῦ τορευταί, χρυσαῖ, πεπληρωμέναι Θαρσεῖς 1061 C_{3-4}.

სომხურში გვხვდება ակամբք թարսայ (Թարսիս).

პრ. აჭარიანის ლექსიკონის[15] მიხედვით, ებრაული taršiš სირიულში გადადის taršiš-ადვე, ბერძნულში იძლევა θαρσίς ფორმას. სახელწოდება ესპანეთის ერთ-ერთი ქალაქის სახელწოდებიდან მომდინარეობს და აღნიშნავს ძვირფას ქვას. ქართული ფორმა „თარში“ მის სირულ-სომხური გზით წარმომავლობას ამჟღავნებს. წმ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანში იგი ტრადიციით მოხვდებოდა.

ოფაზი

„თავი მისი ოქროჲსა ოფაზისაჲ“ 146 va.

Κεφαλὴ αὐοῦ χρυσίον Κεφὰς 1037 D_{7-8}.

სომხურშია Կեփազեալ.

„ოფაზის“ შესახებ „თარგმანებაში“ ნათქვამია: „სიტყუაჲ ესე ებრაული არს და მოასწავებს ოქროსა წმიდასა და ბრწყინვალესა და ყოვლისაგან შერევნისა უცხოსა. ხოლო დაუტეეს თარგმანთა თუნიერ თარგმანისა, რამეთუ არა იპოვა შესწორებული მისი სიტყუაჲ ელინურად, ხოლო ჩუენ გულისკმა-ვყავთ, ვითარმედ ოფაზი წმიდასა და ბრწყინვალესა და ყოვლისავე შერევნისაგან უცხოსა ოქროსა მოასწავებს 149 rb.

საბა: „ოფაზი ესე არს ოქრო ყოვლისა შერყუნილებისაგან უცხო და არა რიოში“, სიტყვა დამოწმებულია „ქება ქებათა“-დან.

პრ. აჭარიანის მიხედვით, ებრ. fāz „წმიდა ოქროა“. ბერძნული κέφαζ გაუგებრობის ნიადაგზე მიღებულია καὶ φαζ-იდან: „და ფაზი“. მსგავსი გაუგებრობის ნაყოფია ქართული ოფაზიც.

შტახსი

„შეკრული შტახსი ძმისწული ჩემი ჩემდა“ 86 va.

Απόδεσμος στακτῆς ἀδελφιδός μου ἐμοι.

სომხურში: ստաշխն.

საბა წერს: „შტახსი ესეცა ნივთთაგანი არს მურისა უწლოსი, საზე მტუერისა

---

15 პრ. აჭარიანის ლექსიკონიდან Հր. Աճառեայի Հայիրեի Առմատական բառարան, 1926-1932 წარმოდგენილი მასალა გეთთარგმნა პროფ. ილ. აბულაძემ.

ყუაილთაგან და მწუხრვალთა მურისათა, რა დასწურვენ სუნსელსა მას, აერეზთა განადენი არს შტახსი, ხოლო უზრქესი აერეზთა შიგან დანარჩენი არს მური“, ე.ი. „შტახსი“ საუკეთესო ხარისხის მურია.

პრ. აჭარიანის ახსნით, ბერძნული στακτή მომდინარეობს ფალაური sta-xša-დან ⟶ σταξη ⟶ στακτός, στακτή. ქართულში „შტახსი“ სომხურიდან უნდა იყოს შემოსული.

ამ სიტყვების ხმარებით თავის თარგმანში წმ. გიორგი მთაწმიდელი მხარს უჭერს ძველ ქართულ მთარგმნელობით ტრადიციას.

2. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძეგლი ყურადღებას იქცევს როგორც იშვიათად ხმარებული სიტყვების მხრივ, ისე ზოგი მათგანის უცნობი ან გადატანითი მნიშვნელობით ხმარების თვალსაზრისითაც. სიტყვის შინაარსობლივი ნიუანსების გარკვევაში დიდ დახმარებას გვიწევს ბერძნული ტექსტი, ამიტომ ქვემოთ ქართულის პარალელურად წარმოვადგენთ ბერძნულ მასალასაც.

„ბორობანი“ ცნობილია ბიბლიის ტექსტებიდან. საბა იმოწმებს ლევიტელთა წიგნს (23,40) და განმარტავს: „ხე კეთილშრდილოიანი და მაღალი“. სიტყვა დადასტურებულია „ბურობანის“ ფორმითაც[16].

როგორც ბერძნულ ტექსტთან შეპირისპირებით ირკვევა, ამავე მნიშვნელობით ხმარობს მას წმ. გიორგი მთაწმიდელიც.[17]

„რომელმან-იგი ესრეთ აღამაღლა და ვითარცა ნაძუ რაჲმე ბორობანი შუენიერებითა და სიკეთითა შეჰმკო“ 109 vb.

„...ἡ καθάπερ τι ἔρνος ἀναδραμεῖν ἑαυτῆς τὸ ὕψος ποιήσασα, καὶ πρὸς τοιοῦτον μεταβάλλουσα καλλός“ 897 A_{13-14}.

„და ვინაჲთგან წარჩინებულ არს სახილველად მთაჲ იგი ლიბანისაჲ, ყოველით კერძო ნაძუთა მიერ ბორობანთა მოსხმული“ 156 va.

„προφανές ἐστι θέαμα τὸ ὄρος ὁ Λίβανος πανταχόθεν ταῖς ὑψελαῖς κέδροις συνηρεφής τε καὶ λάσιος“ 1081 B_{1-3}.

ეს სიტყვა „ხშირი ფოთლით დაფარულის“ (მ. კახაძე), ე. ი. „დაბურულის“ შინაარსით (ἀμφίκομος) გვხვდება ბასილი დიდის „ექუსთა დღეთაჲს“ წმ. გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანშიც[18].

გავალაკი: ტახტრევანი. საბა იმოწმებს „ქება ქებათას“ და განმარტავს: „ესე არს მეფეთა თავს ზეით საფარებელი ნაქსოვთაგან, საჩრდილობელი (საჩრდილობელი შემზადებული ეტლთა ზედა, გინა ცხენთა ზედა ანუ ქვეითთათჳს C).

---

16 იქ. აბულაძე, ქართული ბიბლიის ძველი ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი: „თსუ შრ.“; XVIII, 1941, გვ. 152.

17 გამოყენებულია Древнегреческо-русский словарь, составил И. Х Дворецкий, 1958.

18 ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ.., ლექსიკონი, გვ. 122.

გავალაკი იქმნა მეფემან სოლომონ ძელთაგან ლიბანისათა“ 112 ra.

„φορεῖον ἐποιήσεν ἑαυτῷ ὁ βασιλεὺς Σαλομὼν ἀπὸ ξύλων τοῦ λιβάνου“ 905 C_{6-7}.

გამოტკუფოლვა (გამოგტქფა გამოგსქდასავით 2 შჯ. 8,4; საბა) სიტყვა ცნობილია ბიბლიიდან და გეხვდება იპოლიტეს „ქება ქების“ განმარტებაშიც[19].

„და ღუელფი საკუმილისაჲ ფაქლსა გამომტკუფოლვარესა კორცთაგან აღმოადუღებდა“ 87 vb.

„...καὶ ἡ καμιναία κόνις τὰς φλυκτίδας ἀπὸ τῶν σωμάτων ἀναζέειν ποιεῖ“ 812 D_{1-2}.

„ფაქლი გამომტკუფოლვარე“ φλύκτις-ის (ბებერა, მუწუკი) აღწერითი თარგმანია.

„ბოროტთა მათ დაშჯისა ნაკუერცხალთა გამომტკუფოლვარეთა აღაგზებს“ 88 ra.

„...ἡ τῆς γεέννης κάμινος τὰς πονηρὰς τῆς κατακρίσεως φλύκτιδας ἀναζέειν ποιεῖ“ 813 D_{4-6}.

„ცანი“ იხმარება ერთ-ერთი ძველი მნიშვნელობით: „მიზანი“ და დაცულია დღევანდელ „საგანში“, როგორც ეს გარკვეული აქვს ვუკ. ბერიძეს[20] („საგანი“ — ისრის ნიშანი 3,12. საბა).

„ვითარცა ისარსა განისა მიმართ კეთილისა წარმართებს“ 98 ra.

„...ὡς βέλος πρὸς τὸν ἀγαθὸν εὐθύνων σκοπόν“ 852 D.

„ცანი“-ს იგივე მნიშვნელობა დადასტურებულია „ბალავარიანშიც“[21].

განკუთნილება — თვისება, თავისებურება; სიტყვის ეტიმოლოგია და მნიშვნელობა დადგენილი აქვს ილ. აბულაძეს[22], რასაც მხარს უჭერს ჩვენი ძეგლიც.

„ხოლო ჭეშმარიტი სძისა გამოცდილებაჲ ესე არს, რამეთუ ნელთა და ნოტიათა შინა ამას ოდენ აქუს ესევითარი განკუთნილებაჲ, რაჲთა არა ჩნდეს მას შინა კერპი რაჲმე და მსგავსებაჲ“ 151 va.

„...Ἀληθὴς γάρ ἐστιν ἡ τοῦ γάλακτος παρατηρήσις, ὅτι μόνον. τοῦτο τοιαύτην ἔχει τὴν ἰδιότητα, τὸ μὴ ἐμφαίνεσθαι αὐτῷ εἴδωλόν τινος ὁμοίωμα“ 1060 B_{7-10}.

„ცანკუთნილების“ სინონიმებად წმ. გიორგი მთაწმიდელი იყენებს „საკუთარ“-ს და „თჳსი“-ს, რომელნიც „ახლობელის, ნათესავის“ პარალელურად ატარებენ „თავისებურის“ მნიშვნელობასაც.

---

19 H. Mapp, TP, III, XLV.

20 ვ. ბერიძე, „საგან“ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, ტ. III, № 4, 1942, გვ. 381-388.

21 ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა ილ. აბულაძემ, 1957, 037.

22 ილ. აბულაძე, ძველი ქართული ლექსიკონიდან. „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე“, 1. თბილისი, 1959, გვ. 157-167.

„რაჲდენიცა არის თჳსი და საკუთარი სულისაჲ“ 127 vb.

„...ὅσα τῆς ψυχῆς ἐστιν ἴδια“ A_{13-14}.

„რამეთუ საქმეთამიერსა მას ბრწყინვალესა მორცხუებასა საჩინოთა მათ ფერთა მიერ განთჳსებული და განკუთნილი აქუს ქებაჲ“ 118 va.

„Ἡ γὰρ ἐπιλάμπουσα τοῖς γεννομένους αἰδὼς, ἴδιον μὲν ἐκ τῶν προδήλων ἔχει τὸν ἔπαινον“ 929 C_{3-4}.

განუნახველი — ეს სიტყუა კ. კეკელიძეს ახსნილი აქუს, როგორც „განურჩეველი“, неразборчивый[23]. ჩუენს ძეგლში მას აქუს „გამოუკლეველის“, „შეუსწავლელის“ მნიშუნელობა.

„და რაჲთა არაჲის ეგონოს, ეითარმედ განუნახველად და გამოუძიებელად წარმოიჩინების ქებაჲ მათი“ 124 rb-va.

„Ὡς δι' ἀν μὴ δοκοίη ἄκριτος αὐτῶν καὶ διημαρτημένος ὁ ἔπαινος“ 952 D_{3-5}.

„რაჲთა არა სრულიად განუნახველად თანა-წარგუჯდეს იგაჲი იგი“ 165 ra.

„...ὅσον μὴ ἀγύμναστα καθ' ὅλου παραδραμεῖν τὰ αἰνίγματα“ 116 C_{7-8}.

„და ჰგონებდეს, თუ თაჳსა თჳსსა ხედაჳს, რომელი-იგი შეემთხუეჳის თაჳთა თჳსთა განუნახველთა“ 85 ra-b.

„... ἑαυτὸν οἴεσθαι βλεπείν ὅπερ δὴ πάσχουσιν οἱ ἑαυτῶν ἀνεπίσκεπτοι 804 A_{8-9}.

„განუნახველი უარყოფითი ფორმის მიმღეობაა „განახუა“ ზმნისა, რომელიც გუხვდება „ქართლის ცხოვრებაში“ და ნიშნაჳს „დათჳალიერებას“: „მაშინ ფარსმან მეფემან სიფიცხითა გულისაჲთა არღარა განახა სიმრავლე სპარსთა“ 52,16[24].

ფორმითა და მნიშვნელობით მასვე დაუკავშირდება „იოვანეს და ეფთუმეს ცხოვრებაში“ დადასტურებული „წასანახავი“, „წანახუა“, რომელიც, აკ. შანიძის მოსაზრებით, ნაწერის სტრიქონ-სტრიქონ თვალისდევნება უნდა ყოფილიყო[25].

„ესე კულა სყიდაჲ გინა ღუნისაჲ, გინა თევზისაჲ ყოველადვე არა კსენებულ არს მონასტერსა შინა თუნიერ ზეთისა და იგიცა, რომელნი მკითხველნი იყვნიან ანუ მწერალნი და წასანახავად ანუ საწერლად აინთიან“ 81,3.

გარდაცემა — გარდადენა (საბა).

ჩუენს ტექსტში „გარდაეცემოდინ“ ნახმარია „დიდროოდინ“-ის სინონიმად და გადმოსცემს ბერძნულ πλημμυρώσιν-ს, „ადიდებს“.

„ხოლო ჭეშმარიტისა მის ჭეშმარიტებისა თანა ცუარნი არიან და ნიჳნი ცუართანი, დაღაცათუ სიმრაელითა და სიმაღლითა მოძღურებათაჲთა დიდროოდინ და

---

23 თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზჳარნელ მიტროპოლიტისაჲ, კ. კეკელიძის გამოც., 1920, გვ. LXXII.

24 „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. 1, 1955.

25 „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთუმესი“. ლექსიკონი, გვ. 154.

გარდაეცემოდნ“ 137 vb.

„...ὡς δὲ πρὸς τὴν ὄντως ἀλήθειαν, δροσώδεις εἰσὶ ψεκάδες, κἂν τῷ πλήθει τε καὶ μεγέθει τῆς διδασκαλίας πλημμυρῶσιν“ 1004 B_{4-5}.

შემდეგ მაგალითში: „და სამოთხეთა წარმოაჩენს შუენიერებასა და ველთა გარდაცემულთა ყუავილითა“ 101 ra „... λειμῶνας δείκνυσι βρύοντας καὶ ὡραιζομένους τοῖς ἄνθεσι“ 865 A_{13-14}. „გარდაცემული“ გადმოსცემს βρύων-ს, რაც ნიშნავს „სიუხვეს, უხვად ქონებას“; ლათინურ თარგმანიც შესაბამისად არის scaleo.

ნათქვამს ადასტურებს შემდეგი ფრაზაც:

„ამისთჳს ხელავს სიძესა განწმედილი სული ვაშლად ხეთა შორის მაღნარისათა, რაჲთა დაამყნნეს თავსა თჳსსა ყოველნივე იგი ველურნი რტონი მაღნარისანი და ეგევითარისავე ნაყოფისა გამოღებითა გარდაცემულ ყვნეს“ 95 vb.

ბერძნულშია „βρύειν παρασκευάσῃ“.

ეს სიტყვა „უხვად ქონების“, აგრეთვე „ბიბინის“ მნიშვნელობით ახსნილი აქვს მ. კახაძეს ბასილი დიდის „ექუსთა დღეთაჲს“ ლექსიკონშიც[26].

„გარემიქცევა“ ნიშნავს შებრუნებას, მიბრუნებას; აქედან „გარემისაქცეველს“ აქვს „საძაგელის“, „საშინელის“ მნიშვნელობა, მისი ეკვივალენტია ბერძნულ ტექსტში ἀποτρόπαιος.

„არა იყო ესეოთარი კელი მოციქულთა გუამისა შორის საწყალობელი იგი და უბადრუკი იუდა, უფროჲსღა ხენეში იგი და სახებოროტი და გარემისაქცეველი და სალტოლველი“ 154 ra.

„...Οὐκ ἦν τοιαύτη χεὶρ ἐν τῷ τῶν ἀποστόλων σώματι. ὁ Ἰούδας ἐκεῖνος; ὁ ἐλεεινός τε καὶ δείλαιος, μᾶλλον δὲ ὁ στυγητὸς καὶ ἀποτρόπαιος“ 1069 C_{14}- D_2.

გრკუნვა – ხელში აყვანა, გულში ჩაკვრა. საბას ახსნით: „ჩჩულთაგან მზრდელისა თჳისისა შეხარილი, რეცა უბნობა“.

არცა სრული წიაღთა მპოხელისათა იგრკუნეის“ 76 ra.

„... Οὔτε ὁ τέλειος ἐν ταῖς ἀγκαλίαις τῆς τιθήνης ἀναλαμβάνεται“ 768 A_{5-6}.

ἀναλαμβάνω ნიშნავს „ხელში ვიყვან“.

„გრკუნვა“ ეტიმოლოგიურად უნდა უკავშირდებოდეს სიტყვა „გრკალს“.

ეზოგსმოძღუარი – როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ეს სიტყვა გავრცელებული ყოფილა ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელ საქართველოში და შემდეგ გამოუყენებიათ სხვადასხვა უცხო ტერმინის გადმოსაცემად[27].

აკ. შანიძე აღნიშნავს, რომ „ეზოგსმოძღუარი“ ეკვივალენტია (კომპონენტთა გად-

---

26 ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ... გვ. 128.

27 А. Г. Шанидзе, Данные греческо-пехлевийской билингвы из Армази для истории термина „ეზოგსმოძღუარი“ в древнегрузинском: „საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. II, №1-2, 1941, გვ. 181-186; ს. ყაუხჩიშვილი, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები, იქვე, გვ. 173-176.

ადგილებით) არამეული სიტყვა-იდეოგრამისა rb-t'rbs (rb — რაბი, стареишина, глава; t'rbs — двор) და რეალურად შეესაბამება ბერძნულ ἐπίτροπος-ს (procurator)[28].

ს. ყაუხჩიშვილის აზრით, „ეზოგასმოძღუარით" აღინიშნებოდა მამულის, ქონებისა და მისთანათა მოვლელის თანამდებობის პირი. ძველ ქართულში ამ სიტყვით არის გადმოცემული, გარდა „ეპიტროპოსისა", სხვა ბერძნული მონათესავე ტერმინებიც: αἰκονόμος, αὐλάρχης[29].

საბას განმარტებით, „ეზოგასმოძღუარი" „საგანგიოთა განმგებელია".

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ „ეზოგასმოძღუარის" სხვა მნიშვნელობასაც (პატარძლის ძმობილი, კელისმოქიდე)[30]. ასეთი გაგება ეშყარება იმ ფაქტს, რომ ოშკური ბიბლიის „ეზოგასმოძღუარს" (დაბად. 21,22) ბერძნულში შეესატყვისება νυμφαγωγός, რაც ნიშნავს „მძახალს", „მაჭანკალს". სწორედ „მზახალითაა" გადმოცემული ეს სიტყვა ბაქარისეულ ბიბლიაში. მაგრამ სომხურში შესაბამის ადგილას იკითხება տաճարապետ, რაც ულრის „ტაძრისმთავარს". ამ მონაცემებით ნ. მარი ერთ მხარეზე აყენებდა ოშკურ და სომხურ რედაქციებს, ხოლო მეორეზე — ბაქარისეულს და ბერძნულს[31]. ამ ვარაუდს უშვებს თ. ყაუხჩიშვილი, მაგრამ, მისივე შენიშვნით, სომხური „ტაძრისმთავარი" შეიძლება „ბერძნული ტექსტის ყალბი გაგებიდან მომდინარეობდეს. νυμφών არის „ნეფე", „პატარძლის ოთახი" და, ამავე დროს, ბახუსის, დემეტრეს და პერსეფონეს ტაძარი. სომხური „ტაძრისმთავარი" იქნებ νυμφών-ის ამ უკანასკნელი მნიშვნელობის თარგმანს წარმოადგენს"[32]. დასმული საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ წმ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანის ჩვენებითაც „ეზოგასმოძღუარი" საქორწინო ცერემონიალთან დაკავშირებული სიტყვაა.

„ეზოგასმოძღუარი" ჩვენს ძეგლში დასტურდება სამჯერ.

„დიდი მოციქული მოგუათხოვებს ჩუენ ქრისტესა ქალწულად და ეზოგასმოძღუარ ეკმნების სულსა" 94 ra.

„...ὁ μέγας Ἀπόστολος ἁρμόζεται τῷ χριστῷ τὴν παρθένον ἡμᾶς, καὶ νυμφοστολεῖ τὴν ψυχὴν" 836 D_{3-5}.

νυμφοστολέω, ე.კოსოვიჩისლექსიკონით,[33] იგივეა, რაც νυμφαγωγός. νυμφοστολέω-ს სიტყვასიტყვითი თარგმანი იქნება: „მომყავს, ვრთავ პატარძალს". ეს მნიშვნელობაა

---

28 აკ. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 181.

29 ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 174.

30 თ. ყაუხჩიშვილი, კომპოზიტები ძველ ქართულში, თსუ შრომები, 47, 1952, გვ. 90.

31 Н. Марр, Заметки по текстам Св. Писания, «Христианский Восток», т. II, вып. III, СП., 1914, გვ. 270.

32 თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 70-71.

33 Коссович И., Греческо-русский словарь, 1848.

ლათინურ თარგმანშიც: ornat.

„და მერმე ეზოჲსმოძღურებად იწყებს ჰაბუკისა ესევითარისა მეუღლებისა მიმართ“ 76 vb.

„Μετὰ δὲ ταῦτα νυμφοστολεῖν ἀρχεται τὸν νέον πρὸς τὴν τοιαύτην συνοίκησιν“ 769 B_{5-6}.

შესაბამისად ლათინურშია: deducere – გაცილება.

„ხოლო შემდგომად შუენიერებისა მისისა წამებისა მეგობარნი სიძისანი და ეზოჲსმოძღუარნი უბიწოჲსა მის სასძლოჲსანი და წმიდისა მის სძლისა დამწინდებელნი უჩუენებენ მას სამეუფოჲსა მის ცხებრისა შუენიერებასა“ 110 ra.

„Μετὰ τὴν ἐν τῷ κάλλει μαρτυρίαν, οἱ φίλοι τοῦ νυμφίου καὶ παρασκευασται τοῦ ἀγνοῦ θαλάμου καὶ τῆς καθαρᾶς νύμφης προμνήστορες, ὑποδεικνούσιν αὐτῇ τῆς βασιλικῆς κλίνης τὸ κάλλος“ 897 D_{10-14}.

παρασκευαστής (ლათ. parant) ნიშნავს „მომზადებულს“, „მომწყობს“. აქ მითითებაა იმაზე, რომ ეზოჲსმოძღუარი საქორწინო ოთახსაც აწყობდა, რთავდა.

მაშასადამე, „ეზოჲსმოძღუარი“ „თარგმანების“ ქართული ტექსტის მიხედვით აღნიშნავს „პატარძლის გამცილებელს, ქორწინების მომწყობს, მომრიგებელს“, რაც სიტყვის ძირითად მნიშვნელობას (მოურავი, მზრუნველი)[34] შეიძლება ამ მორიგების, გამგებლობის მომენტით უკავშირდებოდეს. საფიქრებელია, რომ აქ წმ. გიორგი მთაწმიდელი ბიბლიური ტექსტების მთარგმნელობითი ტრადიციიდან ამოდის.

„ზოგის“ შემცველი ფუძეების სხვადასხვა (ძველი და ახალი) მნიშვნელობა, რაც გარკვეული აქვს არნ. ჩიქობავას[35], დასტურდება ჩვენს ძეგლშიც.

„...ხოლო რომელიმე მაღალთა აღსლვათა განზოგებასა აღსრულ არს, და სხუასა განზოგებაცა წარუელიეს“ 163 vb.

μέση ἡ აქ ნიშნავს შუალედს, ნახევარს.

„...ὁ δὲ μέσης ἔχει τῆς τῶν ὑψηλῶν ἀναβάσεως, ἕτερος καὶ τὸ μεσὸν παρέδραμε 1109 D_{7-9}.

„განზოგებულს“ აქვს ცალკეულის, დანაწილებულის მნიშვნელობა: „და კუალად ყოვლადდასაწუელნი და საკუერთხნი და განზოგებულნი იგი ნაკეცალთა შესაწირავნი... ნელსაცხებელთაე ამათ მწყობრსა შინა დააწესე“ 125 va.

„...καὶ τὰς ὁλοκαυτώσεις, καὶ τὰς μερικὰς τῶν ἀφαιρεμάτων ἀφιερώσεις... ἐν τῷ κα-ταλόγῳ τῶν ἀρωμάτων ἔστω“ 957 A_{5-11}.

„ნაწილობრივის“ მნიშვნელობით „სრულს“ უპირისპირდება „ზოგს-რამე“[36].

---

34 ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, 1946.

35 არნ. ჩიქობავა, „ზოგი“ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, „ენიმკის მოამბე“, I, 1937, გვ. 48-51.

36 სინური მრავალთავი 864 წლისა. აკ. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, 1959, გვ. 325.

„მაშინ უკუე არღა საქმეთა მიერ, არცა ზოგს-რაიმე ეიცნათ ბუნებაჲ კეთილისაჲ, ვითარცა აწ“ 139 va.

„...τότε οὐκέτι ἐκ μέρους διὰ τῶν ἔργων ἐπιγνοσόμεθα τὴν τοῦ ἀγαθοῦ, ὥσπερ καὶ νύν“ 1012 A_{1-2}.

„და ზოგს-რაამე მოვიქსენნეთ მრაეალგზის ქმნილნი“ 122 ra.

ზემოხსენებულთ უპირისპირდება „ზოგადი“ თანამედროვე მნიშვნელობით – „საერთო“:

„სიხარული შენი ზოგადი სიხარული არს ყოველთაჲ“ 80 vb.

„κοινὴ γὰρ ἡμῶν χαρὰ τὸ σὸν ἀγγαλίαμα“ 785 C_3.

„ხოლო ორთავე სრულებაჲ ზოგადი იქმნა სძლისაჲცა და წინაწარმეტყველისაჲცა“ (ბერძნულში კელავ κοινή) 146 va.

ზოგებით – ერთად: „ერთბამად და ზოგებით შემოკრბეს“ 74 ra.

კოწოლი – თმის ნაწნავი, დალალი (საბა, დამოწმებულია ბიბლია. ეს. 3,3). „კოწოლი“ გვხვდება დაეით ალმაშენებლის „გალობანი სინანულისანიშიც“[37].

ჩვენი ტექსტით:

„თმად და განთხზულად და ტევნეულად და წინამოდ და კოწლად მოციქულთა სახელ-სდებს“ 150 vb.

„...τοὺς βοστρύχους σημαίνεσθαι“ 1056 D_3.

როგორც ბერძნულთან შეპირისპირებიდან ჩანს, βόστρυχος-ის (კულული) გადმოსაცემად წმ. გიორგი მთაწმიდელი იყენებს რამდენიმე მონათესავე მნიშვნელობის მქონე სიტყვას.

„განთხზული“ ნაწნავია. „წინამო“, საბასვე განმარტებით, „თმაა ღაწეთ დამამშვენებელი“. „ტევნეულიც“ თმის გარკვეული ვარცხნილობა უნდა იყოს.

ბერძნულ βόστρυχος-ს ჩვენი ძეგლის სხვა ადგილას შეესაბამება „ღულარჭნილი“-ც:

„...როშელ არს მწყობრი ღულარჭნილთა მისთაჲ“ 145 vb.

„...τῶν ἐν τοῖς βοστρύχοις γενομένων“ 1036 B_7.

საბა „ღულარჭნილს“ განმარტავს „მიგრეხილ-მოგრეხილ“-ად, რაც „კულულები“, „ხვეული თმა“ უნდა იყოს.

„თმაჲ ღულარჭნილი“ ხუჭუჭი თმის მნიშვნელობით დადასტურებული აქვს ილ. აბულაძეს „თეკლას მარტვილობაშიც“[38].

„ხუჭუჭ თმას“ „კულულებს“ უდრის აგრეთვე ჩვენი ტექსტის „თმა-გრუზნიც“:

„და შეამკობენ მას თჳსითა მოწყობითა და ტევნულად მოცეითა თმა-გრუზთაჲთა“

---

37 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 374.

38 ილ. აბულაძე, მარტყლობა თეკლაჲსი, „ენიმკის მოამბე“, VIII, 1941, გვ. 133.

150 vb.

„...κοσμοῦντες αὐτὴν τῷ ἰδίῳ κυκλώματι“ 1057 A_{6-7}.

გეხვდება „დალალიც“ (137 va).

მედრეკანი – ღუნეადი, დრეკადი (კ. კეკელიძე)[39].

„რამეთუ მედრეკანითა... და კეთილად გამოწერილითა ყელითა მი-მო-იქცევდეს კიცჳ ქედსა თჳსსა“ 88 va.

„...πρῶτον μὲν ὅτι εἰς κύκλου σχῆμα κάμπτων ὁ πῶλος“ 816 C_{1-2}.

მომდოვრება – შენელება, შესუსტება.

„არაოდეს მოამდოვრებს სურვილსა მას სიმაძღრითა“ 145 vb.

„...οὐδέποτε κορῷ τὸν πόθον ἀμβλύνεται“ 1036 A_{1-2}.

„მომშუხაობა“ (მომუხა – დამხალული, გინა დახეთქილივით. საბა) ს. გორგაძეს ახსნილი აქვს როგორც «едкость», „მსუსხველობა“, „სიცხარე“, „სიმწვავე“[40]. „სიმწკლარტის“ მნიშვნელობითაა წარმოდგენილი იგი ჩვენს ძეგლშიც.

„სიკსუე და მომშუხაობაჲ მრწუელისა ქერქისაჲ ზრდის და ჰფარავს შინაგანსა მის ნაყოფისა სიტკბოებასა“ 118 va.

„...Ὡς γὰρ ἡ στύψις τοῦ ῥοὰς λεπούρου τρέφει καὶ φυλάσσει τοῦ ἐμπεριεχομένου καρποῦ πλυκύτητα“ 129 B_9.

„მომშუხაობის“ სინონიმი ჩანს „სიკსუეც“. თუ დავუკავშირებთ მას „ქსუს“ („ჯარეული ფრინველი“, საბა), დიალექტურ „გაქსუებას“, მისი მნიშვნელობითი ნიუანსი უნდა იყოს „უხეშობა“.

ნაკეკალი:

„და კუალად ყოვლადდასაწუველნი და საკუერთხნი და განზოგებულნი იგი ნაკეკალთა შესაწირავნი... ნელსაცხებელთა ამათ მწყობრსა შინა დააწესე“ 125 va.

„...καὶ τὰς ὁλακαρπώσεις καὶ τὰς ὁλοκαυτώσεις, καὶ τὰς μερικὰς τῶν ἀφαιρεμάτων ἀφιερώσεις... ἐν τῷ καταλόγῳ τῶν ἀρωμάτων ἔστω“ 957 A_{5-11}.

ἀφαιρέω ნიშნავს ჩამოჭრას, ჩამოკეთას. ἀφαιρεμα-ს შესატყვისია „ნაკეკალი“, იგი უნდა ნიშნავდეს „ნაჭერს“, „ნახევს“, „ნახეჩს“.

სამნაკეცი ღელეა – სამმაგი ტალღა; გადატ.: „ქარიშხალი“.

„რომელნი-იგი უფსკრულსა შინა ცხორებისასა იღელვებოდინ, სამნაკეცთა მათ და პირად-პირადთა უკეთურებისა ღელვათა მიერ თავისა მიერ თჳსისა დააყუდებდეს“ 89 ra.

„...καὶ τοὺς ἐν τῷ πελάγει τοῦ βίου χεμαζομένους ἐν ταῖς παντοδαπῶν τῶν κακῶν τρικυμίαις ἑαυτῇ καταστέλλοι“ 817 A_{5-7}.

---

39 ტიმოთე ანტიოქელი, კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, 1960, გვ. 408.

40 ნემესიოს ემესელი, ბუნებისათჳს კაცისა, გამოსცა ს. გორგაძემ, 1914, გვ. 199.

τρικυμία სიტყვასიტყვით ნიშნავს „მესამე, ყველაზე ძლიერ ტალღას", გად-ატ.: „ძლიერ მღელვარებას", „ქარიშხალს" (ზღვაზე), მნიშვნელობით უდრის რუს. „девятый вал" და ლათინ. „fluctus decumanus"-ს.

წმ. გიორგი მთაწმიდელი ზუსტად გადმოსცემს მის მნიშვნელობას „სამნაკეცი ღელვით".

აღსანიშნავია, რომ იგივე τρικυμία ერთ-ერთ ქართულ ტექსტში, სახელდობრ, „ორიენტიოსის და ძმათა მისთა მარტვილობაში",[41] გადმოცემულია „სამმღელვარებით".

„და აწვე განძუნებასა ზღუასა და სამმღელვარებისა ადგინებასა იწყო მწუხარებად ლონგინოს" 322,15.

ხოლო მის ერთ-ერთ რედაქციაში (D) გვხვდება „ღელვითა ოთხნაკეცითა" (325,14). ჩანს, ქართველ მთარგმნელს შეგნებულად გაუზრდია ნაკეცების რიცხვი.

ფაქლი – წყლული, ბებერა (φλύκτις), „წყლულება, კორცთა ამაქავებელი და განმაფიცხებელი" (საბა). იხ. „გამომტკუფოლვარე".

„შეკეცა" გამრავლების ტოლფარდია. „შეკეცილი" ნიშნავს „გამრავლებულს".

„თანა-აც თითოეულისა ათად შეკეცაჲ" 164 va.

„...προσήκει... δεκαπλασιασθῆναι" 1113 B_4.

„რამეთუ ყოველისა ტომისა პირმშო ხუთნი იქმნებიან, რომელთა რიცხუ, ათორმეტად შეკეცილი, სრულ-იქმს რიცხუსა სამეოცთასა" 111 rb.

„...ὁ ἀριθμὸς δωδεκάσις κεφαλαιούμενος, τὸ πλήρωμα ποιεῖ τῶν ἑξήκοντα 904 A_{1-3}.

მნიშვნელობით „შეკეცილს" უკავშირდება სიტყვები, რომლებიც ჯერადობას გამოხატავენ: ათკეცი 164 va; სამნაკეცი 89 ra; სამკეცი 106 ra.

შეუვალი – წმიდათაწმიდა ადგილი.

ამ სიტყვის წარმოებაში უნდა შეინიშნებოდეს ბერძნულის გაელენა. შესაბამის ადგილზე ბერძნულში გვხვდება τὸ ἄδυτον, რაც ნიშნავს „უწმიდეს, შეუვალ ადგილს, ტაძარს". ლათინურ თარგმანშია adytum, რუსულში – святилище.

δύω - „შევდივარ", α - უარყოფ. ნაწილაკი, ἄδυτος – „შეუვალი".

„და ეგევითარი იგი წინაშე ჩუენთა დაგებულთა წიგნისა ამის საიდუმლოთა ღმრთისმეტყველებათა შეუვალსა ჩუენ თანა შემოველინ" 77 va.

„...οὕτως ἐπὶ τὸ ἄδυτον τῶν προφαινομένων ἡμῖν δια τοῦ βιβλίου τούτου μυστηρίων χορείτο" 773 A_2.

„ხოლო წიგნისა ესე დასაბამი გუაუწყებს, რომელთა-უსე გუეგულების შესლვად შეუვალთა მათ შინა საიდუმლოთა მისთა" 78 va.

„...Ἐν μὲν δή τοῦτο διὰ τῶν προοιμίων ἡμᾶς παιδευσατω ὁ λόγος, τὸ μηκέτι

---

41 ქ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, 1957.

ἀνθρώπους εἶναι ἐπὶ τὰ ἄδυτα τῶν τοῦ βιβλίου τούτου μυστερίων εἰσαγομένους“ 776 C_{10-13}.

შეწმასნილი – ცრუ, მოგონილი, მოჭორილი.

„და მართალთა და მრთელთა მოძღურებათა წილ მოპოვნებულსა და შეწმასნილსა საცთურსა აღირჩევენ“ 129 va.

„...τὰς σεσοφισμένας ἀπατας πρὸ τῶν ὑγιενῶν δογμάτων αἱρούμαι“ 972 C_{6-7}.

„შეწმასნილის“ სინონიმია „მოპოვნებული“.

წყლიანობა – მიმზიდველობა, სილამაზე. „წყლიანი“ – „მოქდომილი“, „შეუნიერი“ (საბა).

„რამეთუ აქა აღმარძინებელ გულისთქუმათა იქმნების წყლიანობაჲ და სიდაშნე სახისაჲ“ 110 rb-va.

„Ἐνταῦθα μέν γὰρ ἐλεγτικὸν εἰς ἐπιθυμίαν ἐστι τὸ προσηνὲς τῇ ὄψει καὶ μειλίχιον“ 900 B_{14}.

„წყლიანი“ ამაგე მნიშვნელობით დასტურდება „ეფხისტყაოსანშიც“: „რა ფატმანისა შეჰხდა ლომი მზე, მოყმე წყლიანი“ (1118,1).

„თარგმანების“ ზემოთ მოყვანილ ამონაწერშიეე „სიდაშნე“ „სინაზის“, „მოკრძალების“ სინონიმია. ეგეეე სიტყვა დასტურდება „ეკლესიასტეს თარგმანებაშიც“: „დაადაშნებს სიბრძნით აღმოთქუმულთა სიტყუათა“ 146,10. იხ. შენ. 41.

ჴორცადშეცვალება – გასიება.

„გარნა იგი ჯეროვნად იყო უყუარულ, რამეთუ ჴორცადშეცვალებულ იყო ვნებისა მისგან და სალმობისა“ 79 rb.

„Ἀλλ' ἐκεῖνος μὲν εἰκότως ἀνέραστος ἦν, ὑπερσαρκήσας διὰ τῆς νόσου πρὸς τὴν οἰκείαν ἐπιθυμίαν“ 780 B_{3-5}.

ὑπερσαρκέω არის: „делать мясистым“; ὑπερσάρκωμα – სიმსივნე.

„ჴორცადშეცვალება“ უნდა ნიშნავდეს „გასიებას“.

„პინდლება“ სიშავის სინონიმია.

„პინდლებაჲ იგი განიბანეს“ 113 rb.

„τὴν μελαίναν ἀποκλυσάμενον“ 909 C_5.

„პირველ კერპთმსახურებისა მიერ შავ იყო და პინდლო წარმართთა ეკლესიაჲ“ 113 ra.

„...ὅτι μελαίνα ἦν ἐξ εἰδωλολατρείας τὸ καταρχὰς ἡ ἐξ ἐθνῶν Ἐκκλησία“ 909 B_9.

მაშასადამე, „თარგმანების“ ლექსიკური მასალა მხარს უჭერს კლასიკური ქართულის ძეგლებს და, ამავე დროს, სიახლისადმი მიდრეკილებასაც ამჟღავნებს.

3. „თარგმანების“ ქართული ტექსტის ლექსიკის მრავალფეროვნების ერთ-ერთ წყაროს ნაწარმოები (წარმოქმნილი) სიტყვები შეადგენს.

წმ. გიორგი მთაწმიდელი ოსტატურად იყენებს ქართული ენის სიტყვაწარმოებით

საშუალებებს.

ყურადღებას იქცევს ბრუნვის ფორმატებისა და თანდებულების გამოყენება სიტყვაწარმოებითი აფიქსების ფუნქციით[42].

ახალი ლექსიკური ერთეულის საწარმოებლად ფუძედ აღებულია:

ა) სახელის მოქმ. ბრუნვის ფორმა: გამოწულილვითი 74 vb; ბუნებითი 76 va; სახითი 101 va; ტომითი 73 vb; ზაკუვითი 147 vb.

ბ) ვითარებითი ბრუნვის ფორმა: ზოგადი 146 rb; მცირედი 74 ra; არამცირედი 149 rb.

განსაკუთრებით ხშირია „ჭამად" ტიპის წარმოება[43].

აღსრულებადი 74 rb; ყოფადი 76 ra; 101 rb; მიმოქცევადი 101 rb; შეცვალებადი 75 ra; 122 vb; ქცევადი 103 va; დადგრომადი 136 va.

საყურადღებოა ორმაგი წარმოების ფორმაც: „ნეშტი იგი იქმნეს საჭამადად" 134 vb (τὸ λειπόμενον ἐδώδιμον γένηται 992 A_{13}).

გ) „ებრ" თანდებულიანი ფორმა („ებრ" დართულია ფუძეზე): პირუტყუებრი 134 rb; ებრაელებრი 83 ra; ანგელოზებრი 89 rb; ჩჩულებრი 78 va; -ებრ გავრცობილია -ივ ელემენტის დართვით: ანგელოზებრივი 99 ra; მონებრივი 148 va; პირუტყუებრივი 135 ra; გეხვდება ობრ-იც: კაცობრიეი 78 va; ცუდადმზუაობრება 151 vb.

დ) „მიერ" თანდებულიანი ფორმა: წმიდათამიერი 78 ra; სარკუმელთამიერი 101 va; თქუმისამიერი 83 rb; მზისამიერი 83 ra.

ე) „გან" თანდებულიანი ფორმა (მსგავსი წარმოება მეტად პროდუქტიულია): ბრწყინვალებათაგანი 143 vb; ცნობილთაგანი 143 vb; ასოთაგანი 91 va; ცხოვნებადთაგანნი 164 ra; მიწისაგანი 85 vb; ქუეყანისაგანი 86 rb.

საწარმოებელ ფუძედ აღებულია მოქმ. ბრუნვაზე „გან" დართული ფორმაც: პირველითგანად 90 ra; 149 va.

ჩვენს ძეგლში დასტურდება ნაწარმოებ სახელთა თითქმის ყველა შინაარსობლივი ჯგუფი, რაც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში[44].

ა) ქონების სუფიქსებად გამოყენებული -იან, -იერ, -ოვან, -ეან, -ოსან. ყველაზე პროდუქტიულია -ოვან.

-იერ: სულიერი 104 va; ზომიერი 162 va; ნიეთიერი 80 rb; გონიერი 104 va; სიტყუერი 81 vb.

-ოვან: კეთროვანი 79 ra; ლეღოვანი 106 va; ჩრდილოვანი 94 ra; მაღალვარჯოვანი 156 va; მწუანვილოვანი 84 va; ნერგოვანი 128 vb (პარალელურად: „გესლიანი" 100 rb).

---

42 აკ. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 117.

43 ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1955, გვ. 755.

44 აკ. შანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 210-148.

-ევან: მწიკულევანი 78 va; ნაკლულევანი 162 ra; სახარულევანი 82 vb.

-ოსან; პატიოსანი 73 rb; 146 vb.

-ნარ მცენარეთა ჯგუფისა: ხილნარი 127 vb; მტილნარი 145 vb.

ბ) უქონლობის უ-ო: უსხეულო 159 va; უღელეო 89 ra; უწესო 154 va; უგზო 109 vb; უპატიო 113 vb.

გ) წარმომავლობის: ადამიანთა სადაურობის —ელ (უმთავრესად ძველი და ახალი აღთქმის წიგნებით ცნობილი გეოგრაფიული სახელებიდან): ჰრომაელი 82 ra; გალაადელი 162 rb; ეფესელი 123 rb; კორინთელი 119 va; იერუსალიმელი 82 rb; ბაბილოვნელი 82 rb.

-ულ: არეულად 162 rb; ტევნეულ 150 vb; ჭირვეული 162 ra; მოძღურეული 164 ra.

დ) დანიშნულების სა-უ: სასანთლე 81 va; სავენაკე 84 rb; საქორწინე 77 ra.

სა-ო: საშმაკოჲ 87 ra; სამეუფო 159 rb; საუფლო 149 vb; სამხატვრო 78 rb.

ე) ხელობის სახელებიდან: მე-ე: მეფსალმუნე 147 va; მენაკე (კომპოზიტში „მენაკეთმოძღუარი“) 140 va, მენელსაცხებლე 106 rb.

ვ) განსაკუთრებით ფართოა აბსტრაქტულ სახელთა ხმარების არე, რაც ძეგლის ხასიათითაა გაპირობებული (აფიქსები: სი-ე, -ობა, -ება).

სი-ე: სიწმიდე 89 rb; სიმარტივე 76 rb, სიმკნე 151 ra, სიუცბე 93 vb; სინოტიე 103 ra; სიკსუე 118 va; სიქველე 83 rb.

სი-ო: სიჩჩო 76 rb; სიწდო 90 va; სიტკბო („სიტკბოება“-ში, 157 ra).

-ება დაერთვის როგორც არსებით, ისე ზედსართავ, როგორც ძირეულ, ისე ნაწარმოებ სახელებს. ხშირია განყენებულ მნიშვნელობათა წარმოება -ელ, -ულ სუფიქსიანი მიმღეობებიდან: მეუღლება 75 vb; კაცება 102 va; მონება 160 va; ხატოვნება 83ra; ფეროვნება 149 vb; პაეროვნება 93 ra; გარდმატებულება 105 ra; დაფარულება 105 ra; -ება-ს პარალელური სუფიქსია -ობა: მწირობა 87 va; ფილოსოფოსობა 91 va; ნოტიობა 137 vb.

განსაკუთრებით ჭარბობს მისი გამოყენება უარყოფითი შინაარსის მიმღეობებთან: უვნებელობა 150 ra; მოუკსენებელობა 77 vb; შეურევნელობა და შეუწყნარებლობა 153 vb; უშფოთველობა 93 rb; უტყუველობა 115 rb.

ზ) ხარისხის სახელები: შედარებითი ხარისხის საწარმოებლად ტექსტში გვხვდება უ-ეს პრეფიქს-სუფიქსი. ძველი ქართულისათვის ნორმად მიღებული უ-მს ჩვენს ხელნაწერს უკვე აღარ მოეპოვება.

უპატიოსნეს 85 vb; უცხადეს 86 ra; ხშირად ნაწარმოებია ხარისხი მიმღეობებიდან: უმჯობეს და უსაწადელეს 147 vb; უგანცხადებულეს 156 ra.

ამრიგად, წმ. გიორგი მთაწმიდლის მიერ გამოყენებულია ქართული ენის თითქმის ყველა სიტყვაწარმოებითი საშუალება; განსაკუთრებით ხშირად მიმართავს იგი აბსტრაქტულ სახელთა წარმოებას, რაც ძეგლის ხასიათით აიხსნება.

4. მთაწმიდლისეული თარგმანის ლექსიკა განსაკუთრებით მდიდარია კომპოზიტებით.

თარგმანის კომპოზიტების საკითხი გულისხმობს, ერთი მხრივ, შემადგენელი ნაწილების ფორმისა და შინაარსის შესწავლას, ხოლო, მეორე მხრივ, მათი მიმართების გარკვევას დედნის კომპოზიტებისადმი.

შემადგენელი ელემენტების რაობისა და ფორმის მხრივ თარგმანების ქართულ თარგმანში დადასტურებულია ყველა ის ჯგუფი, რაც ცნობილია სპეციალურ ლიტერატურაში[45].

ჩვენ საკითხის მეორე მხარე გვაინტერესებს.

ქართული და ბერძნული ტექსტების საფუძველზე ცხადი გახდა, რომ თარგმანში გამოყენებული კომპოზიტები ლექსიკურ-სემასიოლოგიური თვალსაზრისით, როგორც მთლიანად, ისე შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობის მხრივ, სრულ შესაბამისობაშია ბერძნულთან (და ზოგი არა მარტო ბერძნულთან, მაგრამ ამ უკანასკნელის წარმოჩენა ჩვენს მიზანს არ შეადგენს)[46].

თარგმანის სიზუსტისა და ზედმიწევნილობის მისაღწევად წმ. გიორგი მთაწმიდელი ცდილობს დაებეჭდოს ბერძნული კომპოზიტის ზუსტი შესატყვისი (მაგალითები იმისა, რომ კომპოზიტი მარტივი სიტყვით იყოს გადმოცემული და პირიქით, შედარებით მცირეა). ამ მიზნით იგი მოხერხებულად იყენებს ქართული ენის მდიდარ მარაგში არსებულ კომპოზიტებს და, იმავდროულად, ქმნის ახალსაც. ქართულისათვის უჩვეულო კომპოზიტების ხმარების გამომწვევი მიზეზიც სწორედ ეს მისწრაფებაა.

„განმარტების" ქართულ ტექსტში აღნაგობითა და შინაარსით ბერძნულთან საერთო ასზე მეტი კომპოზიტი დაიძებნა. ჩვენთვის უფრო საინტერესოა ჯგუფი იმ კომპოზიტებისა, რომელნიც მოწმობენ ბერძნული დედნის გაელენას ან იშვიათი ხმარებისა არიან.

მატყლმცენარე

„თარგმანებაში" წმ. გრიგოლ ნოსელი წერს:

„Ἀλλὰ καὶ γυμνῷ τῷ ὀδόντι κατὰ φύσιν ὄντι εἰς σύγκρισιν τὸ ἐρειοφοροῦν οὐκ εὐά-ρμοστον" 925 B_{3-5}.

ნაწყვეტი მოტანილია „ქება ქებათას" იმ მუხლის განმარტებიდან, სადაც სძლის კბილები შედარებულია „მორისულთა არვეს".

ქართულ თარგმანში ვკითხულობთ:

---

45 აკ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 156-163, ე. მრევლიშვილი, კომპოზიტები ქართულ ენაში, თსუ შრომები, 67, 1957, გვ. 165-180.

46 კომპოზიტებს ქართულში ბერძნულსა და სომხურთან ურთიერთობაში ვრცლად ეხება თ. ყაუხჩიშვილი ნაშრომში: „კომპოზიტები ძველ ქართულში", თსუ შრომები, 49, 1952, გვ. 59-90.

„და კუალად კბილნი ბუნებით შიშუელ არიან და მატყლმცენარეთა უმარჯუ შესატყუებელად“ 117 rb.

ἐρειοφορεῖν ნიშნავს „მატყლის ქონას“, „ტარებას“, „მატყლიანობას“ (იგულისხმება ცხვარი). წმ. გიორგი მთაწმიდელი ბერძნულ კომპოზიტს თარგმნის დანაწევრებულად, შემადგენელი ნაწილების მიხედვით: ἐρεῖον — მატყლი, φοσοῦν — ტარება. „მატყლმცენარე“ ἐρειοφοροῦν-ის ზუსტი შესატყვისია.

სოფლისმოყუარე

ორიგინალშია: „Φασίν ἐπιμελείαν εἶναι τοῖς φιλοκόσμοις τῶν γυναικῶν“ 825 D_{6-7}.

თარგმანში: „იტყჳან, ვითარმედ ესევითარი მოსწრაფებაჲ აქუს სოფლისმოყუარეთა დედათა“ 91 va.

φιλόκοσμος „მორთულობის, სამკაულების მოყვარულს“ აღნიშნავს. ლათინურ თარგმანში შეესაბამება ornandi cupidis. ბერძნული კომპოზიტის მეორე წევრი κόσμος არის: 1. სამყარო, მსოფლიო და 2. სამკაული. ქართულში პირველი მნიშვნელობითაა თარგმნილი, თუმცა „სოფლისმოყუარეში“ ზოგადად მეორე მნიშვნელობის გააზრებაც შეიძლება. ასეა თუ ისე, „სოფლისმოყუარე“ ამ შემთხვევაში ბერძნულის კალკია (კომპონენტთა გადაადგილებით).

ქართულისათვის უჩვეულოდ მიჩნეული კომპოზიტი „მაღლადმეტყუელება“, რომელსაც ს. ყაუხჩიშვილი ეხება გამოკვლევაში გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფის“ ქართული თარგმანის შესახებ[47], დასტურდება ჩვენს ძეგლშიც.

„...καὶ δι' ἁπάσης τῆς τοιαύτης μεγαληγορίας πελαγίζων τῷ λογῷ“ 1004 B_{9-10}.

„და ყოველსავე ესევითარისა მაღლადმეტყუელებისა მოძღურებითა მჭაელოდა“ 137 vb.

ადამიანის დამამცირებელი და სულის მავნებელი თვისებების აღსანიშნავად ძეგლში მოიპოვება მრავალი აბსტრაქტული სიტყვა, რომელთა უმეტესობა კომპოზიტია. ქართულშიც ისინი გადმოცემულია კომპოზიტებით (განყენებულობის -ება სუფიქსის დართვით).

ასე მაგალითად, საკმართმოყუარება — სიხარბე ფულისადმი, ანგარება — ზუსტი თარგმანია ბერძნული φιλοχρηματία-სი.

ძეგლში ლაპარაკია იუდაზე, რომელმაც გაყიდა ქრისტე და „საკმართმოყუარებისა მღიერი არა განიყარა“ 154 ra.

ბერძნულ ტექსტში შესაბამის ადგილას არის:

„...τὴν τῆς φιλοχρηματίας λέπραν οὐκ ἀπεξύσατο“ 1069 D_{3-4}.

---

47 ს. ყაუხჩიშვილი, ხრონოგრაფი გიორგი ამარტოლისაჲ, ნაწ. II, გამოკვლევა, თბილისი, 1926.

იგიეე უნდა ითქვას „შეძინებისმოყუარების" შესახებაც, რაც შეესატყვისება ბერძნულ φιλοκερδία-ს (ლათ. avaratia).

„Πάντως δὲ πρόδηλα πᾶσιν ἐστιν ὅσα μὴ περιαιρεθέντα τῆς χειρὸς τῷ κάλλει λυμα-ίνεται, οἷον τὸ ἀνθρωπαρέσκον, τὸ φιλόδοξον, τὸ φιλοκερδία" B_{10-12}.

თარგმანში: „და ესე ცხად არს ყოველთა, თუ რაოდენი ნიეთი მიუღებს შუენიერებასა, უკუეთუ არა განიყაროს კელთა, ესე იგი არს კაცთმოთნებაჲ, შეძინებისმოყუარებაჲ, დიდებისმოყუარებაჲ" 153 vb.

აქ ერთ წინადადებაში სამი კომპოზიტია და სამივე კალკის სახით გადმოდის ქართულ თარგმანში, რაც თვალნათლივ გვიჩვენებს წმ. გიორგი მთაწმიდლის დამოკიდებულებას დედნის კომპოზიტებისადმი.

„ხრონოგრაფის" ქართული თარგმანის „მეტისმეტყუელება" გვხვდება ჩვენს ძეგლშიც. წმ. გიორგი მთაწმიდელი მას ხმარობს ზმნის ფორმით „მეტის-მეტყუელებს" (103 rb) ბერძნული ματαιολογίαν-ს (873 C_4) – „ფუჭსიტყუაობის" გადმოსაცემად.

ადიშის ოთხთავში დადასტურებული ბერძნიზმი „ყოველთასა მას სადგურსა"[48] მეორდება ჩვენს ძეგლშიც:

„...και ετὶ τοῦ ἰδίου ἄρας ὑποζυγίου, καὶ τῷ πανδοχείῳ ἐναναπαύσας" 1085 A_{10-11}.

„და თჳსსა კარაულსა აღსუა იგი და ყოველთა სადგურსა შინა განუსუენა" 157 rb.

კონსტრუქციითა და შინაარსით ზედმიწევნით თანხვდება ბერძნულს რთული, ე.წ. კომპოზიტი ზმნებიც.

ორიგინალშია: „...λύσας τὰς ὠδῖνας τοῦ θανάτου, καὶ πᾶσι τὸν ἐκ νεκρῶν τόκον ὁδοποιήσας διὰ τῆς ἀνα-στάσεως" 1053 C_{12-13}.

თარგმანში: „... დაჰსნნა სალმობანი სიკუდილისანი და ყოველთავე სიკუდილით აღმოშობასა აღდგომისა მიერ გზა-უყო" 150 rb.

ἰδοποιέω ნიშნავს „გზის ჩვენებას"; მთაწმიდელმა მას ზუსტი ბადალი მოუძებნა ὁδο(ς) – გზა, ποιῶ – ეჰყოფ.

„გუამოან-ყოფა", რომელსაც წმ. გიორგი მთაწმიდელი ხმარობს „აგების", „შეერთების", „გამოსახვის" მნიშვნელობით, ზუსტი თარგმანია ბერძნული σωματοποιέω-სი.

ორიგინალშია: „...ἐκεῖνό φημι τὸ βλεπόμενον, ὃ διὰ τῶν καθ' ἕκαστον μελῶν, τῶν συμπληρούντων τὴν Ἐκκλησίαν σωματοποιεῖ ὁ Ἀπόστολος" 1080 B_{8-11}.

ქართულ ტექსტში: „ხოლო მას ვიტყჳ ხილულსა, რომელთა ასოთა მიერ, სრულმყოფელთა ეკლესიისათა, გუამოან-იქმს მოციქული" 156 ra.

---

48 ს. ყაუხჩიშვილი, ადიშის ხელნაწერის ბერძნიზმები, „ენიმკის მოამბე", XIV, გვ. 103.

კოლევ: „Σωματοποιήσας γάρ τὴν Ἐκκλησίαν ὁ λόγος εἰς τὸ τῆς νύμφης εἶδος“ 929 A_{15}.

„გუამოან-ყო ეკლესიაჲ სიტყუამან მსგავსებითა სძლისაჲთა“ 118 rb. Σωματοποιήσας 929 A_{15}.

მთარგმნელს ზუსტად გადმოაქვს ორიგინალის კომპოზიტის შინაარსი და ფორმა. σωματο – გუამოან, ποιεῖ – იქმს, ποιήσας – ყო.

საგულისხმოა ფორმაუცვლელსიტყვიანი კომპოზიტების ჩვენებაც. συμ წინსართი, როგორც ცნობილია, ბერძნულში ნიშნავს „ერთად“, ჩვენს ძეგლში კომპოზიტის შემადგენლობაში (სახელებსა და ზმნებში) ხშირად თარგმნილია თან თანდებულითი მნიშვნელობითაც, რაც შემდგომ ფართოდ გავრცელდა პეტრიწონის სალიტერატურო სკოლაში[49].

„...μᾶλλον ἑλόμενος συγκακουχεῖσθαι τῷ λαῷ τοῦ Θεοῦ 1025 B_6.

თარგმანშია: „...და უფროჲსღა აღირჩია თანაძურისხილვაჲ ერთსა თანა ღმრთისასა...“ 143 rb.

συγκακουχέω ნიშნავს „ერთად ტანჯვას“, „უბედურებას“; „თანაძურისხილვაჲ“ ბერძნულის დეტალური თარგმანია.

კომპოზიტების გადმოტანის თვალსაზრისით საინტერესოა συμ-μετεωρω-πορεῖν (ერთად მაღლა სვლა). ქართველმა მთარგმნელმა ერთ კომპოზიტში ვერ ჩაატია მისი სამივე ელემენტი, ამიტომ ორ სინონიმურ კომპოზიტად დაშალა: „თანამავალ იქმნა და თანაღმაღლებულ“ (122 va-vb).

სინონიმური წყვილითაა გადმოცემული სხვა კომპოზიტიც: συμ-πνέοντα – „თანა-ქროდის“ და „თანა-რბიოდის“ 132 rb.

σύμμορφος ნიშნავს „მსგავსს“, σύμμορφόομαι – „დამსგავსებას“. წმ. გიორგი მთაწმიდელმა მისი დანაწევრებული თარგმნით (συμ „ერთად“, μορφη – „სახე, ხატი“) შექმნა ზუსტი ქართული ბადალი.

„Οὐδεὶς δὲ γίνεται κοινωνὸς τῆν θεοῦ δόξης μὴ συμμορφύμενος πρότον τῷ ὁμοιώματι τοῦ θανάτου“ 976 C_{1-3}.

„ხოლო საღმრთოჲსა ღიდებისა ზიარ ვერვინ იქმნების, რომელი პირველ არა თანახატ-ექმნეს მსგავსებასა მას სიკუდილისა მისისასა“ 130 va.

ასევე: „συμμορφῶσθαι λέγει τῷ Χριστῷ“ 1093 D_3.

„სიკეთისა თანახატ-ქმნად ქრისტესა მოასწავებს“ 159 vb.

სხვა შემთხვევაში „თანახატ-ქმნა“ კალკია συσχηματισθὲν-ისა.

„...συσχηματισθὲν τῷ σώματι τῆς ταπεινώσεως ἡμῶν“ 1045 C_8.

„ხოლო დაბადებულად (ვიტყუთ) ჩუენისა მისთჳს ბუნებისა, რომელი ჩუენგან

---

49 კ. კეკელიძე. ქართული თარგმანი გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფისა, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თბილისი, გვ. 255. ს. ყაუხჩიშვილი, ხრონოგრაფი გიორგი ამარტოლისაჲ, ნაწ. II, გამოკვლევა, თბილისი, 1926.

მიიღო განკაცებისა მიერ და თანახატ-ექმნა ჴორცთა ამათ სიმდაბლისა ჩუენისათა“ 148 rb.

ბერძნულის ანალოგიითაა ნახმარი ფილოსოფიურ-თეოლოგიური შინაარსის სიტყვა „თანაჴორცი“, რაც ერთხორციობას, ერთიანობას აღნიშნავს:

„Γίνοντα μὲν γὰρ αἱ ψυχαὶ καὶ σύσσωμα τῷ λόγῳ“ 1112 C_{12}.

„...იქმნებიან სულნი ამათნიცა და მათნიცა თანაჴორც სიტყჳსა“ 164 ra.

συν — ერთად, თანა; σῶμα — სხეული, ხორცი.

აღნაგობით ბერძნულს ემთხვევა სხვა თანდებულისა თუ ზმნისართის შემცველი სიტყვებიც.

ἐπιγραφή, როგორც წესი, წმ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანში წარმოდგენილია „წარწერით“, მაგრამ ერთ შემთხვევაში მას შეესაბამება „ზედაწარწერილიც“. აქ ἐπί ცალკეა თარგმნილი.

„...τοῦτο παρὰ τῆς ἐπιγραφῆς ταύτης μανθάνομεν“ 773 C_{5-6}.

„...ესევითარსა ძალსა გუასწავებს ზედაწარწერილი ესე“ 78 ra.

ასევე კომპოზიტის სიტყვასიტყვითი თარგმანის ნიმუშია „ზეშთასოფლისაჲ“ ὑπερκόσμιος.

„...διεξῆλθη πᾶσαν ἐκείνην τὴν ὑπερκόσμιον πολιν 893 B_8.

„მოელო ყოველი იგი ზეშთასოფლისა ქალაქი“ 108 va.

προμνήστωρ ნიშნავს „მაჭანკალს“, „დამწინდებელს“. მთარგმნელმა მასში ცალკე გაიაზრა προ — წინსართის მნიშვნელობა და გადმოიტანა „წინაჲსწარდამწინდებელით“.

„...οἱ ἀγαθοὶ τῆς παρθένου προμνήστορες, πατριάρχαι τε καὶ προφῆται καὶ νομοθέται προσήγαγον τῇ μεμνηστευμένη τὰ θεῖα χαρίσματα“ 772 B_{13-15}.

„წინაჲსწარდამწინდებელთა ქალწულისათა მამათმთავართა, წინაწარმეტყუელთა და შჯულისმდებელთა წინაჲთვე მიუძღუანეს დაწინდებულსა მას მაღლნი საჩრთონი“ 77 rb.

[სხვათა შორის, აქ ზუსტ შესატყვისობაშია სხვა კომპოზიტებიც: მამათმთავარი, წინაწარმეტყუელი, შჯულისმდებელი — πατριάρχαί, προφῆται, νομοθέται].

მაშასადამე, „თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲს“ წმ. გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანში დადასტურებული კომპოზიტები კონსტრუქციითა და შინაარსით უმრავლეს შემთხვევაში ბერძნულის ზუსტი შესატყვისებია. ეს ფაქტი შეფასებული უნდა იქმნეს, როგორც ადექვატური თარგმანისადმი მიდრეკილების ბუნებრივი შედეგი.

დასკვნა: 1. წმ. გრიგოლ ნოსელის „თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲს“ ქართულ თარგმანში წარმოდგენილი კომენური ტექსტის შედარება „ქება ქებათას“ ძველ ქართულ ნუსხებთან ცხადყოფს, რომ თარგმანის პროცესში წმ. გიორგი მთაწმიდელი ითვალისწინებს და ეყრდნობა ძველი რედაქციების ჩვენებას, რაც მისი მთარგმნელობითი მეთოდის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია.

2. „თარგმანების“ მრავალფეროვანი ლექსიკური მასალიდან საყურადღებოა:

a) ბერძნულიდან შემოსული სიტყვები.

b) იშვიათად ხმარებული ან ჩვეულებრივისაგან განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვები (ზოგი მათგანი ძველის პარალელურად ახალი შინაარსით).

გ) ნაწარმოები და რთული სახელები, კომპოზიტები, რომლებიც კონსტრუქციისა და შინაარსის მხრივ ბერძნულ დედანზე დამოკიდებულებას ამჟღავნებენ.

ამ ლექსიკური მასალის კვლევა საინტერესოა როგორც ქართული ენის ისტორიის, ისე ბერძნულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისითაც.

ქებაჲ ქებათაჲ[1]

(კომენი)

თავი I

[75r] 2. ამბორს-მიყავნ მე ამბორის-ყოფითა პირისა მისისაჲთა, რამეთუ უმჯობეს არიან ძუძუნი შენნი უფროჲს ღუინისა.

3. და სულნელებაჲ ნელსაცხებელთა შენთაჲ უფროჲს ყოველთა სულნელებათა. ნელსაცხ[v]ებელ წარმოცარიელებულ — სახელი შენი. ამისთჳსცა ქალწულთა შეგიყუარეს შენ

4. და მიგიზიდეს შენ. შემდგომად შენსა სულნელებასა ნელსაცხებელთა შენთასა ერბიოდით. შეიყვანა მე მეფემან საუნჯესა თჳსსა. ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ შენდამი. შევიყუარნეთ ძუძუნი შენნი უფროჲს ღუინისა. სიწრფოებამან შეგიყუარა შენ.

[81r] 5. შავ ვარი მე და შუენიერ, ასულნო იერუსალჱმისანო, ვითარცა საყოფელნი კედარისანი და ვითარცა კარავი სოლომონისი.

6. ნუ მხედავთ მე, რამეთუ დაშავებულ ვარ, რამეთუ უგულებელს-მყო მე მზემან; ძენი დედისა ჩემისანი მლალვიდეს მე; დამადგინეს მე მცველად ვენაკისა. საკუთარსა ჩემსა არა დავიცევ.

7. მითხარ მე, რომელი შეგიყუარა სულმან ჩემმან, სადა ჰმწყსი, სადა დააწჳინნი შუასამხრის? ნუუკუე ვიქმნე მე, ვითარცა ვინ გარე-მოიცავნ კოლტსა სხჳსასა?

8. უკუეთუ არა იცნა თავი შენი, კეთილო დედათა შორის, განვედ შენ კუალსა სამწყსოთა შენთასა და დამწყსენ თიკანნი შენნი საყოფელსა მწყემსთასა.

[86v] 9. ჰუნესა ჩემსა ეტლთა შორის ფარაოჲსთა გამსგავსე შენ, მახლობელო ჩემო.

10. რაბამ განშუენდეს ღაწუნი შენნი, ვითარცა გურიტისანი; ყელი შენი, ვითარცა მძივი დაცუმული.

11. ქმნულებასა ოქროჲსასა გამსგავსოთ შენ და წულილად დასხმულსა ვეცხლსა.

12. ვიდრემდის მოასხნეს მას ქელნი მისნი მეფემან, ნარდიონმან ჩემმან გამოსცა სულნელებაჲ თჳსი.

13. შეკრული შტახსი — ძმისწული ჩემი ჩემდა — შორის ძუძუთა შენთა განისუენენ.

---

1 გამოცემაში „ქებაჲ ქებათაჲ“-ს ტექსტი წარმოდგენილია XII ს-ის ხელნაწერის, A 55-ის მიხედვით, რომელშიც წმ. გრიგოლ ნოსელის შრომის — „თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲ“ — თითოეულ თავს წინ უძღვის ამ თავში განმარტებული ტექსტი. ამდენად, „ქებაჲ ქებათაჲ“-ს წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს წმ. გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანს. ეს ტექსტი გ. კიკნაძემ ამოკრიფა თითოეული თავიდან და დაურთო წარმოდგენილ წერილს.

14. ტევანი გამობუტკოეის, ძმისწული ჩემი ჩემდა, შორის ვენაკოვანსა გადისასა.

[92v] 15. აჰა ეგერა, შუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო. აჰა ეგერა, შუენიერ ხარ. თუალნი შენნი ტრედ არიან.

16. აჰა ეგერა, კეთილ ხარ, ძმისწულო ჩემო, და შუენიერ; ცხედარსა ჩუენსა ზედა საგრილი.

17. მოსელნი სახლისა ჩუენისანი — ნაძუსანი და მენაკნი — საროჲსანი.

თავი II

1. მე — ყუავილი ველისაჲ და შროშანი ღელეთაჲ.

2. და ვითარცა შროშანი შორის ეკალთა, ესრეთ არს მახლობელი ჩემი შორის ასულთა.

3. ვითარცა ვაშლი შორის ხეთა მაღნარისათა, ესრეთ არს ძმისწული ჩემი შორის ძეთა. საგრილსა ქუეშე მისსა გულმან მითქუა და დავჯედ და ნაყოფი მისი ტკბილ არს სასასა ჩემსა.

4. შემიყვანეთ მე სახლსა ღუინისასა. განაწესეთ ჩემ ზედა სიყუარული.

5. დამამტკიცეთ მე ნელსაცხებელთა მიერ. გარე-მომასხთ მე ვაშლი, რამეთუ დაწყლულ ვარ მე სიყუარულითა.

6. მარცხენე მისი თავსა ჩემსა ზედა და მარჯუენემან მისმან შემიწყნაროს მე.

7. გაფუცებ თქუენ, ასულნო იერუსალჵმისანო, ძალთა და სიტმკიცეთა აგარაკისათა, უკუეთუ აღსდგეთ და განაღუძოთ სიყუარული, ვიდრემდისცა ინებოს.

[99r] 8. ჴმაჲ ძმისწულისა ჩემისაჲ! აჰა ესერა, ესე მოვალს ხლდომით მთათა ზედა და მორბის ბორცუთა ზედა.

9. მსგავს არს ძმისწული ჩემი ქურციკსა ანუ ნუკრსა ირმისასა მთათა ზედა ბეთელისათა. აჰა ესერა, ესე დგას უკუანა ზღუდესა ჩუენსა, და იხედავს სარკუმლით გამო და გარდამოხედავს არდაბაგთაჲთ.

10. მომიგებს ძმისწული ჩემი და მეტყჳს მე: აღდეგ, მოვედ, მახლობელო ჩემო, შუენიერო ჩემო, ტრედო ჩემო.

11. რამეთუ აჰა ესერა, ზამთარი წარკდა, წუმაჲ დასცხრა და წარვიდა გზასა თჳსსა.

12. და ყუავილი გამოჩნდა ქუეყანასა ჩუენსა. ჟამი სხლვისაჲ მოიწია. ჴმაჲ გურიტისაჲ ისმა ქუეყანასა ჩუენსა.

13. ლეღუმან გამოუტევა ყუავილი თჳსი. ვენაკნი ყუავიან, მოსცეს სულნელებაჲ თჳსი. აღდეგ, მოვედ, მახლობელო ჩემო, შუენიერო ჩემო, ტრედო ჩემო.

14. მოვედ თავით შენით, ტრედო ჩემო, საგრილსა ქუეშე კლდისასა, მახლობელად ზღუდისა. მიჩუენე მე პირი შენი და მასმინე მე ჴმაჲ შენი, რამეთუ ტკბილ არს ჴმაჲ შენი და პირი შენი შუენიერ.

15. მიპყრენით ჩუენ მელნი მცირენი, განმრყუნელნი ვენაკთანი, და ვენაკნი ჩუენნი ყუავიან.

16. ძმისწული ჩემი ჩემდა და მე — მისა, რომელი პმწყსი შროშანთა შორის.

17. ვიდრემდის წარკდეს დღე და მოდგენ აჩრდილნი, მოიქეც შენ და ემსგავსე შენ, ძმისწულო ჩემო, ქურციკსა ანუ ნუკრსა ირმისასა მთათა ზედა ღელოვანთა.

თავი III

[106r] 1. სარეცელთა ჩემთა ზედა ღამე ვეძიებდ, რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან. ვეძიებდ მას და არა ვპოვე იგი, ვხადოდე მას და არა კმა-მცა მე.

2. აღვდგე და მოვლო ქალაქი, სავაჭრონი და უბანნი და მოვიძიო, რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან; ვეძიებდ მას და არა ვპოვე იგი. ვხადოდე მას და არა კმა-მცა მე.

3. მპოვეს მე მცველთა, რომელნი მოპვლიდეს ქალაქსა. ნუუკუე იხილეთ-ა, რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან?

4. ვითარცა კნინ-ოდენ წარვლე მათგან, ვიდრემდის ვპოვე, რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან; შევიპყარ იგი და არა განუტევე იგი, ვიდრემდის შევიყვანე იგი სახლსა დედისა ჩემისასა და საუნჯეთა მშობელისა ჩემისათა.

5. გაფუცებ თქუენ, ასულნო იერუსალემისანო, ძალთა და სიმტკიცეთა აგარაკისათა, უკუეთუ აღადგინოთ და განაღუძოთ სიყუარული, ვიდრემდისცა ინებოს.

6. ვინ არს ესე, რომელი აღმოვალს უდაბნოჲთ, ვითარცა რტოჲ კუამლისა კუმეულისაჲ, მური და გუნდრუკი ყოველთაგან მტუერთა მენელსაცხებლეთაჲსა?

7. აჰა ესერა, ცხედარი სოლომონისი და სამეოცნი ძლიერნი გარემოჲს მისსა ძლიერთაგან ისრაჱლისათა.

8. ყოველთა უპყრიეს მახული, წურთილნი ბრძოლასა. კაცი და მახული მისი წელთა მისთა შიშისათჳს და განკრთომისა ღამესა შინა.

[112r] 9. გავალაკი იქმნა მეფემან სოლომონ ძელთაგან ლიბანისათა.

10. სუეტნი შექმნნა ვეცხლისანი და კაშარა დრეკილი მისი ოქროჲსაჲ. აღსავალი მისი — პორფირი, იატაკი მისი — ქვაფენილ, სიყუარული ასულთაგან იერუსალემისათა.

11. განვედით და იხილეთ, ასულნო სიონისანო, მეფე სოლომონ გურგუნითა მით, რომლითა გურგუნოსან-ყო იგი დედამან მისმან დღესა მას სიძეობისა მისისასა და დღესა სიხარულისა გულისა მისისასა.

1. აჰა ეგერა, შუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო, აჰა ეგერა, შუენიერ ხარ და თუალნი შენნი ტრედ არიან გარეშე დუმილისა მაგის შენისა. თმაჲ შენი, ვითარცა არვე თხათაჲ, რომელნი გამოჩნდეს გალაღით.

2. კბილნი შენნი, ვითარცა არვე მორისულთაჲ, რომელნი აღმოსდეს საბანელით. ყოველნივე ორთმსხმელნი და ბერწი არა არს მათ შორის.

3. ვითარცა საბელი ძოწეული, ბაგენი შენნი და სიტყუაჲ შენი შუენიერ. ვითარცა ნაჭურცენი მროწეულისაჲ, საკეთენი შენნი გარეშე დუმილისა მაგის შენისა.

4. ვითარცა გოდოლი დავითისი — ქედი შენი, რომელი-იგი აღშენებულ არს თალპიოთს. ათასი ფარი დამოკიდებულ მას ზედა და ყოველი ისარი ძლიერთაჲ.

5. ორნი ძუძუნი შენნი, ვითარცა ორნი თიკანნი მარჩბივნი ქურციკისანი, რომელნი ბოველ შორის შროშანთა.

6. ვიდრე დღისა შერიყურებადმდე და აჩრდილთა შეძრვად, მე თჳთ მივიდე მთასა მას მურისასა და ბორცუსა გუნდრუკისასა.

7. ყოვლადშუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო, და ბიწი არა არს შენ თანა.

[121r] 8. მოვედ, სძალო, ლიბანით, მოვედ ლიბანით. მოხუდე და წარმოჰველო დასაბამით სარწმუნოებისაჲთ თხემსა ზედა სანარისა და ერმონისასა, საყოფელთაგან ლომთაჲსა და მთათაგან ვეფხთაჲსა.

9. გუასურვე ჩუენ, დაო ჩუენო, სძალო, გული გუალმე ჩუენ ერთითა თუალთა შენთაჲთა და ერთითა მძივითა ყელისა შენისაჲთა.

[124v] 10. რაბამ განშუენდეს ძუძუნი შენნი უფროჲს ღუინისა, დაო ჩემო, სძალო, რაჲდენ განშუენდეს ძუძუნი შენნი ღუინისაგან და სული მიჰრონთა შენთაჲ უფროჲს ყოველთა ნელსაცხებელთა!

11. თაფლი დამოსწუთის ბაგეთა შენთა, სძალო, თაფლი, და სძე ქუეშე ენასა შენსა და სულნელებაჲ სამოსელთა შენთაჲ, ვითარცა სულნელებაჲ ლიბანისაჲ.

12. მტილი მოკრძალული არს დაჲ ჩემი, სძალი, მტილი დაქშული და წყაროჲ დაბეჭდული.

13. მოციქულებანი შენნი — სამოთხე მროწეულთა ნაყოფსა თანა ხილნარისასა, კუპრი ნარდიონითურთ.

14. ნარდიონი და ქურქუმაჲ, საკუმეველი ლერწმისაჲ და კინამოჲ ყოველთა თანა ხეთა ლიბანისათა; მური და ალოჲ ყოველთა თანა პირველთა ნელსაცხებელთა.

15. წყაროჲ მტილი და ჯურღმული წყლისა ცხოველისაჲ და მძაფრ მომავალისაჲ ლიბანით.

[131r] 16. აღდეგ, ჩრდილოო, და მოვედ, ბღუარო. მოჰბერე მტილსა ჩემსა და დიოდენ ნელსაცხებელნი ჩემნი. მთაქედნ ძმისწული ჩემი მტილსა თჳსსა და ჭამენ ნაყოფი ხილნართა თჳსთაჲ.

1. შეეედ მტილსა ჩემსა, დაო ჩემო, სძალო. მოვისთულე მური ჩემი ნელსაცხებლით ჩემითურთ. ეჭამე პური ჩემი თაფლითა ჩემითა. ესუ ღუნოჲ ჩემი სძითა ჩემითა. ჭამეთ, მოყუასნო ჩემნო, და სუთ და დაითრეენით, ძმისწულნო ჩემნო!

2. მე მძინავს და გული ჩემი მღუძარე არს. [135r] ქმაჲ ძმისწულისა ჩემისაჲ პრეკს კარსა: „განაღე, დაო ჩემო, მახლობელო ჩემო, ტრედო ჩემო, სრულო ჩემო, რამეთუ თაეი ჩემი აღივსო ცუარითა და თმანი ჩემნი — ცუართაგან ღამისათა“.

3. განვიძარცუე სამოსელი ჩემი, ვითარ-მე შევიმოსო იგი? დავიბანენ ფერუნი ჩემნი, ვითარ-მე შეეაგინნე იგი[ნი]?

4. ძმისწულმან ჩემმან მოყო ქელი მისი სარკუმლით გამო და მუცელი ჩემი აღიძრა მის ზედა.

[140v] 5. აღვდეგ მე განღებად ძმისწულისა ჩემისა. ქელთა ჩემთა დასწუთა მური, თითთა ჩემთა მური საესედ კართა ზედა საქშეელისათა.

6. განუღე მე ძმისწულსა ჩემსა. ძმისწული ჩემი წარვიდა და სული ჩემი განვიდა სიტყუასა მისსა თანა; ეძიებდ მას და არა ეპოეე იგი. უქმობდ მას და არა ქმამცა.

7. მპოეეს მე მკუმილთა, რომელნი მოპელიდეს ქალაქსა. მცეს და მწყლეს მე და განმძარცუეს სამოსელი ჩემი მცეელთა ზღუდისათა.

[146v] 8. გაფუცებ თქუენ, ასულნო იერუსალმისანო, ძალთა და სიმტკიცეთა აგარაკისათა, უკუეთუ სადა ჰპოოთ ძმისწული ჩემი, უთხართ მას, ვითარმედ წყლულ ვარ მე სიყუარულითა.

9. რაჲ არს ძმისწული შენი ძმისწულისაგან, შუენიერო დედათა შორისა? რაჲ არს ძმისწული შენი ძმისწულისაგან, რამეთუ ეგრეთ გუაფუცე ჩუენ?

10. ძმისწული ჩემი მწყაზარ და მწითურ, გამორჩეულ შობითგან ბევრეულთაგან.

11. თაეი მისი — ოქროჲსა ოფაზისაჲ; თხზული თმათა მისთაჲ, ვითარცა ჭედილი; შაე, ვითარცა ყორანი.

12. თუალნი მისნი, ვითარცა ტრედისანი საესებასა ზედა წყალთასა, განბანილნი სძითა, მჯდომარე საესებასა ზედა წყალთასა.

[152r] 13. ღაწუნი მისნი, ვითარცა ფიალნი ნელსაცხებელთანი, ფშუან სულნელებასა ნელსაცხებელთ მგბოლველთასა; ბაგენი მისნი — შროშან, დამომწთოლეარე მურისა საესედ.

14. ქელნი მისნი — ოქროჲსანი, წაბნაგებულ, აღესებულ თარშითა; მუცელი მისი, ვითარცა ფიცარი პილოჲსძულისაჲ, თუალსა ზედა საფიროვნსა.

15. წუენი მისნი — სუეტნი მარმარილოჲსანი, დაფუძნებულნი ხარისხსა ზედა ოქროჲსასა; ხილეაჲ მისი, ვითარცა ლიბანე რჩეული და ვითარცა ნაძუნი.

16. კორკი მისი — სიტკბოება და ყოელადსაწადელ. ესე არს ძმისწული ჩემი და ესე არს მახლობელი ჩემი, ასულნო იერუსალმისანო.

[157v] 17. ვიდრე წარვიდა ძმისწული შენი, შუენიერო დედათა შორის? ვიდრე მიიმართა ძმისწულმან შენმან და ვიძიოთ იგი შენ თანა?

თავი VI

1. ძმისწული ჩემი შთავიდა მტილსა თჳსსა წედთა მათ საკუმეველთასა მწყსად შორის მტილთა, დაკრებად შროშნისა.

2. მე — ძმისწულისა ჩემისა და ძმისწული ჩემი — ჩემდა, რომელი ჰმწყსი შორის შრომანთა.

3. კეთილ ხარ, მახლობელო ჩემო, ვითარცა სათნოებაჲ; შუენიერ, ვითარცა იერუსალემი; საკურველ, ვითარცა დაწესებულნი.

4. მიდრიკენ თუალნი შენნი წინაშე ჩემსა, რამეთუ ამათ ფრთოვან-მყვეს მე. თმაჲ შენი, ვითარცა სამწყსოჲ თხათაჲ, რომელნი გამოჩნდეს გალადით.

5. კბილნი შენნი, ვითარცა არვე მორისულთაჲ, რომელნი აღმოჴდეს საბანელით. ყოველნი ორთმსხმელ და ბერწი არა არს მათ შორის.

6. ვითარცა საბელი ძოწეული, ბაგენი შენნი, და სიტყუაჲ შენი შუენიერ; ვითარცა ნაჭურცენი მროწეულისაჲ საკეთენი შენნი, გარეშე დუმილისა მაგის შენისა.

7. სამეოც არიან დედოფალნი და ოთხმეოც — ხარჭნი და ქალწულნი, რომელთაჲ არა არს რიცხუ.

8. ერთ არს ტრედი ჩემი, სრული ჩემი. ერთ არს დედისა თჳსისა. რჩეულ არს მშობელისა თჳსისა.

II. წმ. გრიგოლ ნოსელის ნააზრევის ფილოლოგიური ასპექტებისათვის „თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲს“ წმ. გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანის მიხედვით

ქრისტიანული ეგზეგეტიკის ტრადიციების შესასწავლად წმ. გრიგოლ ნოსელის კომენტარებს „ქება ქებათას“ შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი სიბრძნისმეტყველება ცალკე მსჯელობის საგანია. ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა გრიგოლ ნოსელის ეგზეგეტიკური ნააზრევის ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ასპექტები „თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲს“ წმ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანის მიხედვით (Ath. 49, A 55, A 108, Q 1052). ეს ასპექტები გამოიკვეთება, თუ გავაანალიზებთ საღვთისმეტყველო კომენტარების თანმხლებ ცალკეულ შენიშვნებსა და გამონათქვამებს, რომლებიც შეეხება როგორც ბიბლიის ებრაული დედნისა და ბერძნული თარგმანის ურთიერთობას ზოგადად, ისე დედნისა და თარგმანის ცალკეულ ელემენტთა (კერძოდ კი, ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ ერთეულთა) მიმართებას.

1. წმ. გრიგოლ ნოსელის აზრით, თარგმანი დედნის ადეკვატური, დედანთან „შეწყობილი“ უნდა იყოს. მთარგმნელს მოეთხოვება „ებრაელთა ენისა სწავლულებაჲ“, ანუ სათარგმნი ენის ზუსტი ცოდნა. მისი ვალია, დედნის მონაცემებს გამოუძებნოს „შესწორებული... სიტყუაჲ ელინურად“. ეს „შესწორებული სიტყუაჲ“, ანუ ზუსტი შესატყვისი, მიიღწევა, თუკი მთარგმნელი ზედმიწევნით ფლობს სათარგმნ ენას და თარგმნის ხელოვნებას: „რამეთუ რომელთა-იგი გამოწულილეით იციან ებრაელთა ენისა სწავლულებაჲ, არარაჲ იპოვების ესევითარი, რომელიმცა შეუზაველ იყო“ (Ath 49, 162v).

შეუსაბამობა და სიზუსტის ნაკლებლობა, ტექსტის არასწორი გააზრება, „შერეულებაჲ სიტყუათაჲ“, ნოსელის აზრით, მიეწერება მთარგმნელის სისუსტესა და დაბალ კვალიფიკაციას: „უკუეთუ თარგმანებისაგან და შეწყობისა შეუნელებელ რაჲმე იყო და შეუზაველ, უძლურებასა თარგმანთასა მიეჩემენ“ (იქვე).

იმავდროულად, გრიგოლ ნოსელი ითვალისწინებს თარგმანის პროცესის სირთულესა და სიძნელეს ენათა სტრუქტურული („წესისა და შეწყობილების“) სხვაობის პირობებში. „შესწორებულ“ სიტყვათა ძიების სირთულით აიხსნება ლექსემათა უთარგმნელად გადმოღება („დაუტევეს თარგმანთა თუნიერ თარგმანებისა“), დედნიდან გადახვევა, აზრის გადასხვაფერება, „შერეულებაჲ სიტყუათაჲ (ἡ σύγχυσις): „ხოლო ვინაჲთგან წესი სიტყჳსა და ენისა ჩუენისაჲ არა შეუდგების ებრაელთა ენისა შეწყობილებასა, გამოწულილეით მითხრობისათჳს შერეულებასა რასმე სიტყუათასა შემოიღებს მეტყუელებასა შინა“ (162v). ასეთ შემთხვევაში, წმ. გრიგოლის აზრით, აუცილებელია გააზრებულ იქნეს სიღრმისეული მნიშვნელობა, „შემდგომებაჲ ძალისაჲ“.

2. გრიგოლ ნოსელის შენიშვნებს ზოგიერთი სიტყვის ისტორიისა და მნიშველო-

ბის შესახებ ღირებულება ენიჭება ბიბლიის, კერძოდ კი, „ქება ქებათას“ ბერძნული თარგმანის ტექსტის შესწავლისა და დადგენისათვის.

„ქება ქებათას“ თარგმანების კომენურ (განსამარტებელ) ტექსტს, სადაც დასტურდება სიტყვა Θαλπιώθ (4,12), სიტყვასიტყვით მისდევს გიორგი მთაწმიდლის თარგმანი: „ვითარცა გოდოლი დავითისი, ქედი შენი, რომელი-იგი აღშენებულ არს თალპიოთს“.

Θαλπιώθ სეპტუაგინტაში გააზრებულია გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებად და გადმოღებულია უცვლელად. ე. სოფოკლესის ლექსიკონის მიხედვით, Θαλπιώθ არის ὄπλα („საჭურველი“, „იარაღი“); მისივე დამოწმებით, ბიბლიის უმცროს მთარგმნელთაგან აქვილა ამ სიტყვას თარგმნის ლექსემით ἐπάλξεις (იხმარება მრ. რიცხვის ფორმით), ხოლო სიმაქოსთან მას შეესატყვისება ὕψη.

დასახელებულ ციტატაზე მსჯელობისას გრიგოლ ნოსელი იძლევა ლექსიკოლოგიური ღირებულების განმარტებას: Θαλπιὼθ γὰρ αἱ ἐπάλξεις κατονομάζονται (Gregory Nysseny, Opera, VI, 1960, გვ. 232) და იზიარებს აქვილასეული თარგმანის ჩვენებას, რომელსაც წმ. გიორგი მთაწმიდელი უფარდებს „საბრძოლს“: „თალპიოთ საბრძოლად გამოითარგმანების“. ამ მონაკვეთის დაფიქსირება Ath. 49-ში (179v) ხელნაწერს XI ს-ით ათარიღებს. „თალპიოთ“-ს იზიარებს მცხეთური ბიბლიის ხელნაწერიც. „ქება ქებათას“ სხვა ნუსხებში იკითხება სახეცვლილი ვარიანტები.

სეპტუაგინტას ტრადიციას, რომელსაც ეყრდნობა წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულების განსამარტებელი ტექსტი, იზიარებს გიორგი მთაწმიდელიც.

3. „ქება ქებათას“ Κεφαλὴ αὐτοῦ χρυσίον καὶ φαζ (5,11) განსხვავებულ იკითხვისებს იძლევა ბერძნულ ხელნაწერში. ო. ლემის ცნობით, ალექსანდრიულ ხელნაწერშია καὶ φαζ, სინურში – κεφάζ, ვატიკანურში – φαζξ, vat. 336-ში ωφάζ (O. Lemm, Kleine koptische Studien, 1907, გვ. 141). წმ. გრიგოლ ნოსელის საანალიზო თხზულების გამოცემაში (op. cit. გვ. 390) დასტურდება κεφάζ, ავტორი აქ ხედავს ლექსემის უთარგმნელად გადმოცემის ნიშუშს და იძლევა სიტყვის მნიშვნელობის ახსნას: „სიტყუაჲ ესე ებრაული არს და მოასწავებს ოქროსა ბრწყინვალესა და ყოვლისავე შერევნისაგან უცხოსა, ხოლო დაუტევეს თარგმანთა თუნიერ თარგმანებისა, რამეთუ არა იპოვა შესწორებული სიტყუაჲ მისი ელინურად“ (Ath. 49, 202r).

κεφάζ მიღებულია καὶ φαζ-იდან καί კავშირის ფუძისეულად მიჩნევისა და κε-დ წაკითხვის გამო და შეესაბამება ებრ. o fäz-ს (ე. სოფოკლესი, პრ. აჭარიანი). ეს o fäz გადმოდის უთარგმნელად ὠφάζ-ის სახითაც. მას ამ სახით იცნობს და განმარტავს იპოლიტე რომაელი დანიელის წიგნის კომენტარებში (PG, X, გვ. 657): „ოფაზი წმინდა ოქროს აღნიშნავს. ის ელინურში ებრაულიდან არის გადმოტანილი“.

ო. ლემი „ოფაზს“ მიიჩნევს გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებად (op. cit, გვ. 139). ამ აზრისაა ნ. მარიც: Золото из Уфаза (TP, IV, 1902, გვ. 169).

„ოფაზს“ მხარს უჭერს ოშკური „ქებაჲ ქებათაჲ“, A 65-ში დადასტურებულია „კიფაზი“, ვენის ნაც. ბიბლიოთეკის № 4-ში – „მოფაზი“, ბაქარის ბიბლიაში –

„ოქროს რჩეული“.

ქართული მთარგმნელობითი ტრადიცია მხარს უჭერს „ოფაზს“, იგი დასტურდება იობის (28,16), დანიელის (10,5) და იერემიას (A 1108, 10, 9) წიგნებში.

წმ. გიორგი მთაწმიდელის თარგმანის შემცველი ხელნაწერებიდან A 55-სა და A 108-ში იკითხება ქართული მთარგმნელობითი ტრადიციისათვის ნიშანდობლივი „ოფაზი“, Ath. 49 და Q 1052-ში გვხვდება „უფაზი“.

სახასთვის „ოფაზი“ ცნობილია „ქება ქებათას“ მიხედვით, ხოლო განმარტების წყარო უნდა იყოს წმ. გიორგი მთაწმიდლის საანალიზო თარგმანი.

4. ცალკეულ სიტყვათა მნიშვნელობებზე მსჯელობისას წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ დამოწმებულია პარალელური ადგილები ბიბლიის სხვადასხვა წიგნიდან. ამით თავმოყრილია ლექსემათა ხმარების ნიმუშები საღვთო წერილის მიხედვით და სრულდება სამუშაო ლექსიკოლოგიურ სფეროშიც.

„ქება ქებათას“ ბერძნულ ტექსტში (5,14) დასტურდება სიტყვა Θαρσεῖς, რომელიც სათანადო შიშინა ბგერის (š) უქონლობის გამო სიგმით გადმოსცემს ებრ. taršiš-ს. ჰრ. აჭარიანის ლექსიკონის მიხედვით, „taršiš“ მომდინარეობს ესპანეთის ერთ-ერთი ქალაქის სახელწოდებიდან და აღნიშნავს ძვირფას ქვას. სირიულში უცვლელად არის გადასული, ქართული „თარში“ კი სირიულ-სომხურ გზაზე მიანიშნებს.

წმ. გრიგოლ ნოსელისთვის ეს სიტყვა პოლისემიურია: „ხოლო სიტყუაჲ იგი თარშისაჲ მრავალფერად მოიკსენების წერილთა მიერ და არა ერთსახედ იპოვების ძალი მისი“ (Ath. 49, 205r). ციტირებით და პარაფრაზით იგი იმოწმებს ბიბლიური წიგნების (იონა, ეზეკიელის წინასწარმეტყველება, ფსალმუნი) სათანადო ადგილებს.

წმ. გრიგოლ ნოსელი აღნიშნულ ლექსემას მოიხმარს გეოგრაფიული პუნქტის, ძვირფასი ქვის მნიშვნელობით და აღნიშნავს, რომ ამ სიტყვას იყენებენ ისინი, რომელთაც „გამოწულოლვით უწყიან ებრაელთა ენისა სახენი“ (იქვე).

როგორც განმარტების, ისე კომენური ტექსტის („კელნი მისნი ოქროჲსანი, აღსებულ თარშითა“) თარგმანში Θαρσι-ს ფარდია „თარში“, რაც დაფუძნებულია ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაზე.

5. წმ. გრიგოლ ნოსელის კომენტარებში აბსნილია შესიტყვება „ამალთიისა რქაჲ“ (Ἀμαλθείας κέρας), რომელიც გამოყენებულია სეპტუაგინტაში იობის მესამე ქალიშვილის სახელად (42,14). აქვილას თარგმანში მას შეესაბამება საკუთარი სახელი Καρναφουχ, სვიმაქოსთან – Καρναφουθ, სიროპეგზაპლაში – Ναφουκ (Septuaginta, vol. XI, 4 Iob, Göttingen, 1982).

შესიტყვების მნიშვნელობის გასახსნელად წმ. გრიგოლ ნოსელი იყენებს მითოლოგიურ სიუჟეტს კრეტაზე გახიზნული ზევსის გამომზრდელი თხის შესახებ: „ამალთიისა უწყებაჲ საწარმართოჲმან ზღაპარმან წარმოაჩინა, რომელი იყო თხაჲ და იქმნა გამომზრდელ ვიეთამე, ვითარცა ზღაპრობენ, როშლისა ერთი რქაჲ აღმოიფხურა და ღელისა მისგან აღმოფხურულისა აურაცხელთა კეთილთა აღმოდიოდა და ამისთჳს ეწოდა მას მხიარულებისა რქაჲ“ (Ath 49, 187r).

წმ. გრიგოლ ნოსელი ზეესს „კრეტელის“ (τοῦ Κρητός) სახელით მოიხსენიებს, ხოლო „კრეტელის“ შენაცვლებაში ნაცვალსახელით „ვითამე“ მჟღავნდება წმ. გიორგი მთაწმიდლის ანტიწარმართული განწყობილება.

საწარმართო მითების, „ზღაპართა რათმე გარეშეთა შემოღებაჲ“ გრიგოლ ნოსელის აზრით, წმიდა წერილის სიღრმეში ჩაწვდომას ემსახურება „ზღაპრის სიცბილის“ ჩამოშორების პირობით.

საანალიზო თხზულება საინტერესოა იმითაც, რომ აქ წარმოდგენილია იობის წიგნის ციტატა (42,14) წმ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანის სახით. ეს ციტატა დაუცავს მხოლოდ მცხეთურ და ბაქარისეულ ბიბლიებს, სადაც Ἀμαλθείας κέρας-ის შესატყვისია „მხიარულებისა რქაჲ“. წმ. გიორგი მთაწმიდელს ბიბლიურ ციტატაში გადმოაქვს „ამალთიისა რქაჲ“, სხვაგან კი გამოყენებული აქვს შესიტყვება „მხიარულებისა რქაჲ“, რაც, ერთი მხრივ, დედნისა და, მეორე მხრივ, ქართული მთარგმნელობითი ტრადიციების ერთგულებაზე მეტყველებს.

წმ. გრიგოლ ნოსელის ცალკეულ შენიშვნებს ბიბლიის ბერძნულ თარგმანსა და მის ლექსიკაზე, რაც ასახა ქართულ თარგმანშიც, მნიშვნელობა ენიჭება როგორც ბიბლიის ტექსტის ისტორიის, ისე წმ. გიორგი მთაწმიდლის მთარგმნელობითი მუშაობის შესასწავლად.

Abstract

(to two articles)

The present edition of Georgian translation of "The Commentary on the Song of Songs (Canticum Canticorum)" – the work by IV century great Byzantine father and theologian St. Gregory of Nyssa is based on three lists: A 55 (XI c), A 108 (XII-XIII cc), and Q 1052 (XVIII c). The translation is done by St. George the Athonite, XI century greatest church father and theologian.

The Georgian translation is preceded by two articles: "Kimen and Language of One Translation by St. George the Athonite" and "On Philological Aspects of St. Gregory of Nyssa's Thoughts". Both articles belong to the publisher of the text, the late scholar Gulnaz Kiknadze.

The first article – "Kimen and Language of One Tranlsation by St. George the Athonite" – tells that the Georgian translation of the explanatory text (till article 8 of chapter VI) of "The Song of Songs" inserted into St. Gregory of Nyssa's work is valuable source for research of St. George the Athonite's translation method and language peculiarities. Consequently, this translation is of greatest importance for the history of the Georgian literary language. With the aim of thorough studying of the mentioned issues in view, the text publisher compared St. George the Athonite's Georgian translation of "The Song of Songs" with all the existing old Georgian translations of the present Biblical book: 1) the text of the so-called Oshki, or Athos Bible (the year of 978) preserved on Mount Athos; 2) the text of XIII century List A 65; 3) the text of XVII century so-called Mtskheta Bible (A 51); and 4) the text of the so-called Moscow, or Bakar Bible (the year of 1743). St. George the Athonite's translation coincides with XVII century so-called Mtskheta Bible (A 51) text. Difference between them is only within minor variant readings. This condition enabled the scholar (G. Kiknadze) to make a conclusion that in translating the text of "The Song of Songs" St. George the Athonite had at his disposal that old Georgian translation of this Biblical book, which is also put in XVII century Mtskheta Bible (A 51). St. George the Athonite used this translation and to some extent made it closer to the Greek translation (we mean here text of "The Song of Songs" inserted into St. Gregory of Nyssa's work). This fact once more proved the observation existing in the scientific literature, according to which it was characteristic for St. George the Athonite's translating work to take old editions into consideration.

The present article discusses in detail the language of Georgian translation of St. Gregory of Nyssa's work – "The Commentary on the Song of Songs (Canticum Canticorum)" and the following important conclusions are made: 1) in many cases the words assimilated

through the literary relations or oral way from the Greek language in different terms and different times are brought into the translation in an unchanged form. Some Greek or Hebrew terms are explained and interpreted in the translation, which follows from the character of the work to be translated. The fact that the Greek or Hebrew words, put into the translation unchanged, are numerous is caused by the exegetic character of the literary monument – the toponyms and proper names are used in abundance; 2) in the Georgian translation of the work the translator uses many words of rare usage, a part of which are used with figurative meaning and to specify them the author of the article applies corresponding contexts of the Greek original; 3) one of the sources for lexical diversity of the Georgian translation is formed words. To form them St. George the Athonite uses nearly all the means of word formation of the Georgian language; 4) the language of the Georgian translation is rich in composite words. These composites, from the lexical-semasiological viewpoint, are in full compliance with corresponding compound words of the Greek language. It should also be mentioned that St. George the Athonite uses not only the composites already existing in Georgian, but forms new forms of composites as well.

In the second article in the preface to the Georgian translation: "On Philological Aspects of St. Gregory of Nyssa's Thought", the text publisher, relying upon separate comments and expressions inserted into or added to the text of commentaires by St. Gregory of Nyssa, analyzes some theoretical considerations of Gregory of Nyssa, the author of the commentaires. These commentaires and expressions concern both the relations of Hebrew original of the Bible and its Greek translation, on the whole, and reference of separate elements in the original and the translation (namely, of lexical and phraseological units). In St. Gregory of Nyssa's opinion, the translation should be maximum adequate to the original. So, the translator should have deep and thorough knowledge of Hebrew. He should find exact appropriate word to match all the words to be translated. In case such appropriate words exist, St. Gregory of Nyssa considers it possible to put them into the translation unchanged. St. Gregory of Nyssa has added to the text of "The Commentary" some such commentaires on history and meaning of any word, which are of great value for studying and determining the Greek text of "The Song of Songs". In some cases some words, put unchanged into the Georgian translation of the Biblical Book, become clear. Discussing the meanings of separate words St. Gregory of Nyssa validates parallel places from different books of the Bible. Therefore, great Byzantine theologian St. Gregory of Nyssa did work of lexicological character and accumulated in the Holy Script different samples of use of lexemes. The fact that St. George the Athonite translated these commentaires is of great value for both history of the Georgian translation of the Bible and study of his translating work.

ტექსტისათვის

I. ტექსტი ქვეყნდება სამი ნუსხის მიხედვით: 1) A 55 (XII ს. ლიტერი A); 2) A 108 (XII-XIII სს. ლიტერი B); 3) Q 1052 (XVIII ს. ლიტერი C).

II. ტექსტში ჩაროული ადგილები წმიდა წერილიდან ზუსტი ციტირების შემოხვევაში აკრეფილია დახრილი შრიფტით, ხოლო პარაფრაზირებისას – ჩვეულებრივით. სქოლიოში ვარსკვლავით (*) არის მითითებული ბიბლიის შესატყვისი ადგილი. ასევე დახრილი შრიფტით არის აკრეფილი თარგმანებაში ჩართული „ქება ქებათას“ განსამარტავი ადგილები. ერთი და იგივე ციტატის გამეორების შემთხვევაში ამ ბიბლიური წიგნიდან, რაც ხშირად ხდება, მხოლოდ პირველი დამოწმებისას არის მითითებული ბიბლიის შესატყვისი ადგილი.

III. გამოცემაში გამოყენებულ ნუსხათა ფარგლებში ერთი და იმავე სიტყვის განსხვავებული ფონეტიკურ-ორთოგრაფიული წაკითხვა მხოლოდ ერთხელ არის მითითებული, სქოლიოში ფრჩხილებში ჩასმული აღნიშვნით: „ყოველთვის“.

IV. ლექსიკის დონეზე არსებულ განსხვავებას სხვადასხვა ნუსხის წაკითხვებს შორის, რაც ძალზედ იშვიათია, დართული აქვს შესატყვისი ადგილი ბერძნული ორიგინალიდან, რათა ცხადი იყოს უპირატესობამინიჭებული წაკითხვის სისწორე. ვიყენებთ ბერძნული ტექსტის შემდეგ გამოცემას: S. N. P. Gregorii, Episcopi Nysseni, Commentarius in Canticum Canticorum, Accurante J. – P. Migne, Patrologiae Graecae, Tomus 44, Turnholti (Belgium), Typographi Brepols, Editores Pontificii, col. 755-1118.

[73vb] წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელ მთავარეპისკოპოსისა თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსა

მიუითუალე, ვითარცა შემსგავსებული პატიოსნისა ცხორებისა შენისა და უბიწოჲსა სულისა შენისა, ქებისა ქებათაჲსათჳს მოსწრაფებაჲ, რომლისათჳს-იგი პირისპირცა და წ[73va]იგნითაცა გუეუედრე ჩუენ, რაჲთა ურთიერთარს[1] შემსგავსებულითა თარგმანებითა გამოვაცხადოთ თქუმულთა მათ შინა დაფარული იგი სიბრძნისმეტყუელებაჲ და ადვილად საგონებელთა მათ სიტყუათა წარმოჩინებაჲ, მაღლისა მის და ღმრთივშუენიერისა ძალისა და გონებისა მათისა უკუდავებითა განბრწყინვებული და განწმედილი, საჩინოდ წარმოვადგინოთ.

ვინაჲცა წადიერად მივითუალე ამის პირისათჳს ზრუნვაჲ, არა თუ ვითარმცა შენ რაჲმე საკმარ-გეყო ამათგანი (რამეთუ მრწამს, ვითარმედ წმიდა არიან თუალნი გულისა შენისანი ყოელისაგან ვნებულისა და მწიკულეუანისა გონებისა და ღმრთივბრწყინვალისა მის მიმართ მადლისა საღმრთოთა მათ მიერ სიტყუათა დაუბრკოლებელად ხედვენ), არამედ რაჲთა კორციელთა ვიეთმე და ზრქელთა სარგებელი რაჲმე პოონ[2] სულიერისა და უნივთოჲსა ცხორებისაჲ, რომლისა მიმართ მიიყვანებს წიგნი ესე მის შორის დაფარულისა მის მიერ სიბრძნისა.[1•]

ხოლო ვინაჲთგან ვიეთმე ეკლესიისა შვილთა ჰგონიეს, თუ სიტყუანი წიგნთა საღმრთოთანი თჳნიერ მარტივთა და ადვილად განსაგონებელთაჲსა, რაოდენნიცა იგავით და სახისმეტყუელებით და მიფარულად ითქუმიან, არარაჲ სარგებელ გუეყოფის მათგან, საჭიროდ შემირაცხიეს, რაჲთა პირველად ესეითარისა მისთჳს მაბრალობელთა პასუხი განვსცეთ.

და რამეთუ არარაჲ არს საღმრთოთა წიგნთა შინა უქმ და ურგებ, უკუეთუ ჩუენ მოსწრაფე ვიქმნეთ ღმრთივსულიერთა წიგნთაგან ყოველით კერძო სარგებელისა მონადირებად: რაჲთა სიტყუანი, რომელნი ადვილ იყუნენ მათ შორის განსაგონებელად, განმზადებულად მოვის-

---

1 ურთიერთას B;

2 პოონ B;

1• აქ წყდება B ხელნაწერის ტექსტი;

თულებდეთ მათგან სარგებელსა დაუჭირველად, ხოლო უკუეთუ დაფარულ და უჩინო იყვნენ და იგავით და სახისმეტყუელებით თქუმულ და ძალი და სარგებელი მათი ძნელ იყოს განსა[73vb]გონებელად, არა შეჰვრაცხნეთ იგი უქმად, არამედ ეგევითართა მათ სიტყუათა გამოვეძიებდეთ და გულისკმა-ვჰყოფდეთ, ვითარცა გუასწავებენ ჩუენ სიტყუანი იგავთანი და გუბრძანებენ ცნობად და გულისკმის-ყოფად — ანუ თუ ვითარცა იგავსა, ანუ თუ ვითარცა ბნელსა სიტყუასა, ანუ თუ ვითარცა თქუმულსა ბრძენთასა, ანუ თუ ვითარცა ბუნებათა მეტყუელებასა, გინა იგავით შესატყუებელსა, გინა თუ სახისმეტყუელებასა, გინა თუ ვითარცა ვის უნდეს სახელისდებად, რამეთუ ჩუენ სახელთათჳს არარას ვზრუნავთ, ძალი ოდენ რაჲ და გულისკმის-ყოფაჲ მისი სარგებელსა მომატყუებდეს.

და რამეთუ დიდიცა მოციქული სულიერად უწესს შჯულსა[1•] და რაჟამს უვრცელესადრე წარმოიტყოდის სახელითა შჯულისაჲთა, მითხრობითა სიტყუათა იტყჳს და ვითარმედ ყოველივე ღმრთიესულიერი წიგნი შჯულ არს მათთჳს, რომელნი აღმოიკითხვიდენ და არა ხოლო თუ ცხადთა მცნებათა მიერ, არამედ მითხრობითთაცა უწყებათა ასწავებენ ცნობასა საიდუმლოთასა და უბიწოსა მოქალაქობასა, რომელნი გულისკმის-ყოფით აღმოიკითხვიდენ; და ვითარცა ჯერ-უჩნდეს, ეგრეთ იკუმევს მოთხრობასა მას, რამეთუ სარგებელსა ხედავს, ხოლო სახელთათჳს არას ზრუნავს, თუ ვითარ ჯერ-არს სახელისდებაჲ სახელსა მას მითხრობისასა.

არამედ ოდესმე იტყჳს ცვალებასა კმისასა, ეგულებოდის რაჲ შეცვალებაჲ უწყებისაჲ გულისკმის-ყოფად ორთა მათ შჯულთა განგებისა; და მერმე მოიკსენნა რაჲ ორნი ძენი აბრაჰამისნი, რომელნი ესხნეს მკევლისაგან და აზნაურისა[2•], გულისკმის-ყოფასა მათსა იგავად და სახისმეტყუელებად სახელ-სდებს და კუალად საქმენი რაჲ მითხრობითნი წარმოთქუნა, იტყჳს, ვითარმედ: *„სახედ და იგავად შეემთხუეოდა მათ, ხოლო დაიწერა ჩუენდა სამოძღურებელად“* [3•].

და კუალად თქუას რაჲ, ვითარმედ: *„არა დაუკრა პირი ჴარსა*

1• რომ. 7,14;
2• გალ. 4,22;
3• I კორ. 10,11;

მლეწ[74ra]ველსა“ [1•], შესძინებს და იტყჳს, ვითარმედ: „*არა თუ კარ-თაჲ რაჲმე ეურვებოდა ღმერთსა, არამედ ჩუენთჳს სამე დაიწერა*“[2•] და ოდესმე მცირედსა ცნობასა და მცირედსა გულისჴმის-ყოფასა სახედ და იგავად სახელ-სდებს. და კუალად კორციელთაგან სულიერად შეცვალე-
5 ბასა უფლისა მიმართ მოქცეულად იტყჳს და საბურველისა მოძარცუად უწჳსს.

და ამას ყოველსა და პირად-პირადსა სახესა და სახელსა და გონებითსა ხედვასა ზედა გუმოძღურის ჩუენ და გუასწავებს, რაჲთა არა წიგნსა და წერილთა ხოლო შეეჷქუსნეთ, ვითარცა მრავალსახედ
10 მავნებელსა სათნოდ ცხორებისასა მარტივად გულისჴმის-ყოფითა სახელთაჲთა, არამედ რაჲთა მივიცვალნეთ უნივთოთა და უხილავთა ხედვათა მიმართ და რაჲთა კორციელთა და ზრქელთა გონებათა სულიერად და საღმრთოდ გულისჴმა-ვჰყოფდეთ და სახედ მტუერისა ზრქელთა მათ და კორციელთა სიტყუათა განვიბერტყდეთ.
15 რამეთუ ამისთჳს გუასწავებს და იტყჳს, ვითარმედ: „*წიგნი მოაკუდინებს, ხოლო სული ცხოველ-ჰყოფს*“.[3•] ესე იგი არს, ვითარმედ უკუეთუ მარტივისა და შიშულისა სიტყჳსაებრ წერილთაჲსა გულისჴმა-ვჰყოფდეთ ძალსა საქმეთასა, არა კეთილისა ცხორებისა სახესა მოგუცემენ ჩუენ.
20 რამეთუ რაჲ სათნოებაჲ ასწავოს სიძჳსაგან შვილთსხმამან, ვითარცა წერილ არს ოსე წინაჲსწარმეტყუელისათჳს[4•], და ესაიაჲს შესლვამან წინაჲსწარმეტყუელისა, უკუეთუ სიტყუათამდინ ოდენ ვინ დაადგინოს ძალი თქუმულთაჲ მათ, ანუ თუ ვითარსა სათნოდ ცხორე-ბასა ასწავებს უწყებაჲ იგი დავითისი, რომელსა-იგი შინა მრუშებისა
25 და კაცისკლვისა ბილწებაჲ ერთბამად და ზოგებით შემოკრბეს.

ხოლო რაჟამს იპოვოს სიტყუაჲ, საქმეთა მათ წარმოთქუმისა უბრალოდ გამომაჩინებელი, მაშინ გამოჩნდეს ჭეშმარიტებაჲ სამოცი-ქულოჲსა მის სიტყჳსაჲ, ვითარმედ „წიგნი მოაკუდინებს“, ესე იგი არს, რამეთუ ბორო[74rb]ტთა საქმეთა სახესა მისცემს, ხოლო *სული*
30 *აცხოვნებს*,[5•] რამეთუ შესცვალებს უშუერსა მას და შესმენილსა გონე-

---

1• I ტიმ. 5,18;
2• I კორ. 9,9-10;
3• შდრ. II კორ. 3,6;
4• ოსე 1,2;
5• II კორ. 3,6;

ბასა საღმრთოდ და სრულად გულისკმის-ყოფად.

უწყით უკუე თჳთ თავადიცა იგი სიტყუაჲ, ყოველთაგან დაბადებულთა თაყუანისცემული, რაჟამს-იგი განკაცნა და გუასწავებდა ჩუენ საღმრთოთა საიდუმლოთა თავისა თჳსისათჳს; ესრეთ თქუა, ვითარმედ: *„ორისა კაცისაჲ წამებაჲ ჭეშმარიტ არს“*[1] და ვითარმედ: *„მე და მამაჲ ერთ ვართ“*[2] და *„რჳალისა იგი გუელი, ნაკბენთა ერისათა სალხინებელად უდაბნოს ამაღლებული“*,[3] ჯუარისა მიერ ჩუენთჳს აღსრულებადისა მის განგებულებისა სახედ მოიღო.

ხოლო წმიდათა მათ თჳსთა მოწაფეთა გულისკმის-ყოფასა უჩინოთა და დაფარულთა სიტყუათა მიერ წურთიდა და იგავთა და სახეთა და ბნელთა სიტყუათა და მოძღურებათა და სახისმეტყუელებათა წინაუყოფდა, რომელთა-იგი თჳსაგან გამოუთარგმანებდა და განუმარტებდა.

და რაჟამს ვერ გულისკმა-ყვიან თქუმულთა მათ ძალი, აბრალებნ მათ სიმძიმესა გონებათა მათთასა და უგულისკმოებასა; ვითარ-იგი ჰრქუა რაჲ კრძალვაჲ ცომისაგან ფარისეველთაჲსა და მათ ვერ გულისკმა-ყვეს, შეჰრისხნა მათ და ჰრქუა, ვითარმედ: *„არა გარქუ თქუენ კრძალვაჲ პურისაგან, არამედ მოძღურებისაგან“*,[4] რამეთუ ცომი სახედ მოძღურებისა მოიღო.[5]

და კუალად აწუევდეს რაჲ ჭამად, ჰრქუა მათ, ვითარმედ: *„მე ჭამადი მაქუს ჭამად, რომელი თქუენ არა იცით“*.[6] და იგინი რაჲ ჰგონებდეს, ვითარმედ: *„მო-თურე-ვინმე-ართუა ჭამადი?“*[7], გამოუთარგმანა სიტყუაჲ თჳსი და ჰრქუა, ვითარმედ: *„ჩემი ჭამადი ესე არს, რაჲთა აღვასრულო ნებაჲ მამისა ჩემისაჲ“*.[8]

და ესევითარნი ბევრეულნი სიტყუანი იპოვებიან სახარებასა შინა, რომელთა-იგი მარტჱი პირი სხუაჲ არს და გონებაჲ, რომლისა მიმართ ხედავს სიღრმე მისი, სხუაჲ არს [74va], ვითარ წყალი იგი, რომელი

1• ინ. 8,14;
2• ინ. 8,19;
3• ინ. 3,14;
4• მთ. 16,11;
5• აქედან გრძელდება B ხელნაწერის ტექსტი.
6• ინ. 4,32;
7• ინ. 4,33;
8• ინ. 4,34;

წყურიელთა აღუთქუა, რომლისა მიერ წყარო მდინარეთა იქმნებიან მორწმუნენი და პური, რომელი ზეცით გარდამოკდა, ტაძრისა დაკსნაჲ და მესამესა დღესა აღდგომაჲ და კარი და გზაჲ და ლოდი, მაშენებელთაგან შეურაცხ-ქმნილი და თავკიდეთა მოზავებული, და ორნი ცხედარსა ზედა ერთსა და წისქული და მფქველნი და წარტაცებული და დატევებული და მძორი და ორბები და ლეღჳ, რტოდაჩჩობილი — ესე ყოველი და სხუაჲ, რაოდენიცა არს ესევითარი, ამისთჳს თქუმულ არიან, რაჲთა გამოვეძიებდეთ ძალსა საღმრთოთა ბრძანებათასა და ვეკრძალებოდით საკითხავსა და რაჲთა გულსმოდგინედ და ყოვლითა გულითა გამოვიკულევდეთ, უკუეთუ სამე იპოვოს სიტყუაჲ მარტივისა პირისა უმაღლესი და უღრმესი, რომელი საღმრთოდ და უნივთოდ და ღმრთივბრწყინვალედ გულისკმის-ყოფად წარუმართებდეს გონებასა.

ვინაჲცა ამის პირისათჳს დაყენებულსა მას ხესა არცა ლეღუდ ვიტყჳთ, არცა სხუად რომლადმე ხედ, ვითარცა ვიეთმე თქუეს, რამეთუ უკუეთუმცა მაშინ სიკუდილშემოსილ ყოფილ იყო ლეღჳ, არცამცა აწ იჭმებოდა უეჭუელად.

და ამის თანა გჳსწავიეს უფლისაგან განჩინებით, ვითარმედ: *„არარაჲ არს პირით შემავალი, რომელიმცა შეაგინებდა კაცსა“*,[1] არამედ სხუასა რასმე გულისკმის-ყოფასა ვეძიებთ ამის შჯულისა წილ, შემსგავსებულსა შჯულისმდებელისა სიმაღლისასა.

დაღაცათუ გუესმის, ვითარმედ მუშაკობითა ღმრთისაჲთა დაენერგა სამოთხე იგი და გინა თუ ხე იგი ცხორებისაჲ შორის სამოთხისა, ვითხოვთ მისგან სწავლად, რომელმან-იგი გამოაცხადნის დაფარულნი საიდუმლონი, თუ რომელთა ნერგთა იქმნების მამაჲ მოქმედ და დამნერგველ, გინა თუ ვითარ შესა[74vb]ძლებელ არს, რაჲთამცა საშუვალ სამოთხისა იყვნეს ორნივე იგი ხენი ერთბამად, რომელ არს ცხორებისა და წარწყმედისაჲ.

რამეთუ გამოწულილვითი საშუვალი ესევითარი არს, რაჟამს კარაკინითა მოავლო მრგუალი წერტილი იგი კარაკინისაჲ, რომელი შიგნით კარაკინისა მიერ დაიწერტა, იგი არს საშუვალი. ხოლო უკუეთუ წერტილსა მას წარჰკდეს, რომელსაცა კერძსა უღონო არს თუნიერ სხჳსა მრგულისა მოვლებისა, უკუეთუმცა საშუვალად

1• მთ. 15-11;

იწოდაღა იგი.

და მუნ ერთი იყო სამოთხე, ვითარცა წერილ არს აწ უკუე ვითარ ეგების განთჳსებულთა ხეთა ორთავე საშუვალ სამოთხისა ყოფაჲ? და სიკუდილშემოსილისა მის ღმრთისა მუშაკობისაგან უცხო-ყოფასა გუასწავებს ჩუენ სიტყუაჲ იგი, რომელმან ყოველთავე საქმეთა ღმრთისათა კეთილ უწოდა და კეთილ ფრიად.

და ესე ყოველი უკუეთუ ვინ სიბრძნით არა გულისკმა-ყოს და პოვოს ჭეშმარიტებაჲ დაუდგრომელად, და ზღაპრად საგონებელ იქმნენ განუკრძალველთა მიერ ჭეშმარიტებისა სიტყუანი.

ხოლო უკუეთუ ყოველსავე წინაჲსწარმეტყუელთა თქუმულსა აღმოვიკულევდეთ, გრძელ იყოს ჩუენდა და შეუმსგავსებელ; გარნა რაჲთა მცირედთა ამათ სიტყუათა მიერ ყოვლისა მისთჳს გულისკმა-ვყოთ, მცირედთა შევსძინოთ და დავაცადოთ, თუ ვითარ იტყჳს მიქეა უკუანაჲსკნელთა დღეთა გამოჩინებად მთასა ღმრთისასა, წუერსა ზედა მთათასა[1•] დარღუევად ძალთა მათ წინააღმდგომთა სარწმუნოებისა მიერ.

და კუალად კმამაღალი ესაია იტყჳს, ვითარმედ: *„აღმოსცენდეს კუერთხი და ყუავილი ძირთაგან მისთა აღმოკდეს“*[2•] რამეთუ უფლისა ჴორცითა გამოჩინებასა ესრეთ სახელ-სდვა, ანუ შეყოფილსა მთასა, დავითის მიერ უწყებულსა, თუ ვითარი ძალი აქუს, ანუ თუ მარტივი სიტყუაჲ ვითარი არის, ანუ [75ra] თუ ბევრწილი იგი ეტლი[3•] და კრებული ზუარაკთაჲ, აღრეული დიაკეულთა შორის ერისათა, ანუ თუ სისხლითა შეღებული ფერჴი და ენანი ძაღლთანი და ჴბოჲ იგი ლიბანისაჲ, დაწულილებული ნაძუთა თანა ლიბანისათა.

და ესევითარი ბევრეული იპოვების საწინაჲსწარმეტყუელოთა შინა, რომელნი აჩუენებენ ღმრთიჲშუენიერსა მას ძალსა ცხადთა მათ სიტყუათა შინა დაფარულსა, რომელი-იგი, ვითარცა ვიეთმე სათნო-უჩნს[3], უკუეთუ ვინ განსძარცოს მათგან, ესევითარი სახე შეემთხუევის, ვითარმცა ვინ მჯაჲ იფქლისაჲ განულეწველი საზრდელად კაცთა დაუგო და არცამცა განლეწა და არცამცა[4] განანქრია და არცა ბზისაგან განყო

3 სათნუ-უჩნს B;

4 არცა B;

1• მიქ. 4,1;

2• ეს. 11,1;

3• ფსალ. 67,16;

იფქლი[1]* და არცა დაფქვა და არცა შეაცხო, ვითარცა არს წესი პურისაჲ.

რამეთუ ვითარცა განულეწველი მჯაჲ პირუტყუთაჲ არს საზრდელი და არა კაცთაჲ, ეგრეთვე ღმრთივსულიერნი სიტყუანი, უკუეთუ წულილადთა ზედვათა მიერ არა დაწულილდენ და შეცხვენ და შეინელნენ, პირუტყუთა საზრდელ არიან უფროჲსღა, ვიდრეცა პირმეტყუელთა, არა ხოლო თუ ძუელისა შჯულისანი,[5] არამედ ახლისანიცა და უფროჲსღა სახარებისა მოძღურებანი. ესე იგი არს ნიჩაბი, განმწმედელი კალოჲსაჲ და განრჩევაჲ იფქლისაჲ და დაწუვაჲ ბზისაჲ და ცეცხლი უშრეტი და კეთილი იგი საუნჯე და ნაყოფიერი იგი და ხენეში ხე და ზარი იგი ცულისაჲ, რომელი უთქუამს მოკუეთასა და კაცთა ბუნებად შეცვალებადნი იგი ქვანი.

ესე მოვწერე[6] შენისა გონიერებისა მათთჳს, რომელნი-იგი საღმრთოთა სიტყუათა შინა მარტივისა პირისა უმეტესსა რასმე გულისკმისყოფასა[7] ძიებად არაჳის აწუევენ.

ხოლო რამეთუ ორიგენი მოსწრაფებაჲ აჩუენა ამის წიგნისათჳს [75rb] და ჩუენ შრომისა ჩუენისა აღწერად გულს-ვიდგინეთ, ნუჳინ გუაბრალებს, არამედ სიტყუაჲ იგი სამოციქულოჲ გულისკმა-ყავნ, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„თითოეულმან სასყიდელი მოიღოს თჳსისაებრ შრომისა“*;[2]* რამეთუ ჩუენ არა[8] თუ საჩუენებელად ვისსამე[9] აღვსწერთ თქუმულთა ამათ, არამედ სახილველად მხოლოჲსა ღმრთისა, რომელი-იგი არს მომცემელი სიტყჳსაჲ.

ხოლო ვინაჲთგან უმრაელესნი ამათ თქუმულთანი ეკლესიასა[10] შინა ითქუნეს ჩუენ მიერ და ვიეთმე ჩუენ თანა მყოფთა სწაულისმოყუარეთა აღწერნეს სიმიაჲთა,[11] აღწერილი იგი მათი მოვიღეთ და რომელი

---

5 სჯულისანი C (ყოველთჳს);
6 მოვსწერე C;
7 გულისხმის-ყოფასა C (ყოველთჳს);
8 არიაჲ A;
9 ვისმე C;
10 ეკკლესიასა C (ყოველთჳს);
11 სიმაჲთა BC;

1* აქედან იწყება ტექსტი C ხელნაწერში;
2* I კორ. 3,8;

ნუსხათა მათ შინა შეწყობილად მიეიდოდა, მიერ აღწერეთ[12] და სხუაჲ, რომელი საჭირო იყო შეძინებად, თავით თჳსით შევსძინეთ და სახითა სწაულისაჲთა[13] შემდგომითი შემდგომად მითხრობაჲ მათი კელვყავთ და საჩინოთა სიტყუათა მიერ დაფარულებაჲ იგი თქუმულთაჲ მათ გამოვაცხადეთ, ვითარ-იგი ჟამმან და საქმემან ამის პირისათჳს მოცალებაჲ მომცა ჩუენ დღეთა შინა წმიდათა მარხვათასა; რამეთუ სიტყუათა ამათ ძალი სასმენელთა მიმართ ერისათა ამათ დღეთა შინა სასწრაფო იქმნა ჩუენდა მითხრობად.

ხოლო უკუეთუ მომცნეს ჩუენ ჟამნი ცხორებისანი[14] და მშჳდობაჲ და მყუდროებაჲ ცხორებისა საუნჯემან ქრისტემან, ნეშტისა[15] მისცა კელ-ვყოთ[16] აღწერად, რამეთუ აწ ვიდრე ნახევრადმდე წარმოკდა ძალი სიტყჳსა ჩუენისაჲ სადიდებელად უფლისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.[1*]

12 აღჳსწერეთ C;

13 სწაულათაჲთა BC;

14 ცხოვრებისანი C (ყოველთჳის);

15 ნაშთისა C;

16 კელ-ვჰყოთ C;

1* მინაწერი: წმიდაო ღმერთშემოსილო გრიგოლი, გამიმარჯუე! A.;

ⴍⴑⴕⴄ I

ქებისა ქებათაჲსაჲ

თარგმანებული წმიდისა გრიგოლ ნოსელისაჲ

ქებაჲ ქებათაჲ

1,2. ამბორს-მიყავნ მე ამბორის-ყოფითა პირისა მისისაჲთა, რამეთუ უმჯობეს არიან ძუძუნი შენნი უფრო[ჲს] ღუინისა.

1,3. და სულნელებაჲ[1] ნელსაცხებელთა შენთაჲ უფროჲს ყოველთა სულნელებათა. ნელსაცხე[75va]ბელ წარმოცარიელებულ — სახელი შენი. ამისთჳსცა ქალწულთა შეგიყუარეს შენ და მიგიზიდეს შენ.

1,4. შემდგომად შენსა სულნელებასა ნელსაცხებელთა შენთასა ვრბიოდით. შემიყვანა მე მეუფემან საუნჯესა თჳსსა. ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ შენდამი. შევიყუარნეთ ძუძუნი შენნი უფროჲს ღუინისა. სიწრფოებამან შეგიყუარა შენ.

თარგმანი[2]: რაოდენთა,[3] სიტყჳსაებრ მოციქულისა, ძუელი იგი კაცი, ვითარცა მწიკულევანი სამოსელი,[4] განგიძრცუეს[5] საქმით და გულისთქუმით მისითურთ და ბრწყინვალე უფლისა სამოსელი, ვითარ-იგი ფერისცვალებასა თჳსსა მთასა ზედა აჩუენა, უბიწოჲსა ცხორებისა მიერ შეგიმოსიეს, უფროჲსღა რომელთა თჳთ იგი თავადი უფალი ჩუენი იესუ ქრისტე წმიდისა მის სამოსლისა მისისა თანა შეგიმოსიეს და საღმრთოდ უვნებელობად შეცვალებულ ხართ, თქუენ ისმინეთ საიდუმლოჲ ქებისა ქებათაჲსაჲ, თქუენ შემოველით შინაგან უხრწნელისა მის სასძლოჲსა, განსპეტაკებულნი და განათლებულნი უბიწოჲთა და წმიდითა გონებითა.

და ნუმცა ვის აქუს კორციელი და ვნებული გულისსიტყუაჲ, შეუმსგავსებელი საღმრთოჲსა მის ქორწილისაჲ, და უშუერი სამოსელი გონებისაჲ, რაჲთა არა შეიკრას თჳსითა[6] გულისზრახვითა და უხრ-

---

1 სურნელებაჲ B (ყოველთჳს); სუნნელება C (ყოველთჳს);

2 განმარტება C;

3 რაჲოდენთა B რაჲდენთა C;

4 სამოსესენი C;

5 განგიძურციეს B;

6 თჳსი C;

წნელთა მათ მიერ კმათა სიძისა და სძლისათა[7] პირუტყულთა და მწიკულევანთა ვნებათა მწურესა შთავარდეს და ბილწთა და არაწმიდათა და საძაგელთა გულისზრახვათა მიერ უცნებანი და ხატნი ბოროტნი გამოწერნეს[8] გონებასა შინა თჳსსა და ესრეთ ბრწყინვალეთა[9] მათგან საქორწინეთა გარე-განითხიოს და ბნელსა მას გარესკნელსა განიკადოს და ნაცვალად სასძლოჲსა სიხარულისა ტირილი და [75vb] ღრჭენაჲ კბილთაჲ დაესაჯოს.

ამას უკუე გიწამებ წინაშე ღმრთისა, რამეთუ მეგულების მე შეხებად ქებისა ქებათაჲსა საიდუმლოთა ხედვათა, რამეთუ მას შინა აღწერილთა სიღრმეთა მიერ სახედ სძლისა შეიმკვების სული და უკორცოსა მას და უსხეულოსა და სულიერსა და ყოვლადწმიდასა საღმრთოჲსა მეუღლებისა[10] პატივსა აღვალს, რამეთუ[11] რომელსა-იგი ჰნებავს ყოველთა ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ,[1•] ამის მიერ სრულსა მას და ნეტარსა ცხორებისა სახესა წარმოაჩინებს აქა, რომელ არს სიყუარული.

რამეთუ ვიეთნიმე შიშისაგანცა მიემთხუევიან ცხორებასა, რაჟამს თქუმათა მათ გეჰენიისა სატანჯველთასა განიცდიდენ და ზარისაგან მათისა ბოროტთაგან უცხო-იქმნებოდინ. და კუალად სხუანი არიან, რომელნი ღმრთისმსახურებით ცხორებულთათჳს განმზადებულთა მათ კეთილთა და სასყიდელთა სასოებით[12] წარჰმართებენ არა სიყუარულისა კეთილითა, არამედ მოლოდებითა სასყიდლისაჲთა.[13]

ხოლო სული, რომელი სისრულედ აღიწიოს, გარე-განსდევნის შიშსა, რამეთუ მონებრივი არს ესევითარი სიყუარული, რაჟამს არა სიყუარულისათჳს ჰმონებდეს უფალსა თჳსსა, არამედ შიშისათჳს გუემათაჲსა არა ივლტოდის მისგან. და კუალად უგულებელს-ჰყოფს სასყიდელსაცა, რაჲთა არა სასყიდელი უპატიოსნეს შეჰრაცხოს[14] მომცემელისა მის

---

7 სრულისათა C;
8 გამოწერნის C;
9 ბრწყინვალებათა C;
10 მეუღლობისა C;
11 და C;
12 სასოებითა C;
13 სასყიდელისაჲთა B;
14 შერაცხოს C;

1• ტიმ. 2,4;

ნიჭთაჲსა, ხოლო უყუარს ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა არა სხჳსა რაჲსამე მის მიერ ქმნილისათჳს, არამედ თჳთ იგი, რომელი-იგი არს წყაროჲ კეთილთაჲ.

აწ უკუე, რომელი-იგი გჳწოდს ჩუენ თჳსა ზიარებად, ამას შჯულსა დასდებს სულსა შინა მორჩილთა თჳსთასა და ამას სიყუარულსა განუწესებს. ხოლო რომელი დაამტკიცებს ამას შჯულისდებასა, იგი სოლომონ არს, რომელსა სიბრძნესა, საღმრთოჲსა წამებისაებრ, რიცხჳ და საზღვარი არა [76ra] აქუს, რომელი-იგი ყოველთავე ყოფილთა და ყოფადთა სწორებით და შეუტყუებელად წარჰკლა,[15] რომელსა არარაჲ არსთაგან შესცილდა, არცა რაჲ დაუშთა უცნაურად.

ნუუკუე ჰგონებდე, ვითარმედ ბერსაბეს შობილსა სოლომონს ვიტყჳ, რომელმან-იგი სიდონელი[16] იგი ზორვისა მის უჯეროჲსა მოძღურად იკუმია და ზიარებითა ცოდვისაჲთა განიხრწნა მის თანა.

სხუაჲ არს იგი სოლომონ, რომელი ამის მიერ მოესწავების.

სხუაჲ არს იგი, რომელი-იგიცა თესლისაგან დავითისა იშვა კორციელად, რომელსა ეწოდების მშჯდობაჲ, რომელი-იგი არს ჭეშმარიტი მეუფე ისრაჱლისაჲ[17] და აღმაშენებელი ტაძრისა ღმრთისაჲ, რომელსაიგი შემოუკრებიეს ყოველივე მეცნიერებაჲ და რომლისა-იგი სიბრძნე უსაზღვრო არს და უფროჲსღა, რომელი-იგი თავადი თჳთ არს სიბრძნე და ჭეშმარიტებაჲ, და რომელსა-იგი შუენის ყოველივე ღმრთივშუენიერი მოგონებაჲ და სახელი; რამეთუ მან სოლომონ ორღანოდ იკუმია და გუზრახავს ჩუენ მისმიერითა კმითა და სიტყჳთა პირველად უკუე იგავთა მიერ და მერმე — ეკლესიასტისა[18] და აწ — წინამდებარისა ამის ქებისა ქებათაჲსა სიბრძნითა, რომელთა წესითა და სახითა შემდგომითი შემდგომად[19] სიტყუათა მიერ თჳსთა უსრულესსა გზასა გუჩუენებს ჩუენ.

რამეთუ ვითარცა-იგი კორციელსა ამას ცხორებასა შინა ყოველი ჰასაკი ყოველსავე ბუნებისა საქმესა ვერ დაიტევს, არცა განყოფილებასა ჰასაკთასა სწორებით მოეზავების ცხორებაჲ ესე, რამეთუ თუ ვერცა ჩჩული სრულისა საქმეთა აღასრულებს, არცა სრული წიაღთა

15 წარკლა C;
16 სიდონიელი C;
17 მეფე ისრაილისა C;
18 ეკლესასტისა A;
19 შემდგომითა შემდგომად C;

მპოხელისათა იგრკუნვის, არამედ თითოეულისა[20] ჰასაკისა ჟამთა შემსგავსებულად სხუაჲ და სხუაჲ რაჲმე წესი და საქმე მოეზავების და განეკუთვნის, ეგრეთვე შემსგავს[76rb]ბულად კორციელთა ჰასაკთაჲსა იხილვებიან საქმენიცა სულისანი, რომელთა მიერ იპოვების წესი და განგებაჲ, სათნოდ ცხორებისა მიმართ კაცთა მიმყვანებელი. და ამის პირისათჳს სხუებრ გუმოძღურიან იგავნი და სხუებრ გუასწავებს ეკლესიასტე.[21] და ქებისა ქებათაჲსა ფილოსოფოსობაჲ უმაღლესთა მოძღურებათა მიერ ორთავე აღმატებულ არს.

რამეთუ იგავთა მოძღურებაჲ წუთღა ჩჩულთა მიმართ წარმოაჩინებს თჳსთა სიტყუათა და შემსგავსებულად ჰასაკისა განუწესებს შჯულისდებასა[22] და იტყჳს, ვითარმედ: *„ისმინენ,[23] შვილო, შჯულნი მამისა შენისანი და ნუ განეშორები[24] წესთა დედისათა შენისათა“*.[1*]

ხედავ-ა თქუმულთა ამათგან წუთღა სიჩჩოსა და სიმარტივესა სულიერისა ჰასაკისასა? რამეთუ ჯერეთ წესთა დედისათა და შჯულისდებასა მამულსა მოქენე არს ხედვად და რაჲთა უმკურვალესად ერჩდეს მშობელთა ჩჩული იგი, ყრმებრივთა სამკაულთა აღუთქუამს მას მოგებად მოსწრაფედ სწავლულებისა მიერ, რამეთუ მანიაკი ოქროჲსაჲ ყრმათაჲ არს სამკაული, განმაშუენებელი ქედისაჲ და ყუავილთა რათმე მაღლისათა მიერ შეთხზული გჳრგჳნი.

და გულისკმის-ყოფაჲ ჯერ-არს ძალსა მას იგავისასა, რამეთუ ამისთჳს იტყჳს ამას, რაჲთა წარუძღუეს უმჯობესისა მიმართ და ესრეთ გამოუსახოს მას სიბრძნე პირად-პირადად და მრავალსახედ და გამოუთქუმელისა მის სიკეთისა შუენიერებასა უთარგმნის, რაჲთა არა შიშისა მიერ და იძულებისა, არამედ გულისთქუმით და სურვილით ზიარებად კეთილთა აღაღგინოს.

რამეთუ გამოსახვაჲ იგი სიკეთისაჲ გულისთქუმასა მას ჭაბუკთასა მოიზიდავს წინა-დაგებულისა მის შუენიერებისა ზიარებად და სურვილსა აღატყინებს.

---

20 თუთოჲსა B;

21 ეკკლესიასტე C (ყოველთჳს);

22 ჰსჯულისდებასა C;

23 ისმინე BC;

24 განიშორებ B;

1* იგავ. 1,8;

რაჲთა გულისთ[76va]ქუმაჲ მისი უფროჲს აღემატოს და შეიცვალოს ნივთიერთა სიყუარულისაგან უნივთოთა სიყუარულად, განაშუენებს უკუე შესხმისა მიერ სიბრძნისა სიკეთესა. და არა ხოლო თუ სიკეთესა შუენიერებისასა სიტყუათა თჳსთა მიერ წინაჲსწარ უჩუენებს, არამედ სიმდიდრესაცა მისსა აღრიცხუაჲს,[25] რომელსა უკუეთუ შეეყოს, ყოვლისაჲვე უფალ[26] იქმნეს.

და სიმდიდრე იგი მისი წუთღა სამკაულთა შინა იხილვების, და მარჯუენე სამკაულ მისა არიან ყოველნი საუკუნენი, რამეთუ იტყჳს: სიგრძე ჟამთაჲ და წელნი ცხორებისანი მარჯუენით მისა,[27] ხოლო მეორესა კელსა მისსა სათნოებათა მრავალსასყიდლისა სიმდიდრე ჰმოსიეს,[28] ბრწყინვალებითა დიდებისაჲთა განბრწყინებული, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: მარცხენესა მისსა დიდებაჲ და პატივი.

და მერმე პირისაცა მისისა იტყჳს სურნელებასა სიმართლისა ნელსაცხებელთა შუენიერებისა აღმომაცენებელად, ვითარმედ პირისა მისისაგან გამოვალს სიმართლე.

და ბაგეთა მისთათჳს იტყჳს ბუნებითისა მეწამულობისა წილ შჯულისა და წყალობისა ყუაჲილოვნებასა.

და რაჲთა ყოველივე შუენიერებაჲ შემოკრებულად იხილვოს[29] ესევითარისა მის სძლისა სიკეთესა შინა, აქებს სლვასაცა მისსა და იტყჳს, ვითარმედ: გზათა სიმართლისათა ვალს იგი. და არა დააკლებს ქებისა შუენიერებისაგან სიმაღლესა მისსა და სიდიდესა სწორად ხისა რაჲსმე[30] მაღლისა და საწადელისა აღმატებულსა.[31]

და ხე იგი, რომლისა სიმაღლესა ამსგავსებს, ხედ ცხორებისად უწესს მას, რომელი-იგი საზრდელ ექმნების შემტკბობელთა მისთა.

ხოლო სუეტად და სიმტკიცედ უძრავად და შეურყეველად უფალსა გულისკმა-ვჰყოფ, რამეთუ იგი არს ცხორებაჲ და სიმტკიცე. ხოლო სიტყუაჲ იგი ესე არს, ვითარმედ: ხე ცხორების არს ყოველთათჳს, რომელნი შეევედრნენ მას [76vb] და რომელნი მიეყრდნენ მას, ვი-

---

25 აღრიცხუს A;
26 უფალი C;
27 მისსა C;
28 მოსიეს C;
29 იხილოს C;
30 რასამე C;
31 აღმაღლებულსა C;

თარცა უფლისა მიმართ უცთომელი შეერთების უკუე და მოიკსენების ყოველთა მათ შემკობათა მისთა თანა და ძალიცა, რაჲთა ყოველთავე კეთილთა მიერ აღსავსე იქმნეს შესხმაჲ იგი სიბრძნისაჲ და სიკეთე. რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: ღმერთმან სიბრძნითა თჳსითა დააფუძნა[32] ქუეყანაჲ და განჰმზადნა ცანი გონიერებითა და თითოეულად შემდგომითი შემდგომად დაბადებულთა სიბრძნისა ძლიერებასა განუკუთნავს მრავალფერთა გულისკმის-ყოფათა მიერ; რამეთუ მასვე სიბრძნედცა უწესს და გონიერებადცა და ცნობად და გულისკმის-ყოფად და მეცნიერებად და რაოდენიცა არს ესევითარი.

და მერმე ეზოჲსმოძღურებად იწყებს ჭაბუკისა ესევითარისა მეუღლებისა მიმართ და შეერთებისა და უბრძანებს, რაჲთა საღმრთოსა მას სასძლოსა განიცდიდეს, რამეთუ ეტყჳს, ვითარმედ: *„ნუ დაუტევებ მას და გერჩდეს შენ, ეტრფიალე მას და დაგიცავს შენ, და გარე-მოიზღუდე იგი და აგამაღლოს შენ. პატივ-ეც მას, რაჲთა შეგიტკბოს შენ, რაჲთა მოსცეს[33] თავსა შენსა გჳრგჳნი მადლისაჲ და გჳრგჳნითა ფუფუნებისაჲთა შეგეწიოს შენ“!*[1•]

და ამათ რაჲ გჳრგჳნთა მიერ, ვითარცა სიძე, საქორწინედ შეამკო იგი, უბრძანებს მას, რაჲთა განუყოფელ იყოს მისგან და იტყჳს, ვითარმედ: *„რაჟამს ჴუდოდი, თანა-წარიყვანე იგი და შენ თანა იყაენ და უკუეთუ დაიძინო, გცევდინ შენ, რაჲთა აღ-რაჲ-სდგე, შენ თანა იტყოდის“*[2•]

ამათ და ესევითართა მიერ სიჩჩოებაჲ შინაგანისა კაცისაჲ კეთილისა გულისთქუმად აღატყინა და თჳთ თავისა თჳსისათჳს მითხრობითა უფროჲსღა და უმეტეს სიყუარულისა მიმართ [77ra] აღაგზნა. და სხუათა მათ თანა ესეცა აუწყა და თქუა, ვითარმედ: *„მე მოყუარენი ჩემნი მიყუარან“*[3•] რამეთუ შეყუარებისა წილ შეყუარებისა სასოებაჲ ტრფიალისა მის სიყუარულსა უფროჲსად აღაგზნებს.

და ესრეთ სხუანიცა იგი ზრახვანი აზრახნა ამათ თანა განჩინებულითა რაჲთმე და შუენიერითა მოძღურებითა და უსრულესისა წესისა მიმართ აღიყვანა იგი. და მერმე, დასასრულსა იგავთასა, ჰნატრა ამას

---

32 დააფუძნა A;
33 მოჰსცე C;

1• იგავ. 4,6-9;
2• იგავ. 4,12,16;
3• იგავ. 8,17;

კეთილსა მეულღებასა, რომელსა შინა წარმოთქუა შესხმაჲ იგი მკნისა მის დედაკაცისაჲ.

და მერმე შესძინა ფილოსოფოსობაჲ იგი ეკლესიასტისაჲ, რამეთუ იგავთა მიერ კმასაყოფელი გულისთქუმაჲ აღეტყინა სათნოებათა მიმართ, ხოლო ამას შინა ხილულთა ამათ მიმართ სიყუარულსა კაცთასა შეასმენს და ამაოდ უწესს ყოველსავე დაუდგრომელსა და წარმავალსა და ყოველსავე საცნობელთა მიერ მისაწდომელსა გულისთქუმასა და აღძრვასა სულისა ჩუენისასა მისცვალებს უხილავთა მათ შუენიერებათა სურვილად.

და ესრეთ განწმიდა რაჲ გული ხილულთა ამათ სიყუარულისაგან, მერმე ქებისა მიერ ქებათაჲსა შინაგან საღმრთოთა[34] შეუვალთა ასწავებს გონებასა დაფარულთა საიდუმლოთა, რომელთა შინა საჩინოდ გამოსახული სული არს საქორწინისა სასძლოსაჲ, ხოლო უხილავად — კაცობრივისა სულისაჲ ღმრთისა მიმართ შეზავებაჲ.

ამისთჳსცა, რომელსა აქა სძლად უწესს, იგავთა შინა შე(ი)ლად სახელ-სდებს და სიბრძნესა სიძისა წესსა მისცვალებს, რაჲთა დაეწინდოს ღმერთსა სული და სიძისა მიერ ქალწულად წმიდად გამოჩნდეს და შეყოფითა უფლისაჲთა იქმნეს მის თანა ერთსულ უკუდავითა მით და უხრწნელითა შეზა[77rb]ვებითა და კორცთა ამათ წილ ზრქელთა და მძიმეთა იქმნეს გონება მხილველ ღმრთისა, წმიდა და უბიწო.

და ვინაჲთგან სიბრძნე არს, რომელი იტყჳს, ვითარმედ: შეიყუარე, რაოდენცა ძალ-გიც, ყოვლითა გულითა და ძალითა შენითა და რაოდენიცა გულისთქუმაჲ ეტეოდის სულსა შენსა; ხოლო სიტყუათა ამათ მინდობითა ამასცა შევსძინებ, ვითარმედ: „ეტრფიალეცა მას“. რამეთუ უბრალო არს ტრფიალებაჲ ესე და უვნებელ, ვითარცა იტყჳს სიბრძნე იგავთა შინა და ამის მიერ საღმრთოჲსა შუენიერებისა ტრფიალებად აღგძრავს.

და კუალად წინამდებარეცა ესე წიგნი მასვე პირსა გიბრძანებს და არა შიშუელსა განზრახვასა შემოიღებს ამისთჳს, არამედ გამოუთქუმელთა გულისჴმის-ყოფათა მიერ სიბრძნის-მეტყუელებს და ხატსა რასმე გულისსათქუმელთაგან ამის ცხორებისათა მოძღურებათა ამათ შესამკობელად აღგიმართებს.

ხოლო ხატი იგი არს ქორწინებისა წესთაგან შემზადებული, რომლისა

34 სამღთოთა C;

სიკეთესა გულისთქუმაჲ შუვამდგომელ[35] ექმნების სურვილსა. და არა სიძე ჰყოფს დასაბამსა გულისთქუმისასა კაცობრივისა ჩუეულებისაებრ, არამედ უსწრობს სიძესა ქალწული და ურცხჳნელად საანჯმნო-ჰყოფს[36] გულისთქუმასა თჳსსა და სალოცველად მიითუალავს ამბორის-ყოფასა სიძისასა. ვინაჲთგან წმიდათა მათ და კეთილთა წინაჲსწარდამწინ- 5
დებელთა ქალწულისათა მამათმთავართა, წინაჲსწარმეტყუელთა და შჯულისმდებელთა[37] წინაჲთვე მიუძღუანნეს დაწინდებულსა მას მაძლნი საღმრთონი, რომელსა-იგი ედნად სახელ-ედების, ესე იგი არს, ნიჭი წინდობისაჲ, რომელ არს შენდობაჲ შეცოდებათაჲ, მოუკსენებლობაჲ ძჯრთაჲ, ბრალთა უჩინო-ყოფაჲ, შეცვალებაჲ ბუნებისაჲ, 10
განხრწნილთა უხრწნელებაჲ, სამოთხისა ფუფუნებაჲ, სასუფეველისა პატიჟი და დაუს[77va]რულებელი სიხარული.

ესე უკუე საღმრთონი ნიჭნი შეიწყნარნა ქალწულმან კეთილთა მათ მიერ ძღუნისმომღებელთა, რომელთა საწინაჲსწარმეტყუელოჲს მოძღურებისა მიერ მოართუეს მას ნიჭი იგი, და აღიარებს გულისთქუმასა[38] 15
თჳსსა და აღიარებს სურვილსა თჳსსა და მიისწრაფის მაძლისა მის, რაჲთა შუენიერებითა მით სასურველისაჲთა ადრე განიშუას.

ხოლო ესმის მისი თჳსთა ვიეთმე და მოჰასაკეთა მისთა ქალწულთა, რომელნი-იგი უმეტესად გულისთქუმად[39] აღსძრვენ ქალწულსა მას და სძალსა წმიდასა. 20

მოვალს უკუე და სიძეცა გულითადთა ვიეთმე საყუარელთა და მეგობართა თჳსთა კრებულსა თანა, რომელნი-იგი არიან სულნი მსახურნი ღმრთისანი, რომელთა მიერ კაცნი ცხონდებიან,[40] ანუ თუ წინაჲსწარმეტყუელნი წმიდანი, რომელთაჲ-იგი ესმოდა კმაჲ სიძისაჲ და იხარებენ და იშუებენ უკუდავისა მისთჳს მეუღლებისა და შეერთებისა, 25
რომლისა მიერ *„სული იგი, უფლისადა[41] შეყოფილი, ერთსულ იქმნების მის თანა“*,[1•] ვითარცა იტყჳს მოციქული.

---

35 შუამდგომელ C;
36 საანჯმნო-ყოფს C (ყოველთჳს);
37 შულისმდებელთა A;
38 გულისთქმასა C;
39 გულისთქმად C;
40 ცხოვნდებიან C;
41 უფლისაჲ A;

1• ეფეს. 4,4;

კუალად უკუე და აწცა პირველთა მათვე სიტყუათა მოვიკსენებ:[42] ნუმცა ვინ ენებული და კორცთმოყუარე და ძუელისა მის კაცისა სულმყრალობითა დაყროლებული იკადრებს პირუტყულთა და არაწმიდათა გულისთქუმათა მიერ არაწმიდებისა კერძსა მიზიდვად ღმრთივსულიერთა ამათ გონებათა და სიტყუათა ბრწყინვალესა ამას სახისმეტყუელებასა, არამედ ზეშთა-ექმენინ კაცად-კაცადი თავსა თჳსსა და გარეგან ნივთიერისა[43] ამის სოფლისა განვედინ და ამაღლდინ[44] სამოთხედ უვნებელობისა და სიწმიდითა მობაძაჳ ღმრთისა იქმენინ.

და ეგევითარი იგი წინაშე ჩუენსა დაგებულთა წიგნისა ამის საიდუმლოთა ღმრთისმეტყუელებათა შეუვალსა ჩუენ თანა შემოვედინ და იშუებდინ.

ხოლო უკუეთუ ვისიმე სული განუ[77vb]მზადებელ იყოს სმენად ესევითართა ამათ სიწმიდეთა, ისმინენ სწავლად მოსესი და ნუმცა ქმნილა კადნიერ სულიერისა ამის მთისა შეხებად, ვიდრემდის განირცხას სამოსელი იგი გონებისაჲ და პატიოსანთა გულისსიტყუათა საპკურებელითა სული თჳსი განიწმიდოს, რაჲთა ვიდრემდის თარგმანებასა ამათ მაღალთა ხედვათასა შექცეულ ვიყუნეთ,[45] ქორწინებისა წესთა გონებაჲ სრულიად დაივიწყოს მცნებისა მისებრ მოსესისა, რომელმან-იგი უბრძანა, რაჲთა წმიდა იყუნენ წესთაგან ქორწინებისათა საიდუმლოთა მსმენელნი იგი.

და ყოველნივე ბრძანებანი შჯულისმდებელისანი დავიმარხნეთ, რომელთა-ესე გუეგულების აღსლვად სულიერსა ამას ღმრთისმეცნიერებისა მთასა, სადა-იგი ნივთიერთა გულისსიტყუათა თანა ყოველივე კორციელი მონაგები ქუე დაიტევების ნივთიერსა ცხორებასა შინა, ხოლო ყოველივე პირუტყული განზრახვაჲ და არაწმიდაჲ, უკუეთუ ესევითარსა მთასა შეეხებოდის, უმტკიცესთა გულისსიტყუათა მიერ, ვითარცა ქვათა რათმე და ლოდთა მიერ, განიტყნევოდენ.

და ესრეთცა ძნიად შეუძლოთ დატევნად ქმაჲ ესე საყურთაჲ ამათ, რომელნი-ესე მაღლად და განსაკრთომელად და ზეშთა ძალსა მსმენელთასა ოხრიან, რაჲთა ნისლი იგი და წყუდიადი დაფარულისაჲ[46] გან-

---

42 მოვიხსენებთ C;

43 ნივთისა B;

44 აღმაღლდინ C;

45 ვიყუნეთ A;

46 დაფარულებისაჲ B;

გჳნათლდეს, რომელსა შინა დამკჳდრებულ არს ღმერთი, რომელი-იგი ესევითარსა მას მთასა ზედა ყოველსავე ნივთიერსა და ეკლისსახესა ვნებასა ცეცხლითა დასწუაჳს.[47] ვინაჲცა ამიერითგან შინაგან წმიდისა წმიდათაჲსა შევიდეთ, რომელ არს ქებაჲ ქებათაჲ, რამეთუ ვითარცა იგი წმიდათა წმიდათასა უმეტესი რაჲმე და უვაღრესი სიწმიდე აქუს სხუათა მათ სიწმიდეთასა, ვითარცა თჳთ სახელი ესე განჩინებულად გუაუწყებს, ეგრეთვე ქებისა ესე [78ra] ქებათაჲსა საიდუმლოჲ საიდუმლოთა მაღალთა მოძღურებასა აღგჳთქუამს ჩუენ.

რამეთუ მრავალ არიან ჭეშმარიტად ღმრთივსულიერთა მოძღურებათა ქებანი, რომელთა მიერ მაღალნი საქმენი და გონებანი გუესწავებიან ჩუენ ღმრთისათჳს დიდისა დავითის მიერ და ესაიაჲს და მოსეს და სხუათა მრავალთა თქუმულნი.

რამეთუ ესევითარსა ძალსა გუასწავებს ჩუენ ზედაწარწერილი ესე, რამეთუ ვითარცა-იგი უმაღლეს არიან გარეშისა სიბრძნისა წმიდათა მიერ აღწერილნი ქებანი, ეგრეთვე — წმიდათამიერისა ქებისა ქებათაჲსა საიდუმლონი, რომლისა უმეტესსა გულისკმის-ყოფასა ვერცა ჰპოვებს, ვერცა დაიტევს კაცობრივი ბუნებაჲ.

და ამის პირისათჳს უაღრესნი იგი საქმენი გულისთქუმისანი, რომელ არს ვნებაჲ ტრფიალებისაჲ, მოძღურებათა ამათ მითხრობასა შინა სახისმეტყუელებით აღწერნა, რაჲთა ამის მიერ ვისწავოთ, ვითარმედ: ჯერ-არს სულისა, რომელი განუცდელსა მას საღმრთოჲსა ბუნებისა სიკეთესა განიცდიდეს, რაჲთა ესრეთ ეტრფიალოს მას, რავდენი[48] აქუს კორციელსა სიყუარულსა კორციელისა სიყუარულისა და ტრფიალებისა მიმართ და რაჲთა ვნებაჲ უვნებელობად შეცვალოს და რაჲთა ყოველივე კორციელი სიყუარული დავშრიტოთ და სულისა[49] ტრფიალებითა მდუღარე ვიყუნეთ ცეცხლისა მის მიერ აღგზებულნი,[50] რომლისა მიფენად მოვიდა ქრისტე ქუეყანად.

ვინაჲცა თუ ვითარისა გონებისა თანა-აც[51] სულსა მას მოგებად, რომელი სიტყუათა ამათ საიდუმლოთა ისმენდეს, ვჰგონებ, თუ კმა არს თქუმული ესე. ხოლო ამიერითგან ჟამი არს, რაჲთა თჳთ იგიცა ქებისა

47 დასწუამს C;
48 რაოდენი BC;
49 სულისა] + ხოლო C;
50 აღგზნებულნი C;
51 თანა-აძს C (ყოველთჳს);

ქებათაჲსა სიტყუანი წარმოვაჩინნეთ და ძალისა მათისა თარგმანებად ქელ-ვყოთ.[52]

ხოლო პირველად წიგნისა ამის წარწერილისა ძალი განვიცადოთ, რამეთუ არა უქმად წარწერილ არს სახელი სოლომონისი წიგ[78rb] ნისა ამის დასაბამსა, არამედ რაჲთა რომელნი აღმოიკითხვიდენ, გულისკმა-ყონ,[53] ვითარმედ დიდთა რათმე და მაღალთა და საღმრთოთა სიტყუათა მიუთხრობს.

და ვინაჲთგან უეჭუელ არს ყოველთა მიერ სიბრძნისა მისისა საკჳრველებაჲ და განთქუმულ ყოველსა სოფელსა ამის პირისათჳს წამებაჲ მისი, ამისთჳსცა მეყსეულად დაწყებასავე სახელისა მიერ ასწავებს გონებასა, ვითარმედ დიდსა რასმე და ღირსსა სიბრძნისა მისისასა მოგუთხრობს წიგნისა ამის მიერ.

ხოლო ვითარცა-იგი მხატჳრობისა კელოვნებისა ნივთნი თითოსახეთა ფერთაგან შეიმზადებიან და მერმე მათ მიერ სრულ-იქმნების გამოხატულისა მის ხატი, ხოლო რომელი ხატსა მას განიცდიდეს, კელოვნებისა მიერ და წამალთა გამოხატულსა, არა ფერთა მათ, ფიცართა შინა გამოსახულთა, განიცდის საკჳრველებასა, არამედ ხატსა მას, რომელი ფერთა მიერ კელოვანმან გამოწერა.

ეგრეთვე ჯერ-არს წიგნისაცა ამისთჳს, რაჲთა არა ნივთსა სიტყუათა ფეროვნებისასა განვიცდიდეთ, არამედ ვითარცა სამეუფოსა რასმე ხატსა, წმიდათა გონებათა მიერ გამოხატულსა და მათ შინა აღმართებულსა, სიწმიდით მივხედვიდეთ უბიწოჲთა გულისხრახვითა.

რამეთუ მსწრაფლითა და მარტივითა მიხედვითა ფერთა სამხატვაროთა მიემსგავსებიან[54] სიტყუანი ესე სპეტაკსა, გინა შავსა, ანუ კუერცხის გულსა, გინა წითელსა და იისფერსა, ანუ თუ სხუათა რომელთაცა წამალთა, ესე იგი არს, ამბორის-ყოფაჲ და მიჰრონი და ნელსაცხებელი და ღუნოჲ და ცხედარი და ასოთა სახელები და ქალწულნი და სძალი და სხუანი ესევითარნი.

ხოლო ამათგან სრულქმნილი ხატი არს ნეტარებაჲ და უვნებელობაჲ და მსგავსებაჲ ღმრთისაჲ და შეერთებაჲ მისი და ბოროტთაგან უცხო-ყოფაჲ და ჭეშმარიტისა მის კეთილისა და სახიერებისა

52 ქელ-ვჰყოთ C;

53 გულისხმა-ჰყონ C;

54 მიესმგავსებიან A;

მიმსგავსებად.

ესე გონებანი არიან, რომელნი ეწამებიან სიბრძნესა სოლომონისსა, მას სიბრძნესა, რომელი ზეშთა [78va] ექმნა[55] საზღვართა კაცობრივისა სიბრძნისათა და რაჲმცა იყო ამისსა უსაკჳრველეს, რაჲთამცა თჳთ ბუნებაჲ ქმნა თჳსთა ვნებათა განმწმედელ და ვნებულად საგონებელთა სიტყუათა მიერ უვნებელობისა სწავლად და მოძღურებად. რამეთუ არა იტყჳს, ვითარმედ: ჯერ-არს, რაჲთა კორციელთა ვნებულთა აღძრვათა გარეშე იქმნნეთ და მოაკუდინნეთ კორციელნი ასონი ქუეყანასა ზედა და წმიდა-ჰყვნეთ[56] პირნი ვნებულთა სიტყუათაგან, არამედ ესრეთ შეცვალა[57] წესი სულისაჲ, რაჲთა წინააღმდგომად საგონებელთა საქმეთა და სიტყუათა მიერ სიწმიდესა განიცდიდეს და დაუსრულებელსა მას სუფევასა ითარგმნიდეს.

ხოლო წიგნისა ამის სიტყუათა დასაბამი პირველ ყოვლისა ამას გუასწავებს, რაჲთა საზღვარი კაცთაჲ სრულიად დაჳვიწყოთ და თანა-წარვჰკდეთ, რომელთა-ესე გუეგულების შესლვად შეუვალთა მათ შინა საიდუმლოთა მისთა და ვიქმნნეთ მოწაფე ქრისტესა,[58] ვითარცა იგი წამებს[59] მათთჳს და ეტყჳს, ვითარმედ: *„რაჲ თქუან ჩემთჳს კაცთა, ანუ თქუენ ვინ გგონიე?“*[1•] და ესრეთ დაღაცათუ კაცნი იყვნეს, არამედ თავადმან განყენა იგინი კაცთაგან.

რამეთუ, ჭეშმარიტად, ვინაჲთგან სიტყუათა ამათ საჩინოჲ წარმოჩენაჲ კორციელთა გულისთქუმათა საანჯმნო-ჰყოფს და არავინ შეჰბრკოლდეს ეგევითართა მათ იგავთა მიერ და არცა მწიკულევანთა გულისზრახვათა შთავარდეს, არამედ საღმრთოჲ ფილოსოფოსობაჲ და უბიწოჲ გონებაჲ მოიგოს, ცხად-ჰყოფს იგი, ვითარმედ არღარა კაცი არს, არცა კორცთა და სისხლთა თანა აღრეულ, არამედ მოლოდებადი იგი შემდგომად მკუდრეთით აღდგომისა წმიდათა ცხორებაჲ მოუგიეს და სწორ ანგელოზთა[60] ქმნილ არს უვნებელობითა.

---

55 ზესთა იქმნა C;

56 წმიდა-ვჰყუნნეთ C;

57 შეჰსცუალა C;

58 ქრისტესსა BC;

59 ჰსწაჰებს C;

60 ანგელოსთა C (ყოველთჳის);

1• მარკ. 8,27;

რამეთუ ვითარცა-იგი აღდგომასა კორცნი შეიცვალებიან უხრწნელებად[61] და სულსა კაცისასა შეეყოფვიან, [78vb] ხოლო ვნებანი ესე, რომელნი აწ გუაურვებენ კორცთა მათ თანა, არა აღდგებიან, არამედ მყუდროჲ და საწადელი და სავსე მშუდობითა ცხორებაჲ მოგუეცემის, შეუმრღუეველი კორცთა სულისა მიმართ წინააღდგომისაგან, არცაღა ჩუენ შორის მყოფი ესე ტომითი ბრძოლაჲ, რომელი-იგი ვნებულთა აღძრვათა მიერ წინა-განეწყობვის შჯულსა მას გონებისასა და ვითარცა ტყუესა, ცოდვისა მიერ დაიმონებს სულსა მას ძლეულსა გულისთქუმათაგან, არამედ ამათ ყოველთაგან წმიდა იქმნების. მაშინ ბუნებაჲ და ორკერძოვე ერთ იქმნეს ზრახვაჲ კორცთა და სულისაჲ, რაჟამს-იგი ყოველივე კორციელი სიყუარული უჩინო-იქმნეს ბუნებისაგან.

ეგრეთ უბრძანებს წიგნისა ამის მიერ უფალი მორჩილთა მისთა, რაჲთა დაღაცათუ კორციელად ვცხონდებოდით,[62] გონებისაგან კორცთაჲსა სრულიად ვიჯმნიდეთ და რაჲთა სულისა მიმართ ხოლო ვხედვიდეთ[63] და გულისთქუმისა აღმაგზებელთა სახეთა წმიდად და შეუგინებელად შევსწირვიდეთ ღმრთისა, რომელი-იგი უზეშთაეს[64] არს ყოველსავე საზღვარსა გონებათასა, რომელი-იგი არს ტკბილ და გულისსათქუმელ და საწადელ, რომლისაგან სამარადისოდ შუებაჲ მიზეზ უმეტესისა გულისთქუმისა იქმნების და კეთილთა მისთა ზიარებაჲ სურვილსა მისსა აღაორძინებს.

ესრეთ ეგზებოდა მოსე სიყუარულითა სიძისა მის უკუდავისაჲთა და ვითარცა სძალი ესე, ქებისა ქებათაჲსა უწყებული, იტყოდა, ვითარმედ: *„ამბორს-მიყაენ მე ამბორის-ყოფითა პირისა მისისაჲთა“*,[1•] *რომელი-იგი პირისპირ რაჲ ღირს-იქმნა ხილუასა და ზრახვასა ღმრთისასა*,[2•] [ვითარცა] წამებს[65] მისთჳს წერილი, ესევითარისა ამბორის-ყოფისათჳს უმეტესითა გულისთქუმითა აღეტყინა და შემდგომად ესეოდენთა ღმრთისმხილველობათა, ვითარმცა ყოველადვე არა ეხილვა, [79ra]

---

61 უკრწნელებად C;
62 ეცხონდებოდეთ C;
63 ეხედვიდეთ C;
64 უზესთაეს C;
65 ჰსწაჳბს C;

1• ქ.ქ. 1,2;
2• II შჯ. 34,10;

საკურველსა მას გამოცხადებად ეკედრებოდა.[1•]

და ეგრეთვე ყოველნი წმიდანი, რომელთა შორის აღგზებულ იყო სალმრთოჲ სიყუარული, არაოდეს დადგებოდეს გულისთქუმისაგან და ყოველივე ღმრთისა მიერ საშუებელად მათდა მიცემული ნივთ და აღმაორძინებელ უვაღრესისა სურვილისა ექმნებოდა.

და ვითარცა რომელი-იგი ღმერთსა შეეყოს, განუძღომელ არს განსუნებაჲ მისი და სიხარული, და რაოდენცა უფროჲს აღივსებოდის შუენიერებითა მისითა, ეგოდენ უფროჲს[66] აღაორძინებს სურვილსა თჳსსა. რამეთუ ვინაჲთგან სიტყუანი სიძისანი სულ არიან და ცხორება *და ყოველი, რომელი სულსა შეეყოს, სულ იქმნების, და რომელი ცხორებასა შეესაკუთროს, სიკუდილისაგან ცხორებად გარდაიცვალების, სიტყჳსაებრ უფლისა*".[2•]

ამისთჳს სურის[67] მიახლებად წყაროსა სულიერისა ცხორებისასა ქალწულსა მას სულსა; ხოლო წყაროჲ არს პირი სიძისაჲ, სადაჲთიგი აღმოეცენებიან სიტყუანი საუკუნოჲსა ცხორებისანი და აღავსებენ პირსა მოსურნისა თჳსისასა,[3•] ვითარცა ჰყოფდა წინაჲსწარმეტყუელი და პირისა მიერ მოიღებდა სულსა.

და ვინაჲთგან რომელი წყაროჲსაგან წყალსა აღმოივსებდეს, პირად მიიღებს და სუამს და ეგრეთ განიშუებს მიერ; და უფალი წყაროჲ არს, რომელმან თქუა,[68] ვითარმედ: *„რომელსა სწყურის, მოვედინ ჩემდა და სუემდინ"*.[4•] ამისთჳსცა წყურიელი სული მიახლებად პირისა თჳსისა პირსა მას წყაროსა ცხორებისასა სურვიელ არს და იტყჳს:

„ამბორს-მიყავნ მე ამბორის-ყოფითა პირისა მისისაჲთა". და რომელი-იგი ყოველთა ცხორებასა აღმოუცენებს და ყოველთაჲ ჰნებავს ცხორებაჲ,[69] რომელთა ენებოს, არავის განიშორებს მორწმუნესა ესევითარისა ამბორის-ყოფისაგან. რამეთუ განმწმედელი არს ყოვლისავე ბილწებისაჲ მისი იგი ამბორის-ყოფაჲ. და ამისთჳს ეტყჳს უფალი

---

66 უფროჲ A;
67 ჰსურის C;
68 ჰსთქუა C;
69 ცხოვნება C;

1• გამ. 33,18;
2• ინ. 5,24;
3• ფსალ. 68,13;
4• ინ. 7,37;

სიმონ კეთროვანსა ყუედრებით, ვითარმედ: „ამბორის-ყოფაჲ *მე არა მომეც*“,[1] რამეთუ [79rb] უკუეთუმცა განწმედილ იყავ ვნებისაგან, პირითამცა ამბორს-გეყო სიწმიდისადა. გარნა იგი ჯეროვნად იყო უყუარულ, რამეთუ კორცად შეცვალებულ იყო ვნებისა მისგან და სალმობისა და საღმრთოჲსა სურვილისაგან განშორებულ და აღუძრველ.

ხოლო სული განწმედილი, რომელსა არცა ერთი რაჲ აქუნდეს კორცთა არაწმიდებისა კეთროვანებაჲ, მარადის განიცდის საუნჯესა მას კეთილთასა, რომელ არს გული საღმრთოჲ, ვინაჲ-იგი იქმნების სძისა მიერ სულიერისა აღვსებაჲ ძუძუთაჲ, რომლისაგან იზარდების[70] სული, შემსგავსებულად სარწმუნოებისა თჳსისა მომღებელი მადლისაჲ. ამისთჳს იტყჳს, რამეთუ: *„უმჯობეს არიან ძუძუნი შენნი უფროჲს ღჳნისა“*.[2] წესისაებრ და აგებულებისა გუამისა“, „ძუძუთა მიერ“ გულსა მოასწავებს. ხოლო გულად უკუეთუ ვინ გამოუთქუმელი იგი და დაფარული ღმრთეებისა[71] ძლიერებაჲ გულისკმა-ყოს, არა სცთეს.[72] და ძუძუდ ეგრეთვე — კეთილნი იგი ღმრთისა ძლიერებისა ჩუენთჳს განგებანი და მოღუაწებანი, რომელთა მიერ მზარდულ ექმნების ღმერთი კაცად-კაცადისა ცხორებასა და მოზარდულთა მათ თითოეულისა შემსგავსებულსა საზრდელსა მიანიჭებს, ვითარცა ვის ძალ-ედვას შეწყნარება.

ხოლო ვისწავებთ ჩუენ სხუასაცა რასმე მოძღურებასა ფილოსოფოსობისაგან ამის წიგნისა, ესე იგი არს, რამეთუ მრჩობლნი საცნობელნი არიან ჩუენ შორის, ერთნი — კორციელნი და მეორენი — სულიერნი და საღმრთონი, რომლისათჳს-იგი იტყჳს სიტყუაჲ იგავთაჲ, ვითარმედ: *„გონებაჲ და ცნობაჲ საღმრთოჲ ჰპოო შენ“*,[3] რამეთუ შეტყუებაჲ რაჲმე იხილვების სულიერთა აღძრვათაჲ კორციელთა საცნობელთა მიმართ.

და ამას ესრეთ ვისწავებთ, რამეთუ სძე და ღჳნოჲ გემოჲთა განიყოფვის. და რაჟამს გონიერნი იყვნენ იგინი, გონიერსაცა შეწევნასა მისცემენ სულსა სიმტკიცითა ძალისა მათისაჲთა. და ამბორის-ყოფაჲ

---

70 იზრდების C;
71 ღ˜თაებისა C;
72 ჰსცთეს C;

1• ლუკ. 7,45;
2• ქ.ქ. 1,2;
3• იგავ. 1,2;

შემხებელთა საცნობელთა მიერ იქმნების, რამეთუ ურთიერთარს ამბორის-ყოფითა შეეხებიან ბაგენი.

და კუალად არს შეხებაჲცა რაჲმე სულისაჲ, შე[79va]მხებელი სიტყჳსაჲ, უხორცოჲთა რაჲთმე და უხილავითა შეხებითა სრულქმნილი. ვითარცა თქუა, რომელმან-იგი თქუა, ვითარმედ: *„და კელნი ჩუენნი ჰმსახურებდეს სიტყუასა მას ცხორებისასა“.*[1]

და კუალად ეგრეთვე საღმრთოთა ნელსაცხებელთა სულნელებაჲ არა საყნოსელთა არს გემოვნება, არამედ გონიერისა რაჲსმე და უნივთოჲსა და სულიერისა ძალისა მოღება, რომლისა თანა მოიზიდვის სულნელებაჲ ქრისტესი, რამეთუ ესრეთ შეუდგების ურთიერთარს დასაბამი ქალწულებრივთა შესხმათაჲ, ვითარმედ: *„უმჯობეს არიან ძუძუნი შენნი უფროჲს ღჳნისა და სულნელებაჲ ნელსაცხებელთა შენთაჲ უფროჲს ყოველთა სულნელებათა“.*[2]

მოესწავების უკუე ამათ მიერცა ჩუენისაებრ გულისკმის-ყოფისა არა უნდოჲ, არცა საწუნელი გულისკმის-ყოფაჲ, რამეთუ სძისა მიერ საღმრთოთა მათ ძუძუთაჲსა და ღჳნისა მიერ, რომელი-იგი მოგუატყუებს ჩუენ სიხარულსა, ამას ვისწავებთ, ვითარმედ ყოველივე კაცობრივი სიბრძნე და მეცნიერებაჲ დაბადებულთაჲ და ყოველი ძალი მხედველობისაჲ და მიმწდომელი გონებაჲ უნდო არს და კნინ შესწორებად საღმრთოთა სწაულათა მარტივსა მას საზრდელსა თანა, რამეთუ ძუძუთაგან სძე აღმოეცენების, ხოლო სძე ჩჩჳლთაჲ არს საზრდელი და ღჳნოჲ ძალისათჳს და სიმკურვალისა სრულთა მიეცემის საშუებლად.

და ეგრეთვე სრული სიბრძნე გარეშეთაჲ[73] ჩჩჳლებრისა საღმრთოჲსა სიტყჳსა მოძღურებისა ფრიად უკნინეს არს და უდარეს, ვინაჲცა უვაღრეს არიან საღმრთონი იგი ძუძუნი კაცობრივისა ღჳნისა.

და საღმრთოთა ნელსაცხებელთა სულნელებაჲ უვაღრეს არს ყოველთავე კაცობრივთა ნელსაცხებელთა სულნელებისა, რომელნი-იგი ესევითარსა ძალსა მოასწავებენ. რამეთუ ნელსაცხებელად სათნოებათა გულისკმა-ვჰყოფთ, რომელ არიან სიბრძნე, სიწმიდე, სიმჳნე, სიმართლე, გონიერებაჲ და სხუანი იგი ესევითარნი, [79vb] რომელთა იცხებდეს რაჲ კაცად-კაცადი ძალისაებრ თჳსისა და ჯერჩინებისა, სხუაჲ

---

73 გარეშთა C;

1• ინ. 1,1;

2• ქ.ქ. 1,3;

სჯსა წილ იქმნების სულნელებისა მის მიერ და შეიცვალების ანუ თუ სულნელებად სიბრძნისა, ანუ სიწმიდისა, გინა თუ სიმართლისა და სიმკჳნისა, გინა თუ სჯსა რომლისამე სათნოებისა. და რომელსამე ყოველთაგე ესევითართა ნელსაცხებელთაგან შეზავებული სულნელებაჲ აქუს თავსა შორის თჳსსა.

გარნა ეგრეთცა ესე ყოველი არცა შეეტყუების, არცა შეესწორების თავადსა მას სრულსა სათნოებასა, რომლისა მიერ ცათა დაფარვასა იტყჳს ამბაკუმ[74] წინაწარმეტყუელი, ვითარმედ: *„დაფარნა ცანი სათნოებამან მისმან“*,[1•] რომელი-იგი არს თჳთსიბრძნე და თჳთსიმართლე და თჳთჰეშმარიტება და სჯაჲ ყოველივე. ამისთჳსცა იტყჳს, ვითარმედ: ნელსაცხებელთა შენთა მადლი შეუსწორებელ არს ნელსაცხებელთა ამათ თანა, რომელნი ჩუენდა საცნაურ არიან.

და ესრეთ შემდგომითი შემდგომად უმაღლესთა სიბრძნეთა მიმართ წარემატების სული იგი ქალწული და სძალი სამეუფოჲ და მიუწდომელსა მას და დაუტეველსა კაცობრივთა გულისსიტყუათაგან საღმრთოსა ძლიერებასა საანჯმნო-ჰყოფს და იტყჳს: *„ნელსაცხებელ წარმოცარიელებულ*[75] *— სახელი შენი“*.[2•]

ხოლო სიტყუაჲ ესე ესევითარი არს, ვითარმედ სახელდებულითა[76] სახელითა შეუძლებელ არს ყოვლადვე გამოწულილვით გულისკმის-ყოფაჲ განუზომელისა მის ბუნებისა შენისა, არამედ ყოველსავე გულისკმის-ყოფათა[77] ძალსა და ყოველსავე სიტყუათა და სახელთა სახისმეტყუელებასა, დაღაცათუ მაღალ რაჲმე იყოს და საღმრთო, თჳთ თავადისა მის ჭეშმარიტებისა შეხებად ბუნებაჲ არა აქუს, არამედ ვითარცა კუალთა რათმე და საფარველთაგან სიტყუაჲ ჩუენი გამოიკულევს და მისაწდომელთა [80ra] მსგავსებათა მიერ და სახისმეტყუელებათა აზმნობს წარმოჩინებად.

რამეთუ ვითარიცა-რაჲ სახელი მოვიგონოთ საცნაურმყოფელი ღმრთეებისა შენისა ნელსაცხებელსა, არა თუ თჳთ მას ნელსაცხებელსა

---

74 ამბაკომ C;

75 წარმოცალიერებულ C;

76 სახელდებულის C;

77 გულისხმის-ყოფათა C;

1• ამბ. 3,3;

2• ქ.ქ. 1,3;

საანჯმნო-ჰყოფთ სახისმეტყუელებითა მით და მოსწავებითა სიტყუათაჲთა, არამედ მცირედსა რასმე ნაწილსა საღმრთოჲსა მის სულნელებისასა ღმრთისმეტყუელებისა სახელთა მიერ წარმოვაჩინებთ. და ვითარცა-იგი იქმნების ჭურჭელსა ზედა, რომლისაგან წარმოიცალიეროს[78] ნელსაცხებელი, თავადი იგი ბუნებაჲ და სახე წარმოცალიერებულისა[79] მის ნელსაცხებელისაჲ, თუ ვითარი-რაჲ არს, უცნაურ არს, ხოლო მცირედისა რაჲსმე ორთქლისაგან და სულნელებისა ჭურჭელსა მას შინა დაშთომილისა წარმოცალიერებულისა მის გულისკმის-ყოფად მოვალთ.

და ესე არს ძალი სიტყუათაჲ ამათ, ვითარმედ თავადი იგი ღმრთეებისა ნელსაცხებელი რაბამი არს ბუნებით, ანუ თუ ვითარი უმაღლეს არს ყოვლისავე სახელისა და მოგონებისა. ხოლო ყოველთა შორის განფენილნი იგი საკურველებანი ღმრთისმეტყუელებისა სახელთანი ნივთსა და ძალსა გულისკმის-ყოფისასა მოგუცემენ, რომელთა მიერ ბრძნად და ძლიერად და სახიერად და წმიდად და ნეტარად და სამარადისოდ და მსაჯულად და მაცხოვრად სახელ-ვსდებთ მას და უწოდთ.

და ესე ყოველი ვითარებასა რასმე უნდოსა საღმრთოჲსა სულნელებისასა საანჯმნო-ჰყოფს, რომელი ყოველსა დაბადებულსა ხილულთა ამათ საკურველებათა მიერ, ვითარცა ჭურჭელსა რას მენელსაცხებელთასა, თავსა შორის თჳსსა შეუკრებიეს.

ამისთჳსცა[80] ქალწულთა შეგიყუარეს შენ და მიგიზიდეს შენ, წარმოთქუა[81] მიზეზი საქებელისა მის გულისთქუმისაჲ და საწადელისა მის სი[80rb]ყუარულისაჲ და ვინმცა იყო, რომელი ესევითარსა მას შეუნიერებასა არა ეტრფიალა, უკუეთუ ოდენ აქუნდეს თუალი სულისაჲ, შეუნიერებისა მის განცდად შემძლებელი, რომლისა-იგი ფრიად არს განცდილიცა სიკეთე, ხოლო ბევრწილად უფროჲს არს საჩინოჲსა მიერ უხილავისა მის გულისკმის-ყოფაჲ და მოგონებაჲ. არამედ ვითარცა ნივთიერი ესე ტრფიალებაჲ წუთღა ჩჩჳლსა არა შეეხების, რამეთუ ვერ დაიტევს ვნებასა მას სიჩჩოებაჲ, და არცა კუალად ღრმითა სიბერითა განლეულნი იხილებიან[82] ამას შინა.

78 წარმოიცარიელოს C;
79 წარმოცარიელებულისა C;
80 ამისთჳს BD;
81 წარმოჰსთქუა C;
82 ხილვებიან B;

ეგრეთვე საღმრთოჲსა სიკეთისა წუთღა ჩჩული და ღელვატეხილი და მიმოტაცებული ყოველსავე ქარსა მოძღურებისასა და დაძუელებული და დაბერებული და განრყუნასა მიახლებული ამის საღმრთოჲსა გულისთქუმისა მიმართ აღუძრველ იპოვებიან. რამეთუ არა შეეხების ესევითართა მათ უხილავი იგი სიკეთე, არამედ მხოლოჲ ესევითარი ოდენ სული, რომელი სიჩჩოებისა ჰასაკსა და წესსა თანაწარსრულ იყოს და სულიერითა ჰასაკითა აღორძინებულ, რომელსა არარაჲ მიეღოს ბრძული, გინა ნაოჭი, გინა მწიკული და სხუაჲ რაჲმე ესევითარი, რომელი არცა სიჩჩოჲსაგან უგულისკმო იყოს, არცა სიბერისაგან უძლურ, რომელსა ქალწულად უწესს სიტყუაჲ. ესევითარი იგი ჰმორჩილობს[83] დიდსა მას და პირველსა მცნებასა შჯულისასა და ყოველითა გულითა და ძალითა შეიყუარებს სიკეთესა მას, რომლისა სახესა და ხატსა და იგავსა და თარგმანებასა ვერ ჰპოვებს[84] კაცობრივი გონებაჲ.

ესევითარნი უკუე ქალწულნი, სათნოებათა მიერ აღორძინებულნი და საიდუმლოთა მიერ განწმედილნი, შეიყუარებენ შუენიერებასა მას სიძისასა და შინაგან საღმრთოჲსა მის სასძლოჲსა ღირს-იქმნებიან შესლვად და სიყუარულისა მის წილ მათისა მათდა მიმართ მიიზიდვენ მას, რამეთუ სი[80va]ყუარულისა წილ სიყუარულსა მიაგებს მოსურნეთა თჳსთა და ვითარცა-იგი თქუა პირისაგან სიბრძნისა, ვითარმედ: *„მე მოყუარენი ჩემნი მიყუარან“* და ვითარმედ: *„განუყო მონაგები ჩემი მოყუარეთა*[85] *ჩემთა და საუნჯენი მათნი აღვაესნე კეთილითა“*.[1•] ხოლო ესე ცხად არს, რამეთუ კეთილთა უკეთეს და მონაგებ იგი თავადი არს.

მიიზიდვენ უკუე სულნი თავისა მიმართ თჳსისა უხრწნელისა მის სიძისა სურვილსა და ეგევითარნი სულნი, რომელნი შემდგომად უფლისა ღმრთისა ჩუენისა რბიოდიან,[2•] ვითარცა წერილ არს.

ხოლო მიზეზ სიყუარულისა მისისა იქმნების სულნელებაჲ ნელსაცხებელთა მისთაჲ, რომლისა მიმართ მარადის სრბითა უკუანასა მას დაივიწყებენ და წინაკერძოსა მას მისწუთებიან, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: *„შემდგომად შენსა სულნელებასა ნელსაცხებელთა შენთასა*

---

83 მორჩილობს C;

84 ჰპოებს C;

85 მოყუარეთ B;

1• იგავ. 8,17;

2• ოს. 11,10;

ვრბიოდით“.[1]

ესე უკუე ქალწულნი, რომელთა წუთღა სისრულე სათნოებათაჲ არა აქუს და ჩჩჯლ არიან ჰასაკითა, სრბასა მოღუაწეთა სარბიელისასა სულნელებისათჳს ნელსაცხებელთაჲსა აღუთქუმენ და იტყჳან, ვითარმედ: *„სულნელებასა ნელსაცხებელთა შენთასა ვრბიოდით“.* ხოლო სრულქმნილი სული და წარმატებული აწვე მიემთხუევის საწადელსა თჳსსა, რომლისათჳს-იგი სრბაჲ აღესრულების და შინაგან საუნჯეთა მოსაგებელთა ღირს-იქმნების, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„შემიყვანა მე მეუფემან საუნჯესა თჳსსა“.*[2] რამეთუ რომელი-იგი ბაგეთა მიერ მოსურნე იქმნა კეთილისა და ესოდენსა შუენიერებასა მიემთხჳა, რაოდენსა აჩუენებს ძალი იგი ლოცვისა მისისაჲ, ხოლო ლოცვაჲ მისი ესე იყო, რაჲთა გამობრწყინვებითა სიტყჳსაჲთა ამბორის-ყოფასა მისსა ღირს-იქმნეს.

იგივე კუალად, რომელთა-იგი მიემთხჳა და შინაგან უხილავთა გულისსიტყუათა მიერ შევიდა, ღაღადებს, ვითარმედ არა ხოლო თუ ბჭეთამდე [80vb] ოდენ კეთილისათა სრულ-იქმნების სარბიელი, არამედ შინაგან საუნჯეთა სულისათა შესლვითა, რომელსა-იგი პირველ მადლისა, ვითარცა ამბორის-ყოფისა მიერ, ღირს-იქმნა გამოძიებად სიღრმეთა ღმრთეებისათა და შინაგან შეუვალთა სამოთხისათა შევიდა მსგავსად დიდისა პაულესსა და იტყჳს უხილავთა ხილვასა და უთქუმელთა სიტყუათა სმენასა.

ხოლო შემდგომი იგი სიტყუაჲ ეკლესიისა განგებულებასა წარმოაჩინებს, რამეთუ რომელნი-იგი პირველ დაემოწაფნეს მადლსა და თუალითმხილველ და კელითმსახურ სიტყჳსა იქმნნეს, არა თავთა შორის თჳსთა შეაყენეს კეთილი, არამედ შემდგომთაცა მათთა მოძღურებითა თჳსითა იგივე მადლი მიჰფინეს.[3]

ამისთჳსცა ეტყჳან სძალსა ქალწულნი, რომელი-იგი პირველ ამბორის-ყოფითა პირსა სიტყჳსასა აღივსო კეთილითა და ცნობად დაფარულთა საიდუმლოთა ღირს-იქმნა, ვითარმედ: *„ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ შენდამი“,*[4] რამეთუ სიხარული შენი ზოგადი სიხარული არს

---

1. ქ.ქ. 1,4;
2. ქ.ქ. 1,4;
3. II კორ. 12,1;
4. ქ.ქ. 1.4;

ჩუენ[86] ყოველთაჲ და ვითარმედ: ვითარცა შენ გიყუარან ძუძუნი სიტყუსანი უფროჲს ღუნისა, ეგრეთცა ჩუენ მივემსგავსნეთ ძუძუთა შენთა, რომელთა მიერ ქრისტეს მიერ ჩჩულთა აწოებს სძესა და შევიყუარეთ იგი უფროჲს კაცობრივისა ღუნისა.

და რაჲთა უფროჲს განცხადნეს სიტყუაჲ ესე, ესე იგი არს შეიყუარნა ძუძუნი სიტყუსანი იოვანე, რომელი-იგი მკერდსა სიტყუსასა მიეყრდნა და პირი თუსი, ვითარცა ღრუბელი, მიაახლა წყაროსა მას ცხორებისასა და ვითარცა გამოუთქუმელთა რათმე ნიჭთა მიერ აღივსო, რომელ არიან უკუდავნი იგი საიდუმლონი, გულსა შინა უფლისასა დაუნჯებულნი.

და არა ხოლო თუ თუთ აღივსო, არამედ ჩუენცა აღმავსნა ძუძუთა მათგან, საუფლოთა ავსებულითა ძუძუჲთა, და მარადის აღმავსებს კეთილთა მათგან სიტყუსათა და წყაროჲსა მისგან [81ra] უკუდავებისა.

რამეთუ ქადაგებს კმითა მაღლითა და, ვითარცა საყური, ოხრის, ვითარმედ: *„პირველითგან იყო სიტყუაჲ“*;[1•] ვინაჲცა ჩუენცა ჯეროვნად ვიტყუთ მისა მიმართ, ვითარმედ: *„შევიყუარნეთ ძუძუნი შენნი უფროჲს ღუნისა“*.[2•] ვინაჲთგან ესევითარნი ვიქმნენით, ვითარცა ქალწულნი, და უფროჲსღა, უკუეთუ ვიქმნეთ და არცა გონებითა ვიყვნეთ ჩჩულ მსგაესად ჩჩულთა მათ ამაოებისადა[87] შეყოფილთა, არცაღა ცოდვისა ბრძყლი იყოს ჩუენ თანა, არცა ნაგუემი და ნაოჭი სიძუელისა და სიბერისაჲ, მახლობელი განრყუნისაჲ.

ხოლო ამისთჳს გჳყუარან მოძღურებათა შენთა მდინარენი, რამეთუ სიწრფოებამან შეგიყუარა შენ.

რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: *„ესე არს მოწაფე იგი, რომელი უყუარდა იესუს“*,[3•;88] ხოლო სიწრფოებაჲ არს იესუ.[89] ხოლო უბრწყინვალეს და უნათლეს წარმოაჩინა სიტყუაჲ ესე წინაჲსწარმეტყუელმან

---

86 ჩუენ] – A;

87 ამაოებისათა C;

88 იესოს C;

89 იესო C;

1• იხ. 1.1;

2• ქ.ქ. 1,4;

3• იხ. 21,7;

დავით და თქუა რაჲ, ვითარმედ: *„წრფელ არს უფალი ღმერთი ჩუენი“*,[1] ხოლო ესე სიწრფოებად უწესს, რომელი ყოველსავე გულარძნილსა სიწრფოებად წარჰმართებს[90] და წრფელ ჰყოფს; რომელი-ესე გუეყავნ ჩუენცა, რაჲთა ყოველივე გულარძნილი წრფელ გუექმნეს და ყოველივე ფიცხელი — მართლ[91] მაღლითა უფლისა ჩუენისა უფლისა იესუ[92] ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

90 წარმართებს C;

91 მართალ C;

92 იესო C;

1• ფსალ. 41,16;

ᲒᲐᲮᲜᲐ II

სიტყუაჲ ესე:

1,5 შავ ვარ მე და შუენიერ, ასულნო იერუსალჵმისანო[1], ვითარცა საყოფელნი კედარისანი და ვითარცა კარავი სოლომონისი.

1,6. ნუ მხედავთ მე, რამეთუ დაშავებულ ვარ,[2] რამეთუ უგულებელს-მყო მე მზემან: ძენი დედისა ჩემისანი მლალვიდეს მე; დამადგინეს მე მცველად ვენაკისა. სავენაკე ჩემი არა დავიცევ.

1,7. მითხარ მე, რომელი შეგიყუარა სულმან ჩემმან, სადა ჰმწყსი, სადა დააწვინნი შუვასამხრის?[3] ნუუკუე ვიქმნე მე, ვითარცა ვინ გარე-მოიცავნ კოლტსა სხჳსასა?

1,8. უკუეთუ არა იცნა თავი შენი, კე[81rb]თილო დედათა შორის, განვედ შენ კუალსა სამწყსოთა შენთასა და დამწყსენ თიკანნი შენნი საყოფელსა მწყემსთასა.

საღმრთოჲსა მის კარვისა საწამებელისა არა სწორ იყო შინაგან დაფარ-ული იგი შუენიერებაჲ გარეშე მყოფსა მას აგებულებასა, რამეთუ ნაქსოვი[4] სელისა და ბალნისაჲ და მეწამულთა ტყავთა ნივთი სრულ-ჰყოფდა მას და არარაჲ იყო დიდ და პატიოსან გარეშე იგი შემკობილებაჲ.

ხოლო შინაგან ოქროჲთა და ვეცხლითა და ქვათა პატიოსანთა ელ-ვარებითა ბრწყინვიდა ყოველივე იგი კარავი საწამებელი და სუეტნი და ხარისხნი და სუეტისთავნი და სასაკუმეველე[5] და საკურთხეველი და კიდობანი და სასანთლე და სალხინებელი და საბანელნი და ეზოთა იგი კრეტსაბმელნი, რომელთა შუენიერებაჲ ყოველთავე ყუავილოვანთა ფეროვნებათა მიერ და ღებილთა შეზავებულ იყო და ოქრომკედითა და იაკინთითა და ზეზითა და მეწამულითა კელოვნებითა რაჲთმე ხუროვნებითა ქსოვისაჲთა ყუავილოვნად მოქსოვილ და შუენიერად შეზავებითა და განთხზვითა, ვითარცა მშულდი ცისაჲ, ბრწყინვალებასა რასმე საწადელსა გამოსცემდა.

ხოლო რაჲსა მიმართ ვხედავ და ამიერ ვიწყებ დასაბამსა, შემდგომ-

---

1 იერუსალიმისნო C;
2 ვარ] + მე C;
3 შუვასამკრის C;
4 ნაქსუი A;
5 სასაკმეველე C;

თა მათ სიტყუათაგან განგეცხადოს თქუენ, რამეთუ კუალად წინამდებარე არს ჩუენდა ქებაჲ ქებათაჲ ყოვლისა ფილოსოფოსობისა და ყოვლისაჲე ღმრთისმეცნიერებისა სამოძღურებელად.

რამეთუ ესე არს ჭეშმარიტი კარავი წამებისაჲ, რომლისა საბურველნი და ეზონი და ტყავისა და ბალნისა ნივთნი ტრფიალებისა რაჲსმე სიტყუათა და სახეთაგან[6] შეიმზადებიან და სასურველისა[7] მიმართ სიყუარულსა წარმოიტყუან და შუენიერებასა გამოსწერენ; კსენებაჲ კორციელთა ასოთაჲ, წარმოჩინებითა პირისაჲთა და დაფარულებითა ხილულთა საბურველთაჲთა, ხოლო შინაგან ჭეშმარიტად ბრწყინვალე არს და ელ[81va]ვარე, ვითარცა სასანთლე და კიდობანი, საიდუმლოთა მიერ აღსავსე, და სულნელთა სასაკუმეველე და სალხინებელი, განმწმედელი ცოდვათაგან, და საკურთხეველი ოქროჲსაჲ და კრეტსაბმელთა შუენიერებაჲ და სათნოებათა ფეროვნებისა მიერ კელოვნად შემკობილი იგი ნაქსოვი და გულისსიტყუათა მიუდრეკელნი სუეტნი და შეუძრველნი მოძღურებათა ხარისხნი და სუეტისთავეთა სიკეთე, რომელთა მიერ მთავარი იგი გონებაჲ სულისაჲ გამოისახვის, და საბანელნი იგი სულთანი და ყოველივე, რაოდენიცა ზეცისა უკორცოთა[8] მოქალაქობასა[9] განიცდის, რომელსა-იგი შჯული სახისმეტყუელებით ბრძანებს[10] სიტყუათა მათ შინა დაფარულისა ძალისა მიერ, იგი ყოველი აქა ცხადად იხილვების და ღმრთივშუენიერად ბრწყინავს, უკუეთუ ოდენ ღირსად წმიდისა წმიდათაჲსა შესლვისა მოღუაწებით ცხორებისა მიერ თავნი თჳსნი გამოვაჩინნეთ და ყოველივე ბაყლი მწიკულევანთა გულისზრახვათაჲ საბანელითა სიტყუსაჲთა განვიბანოთ.

ნუუკუე მივეახლნეთ გარეშე მცნებასა შჯულისასა მომკუდარსა რასმე გონებასა, ანუ თუ არაწმიდასა რასმე გულისთქუმასა შევეხნეთ და საკურველებათა მათ კარვისათა ხილვისაგან უცხო-ვიქმნეთ? რამეთუ არა თავს-იდებს ესევითართა მიახლებასა შჯული სულისაჲ, უკუეთუ არა განირცხას სამოსელი იგი სუნიდისისაჲ,[1*] ვითარცა ბრძანა მოსე,

---

6 სხეულთაგან C; სახელთაგან B;

7 სასურველის C;

8 უკურცოთა A;

9 მოქალოქობასა A;

10 ჰბრძანებს C;

1* რიცხვ. 19,2;

ანუ თუ მძორსა რასმე და საძაგელსა გულისზრახვასა შეეხოს.

ხოლო შეუდგენს შემდგომებაჲ პირველ განხილულთა მათ სიტყუათაჲ აწინდელსა ამას ქალწულთა მიმართ სძლისაგან თქუმულსა სიტყუასა, ესე იგი არს:

„*შაე ვარ მე და შუენიერ, ასულნო იერუსალემისანო, ვითარცა საყოფელნი კედარისანი და ვითარცა კარაჲი სოლომონისი*“.[1*] კეთილად იწყებს მოძღუარი მითხრობად კეთილთა მათ, რომელთაჲ ჯერ-იყო დამოწაფებულ[81vb]თა მათ სულთა მითხრობად, რომელნი-იგი წადიერ არიან, ვითარცა აღუთქუმენ ყოვლისავე კაცობრივისა სიტყჳსა, რომელსა იგავით ღჳნოდ სახელ-სდებენ, უპატიოსნეს შერაცხად სიტყჳერთა მათ ძუძუთა მისთაგან აღმომდინარისა მადლისა.

და ესევითართა სიტყუათა ეტყჳან, ვითარმედ: „*შევიყუარნეთ ძუძუნი შენნი უფროჲს ღჳნისა, ვინაჲთგან სიწრფოებამან შეგიყუარა შენ*“.[2*]

ხოლო იგი შესძინებს მოწაფეთა მიმართ თჳსთა მათ საკჳრველებათა, რაჲთა უვაღრესად ვისწავოთ აურაცხელი იგი კაცთმოყუარებაჲ სიბრისაჲ, რომელმან სიყუარულისათჳს შესძინა შეყუარებულსა მას სიკეთე.

და იტყჳს: ნუ გიკჳრს, ვითარმედ სიწრფოებამან შემიყუარა მე, არამედ რამეთუ დაშავებულ ვიყავ ცოდვითა და საკუთარ წყუდიადისა საქმეთა მიერ, და კეთილ-მყო სიყუარულისა მიერ და თჳსი იგი შუენიერებაჲ უშუერებასა ჩემსა შეჰმოსა. რამეთუ მწიკულევანებაჲ იგი ცოდვათა ჩემთაჲ მიიღო და თჳსი იგი სიწმიდე მომანიჭა მე და თჳსისა მის ბრწყინვალებისა ზიარ-მყო. რამეთუ პირველად მყო მე უშუერებისა წილ შუენიერ და საძაგელებისა წილ – საწადელ და ესრეთ შემიყუარა მე.

და მერმე უბრძანებს ქალწულთა, რაჲთა იგინიცა იქმნენ შუენიერ. და თავისა თჳსისა შუენიერებისა სახესა წინა-უყოფს მათ მსგავსად დიდისა პავლესა,[11] რომელი იტყჳს, ვითარმედ: „*იქმნენით, ვითარცა მე,*[3*] *რამეთუ მე ვიყავ, ვითარცა თქუენ*“. და კუალად, ვითარმედ:[12] „*მობაძავ ჩემდა იქმნენით, ვითარცა მე ქრისტჱსა*“.[4*]

---

11 პავლესსა BC;

12 ვითარმედ] – C;

1* ქ.ქ. 1,5;

2* ქ.ქ. 1,4;

3* I კორ. 7,4;

4* I კორ. 4,16;

და ესრეთ არა შეუნდობს სულთა მათ მორჩილთა მისთა, რაჲთამცა სასოწარკუეთილ[13] იქმნნეს შუენიერებისათჳს თანაწარსრულისა მის უშუერისა ხოლო ცხორებისა, არამედ რაჲთა მისსა[14] მიმართ ხედვიდენ და სახისაგან მისისა გულსავსე იქმნენ, ვითარმედ აწინდელი ესე იქმნების პირველისა მის დამფარველ, უკუეთუ იქმნენ უბიწო.

რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: დაღაცათუ შუენიერებაჲ ესე, რომელი აწ ყუავის ჩემ ზედა, შეყუარებისა წილ სიწრფოებისაგან მოეფინა ჩემ ზედა,[15] არამედ უწყი თავი ჩემი, რამეთუ პირველ არა ვიყავ ესრეთ[82ra] ბრწყინვალე, არამედ — შავ. და ეგევითარი იგი ხატი, ბნელი და წყუდიადი, პირველმან მან ცხორებამან შემმოსა. გარნა ეგრეთცა-იგი ვიყავ მაშინ და აწ ესე ვარ, რამეთუ შეიცვალა მსგავსებაჲ იგი ბნელისაჲ ხატად შუენიერებისა.

და თქუენცა, ჲ ასულნო იერუსალემისანო, მიხედენით დედასა თქუენსა ზეცათა იერუსალემსა. და დაღაცათუ თქუენ შორის დამკჳდრებულისა მისთჳს მთავრისა კელმწიფებისაგან ბნელისა საყოფელნი ხართ კედარისანი, რომელი-იგი ბნელად გამოითარგმანების, იქმნენით თქუენ კარავ სოლომონისა; ხოლო სოლომონ არს სეხნაჲ იგი მშჳდობისაჲ, ხოლო კარავად[16] სოლომონისა ყოველნივე ეზონი სამეუფოჲსა მის კარვისანი მოასწავნა.

და ამასვე პირსა მოასწავებს პაველე წიგნსა მას შინა ჰრომაელთასა უცხადესადრე და იტყჳს ჩუენდა მომართ სიყუარულსა ღმრთისასა,[1*] რამეთუ ცოდვილ ვიყვენით და დაშავებულ, არამედ გამობრწყინვებითა მადლისაჲთა ნათლისფერ და საწადელ გუყვნა ჩუენ. რამეთუ ვითარცა-იგი ღამე ყოველსავე, რომელსაცა ზედა მიეფინოს, წყუდიადითა თჳსითა დააბნელებს, დაღაცათუ ბრწყინვალებათაგანი[17] რაჲმე იყოს ბუნებით, ხოლო რაჟამს ნათელი აღმობრწყინდეს, არღა[18] ჰგიეს წყუდიადი იგი დაბნელებულთა მათ თანა და არცა სახე სიბნელისაჲ,

13 სასოწარკეთილ A;
14 მისა C;
15 შეყუარებისა წილ... ჩემ ზედა] — C;
16 კარვად B;
17 ბრწყინვალეთაგანი B;
18 არღარა B;
1* რომ. 5,8;

ეგრეთვე მოიქცეს რაჲ სული საცთურისაგან ჭეშმარიტებად, ბნელისა მის[19] ცხორებისა ხატი მადლისა ნათლად შეიცვალების.

და ამასვე პირსა ტიმოთეს მიმართ იტყჳს, ვითარცა სძალი ქალწულთა მიმართ, რომელი-იგი სიშავისაგან ბრწყინვალებად შეიცვალა, ვითარმედ: *„და ამას კეთილსა ღირს-ვიქმენ მე, რომელი პირველ მდევარ ვიყავ და მგმობარ და მაგინებელ და შავ“*[1*] და ვითარმედ: *„ქრისტე მოვიდა სოფლად, რაჲთა დაშავებულნი განანათლნეს“*[2*] და რაჲთა არა მართალთა, არამედ ცოდვილთა მოუწოდოს[20] სინანულად, რომელნი-იგი ემბაზი[82rb]თა მით მეორედ შობისაჲთა, ვითარცა მნათობნი, განაბრწყინვნა და წყუდიადი იგი სახე მათი წყალთა მათ შინა დაანთქა.

და თჳთ მებრ ამასვე ხედვიდა ზეცისა ქალაქსა შინა თუალი იგი დავითისი და განკურვებულ იყო საკურველებისა მისთჳს, თუ ვითარ ქალაქსა მას შინა ღმრთისასა, რომლისათჳს დიდებული ითქუა, ბაბილოვნ დაემკუდრების და რააბ მეძავი მოიკსენების და უცხოთესლნი და ტჳროს[21] და ერი ჰინდოთაჲ შევლენ მას შინა, რაჲთა არღარავინ კაცთაგანმან აყუედროს ქალაქსა მას ოკრებისათჳს მკუდრთა მისთაჲსა კაცისა ვისმე შობისათჳს, ვითარცა წერილ არს: *„და ჰრქუა*[22] *სიონსა, ვითარმედ: კაცი იშვა მას შინა“.*[3*] რამეთუ ბოროტნი იგი ტომნი უცხოთესლთანი მოქალაქე იქმნებიან მის ქალაქისა და იერუსალიმელ — ბაბილოვნელი და მეძავი — ქალწულ და ბრწყინვალე — ეთიოპელნი და ტჳროსი[23] — ქალაქ ზეცისა.

ამის უკუე ესევითარისა მიერ გულსმოდგინე იქმს აწცა ასულთა იერუსალიმისათა[24] სძალი და მოიკსენებს სახიერებასა სიძისასა და იტყჳს, ვითარმედ: დაღაცათუ დაშავებული რაჲმე სული მიიღოს, შუენიერ-ჰყოფს მას ზიარებითა თჳსითა და დაღაცათუ საყოფელ ვინ[25]

---

19 მისცა B;
20 მოუწოდს C;
21 ტიროს C;
22 ჰრქუას C;
23 ტაროს C;
24 იერუსალიმისათა C;
25 ვინმე C;

1* I ტიმ. 1,13;
2* I ტიმ. 1,15;
3* ფსალმ. 86,5,6;

იყოს კედარისა, ნათლისა სამკუდრებელ იქმნების ჭეშმარიტისა მის სოლომონისი, რომელ არს მეუფე მშუდობისაჲ და იგი თავადი დაემკუდრების მის შორის.

ამისთუს იტყუს, ვითარმედ: *„შავ ვარ და შუენიერ, ასულნო იერუსალემისანო, რაჲთა სახისა მიერ ჩემისა თქუენცა იქმნნეთ კარავ სოლომონისა, დალათუ საყოფელ იყვნეთ კედარისა“.*[1*]

და მერმე შესძინებს თქუმულთა ამათ ზედა შემდგომსა მას, რომლისა მიერ განაკრძალებს სულსა მას და გონებასა მოწაფეთასა, რაჲთა არა შემოქმედსა მიაჩემონ მიზეზი დაბნელებულისა მის სახისაჲ, არამედ თითოეულისა[26] ნებასა, რომელი-იგი იქმნების დასა[82va]ბამ ესევითარისა სიშავისა.

და ეტყუს, ვითარმედ: *„ნუ მხედავთ მე, რამეთუ დაშავებულ ვარ“,*[2*] რამეთუ არა ესრეთ ვიყავ პირველ, რამეთუ არცა შეჰგვანდა ესე ნათელთა მათ ქელთა სალმრთოთა დაბადებასა, რაჲთამცა შავითა რაჲთმე და ბნელითა გამომსახა მე ფეროვნებითა. და იტყუს, ვითარმედ: არა ვიყავ ესევითარი, არამედ ვიქმენ, რამეთუ არა თუ ბუნებით ვიყავ დაშავებულ, არამედ შეხუდომით და გარეთ შემემთხუა მე ესევითარი ესე ბიწი, რამეთუ მზემან ბრწყინვალებისაგან სიშავედ შეცვალა ხატი ჩემი. და იტყუს, ვითარმედ: *„მზემან უგულებელს-მყო მე“.*[3*]

რასა უკუე ვისწავებთ ამის მიერ, ოდეს-იგი იგავით ეტყოდა უფალი ერსა თესვისათუს სიტყუსა?

არა ხოლო თუ კეთილისა გულისა თესვაჲ მოიკსენა, არამედ კლდოვნისაცა და ეკლოვნისა და გზისაგან დათრგუნვილისაჲ და ყოველთაე შორის კაცთმოყუარებისათუს დასთესა თესლი სიტყუსაჲ.[4*] და აღმოცენებისა რაჲ მათისა წესსა თარგმნიდა კლდის მსგავსისა მის სულისათუს, ესრეთ წარმოთქუა, ვითარმედ: არა სიღრმეთა შინა დაიბამს მის შორის დათესული იგი ძირთა, არამედ მყის აღმოცენებაჲ იგი ნაყოფიერებასა მოასწავებს, ხოლო უმკურვალესად რაჲ დააცხოს მზემან, ნოტიობაჲ იგი ძირთა მისთაჲ განქმების. და ამას ადგილსა მზე სახედ განსაცდელთა მოიკსენების.

---

26 თუთოეულისა B;

1* ქ.ქ. 1,5;
2* ქ.ქ. 1,6;
3* ქ.ქ. 1,6;
4* მთ. 13,18 და შდგ.

და ამასვე ძალსა გუასწავებს ჩუენ მოძღურებაჲ იგი სძლისაჲ,[27] ვითარმედ შეიქმნა კაცობრივი ბუნებაჲ ხატად ნათლისა მის ჭეშმარიტისა და განშორებულ იყო სიბნელისაგან და უშუერებისა და პირმშოჲსა მის ხატისა მსგავსებითა ელვარებითა ბრწყინვიდა; ხოლო განსაცდელმან შემწუველისა სიცხისამან ცთუნებისა საცთურითა დააჭნო, ვიდრეღა იგი უსრულ იყო და [82vb] ძირდაუბმელ პირველი იგი ჯეჯლი მისი და განაკმო ვიდრე მოგებადმდე წესისა რაჲსმე კეთილისა და გულისსიტყუათა მოღუაწებისა მიერ მიცემად ძალი ძირთა მათ და სიღრმედ შთაყვანებად, რამეთუ სახარულევანი იგი და მწუანისფერი ყუაილოვნებაჲ მისი და ჯეჯლი მასვე ჟამსა ურჩებისა სიცხითა განაკმო და დააშავა. ხოლო უკუეთუ მზესა წინააღმდგომისა განსაცდელად ეწოდების, ნუვის უცხო-უჩნნ, რამეთუ მრავალთა ადგილთა წერილისათა ვისწავებთ ამას.

რამეთუ მეორესა ფსალმუნსა აღსავალთასა ესრეთ იტყჳს მისთჳს, რომლისა-იგი შეწევნაჲ იქმნა უფლისა მიერ, ცათა და ქუეყანისა შემოქმედისა, რაჲთა არა შეიწუას იგი მზისა მიერ დღისი და წინაჲსწარმეტყუელი ესაია წესიერებისათჳს რაჲ ეკლესიისა წინაჲსწარმეტყუელებდა, სახითა შესხმისაჲთა გამოსწერს მოქალაქობისა მის ბრწყინვალებასა და განაშუენებს სიტყჳთა თჳსითა და იტყჳს მკრითა ასულთა[28] მოყვანებასა და ძეთა — ეტლებითა და გავალაკებითა საგრილობელითა, რაჲთა თანა-წარჰკადონ[29] სიცხე, რომელთა მიერ სახისმეტყუელებით სათნოდ ცხორებასა გამოსწერს.

რამეთუ სიჩჩოჲსა ჰასაკისა მიერ ახლად შობასა და უმანკოებასა წარმოაჩინებს, ხოლო საგრილთა მიერ მოღუაწებისა და სიწმიდისა მიერ ყოფადსა მას სიცხისაგან ვნებათაჲსა ნუგეშინისცემასა სულთასა მოასწავებს, რომელთა მიერ გულისკმა-ჳყოფთ,[30] ვითარმედ ჯერ-არს აღებაჲ მჯართა ზედა სულისაჲ მის, რომელი ღმრთისა სძალ იქმნებოდის, რაჲთა არა დაითრგუნოს ჯორცთაგან, არამედ რაჲთა ტჯრთულ იქმნეს[31] ჯორცთა გუამისა მიერ; ხოლო საგრილობელთა მიერ და ეტლთა მაღლთა [83ra] მათ სულისა წმიდისათა განეიცდით, რომელთა მიერ

27 სძლისა B;
28 სულთა B;
29 თანა-წარიკადონ C;
30 გულისხმა-ჳყოფთ C;
31 ჰყოს B;

ვიქმნებით შვილ ღმრთისა და არღარა ვსტკებნით მიწასა კუალითა ფერკთა ჩუენთაჲთა, არამედ მათ მიერ ზეცისა ცხორებად ავმაღლდებით.

ხოლო ჩრდილოვან და შეცურეულ იქმნების ცხორებაჲ ჩუენი, რაჟამ საგრილმან სათნოებათამან დაშრიტოს სიცხე ყოველთაე ვნებათა და გულისთქუმათაჲ.

ესრეთ უკუე იქმნების შეწუვაჲ[32] იგი მზისამიერი, რაჟამს არა დაეყენებოდის მის მიერ იგი სიმკურვალე ღრუბლითა სულისა წმიდისაჲთა, რომელი-იგი არა განჰმარტა უფალმან ესევითართა მათ ზედა საგრილად და მცველად და ესრეთ დაიწუვის მზისა მიერ, რომელ არს კუეთებაჲ განსაცდელთაჲ და დაშავდების და უშუერ იქმნების ბრწყინვალებაჲ იგი კორცთა ხატოვნებისაჲ.

და მერმე მიუთხრობს სძალი, ვინაჲ-იგი იქმნა დასაბამი შუენიერებისა ჩუენისა სიშავედ შეცვალებისაჲ, და იტყჳს, ვითარმედ: *„ძენი დედისა ჩემისანი მლალეიდეს მე და დამადგინეს მე მცველად ვენაკოვნისა; საკენაკე ჩემი არა დავიცევ“*.[1*]

მოგუპყრენით ჩუენ სასმენელნი და ნუ ფრიად გამოიკულევთ სიტყუათა შეწყობილებასა, არამედ შემდგომებაჲ ძალისაჲ განიცადეთ.

ხოლო უკუეთუ თარგმანებისაგან და შეწყობისა შეუნელებელ რაჲმე იყოს, უძლურებასა თარგმანთასა მიეჩემენ, რომელთა-იგი ებრაელებრისაგან ბერძულ თარგმნეს,[33] რამეთუ რომელთა-იგი გამოწულილვით უწყიან ებრაელთა ენისა სწავლულებაჲ, არარაჲ იპოვების[34] ესევითარი, რომელიმცა შეუზავებელ იყო, ხოლო ვინაჲთგან წესი სიტყჳსა და ენისა ჩუენისაჲ არა შეუდგების ებრაელთა ენისა შეწყობილებასა, გამოწულილვით მითხრობისათჳს შერეულებასა[35] რასმე სიტყუათასა[36] შემოიღებს მეტყუელებასა შინა.

[83rb] ხოლო ვითარ-იგი ჩუენ მივსწუეთით, ესევითარი არს ძალი წინამდებარეთა ამათ სიტყუათაჲ, რამეთუ დაიბადა კაცი დასაბამსა უნ-

---

32 შეწუა C;

33 ჰსთარგმნეს C;

34 იპოების C;

35 ბერძულებასა C;

36 სიტყუათასა] — C;

1* ქ.ქ. 1,6;

აკლულოდ ყოველთაევე საღმრთოთა კეთილთაგან, რომლისა საქმე იყო დაცვაჲ ხოლო, არა თუ მოგებაჲ[37] კეთილთაჲ; ხოლო მზაკუვარებამან მტერთამან განაშიშულა იგი კეთილთა მათგან, რომელნი მიეხუნეს, რამეთუ არა დაიცვა ღმრთისა მიერ ბუნებისა ჩუენისადა მიცემული იგი ბედნიერობაჲ.[38]

ძალი უკუე სიტყუათაჲ მათ ესე არს, ხოლო სახისმეტყუელებით თქუმისამიერი გულისკმის-ყოფაჲ ესრეთ გამოისახვის, ვითარცა იტყუს, ვითარმედ: *„ძენი დედისა ჩემისანი მლალვიდეს მე და დამადგინეს მე მცველად ვენაკოვნისა; საკენაკე ჩემი არა დავიცევ“.*

მცირედთა ამათ სიტყუათა მიერ დიდთა მოძღურებათა წინა-გუყოფს ჩუენ სიტყუაჲ ესე, ვითარცა-იგი დიდი პაველე განაჩინებს და იტყუს, ვითარმედ: *„ყოველივე ღმრთისა მიერ დაბადებულ არს“* და *ვითარმედ: „ერთ არს ღმერთი და მამაჲ, რომლისა მიერ არს ყოველი“* და *ვითარმედ: „არარაჲ არს არსთაგანი, რომელსა არა მისგან და მის მიერ აქუს არსებაჲ“*[1*] და რამეთუ: *„ყოველივე მის მიერ შეიქმნა და თჳნიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა“.*[2*] არამედ ვინაჲთგან ყოველივე, რაოდენიცა რაჲ შექმნა[39] ღმერთმან, კეთილ არს და კეთილ ფრიად, და რამეთუ ყოველივე სიბრძნით დაჰბადა, ხოლო მისცა სიტყუერსა ბუნებასა თუთმფლობელობისა მადლი და შესძინა[40] ძალი, მომპოვნებელი უმჯობესისაჲ, რაჲთა კელმწიფებასა ჩუენსა ქუეშე იყოს ქმნაჲ კეთილისაჲ და არა იძულებით და უნებლიეთ,[41] არამედ სათნოება ნებისა ჩუენისა და სიქველე თუთმფლობელობისა ჩუენისა, და ესე რაჲ თუთმპყრობელობისა თუთმფლობელობაჲ ნებასა ჩუენსა დაგუმტკიცებდა, იპოვა რაჲმე ბუნებასა შინა არსთასა, რომელმან-იგი ბოროტად იკუმია თუთმფლობელობაჲ თჳსი და, სიტყუსაებრ მოციქულისა, მომპოვნებელ ბოროტისა იქმნა, რომელი-იგი ღმრთისაგან დაბადებულებისათჳს ძმა არს ჩუენდა, ხოლო კეთილთა ზიარებისაგან [83va] ნებსით[42] განშორებისათჳს და

---

37 მოგონებაჲ B;
38 ბედნიერება BC;
39 შეჰქმნა C;
40 შეასძინა C;
41 უნებლიაჲთ B;
42 ნეფსით B (ყოველთჳის);

1* I. კორ. 8,6;
2* იხ. 1,3;

ბოროტთა მომპოვნებელობისა, რომელთა შემოსლვასა კარი განუღო და მამა ტყუვილისა იქმნა, თავი თჳსი მბრძოლად და წინააღმდგომად დააწესა ყოველთა, რომელთა აქუნდა ნებაჲ კეთილისაჲ მოპოვნებად უმჯობესისა.

ამისთჳს სხუათა მათცა მიმდგომთა მისთა კეთილთაგან გამოკუებისა იქმნა მიზეზ, რომელი-იგი ბუნებასაცა კაცთასა შეამთხჳა. ვინაჲცა ოდესმე შავი, ხოლო აწ შუენიერი, კეთილად შემოიხუამს მიზეზად ესევითარისა მის წყუდიადშემოსილისა ხატისა ესევითართა მათ ძეთა დედისათა და გუასწავებს ჩუენ თქუმულთა ამათ მიერ, ვითარმედ: ერთი არს ყოველთავე არსთა არსებისა მიზეზი, ვითარცა დედაჲ რაჲმე დამბადებელი იგი დაბადებულთაჲ, და ამისთჳს ძმა არიან ყოველნივე ურთიერთარს არსთა შორის მოგონებულნი, ხოლო განყოფილებამან ნებათამან სიყუარულად და მტერობად მი-მო-დაბძარა ბუნებაჲ.

რამეთუ რომელნი-იგი კეთილთა სიყუარულისაგან უცხო-იქმნეს და უმჯობესისაგან განდგომითა ბოროტი მოიპოვეს და რამეთუ არცა რაჲ არს სხუაჲ ბოროტისა არსებაჲ, არამედ განშორებაჲ კეთილისაჲ, ყოველსავე ღონესა და მოსწრაფებასა აჩუენებენ, რაჲთა სხუანიცა ბოროტისა ნებისა და გონებისა ზიარებად და მოპოვნებად მოსწრაფე ყვნენ.

და ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: *„ძენი დედისა ჩემისანი“*.[1*:43] და განმრავლებულად წარმოჩინებითა სიმრავლესა მას ბოროტთასა საანჯმნოჰყოფს და ვითარმედ: ბრძოლაჲ აღადგინეს ჩემ შორის, ესე იგი არს, ვითარმედ: არა თუ გარეთ მბრძვანან და გარეწარად, არამედ თჳთ იგი თავადი სული ბრძოლად თავისა თჳსისა აღჭურეს.

და რამეთუ [83vb] კაცად-კაცადისა შორის განწყობილ არს ბრძოლაჲ, ამისთჳს ცხადად თარგმნის[44] წმიდაჲ მოციქული და იტყჳს, ვითარმედ: *„ვხედავ[45] სხუასა შჯულსა ასოთა შინა ჩემთა, რომელი-იგი წინა-განეწყვების[46] შჯულსა მას გონებისა ჩემისასა და წარმტყუენავს შჯულითა მით ცოდვისაჲთა, რომელი არს ასოთა შინა ჩემთა“*[2*].

---

43 ჩ̃ნისანი C;

44 პსთარგმნის C;

45 ვპხედავ C;

46 წინა-განეწყობვის C;

1* ქ.ქ. 1,6;

2* რომ. 7,23;

ამის უკუე ტომითისა ბრძოლისაგან,[47] რომელი აღდგა ჩემ შორის ძმათაგან და მტერთა, ცხორებისა ჩემისათა დაშავებულ ვიქმენ, რამეთუ ვიძლიე მბრძოლთა ჩემთაგან და სავენაკე ჩემი არა დავიცევ.

ხოლო საენაკისა ამის მიერ სამოთხისა ჯერ-არს გულისკმისყოფად, რამეთუ მუნცა მცველად სამოთხისა დაადგინა[48] კაცი, ხოლო დაცვისა მის უდებებამან გამოჯადა იგი და დაამკუდრა დასავალით და განაშორა იგი აღმოსავალსა და ამისთჳს ჩანს[49] აღმოსავალი დასავალით, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„უგალობდით უფალსა, რომელი-იგი ამაღლდა დასავალით“*,[1*] რაჲთა ნათელი იგი, რომელი ბნელსა შინა გამობრწყინდა, შეცვალოს ნათლად ბნელი იგი და იქმნეს უშუერი იგი შუენიერი.

ხოლო საგონებელი იგი სიტყუათა შეუწყობლობაჲ გულისკმისყოფისა ამის მიერ, რომელი ვპოვეთ,[50] ესრეთ შესაძლებელ არს შეწყობად, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: დამადგინეს მე მცველად ვენაკოვნისა, რომელი-ესე შეეტყუების სიტყუასა მას, ვითარმედ *დადვეს იერუსალჱმი*[51] *ხილისსაცავად*.[2*] რამეთუ არა თუ მათ დაადგინეს იგი მცველად საღმრთოჲსა ვენაკისა, ვითარცა მარტივი სიტყუაჲ იხილვების, არამედ რომელმან-იგი დაადგინა, ღმერთი არს, ხოლო იგინი მლალველ ხოლო იქმნნეს მის შორის. და შექმნეს იგი, ვითარცა ხილისსაცავი შორის ლეღოვანსა და ვითარცა კარავი შორის საენაკისა; რამეთუ ვინაჲთგან მცველობისაგან სამოთხისა დააკლდა, ურჩებისა მიერ ურგებად და უკმრად სახილველად დაშთა, რომელსა შინა მცველი არა არნ.

და ვინაჲთგან დაადგინა კაცი საქმედ და დაცვად სამო[84ra]თხისა, ამისთჳს[52] იტყჳს სძალი, ვითარმედ: „რომელმან-იგი დადვა სული ჩემი ცხორებად“. და რამეთუ ცხორებაჲ იყო ფუფუნებაჲ იგი სამოთხისაჲ, რომლისა ქმნად და დაცვად დაადგინა ღმერთმან კაცი, ვინაჲ-იგი განკადეს იგი მტერთა მათ უკეთურთა და მიცვალეს შრომად ვენაკისა

---

47 ლალვისაგან C;
48 დაჲდგინა C;
49 ჰსჩანს C;
50 ვპპოვეთ BC;
51 იეროსალიმი C;
52 ამას C;

1* ფსალ. 67,5;
2* ფსალ. 78,1;

მის მათისა ბოროტისა, რომლისა ტევანი გამოსცემს სიმწარესა და ყურძენი — ნაღელსა.

ესევითარი ვენაკი იყო სოდომი და ესევითარი ტევნეული მოაქუნდა გომორსა, რომელი-იგი დაისაჯა სოდომსა თანა, რომელთა ღუნოჲ იყო გულისწყრომაჲ ვეშაპთაჲ[53] განუკურნებელი, რომელი-იგი გარდაეცა ბოროტთა მათ შინა საწნეხელთა სოდომისათა.

და ესევითართა მათ ვენაკთა მოღუაწედ და მცველად ვიდრე აქამომდეცა მრავალნი კაცთაგანი[54] იხილვებიან, რომელნი-იგი ყოველითავე მოსწრაფებითა ჰმარხვენ ვნებათა თავთა შორის თჳსთა, ვითარმცა ეშინოდა, ნუუკუე ბოროტი წარწყმიდონ.

არა ხედავ-ა ბოროტთა მათ მცველთა კერპთმსახურებისათა და უღმრთოებისა და უშჯულოებისა მუშაკთა? თუ ვითარ იღჯებენ საქუმილავსა მას შინა ბოროტთასა და დაჭირვებად და დაკლებად შეურაცხიეს ჯმნაჲ უშჯულოებისა მისგან? და ეგრეთვე სხუათა მათ ვნებათათჳს ესევითარიე სახე იხილვების, რომელთა-იგი სიღრმეთა შინა სულისა თჳსისათა შეუწყნარებიეს გულისთქუმაჲ და გემოვნებაჲ მათი, რომელ არიან ნაყროვნებაჲ და გემოთმოყუარებაჲ და ამპარტავნებაჲ და სილაღე ანუ თუ სხუაჲ რაჲმე ესევითარი, თუ ვითარ შეუკრძალვან და შეუცვან არაწმიდანი იგი ვნებანი და საცთურნი მათნი და შესაძინელად შეურაცხიეს, რაჲთა არაოდეს განწმიდნენ სულნი თჳსნი ესევითართა მათ ბოროტთაგან.

ამათთჳს [84rb] უკუე გოდებს სძალი და იტყჳს, ვითარმედ: ამისთჳს ვიქმენ შავ, ვინაჲთგან ღუარძლთა მტერისათა და ბოროტთა მათ მისთა ბაბილოთა ცვასა და ზრუნვასა შევაქციე გონებაჲ ჩემი და საუენაკე ჩემი არა დავიცევ.

ეჰა, რაბამსაღა ლმობიერებასა აღსძრავს მათ შორის, რომელნი გულისკმის-ყოფით აღმოიკითხვიდენ სიტყუასა ამას, ვითარმედ *„საუენაკე ჩემი არა დავიცევ“*.[1*] გლოვისა და გოდებისა მწარისა ნაცვალი არს კმაჲ ესე და ესევითარისა გოდებისაჲ, რომელმან-იგი სულთქუმანი წინაჲსწარმეტყუელთანი წყალობად და ლმობიერებად

---

53 ვეშაპთა C; + და რისხვაჲ ასპიტთაჲ განუკურნებელი BC; (δὶ ὧν ὁ τῶν δρακόντων θυμος PG 44, col. 800 A_2)

54 კაცთაგანნი BC;

1* ქ.ქ. 1,6;

მოიყვანნა და იტყოდეს: ვითარ იქმნა მეძავ ქალაქი სარწმუნოჲ სიონ, სავსე სიმართლითა და მშჯავრითა, ვითარ დაშთა ასული სიონისაჲ, ვითარცა კარავი ვენაკსა შინა; ვითარ დაშთა მარტოდ ქალაქი განმრავლებული ერითა და მთავარი სოფელთაჲ იქმნა მოხარკე; ვითარ განირყუნა ოქროჲ და უკმარ იქმნა ვეცხლი რჩეული და ვითარ იქმნა დაშავებულ, რომელი-იგი ჭეშმარიტითა ნათლითა ბრწყინვიდა[55] პირველად.

ვინაჲცა გოდებს სძალი და იტყუს, ვითარმედ: *„ამისთჳს შემემთხჳა მე ესე ყოველი, რამეთუ საენაკე ჩემი არა დავიცევ“*; ხოლო საენაკე არს უკუდავებაჲ და ღმრთისა მსგავსებაჲ და ყოველთაჲ[56] ბოროტთაგან უცხო-ყოფაჲ.

და ესევითარისა ამის ვენაკისა ნაყოფ არიან უბიწოებაჲ და სიწმიდე, ბრწყინვალენი ესე და შუენიერნი ტევანნი, რომელნი-იგი მზისფერ ჰყოფენ და დაატკბობენ საცნობელთა სულისათა; ხოლო მასკნე[57] დაუსრულებელისა ცხორებისა საკუთრებაჲ,[58] შეტკბობაჲ და რქა[59] და მწუერვალ აღორძინებულ — სათნოებათა სიმაღლე, სიმაღლესა ანგელოზთასა შემაერთებელ, ხოლო ფურცელ მოხარულ და მწუანე და მყუდროჲთა ნიავითა რტოთა ზედა ღიმილით მოძრავ — მრავალსახე იგი სათნოებათა [84va] სამკაული, რომელნი-იგი ორძიან მადლითა სულისაჲთა.

და იტყუს, ვითარმედ: ესე ყოველი მაქუნდა და საშუებელთა ესევითართა ამათ კეთილთაჲთა ებრწყინევდი, და რამეთუ არა დავიცევ საენაკე ჩემი, გლოვითა და წუხილითა დავშავდი. რამეთუ სიწმიდისაგან რაჲ დავეცი, სახე ესე წყუდიადი შეეიმოსე, რამეთუ ესევითარი არს სახე ტყავისა სამოსელთაჲ.

ხოლო აწ რამეთუ შემიყუარა მე სიწრფოებამან, ნათლისფერ და შუენიერ ვიქმენ. და მეშინის პატივისა ამისთჳს, ნუუკუე კუალად წარვიწყმიდო სიკეთე ესე უმეცრებითა განკრძალვისაჲთა. ვითარცა-იგი პირველ უკრძალველობითა კუებულ ვიქმენ და დავაკლდი ვერდაცვითა

---

55 ბრწყინავდა C;

56 ყოველთა BC;

57 მას საუკუნესა A (ὁ ἔλιξ 800 C_g).

58 საკუთრებაჲ] — BC (A-ში ჩამატებულია) (ἡ πρὸς τὴν αἰδιον ζωὴν περιπλοκή τε καὶ συμφυία κλήματα δεαύξανόμενα (PG 44, col. 800 C_g).

59 მრქუა C;

მისითა,[1*] ვინაჲცა დაუტევა ქალწულთა მიმართ სიტყუაჲ და კუალად ლოცვით ხადის სიძესა[60] და სახელად სასურველისა მის მისისა[61] მიმართ განკუთნილსა სიყუარულსა განაწესებს და იტყჳს: *„მითხარ მე, რომელი შეგიყუარა სულმან ჩემმან, სადა ჰმწყსი, სადა დაწჳნნი შუადღე? ნუუკუე ვიქმნე მე, ვითარცა ვინ გარე-მოიცავნ კოლტსა სხჳსასა?“*[2*] *„სადა ჰმწყსი, მწყემსი ეგე კეთილი, რომელი იტჳრთავ ბეჭთა ზედა ყოველსავე სამწყსოსა“* ?[3*]

რამეთუ ყოველივე კაცობრივი ბუნებაჲ ერთი ცხოვარი არს ძლიერებისა შენისა წინაშე,[62] რომელი აღიღე ბეჭთა შენთა ზედა; მიჩუენე მე ადგილი მწუანვილოვანი; მაუწყე მე წყალი განსასუენებელი; განმიყვანე მე განმპოხელად საძოვრად; მიწოდე მე სახელით, რაჲთა მესმეს მე, ცხოვარსა შენსა, ჴმაჲ შენი; და მომეც მე ჴმისა მიერ შენისა ცხორებაჲ საუკუნოჲ.

მითხრა მე, რომელი შეგიყუარა სულმან ჩემმან, რამეთუ ესრეთ სახელ-გდებ შენ, ვინაჲთგან სახელი შენი უვაღრეს არს ყოველთა სახელთაჲსა და ყოვლისავე სიტყჳერისა ბუნებისაგან და[84vb]უტევნელ და გამოუთქუმელ; ვინაჲცა სახელი, მაუწყებელი შენისა სახიერებისაჲ, არს სულისა ჩემისაჲ შენდა მიმართ სიყუარული; რამეთუ ვითარ არა შეგიყუარო შენ, რომელმან ესრეთ შემიყუარე მე, დაშავებული ესე და უშუერი,[4*] ვიდრეღა სული შენი დასდევ ცხოვართა შენთათჳს, რომელთა-იგი შენ აძოებ? და ამისა უფროჲსი სიყუარული არა მოიგონების, რაჲთამცა სული შენი დასდევ ცხორებისა ჩემისათჳს.

ვინაჲცა მასწავე მე, სადა ჰმწყსი, რაჲთა ვპოო საძოვარი იგი ცხორებისაჲ და განვძლე საზრდელითა მით ზეცისაჲთა, რომელი[63] უკუეთუ ვინმე არა ჭამოს, ვერ ძალ-უც შესლვად ცხორებასა.

---

60 ხადის სიძესა] ხადოს სიძისა C;

61 მისსა B;

62 ~ წინაშე შენისა C;

63 რომელი-იგი B;

1* C ხელნაწერში აკლია — „რამეთუ სიწმიდისაგან რაჲ დაეცი... დაცვითა მისითა.“ დატოვებულია შესაბამისი ადგილი;

2* ქ.ქ. 1,7;

3* მთ. 18,12;

4* უტევნელ და გამოუთქუმელ... ესე უშუერი] — C; დატოვებულია შესაბამისი ადგილი;

და მივისწრაფო შენდა უკუდავებისა წყაროჲსა და მოვიღო საღმრთოჲ სასუმელი, რომელსა-იგი შენ წყურიელთა აღმოუცენებ გუერდისა შენისა მდინარისაგან, რომლისა-იგი თუალი ლახუარმან განაპო, რომლისაგან უკუეთუ ვინმე სუას, იქმნეს იგი წყარო წყლისა ცხოველისა, რომელი ვიდოდის ცხორებად საუკუნოდ.

და უკუეთუ ესრეთ მმწყსიდე მე, უეჭუელად გან-ცა-მისუენო მე შუვადღე, რაჟამს-იგი მშუდობით მას ზედა დავწვე და დავიძინო უჩრდილოსა მას ნათელსა და განვისუენო, რამეთუ უჩრდილო არს შუვადღე. რაჟამს-იგი მზისთუალი თხემსა ზედა ყოველთა ბრწყინავნ ყოვლით კერძო, რომელსა-იგი შინა შენ მიერ დამწყსილთა მათ დააწვენ შენ და განუსუენებ, რაჟამს-იგი სწავლანი შენნი შეიწყნარნეს შენითურთ საწოლსა ზედა თჳსსა.

ხოლო არავინ ღირს-იქმნების განსუენებასა მას შუვადღისასა, უკუეთუ ძედ ნათლისა და ძედ დღისა არა იქმნეს და სწორებით არა იჯმნეს ბნელისაგან განთიადისა და მიმწუხრისა, ესე იგი არს დასაბამისაგან[64] და დასასრულისა ბოროტთაჲსა[65] [85ra] და რამეთუ ესევითარი-იგი მზისა მის მიერ სიმართლისა განსუენებულ იქმნების.

ვინაჲცა იტყჳს, ვითარმედ: მაუწყე მე, ვითარ ჯერ-არს განსუენებაჲ და მწყსაჲ და დაწვენაჲ და რაჲ არს გზაჲ და მიზეზი შუვადღისა განსუენებისაჲ? ნუუკუე კეთილისა ვინმე სწავლისაგან შეცთომილი მპოვოს მე და შემრთოს უცხოქმნილსა სამწყსოსა სამწყსოთა შენთაგან უმეცრებითა ჭეშმარიტებისაჲთა?

ესე თქუა შუენიერებისა მისთჳს, რომელი მოეცა მას ღმრთისა მიერ; და ზრუნავს და იღუწის და ეუედრების ცნობად, თუ ვითარ ეგოს შუენიერებაჲ იგი მის ზედა სამარადისოდ, გარნა ვიდრე აქამომდე არღა ღირსქმნილ არს სმენად ჴმასა სიძისასა, რამეთუ ღმერთმან უმჯობესი რაჲმე წინაჲსწარ განიგულა მისთჳს, რაჲთა მიმყოვრებითა მით განსუენებისაჲთა უვაღრესად სურვილად აღატყინოს გულისთქუმაჲ მისი და რაჲთა ერთბამად აღორძნდენ სურვილი და სიხარული მისი. არამედ მეგობარნი ვინმე სიძისანი ზრახვენ მისსა მიმართ და სახესა კეთილთა მათ მისთა დაცვისასა წესითა განზრახვისაჲთა მიუთხრობენ, ხოლო არს მათიცა იგი სიტყუაჲ დაფარულ გამოუცხადებელობითა, ესე იგი

64 დასაბამისა A;

65 დასასრულისა ბოროტთაჲსა] დასასრულსა ბოროტთასა C;

არს: *„უკუეთუ არა იცნა თავი შენი, კეთილო დედათა შორის, განელედ შენ კუალსა სამწყსოთასა და დამწყსენ თიკანნი შენნი საყოფელსა მწყემსთასა“*![1*]

სიტყუათა ამათ ძალი ცხად არს შემდგომებისაგან ზემოთქუმულთა სიტყუათაჲსა, ხოლო შეწყობილებაჲ რეცა შეუწყობელად საგონებელ არს.

და რაჲ-მე არს ძალი თქუმულთაჲ მათ?

უცთომელი და განკრძალული მცველი არს ჩუენი არა უმეცრებაჲ თავთა თჳსთაჲ და რაჲთა არა გარეშესა რასმე ვინმე ხედვიდეს და ჰგონებდეს, თუ თავსა თჳსსა ხედავს, რომელი-იგი შეემთხუევის თავთა თჳს[85rb]თა განუნახველთა, რაჟამს-იგი გინა ძლიერებასა, გინა სიკეთესა, გინა დიდებასა, გინა გონიერებასა, გინა სიმდიდრისა სივრცესა, გინა სილაღესა, გინა სიმაღლესა, გინა სიდიდესა კორცთასა, გინა შუენიერებასა გუამისასა და ჰაეროვნებასა ხატისასა და გინა თუ სხუასა რასმე ესევითარისა თავთა შორის თჳსთა ხედვიდენ და ჰგონებდენ, თუ თავთა თჳსთა ხედვენ.

ვინაჲცა ცთომილნი მცველნი არიან თავთა თჳსთანი, რომელნი-იგი უცხოთა საქმეთა სიყუარულითა თჳსთა მათ უგუნურებით შეურაცხჰყოფენ, რამეთუ ვითარ ვინ უძლოს შეკრძალვად, რომელი-იგი არა უწყოდის? და ამისთჳს ვიტყჳ, ვითარმედ უცთომელი მცველი არს კეთილთა ჩუენთაჲ თავთა თჳსთა არა უმეცრებაჲ და რაჲთა იცნას კაცად-კაცადმან თავი თჳსი, თუ რაჲ არს, და რაჲთა გულისკმისყოფით განარჩევდეს თავსა თჳსსა არა თჳსთა მათ საქმეთაგან, რაჲთა არა უგულისკმოდ სცვიდეს თავისა თჳსისა წილ უცხოთა.

რამეთუ რომელი სოფლისა ამის საცხორებელთა შემშჭუალულ[66] იყოს და საწუთროჲ რაჲმე პატიოსნებაჲ ღირსად კრძალულად დაცვისა შეერაცხოს, არა უწყის მან განრჩევაჲ თჳსთაჲ უცხოთაგან, რამეთუ არარაჲ არს ჩუენი წარმავალთაგანი და რამეთუ ვითარმცა ვინ უძლო დაპყრობად წარმავალთა ამათ და დაუდგრომელთა, ვინაჲთგან უკუე ერთი ხოლო არს სამარადისოდ ერთსა ზედა მდგომარე უხილავი იგი და უნივთოჲ ბუნებაჲ, ხოლო ნივთი წარვალს ცვალებითა რაჲთმე და დინებითა მარადის შეცვალებული.

---

66 შემსჭუალულ C (ყოველთჳს);

1* ქ.ქ. 1,8;

და ესე უცილობელ არს, რამეთუ რომელი მტკიცესა განეშოროს, იგი დაუდგრომელისადა შეყოფილ არს უეჭველად და მის თანა დის და იქცევის. და რომელი წარმავალსა ამას სდევდეს[67] და წარუვალი[68] იგი დაუტეოს, უეჭველად ორთაგანვე გამოეკუების, ერთსა [85va] მას – დატევებითა და მეორესა, რამეთუ დამჭირვაჲ შეუძლებელ არს. ამისთჳს ეტყჳს მეგობართა განზრახვაჲ სძალსა სიტყუათა ამათ, ვითარმედ: *„უკუეთუ არა იცნა თავი შენი, კეთილო დედათა შორის, განვედ შენ კუალსა სამწყსოთასა და დამწყსენ თიკანნი შენნი საყოფელსა მწყემსთასა“.*

ხოლო ესე ესევითარი არს, ვითარმედ: რომელმან თავი თჳსი ვერ იცნას, განვარდების იგი სამწყსოჲსაგან ცხოვართაჲსა და შეერთვის იგი კოლტსა თიკანთასა, რომელთა დგომაჲ უჯეროთა მათ თანა განეწესა. რამეთუ ესრეთ მწყემსმან მან კეთილმან ცხოვარნი დაადგინნა მარჯუენით, ხოლო თიკანთა მარცხენითი იგი ნაწილი განუჩინა და ამას ვისწავებთ სძლისა მიმართ განზრახვისა მისგან მეგობართაჲსა, ვითარმედ ჯერ-არს თჳთ მას ბუნებასა საქმეთასა განცდაჲ და არა ცთომილთა კუალთა მიერ ჭეშმარიტებისა ალაგთა პოვნისა[69] უცნებად. ხოლო ჯერ-არს, რაჲთა უცხადესადრე მიგითხრათ ამის პირისათჳს.

მრავალნი კაცთაგანნი არა ესრეთ გულისკმა-ჰყოფენ საქმეთა, ვითარ-იგი არს ბუნებაჲ საქმეთაჲ, არამედ ჩუეულებასა პირველწარსრულთასა მიხედვენ და მართლისა გულისკმის-ყოფისაგან საქმეთაჲსა შესცთებიან,[70] რამეთუ არა გონიერსა გულისსიტყუასა, არამედ ჩუეულებასა პირუტყულსა სამშჯავროდ[71] კეთილისა შემოიღებენ, ვინაჲცა მთავრობათა და კელმწიფებათა მოუგებენ თავთა თჳსთა და სოფლისა ამის წარჩინებულებასა და ნივთიერთა სიზრქეთა შესაძინელად შეჰრაცხენ, რომელთათჳს-იგი უცნაურ არს, თუ შემდგომად ამის ცხორებისა თითოეული მათი ვითარსა აღსასრულსა მიიწიოს.

რამეთუ მომავალთა საქმეთა არასარწ[85vb]მუნოჲ თავმსდები[72] არს ჩუეულებაჲ, რომლისა აღსასრული თიკანთა კოლტად იპოვების მრა-

---

67 პსდევდეს C;

68 წარუალი C;

69 პპოვნის C;

70 შეესცდებიან C;

71 სამსჯაროდ C (ყოველთჳის);

72 თაესდები C;

ვალგზის არა ცხოვართა; ხოლო სიტყუაჲ ესე[73] გულისკმა-ყავ სიტყუათაგან სახარებისათა.

ხოლო რომელი თჳსსა კაცობრივისა[74] ბუნებისასა[75] განიცდიდეს, რომელ არს სიტყუაჲ, მან პირუტყული ჩუეულებაჲ შეურაცხ-ყოს[76] და რომელი სულისა შესაძინელ არა იყოს, არარაჲ შეჰრაცხოს კეთილად.

ამისთჳს ვიტყჳ, ვითარმედ არა ჯერ-არს ხედვაჲ კუალსა საცხოვართასა, რომელნი მიწისაგანსა ცხორებასა კუალთა მიერ მოასწავებენ პირველწარვლილსა ცხორებისაგან განსრულთაჲსა[77], რამეთუ უცნაურ არს საჩინოჲსა მისგან უპატიოსნესისა გამორჩევაჲ, ვიდრემდის ცხორებისა ამისგან განვიდეთ და მაშინ გულისკმა-ვყოთ, თუ ვიეთ-იგი შეუდეგით.

აწ უკუე, რომელი არა თჳთ მათ საქმეთაგან ჰყოფდეს განრჩევასა კეთილისა და ბოროტისასა, არამედ კუალსა პირველწარვლილთასა შეუდგებოდის და გარდასრულისა ცხორებისა ჩუეულებასა მოძღურად თჳსისა ცხორებისა წარმოაჩინებდეს[78], ჟამსა მას მართლმსაჯულობისა ღმრთისასა ცხოვრისა წილ თიკნად იპოვების.

ვინაჲცა ესევითართა სიტყუათა ეტყჳან მეგობარნი, ვითარმედ: შენ, ჭ სულო, სიშავისაგან იქმენ შუენიერ და უკუეთუ გნებავს, რაჲთა საუკუნოდ ეგოს შენ თანა მადლი იგი შუენიერებისაჲ, ნუ სცთები[79] კუალთა მიერ უჯეროდ ცხორებულთაჲსა[80] და რომელთა-იგი პირველ განვლეს საწუთროჲ ესე, რამეთუ უცნაურ არს და უგზო კუალი თიკანთაჲ და უსრულ, რომელთა კუალსა უკუეთუ შეუდგე უმეცრებისათჳს და მიუწდომლობისა[81] კუალთა მათთაჲსა, გან-რაჲ-ხუდე ამის ცხორებისა[86ra] გან და შეიყენო ბაკსა სიკუდილისასა, ნუუკუე კოლტსა მას თიკანთასა შეერთო, რომელთა-იგი კუალსა უმეცრებით შეუდეგ საწუთროსა ამას შინა, რამეთუ უკუეთუ არა იცნა თავი შენი, კეთილო დედათა შორის,

---

73 ესე] +გულის B;
74 კაცობრივსა B;
75 ბუნებასა B;
76 ბეურაცხ-ჰყოს C;
77 განსრულთასა B;
78 წარმოაჩენდეს C;
79 პსცთები C;
80 ცხოვრებულთასა C;
81 მ[იუწ]დობლობისა A;

განვედ შენ კუალსა სამწყსოთასა და დამწყსენ თიკანნი შენნი საყოფელსა მწყემსთასა.

რომელი-ესე სხუამან ვინმე[82] თარგმანმან უცხადესადრე გამოაცხადა, რომლისა მიერ არცაღათუ შეუწყობლობაჲ სიტყუათაჲ იხილვების თქუმულთა[83] მათ შინა, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„უკუეთუ არა იცნა თავი შენი, კეთილო დედათა შორის, განვედ შენ კუალისაგან სამწყსოთაჲსა და დამწყსენ თიკანნი საყოფელთა წილ მწყემსთაჲსა“*, ვიდრეღა კეთილად მოეზავების სიტყუათა ამათ დაფარულებაჲცა ძალისა მათისაჲ ჩუენ მიერ აღწერილთა მათ სიტყუათა. აწ უკუე, რაჲთა არა შეგემთხჳოს ესე, ეკრძალე თავსა შენსა, რამეთუ ესე არს უცთომელი იგი მცველი კეთილთაჲ; გულისჴმა-ყავ, თუ რაბამ უმეტეს საცხოვართა და პირუტყუთაჲსა პატივცემულ ხარ შემოქმედისაგან შენისა.

რამეთუ არა თუ ცანი შეიქმნნეს ხატად ღმრთისა და არცა მზე და არცა მთოვარე და არცა შუენიერებაჲ ვარსკულავთაჲ და არცაღა სხუაჲ რაჲ დაბადებულთაგანი არარაჲ, არამედ შენ მხოლოჲ შეიქმენ ყოველთა დაბადებულთაგან ხატად და მსგავსად ყოველთა გონებათაგან ამაღლებულისა მის ბუნებისა და უხრწნელისა მის შუენიერებისა და ჭეშმარიტისა ღმრთეებისა ბეჭედ და ნეტარისა მის ცხორებისა სავანე და ღმრთივბრწყინვალისა მის ნათლისა შემწყნარებელ და სარკე, რომლისა მიმართ ხედევდი [86rb] და ეგრეთვე იქმენ, ვითარცა-იგი არს მობაძავ შენ შორის განბრწყინვებულისა მის კამკამებითა მით სიწმიდისა და უბიწოებისა შენისაჲთა.

რამეთუ არარაჲ არს ესრეთ დიდ არსთა შორის, რაჲთამცა სიდიდესა შენსა ესწორა, რამეთუ სივრცე ცათაჲ საღმრთოჲთა მტკაველითა განიზომების და ქუეყანაჲ და ზღუაჲ მჭელითა აღიწყივიან. არამედ ესოდენი იგი და ესევითარი, რომელსა ყოველნი დაბადებულნი ნებსა[84] შინა თჳსსა უპყრიან, ყოველითურთ შენ შორის დატევნულ იქმნების და შენ შორის დაემკჳდრების და არა შეიწრდების შენისა ბუნებისაგან, ვიდოდის რაჲ შენ შორის, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: *„დაეიმკჳდრო*

---

82 ვენმე A;

83 თქმულთა C;

84 ნებასა C;

და ვიდოდი მათ შორის“.[1*]

და უკუეთუ ამას ხედვიდე, არარას ქუეყანისაგანსა შეაქციო თუალი შენი. და რაჲ არს ესე, რომელსა ვიტყჳ, არამედ არცაღათუ ცაჲ აღგიჩნდეს საკჳრველად?

რამეთუ ვითარმცა განჰკჳრდი ცათათჳს, ჱ კაცო, რაჟამს თავსა თჳსა ხედვიდე უმტკიცეს ცათაჲსა, რამეთუ იგინი წარვლენ, ხოლო შენ მარადის არსისა მის თანა ჰგიე სამარადისოდ; ნუ გიკჳრნ შენ სივრცე ზღუათაჲ და ნუცა სიბრტყე ქუეყანისაჲ, რომელთა-იგი კელმწიფედ დაბადებულ ხარ, ვითარცა ორთა რათმე ეტლთა შეუღლვილთა მწყსად და რბევად, რომელნი-იგი ჰმორჩილობენ ნებასა შენსა და კელმწიფებასა შენსა ჰმონებენ.

რამეთუ ქუეყანაჲ საკმართა ცხორებისათა წინა-გიყოფს და ზღუაჲ, ვითარცა ჰუნე რაჲმე მორჩილი, ბეჭთა და ზურგთა თჳსსა მიგიპყრობს და სლვასა შენსა მის ზედა თავს-იდებს.

უკუეთუ იცნა თავი შენი, კეთილო დედათა შორის, ყოველივე სოფელი შეურაცხ-ჰყო და უნივთოთა კეთილთა სამარადისოდ განცდითა თანაწარჰკდე ცხორებისა ამის კუალთა საცთურებასა.

ვინაჲცა მარადის ეკრძალე თავსა შენსა და არა შესცდე შერთვად კოლტსა მას თიკანთასა, არცა იქმნა[85] თიკან ცხოერისა წილ ჟამსა მას საშჯელისასა,[86] არცა განჰვარდე მარჯუენით დგომისაგან,[87] [86va] არამედ გესმეს ტკბილი იგი და საწადელი კმაჲ, რომელ ეტყჳს მშჳდთა მათ და უმანკოთა ცხოვართა, ვითარმედ: *„მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკჳდრეთ განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი“*[2*] უწინარეს სოფლის დაბადებისა, რომლისა-იგი ჩუენცამცა ღირსქმნილ ვართ ქრისტე იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

---

85 იქმნე C;

86 სასჯელისასა C (ყოველთჳს);

87 მდგომისაგან C;

1* ლევიტ. 26,11-12;

2* მთ. 25,34;

ᲒᲠᲯᲚ III

სიტყუაჲ ესე:

1,9 ჰუნესა ჩემსა ეტლთა შორის ფარაოჲსთა გამსგავსე შენ, მახლობელო ჩემო.

1,10 რაბამ განშუენდეს ღაწუნი შენნი, ვითარცა გურიტისანი; ყელი შენი, ვითარცა მძივი დაცუმული.

1,11 ქმნულებასა ოქროჲსასა გამსგავსოთ შენ და წულილად დასხმულსა ვეცხლსა.

1,12 ვიდრემდის მოასხნეს მას კელნი მისნი მეფემან, ნარდიონმან ჩემმან გამოსცა სულნელებაჲ თჳსი.

1,13 შეკრული შტახსი — ძმისწული ჩემი ჩემდა — შორის ძუძუთა შენთა განისუენენ.

1,14 ტევანი გამობუტკოვის, ძმისწული ჩემი ჩემდა, შორის ვენაკოვანსა გაღისასა.

რაოდენიცა პირველ აწ აღმოკითხულისა ამის ქებისა ქებათაჲსა დასაბამსა შინა აღმოვიკითხეთ და გავნიხილეთ, მსგავს არს იგი ცისკრისა, რომელი შემდგომად ღამისა მოიწევის, რამეთუ არა თუ თავადი ნათელი არს იგი, არამედ დასაბამი ნათლისაჲ.

და თქუმულნიცა იგი ეგევითარნი არიან, რამეთუ აღმოსლვასა ჭეშმარიტისა ნათლისასა გუაუწყებენ ჩუენ, ხოლო ბრწყინვალებაჲ მზისაჲ არა აქუს მათ თავისა შორის თჳსისა გამოჩინებულად.

რამეთუ მათ შინა სძალი იტყჳს და მეგობარნი და ქალწულნი; ხოლო აწ თავადისა სიძისა კმაჲ, ვითარცა სიმრგულე და თუალი მზისაჲ, აღმობრწყინდების და თჳსთა შარავანდედთა ბრწყინვალებითა[1] დაჰფარაჳს ყოველსავე ბრწყინვალებასა ვარსკულავთასა და ნათელსა ცისკრისასა [86vb] და მათცა ყოველთა ზემოჴსენებულთა სიტყუათა განწმედისა რაჲსმე და პკურებისა[2] ძალი აქუს და მოძღურებაჲ, რომელთა მიერ განწმედილი სული საღმრთოთა მადლთა შემწყნარებელად განემზადების.

ხოლო აწ თქუმული ესე სიტყუაჲ თჳთ თავადისა ღმრთისა ზიარე-

---

1 მცხინვარებითა B;

2 პკურებისასა A;

ბასა წარმოაჩინებს, რომელსა-იგი სიტყუაჲ ღმრთისაჲ თჳსისა ბრძანებისა მიერ მისცემს[3] მსმენელსა და უხრწნელისა მის ძლიერებისა ზიარებასა ღირს-ჰყოფს.

და ვითარცა-იგი მთასა სინასა პირველ ორისა დღისა განემზადა ისრაელი[4] განწმედითა მით და მესამესა დღესა ღირს-იქმნა ხილვასა ღმრთისასა ცისკარს, რაჟამს-იგი არღარა რცხვასა სამოსელთასა შექცეულ იყო, არამედ ხილვასა და ზრახვასა ღმრთეებისასა, რომლისა-თჳს-იგი განიბანა მწიკული სულისაჲ პირველთა მათ მიერ განწმედათა, ეგრეთცა აწ ზემოთქუმულთა მათ ქებისა ქებათაჲსა[5] დაწყებაჲ ორთა ამათ თანა წარსრულთა დღეთა ესოდენ სარგებელ გუეყო, რაჲთა განვიბანნეთ და განვწმდეთ მათ შინა მწიკულისაგან კორცთაჲსა და გონებისა.

ხოლო თავადი იგი სიტყუაჲ ღმრთისაჲ დღეს, დღესა ამას მესამესა, შემდგომად პირველისა და მეორისა განწმედისა, გამოგუჩნდების ჩუენ არა არმურითა და ღრუბლითა და საყურთა[6] ოხრითა და ალითა ცეცხლისაჲთა, საშინელად აღტყინებულითა, რომელსა-იგი შეეცვა თხემი იგი მთისაჲ მის, და მოსლვისა[7] თჳსისა დიდებასა საანჯმნოჰყოფდა, არამედ ტკბილად და წყალობით საზარელისა მისგან ხილვისა სასძლოდ სიხარულად შეცვალებული.

რამეთუ ეუედრა რაჲ სძალი, რაჲთა ისწავნეს ადგილნი იგი გან[87ra] სასუენებელნი, რომელთა შინა მწყემსი იგი საბიერი იქცევის, რაჲთა არა უკეროჲ რაჲმე შეემთხჳოს უმეცრებისა მიერ, და მერმე მეგობართა რაჲ განკრძალული და ჭეშმარიტი სამშჯავროჲ წინა-უყვეს და აზრახეს, რაჲთა თავსა თჳსსა ეკრძალოს და თავი თჳსი იცნას, რამეთუ თავისა თჳსისა უმეცრებაჲ დასაბამად ყოველთა ვნებათა განაჩინეს და ვითარმედ რომელმან-იგი ვერ იცნას, იგი ვერცა რას სხუასა კეთილთაგანსა გულისჴმა-ჰყოფს, და ვინაჲთგან ამათ მიერ ჯეროვანი განწმედაჲ სულისა და გონებისა მისისაჲ იხილა, აღმოუბრწყინდების სიტყუაჲ მოსურნესა მას მისსა და მითუალვითა გულსმოდგინებისა მისისაჲთა უსრულესთა სათნოებათა მიმართ აღშჭურავს, რამეთუ ქვე-

3 მიჰსცემს C;
4 ისრაილი C;
5 ქებათასა C;
6 საყურითა C;
7 მოსლვასა C;

ლისსაქმეთა წარმართებულთა ქებაჲ უვაღრესსსა გულსმოდგინებასა მისცემს[8] კეთილისა მიმართ წარმატებად წარმატებულთა მათ.

და რაჲ-მე არს სიტყჳსა მის მიერ ჭეშმარიტისა ქალწულისა მიმართ აღმოთქუმული[9] სიტყუაჲ, ვითარმედ: *„ჰუნესა ჩემსა ეტლთა შორის ფარაოჲსთა გამსგავსე შენ, მახლობელო ჩემო?“*.[10]

ხოლო ვინაჲთგან მარტივად თქუმულისა ამის სიტყჳსა მიერ მის შორის დაფარული გონებაჲ და ძალი არა გულისკმა-იყოფების, რაოდენცა შესაძლებელ იყოს, გულსმოდგინედ და მოღუაწებით გამოძიებაჲ ჯერ-არს ძალისა მისისაჲ, რამეთუ სხუაჲ ძალი გჳსწავიეს წერილისა მიერ, რომელი-იგი წინა-განეწყო ჰუნესა მას ფარაოჲსსა, ესე იგი არს ღრუბელი და კუერთხი და ქარი იგი სასტიკი და უფსკრული, ორად განპებული, და სიღრმე განკმელი და ღელვათა ზღუდენი და უფსკრულთა ძირი, გან[87rb]შიშულებული წყალთაგან, და გზანი იგი უცხონი ზღუდეთა მათ შორის წყლისათა, რომელთა მიერ იქმნა კსნაჲ ისრაიტელთაჲ და ეტლებითურთ და მკედრებით და ყოველით ძალითურთ დანთქმაჲ და წარწყმედაჲ ფარაოჲსი.

აწ უკუე ვინაჲთგან არცა ერთი მკედრობისა ძალი ეკუეთა ფარაოს და ძალსა მას მეგუბტელთასა,[10] ძნიად გულისკმისსაყოფელ არს, თუ რომელსა ჰუნესა ეტლთა შორის ფარაოჲსთა გამოჩინებულსა, მომსრველსა მეგუბტელთა ეტლებისასა, მიემსგავსების აწ სძალი სიტყჳსა მიერ, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: ჰუნესა ჩემსა, რომელმან აღადგინა ძლევაჲ ეტლთა ფარაოჲსთაჲ, გამსგავსე შენ, მახლობელო ჩემო.

ანუ თუ ცხად არს და საჩინო, ვითარმედ ვითარცა-იგი არა ეგების ნავითმბრძოლთა ძლევაჲ თჳნიერ ნავით მბრძოლთა წინა-განწყობისა დაძლევისა და არცა მკედრობისა ძლევაჲ თჳნიერ აღჭურვილთა სპარაზენთა კუეთებისა, ეგრეთვე ვინაჲთგან სიმტკიცე მეგუბტელთა მკედრობისაჲ ცხენთა და ჰუნეთა მიერ იყო უხილავად მოწევნულსა მას ძლიერებასა, რომლისა მიერ იძლინეს და დაეცნეს ბანაკნი მათნი, ჰუნედ სახელ-სდვა[11] სიტყუამან.

---

8 მიპსცემს C;

9 აღთქმული C;

10 მეგუპტელთა C (ყოველთჳს);

11 სახელ-ჰსდვა C;

1• ქ.ქ. 1,9;

რამეთუ აგრძნეს მათცა მბრძოლი იგი მათი და იტყოდეს, ვითარმედ: უფალი ჰბრძავს მეგუბტელთა; და ვითარმედ: ვივლტოდით პირისაგან უფლისა.

და ესე ცხად არს, რამეთუ შემსგავსებულად აღჭურვისა მათისა ჭეშმარიტმან მან ერისმთავარმან თუსი იგი ძლიერებაჲ აღჭურვა, ვინაჲცა იყო რაჲმე უხილავი ძლიერებაჲ, რომელმან-იგი საკურველებათა მათ მიერ მეწამულისათა წარწყმედაჲ იგი მეგუბტელთაჲ აღასრულა, რომელიცა-იგი სახედ ჰუნისა გამოისახა, რომელ არიან ანგელოზთა მკედრობანი, რომლისათჳს იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი, ვითარმედ: *„აჰკედე[12] შენ ეტლთა შენთა ზედა და მკედრობაჲ შენი ცხორება არს“.*[1*] და კუალად დავით ეტლთა ღმრთისათა მოიკსენებს და იტყჳს, ვითარმედ: *„ეტლნი [87va] ღმრთისანი ბევრწილ არიან“*,[2*] რომელთა-იგი შეაუღლვენ ათასეულნი წარმმართებელნი.

და კუალად ძალი იგი, რომელმან წინაჲსწარმეტყუელი ელია[13] ეთერისა სიმაღლედ აღიყვანა, სახელად ცხენთა იწოდების წერილთა შინა და თჳთ მას წინაჲსწარმეტყუელისა ეტლად ისრაელისა[3*] და მკედრად მისა[14] უწოდს წერილი. და რომელნი-იგი მიმოვლენ ყოველსა სოფელსა, რომელთა მიერ დაყუდნების და განეგების ქუეყანაჲ, ცხენად სახელ-სდებს[15] ზაქარია წინაჲსწარმეტყუელი, შორის ორთა მთათა მდგომარისა მის კაცისა მიმართ მეტყუელად.[4*]

აწ უკუე უწყებულ არს, ვითარმედ არიან ცხენნიცა რაჲმე საღმრთონი, რომელთა-იგი წინაჲსწარმეტყუელი აღიყვანეს და რომელნი-იგი სოფელსა განაგებენ და რომელნი-იგი ეტლთა შეუღლვიან და სხუანი, რომელთა ზედა ღმერთი ამკედრდების[16] ცხორებისათჳს კაცთაჲსა და სხუაჲ, რომელი-იგი დაანთქამს ძალსა მეგუბტელთასა.

და ვინაჲთგან მრავალსახენი არიან საღმრთოთა ცხენთა მიერ აღ-

---

12 აკედე C;
13 ილია C;
14 მისსა;
15 სახელ-ჰსდებს C;
16 აღმკედრდეს BC;

1* ამბ. 3,8;
2* ფსალ. 67,18;
3* IV მეფ. 2,11-12;
4* ზაქ. 1,8;

სრულებულნი ძალნი, დამარღუეველსა მას ჰუნესა მეგუბტელთა ძალისასა მიემსგავსების სრბისა მიერ სათნოებათაჲსა მახლობელ ღმრთისა ქმნილი სული.

რამეთუ ესრეთ იტყჳს სიტყუაჲ მისა მიმართ, ვითარმედ: *„ცხენსა ჩემსა ეტლთა შორის ფარაოჲსთა გამსგავსე შენ, მახლობელო ჩემო“.* ხოლო სიტყუასა ამას მრავალნი და დიდნი ქებანი შეუკრებიან თავსა შორის თჳსსა და სათნოებათა მისთა მწყობრი არს მსგავსებაჲ ესე ჰუნისაჲ ამის, რამეთუ რაოდენიცა რაჲ მოიკსენების მწირობასა მას შინა და მონებასა მეგუპტელთასა ისრაელთა ზედა მოწეენული ბოროტი, და ეგრეთვე კუალად ძალნი იგი მაცხოვარნი მათნი ყოველნიეე შემკობისა სახენი არიან ეგეოითარისა მის სულისანი, რომელი ღმერთსა შეესაკუთროს.

ესე იგი არს მონებაჲ, წუელაჲ, თიკაჲ, ალიზი და ყოველივე საქმე ქუეყანისაჲ და ბოროტნი იგი ზედამდგომელნი [87vb] და მაწუეველნი, რომელნი-იგი მოჰქდიდეს მათ ხარკსა მას ალიზისასა, რომელთათჳს სისხლი წყლად შეიცვალა და ნათელი დაბნელდა და მყუართა მიერ სახლნი აღივსნეს და ღუელფი საკუმილისაჲ ფაქლსა გამომტკუფოლვარესა კორცთაგან აღმოადუღებდა და ყოველივე შემდგომითი შემდგომად — მკალი, ბუზჳ, მუმლი, ძაღლისმწერი და სეტყუაჲ, პირმშოთა იგი მოწყუედაჲ[17] და ესე და სხუაჲ ყოველი ესეეითარი და ძალნი იგი განსაკრთომელნი, რამეთუ არამცა მსგავსებულ იყო ძალსა მას მეგუბტელთა, ბოროტთა დამაქცეველსა, რომელთა მიერ იკსნა ისრაელი ბოროტისა მისგან მძლავრებისა მათისა, არა თუმცა წაემართა[18] ესე ყოველი დამარღუეველი ეგუპტისაჲ[19] და განმზადებელი ღმრთისა მიმართ მისლვისა მათთჳს, რომელნი-იგი შეიყვანებოდეს ქუეყანასა მას აღთქუმისასა მეგუბტურთა[20] ნიეთთაგან და თიკისა.

და ვინაჲთგან, სიტყუსაებრ მოციქულისა, *„ყოველივე სამოძღურებელად ჩუენდა დაიწერა“*,[1*] რაოდენიცა ღმრთივსულიერთა[21] წიგნთა

---

17 მოწყუედაჲ C;

18 წარემართა C;

19 ეგიპტისა C (ყოველთჳის);

20 მეგიპტურთა C (ყოველთჳის);

21 ღვთივსულიერი C;

1* I კორ. 10,11;

წერილ არს, სიტყუაჲ ესე, სძლისა მიმართ თქუმული, არარას განგუაზრახებს ჩუენ სხუასა, არამედ რაჲთა ჩუენცა შევიწყნაროთ ამკედრებაჲ[22] სიტყჳსაჲ მკართა ზედა სულისა ჩუენისათა და ცხენებსა მას და ეტლებსა ეგჳპტისასა მკედრებითურთ წინა-განვეწყნეთ და ყოველივე იგი ბოროტი და საეშმაკოჲ ძლიერებაჲ მათი წყალთა შინა სინანულისა და ემბაზისათა დავანთქათ.

ხოლო რაჲთა უცხადესადრე ვისწაოთ[23] თქუმული ესე, არა შესაძლებელ არს სხჳთა სახითა მსგავსებაჲ ჰუნისაჲ მის, რომლისა მიერ ეტლნი მეგჳპტელთანი დაინთქნეს, არა თუ წყლისა მის მიერ საიდუმლოჲსა [88ra] წინააღმდგომთა მონებისაგან განერნეს[24] და ყოველივე მეგჳპტური გონებაჲ და ყოველივე უცხოთესი სიბოროტე და ცოდვაჲ წყალთა შინა დაუტეოს და წმიდად აღმოკდეს და არარაჲ აქუნდეს მეგჳპტელთა გონებისა მწიკული, არცა რაჲ აღმოიტანოს შემდგომისა მის ცხორებისა შემამრღუეველად და შემაგინებელად.

რამეთუ რომელი ყოველთავე მათ მეგჳპტელთა წყლულებათაგან სრულებით და უნაკლულოდ განწმდეს, რომელ არს სისხლი და მყუარნი და ფაქლი და ბნელი და მკალი და ბუზჳ და სეტყუაჲ და ცეცხლისა წჳმაჲ და სხუანი იგი, რომელთა წიგნი მოიკსენებს, იგი ღირს-იქმნების მობაძავ-ყოფად ძალისა მის, რომელსა ზედა ამკედრდების სიტყუაჲ და, ვითარ ვჰგონებ, არა უმეცარ ვართ წყლულებათა მიერ მოსწავებულსა მას გონებასა, თუ ვითარ იქმნების მეგჳპტელთა სისხლი, წყლულება და მყუართა სიმყრალე და ნათლისა ბნელად შეცვალებაჲ და ყოველივე შემდგომითი შემდგომად.

რამეთუ ვინმცა არა უწყოდა, თუ ვითარისა ვინ ცხორებისა მიერ იქმნების წყლისა წილ სასუმლისა[25] სისხლად განმხრწნელად შეცვალებულ და თუ რომლისა საქმისა მიერ იქმნების თჳსსა სახლსა შინა მშობელ სიმყრალისა მყუართაჲსა, და თუ ვითარ შესცვალებს ცხორებასა ნათლისასა საქმეთა ბნელისა და წყუდიადისათა სიყუარულად, რომელთათჳს საკუმილი იგი გეჰენიისაჲ[26] ბოროტთა მათ დაშჯისა ნაკუერცხალთა გამომტკუფოლვარეთა აღაგზებს, ეგრეთვე და თითოეულ-

22 აღმკედრებაჲ C;
23 ვისწავოთ C;
24 განერეს B;
25 სასმლისა C;
26 გეენისა C;

თა[27] მათ ეგუბტისა ბოროტთა ადვილ არს შეცვალებაჲ სამოძღურებელად და განმაბრძნობელად და კეთილად ცხორებისა მასწავლელად მსმენელ[88rb]თა და რომელთაცა[28] ენებოს.

არამედ საჩინოთა და ცხადთა საქმეთათჳს განგრძელებაჲ სიტყჳსაჲ ნამეტნავ არს. ამათ უკუე და ესევითართა უვაღრეს თუ გამოვჩნდეთ[29] და ღმერთსა მივეახლნეთ, ჩუენცა გუესმეს უეჭველად, ვითარმედ: *„ჰუნესა ჩემსა ეტლთა შორის ფარაოჲსთა გამსგავსე შენ, მახლობელო ჩემო“.*

გარნა ნუუკუე წმიდისა და უბიწოჲსა ცხორებისა მოღუაწეთაგანს ვისმე მიმსგავსებაჲ ცხენისაჲ შეაწუხებდეს, ვინაჲთგან მრავალნი წინაჲსწარმეტყუელთაგანნი გუძაგებენ[30] ჩუენ მსგავსებასა ცხენისასა, რამეთუ იერემია მრუშებისა სიცბილითა სახელითა ცხენისაჲთა გამოსახავს და იტყჳს, ვითარმედ: *„იქმნნეს იგინი ცხენ მცბიერ მდრანჯობალ და კაცად-კაცადი მათი ცოლსა მოყუსისასა[31] შეჰკჳოდა“.*[1*]

ხოლო დიდი დავით უფიცხლესსარე[32] შერისხვასა განაჩინებს, უკუეთუ ვინმე ემსგავსოს უგულისკმობასა[33] ცხენისა და ჯორისასა და ჭიმითა და აღჳრითა ბრძანებს ქცევად ღაწუთა მათთა.[2*] ამისთჳსცა შემდგომთა მათ სიტყუათა მიერ ნუგეშინის-სცემს[34] ესევითარსა მას გონებასა და იტყჳს, ვითარმედ: დაღაცათუ ცხენად გიწოდე, არამედ არა ესევითარნი არიან ღაწუნი შენნი, ვითარმცა ეკმარებოდა მათ ჭიმი და აღჳრი საქცეველად, არამედ შენ სიწმიდისა შენისათჳს გურიტისა ღაწუნი განგაშუენებენ და ეტყჳს: *„რაბამ განშუენდეს ღაწუნი შენნი, ვითარცა გურიტისანი“.*[3*]

ხოლო წამებულ არს ესე მფრინველი ესევითარისა გამომეძიებელთა-

---

27 თჳთოეულთა C;
28 რომელთა BC;
29 გამოვსჩნდეთ;
30 გუბრძანებენ B (apagoreuousin PG 44, col. 813 D_3);
31 მოყუსისასა] + თჳსისასა B;
32 უფიცხესსარე B;
33 უგულისხმოებასა C;
34 ნუგეშინის-ჰსცემს C;

1* იერ. 5,8;
2* ფსალ. 31,9;
3* ქ.ქ. 1,10;

გან, ვითარმედ უკუეთუ მეუღლესა განეყოს, არღარა თავს-იდებს მიერითგან სხჳსა მეუღლისა ზიარებასა, რამეთუ სიწმიდისმოყუარებაჲ ესე ბუნებით დათესულ არს მის თანა. ვინაჲცა იგავითა მით ამის მფრინველისაჲთა ქებაჲ შეუთხზა სიტყუამან, რაჲთა აღჳრთა წინ იქმნეს[35] ღაწუთა მათ საღმრთოჲსა მის ჰუნისათა შემამკობელ მიმსგავსებაჲ გურიტი[88va]საჲ, რომლისა მიერ წმიდითა ცხორებითა განშუენებასა ესეეითარისა ჰუნისასა მოასწავებს, ამისთჳსცა განკჳრვებით იტყჳს მისა[36] მიმართ სიტყუასა ამას, ვითარმედ: *„რაბამ განშუენდეს ღაწუნი შენნი, ვითარცა გურიტისანი“*, და მეყსეულად სხუასაცა შესხმასა, შემსგავსებულისავე ამისსა, შესძინებს[37] და იტყჳს: *„ყელი შენი, ვითარცა მძივი დაცუმული“*!•

რამეთუ ვინაჲთგან ერთგზის კელ-ყო[38] იგავითა ქებათა, სახეთა მიერ ჰუნისათა შეუთხზავს სძალსა შესხმასა, რამეთუ აქებს ყელსა მისსა სახედ მძივთა და ფარელეთა განშუენებულსა, რომელი-იგი იხილვების კიცუთა ზედა ლაღთა და ქებულთა, რამეთუ მძივთა მოკსენებითა სიმრგულესა[39] და შუენიერებასა გამოჰსახავს, რომელი-იგი უშუენიერეს გამოაჩინებს სახესა მას და აგებულებასა კიცჳსასა.

არს უკუე სხუაჲცა სახე ყელისაჲ, რომელი-იგი ზღჳს კიდეთა იხილვების, რაჟამს-იგი კბოდე კმელისაჲ სახედ ყელისა სიღრმესა შინა ზღჳსასა მოიქცეოდის და მოდრკებოდის და ზღჳსა სიღრმესა წიაღთა თჳსთა შეიწყნარებდეს და მოქცევისა მის მიერ და ყელისსახედ მოდრეკილისა კბოდისა ქართა და ზღჳსა კუეთებასა უკუნ-აქცევდეს. და ესეეითარსა მას შესაველრებელ და საყუდელ ეწოდების, რომელი-იგი განუსუენებს ზღუასა ზედა მავალთა და ღელვაგუემულთა.

და ესეეითარსა მას ყელსა ოდესმე მძივსა დაცუმულსა მიამსგავსებს სიტყუაჲ და ოდესმე — შესაველრებელსა და საყუდელსა ღელვაგუემულთასა და დიდთა შესხმათა მიზეზ ექმნებიან სძალსა ორნივე ესენი სახენი, რამეთუ მედრეკანითა რაჲ და კეთილად გამოწერილითა ყელი-

35 ექმნეს C;
36 მისსა C;
37 შეასძინებს C;
38 კელ-ჰყო C;
39 სიმგრგულესა C;

1• ქ.ქ. 1,10;

თა მი-მო-იქცევდეს კიცჳ ქედსა თჳსსა, ფრთხილად განიცდის სლვასა ფერჴთა თჳსთასა და შეუბრკოლებელად [88vb] და უცთომელად რბის[40] სარბიელსა თჳსსა და არცა ქვასა წარსცემს ფერჴსა თჳსსა და არცა მთხრებლსა შთაიბნევის.

და ესე არამცირედი ქებაჲ არს სულისაჲ, რაჟამს თავსა თჳსსა განიცდიდეს და ყოველითა კრძალულებითა ღმრთისა მიმართ წარჰმართებდეს სრბასა თჳსსა და ყოველსავე განსაცდელთაგან მოწევნულსა შებრკოლებასა გარდაახლდებოდის და თანა-წარჰჴდებოდის და ზეშთაექმნებოდის.[41]

და მერმე კუალად თჳთ იგიცა პირველი სახელი მძივთაჲ სახისა თჳსისა მსგავსებითა, რომელი-იგი არს სამკაული ყელისაჲ და ფარღელად ეწოდების, დიდთა რათმე შესხმათა გარდამატებულებისა სახე არს, რაჟამს ყელი ემსგავსოს მძივთა.

და რაჲ-მე არიან შესხმანი იგი, სახეთა მათ მიერ ჩუენდა უწყებულნი?

ყოველნივე ზოგად წარმოვთქუნეთ, ხოლო პირველად ვთქუათ საყუდლისათჳს.

ტკბილ არს უკუე და მაცხოვარ მენაველთა ნავთსაყუდელი. და შემდგომად ზღუასა შინა ძჳრისხილვისა შესავედრებელსა რასმე მყუდროსა შეავედრებაჲ, რომელსა შინა დაივიწყიან ჭირნი იგი ზღუსანი და ყოველნივე განსუენებად მიიქცნიან[42] და გრძელთა მათ შრომათა მყუდროებითა ნუგეშინის-სციან,[43] რაჟამს იგი არღარა არს[44] მათ შორის შიში დანთქმისაჲ, არცა ქვათა მათ დაფარულთათჳს გონებაჲ, არცა ავაზაკთათჳს ურვაჲ, არცა ქართა კუეთებაჲ, არცა აღდგებაჲ სიღრმეთაჲ, არამედ ყოველთავე ესეეითართა ჭირთაგან თავისუფალ იქმნებიან ღელვაგუემულნი იგი, უფსკრულთა შინა ნავთსაყუდელსა რაჲ შეევედრნენ.

აწ უკუეთუ ვინმე სული თჳსი ესრეთ დააყუდოს, [89ra] რაჲთა თჳთცა მყუდროებასა შინა იყოს უღელვოსა და არცა სულთა მიერ ბოროტთა აღიძრვოდის და არცა ამპარტაჳნებისა მიერ აღშფოთნე-

---

40 ჰრბის C;

41 ზესთა-ექმნებოდის C (ყოველთჳის);

42 მიიქციან BC;

43 ნუგეშინის-იციან B;

44 არნ B;

ბოდის, არცა მრისხანებისა ღელვათა მიერ პეროოდის და არცა სხჳსა რაჲსმე ვნებისაგან[45] იღელვებოდის და მი-მო-იტაცებოდის ყოველისავე ქარისაგან, რომელნი-იგი პირად-პირადსა ოხრასა ვნებათასა აღსძრვიდენ და სხუათა მათცა, რომელნი-იგი უფსკრულსა შინა ცხორებისადა იღელვებოდინ, სამნაკეცთა მათ და პირად-პირადთა უკეთურებისა ღელვათა მიერ თავისა მიერ თჳსისა დააყუდებდეს და მყუდროსა[46] და უღელვოსა ცხორებასა სათნოებათა მიერ შეცვულსა[47] განუმარტებდეს, რაჲთა მას შინა შეევედრებულნი იგი უშიშ იქმნენ დანთქმისა ბოროტთაგან.

ესევითარი იგი კეთილად მიემსგავსების მძივთა დაცუმულთა[48] სიტყჳსა მიერ ქებათაჲსა, რომელნი-იგი მრავალთა მათ მძივთა მიერ პირად-პირადთა მათ სათნოებათა სისრულესა მოასწავებენ.

რამეთუ უკუეთუმცა ერთისა ხოლო მძივისა მიმსგავსებულ იყო, უსრულმცა ვიდრემე იყო ქებაჲ მისი, რაჟამს-იგი სხუათა მათცა სათნოებათათჳს არამცა აქუნდა იგივე წამებაჲ, ხოლო აწ მრავალთა მათ მძივთა მიმსგავსებაჲ ყოველთავე სათნოებათა წამებასა ერთბამად შემოჰკრებს სიტყუასა შინა თჳსსა.

და ესე არს ძალი მოძღურებისაჲ ამის, რამეთუ ზოგადსა განზრახვასა ჰყოფს გუამისა მიმართ ეკლესიისა[49] და იტყჳს, ვითარმედ არა ჯერ-არს ერთისა რაჲსმე სათნოებისა მოგებაჲ და სხუათა მათ უგულებელს-ყოფაჲ, არამედ უკუეთუ მოგიგიეს სიწმიდე და ვითარცა მარგალიტთა მიერ უბიწოჲთა ცხორებითა განაბრწყინ[89rb]ვებ ყელსა შენსა, მოიგენ სხუანიცა მძივნი, რომელთა შინა დაცუმულ[50] იყვნენ მცნებათა იგი ქვანი პატიოსანნი, რომელნი-იგი უფროჲს განაშუენებდენ სამკაულსა ყელისა შენისა.

და კუალად ნუცამცა ღმრთისმსახურებისა და მართლისა სარწმუნოებისა სამკაული მოაკლდების ქედსა ყელისა შენისასა, რამეთუ ესე არს მანიაკი იგი ოქროჲსაჲ, რომელი-იგი წმიდისა მის ღმრთისმსახურე-

45 ვენებისაგან A;
46 ყუდროსა B;
47 შეცურასა C;
48 დაცემულთა C;
49 ეკკლესიისა C (ყოველთჳის);
50 დაცეშულ C;

ბისა ოქროჲსაგან[51] შეიმზადების და ღმრთიებრწყინვალე ჰყოფს ყელსა, რომლისათჳს იტყჳს იგავთა შინა, ვითარმედ: *„გ̆რგ̆ნი მაჲლისაჲ დაიდგა თავსა შენსა და მანიაკი ოქროჲსაჲ ყელსა შენსა“*[1*]

მძიეთა მიერ უკუე განზრახვაჲ ესევითარი არს, ხოლო ამიერით-
5 გან ჟამი არს, რაჲთა შემდგომიცა იგი სიტყუაჲ შეესძინოთ თარგმანებითურთ, რომელსა-იგი მეგობარნი სიძისანი ქალწულისა მიმართ იტყჳან. ესე იგი არს: *„ქმნულებასა ოქროჲსასა გამსგავსოთ შენ და წულილად დაცუმულსა*[52] *ვეცხლსა, ვიდრემდის მოასხნეს მას*[53] *კელნი მეფემან“*[2*]

10 ხოლო ესე უკუეთუ ვინმე პირველთქუმულსა განხილვასა ჩუენსა განიცდიდეს, რეცა საგონებელ არს, თუ მოეზავების და შეუდგს შეწყობილებასა მათსა, ხოლო სიტყუანი ესე დაიფარვიან სახისმეტყუელებისა საბითა და ძნიად განსაგონებელ იქმნებიან იგავთა მიერ წარმოჩენისათჳს.

15 რამეთუ ვინაჲთგან შუენიერებაჲ სულისაჲ მეგუბტელთა ეტლებისა დამამკობელსა ჰუნესა მიემსგავსა, ესე იგი არს ანგელოზებრთა მკედრობათა, ხოლო ჰუნისა მისთჳს იტყჳს კეთილად ამკედრებული იგი მის ზედა, ვითარმედ აღურ მისსა არს სიწმიდე, რომელი-იგი გურიტისა ღაწუთა მიმსგავსებითა[54] მოასწავა და კუალად სამკაულად ყელი-
20 სა პირად-პირადთა მძიეთა სათნოებითა განბრწყინვებულთა სიკეთე გამოსახა.

ჰნებავს უკუე მეგობართაცა, რაჲთა სიკეთესა მას ჰუნისასა მათცა რაჲმე [89va] შუენიერებაჲ შესძინონ და მსგავსებისაგან ოქროჲსა შეამკობენ თავსა მისსა, რომელსა ზედა დააცუმენ სიწმიდესაცა ვეცხ-
25 ლისასა, რაჲთა უმეტეს ბრწყინვიდეს შუენიერებაჲ იგი სამკაულისაჲ მის, რაჟამს სისპეტაკე იგი ვეცხლისაჲ, ელვარებასა თანა ოქროჲსასა განრჩუნვილი, უმეტეს განაბრწყინვებდეს.

გარნა საჭირო არს, რაჲთა სახისმეტყუელებითნი სიტყუანი დაუტე-

---

51 ოქროსაგან C;

52 დაცემულსა C;

53 მას]- C;

54 მიმგზავსებითა C;

1* იგავ. 1,8-9;

2* ქ.ქ. 1,11-12;

ვნეთ და მარგებელისა გულისკმის-ყოფისაგან არა განვაშოროთ სიტყუაჲ ჩუენი.

ემსგავსა უკუე ეგევითარი იგი სათნოებათა მიერ განწმედილი სული ჰუნესა მას სამეუფოსა, არამედ წუთღა კელთ-უდებიეს მას სიტყუაჲ, არცა უტურთავს თავისა მიერ თჳსისა, რომელი-იგი აღმკედრდების ესევითართა ეტლთა და ჰუნეთა ზედა ცხორებისათჳს კაცთაჲსა.

პირველად უკუე ჯერ-არს, რაჲთა ყოვლით კერძო შეიმკოს ჰუნე და მერმე მეფისა აღმკედრებაჲ[55] შეიწყნაროს. ხოლო გინა თუ აღმკედრდეს მეფე[56] ეგევითარსა მას ჰუნესა ზედა და საცხორებელად ჩუენდა მკედრობდეს, გინა თუ დაემკჳდროს და ვიდოდის ჩუენ შორის და სიღრმეთა სულისა ჩუენისათა განანათლებდეს, არარაჲ იქმნების სახე განყოფილებისაჲ ძალისათჳს, რამეთუ რომელიცა იქმნეს ორთა ამათგანი, მის თანა სრულქმნილ არს ყოველივე, რამეთუ რაჟამს თავსა შორის თჳსსა დამკჳდრებულად აქუნდეს ღმერთი და გინა თუ ეტჯრთოს, ვითარცა ამკედრებული, ორივე ესე ნეტარ არს და გულისსათქუმელ და საწადელ!

ვინაჲცა ეგულების მეფესა[57] ჰუნისა მის ზედა განსუენებაჲ და, ვითარცა ვთქუთ,[58] დაჯდომაჲ და მიწოლაჲ და რომელიცა ორთაგანი იქმნეს ჩუენ შორის, სწორი მადლი არს, და ვინაჲთგან განმმზადებელნი[59] და მსახურნი [89vb] მეფისანი შემწყნარებელად მისდა შეჰმზადებენ[60] ჰუნესა მას და ამკედრებაჲ და დამკჳდრებაჲ საღმრთოჲ ორივე ერთ არს, დაუტევეს იგავით შემკობაჲ მისი განმმზადებელთა მათ და ჰუნესა მას ცხედრად უწოდეს და იტყჳან, ვითარმედ: ჯერ-არს ჩუენდა მსგავსებასა ოქროჲსასა შექმნაჲ წულილად პკურებულსა ვეცხლითა და ესრეთ განშუენებაჲ თავსა და შუბლსა ჰუნისასა, რაჲთა განისუენოს მის ზედა მეფემან არა დაჯდომით, არამედ მიწოლით.

სიტყჳსა უკუე შემდგომებასა ესევითარი აქუს შეწყობაჲ, ვითარცა ესერა სიტყუამან წარმოაჩინა, ხოლო ჯერ-არს, რაჲთა არა თანაწარვჰკდეთ გამოუძიებელად, თუ რაჲსათჳს არა თჳთ ოქროჲ შეიმზადე-

---

55 ამკედრებაჲ B;
56 მ˜ფე A;
57 მფ˜სა A; მეუფესა C;
58 ვსთქუთ C;
59 განმზადებულნი C;
60 შემზადებენ C;

ბის სამკაულად, არამედ მსგავსებაჲ ოქროჲსაჲ და არა თჳთ ვეცხლი, არამედ ნივთისა მისგან მსგავსებითა ოქროსაჲთა შემზადებულისა მის საპკურებელი.

ჩუენისა უკუე გულისკმის-ყოფისაებრ ესევითარი არს ძალი ამის სიტყჳსაჲ. ყოველივე მოძღურებაჲ გამოუთქუმელისა მის ბუნებისათჳს თქუმული, რაოდენცა ღმრთივბრწყინვალესა და მაღალსა ძალსა წარმოაჩინებდეს, მსგავსებაჲ არს ოქროჲსაჲ და არა თჳთ თავადი ოქროჲ, რამეთუ ვერ შესაძლებელ არს გამოწულილვით წარმოჩინებაჲ გონებათა აღმატებულისა მის კეთილისაჲ; დაღაცათუ პავლე იყოს, რომელსაიგი სამოთხეს ესმნეს უთქუმელნი იგი სიტყუანი,[1*] გამოუთქუმელადვე ჰგიეს საღმრთოჲსა მის ბუნებისა გულისკმის-ყოფაჲ, ვითარცა-იგი წამებს უთქუმელთა მათ მიერ სიტყუათა.

რამეთუ დაღაცათუ კეთილნი რაჲმე გულისსიტყუანი დასთესნენ გონებათა შინა ჩუენთა საღმრთოთა მათ საიდუმლოთა გულისკჳმის-ყოფად ბუნებისა [90ra] მისთჳს გამოუთქუმელისა, ვერარას ძალ-უც[61] წარმოთქუმად, რამეთუ ბრწყინვალებად დიდებისად და ხატად ძლიერებისად და ხატად ღმრთისად და სიტყუად დაუსაბამოდ და პირველითგანად და სიტყუად ღმრთისად და ღმერთად და ესე ყოველნი უხილავთა მათ საუნჯეთა ოქროდ შერაცხილ არიან ჩუენდა. ხოლო რომელთა ჭეშმარიტებისა განცდაჲ ძალ-უც, მათთჳს მსგავსებაჲ არს ოქროჲსაჲ და არა ოქროჲ, არამედ წულილად დაცუმულისა ვეცხლისა მიერ პკურებული. რამეთუ ვეცხლი ჭეშმარიტებისა სიტყუათა გამომსახველი არს, ვითარცა იტყჳს წერილი, ვითარმედ: *„ვეცხლ გამოკურკებულ არს ენაჲ მართლისაჲ“*[2*]

აწ უკუე ამათ მიერ უწყებული ესევითარი არს, ვითარმედ საღმრთოჲ ბუნებაჲ ყოველისაჲვე გონებათა მიწთომისაგან[62] ამაღლებულ არს, ხოლო მისთჳს ჩუენდა გამოცხადებული გულისკმის-ყოფაჲ მსგავსებაჲ არს საძიებელისა ამის. და არა თჳთ მას ხატსა წარმოაჩინებენ და სახილველ ჰყოფენ, რომელი-იგი არცა ვინ იხილა და არცა ხილვად შემძლებელ არს, არამედ სარკითა და სახითა

---

61 ძალ-უძს C (ყოველთჳის);

62 მიწდომისაგან B;

1* II კორ. 12,4;

2* იგავ. 10,20;.

არესა რასმე და მსგავსებასა საძიებელისასა გამოსწერენ გონებისა და იგავისა მიერ სულთა შინა ჩუენთა გამოსახულსა. და ყოველივე სიტყუაჲ, ესევითარისა ძალისა გამომსახველი, პკურებულისა რაჲსმე განმყოფელისა და წულილად დაცუმულისა ვეცხლისა ძალსა გამოაჩინებს.

რამეთუ რაჲ-იგი გონებასა ჰნებავს, ვერ ძალ-უც გამოცხადებად და ესრეთ ყოველივე გონებაჲ უძლურ არს და შეუძლებელ გულისკმის-ყოფად და განცდად საღმრთოჲსა ძლიერებისა.

და კუალად, ყოველივე თარგმანებაჲ სიტყუსაჲ წულილსა რასმე და უჩინოსა სახესა მიემსგავსების, რომელი-იგი ვერ შემძლებელ არს სივრცესა მას გონებისასა გამოცხადებად და მსახურებად; ვინაჲცა ესევითარ[90rb]თა გულისკმის-ყოფათა მიერ შეწევნული და განმტკიცებული სული მიუწთომელთა მათ განცდად და გამოუკულეველად[63] სარწმუნოებისა[64] მიერ ხოლო გულისკმა-ჰყოფს ბუნებასა მას უვაღრესსა ყოველთა გონებასა.

და ესე სიტყუანი არიან მეგობართა მიერ თქუმულნი, ვითარმედ: იგი გიქმნეთ შენ, სულო, რომელი-ეგე კეთილად მიემსგავსე ჰუნესა, სახენი რაჲმე და ხატნი ჭეშმარიტებისანი, რამეთუ ესევითარი ძალი აქუს ვეცხლისა მიერ გამოსახულთა მათ სიტყუათა, რაჲთა, ვითარცა ნაბერწყალთა მიერ, ნათელსა გულისკმის-ყოფისასა[65] გამოსცემდენ შეუძლებელსა გამოწულილვით გამომაცხადებელისა ძალისა და გონებისასა.

ხოლო შენ, უკუეთუ ესე შეიწყნარო, იქმნე მისსა[66] ჰუნე და სამკუდრებელ სარწმუნოებისა მიერ, რომელსა-იგი ეგულების შენ შორის მიწოლაჲ შენ თანა დამკუდრებისა მიერ, რამეთუ ტაძრადცა გამოშჩნდე[67] მისა და საყდრადცა.

და უკუეთუ ვინმე თქუას სული პავლესი და სხჳსა ვისმე მსგავსისა მისისაჲ ღირს ესევითართა სიტყუათა, არა სცთეს ჭეშმარიტებისაგან, *რამეთუ იქმნა იგი ჭურ რჩეულ და თაესაცა შორის თჳსსა აქუნდა უფალი და ეტჳრთაცა, რომელი-იგი ზე ქონებითა სახელისა მისისაჲთა*

---

63 გამოკულეველად C;

64 სარწმონოებისა A;

65 გულისსმის-ყოფისა C;

66 მისა BC;

67 გამოსჩნდე C;

წინაშე მეუფეთა და მთავართა ჰუნე იყო სამეუფო.[1•]

ხოლო რამეთუ არღარა იგი ცხოველ იყო, *არამედ ცხოველ იყო ქრისტე მის შორის მეტყუელისა ქრისტესსა,*[2•] ტაძარ განსასუენებელ გარეშეუწერელისა მის ბუნებისა იქმნებოდა.

ამას უკუე მეგობარნი სიძისანი წმიდასა მას და უბიწოსა სულსა ქალწულისასა მიანიჭებენ, *ესე იგი არიან სულნი მსახურნი და წარვლინებულნი მსახურად მათთჳს, რომელთა-იგი დაემკჳდრების ცხორებაჲ.*[3•] ვინაჲცა უსრულეს და უბრწყინვალეს იქმნების სძალი შეძინებითა მით მადლთაჲთა[68] და უმეტეს მიეახლების სასურველსა მას და პირველ სიკეთისა მისისა თუალთა მიერ განცდისა საყნოსელთა საცნობელისა მიერ [90va] საძიებელსა მას შეეხების და სულნელებასა მისსა საყნოსელისა მიერ განიცდის და აღიარებს ცნობასა მისსა ნელსაცხებელისა მის მიერ და მიჰრონისა,[69] რომელსა ნარდეონ ეწოდების, და ესევითარსა პასუხსა მიუგებს მეგობართა და ეტყვის: *„ნარდიონმან ჩემმან გამოსცა*[70] *სულნელებაჲ თჳსი“.*[4•] ესე იგი არს, ვითარმედ ვითარცა-იგი თქუენ არა თჳთ იგი თავადი ღმრთეებისა ოქროჲ, არამედ მსგავსებაჲ ჩუენ მიერ დასატევნელისა გულისკმის-ყოფისაჲ ოქროსა მიანიჭეთ და არა საჩინოჲთა გამოცხადებითა გამოაცხადეთ ბრწყინვალებაჲ მისი, არამედ უხილავითა რაჲთმე სიწლოჲთა[71] და სიტყჳერისა ვეცხლისა ნაბერწყალითა და ნაქლიბითა საზისმეტყუელებაჲ რაჲმე მოგუეცით საძიებელისაჲ მის, ეგრეთცა მე სულნელებისა[72] მისისა ყნოსაჲ შევიწყნარე.

ხოლო ესევითარი გონებაჲ აქუს თქუმულსა ამას, ვინაჲთგან მრავალთა და თითოსახეთა ნელსაცხებელთა სხჳსად და სხჳსა და განთჳსებულისა სულნელებისაგან კელოვანი რაჲმე და ზომითი შეზავებაჲ ესევითარსა მიჰრონსა შეჰმზადებს ერთსა რასმე ყუავილსა სულნელსა

---

68 მადლთაჲთაჲ A;

69 მირონისა C (ყოველთჳს);

70 გამოჰსცა C;

71 სიწულოჲთა B;

72 სულნელებისა] + მიერ მიჰრონისა ჩუენისა სუნნელებისა C;

1• საქმ. მოც. 9,15;

2• II კორ. 13,3;

3• ებრ. 1,14;

4• ქ.ქ. 1,12;

შემასულნელებელსა[73] მათსა, რომელსა ნარდიონ ეწოდების. ყოველსა მას პირად-პირადთა შეზავებულთა სულნელთა მიჰრონსა თჳსსა საბელსა მისცემს და ყოველთა მათ შენელებულთა ნელსაცხებელთა ერთად შეკრებული სულნელებაჲ სულნელებასა მას სიძისასა გამოსახავს, რომელსა-იგი იყნოს[74] განწმედილი იგი საცნობელი სულისაჲ.

და ამას გუასწავებს ჩუენ სიტყუათა ამათ ძალი, ვითარმედ იგი თავადი დამბადებელი დაბადებულთაჲ, რაჲცა-იგი არს ბუნებით, მიუწთომელ არს და აღმატებულ [90vb] ყოველთა მოგონებათაგან და განუხილველ და უსაზღვრო, ხოლო სიწმიდისა მიერ ჩუენ შორის საბედ ნელსაცხებელთა შეზავებული სათნოებითა მიჰრონისა[75] მის წილ გუექმნების ჩუენ სულნელება და სიწმიდითა მიემსგავსების ბუნებით წმიდასა მას და საბიერებითა — საბიერსა და უხრწნელებითა — უხრწნელსა და უცვალებლობითა — უცვალებელსა და ყოველთაცე სათნოებათა მიერ ჩუენ შორის აღსრულებულთა ჭეშმარიტსა მას სათნოებასა, რომლისათჳს იტყჳს ამბაკუმ[76] წინაჲსწარმეტყუელი დაფარვასა ცათასა[1*] ვინაჲცა სიტყუათა ამათ მიერ, რომელთა ეტყჳს მეგობართა სიძისათა სძალი, ვითარმედ: *„სულნელებასა მისსა ნარდიონი ჩემი მომანიჭებს მე“*, ესევითარსა სიბრძნესა გუასწავებს ჩუენ, ვითარმედ რომელმანცა ყოველივე ყუავილი სულნელი, გინა თუ ნელსაცხებელი პირად-პირადთა სათნოებისა სამოთხეთაგან მოწილოს და ყოველივე ცხორებაჲ თჳსი თითოეულთა[77] მოღუაწებათა და შრომათა მიერ ერთად სულნელებად და მიჰრონად შეჰმზადოს და ყოველით კერძო სრულიქმნეს და ვითარცა-იგი მზისთუალისა განცდად შეხედვისა მიერ არა აქუს ბუნებაჲ,[78] ეგრეთვე ღმრთისა სიტყჳსა მიხედვაჲ და განცდაჲ ულონო არს.

ხოლო ვითარცა-იგი მზესა თავთა მიერ თჳსთა და სარკისა მიერ ვიხილავთ, ეგრეთვე ჭეშმარიტისა მის და საღმრთოჲსა სათნოებისა

---

73 სურნელსა შემასურნებელსა B;

74 იყნოს C;

75 მირონსა C;

76 აბაკომ C;

77 თჳთეულთა B;

78 ბუნებასა A;

1* ამბ. 3,3;

ელვანი განწმედილსა[79] ცხორებასა[80] შარავანდედთა მათგან უვნებელობისათა განაბრწყინვებენ და უხილავსა მას სახილველ ჩუენდა ჰყოფენ და შესახებელ შეუხებელსა და სარკისა მიერ გონებათა ჩუენთასა განცდილ მზესა მას სიმართლისასა.

ხოლო ორივე ესე გულისკმის-საყოფელად ერთ არს, გინა თუ [91ra] შარავანდედად ვინ თქუას[81] მზისა, გინა თუ სათნოებათა ბრწყინვალებად, გინა თუ ნელსაცხებელთა სულნელებად.

რამეთუ რომელიცა-რაჲ ამათგანი ვყოთ პირ სიტყჳსა, ერთი გულისკმის-ყოფაჲ მოგუეცემის ყოველთა მათ მიერ, რომელ არს სათნოებათამიერი გულისკმის-ყოფაჲ, ყოველთა გონებათა უვაღრესისა[82] მის კეთილისა მიერ ჩუენდა მონიჭებული, ვითარცა-იგი იქმნების პირმშოჲსა ხატისა მიერ შუენიერებისა გულისკმის-ყოფაჲ და მიმსგავსებაჲ, ვითარცა-იგი იქმოდა სძალი იგი — წმიდაჲ სული პავლესი, რომელი სათნოებათა მიერ მიემსგავსებოდა სიძესა და ცხორებისა მიერ თჳსისა გამოსწერდა თავსა შორის თჳსსა უხრწნელსა მას შუენიერებასა და ნაყოფთა მათგან სულისათა სიყუარულისა, სიხარულისა და მშჳდობისა და სხუათა მათ ესევითართა ყუავილთაგან შეანელებდა ნელსაცხებელსა მას ნარდიონისასა და ქრისტეს სულნელებად იტყოდა თავსა თჳსსა და საღმრთოსა მას და ღმრთივბრწყინვალესა მადლსა სამეუფოსა თავსა შორის თჳსსა იყნოსდა.

და კუალად თავსა თჳსსა სხუათა მისცემდა, ვითარცა საკუმეველსა რასმე უსასყიდლოსა, რომლისა-იგი სულნელებაჲ კელმწიფებასა შინა მიმღებელთასა იყო განმასულნელებელ და განმაბრწყინვებელ ნებისაებრ კაცად-კაცადისა, რომელთა-იგი ანუ განაცხოველებდა, ანუ უკუეთუ მოაკუდინებდა.

რამეთუ უკუეთუ იგივე ნელსაცხებელი ჭიაფუნდურსა ვინ და ტრედსა შეახოს, არა ერთი საქმე იქმნების მის მიერ თითოეულსა[83] მათსა ზედა, არამედ ტრედი უფრთხილეს და უძლიერეს იქმნების სულნელებითა მით ნელსაცხებელისაჲთა, ხოლო ჭიაფუნდური განიხრწნების.

ეგრეთვე დიდი პავლე საღმრთოსა მას საკუმეველსა ყოველთავე

---

79 განწმედილისა C;

80 ცხოვრებისა C;

81 ჰსთქუა C;

82 უაღრესისა B (ყოველთჳს);

83 თჳთოეულსა BC;

წინა-უყოფდა და უკუეთუ ვინმე იყო ტრედი, ვითარცა ტიტე და სილოვანე და ტიმოთე, იყნოსდა სულნელებასა მას მიჰრ[91rb]ონისასა და წარემატებოდა ყოველთა შინა კეთილთა მიმსგავსებითა მისითა.

ხოლო უკუეთუ დემა ვინმე იყო ანუ ალექსანდრე, ანუ თუ ერმოგენი, ვერ თავს-იდებდეს ყნოსად საკუმეველსა მას მარხვისა და სიწმიდისასა და მსგავსად ჭიაფუნდურთა სულნელებისა მისგან იოტებოდეს.

ამისთჳსცა იტყოდა, რომელი-იგი ესევითართა მათ სულნელებათა ფშოდა, ვითარმედ: *„ქრისტეს სულნელებანი ვართ ცხორებულთა მათ შორის და წარწყმედულთა, რომელთამე — სულად სიკუდილითი-სიკუდილად და რომელთამე — სულად ცხორებითი-ცხორებად“.*[1*]

ხოლო უკუეთუ სახარებისა მასცა ნარდიონსა შეტყუებაჲ რაჲმე აქუს სასძლოჲსა ამის სულნელებისა თანა, რომელსა ენებოს აღწერილისა მისგან, გულისკმა-ყავნ, თუ რაჲ იყო *„ნარდიონი იგი სარწმუნოჲ მრაჳალსასყიდლისაჲ,*[84] *რომელი დაესხა თავსა უფლისასა და ყოველივე იგი სახლი აღავსო სულნელებითა“.*[2*]

და ვითარ ვჰგონებ, არა განყოფილ არს მიჰრონი მიჰრონისაგან, რომელი-იგი სძალსა სულნელებასა მას სიძისასა მიჰფენს და სახარებასა შინა თავსა უფლისასა დაესხმის და აღავსებს სახლსა მას სულნელებითა, რომელსა შინა ისერებდა უფალი.

რამეთუ ვითარ ვჰგონებ, წინაჲსწარმეტყუელებისა რაჲთმე სულითა წინაჲსწარ აუწყა დედაკაცმან მან საიდუმლოჲ იგი სიკუდილისაჲ, ვითარცა წამა უფალმან და თქუა, ვითარმედ: *„დასაფლავად ჩემდა ყო“.*[3*;85]

და სახლისა იგი სულნელებითა აღვსებაჲ ყოვლისა სოფლისა და ყოვლისა ქუეყანისა სულნელებისა სახე იყო, ვითარცა ბრძანა უფალმან, ვითარმედ: *„სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე ყოველსა სოფელსა, მის თანავე განითქუას სულნელებაჲ ესე მიჰრონისაჲ ამის და იქმნეს ესე საკსენებელად ამისა“.*[4*]

აწ უკუე, ვინაჲთგან ქებასა შინა ქებათასა ნარდიონი სულნელე-

---

84 მრაჳლისა სასყიდლისაჲ C;

85 ჰყო C;

1* II კორ. 2,15-16;
2* ინ. 12,3;
3* ინ. 12,7;
4* მთ. 26,13;

ბასა სიძისასა მიჰფენს სძალსა, ხოლო სახარებისამიერი იგი ყოველსავე გუამსა ეკლესიისასა ყოველსა შინა ქუეყანასა და ყოველსა შინა სოფელსა [91va] განასულნელებს, რომელმან-იგი მაშინ სახლი იგი აღაესო, ესრეთ ორთავე ამათ მიერ ერთი სულნელებაჲ მოესწავების და ზოგადი ერთობაჲ იპოვების.

ხოლო შემდგომი ესე სიტყუაჲ სასძლოსა შინა განსუენებისა პირსა მოასწავებს, ხოლო თარგმანებასა და ძალსა მისსა უვაღრესი და უსრულესი ფილოსოფოსობაჲ და სიბრძნისმეტყუელებაჲ შემოაქუს, რომლისა წარმართებაჲ სრულთა მიერ ხოლო შესაძლებელ არს, რამეთუ იტყჳს: *„შეკრული შტახსი, ძმისწული ჩემი ჩემდა, შორის ძუძუთა ჩემთა განისუენენ“*.[1*]

იტყჳან, ვითარმედ ესევითარი მოსწრაფებაჲ აქუს სოფლისმოყუარეთა დედათა, რაჲთა არა გარეშითა ხოლო გულებითა და განშუენებითა იქმნებოდინ[86] საწადელ და სასურველ თჳსთა მეუღლეთა, არამედ სხუასაცა ღონესა მოიპოვებენ და სულნელთა რათმე და ნელსაცხებელთა ცხებითა განსულნელდებიან,[87] რაჲთა უმეტეს მოიზიდონ სურვილი მათი და ნაკრაჲთა რათმე სულნელთა შინაგან სამოსელთა მათთა დაჰფარვენ, რომელნი-იგი ორთქლსა და სულნელებითა სავსეთა კუამლთა გამოსცემენ და ყოველსავე გუამსა განასულნელებენ.

ამისთჳს იტყჳს ყოვლადბრძენი ესე ქალწული, ვითარმედ: ჩემი შეკრული, რომლისა მიერ გუამსა განვასურნელებ, ქედისაგან შთამოვალს ვიდრე მკრდადმდე[88]. და არა არს იგი სხუაჲ რაჲმე სულნელთაგანი, არამედ თჳთ თავადი უფალი, რომელი-იგი იქმნა შტახსი, იგი ძეს ნაკრავსა შინა გონებისა ჩემისასა და იგი განისუენებს გულსა შინა ჩემსა, რამეთუ ადგილი, საყოფელი გულისაჲ, ძუძუთა შორის განწესებულ არს, ვითარცა იტყჳან, რომელთა გამოცდილებით უწყიან ესე, რომლისათჳს იტყჳს სძალი, ვითარმედ აქუს შეკრული თჳსი, სადა-იგი დაიუნჯებიან კეთილნი.

და კუალად იტყჳან, ვითარმედ „წყაროჲ მკურვალებისაჲ“, რომლისა

---

86 იქმნებოლიან BC;

87 განსურნელდებიან B;

88 მკერდამდე C;

1* ქ.ქ. 1,13;

მიერ [91vb] განეგების აგებულებაჲ გუამისა ჩუენისაჲ,[89] გული არს, სადაჲთ-იგი სახედ ნაკადულთა ძარღუთა მიერ და ნასხმანთა განეფინების მკურვალებაჲ და განეყოფის[90] ყოველსავე სივრცესა გუამისასა, რომლისა მიერ განტფებიან და განცხოველდებიან ყოველნივე ასონი გუამისანი,[91] ესე იგი არს, ცეცხლისა მის მიერ გულითაღისა.

აწ უკუე, რომელმან მთავარსა მას შინა გონებასა თჳსსა შეიწყნაროს სულნელებაჲ ღმრთისაჲ და გული თჳსი ნაკრავ ესევითარისა მის საკუმეველისა გამოაჩინოს, ყოველთავე ამის სოფლისა საქმეთა, ვითარცა ასოთა რათმე გუამისათა, გულსა შინა დამკუდრებულისა მის სულისა მიერ განატფობს და არცა ერთსა ასოთაგანსა განაგრილებს სიყუარულისა მისგან საღმრთოჲსა და არცა თავს-იდებს, რაჲთამცა მწიკულევანი რაჲმე და არაწმიდაჲ სულმყრალობაჲ რაჲმე შეახო საღმრთოსა მას სულნელებასა გულისსიტყუათა, გინა საქმეთა უჯეროთაჲ.

ხოლო ჩუენ შემდგომთა მათ სიტყუათა მიმართ მივიდეთ და ვისმინოთ, რასა-იგი იტყჳს ნაყოფიერი იგი ვენაჯი ნაყოფთა მათ თჳსთა, რომელნი-იგი ყოველთა მათ კიდეთა სახლისა ღმრთისათა განფენილ არიან და სიყუარულისა მწუერვალთა მიერ საღმრთოჲსა მის და უკუდავისა ცხორებისადა[92] დამოკიდებულ, რამეთუ იტყჳს:

„ტევანი გამობუტკოვის ძმისწული ჩემი ჩემდა შორის ვენაკოვანსა[93] გალისსა“.[1*] ვინ არს ესრეთ ნეტარ? და უფროჲსღა ვინ არს ესრეთ უვაღრეს ყოველისა ნეტარებისა, რომელიმცა თჳსსა ნაყოფსა ხედვიდა და ტევანსა მას შინა სულისა თჳსისასა ხედვიდამცა მეუფესა მას ვენაკისასა?

რამეთუ აჰა ესერა, რაბამ აღორძ[92ra]და, რომელმან-იგი თჳსსა ნარდიონსა შინა იცნა[94] სულნელებაჲ იგი მეუფისაჲ, რომელი-იგი შტახსად სულ ჰამოდ გამოიკრა იგი სჳნიდისსა[95] შინა და გულისა მიერ თჳსისა შეიცვა იგი, რაჲთა კეთილი იგი ნელსაცხებელი სამარადისოდ ეგოს მის თანა განულევნელად, საღმრთოჲსა მის ტევნისა დედა

---

89 ჩემისაჲ BC;

90 განეყოფეის C;

91 რომლისა მიერ... გუამისანი] — B;

92 ცხორებისა B, ცხოვრებისა C;

93 ვანაკოვნისა BC;

94 იცნნა C;

95 სინიდისსა C;

1* ქ.ქ. 1,14;

იქმნების, რომელი-იგი პირველ ვნებისა გამობუტკოვოდა, ესე იგი არს, ყუავოდა, ხოლო ჟამსა მას ვნებისასა აღმოაცენებდა ღუნოსა; რამეთუ ღუნოჲ იგი, რომელი გულთა ჩუენთა ახარებს, შემდგომად ვნებისა განგებულებისა სისხლ ყურძნისა[1*] იწოდა და იქმნა ჭეშმარიტებით.

და ვინაჲთგან მრჩობლ გულისკმა-იყოფების საშუებელი ტევნისაჲ, ერთი იგი ყუავილსა შინა იხილვების, რაჟამს ახარებდეს საცნობელსა საყნოსელთასა სულნელებითა, ხოლო მეორე იგი — სრულებასა შინა ნაყოფისასა, რაჟამს-იგი კელმწიფებაჲ მისცეს სიმწიფისა მიერ შუებად ჭამითა ანუ თუ სერობათა შინა განბრწყინვებად ღუნითა.

აქა სძალი წუთღა ყუავილოვანსა ტევანსა გამოიღებს და გამობუტკვილად აწღა ყუავილოვნებისაგან გამოსლვასა მისსა სახელ-სდებს.[96] რამეთუ ყრმაჲ იგი, რომელი იშვა ჩუენდა, ესე იგი არს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, შემწყნარებელთა შორის მისთა პირად-პირადად *„წარემატებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა და მადლითა“*,[2*] რამეთუ არა ყოველთა შორის სწორად იხილვების, არამედ საზომისაებრ, რომელსა შორის[97] შევიდეს და, ვითარცა-იგი შემწყნარებელსა მისსა, ძალ-ედვას დატევნად; და ამას გამოაჩინებს სიჩჩოებაჲ, წარმატებაჲ და სისრულე ბუნებისა მისებრ ტევნისა, რომელი-იგი ყოვლადვე არა ერთითა სახითა იხილვების ვენაკსა შორის, არამედ ჟამითი ჟამად შესცვალებს სახესა თჳსსა ყუავილად გამობუტკო[92rb]ვად და სიმწიფედ და ღუნოდ.

აღუთქუამს უკუე ვენაკი თჳსისა მიერ ნაყოფისა, რომელი-იგი არღა არს წუთ დასაწნებელად.[98] მოელის სრულებასა ჟამთასა, ხოლო შუებისათჳს არა უქმ არს, რამეთუ ჭამისა წილ სულნელებითა ახარებს საყნოსელთა და მოლოდებითა კეთილთაჲთა და სასოებისა სულნელებითა დაატკბობს საცნობელთა სულისათა.

რამეთუ უეჭველი იგი და სარწმუნოჲ სასოებაჲ მომავალთა მათ მადლთაჲ მოთმინებით მომლოდებელთა მათ ღმრთივბრწყინვალე საშუებელ ექმნების.

ეგრეთვე არს გამობუტკუილიცა იგი ტევანი, რამეთუ ღუნოსა აღ-

---

96 სახელ-სდებს C;

97 შინა C;

98 საწნებელ, არამედ C;

1* II შჯ. 32,14;

2* ლუკ. 2,52;

გუთქუამს, ხოლო წუთღა ღუნო არა ქმნილ არს, არამედ ყუავილისა მიერ, რომელ არს სასოებაჲ, ყოფადსა მას მადლსა სარწმუნო ჰყოფს, ხოლო ვითარმედ *„გადისასა შეძინებაჲ“* ქუეყანასა პოხილსა მოასწავებს, რომელსა შინა დასხმული ვენაკი ჰაეროვან და ტკბილ ჰყოფს ნაყოფსა თჳსსა, რამეთუ ესრეთ იტყჳან, რომელთა-იგი განუცდია ნაწილი იგი გადისაჲ, ვითარმედ: მომზავებელ არს იგი და მარჯუე აღზრდად ვენაკთა და ტევანთა.

ვინაჲცა რომელსა შჯულსა უფლისასა შეერთებულად აქუნდეს ნებაჲ თჳსი და დღე და ღამე იწურთიდეს მას, სამარადისოდ იქმნების იგი ხე სახარულევან, მარადის შუებულ, თანაწარსადინელსა წყალთასა განპოხებულ და ჟამსა თჳსსა გამომღებელ ნაყოფსა თჳსსა.

ეგრეთვე ვენაკიცა სიძისაჲ ადგილსა გადისასა, რომელ არს ადგილსა პოხილსა დანერგულ,[99] ესე იგი არს ღრმასა შინა გონებასა საღმრთოთა სწავლათა მიერ მორწყული და აღორძინებული, ყუავილშუენიერსა მას და მწიფესა ტევანსა გამოიღებს და რომელი-იგი მუშაკსა და დამნერგველსა თჳსსა განიცდიდეს, რაბამ ნეტარ არს ესევითარი იგი ნამუშაკევი, რომლისა ნაყოფი ხატებასა სიძისასა მიემსგავსების! [92va]

რამეთუ ვინაჲთგან იგი თავადი ნათელი არს ჭეშმარიტი და ცხორებაჲ ჭეშმარიტი და სიმართლე ჭეშმარიტი,[100] ვითარცა იტყჳს სიბრძნე, და სხუაჲ ყოველივე ესევითარი. და ოდეს ვინ საქმეთა მიერ თჳსთა მას მიემსგავსოს, რომელი-იგი ჭეშმარიტებით არს, ესევითარი იგი თჳსისა გონებისა ტევანსა განიცდის და თავადსა მას სიძესა მას შინა ხედავსა[101] განბრწყინვებულითა და შეუგინებელითა ცხორებითა და ნათელსა მას შორის ჭეშმარიტებისასა იხილვების.

ამისთჳს იტყჳს ვენაკი იგი ნაყოფიერი, ვითარმედ: ტევანი ჩემი, რომელი ყუავის და ბუტკოვის, თუთ იგი თავადი არს ტევანი ჭეშმარიტი, რომელი-იგი ძელსა მას ზედა ჯუარისადა დამოეკიდა, რომლისა-იგი სისხლი ცხოვნებულთა მათ და მოხარულთა სასუმელ და ცხოველსმყოფელ ექმნების, მისვე თავადისა ქრისტე იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

---

99 დანერგული C;

100 და სიმართლე ჭეშმარიტი] - C;

101 ხედაე C;

ᲒᲐᲮᲜᲐ IV

სიტყუაჲ ესე:

1,15. აჰა ეგერა, შუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო. აჰა ეგერა, შუენიერ ხარ. თუალნი შენნი ტრედ არიან.

1,16. აჰა ეგერა, კეთილ ხარ, ძმისწულო ჩემო, და შუენიერ; ცხედარსა ჩუენსა ზედა საგრიალი.

1,17. მოსელნი სახლისა ჩუენისანი — ნაძუსანი და მენაკნი[1] საროჲსანი.

2.1. მე — ყუავილი ველისაჲ და შროშანი ღელეთაჲ.

2.2. და ვითარცა შროშანი შორის ეკალთა, ესრეთ არს მახლობელი ჩემი შორის ასულთა.

2,3. ვითარცა ვაშლი შორის ხეთა მაღნარისათა,[2] ესრეთ არს ძმისწული ჩემი შორის ძეთა. საგრილსა ქუეშე მისსა, გულმან მითქუა და დავჯე;[3] და ნაყოფი მისი ტკბილ არს სასასა ჩემსა.

2,4. შემიყვანეთ მე სახლსა ღუინისასა; განაწესეთ ჩემ ზედა სიყუარული.

2,5. დამამტკიცეთ მე ნელსაცხებელთა მიერ. გარე-მომასხთ მე ვაშლი, რამეთუ დაწყლულ ვარ მე სიყუარულითა.

2,6. მარცხენე მისი თავსა ჩემსა ზედა და მარჯუენემან მისმან შემიწყნაროს მე.

2,7. გაფუცებ[4] თქუენ, ასულნო იერუსალჱმისანო, ძალთა და სიმტკიცეთა აგა[92vb]რაკისათა, უკუეთუ აღსდგეთ[5] და განაღჯოთ სიყუარული, ვიდრემდისცა ინებოს.

იტყჳან უკუე[6] მათთჳს, რომელნი ოქროსა ჴელოვნებით განსწმედენ. უკუეთუ განმრყუნელი რაჲმე ნივთი აღერიოს და დააბნელოს სიკეთე იგი ბრწყინვალებისა მისისაჲ, ვითარმედ ცეცხლისა მიერ განდნობითა განაშორებენ უშუერებასა მას და ამას არა ერთგზის იქმან, არამედ

---

1 მანაკი C;
2 მაღნართასა C;
3 დაუსჯედ C;
4 გაფუცე B;
5 აღჰსდგეთ C;
6 უკუე] — C;

მრავალგზის. და თითოეულსა განდნობასა[7] განიხილვენ, თუ რაოდენ იქმნა პირველისა მის სახისა უფეროვნეს ოქროჲ იგი შემდგომითი შემდგომად გამოდნობითა. და არა დასცხრებიან ბრძმედისა მიერ განწმედასა მავნებელისა მისგან ნივთისა, ვიდრემდის თჳთ მან სახემან ოქროჲსმან წამოს თავისა თჳსისა სიწმიდე და უმანკოებაჲ და ბრწყინვალებაჲ.

ხოლო რაჲ არს მიზეზი, რამეთუ აწ აღმოკითხულისა ამის განხილვადმდე ესე ვაკსენეთ, შემდგომთა სიტყუათაგან გულისკმა-ჰყოთ სიტყუათა ამათ ძალი.

ოქროჲსფერ და წმიდა იყო დასაბამსა კაცობრივი ბუნებაჲ და ბრწყინვიდა უხრწნელისა მის კეთილისა მსგავსებითა, არამედ აღრევითა სიბოროტისაჲთა განრყუნილ და დაშავებულ იქმნა. ამისსა[8] შემდგომად, ვითარცა დასაბამსა ქებათასა გუესმა სძლისაგან, ვითარმედ დაშავებულყო[9] იგი საცნაჯისა ცვისა სულმოკლებამან, რომლისა უშუერებისა განკურნებად ყოვლისავე სიბრძნით განმგებელმან ღმერთმან არა ახალი რაჲმე შუენიერებაჲ იკელოვნა მისთჳს, რომელი პირველ არა აქუნდა, არამედ პირველსავე მას მადლსა კუალად-აგო განდნობისა მიერ და ბრძმედისა ბოროტისა მის სიშავისა განლევითა და უხრწნელებად შეცვალა, ვითარცა-იგი იქმან კელოვანნი იგი ოქრომჭედელნი და შემდგომად პირველისა განდნობისა განიხილვენ, თუ რაოდენ წარემატა სიკეთე იგი ოქროჲსაჲ და რაოდენ განილია ბიწი იგი ცეცხლისა მიერ.

და კუალად მეორედ რაჲ განადნონ, უკ[93ra]უეთუ არა სრულქმნილ იყოს სიკეთე მისი, გულისკმა-ჰყოფენ და კუალად განადნობენ, ვიდრემდის სიმახჳლითა კელოვნებისაჲთა გამოცდილებისაგან იცნან კმასაყოფელი იგი ჰაეროვნებაჲ მისი.

ეგრეთვე აქა მოღუაწემან მან დაშავებულისა მის სულთა ოქროჲსამან წამალთა მათ მიერ საკურნებელთა, ვითარცა ბრძმედისა რაჲსმე მიერ, განწმიდა სული და განაბრწყინვა და ზემო კერძო ვითარცა აღმოვიკითხეთ, ჰუნისა რაჲსმე შუენიერებაჲ წამა მისთჳს.

ხოლო აწ, ვითარცა ქალწულისა შუენიერებასა, მიითუალავს

---

7 განდჳნასა C;

8 ამისა BC;

9 დაშავებულ-ჰყო C;

სიკეთესა და ჰაეროვნებასა მისსა და იტყჳს: *„აჰა ეგერა, შუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო. აჰა ეგერა, შუენიერ ხარ, თუალნი შენნი ტრედ არიან“*.[1•]

თქუმულთა ამათ მიერ ასწავებს სიტყუაჲ, ვითარმედ სიკეთისა მისისა დასაბამი და დაწყებაჲ ესე არს, რომელ წყაროჲსა მიერ კეთილთაჲსა[10] მახლობელ იქმნა, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: *„აჰა ეგერა, შუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო“*. ესე იგი არს, ვითარმედ: ამისთჳს არა იყავ პირველ შუენიერ, რამეთუ პირმშოჲსა მის შუენიერებისაგან უცხო-იქმენ და უკეთურისა მის სიბოროტისა მიახლებითა უშუერებად შეიცვალა.

და სიტყუაჲ ესე ესევითარი არს: ვინაჲთგან თჳთმფლობელად დაიბადა კაცობრივი ბუნებაჲ და ვინაჲ კერძოცა მიდრიკოს წამის-ყოფამან ნებისა თჳსისამან, მიერ კერძოცა შეიცვალების, რამეთუ მრისხანებისა რაჲ ვნებაჲ შეიწყნაროს, მრისხანე იქმნების და გულისთქუმაჲ რაჲ მძლე-ექმნეს, გემოთმოყუარებად მისდრეკს.

და ეგრეთვე შიში და უშიშოებაჲ და ყოველთაჲვე ვნებათა კუეთებაჲ თითოეულისა ვნებისა სახესა შეჰმოსს.[11] და ეგრეთვე სახედ კეთილნი საქმენი, ვითარ-იგი სულგრძელებაჲ და სიწმიდე[12] და მშჳდობაჲ და არა განრისხებაჲ და შეუწუხებლობაჲ და სიმკჳე და ახოვანებაჲ, ესე ყოველნი რაჲ თავსა შორის თჳსსა შეიწყნარნეს, თითოეულსა ამათ[93rb]განისა სახესა მოასწავებს დაწყნარებაჲ სულისაჲ და უშფოთველობაჲ და მყუდროებაჲ.

და ვინაჲთგან სათნოებისა და სიბოროტისა შუამდგომელი არარაჲ არს, არამედ ნებაჲ, ვერ ძალ-უც ორთავე ერთსა საქმესა ზედა ერთბამად შეკრებაჲ, რამეთუ რომელი სიწმიდესა განეშოროს, უეჭველად არაწმიდასა ცხორებასა შეიტკბობს. და რომელმან არაწმიდაჲ ცხორებაჲ მოიძაგოს, ბოროტისაგან მოქცევითა უბიწოებაჲ წარჰმართა[13] და ეგრეთვე სხუანი ყოველნი, რამეთუ მდაბალსა ამპარტავანებაჲ განუგდიეს და რომელმან სილაღითა თავი თჳსი აღაზუავოს, მას სიმდ-

---

10 კეთილთა B;

11 შემოსს C;

12 სიმტკიცე C;

13 წარმართა C;

1• ჭ.ჭ. 1,15;

აბლე განუშორებიეს.

და რად საკმარ არს თითოეულად წარმოთქუმაჲ, თუ ვითარ მჯდომთა ბუნებისათა ერთისა განშორებაჲ მეორისა დასაბამ და არსება იქმნების და ვინაჲთგან ესევითარი იყო ნებაჲ ჩუენი და კელმწიფებაჲ ჰქონდა, რაჲთა ვინაჲცა ინებოს, ეგრევითარიცა სახე შეიმოსოს. კეთილად ეტყუს სიტყუაჲ განშუენებულსა მას ქალწულსა, ვითარმედ: განშორებითა ბოროტისაჲთა მე მომეახლე. და მიეახლე რაჲ პირმშოსა მას სიკეთესა, შენცა[14] კეთილ იქმენ და ვითარცა სარკისა მიერ, მსგავსებითა ჩემითა განშუენდი.

რამეთუ ჭეშმარიტად სარკესა მსგავს არს კაცობრივი ბუნებაჲ თჳთმფლობელისა მისთჳს ნებისა და ვინაჲცა ენებოს, შეიცვალების. რამეთუ გინა თუ ოქროდ ინებოს შეცვალებაჲ, ოქრო იქმნების და ფეროვნებასა მას ნივთისასა სახისა მიერ საცნაურ-ჰყოფს; და გინა თუ უშუერსა რასმე ნივთსა ინებოს მიმსგავსებაჲ, მისსაცა მწიკულსა და საძაგელსა სახესა შეიმოსს, ესე იგი არს მყურისა და გოგოჲსა და გუელისსავარცხლისა და სხუათა მათ ესევითართა უშუერთა და საძაგელთა სახესა გამოსწერს თავსა შორის თჳსსა, უკუეთუ იგი დაიდვას მაგალითად.

ვინაჲცა ვინაჲთგან ბოროტი ზურგით დაიგდო[15] სულმან მან განწმედილმან, სიტყჳსა მიერ თუალი მზისაჲ შეიწყნარა თავსა შორის თჳსსა და მის შორის გამობრწყინვებულისა მის ნათლისა თანა განბრწყინდა.

ამისთჳს იტყჳს მისა მიმართ სიტყუაჲ [93va], ვითარმედ: აჰა ესერა, იქმენ შუენიერ, მიეახლე რაჲ ნათელსა ჩემსა და მიახლებისა მის მიერ ზიარებისა ჩემისა შუენიერებაჲ მიიზიდე.

„აჰა ეგერა,[16] შუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო“. ესრეთ მიხედნა რაჲ, და წარმატებულად და შეძინებულად შუენიერებითა იხილა სიკეთე მისი, კუალად იგივე სიტყუაჲ მოაქცია და ჰრქუა: *„აჰა ეგერა, შუენიერ ხარ“.* გარნა პირველსა მას შინა მახლობელად სახელ-სდვა, ხოლო აქა სახისაგან თუალთაჲსა საცნაურ-ყო და თქუა, ვითარმედ: *„თუალნი შენნი ტრედ არიან“.* პირველ, რაჟამს-

14 შენსაცა C;
15 დაიგდოს A;
16 ეგერა] + რა C;

იგი ჰუნესა ემსგავსა, ღაწუთა და ქედისა ქებაჲ შეიწყნარა, ხოლო აწ, რაჟამს თჳთ მისი შუენიერებაჲ გამოჩნდა, მადლი თუალთაჲ საქებელ იქმნა, ხოლო თუალთა ქებაჲ არს, ვითარმედ ტრედისანი არიან თუალნი შენნი, ხოლო ძალი სიტყჳსაჲ ამის ესევითარი არს:

ვინაჲთგან წმიდათა თუალთა გუგათა მიერ განიცდების მიმხედველთა მათთა პირი, ვითარცა იტყჳან ესევითართა საქმეთა გამოცდილნი, ვითარმედ: რომელმან მცხინვარეთა რათმე და ბრწყინვალეთა სახეთა მიხედოს,[17] ყოვლითურთ მათ შეემშჭუალვის.[18] რამეთუ ესრეთ აღასრულებს განცდასა თუალი, ამისითჳსცა სახედ შესხმისა თუალთაჲსა და შუენიერებისა ტრედად სახელ-სდებს მათ სიტყუაჲ.

რამეთუ ვითარსაცა ვინ სახესა მიხედნეს, მისსაცა მსგავსებასა შეიწყნარებს თავსა შორის თჳსსა, და რომელი ჴორცთა და სისხლთა არა განიცდიდეს, ეგევითარი-იგი სულიერსა ცხორებასა განიცდის, ვითარცა მოციქული იტყჳს, ვითარმედ: რომელი სულითა ცხოვნდებოდის, და სულითა ეგოს[1*] და ჴორცთა საქმესა მოაკუდინებდეს სულითა,[2*] ეგევითარი-იგი ყოველად ყოველითურთ სულიერ იქმნეს და არა მშჯნვიერ, არცა ჴორციელ.

და ესრეთ იწოდების ჴორციელისა სიყუარულისაგან განთავისუფლებული სული სახესა ტრედისასა თუალთა შინა ქონებად, რომელ არს ხატი სულიერისა ცხორებისაჲ,[19] თუალთა შინა სულისათა განბრწყინვებული; ვინაჲთგან უკუე იქმნა უბიწოჲ იგი თუალი მისი შემწყ[93vb]ნარებელ სახესა ტრედისასა, ამისთჳს შეუძლო განცდად შუენიერებასა მას სიძისასა.

რამეთუ აჰა ესერა, ესე არს პირველი მიხედვაჲ ქალწულისაჲ სიძისა მიმართ და აწ განიცდის სახესა მისსა და ჴმასა, რაჟამს მოიგნა თუალნი ტრედისანი და თჳთ თავადი იგი უმანკოებაჲ ტრედისა და სახისა მისისაჲ, *„რამეთუ ვერვის ძალ-უც თქუმად უფალი იესუ, გარნა სულითა წმიდითა“*[3*] და იტყჳს:

---

17 მიხედო C;

18 შეემსჭუალვის BC (ყოველთჳს);

19 ცხოვრებისა C;

1* გალატ. 5,25;

2* რომ. 8,13;

3* I კორ. 12,3;

„აჰა ეგერა, კეთილ ხარ, ძმისწულო ჩემო, და შუენიერ“,[1•] რამეთუ ვინაჲთგან სხუაჲ არარაჲ შემირაცხიეს კეთილად, არამედ ყოველივე, რომელი-იგი პირველ კეთილად საგონებელ იყო ჩემ მიერ, იგი ყოველი შეურაცხ-მიქმნიეს და არცალა კეთილისა გამორჩევაჲ შემაცთუნებს[20] მე, ვითარცა პირველ, რაჲთამცა შენსა გარეშე სხუაჲ რაჲმე ვჰგონე კეთილად და არცა ქებაჲ კაცობრივი და არცა დიდებაჲ და არცა წარჩინებულებაჲ და არცა მსოფლიოჲ ძლიერებაჲ. რამეთუ ესე ყოველი, რომელნი ხილულთა ამათდა შემშჭუალულ არიან, კეთილისა უცნებითა[21] ცხებულ არიან მათთჳს და არა თუ ეგრეთ არიან, ვითარი-იგი აოცნებენ.

რამეთუ ვითარმცა რაჲ იყო კეთილ, რომლისა-იგი არსებაჲ სრულიად უჩინო არს, რამეთუ ყოველთავე სოფლისა ამის პატიოსანთა სისუსტისაგან ხოლო და სიუცბისა მათისა, რომელთა აქუნდენ,[22] აქუს არსებაჲ და იგიცა უჩინოჲ და უგუამოჲ და ჭეშმარიტებისაგან უცხოჲ სრულიად.

ხოლო შენ ჭეშმარიტად ხარ კეთილ და არცა ხოლო თუ კეთილ, არამედ თჳთ იგი კეთილისა არსება, რომელი მარადის ხარ, ეგევითარი ხარ, ვითარი ხარ და არცა ჟამთა შინა აჰყუავდები[23] და არცა ჟამიერად განჰყრი ყუავილსა, არამედ დაუსრულებლობასა[24] ცხორებისასა უსაზღეროჲ იგი შუენიერებაჲ შენი შენ თანაჲვე აღემატების, რომლისა საბელი არს *კაცთმოყუარებაჲ, რომელი-ეგე*[25] *იუდაჲსგან აღმოგჳბრწყინდი.*[2•] ხოლო ერთი იგი იუდეანი ძმა არს წარმართთა, შენ მიერ შეკრებულთა, ვი[94ra]ნაცა ღმრთეებისა შენისა კორცითა გამოჩინებასა კეთილად უწოდს ძმისწულად მოსურნე ესე დიდებისა შენისაჲ.

და მერმე შესძინა და თქუა:[26] *„ცხედარსა ჩუენსა ზედა საგრილი“*,[3•]

---

20 შემაცთუნებს A;

21 ოცნებათა C;

22 აქუნდეს C;

23 აღყუავდები C;

24 დაუსრულებლობასა] + თანა BC; (τῇ ἀϊδιότητι τῆς ζωῆς PG 44 col. 836 B$_{11}$

25 რაჲთა-ეგე A („რ˜ა“ სხვა ხელითაა)

26 პსთქუა C;

1• ქ.ქ. 1,16;

2• ებრ. 7,14;

3• ქ.ქ. 1,16;

ესე იგი არს, ვითარმედ გიცან შენ, რაოდენ-იგი ძალ-უც[27] ცნობად კაცობრივსა ბუნებასა, რომელი-ეგე იქმენ ჩრდილოვან და საგრილ განკაცებისა განგებულებითა, რამეთუ მოხუედ შენ, კეთილი ეგე ძმისწული, და იქმენ ცხედრისა ჩუენისა საგრილ შუენიერ და ჩრ-
5 დილოვან; რამეთუ უკუეთუმცა შენ თჳთ არა დაგეჩრდილა თავი თჳსი და თუალთშეუდგამნი იგი ღმრთეებისა[28] შარავანდედნი არა დაგეფარნეს ხატითა მით მონებისაჲთა, ვინმცა დაუთმო გამოჩინებასა შენსა, *„რამეთუ არავინ არს, რომელმანმცა იხილა პირი ღმრთისაჲ და ცხონდა“*.[1*]
10 მოხუედ ჩუენდა, შუენიერი ეგე სიკეთითა, არამედ ესრეთ, ვითარ-იგი ძალ-გუედვა შეწყნარებად. მოხუედ და შარავანდედნი ღმრთეებისანი ჯორცთა შემოსითა დააჩრდილენ.

რამეთუ ვითარმცა დაეტია მოკუდავსა და უძლურსა ბუნებასა თუ-ალთშეუდგამისა მის და მიუახლებელისა[29] შეერთებისა შენისა შეყო-
15 ფაჲ, უკუეთუმცა ბნელსა და აჩრდილთა შინა მსხდომარეთა ამათ არა შუამდგომელ[30] ქმნილ იყო აჩრდილი იგი ჯორცთა შენთაჲ ნათლისა მისთჳს უსხეულოჲსა ღმრთეებისა შენისა.[31]

ხოლო ცხედრად უწოდს სძალი და თარგმნის[32] სახისმეტყუელებით კაცობრივისა ბუნებისა ღმრთეებისა შეზავებასა, ვითარცა-იგი დიდი
20 მოციქული მოგუათხოვებს[33] ჩუენ ქრისტესა ქალწულად წმიდად და ეზოჲსმოძღუარ ექმნების სულსა და ორთავე ერთად შეერთებასა და ერთჯორც ქმნასა დიდად საიდუმლოდ სახელ-სდებს და ქრისტეს და ეკლესიისა შეერთებასა ზედა სრულ-ჰყოფს სიტყუასა თჳსსა, რამეთუ თქუა რაჲ, ვითარმედ: *„იყვნ[94rb]ენ ორნივე ერთჯორც“*,[2*] მეყსეულად
25 შესძინა, ვითარმედ: *„საიდუმლოჲ ესე დიდ არს, ხოლო მე ვიტყჳ*

---

27 ძალ-უძს C;
28 მღ˜თაებისა C;
29 მიუთხრობელისა C;
30 შუამდგომელ C;
31 ღმრთეებისა შენისა] ღ˜თაებასა C;
32 ჰსთარგმნის C;
33 მოგუათხრობს C;

1* გამოსლ. 33,20;
2* ეფეს. 5,31;

ქრისტესთჳს და ეკლესიისათჳს“.[1*]

და ეგრეთვე სულმან მან ქალწულმან საიდუმლოსა მას ცხედრად სახელ-სდვა, რომელ არს საღმრთოჲ ზიარებაჲ და ამისა[34] ქმნაჲ სხუებრ შეუძლებელ იყო, არა თუმცა კორცთა საგრილითა მოსრულ იყო ჩუენდა უფალი, რომელი-იგი არა ხოლო თუ სიძე არს, არამედ მაშენებელცა.

რამეთუ მან თავადმან სახლიცა იხუროვნა ჩუენ შორის და ნივთცა ხუროვნობისა მის იქმნა და სართულსა მას ნაშენებისასა აღაშენებს და ნივთთა მიერ ულპოლველთა შეამკობს ნაშენებსა მას.

რამეთუ ესევითარნი არიან საროჲ და ნაძუ და ძალი იგი სიმაგრისა მათისაჲ ყოელისაეე დალპოლეისა უვაღრეს არს, რომელსა ვერცა ჟამნი ერევიან, ვერცა მღილნი განჰრყუნიან, ვერცა მჭამელნი განჰხრწნიან[35] და ამათგანნი ნაძუსანი იგი სივრცესა სახლისასა შეამტკიცებენ. ხოლო საროჲსანი სახელითა მით მენაკთაჲთა შინაგან ნაშენებისა[36] შენებულსა მას მოსხმისა მიერ განაშუენებენ. ხოლო სიტყუაჲ იგი მათი ესევითარი არს: *„მოსელნი სახლისა ჩუენისანი ნაძუსანი და მენაკნი ჩუენნი საროჲსანი“.*[2*]

ხოლო ხეთა ამათ მიერ უწყებული სახე ცხად არს და საჩინო მათთჳს, რომელნი ძალსა სიტყუათა შეწყობისასა[37] გულისკმა-ჰყოფდენ.[38] წუმად სახელ-სდებს[39] მრავალფერთა მათ განსაცდელთა კუეთებასა სახარებასა შინა უფალი და იტყჳს: რომელმან-იგი სახლი თჳსი კეთილად აღაშენა კლდესა ზედა, ვითარმედ: გარდამოჴდა წუმაჲ და ქროლეს ქარნი და აღდგეს მდინარენი და კუეთებისა მათისაგან უვნებელად ეგო სახლი იგი.[3*]

ამის უკუე ბოროტთა წუმისათჳს[40] საკმარ არიან ჩუენდა ესევითარ-

---

34 ამისი C;
35 განხრწნიან BC;
36 ნაშენებისა] + მის C;
37 შეწყობილობისასა C;
38 გულისხმა-ჰყოფენ C;
39 სახელს-სდებს C;
40 წუმისაგან C;

1* ეფეს. 5,32;
2* ქ.ქ. 1,17;
3* მთ. 7,24-27;

ნი ესე მოსელნი, რომელ არიან სათნოებანი, რომელნი განსაცდელთა დინებასა თავთა შორის თჳსთა არა შეიწყნარებენ სიმტკიცისათჳს და სიმაგრისა მათისა და ბოროტთაგან ჴელთუსხმელად განსაცდელთა [94va] შინა შთავრდომილთა განარინებენ.

და უკუეთუ გუენებოს, უცხადესადრე ვისწავოთ სიტყუაჲ ესე ეკლესიასტესა შინა, რამეთუ მუნ იტყჳს, ვითარმედ: *„სიცონილითა დამდაბლდეს ნაშენები და უქმობითა ჴელთაჲთა წუთოდიან სახლნი“*.[1*]

რამეთუ ვითარცა-იგი უკუეთუ უძლურ იყვნენ და წულილ შეშანი იგი, მტჳრთველნი სართულისანი, და მცონარ აღშენებად მისდა სახლისა უფალი, არარაჲ ერგების მას სართულისა მისთჳს, რაჟამს წუეთთა მიერ შთაუდიოდის მას წჳმაჲ და დაალტობდეს, რამეთუ სიმძიმისაგან წჳმისა და მიწისა იძულებით შთადრკების სართული იგი და უძლურებაჲ იგი შეშათაჲ მათ ვერ წინა-აღუდგების, ვერცა იტჳრთავს სიმძიმესა მას სართულისასა, ვინაჲცა შთასტყდების და შთადრეკილსა მას შინა შეკრებული იგი წყალი იქმნების მშობელ წუეთთა სიმძაფრისა და წუეთნი იგი, სიტყჳსაებრ იგავთაჲსა, განაძებენ კაცსა სახლისა მისგან დღესა წჳმისასა.[2*]

და ესრეთ იგავთა სახისმეტყუელებისა მიერ გუბრძანებს ჩუენ, რაჲთა სათნოებათა სიმტკიცითა შთაუდრეკელ ვიყვნეთ განსაცდელთა სიმძიმისაგან, ნუუკუე შთავსტყდეთ[41] ვნებათა კუეთებისაგან და ესევითართა მათ ღუართა ნაწუეთნი შევიწყნარნეთ სიღრმეთა შინა სულისა ჩუენისათა და განვხრწნეთ საუნჯე სულისა ჩუენისაჲ.

ხოლო ნაძუნი ესე ლიბანისანი, რომელნი დაჰნერგნა[42] უფალმან, რომელთა ზედა მართუე-ისხმენ მფრინველნი და ბუდე ეროდიონთაჲ შეიმზადების,[3*] ესე უკუე ნაძუნი, რომელ არიან სათნოებანი, სახლსა მას სასძლოჲსა სასუენებელისასა განამტკიცებენ, რომელთა ზედა დაიბუდებენ სულნი, ვითარცა მფრინველნი და სირნი და მახეთაგან მტერისათა აღფრენილნი და უმაღლესქმნილნი,[4*] რომელთა თანა შერაცხილ არიან ბუდენიცა ეროდიონთანი, ვითარცა წამებს წერილი.

---

41 შავსცუდეთ C;
42 დანერგნა C;

1* ეკლეს. 10,18;
2* იგავ. 27,15;
3* ფსალმ. 103,16-17;
4* ფსალ. 123,7;

ხოლო იტყჳან ამათ მფრინველთათჳს, ვითარმედ მო[94vb]ძაგე არიან[43] მამლობისა და იძულებითა რაჲ ბუნებისაჲთა ეგულებოდის მამლობაჲ, რაჲთა არა აღიკოცოს თესლი მათი, სიძაგულსა მას და იძულებითსა შეერთებასა უგემურებითა რაჲთმე და გარემიქცევითა საანჯმნო ჰყოფენ.

და ვითარ მე ვჰგონებ იგავით, სახელითა მით ამათ მფრინველთაჲთა სიწმიდესა გუასწავებს ჩუენ სიტყუაჲ. ამათ უკუე მოსელთა ხედავს სძალი სართულსა მას შინა უბიწოჲსა მის სასძლოჲსასა.

ხოლო ხედავს საროჲსაცა სამკაულსა კეთილად მოხუეწილსა[44] და მტკიცედ შედგმისა მიერ შენაწევრებულსა და განმაშუენებელსა სასძლოჲსასა, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„და მენაკნი ჩუენნი საროჲსანი“*. ხოლო მენაკად არა ხოლო თუ მენათა მოჭდობასა ეწოდების, არამედ ყოვლისაჲე სართულისა ულპოლველთა და კეთილად მოხუეწილთა ფიცართა მიერ მტკიცედ შენაწევრებით მოჭედასა, რომელი-იგი პირად-პირადად გამოჭრითა და გამოქანდაკებითა ყუავილოვან-ჰყოფენ სართულსა მას.

რასა უკუე ვისწავებთ ამის მიერ? სულნელ არს ბუნებით საროჲ და ულპოლველ და ყოვლისაჲე ხუროთა კელოვნებისა მომზავებელ, ესე იგი არს სიწყლტუჲსა და შედგმისა და გამოჭრისა და გამოქანდაკებისა და მოხუეწისა.

და ვითარ მე ვჰგონებ, ამას გუასწავებს თარგმანებაჲ მისი, რაჲთა არა შინაგან სულსა შინა ხოლო წარვჰმართნეთ სათნოებანი უჩინოდ და უხილავად, არამედ რაჲთა არცა გარეშე და საჩინოჲ წესიერებაჲ უდებ-ვყოთ,[45] რამეთუ ჯერ-არს კეთილისა განზრახვაჲ წინაშე ღმრთისა და კაცთა[1*] და წინაშე ღმრთისა განცხადებაჲ,[46] ხოლო კაცთა მორჩილებაჲ და კეთილისა [95ra] წამებისა ქონებაჲ გარეშეთაგან[2*] და ნათობაჲ ნათლისა საქმეთა მიერ წინაშე კაცთა და შუენიერად სლვაჲ[47] გარეშეთა მიმართ.

---

43 არნ C;

44 მოხუეწისა A (ლ ჩამატებულია სხვა ხელით);

45 უდებ-ჳყოთ C;

46 განცხადება AC;

47 სლვაჲ] ჰსწავლა C;

1* II კორ. 8,21;

2* I ტიმ. 3,7;

და ესე არიან მენაკნი იგი, ქრისტეს მიერ განსურნელებულნი, რომლისა სახე არს საროჲ, შუენიერად ცხორებითა გამოქანდაკებულნი, რომელთა-იგი შეწყობაჲ და შენაწევრებაჲ კეთილად და ღმრთივშუენიერად[48] უწყის ბრძენმან მან ხუროთმოძღუარმან პავლე, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: *„ყოველივე წესიერად და შუენიერად იქმნებოდენ თქუენ შორის“*![1]

ხოლო ესე რაჲ ესრეთ წარემართოს, აღორძინებაჲ კეთილისაჲ იქმნების ჩუენ შორის და ველნი იგი ბუნებისა ჩუენისანი სულნელსა მას და წმიდასა ყუავილსა აღმოაცენებენ, რომელ არს შროშანი, რომლისა-იგი ბუნებითი ბრწყინვალებაჲ ელვარებასა სიწმიდისასა მოასწავებს.

რამეთუ ამას სძალი თავისა თჳსისათჳს წარმოიტყჳს და იტყჳს, ვითარმედ: მე შემდგომად დაგრილებისა ცხელრისა ჩუენისა სიძისა მიერ, რომელმან-იგი კორცთა აჩრდილითა დამიჩრდილა და აღმაშენა სახლად თჳსად და სათნოებათა ნაძჳთა დაჰრთო სართული ჩემი და საროჲსა სულნელებითა შეამკო განტიხრული ჩემი, ვიქმენ მე ველთაგან ბუნებისათა ყუავილ, ფეროვნებითა და სულნელებითა უგაღრეს სახელთა მათ ყუავილთაჲსა, და აღმოვკედ მე ყუავილად ღელეთა. ხოლო არს სიტყუაჲ იგი ესრეთ: *„მე — ყუავილი ველისაჲ, შროშანი ღელეთაჲ“*.[2]

ჭეშმარიტ უკუე იყო ჭეშმარიტად პირველი იგი განხილვაჲ ჩუენი, რამეთუ სივრცისაგან გონებისა განგებული სული ველად იწოდა კაცობრივისა ბუნებისა. ხოლო ველად ამისთჳს გულისკმა-ვყავთ, რამეთუ ვრცელ არს იგი მრავალთა და პირად-პირადთა და ურიცხუთა გულისკმის-ყოფათა და საქმეთა და სწავლათა შემწყნარებელ.

ვინაჲცა პირველთქუმულისა ამის სახისაებრ მუშაკისა მისგან ბუნებისა ჩუენისა მომუშაკებული[49] სული ყუავილად სულნელად და ბრწყინვალედ და წმიდად [95rb] აღმოეცენების ველთაგან ცხორებისა ჩუენისათა და ამას ველსა დაღათუ შესწორებულად სიმაღლისა ცათაჲსა და განგებისა ღელედ ეწოდების, ველიეე არს და არა დაეყენების მის შორის დანერგული შუენიერებაჲ ყუავილად წოდებად.

---

48 ღ˜თივსულიერად C;

49 მომშუშაკებელი C;

1• I კორ. 14,40;

2• ქ.ქ. 2,1;

რამეთუ ღელისაგან სიმაღლედ აღვალს მცენარე ესე, ვითარცა შრო-
შანი. რამეთუ ძირითგან რაჲ მყოვარჟამ[50] სიმაღლედ აღვიდეს მორჩი
იგი შროშნისაჲ, მაშინღა აღმოეცენების ყუავილი თხემსა ზედა მდე-
ლოჲსასა, არამცირედ აღშორებულად ქუეყანისაგან, რაჲთა სიმაღლესა
მას შინა წმიდად ეგოს ნივთთაგან ქუეყანისათა, ვინაჲცა თუალმან მან 5
მართალმან გინა თუ აწვე აღყუავებული განიცადა, გინა თუ აღყუავე-
ბად მოსურნე.

რამეთუ ორსავე ამას მოასწავებს პირველი იგი სიტყუაჲ და იგი
გინა თუ ვითარცა აწვე აყუავებული იქადის, რომლისათჳს-იგი სურ-
ვიელ არს, ანუ თუ ვითარმედ ჯერ-არს, რაჲთა იქმნეს იგი ყუავილ 10
მუშაკთმთავრისა მის სიბრძნითა და ღელეთაგან კაცობრივისა ცხორე-
ბისათა შუენიერად შროშნისა აღვიდეს და ანუ თუ ეგულების, რაჲთა
იქმნეს და გინა თუ იქმნა, რომლისათჳს-იგი სუროდა, კეთილად უკუე
თუალმან მან მართალმან სიძისამან კეთილსა მას გულისთქუმასა, მისა
მიმართ მხედველისასა, მიხედა და ჯერ-იჩინა, რაჲთა იქმნეს[51] იგი 15
შროშან შეუშთობელ სოფლისა ეკალთაგან, რომელთა-იგი ასულად
სახელ-სდვა[52] და დუმილით მოასწავნა, ვითარ ვჰგონებ, ძალნი იგი
მტერნი კაცობრივისა ცხორებისანი, რომელთა მამად მომპოვნებელსა
მას ბოროტთასა სახელ-ედების, რამეთუ იტყჳს: *„ვითარცა შროშანი
შორის ეკალთა, ესრეთ არს მახლობელი ჩემი შორის ასულთა“.*[1*] 20
ხოლო რომელთამე ესრეთ თარგმნეს,[53] რამეთუ მახლობელისა წილ
დად აღწერეს.

ხოლო შენ გულისჴმა-ყავ, თუ რაბამსა სიმაღლესა აღიწევის ღმ-
რთისმოყუარე იგი სული ქალწულისაჲ, რამეთუ პირველი აღსავალი
და სიმაღლე მისი არს ჰუნისა მის მეგუბტელთა ძლიერებისა დამამკო- 25
ბელისა მიმსგავსებაჲ და მეორე აღსავალი — მახლობელ მისსა ყოფაჲ
და ტრედისა [95va] თუალთა მოგებაჲ; ხოლო აწ მესამე აღსავალი არ-
ღარა მახლობელად, არამედ დად მეუფისად წოდებაჲ, ვითარცა იტყჳს,
ვითარმედ: *„რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ, ესე არს*

---

50 მჯუარჟამ B;
51 იქმნას C;
52 სახელ-ჰსდვა C;
53 ჰსთარგმნეს C;

1* ქ.ქ. 2,2;

ძმაჲ ჩემი და დაჲ ჩემი და დედაჲ ჩემი“.[1*]

რამეთუ ვინაჲთგან იქმნა ყუავილ და ეკლოვანთა მათ განსაცდელთაგან არარაჲ შეემთხუა ვნებაჲ, რაჲთა იქმნეს იგი შროშან, და რამეთუ დაივიწყა ერი და სახლი მამისა თჳსისაჲ და ჴეშმარიტსა მას მამასა მიხედნა, რომლისა-იგი მიერცა დად სიძისად იწოდა და სულითა მით შვილებისაჲთა თჳსებასა ამას საღმრთოსა მიემთხუა და ტყუეილისა მამისა ასულთა ზიარებისაგან განთავისუფლდა, კუალად უმაღლეს თავისა თჳსისა იქმნების და საიდუმლოთა რათმე განიცდის თუალთა მიერ ტრედისათა, ესე იგი არს თუალითა მით წინაჲსწარმეტყუელებისაჲთა, ხოლო რომელსა-იგი ხედავს, ესე არს: *„ვითარცა ვაშლი შორის ხეთა მაღნარისათა, ესრეთ არს ძმისწული ჩემი შორის ძეთა“.*[2*]

რაჲ-მე არს უკუე, რომელი ესე იხილა? ესე იგი არს, მაღნარად სახელ-სდებს,[54] ჩუეულებისაებრ წერილთაჲსა, ნივთმრავალსა მას კაცთა ცხორებასა, რომელმან-იგი თითოსახენი[55] ნივთნი ვნებათანი აღმოაცენნა, რომელსა შინა დაიბუდებენ განმხრწნელნი[56] იგი მკეცნი და დაიმალვიან,[57] რომელთა-იგი ბუნებაჲ ნათელსა შინა და მზესა უქმ არს, ხოლო ბნელსა შინა თჳსსა სიბოროტესა აჩუენებენ; ვითარცა იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი, ვითარმედ: შემდგომად მზისა დასლვისა და ღამისა შემოსლვისა მკეცნი მაღნარისანი ჯურელთაგან გამოვლენ და ვინაჲთგან ბრანგუმან მან მაღნარისამან კეთილი იგი კაცთა ბუნებისა ვენაკი განრყუნა, ვითარცა იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი, ვითარმედ: *„განრყუნა იგი ეშუმან მაღნარისამან და ბრანგუმან მძუნვარემან მოძოვა იგი“.*[3*]

ამისთჳს აღმოეცენების ვაშლი მაღნარსა შინა, რომელი-იგი ამისთჳს, რამეთუ ხე არს კაცობრივისა ბუნებისა, ზიარებასა მოასწავებს, რამეთუ გამოიცადაცა ყოლითავე მსგავსებითა თუნიერ ცოდვისა.

ხოლო ესევითარისა ნაყოფისა გამოღებითა, [95vb] რომლისა მიერ

---

54 სახელ-ჰსდებს C;
55 თჳთოსახენი C;
56 განმკრწნელნი C;
57 დაიმალჳან A;

1* მთ. 12,49-50;
2* ქ.ქ. 2,3;
3* ფსალ. 79,14;

დატკბებიან საცნობელნი სულისანი, უვაღრეს[58] არს ესე წესსა მაღნარისასა შეცვალებითა უფროჲს, ვიდრეცა რავოდენი აქუს შროშანსა ეკალთა მიმართ, რამეთუ შროშანსა ხილვისა და სულნელებისა ხოლო აქუს მხიარულებაჲ, ხოლო ვაშლი სამთა საცნობელთა განამხიარულებს, ესე იგი არს თუალთა — შუენიერებითა ხილვისაჲთა და საყნოსელთა — სულნელებითა სულისაჲთა და გემოჲსხილვასა — სიტკბოებითა გემოჲსათა.

კეთილად უკუე იხილა სპალმან თჳსი განყოფაჲ მეუფისაგან, რამეთუ იგი გუექმნების ნათელ მხილველთა და სულნელება მყნოსელთა და ცხორება მჭამელთა, ვითარცა იტყჳს სახარებაჲ, ვითარმედ: *„რომელმან ჭამოს,[59] ცხოვნდეს უკუე“*.[1*] ხოლო კაცობრივი ბუნებაჲ, სათნოებითა სრულქმნილი, ყუავილ ხოლო იქმნების არა გამომზრდელ მუშაკისა, არამედ განმაშუენებელ თავისა თჳსისა, რამეთუ არა თუ იგი ნაკლულევან არს ჩუენთა კეთილთაგან, არამედ ჩუენ მისთა მოქნევართ, ვითარცა იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი, ვითარმედ *„კეთილთა ჩემთაგან არაჲ გიკმს“*.[2*]

ამისთჳს ხედავს სიძესა განწმედილი სული ვაშლად ხეთა შორის მაღნარისათა, რაჲთა დაამყნეს[60] თავსა თჳსსა ყოველნივე იგი ველურნი რტონი მაღნარისანი და ეგევითარისავე ნაყოფისა გამოღებითა გარდაცემულ ყვნეს. ხოლო ვითარცა-იგი ვიტყჳთ ასულთა მათთჳს, რომელნი ეკალთა ემსგავსნეს, ასულად მტყუარისა მამისა, რომელნი-იგი ყუავილსა მას თანა აღმოსცენდეს, ვითარმედ ოდესმე შროშნად შეცვალებად არიან, ეგრეთცა აქა ძეთა მათთჳს, რომელთა ხეთა მაღნარისათა მიამსგავსებს, არა მეგობართა იტყჳს სიძისათა, არამედ წინააღმდგომთა, რომელნი-იგი ძე ბნელისა იყვნეს და შვილ [96ra] რისხვისა, ზიარებითა მით ნაყოფისაჲთა და ძედ ნათლისად და შვილად მშჳდობისად გამოაჩინნა. ამისთჳს იტყჳს სული იგი წურთილი საცნობელითა, ვითარმედ: *„ნაყოფი მისი ტკბილ არს სასასა ჩემსა“*;[3*] ხოლო ნაყოფად მოძღურებაჲ გულისკმა-ყავ, ვითარცა იტყჳს წინაჲ-

---

58 უაღრეს C (ყოველთჳს);
59 ჰსჭამოს C;
60 დაამსრნეს C;

1* იხ. 6,57;
2* ფსალ. 15,2;
3* ქ.ქ. 2,3;

სწარმეტყუელი, რამეთუ *„ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყუანი შენნი უფროჲს თაფლისა პირსა ჩემსა“*.[1*]

„ვითარცა ვაშლი შორის ხეთა მაღნარისათა, ესრეთ არს ძმისწული ჩემი შორის ძეთა. საგრილსა ქუეშე გულმან მითქუა და დავჯედ; და ნაყოფი მისი ტკბილ არს სასასა ჩემსა“.

რამეთუ ჭეშმარიტად მაშინ დატკბებიან სიტყუსა მიერ საცნობელნი სულისანი, რაჟამს განსაცდელთა სიცხისაგან აჩრდილმან ვაშლისამან შემზღუდნეს ჩუენ და ვერღარა სწუეიდეს მკურვალებაჲ მზისაჲ, თავთა ჩუენთა ზედა შიშულად აღტყინებული.

ხოლო სხუებრ შეუძლებელ არს აჩრდილსა ქუეშე ხისა მის ცხორებისასა განსუენებაჲ, უკუეთუ გულისთქუმამან არა წარუმართოს მისა მიმართ სულსა ჩუენსა. ხედავ-ა, თუ რაჲსათჳს დანერგულ არს შენ შორის გულისთქუმისა ძალი, რაჲთა ვაშლისა მის სურვილი აღატყინოს შენ შორის, რომლისა-იგი საშუებელი მრავალსახე იქმნების მათთჳს, რომელნი მიეახლნენ მას. რამეთუ თუალთა სიკეთითა შუენიერებისაჲთა განუსუენებს და საყნოსელთა სულნელებითა სულისაჲთა და ჴორცთა გამოზრდითა და პირსა დატკბობითა და სიცხისა გარემოქცეევითა და აჩრდილისა საყდრითა, რომელსა-იგი დაჯდების სული, რომელსა საჯდომელი უშჯულოთაჲ უვარ-ეყოს“.[2*]

და მერმე იტყჳს: *„შემიყვანეთ მე სახლსა ღუინისასა, განაწესეთ ჩემ ზედა სიყუარული. დამამტკიცეთ მე ნელსაცხებელთა მიერ. გარემომასხთ მე ვაშლი, რამეთუ დაწყლულ ვარ მე სიყუარულითა“*.[3*]

ეჰა, ვითარღა რბის სალმრთოსა ამას სარბიელსა სული იგი მიმსგავსებული ჰუნისაჲ და ვითარ წულილადითა და წესიერითა ხლდომითა წარმართ წარემატების, ხოლო უკუღმართ არა შეიქცევის, რავოდენთა კეთილთა მიემთხჳა ზემო[96rb]კერძო.

და ჯერეთ წყურიელ არს და ესრეთ დიდ არს მდუღარებაჲ წყურილისა მისისაჲ, ვიდრეღა არა კმა-იყოფს ტაკუკსა მას განზავებულსა სიბრძნისასა, არცა ყოლისა მის ტაკუკისაჲ პირსა შთაწრედაჲ შეურაცხიეს აღმავსებელად წყურილისა თჳსისა, არამედ თჳთ მას სახ-

---

1* ფსალ. 18.11; 118,103;
2* ფსალ. 1,1;
3* ქ.ქ. 2,4-5;

ლსა ღუნისასა შეყვანებად ეძიებს და თჳთ მათ საწნეხელთა დადებად პირისა, რომელნი-იგი ტკბილსა მას ღუნოსა აღმოაცენენ და ხილვად ტევანსა მას, რომელი-იგი საწნეხელთა მათ შინა დაიწნიხების და ვენაკსა მას, რომელი-იგი ესევითარსა მას ტევანსა აღაორძინებს და მოქმედსა მას ჭეშმარიტისა მის ვენაკისასა, რომელი-იგი ესრეთ ტკბილსა მას და შუენიერსა ტევანსა მოიმუშაკებს, რომელთა-იგი თჳთოეულად თარგმანებაჲ ნამეტნავ არს, ვინაჲთგან სახისმეტყუელებით შეტყუებაჲ მათი ცხად არს და საჩინო.

და უეჭუელად საიდუმლოჲსა მისცა ჰნებავს ხილვად, თუ ვითარ მეწამულ არს წნეხითა საწნეხელისაჲთა სამოსელი სიძისაჲ, რომლისათჳს იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი, ვითარმედ: *„რაჲსათჳს მეწამულ არს სამოსელი შენი და კუართი შენი, ვითარცა მწნეხართა საწნეხელისათაჲ“?* [1*]

ამათ და ესევითართათჳს სურის,[61] რაჲთა შინაგან სახლისა მის შევიდეს, რომელსა შინა იხილვების საიდუმლოჲ იგი ღუნისაჲ.

და ესრეთ შინაგან რაჲ შევიდეს, კუალად უმეტეს განახლდების, რამეთუ ეძიებს დაწესებასა სიყუარულისასა. *„ხოლო სიყუარული ღმერთი არს“*,[2*] ვითარცა წამებს იოანე, რომლისა-იგი დამორჩილებაჲ სულისაჲ ცხორებად განაჩინა დავით,[3*] ვინაჲცა, ვინაჲთგან შევიდა სახლსა ღუნისასა, იტყჳს, ვითარმედ: დამამორჩილეთ მე სიყუარულსა, ესე იგი არს, ვითარმედ: *„დააწესეთ ჩემ ზედა სიყუარული“*.[4*]

რამეთუ ვითარცა ვინ იკუმიოს ქცეულებაჲ ესე სიტყჳსაჲ, ორკერძოვე ერთი გულისკმის-ყოფაჲ იპოვების, გინათუ სიყუარულსა ვინ დაემორჩილოს, ანუ თუ სიყუარულმან დაიმორჩილოს იგი და დაეწესოს მის ზედა, და ანუ თუ სხუასა რასმე უღრმესსა ძალსა გუასწავებს სიტყჳაჲ ესე, [96va] თუ ვითარ თანა-გუაც შეყუარებაჲ ღმრთისაჲ და ვითარ — სხუათაჲ.

რამეთუ უკუეთუ ყოვლისაებრ წესიერად და შუენიერად ჯერ-არს აღსრულებად, სიტყჳსაებრ მოციქულისა, არა უფროჲსად ამისი ჯერ-იყოს-ა წესიერად აღსრულებაჲ?

---

61 ჰსურის C;

1* ეს. 63,2;
2* I იო. 4,8;
3* ფსალ. 61,2;
4* ჭ.ქ. 2,4;

რამეთუ არცამცა კაინ დაშჯილ იყო ბოროტად განყოფისათჳს, უკუეთუმცა სამართლად შეწირვისა თანა ჯეროვანიცამცა წესი დაემარხა, რომელ არს თჳსისა საკმრისა[62] დატევებაჲ და ღმრთისა შეწირვაჲ,[1•] რამეთუ ჯერ-იყო, რაჲთამცა მსხუერპლი ღმრთისაჲ პირველთა ნაყოფთაგან შეეწირა და ნეშტთა მათგან თჳთ გამოზრდილ იყო, ხოლო იგი უპატიოსნესთა მათგან თჳთ განძღებოდა და ნეშტითა მით ღმერთსა ისტუმრებდა.

ჯერ-არს უკუე ცნობად წესსა სიყუარულისასა, რომელსა-იგი გუასწავებს შჯული, თუ ვითარ ჯერ-არს შეყუარებაჲ ღმრთისაჲ და ვითარ — მოყუსისაჲ და ვითარ — მეუღლისა და ვითარ — მტერისაჲ, რაჲთა არა უწესოდ და გარემოქცევით იქმნეს წესი სიყუარულისაჲ.

რამეთუ ღმრთისა შეყუარებაჲ ჯერ-არს ყოვლითა გულითა და ყოვლითა ძალითა და ყოვლითა სულითა და ყოვლითა გონებითა და საცნობელითა, ხოლო მოყუსისაჲ — ვითარცა თავისა თჳსისაჲ, ხოლო მეუღლისაჲ — უკუეთუ უბიწოჲ იყოს სულითა, ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკლესიაჲ,[2•:63] ხოლო უკუეთუ უდარესრე და ვნებულ,[64] ვითარცა თჳსთა კორცთაჲ, ვითარცა ბრძანებს ამათ საქმეთა მოძღუარი პავლე, ხოლო მტერისაჲ — რაჲთა არა მიაგებდეს ბოროტსა ბოროტისა წილ, არამედ ქველისსაქმითა უსამართლოებასა ჰფარვიდეს.

ხოლო აწ უმრავლესთა შორის შერეულად და უწესოდ იხილვების სიყუარული და შეუმსგავსებელითა შეცვალებითა შეცთომილად აღესრულების. რომელნი-იგი უკუეთუ მონაგებთა და მეუღლეთა და პატივთა მიემთხუნენ, სახედ ცეცხლისა აღეგზნებიან მათდა მიმართ და ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა შეიყუარებენ მათ, ვიდრეცა უკუეთუ რაჲმე ჯერ-იყოს, ცხორებასაცა თჳსსა [96vb] განსწირვენ მათთჳს, ხოლო ღმერთსა, ვითარცა ჯერ-იჩინონ, ხოლო მოყუასსა ძნიად სამე აჩუენონ მტერთათჳს განჩინებული სიყუარული, ხოლო მოძულეთა სიყუარული ესე არს, რაჲთა ბოროტისა წილ უძჯრესი

---

62 საკმარისა C;

63 ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკლესიაჲ] ვითარ-იგი შეიყუარა ეკლესია C;

64 ესრეთღა C;

1• დაბ. 4,7;

2• ეფეს. 5,25;

ბოროტი მიაგონ.

იტყჳს უკუე, ვითარმედ: *„განაწესეთ ჩემ ზედა სიყუარული“*, ესე იგი არს, ვითარმედ ღმრთისა შეწირეთ, რაოდენი თანა-გაც, ხოლო სხუათა ყოველთა მიმართ წესიერისა საზომისაგან ნუ გამოეკუებით და ანუ თუ ამას გულისკმა-გჳყოფს სიტყუაჲ ესე, ვითარმედ ვინაჲთგან შეყუარებულ ვიქმენ პირველითა მით დაბადებითა და ურჩებისა მიერ მტერთა თანა შევირაცხე, და აწ კუალად მასვე მადლსა კუალად-ვეგე და სიყუარულისა მიერ მეუფესა შეეერთე, დაამტკიცეთ ჩემ ზედა მადლისა ამის განწესებაჲ შეუცვალებელად თქუენ, მეგობართა მაგათ სიძისათა, და კრძალულებისა და მოღუაწებისა მიერ უმტკიცეს და უგულსმოდგინეს[65] ყავთ კეთილისა მიმართ წამის-ყოფაჲ გონებისა ჩემისაჲ.

და ესე რაჲ თქუა, კუალად უმაღლესსა ნაწილსა აღისწრაფის და კეთილსა სიმტკიცისა მიმართ დამტკიცებასა თჳსსა ნელსაცხებელთა მიერ ეძიებს და იტყჳს, ვითარმედ: *„დამამტკიცეთ მე ნელსაცხებელთა მიერ“*![1*]

ეჰა, საკჳრველნი ესე სუეტნი და ახალნი სიმტკიცენი და ხარისხნი, რამეთუ ვითარ იქმნებიან სუეტ სახლისა ნელსაცხებელნი, ანუ თუ ვითარ სულნელებისა მიერ სართული სახლისაჲ დაემტკიცების? ანუ თუ ცხად არს და საჩინო, ვითარმედ სათნოებათა ნივთი მრავალსახედ ჩუენ შორის წარმართებული განყოფილებისაებრ მოღუაწებათაჲსა იწოდებისცა და სახელ-ედების.

რამეთუ სათნოებაჲ არს არა ხოლო თუ ხედვაჲ კეთილისაჲ და ზიარებაჲ უმჯობესისაჲ, არამედ სიმტკიცე და უცვალებელობაჲ კეთილთაჲ. ვინაჲცა რომელსა ენე[97ra]ბოს ნელსაცხებელთა მიერ დამტკიცებაჲ, ეგევითარი-იგი სათნოებათამიერსა სიმტკიცესა ეძიებს, რამეთუ სათნოებასა ნელსაცხებელად ეწოდების ამისთჳს, რამეთუ ყოველისაგე სიმყრალისაგან ცოდვათაჲსა განშორებულ არს.

ხოლო არა საკჳრველ არს, უკუეთუ ვინ შეწყობილებაჲ ესე თქუმულთაჲ ამათ დაუკრდეს, თუ ვითართა ნივთთა მიერ ეძიებს მოფენასა სახლისა თჳსისასა: არა მაყუალთა რათმე და ეკალთა და იფხლისა და ლერწმისა, უფროჲსღა, ვითარცა იტყჳს მოციქული, არა ძელითა და

---

65 უგულსმოდგინე C;

1* ქ.ქ. 2,5;

ლერწმითა და თივითა,[1*] რომელთა მიერ ნივთიერნი და ღნიოშნი სახლნი შეიმზადებიან, არამედ ამის სახლისა მოსაფენელ და დამრთველ ვაშლი იქმნების, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: *„დამრთეთ მე ვაშლითა, გინა თუ გარე-შემასხთ მე ვაშლი“*,[2*] რაჲთა ექმნეს[66] მას ნაყოფი ესე ყოვლად ყოველსა შინა, ესე იგი არს შუენიერება, სულნელება, სიტკბოება, საზრდელ, აჩრდილისა მიერ საგრილ და საყდარ განსუენებისა და სუეტ სიმტკიცისა და დამრთველ სართულისა, რამეთუ ვითარცა სიკეთე გულისთქუმისა მიერ განიცდების და ვითარცა ნელსაცხებელი განასულნელებს საყნოსელთა და ვითარცა საზრდელი განაპოხებს კორცთა და დაატკბობს გემოჲსხილვასა და ვითარცა აჩრდილი დაუგრილებს სიცხესა და ვითარცა საყდარი განუსუენებს მაშურალთა და ვითარცა სართული სახლისაჲ საფარველ[67] მას შინა მყოფთა იქმნების და ვითარცა სუეტი დაიცავს დაუცემელად და ვითარცა ბრწყინვალე ვაშლი განაშუენებს სართულსა.

და რაჲმცა ვინ მოიგონა უშუენიერესი სახილველი და შენელებული უფროჲს ვაშლისა, რაჟამს-იგი ვაკესა რასმე ზედა ერთი ერთისა თანა დაწყობილ არნ[68] და ფეროვნებითა და სითეთრითა აღყუავებული შეამკობნ სახედველთა?

და უკუეთუმცა შესაძლებელ იყო ველთა[69] ზედა მწუანეთა აღმოსლ[97rb]ვაჲ მისი და ზედაჲთ კერძო დახედვით განცდაჲ, რაჲმცა იყო უბრწყინვალეს ესევითარისა მის სახილველისა, რომელი-ესე სათნოებათა გულისთქუმისაგან არა შეუძლებელ არს, რამეთუ ამის ხილისა აგებულებაჲ არა მძიმე არს, არცა ქუეყანად დამზიდველ, არამედ წამისყოფაჲ მისი სიმაღლედ მიმართ აღვალს ბუნებით. რამეთუ ზეგარდამოჲ არს სათნოებაჲ და ზეცად მიმართ ხედავს, ვინაჲცა სიკეთისათჳს ესევითარისა მის ვაშლისა გული-უთქუამს სძალსა, რაჲთა მის მიერ განაშუენოს სართული სახლისა თჳსისაჲ.

და ვითარ მე ვჰგონებ, არა ესე არს სასწრაფო სიტყჳსა ამის, რაჲ-

---

66 ექმნეს C;

67 საფარველსა C;

68 არიან C;

69 აღგილთა A (აღდგენილია). (ἐξ ἐπιπέδου PG 44 col. 849 A_7).

1* I კორ. 3,12;

2* ქ.ქ. 2,5;

თამცა ვითარცა საწადელი სახილველი დართვითა მით ვაშლისაჲთა წარმოაჩინა ფეროვნებაჲ იგი მისი, რამეთუ რაჲმცა წარმატებაჲ იქმნა ამის მიერ სათნოებისა მიმართ, უკუეთუ არა გულისკმის-ყოფაჲ რაჲმე სულიერისა სარგებელისაჲ მომატყუას ჩუენ სახისმეტყუელებამან მისმან?

რაჲ არს უკუე, რომელსა-იგი გულისკმა-ვჰყოფთ? ესე იგი არს, რომელი-იგი მაღნარსა შინა ბუნებისა ჩუენისასა კაცთმოყუარებისათჳს აღმოეცენა, ვაშლ იქმნა იგი კორცთა და სისხლთა მიღებითა, რამეთუ ორთავე ამათ მსგავს არს ფეროვნებაჲ იგი ხილისაჲ მის, რამეთუ სპეტაკობითა კორცთა სახესა წარმოაჩენს, ხოლო ფეროვნებითა სისხლთა მსგავსებასა გამოაჩინებს.

ვინაჲცა საღმრთოთა მაღლთა მიერ რაჲ შუებულსა სულსა სართულსა სახლისასა[70] ხილვად მისა გული-უთქუმიდეს, ამას გულისკმის-ყოფასა მოგუცემს ჩუენ[71] იგავი მისი.

რამეთუ სიმაღლედ ხედვაჲ და ვაშლთა განცდაჲ მოძღურებათა მიერ სახარებისათა ზეცისა მოქალაქობისა მიმართ წარმართებაჲ[72] არს, რომელი-იგი ზეგარდამო მომავალმან მან, და რომელი ყოველთა ზედა არს, კორცთშესხმითა თჳსითა გჳჩუენა ჩუენ და ყოველთაე კეთილთა მოქალაქობათა სახედ მოგუცა თავი თჳსი, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: *„ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშჳდ ვარ და მდაბალ გულითა“* [97va].[1*]

და ამაე პირსა სიმდაბლისასა მოციქული წარმოაჩინებს და გუასწავებს, რამეთუ შესაძლებელ არს ერთისა გულისკმის-ყოფისა მიერ ყოველთაე სწავლათა ჭეშმარიტებისა სარწმუნო-ყოფად, რამეთუ ზეცად მიმართ მხედველთა ესრეთ ეტყჳს, ვითარმედ: *„ესე ზრახვაჲ იზრახებოდენ თქუენ შორის, რომელცა-იგი არს ქრისტე იესუჲს მიერ“*.[2*] რომელი-იგი იყო ხატი ღმრთისაჲ, არა ნატაცებად შეირაცხა, რაჲთა იყოს იგი სწორ ღმრთისა, არამედ თავი თჳსი წარმოაცალიერა და ხატი მონისაჲ მიიღო; რომელი-იგი კორცთა მიერ და სისხლთა სოფლად მოვიდა და წინაგანმზადებულისა მის წილ მისდა სიხარულისა

---

70 სახლისათა C;

71 ჩუენ] – B;

72 წარმართებულ C;

1* მთ. 11,29;

2* ფილიპ. 2,5;

ზიარებითა სიმდაბლისა ჩუენისაჲთა ჯუარცუმაჲ[73] და სიკუდილი ნებსით დაითმინა.

ამისთჳს იტყჳს სპალი, ვითარმედ: დამრთეთ მე ვაშლითა, რაჲთა სამარადისოდ სიმაღლედ ვხედვიდე და განვიცადნე სახენი იგი კეთილთ-
5 ანი, რომელნი-იგი სიძემან მან უკუდავმან წარმოაჩინნა. ესე იგი არს სიმშჳდე და ურისხველობაჲ და მტერთა მიმართ — ძჳრუკსენებლობაჲ და შემაწუხებელთა მიმართ — კაცთმოყუარებაჲ და უმადლოთა მიმართ — ქველისმოქმედებაჲ და მარხვაჲ და სიწმიდე და სულგრძელებაჲ ყოველისავე ცუდად-მზუაობრობისაგან და მსოფლიოჲსა საცთურისა შე-
10 უმრღუეველი.

და ესე რაჲ თქუა, მიერითგან აქებს მოისრისა ჴელოვნებასა და ვითარ-იგი კეთილად განაწონა მას ისარი თჳსი და იტყჳს, რამეთუ *„დაწყლულ ვარ მე სიყუარულითა“*.[1*;74]

და სიტყჳსა ამის მიერ აჩუენებს სიღრმეთა შინა გულისათა შემ-
15 შჭუალულსა მას ისარსა, ხოლო მტყორცებელი ისრისაჲ მის არს სიყუარული. და სიყუარული ღმერთი არს, ვითარცა წიგნნი საღმრთონი გუასწავებენ, რომელი-იგი რჩეულსა მას ისარსა თჳსსა, რომელ არს მხოლოდშობილი ღმერთი, ცხოვნებადთა მათთჳს მოავლენს, სულითა მით მაცხოვარებისაჲთა სამპირითა მით ისრისპირითა აღჭურვილი.

20 ხოლო ისრად გულისკმა-[97vb]ყავ[75] სარწმუნოებაჲ, რაჲთა რომელსაცა შეემშჭუალოს, შეიყვანოს[76] ისრისა თანა მოისარიცა, ვითარცა იტყჳს უფალი, ვითარმედ: *„მე და მამაჲ მოვიდეთ და საჳანე მის თანა ვყოთ“*.[2*;77]

ხედავს უკუე საღმრთოთა[78] აღსავალთა მიერ ამაღლებული სული
25 ტკბილსა მას სიყუარულისა ისარსა თავსა შორის თჳსსა, რომელმან მოწყლა გული მისი და იქადის ესევითარისა მის წყლულისათჳს და იტყჳს, ვითარმედ: *„დაწყლულ ვარ მე სიყუარულითა“*.

---

73 ჯუარსცმა C;
74 სულითა C;
75 გულისხმა-ჰყაე C;
76 შეიყენოს C;
77 ვყოთ] + ხოლო C;
78 სულთა C;

1* ქ.ქ 2,5;
2* ინ. 14,23;

ეჰა, კეთილი ესე ნაგუემი და ტკბილი წყლულებაჲ, რომლისა მიერ ცხორებაჲ შინაგან დაემკჳდრების და ვითარცა კარი რაჲმე და შესავალი განკუეთილი იგი ისრისაჲ, თავსა თჳსსა განუღებს, რამეთუ ვითარცა სიყუარულისა ისარი შეიწყნარა, მეყსეულად ქორწილისა სიხარულად შეიცვალა სისრაჲ იგი.

და ესე ცხად არს საქმეთაგან და თუ ვითარ იკუმევენ კელნი მშჳლდსა და ვითარ განიყოფჳიან[79] საქმისა მის მიმართ, რამეთუ მარცხენე უპყრობს მშჳლდსა, ხოლო მარჯუენე მშჳლდის[80] საბელსა მოიზიდავს ისრითურთ და შეპყრობაჲ იგი მარცხენისაჲ განისა მიმართ მიჰმართებს ისარსა მას. ვინაჲცა რომელი-იგი პირველ მცირედისაგან იქმნა ისრისა, აწ ისრისა წილ თავსა თჳსსა ხედავს კელთა შინა მშჳლდოსნისათა.

და სხუაჲ კერძოჲ ისრისაჲ ამის უპყრიეს მარჯუენესა და სხუაჲ კერძოჲ — მარცხენესა, არამედ ვინაჲთგან სასძლომან წესმან სახილავი იგი თჳსსა წესსა და სახესა ზედა შეცვალა, არღარა უპყრიეს ისრისპირი იგი მარცხენესა, არცაღა მარჯუენე უპყრობს მეორესა მას კერძოსა, რაჲთამცა იქმნა სული იგი მისი კელთა შინა ძლიერისათა ზეცისა განისა მიმართ წარმართებული, არამედ ისრის პირისა წილ მარცხენე იგი თავსა შეეხების, ხოლო მარჯუენე [98ra] — ნეშტთა მათ ასოთა.

და ვითარ ვჰგონებ, ერთბამად მრჩობლთა სახეთა მიერ საღმრთოთა მათ აღსავალთა მრჩობლსა სიბრძნისმეტყუელებასა წინა-მიყოფს ჩუენ მოძღურებაჲ ესე და გუჩუენებს, ვითარმედ იგივე სიძეცა არს და მოისარიცა ჩუენი.

და სძლად და ისრად იკუმევს იგი განწმედილსა მას სულსა, რამეთუ ვითარცა ისარსა განისა მიმართ კეთილისა წარჰმართებს და ვითარცა სძალსა სამარადისოჲსა მის უხრწნელებისა ზიარებად შეიწყნარებს და სიგრძესა ჟამთასა და წელთა ცხორებისათა მარჯუენისა მიერ მიჰმადლებს, ხოლო საუკუნეთა კეთილთა სიმდიდრესა და სუფევასა წინაშე თჳსსა მარცხენისა მიერ მიანიჭებს, რომლისაგან მსოფლიოჲსა ამის დიდებისა მეძიებელნი სამართლად განვარდებიან.

ამისთჳს იტყჳს: *„მარცხენე მისი თავსა ჩემსა და მარჯუენემან მისმან შემიწყნაროს მე“*.[1*] ესე იგი არს, ვითარმედ მარცხენე მისი თავსა

---

79 განიყოფიან C;

80 მშჳლდისა C;

1* ჲ.ჲ. 2,6;

ჩემსა, რამეთუ მის მიერ წარემართების განისა მიმართ ისარი, ხოლო მარჯუენემან მისმან თავისა მიმართ თუსისა მიმიზიდენ მე და მიმიყვანენ და სულმცირე მყაენ მე სრბად ზეცისა სარბიელსა, რაჲთა მუნცა აღვიდოდი და მშჯლდოსნისაგან არა განვეშორო, რაჲთა ერთბამად განისაცა მიმართ მზა ვიყო და კელთაცა შინა მოისრისათა განვისუენებდე განუშორებელად. ხოლო კელთა ამათგან თუსებასა და საქმესა ცხადად მოგუთხრობს წიგნი იგი იგავთაჲ და იტყჳს, ვითარმედ: *„სიგრძე ჟამთაჲ და წელნი ცხორებისანი — მარჯუენესა შინა მისსა, ხოლო მარცხენესა შინა მისსა დიდებაჲ და სიმდიდრე“*.[1*]

და მერმე ასულთა მიმართ ზეცისა იერუსალემისათა მიაქცევს სიტყუასა თუსსა. ხოლო სიტყუაჲ იგი ვედრებაჲ არს ფუცებით თქუმული, რაჲთა მარადის სიყუარულსა შესძინებდენ[81] და განამრავლებდენ, ვიდრემდის ნებაჲ თუსი საქმით აღასრულოს, რომელსა-იგი ჰნებავს ყოველთა კაცთა ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ[2*] [98rb].

ხოლო სიტყუაჲ იგი ესევითარი არს: „გაფუცებ[82] თქუენ, ასულნო იერუსალემისანო, ძალთა და სიმტკიცეთა აგარაკისათა, უკუეთუ აღსდგეთ და განაღჳძოთ სიყუარული ვიდრემდის ინებოს“.[3*]

ფუცებაჲ არს სიტყუაჲ, დამარწმუნებელი ჭეშმარიტებისაჲ თავით თუსით. ხოლო მრჩობლ[83] არს საქმე ფიცისაჲ, რაჟამს-იგი თუთ დაარწმუნებდეს მსმენელთა მათ ჭეშმარიტებასა ანუ თუ სხუათა ფუცებისა[84] მიერ აიძულებდეს არარაჲსა ტყუვილად, ესე იგი არს, ვითარმედ: „ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხ-ყოს იგი“.[4*]

აქა უკუე სარწმუნოებასა აღთქუმისასა დაამტკიცებს ფიცითა. ხოლო რაჟამს ზრუნვიდეს აბრაჰამ მხოლოდშობილისა მეუღლისათჳს, უბრძანებს თუსსა მონასა, რაჲთა არავინ ქანანელთაგანი მონებითა დაშჯილთაჲ შეაყოს ისაკს ქორწინებითა, რაჲთა არა განრყუნას აზნ-

---

81 შეესძინებდენ C;
82 გაფუცე B;
83 მრჩობელ C;
84 ფიცებისა C;

1* იგავ. 3,16;
2* I ტიმ. 2,4;
3* ქ.ქ. 2,7;
4* ფსალ. 131,11;

აურებაჲ ნათესავთაჲ მონებისა ტომთა აღრევამან, არამედ ქუეყანისაგან მამულისა და ნათესავისაგან და ტომისა შეაუღლოს მეუღლე ძესა თჳსსა, და რაჲთა არა უდებ-ყოს ბრძანებაჲ მისი, ფუცებისა იძულებაჲ დასდვა[85] მას ზედა, რაჲთა ყოველივე ბრძანებაჲ მისი სრულ-ყოს[86] შვილისა მისისათჳს.

მრჩობლი უკუე არს საქმე ფიცისაჲ, ვითარცა ვთქუთ,[87] და ამას ადგილსა ესოდენსა მას სიმაღლესა აღწევნული სული, რაოდენი-იგი ზემო კერძო წარმოვთქუთ, დამოწაფებულთა მათ სულთა სისრულისა მიმართ წარმატებასა მიუთხრობს, არა თუ რომელთა-იგი მიემთხჳა, მათსა ჭეშმარიტებასა არწმუნებს[88] მათ ფიცისა მიერ, არამედ ფუცებისა მიერ სათნოდ ცხორებისა მიმართ წარუმართებს მათ და რაჲთა მუნ ჟამადმდე აქუნდეს მათ სიყუარული მღჳძარედ და მიურულებელად, ვიდრემდის სრულ-იქმნეს ნებაჲ იგი მისი კეთილი, ესე იგი არს ყოველთა ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ.

ხოლო ფუცებაჲ, ვითარცა-იგი მუნ წყჳლთა მიმართ მამათმთავარისათა იქმნა,[1*] ეგრეთვე აქა ძალთა მიმართ და სიმტკიცეთა აგარაკისათა იქმნების, რამეთუ იტყჳს: *„გაფუცებ[89] თქუენ, [98va] ასულნო იერუსალჱმისანო, ძალთა და სიმტკიცეთა აგრაკისათა, უკუეთუ აღსდგეთ და განაღჳძოთ სიყუარული, ვიდრემდის ინებოს“*.

საძიებელ არს უკუე ამათ შორის და განსახილველ პირველად, თუ რაჲ არს აგარაკი და მერმე, თუ რაჲ არს ძალი და სიმტკიცე აგარაკისაჲ და ანუ თუ განყოფილებაჲ აქუს ამათ ურთიერთარს, და ანუ თუ ორკერძოვე ერთსა ძალსა მოასწავებენ? და კუალად, თუ რაჲ არს აღდგომაჲ, ანუ თუ რაჲ არს განღჳძებაჲ სიყუარულისაჲ? რამეთუ ვიდრემდის ინებოს, ზემოთქუმულთა მიერ გამოგუცხადებიეს.

ესე უკუე ყოველთა მიერ საცნაურ არს, რამეთუ აგარაკისა მიერ სოფელსა ამას მოასწავებს უფალი საბარებასა შინა. ხოლო *„რამეთუ წარმავალ არს ხატი ამის სოფლისაჲ“*,[2*] და რამეთუ არარაჲ არს

---

85 დაჰსდუა C;
86 სრულ-ჰყოს C;
87 ვსთქუთ C;
88 არმუნებს A;
89 გაფუცე B;

1* დაბ. 24,2;
2* I კორ. 7,31;

მტკიცე დაუდგრომელსა ამას შინა ბუნებასა, ცხად არს კმამაღლად ქადაგებისაგან ეკლესიასტისა, რომელმან ყოველსავე ხილულსა და წარმავალსა ამაოებად სახელ-სდვა.[90]

რაჲ-მე უკუე არს ძალი ესევითარისა ამის აგარაკისაჲ, რომელ არს სოფელი ესე? ანუ თუ რაჲ არს სიმტკიცე, რომელთა მოკსენებაჲ გარდაუვალ ჰყოფს მცნებასა ფუცებისა მიერ ასულთა იერუსალემისათა? რამეთუ უკუეთუ მარტივთა სიტყუათა მიეხედნეთ და ვჰგონოთ, თუ ძალი რაჲმე გინა სიმტკიცე არს ესევითართა მათ შინა, არა თავს-იდებს ეკლესიასტე, არამედ განამტყუენებს ესევითარსა მას იჭუსა, რომელიცა იგი ამაოდ უწერს ყოველსავე ხილულსა და განქარვებადსა, რამეთუ ამაოჲ უარსებოჲ[91] არს და უარსებოსა ბუნებით ძლიერებაჲ არა აქუს.

გარნა თუ განმრავლებულად წარმოჩინებისათჳს ძლიერებათაჲსა იპოვოს რაჲ-მე გონებაჲ, გამომაცხადებელი თქუმულთაჲ ამათ? რამეთუ ესევითარი განყოფილებაჲ გჳსწავიეს წმიდათა წერილთაგან ესევითართა სახელთა ზედა და რაჟამს განთჳსე[98vb]ბულად ძლიერებასა იტყოდის,[1*] უფლისა[92] მიმართ აღიწევის ესევითარისა მის სიტყჳსა გულისკმის-ყოფაჲ, ხოლო რაჟამს განმრავლებულად იტყოდის, ანგელოზთა ბუნებასა წარმოაჩინებს.

და ესრეთ გულისკმა-ყავ: *„ქრისტე — ღმრთისა ძალი და ღმრთისა სიბრძნე“*.[2*] ამას ადგილსა განთჳსებულად ღმრთისათჳს გუაუწყა: *„აკურთხევდით უფალსა ყოველნი ძალნი მისნი“*.[3*]

აქა განმრავლებულად თქუმითა ძალთაჲთა გონიერნი იგი ანგელოზთა ბუნებანი მოასწავნა, ხოლო ძალთა და[93] სიმტკიცეთა მოკსენებაჲ განმტკიცებაჲ არს სიტყჳსაჲ და იგივე ძალი, რამეთუ ესრეთ არს წესი წერილთაჲ, რაჲთა ორთა სიტყუათა ერთად შეერთებითა, რომელთა ძალი ერთ იყოს, უმტკიცეს გამოაჩინოს და დაამტკიცოს, რომლისათჳსიგი იტყოდის; ვითარცა-იგი რაჟამს თქუას:[94] „უფალო, ძალო ჩემო,

---

90 სახელ-ჰსდუა C;
91 უჳარსებოჲ A;
92 ღ˜თისა B;
93 და] მიმართ B;
94 ჰსთქუას C;

1* რომ. 1,6;
2* I კორ. 1,24;
3* ფსალ. 148,2;

უფალო და დამამტკიცებელო ჩემო",[1*] ამათ უკუე ორთავე სიტყუათა მოსწავებაჲ ერთ არს, არამედ განგრძობითა მით რეცა დაამტკიცებს და შეამკობს აგებულებასა სიტყჳსასა.

აწ უკუე განმრავლებულად ძალთა მოკსენებაჲ და სიმტკიცეთა შეძინებაჲ მსმენელთა მათ გონებასა ანგელოზთა ბუნებისა განმცდელ- 5
ჰყოფს. ვინაჲცა ფუცებაჲ ესე დამამტკიცებელი სიტყუათაჲ, მოძღურისა მიერ სულთა მიმართ აღსრულებული, არა ქმნილ არს წარმავალისა ამის[95] სოფლისა მიმართ, არამედ წარუვალისა მის მიმართ და ანგელოზთა ბუნებისა, რომელთა-იგი მიმართ ხედვად უბრძანებს, რაჲთა შეურყეველობაჲ და სიმტკიცე სათნოდ მოქალაქობისაჲ სახისა 10
მის მიერ დაუმტკიცოს.

რამეთუ ვინაჲთგან შემდგომად აღდგომისა ცხორებაჲ ანგელოზთა მობაძავად აღთქუმულ არს კაცთადა და აღმთქუმელი იგი უტყუეელ არს, ჯერ-არს და სამართალ, რაჲთა სოფელსაცა შინა ცხორებაჲ ეგრეთვე მსგავსად შევცვალოთ, რომელსა-იგი მოველით და რაჲთა არა 15
თანა[99ra]ხატ-ვექმნეთ[96] სოფელსა ამას, არამედ დაღაცათუ კორცითა ცხოველ[97] ვიყვნეთ და აგარაკსა ამას შინა სოფლისასა ვიქცეოდით, ნუმცა ვცხონდებით კორციელად და ნუცამცა შევემშჭუალვით ნივთთა სოფლისათა, არამედ სოფლისა, ესე ცხორებაჲ საწურთელმცა არს ჩუენდა წარუვალისა[98] მის ცხორებისა. ვინაჲცა ფუცებისა მიერ დაამტ- 20
კიცებს სძალი სულთა მათ დამოწაფებულთა, რაჲთა მოქალაქობაჲ მათი, სოფელსა ამას შინა წარმართებული, ძალთა მიმართ ხედვიდეს უსხეულოთა და უვნებელობისა მიერ მიემსგავსებოდის ანგელოზებრივსა მას სიწმიდესა.

რამეთუ ესრეთ განიღჳძების სიყუარული და ესრეთ აღდგების,[99] 25
რომელ არს ამაღლებაჲ[100] და მარადის შეძინებაჲ და უაღრესისა მიმართ წარმატებაჲ და კეთილისა მის ნებისა ღმრთისა აღსრულებაჲ ეი-

---

95 მის B;
96 თანახატ-ვექმნეთ C;
97 ცხოველ A;
98 წარუალისა C;
99 აღსდგების C;
100 აღმაღლება C;

1* ფსალ. 17,2-3;

თარცა ცათა შინა, ეგრეთცა ქუეყანასა ზედა, ესე იგი არს ანგელოზთა უვნებელობისა ჩუენ შორისცა წარმართებაჲ.

ესე არს, რომელი გულისკმა-ვყავთ[101] სიტყჳსა ამისთჳს, ვითარმედ: *„გაფუცებ[102] თქუენ, ასულნო იერუსალჱმისანო,[103] ძალთა და სიმტკიცეთა აგარაკისათა, უკუეთუ აღსდგეთ[104] და განაღჳძოთ სიყუარული, ვიდრემდის ინებოს“*.

ხოლო უკუეთუ იპოვოს[105] სხუაჲცა რაჲმე სიტყუაჲ, უფროჲს მიახლებული საძიებელისა მის ჭეშმარიტებისაჲ, შევიწყნაროთ მადლი იგი და ვჰმადლობდეთ გამომაცხადებელსა მას დაფარულთა საიდუმლოთასა სულითა წმიდითა ქრისტე იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომელსა შუენის დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

---

101 გულისხმა-ვჰყავთ C;

102 გაფუცე B;

103 იერუსალიმისანო C;

104 აღჰსდგეთ C;

105 იპოვოს A;

ᲒᲠᲯᲚ V

სიტყუაჲ ესე:

2,8. ქმაჲ ძმისწულისა ჩემისაჲ აჰა ესერა, ესე მოვალს ხლდომით[1] მთათა ზედა და მორბის ბორცუთა ზედა.

2,9. მსგავს არს ძმისწული ჩემი ქურციკსა ანუ ნუკრსა ირმისასა მთათა ზედა ბეთელისათა. აჰა ესერა, ესე დგას უკუანა ზღუდესა ჩუენსა, და იხედავს სარკუმ[99rb]ლით გამო და გარდამოხედავს არ-
დაბაგთაჲთ.

2,10. მომიგებს ძმისწული ჩემი და მეტყჳს მე: აღდეგ, მოვედ, მახლობელო ჩემო, შუენიერო ჩემო, ტრედო ჩემო.

2,11. რამეთუ აჰა ესერა, ზამთარი წარკდა,[2] წჳმაჲ დასცხრა[3] და წარვიდა გზასა თჳსსა.

2,12. და ყუავილი გამოჩნდა[4] ქუეყანასა ჩუენსა. ჟამი სხლვისაჲ მოიწია. ქმაჲ გურიტისაჲ ისმა ქუეყანასა ჩუენსა.

2,13. ლეღუმან გამოუტევა ყუავილი თჳსი ვენაკნი[5] ყუავიან, მოსცეს[6] სულნელებაჲ თჳსი. აღდეგ,[7] მოვედ, მახლობელო ჩემო, შუენიერო ჩემო, ტრედო ჩემო.

2,14. მოვედ თავით შენით, ტრედო ჩემო, საგრილსა ქუეშე კლდისასა, მახლობელად ზღუდისა. მიჩუენე მე პირი შენი და მასმინე მე ქმაჲ შენი, რამეთუ ტკბილ არს ქმაჲ შენი და პირი შენი შუენიერ.

2,15. მიპყრენით ჩუენ მელნი მცირენი, განმრყუნელნი ვენაკთანი[8], და ვენაკნი ჩუენნი ყუავიან.

2,16. ძმისწული ჩემი ჩემდა და მე — მისა, რომელი ჰმწყსი შრო-
შანთა შორის.

---

1 ელდომით C;
2 წარჰკდა C;
3 დაჰსცხრა C;
4 გამოჰსჩნდა C;
5 ვენახი C;
6 მოჰსცეს C;
7 აღჰსდეგ C;
8 ვანაკისანი C;

2,17. ვიდრემდის წარკდეს[9] დღე და მოდგენ[10] აჩრდილნი, მოიქეც შენ და ემსგავსე[11] შენ, ძმისწულო ჩემო, ქურციკსა ანუ ნუკრსა ირმისასა მთათა ზედა ღელოვანთა.

აწ აღმოკითხულისა ამისგან წინადაგებული ესე სიბრძნისმეტყუელებისაგან ქებისა ქებათაჲსა გულისთქუმადცა მოგუყვანებს ჩუენ აღმატებულთა მათ კეთილთა გულისკმის-ყოფისა და მწუხარებასაცა მოჰფენს სულთა ჩუენთა უსასოებისათჳს მიწდომისა მიუწდომელთა მათა გულისკმის-ყოფათასა.

რამეთუ ვინმცა არა შეწუხნა,[12] ხედვიდეს რაჲ, რამეთუ ესეოდენთა აღსლვათა სიყუარულისა მიერ ამაღლებული სული და ზიარებითა კეთილთაჲთა განწმედილი, სიტყჳსაებრ მოციქულისა,[1*] არღარა საგონებელ არს მიწდომად საძიებელისა მის, დაღაცათუ სიმაღლეთა მათ პირველწარელილთა განვიცდიდით, რომელნი-იგი ზემო ვაკსენენით და ჰვნატრიდით მას ამაღლებისა მისთჳს, რაჟამს ტკბილი იგი ვაშლი განიცადა და უნა[99va]ყოფებისაგან მაღნართაჲსა განარჩია და აჩრდილი იგი მისი გულისსათქუმელ-ყო და გემოჲსხილვითა მისითა დატკბა და საუნჯეთა შინა სიბარულისათა შეეიდა.

ხოლო ღუნოდ სიხარულსა უწოდს, რომელი-იგი გულსა მიმღებელთასა აბარებს და ვითარცა სიყუარულსა დამორჩილებული, ნელსაცხებელთა მიერ დაემტკიცა და ვაშლითა გარემოსხმულ იქმნა და სიყუარულისა იგი ისარი[13] გულსა თჳსსა შეიწყნარა და კუალად კელთა შინა მშჳლდოსნისათა თჳთ მებრ იგი ისარი იქმნა და კელთა მიერ ძლიერისათა განსა მას ჭეშმარიტებისასა წარემართა.[2*]

ამას და ესევითარსა რაჲ ვხედევდ, ესეოდენთა[14] ამათ[15] სიმაღლეთა მიერ თავსა ნეტარებათასა აღწევნულად ვჰგონებდ. ხოლო აწ ვითარ

---

9 წარჰკედეს C;
10 მოჰსდგენ C;
11 ემჳსგავსე C;
12 შეჰსწუხნა C;
13 ისარი] – A;
14 ესოდენთა B;
15 მათ B;

1* ეფეს. 3,12;
2* ფსალ. 126,4-5;

ვხედავ,[16] პირველნი იგი წარმატებანი დასაბამნი ხოლო არიან აღსლვისანი. რამეთუ ყოველთა მათ სიმაღლეთა არა განცხადებულად ხილვად და მიწდომად კეთილისა და ჭეშმარიტებისა, არამედ ქმად სასურველისა სახელ-სდებს,[17] სასმენელისა სახეთა მიერ გამოსახულად და არა განცდისა მიერ ცნობილად და მხიარულმყოფელად.

და უკუეთუ იგი ესეოდენ ამაღლდა, ვითარცა გუესმის დიდისა პავლესთჳს სამ ცადმდე[18] ამაღლებად,[1•] და არღა შეურაცხიეს თავი თჳსი საძიებელისა მის განცხადებულად მიწდომად, რაჲ-მე ვყოთ[19] ჩუენ, ანუ სადა დავაწესნეთ თავნი ჩუენნი, რომელნი-ესე არცა თუ ეზოსა შეუვალთა გულისკმის-ყოფათასა მიახლებულ ვართ?

ხოლო ჯერ-არს, რაჲთა თჳთ მებრ მათ მისთა სიტყუათაგან ვიხილოთ ძნიადმისაწდომელობაჲ იგი საძიებელისაჲ მის, რამეთუ იტყჳს: *„ქმაჲ ძნისწულისა ჩემისაჲ!“*[2•] არცა [99vb] სახესა, არცა ხატსა, არცა პირსა საძიებელისა მის საცნაურმყოფელსა წარმოაჩინებს, არამედ ქმასა, რომელი-იგი ეჭუსა მოატყუებს მეტყუელისასა უფროჲს, ვიდრეღა დამტკიცებასა, თუ ვინ არს; და რამეთუ მსგავსებისა მსგავს არს თქუმული ესე და არა უეჭუელისა გულსავსებისა და მიწდომისა, ამის მიერ ცხად არს, რამეთუ არა ერთსა გონებასა ზედა დაამტკიცებს სიტყუასა თჳსსა, არცა ერთსა სახესა განიცდის, არამედ მრავალთა ხილვათა მიმართ იცვალების და სხჳსა და სხჳსა სახისა ხილვასა ჰგონებს. და რამეთუ არა ყოვლადვე ერთსა პირსა ზედა დაადგრების, სიტყუანი მისნი საცნაურ-ჰყოფენ, რამეთუ იტყჳს: აჰა ესერა, ესე მოვალს არა დგომით, არცა ლოდებით, რაჲთამცა დგომისა მიერ განეცხადა განმცდელსა თჳსსა, არამედ მისტაცებს განცდასა თჳსსა მხილველისაგან პირველ სრულიად განცდისა, ვითარცა იტყჳს: *„ველდომით მთათა ზედა და მორბის ბორცუთა ზედა“*.[3•]

და ოდესმე ქურციკად საგონებელ იქმნების და ოდესმე – ნუკრად, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„მსგავს არს ძმისწული ჩემი ქურციკსა და*

---

16 ვჰხედავ C;
17 სახელ-ჰსდებს C;
18 ცამდე A;
19 ვჰყოთ C;

1• II კორ. 12,2;
2• ქ.ქ. 2,8;
3• ქ.ქ. 2,8;

ნუკრსა ირმისასა მთათა ზედა ბეთელისათა“.[1•]

ესრეთ მარადის განცდილი სხუად და სხუად ხატად შეიცვალების.

და ესე არს, რომელი განმარტებულად გულისკმის-ყოფისა სასოებასა წარმიკუეთს მარტივად წარმოთქუმითა და სიღრმითა ძალისაჲთა და შეაიწრებს გონებასა ჩემსა, გარნა სასოებითა ღმრთისაჲთა, რომელი მისცემს სიტყუასა, რომელნი ახარებდენ[20];[2•] ძალითა ღმრთისაჲთა არა უდებ-ვიქმნენთ, არამედ შევაერთოთ პირველგანხილულთა მათ განწესებაჲ ესე და შეწყობაჲ აწ აღმოკითხულთაჲ ამათ. რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„კმაჲ ძმისწული[100ra]სა ჩემისაჲ“*1 და მეყსეულად შესძინა, ვითარმედ; *„აჰა ესერა, ესე მოვალს“.*

და რაჲ არს, რომელი-იგი გულისკმა-ვყავთ ამათთჳს, გარნა თუ რამეთუ წინაჲსწარ-ხედვენ თქუმულნი ესე სახარებისა მიერ წარმოჩინებულსა ღმრთისა სიტყჳსა განგებულებასა, რომელი-იგი პირველ იქადაგა წინაჲსწარმეტყუელთა მიერ, ხოლო განცხადნა ჯორციელად მოსლვითა უფლისაჲთა. რამეთუ წამებს[21] საქმეთა მიერ საღმრთოჲ კმაჲ და შეუდგების სიტყუასა აღთქუმისა იგი აღსრულებაჲ, ვითარცა წამებს წინაჲსწარმეტყუელი, ვითარმედ: *„ვითარცა გუესმა, ეგრეთცა ვიხილეთ“.*[3•]

და აქა იტყჳს: *„კმაჲ ძმისწულისა ჩემისაჲ!“* ესე არს, რომელი გუესმა, და კუალად, ვითარმედ: *„აჰა ესერა, ესე მოვალს“.* და ესე არს, რომელი თუალითა ვიხილეთ.

მრავლითკერძო და მრავლითსახით მაშინ ვიდრე ღმერთი ეტყოდა მამათა წინაჲსწარმეტყუელთა მიერ. ესე არს სასმენელი იგი კმისაჲ მის. ხოლო უკუანაჲსკნელთა დღეთა მეტყოდა ჩუენ ძისა მიერ.[4•] და ესე არს თქუმული იგი, ვითარმედ: *„აჰა ესერა, მოვალს ვლდომით მთათა ზედა და მორბის ბორცუთა ზედა“.*

ხოლო ჯეროვნად და შემსგავსებულად განკუთნვილითა რაჲთმე სიტყუთა მიემსგავსების ქურციკსა და ნუკრსა ირმისასა. ეგრეთვე კუალად სხუთა სახითა ქურციკი უკვე მოასწავებს მალემხედველობასა მას

---

20 ახარებენ BC;

21 ჰსწამებს C;

1• ქ.ქ. 2,9;

2• ფსალ. 67,12;

3• ფსალ. 47,9;

4• ებრ. 1,2;

ყოველისავე მხედველისასა, რამეთუ იტყჳან ამის ცხოველისასა[22] გარდარეულად მალემხედველობასა, ვინაჲცა საქმისაგან[23] აქუს წოდებაჲ საზელისაჲ. რამეთუ ქურციკი მალემხედველად გამოითარგმანების და ეგრეთვე ღმერთ ყოველთა განცდის და მხილველობისათჳს იწოდების ყოველთავე მხილველ. და ყოველთა მხილველობაჲ არს თარგმანებაჲ ღმრთისაჲ.

და ვინაჲთგან ღმერთი გამოჩნდა ქორცი[100rb]თა, რომელი-იგი დამჯობად წინააღმდგომთა მათ ძალთა მოვიდა სოფლად, ამისთჳს მიემსგავსების ქურციკსა, რომელმან-იგი ზეცით ქუეყანად გარდამოიხილა, ხოლო ნუკრად, რომელი მთათა და ბორცუთა მოიპყრობს სირბილითა; ესე არს, რამეთუ დათრგუნნა[24] და დაარღუნა ეშმაკთა სიბოროტისა სიმაღლენი. ხოლო მთად უწესს ძლიერებითა მისითა შეძრწუნებულად და გულსა ზღუათასა[1•] შთათხეულად, რომლისათჳს-იგი ეტყოდა მოწაფეთა უფალი, ვითარმედ: *„უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ, ვითარცა მარცუალი მდოგჳსაჲ, ჰრქუათ მთასა ამას* (და საცნაურ-ჰყოფდა სიტყჳთა ამით სულსა მას უკეთურსა, რომლისაჲ ვერ უძლეს განკდად), *ვითარმედ: აღიფხურ ამიერ და შთავარდი ზღუასა“*.[2•]

და ვინაჲთგან თჳსი არს ნუკრთა ბუნებისაჲ მოსრვაჲ ქუეწარმავალთა და გუელთაჲ და ოტებაჲ მათი ფშუნვითა და ოფლისა მათისა ორთქლითა, ამისთჳს ქურციკსა ყოველთა მხედველობისათჳს ემსგავსების, ხოლო ნუკრსა ირმისასა — ვითარცა დამთრგუნველსა და განმლეველსა გესლიანთა და წინააღმდგომთა საქმეთასა, რომელთა სახიმეტყუელებამან მთად და ბორცუად სახელ-სდვა.[25]

იქმნა უკუე კმაჲ სიძისაჲ წინაჲსწარმეტყუელთა მიერ, რომელთა შორის იტყოდა ღმერთი. და შემდგომად კმისა მოვიდა სიტყუაჲ და დათრგუნნა წინააღმდგომნი მთანი და დამუსრნა[26] მკდომნი იგი ბორცუნი, რომელ არიან განდგომილნი იგი ძალნი და ვითარცა მტუერნი დააწულილნა, ესე იგი არს უვაღრესნი მათნი სიბოროტითა და უმრწემესნი.

---

22 ცხ˜ვლის˜სა თს A;

23 საქმისა გ˜დ A („დ“ სხვა ხელითაა დაწერილი);

24 დაჰსთრგუნნა C;

25 სახელ-ჰსდვა C;

26 დამუჰსრნნა C;

1• ფსალ. 45,3;

2• მთ. 17,20;

რამეთუ ამას აუწყებს მთათაჲ ბორცუთა მიმართ განყოფილებაჲ, რამეთუ უბოროტესიცა და შემდგომი სწორებით დაითრგუნვიან ძალისაგან და კელმწიფებისა მისისა, რომელი-იგი ვალს ასპიტსა და იქედნესა ზედა და დასთრგუნავს ლომსა და ვეშაპსა და ეგრეთვე გუელთა და ღრიაკალთა, რომელნი-იგი [100va] რეცა უდარესთა მათ მოასწავებენ, ვითარმცა ვინ იტყოდა, ვითარმედ მთად შერაცხილ იყვნეს ერსა მას შორის, რომელნი შეუდგეს უფალსა, ეშმაკნი იგი უბოროტესნი, ვითარ-იგი იყო გერგესეველთა სოფელსა და სხუანი ესევითარნი, კაცთა ბუნებასა ზედა აღდგომილნი და ამაღლებულნი, რომელთა შორის იყვნეს მთანი და ბორცუნი უდარესნი და უვაღრესნი. არამედ ნუკრმან მან ირმიასამან, დამამტკიცებელმან ბუნებათამან, რაჟამს-იგი მისცა მოწაფეთა კელმწიფებაჲ დათრგუნვად გუელთა და ღრიაკალთა[1•] და ყოველსავე ზედა ძალსა მტერისასა, ესე ყოველნი სწორებით დათრგუნნა და რბიოდა იგი მათ ზედა ღმრთივშუენიერად, ვითარცა მთათა ზედა და ბორცუთა, რაჲთა ამათ მიერ სიმდიდრე[27] იგი სათნოებათა მიერ ამაღლებულთაჲ მათ გამოცხადნეს და რაჲთა არღარა დაბნელდებოდინ ბორცუთა და სიმაღლეთა მიერ უკეთურებისათა.

რამეთუ მთანი ბეთელისანი სახელისა ამის თარგმანებითა მაღალსა და ცათა მობაძავსა ცხორებასა მოასწავებენ, რამეთუ სიტყუაჲ ესე სახლად ღმრთისად გამოითარგმანების ებრაელთა ენისაგან, ვინაჲცა იტყჳს: *„მთათა ზედა ბეთელისათა“*.[2•]

იხილა ესე თუალმან მან განწმედილმან და წინაჲსწარმხილველმან სულისამან, რომელი-იგი საღმრთოთა მათ ვლდომათა წინააღმდგომთა მათ ბორცუთა ზედა აღსრულებულთა თანა-ჰყვებოდა. და ჟამთა უკუანაჲსკნელ ყოფადისათჳს, ვითარცა აღსრულებულისა, ესრეთ მეტყუელებს და ვითარცა სარწმუნოსა და უეჭველსა მოსალოდებელსა მას მადლსა, ვითარცა ქმნილსა, სასოებით განიცდის.

რამეთუ იტყჳს, ვითარმედ რომელი-იგი შუენიერი[100vb]თა მით მოსწრაფებითა *„მთათა ზედა ბლდებოდა და ბორცუთა ზედა რბიოდა“*, მდგომარედ გუჩუენებს ჩუენ თავსა თჳსსა შინაგან ზღუდისა მოწევნული და სარკუმელთაგან არდაბაგთაჲსა მზრახავს.

---

27 სიდიდე B (τὸ μέγεθος PG 44 col. 864 A_{11}).;

1• ლუკ. 10,19;

2• ქ.ქ. 2,9;

ხოლო სიტყუაჲ იგი ესრეთ არს: *„აჰა ესერა, ესე დგას*[28] *უკუანა ზღუდისა ჩუენისა, და იხედავს სარკუმლით გამო და გარდამოხედავს არდაბაგთაჲთ“*.[1*]

ზრქელი უკუე და კორციელი სახე თქუმულთაჲ მათ ესეეითარი არს, რამეთუ შინაგან სახლისა მყოფსა სძალსა სარკუმლით გამო ზრახავს გარეშე მყოფი და დაღაცათუ ზღუდე ორთავე შორის განსწვალებს,[29] ზიარებაჲ სიტყჳსაჲ დაუბრკოლებელ იქმნების, რამეთუ სარკუმლით გამო თავი გარდამოიხილავს, ხოლო არდაბაგთა სახედავისაგან შინაგან სარკუმელთა ჭჳრობითა განიცდის თუალი. ხოლო სახისმეტყუელებისამიერი განხილვაჲ პირველგამოძიებულთა მათ გონებასა შეეტყუების.

რამეთუ სიტყუაჲ ესე გზითა რაჲთმე და შედგომებითა კაცობრივსა ბუნებასა საკუთარ-ჰყოფს ღმრთისა, რამეთუ პირველად წინაჲსწარმეტყუელთა მიერ განანათლებს მას და მერმე — შჯულისა მცნებათა მიერ, რამეთუ სარკუმლად ნათლისა შემომყვანებელად წინაჲსწარმეტყუელთა გულისკმა-ვჰყოფთ, ხოლო არდაბაგად — შჯულიერთა მათ მცნებათა თხზულებასა.

და ორთავე ამათ მიერ ბრწყინვალებაჲ იგი ჭეშმარიტისა მის ნათლისაჲ შემოვალს ჩუენ შორის. და შემდგომად ამისსა[30] სრულისა მის ნათლისა გამობრწყინვებაჲ იქმნების, რაჟამს გამოუჩნდეს ნათელი იგი ჭეშმარიტი მსხდომარეთა ბნელსა და აჩრდილთა ბუნებისა ჩუენისა შეზავებითა პირველად უკუე საწინაჲსწარმეტყუელოთა და შჯულიერთა მცნებათა ნათელნი განაბრწყინვებენ სულსა,[2*] რომელნი-იგი სარ[101ra]კუმლად და არდაბაგად გულისკმა-ვყენით და გულისთქუმასა და სურვილსა მოგუატყუებენ, რაჲთა განცხადებულად ვიხილოთ მზე იგი სიმართლისაჲ და ამისა შემდგომად სურვილი იგი საქმით სრულიქმნების.

ვისმინოთ უკუე, თუ ვითართა სიტყუათა იტყჳს ეკლესიისა მიმართ, რომელი-იგი წუთლა შინაგან ზღუდისა არღა შემოსრულ არს, არამედ ჯერეთ სარკუმელთა მიერ სანათლოთა ზრახავს მას, რამეთუ იტყჳს,

---

28 ჰსდგას C;

29 განჰსწუალებს C;

30 ამისა C;

1* ქ.ქ. 2,9;

2* მთ. 4,16;

ვითარმედ: *„მომიგებს ძმისწული ჩემი და მეტყუს მე: აღდეგ, მოველ, მაბლობელო ჩემო, შუენიერო ჩემო, ტრედო ჩემო. რამეთუ აჰა ესერა, ზამთარი წარკდა,*[31] *წუმაჲ დასცხრა და წარვიდა. ყუავილი გამოჩნდა*[32] *ქუეყანასა ჩუენსა, ჟამი სხლვისაჲ მოიწია. ქმაჲ გურიტისაჲ ისმა ქუ-*
5 *ეყანასა ჩუენსა. ლეღუმან გამოუტევა ყუავილი თჳსი. ვენაკნი ყუავიან, მოსცეს*[33] *სულნელებაჲ თჳსი“.*[1•]

ეჰა, ვითარ ბრწყინვალედ გამოგჳსახავს ჩუენ მადლსა მას არისასა დამბადებელი იგი არისაჲ, რომლისა მიმართ იტყჳს დავით, ვითარმედ: *„ზაფხული და არე შენ დაჰბადე“*,[2•] რომელი დაჰკსნის ზამთრისა მჭ-
10 მუნვარებასა და იტყჳს, ვითარმედ წარკდა ჴუვილი ზამთრისაჲ და უგემურებაჲ წუმათაჲ და სამოთხეთა წარმოაჩენს შუენიერებასა და ველთა გარდაცემულთა ყუავილითა.

ხოლო ყუავილთათჳს იტყჳს, ვითარმედ მას მებრ მოწილვისა ჟამსა მიწევნულ არიან, რაჲთა გურგუნისმოქმედთა და ნელსაცხებლის შემზა-
15 ვებელთა[34] და ყოველთა ყუავილისმკრებელთა სურვილი აღატყინოს და დაატკბოს ჟამსა მას სიტყუაჲ კმითა და ძნობითა მფრინველთაჲთა, რომელნი-იგი კმობდიან მაღნარით გამო, რაჟამს ტკბილი იგი კმაჲ გურიტისაჲ ოხრინ და განაცხრობნ სასმენელთა.

და ლეღუსა და ვენაკსა მოიკსენებს და მათ[101rb]მიერსა მას ყო-
20 ფადსა საშუებელსა წარმოაჩინებს, რაჲთა ყუავილოვნებისა მის მათი-სა[35] მიერ ახაროს საყნოსელთა.

ესრეთ უკუე შეიმკვების გამოსახვითა არისაჲთა სიტყუაჲ და მჭ-ევროის, რამეთუ მჭმუნვარეთა მათ განაგდებს და საწადელთა მათ მითხრობათა მიერ განშუენდების.

25 ხოლო, ვითარ ეჰგონებ, ჯერ-არს, რაჲთა არა განილიოს სიტყუაჲ ჩუენი ბრწყინვალეთა ამათ სახეთა შინა, არამედ რაჲთა სიტყუათა ამათ, მარტივად გამოსახულთა, საიდუმლოჲსა ძალისა მიმართ წა-რემართოს გულისკმის-ყოფაჲ ჩუენი და რაჲთა გამოცხადნეს საუნჯე

---

31 წარჰკდა C;
32 გამოჩსჩნდა C;
33 მოჰსცეს C;
34 შემზაებელსა B;
35 მადლისა BC;

1• ქ.ქ. 2,10-13;
2• ფსალ. 73,17;

საიდუმლოთა მათ დიდძალთაჲ, დაფარული სიტყუათა ამათ შინა.

და რაჲ-მე არნ[36] ესე, რომლისათჳს ვიტყჳთ? განყინულ იყო ოდესმე კაცთა ბუნებაჲ კერპთმსახურებისა ყინელითა და მიმოქცევადისა მის კაცთა მოძრავობისაგან[37] უძრავთა მათ სამსახურებელთა ბუნებად შეცვალებულ იყო, ვითარცა თქუმულ არს, ვითარმედ: *„ემსგავსნენ მათ მოქმედნი მათნი და ყოველნი, რომელნი ესვიდენ მათ“*.[1•]

და ჯეროვნად შეემთხუეოდა[38] მას ესე, რამეთუ ვითარცა რომელნი ჭეშმარიტისა ღმრთისა მიმართ ხედვიდენ, თავთა შორის თჳსთა შეიწყნარებენ საღმრთოჲსა მის ბუნებისა მსგავსებასა, ეგრეთვე რომელნი ამაოებასა კერპთასა შემშჭუალულ იყვნენ, იქმნებიან იგინი მსგავს ამაოებისა მის მათისა და ქვად და ძელად შეიცვალებიან კაცებისა წილ.

და ვინაჲთგან ქვაქმნილ იყო კერპთა მონებითა და განყინულ და უძრავ, ამისთჳს აღმობრწყინდა ბოროტსა მას შინა ზამთარსა მზე იგი სიმართლისაჲ და არე მოეფინა მობერვითა მით სულისაჲთა, რომელი განადნობდა ესევითარსა მას ყინელსა და შარავანდედთა თჳსთა მიფენითა განატფო ყოველი სოფელი, რაჲთა განტფეს რაჲ მადლითა სულისა წმიდისაჲთა ყინელისა მიერ ქვაქმნილი იგი კაცებაჲ და გალ[101va] ხუეს და მცხინვარებითა სიტყჳსაჲთა კუალად იქმნეს იგი წყალ ცხოველ და ვიდოდის ცხორებად საუკუნოდ, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: *„ქროდის სული მისი და დიოდიან წყალნი“*.[2•] *„რომელმან გარდააქცია კლდე ტბად წყალთა და კლდე განუკუეთელი წყაროებად წყალთა“*,[3•] რომელი-იგი უცხადესად-რე მოასწავა ნათლისმცემელმან, ქადაგებდა რაჲ ჰურიათა მიმართ და თქუა, ვითარმედ: *„შემძლებელ არს ღმერთი ქვათა ამათგან შვილად აბრაჰამისა*[39] *აღდგინებად“*[4•] და მობაძავ მისა ყოფად სათნოებათა მიერ.

ესე უკუე ესმის სიტყჳსაგან ეკლესიასა და საწინაჲსწარმეტყველო-

---

36 არიან BC;

37 მოძრაობისაგან C;

38 შეემთხუეუდა C;

39 აბრაჰამისსა C;

1• ფსალ. 134,18;

2• ფსალ. 147,7;

3• ფსალ. 113,8;

4• მთ. 3,9;

თა სარკუმელთაგან და შჯულიერთა არდაბაგთა ნათელსა ჭეშმარიტებისასა შეიწყნარებს, ვიდრე-იგი დგაღა სახითი[40] იგი ზღუდე მოძღურებისაჲ, შჯულისასა ვიტყჳ, რომელსა-იგი აჩრდილი აქუნდა ყოფადთა და მათ კეთილთაჲ და არა თჳთ იგი ხატი საქმეთაჲ,[1•] რომლისა უკუანა კერძო მდგომარე იყო ჭეშმარიტებაჲ მახლობელად სახისა, რომელმან პირველად წინაჲსწარმეტყუელთა მიერ ნათელი სიტყჳსაჲ გამოუბრწყინვა ეკლესიასა, ხოლო შემდგომად მისა, გამოცხადებითა სახარებისაჲთა, ყოველივე სახისა აჩრდილთა უცნებაჲ უჩინო-ყო, რომლისა მიერ დაიკჳსნა შუვაკედელი და შეერთო სახლისა იგი ჰაერი ნათელსა მას ეთერისასა, რაჲთა არღარა ეკმარებოდის სარკუმელთამიერი იგი განათლებაჲ, არამედ რაჲთა თჳთ თავადი იგი ნათელი ჭეშმარიტებისაჲ ნათელთა მიერ სახარებისათა შინაგან მისსა განანათლებდეს ყოველსა.

ამისთჳს უღაღადებს[41] მნათობთა მათ მიერ ეკლესიასასა სიტყუაჲ, რომელი-იგი აღჰმართებს დაცემულთა და ეტყჳს: „აღდეგ“, ესე იგი არს დაცემისაგან შენისა, რომელი-ეგე[101vb] შეჰბრკოლდი გუელისა მიერ და ქუეყანად დაეკუეთე და დაცემასა მას ურჩებისასა შთაჰვარდი. „აღდეგ“, ვითარცა გიბრძანებ, გარნა არა კმა-არს შენდა აღმართებაჲ ხოლო დაცემისაგან, არამედ მოვედცა ჩემდა კეთილისა წარმატებისა მიერ და სათნოდ და უბიწოდ ცხორებისა, ვითარცა-იგი განრღუეულისათჳს ვისწავეთ.

რამეთუ არა თუ აღადგინა ოდენ სიტყუამან დაკჳსნილი იგი ტჯრთი ცხედრისაჲ, არამედ სლვაჲცა უბრძანა,[2•] რომელი-იგი მოასწავებდა უმჯობესისა მიმართ წარმართებასა და აღორძინებასა კეთილთა საქმეთა მოძრავობითა, ვითარცა იტყჳს აქაცა, ვითარმედ: აღდეგ და მოვედ.[3•]

ეჰა, ძლიერებაჲ ბრძანებისაჲ! ჭეშმარიტად კმაჲ ღმრთისაჲ კმაჲ არს ძლიერებისაჲ,[42] ვითარცა იტყჳს მეფსალმუნე, ვითარმედ: „აჰა

---

40 სახლი C;

41 უღაღადებდეს C;

42 ძლიერება C;

1• ებრ. 10,1;

2• მთ. 9,6;

3• მარკ. 2,14;

ესერა, მოსცეს კმაჲ თჳსი, კმაჲ ძლიერებისაჲ"[1] და ვითარმედ: „*მან თქუა და იქმნნეს, თავადმან ბრძანა და დაებადნეს*"?[2]

აჰა ესერა, აწცა ჰრქუა მდებარესა მას, ვითარმედ: „*აღდეგ!*" და ვითარმედ: „*მოვედ!*" და მეყსეულად ბრძანებაჲ იგი საქმე იქმნა, რამეთუ მსწრაფლ, ვითარცა შეიწყნარა ძლიერებაჲ სიტყჳსაჲ და აღდგა და წარმოუდგა და მახლობელ იქმნა ნათლისა, ვითარცა-იგი თჳთ მწოდებელისა მის მიერ იწამა, რამეთუ იტყჳს: „*აღდეგ, მოვედ, მახლობელო ჩემო, შუენიერო ჩემო, ტრედო ჩემო*". რაჲ არს წესიერებაჲ ესე სიტყჳსაჲ და ვითარ შეუდგს ერთი ერთსა და ვითარ შეწყობილ არს და შენაწევრებულ, ვითარცა ჯაჭჳ ოქროჲსაჲ, გულისკმის-ყოფაჲ და ძალი სიტყუათა ამათ შემდგომებისაჲ?

რამეთუ ისმენს ბრძანებასა საღმრთოსა და განძლიერდების სიტყჳსა მიერ და აღდგების და წარმოუდგების და მა[102ra]ხლობელად იქმნებების და შუენიერ და ტრედ სახელ-ედების.

რამეთუ ვითარ შესაძლებელ არს, რაჲთამცა სარკისა მიერ განშუენდა ხატი, უკუეთუ შუენიერისა რაჲსმე ხატისა სახე არა შეიწყნაროს? ვინაიცა სარკეცა კაცობრივისა ბუნებისაჲ ვერ იქმნა პირველ კეთილ, არამედ რაჟამს კეთილსა მიეახლა და ხატად საღმრთოჲსა შუენიერებისა შეიცვალა, რამეთუ ვითარცა-იგი აქუნდა სახე გუელისაჲ, ვიდრემდის ქუეყანასა ზედა მდებარე იყო და მას განიცდიდა, ეგრეთვე სახედ, ვინაჲთგან აღდგა და თავი თჳსი კეთილისა მის სახიერისა პირისა პირისპირ ყო და ბოროტი ზურგით დაიგდო, ვითარსაცა ხედავს, მისსაცა ხატ იქმნების.

ხოლო ხედავს პირმშოსა მას შუენიერებასა და შუენიერებაჲ იგი ტრედი არს, ვინაჲცა ნათელსა რაჲ მიეახლა, ნათელი იქმნა. ხოლო მას ნათელსა ვიტყჳ, რომლისა მიერ შუენიერებად ტრედისად შეიცვალა, მის ტრედისა, რომლისა სახემან სულისა წმიდისა მოსლეა გამოაცხადა.

ესრეთ უკუე უწოდა მას სიტყუამან და ესრეთ სახელ-სდვა მას. ესე იგი არს შუენიერად მახლობელობისათჳს და ტრედად შუენიერებისათჳს. და ამისსა შემდგომად წარმოუთხრობს და ეტყჳს, ვითარმედ:

---

1. ფსალ. 67,34;
2. ფსალ. 32,9;

არღარა არს ზამთარი შემაჭუნებელი იგი სულთაჲ, რამეთუ ვერ თავს-იდებს ყინელი მცხინვარებისა წინაგანწყობად და ვერცა სიცივე — მკურვალებისა. რამეთუ აჰა, ზამთარი წარკდა, წუმაჲ დასცხრა და წარვიდა.

რამეთუ[43] მრავლითა საბელითა წარმოაჩენს ბოროტთა და მრავალთა მათ საქმეთა მისთაებრ შემსგავსებულსაცა მისსა სახელსა უწესს, რამეთუ იგივე და ზამთარიცა არს და წუმაჲ და წუეთნი და ყოველთავე განსაცდელთა განთჳსებული სახე და საქმე და სახელი იპო[102rb] ვების მას შინა. რამეთუ ზამთარსა შინა აღყუავებული[44] შუენიერებაჲ ხეთაჲ დაჭნების, რომლითა-იგი ფურცელთა და ნაყოფთა მიერ ბუნებით შემკობილ არნ,[45] რამეთუ განჰყრის და მიწათა შეჰრთავს მას.

და დუმს ძნობაჲ იგი ტკბილად მეტყუელთა მათ მფრინველთაჲ. და ივლტის მერცხალი და დაყუდების[46] და დასცხრების იადონი და უცხო-იქმნების ბუდეთაგან გურიტი.

და ყოველივე სიკუდილისა მჭმუნვარებასა მიემსგავსების. მოკუდების მდელოჲ, დაიძინებს მორჩი, განშიშულდების ვენაკი და ვითარცა ძუალნი, ჴორცთაგან განშიშულებულნი, ეგრეთვე რქანი, ფურცელთაგან განშიშულებულნი, პირველისა მის შუენიერებისა წილ[47] უშუერ და უგემურ იქმნებიან სახილველად.

ხოლო რაჲ ვინ თქუას[48] ვნებათა მათთჳს, რომელნი ზღუასა შინა იქმნებიან ჟამსა ზამთრისასა, ვითარ-იგი ქუესკნელთაჲთგან აღდუღნის და სახედ მთათა და ბორცუთა სიმაღლედ მიმართ აღჰმართნის ღელვანი თჳსნი? და ვითარ-იგი მიეტევნების კმალსა, ვითარცა მბრძოლი, და ზედა-დაესხმის კბოდეთა და ჰგუემს კიდეთა და ზედაჲს-ზედათა მათ ღელვათა მიერ, ვითარცა მანქანათა წყლულებითა, განამტურევს კლდეთა.

ხოლო შენ გულისკმა-ყვენ ვნებანი ესე ზამთრისანი და ყოველივე ესევითარი სახისმეტყუელებად საღმრთოდ შეცვალე.

რასა მოასწავებს ზამთარსა შინა ყუავილოვნებისა დაჭნობაჲ და

---

43 რამეთუ] — C;

44 აყუავებული B;

45 არიან C;

46 დაყულნების C;

47 შუენიერებისა წილ] წილ შუენიერებისა C;

48 ჰსთქუას C;

ხეთა ნაყოფისა და ფურცლისა დაცუენებაჲ და კმატკბილთა მფრინველთა დადუმებაჲ და ღელვათა მიერ ყურილი ზღუსაჲ და ოხრვაჲ და განცხრომაჲ და წუმაჲ და წუეთნი და წარსლვაჲ წუმისაჲ? და რამეთუ ამათ ყოველთა მიერ ნებსითსა და სულიერსა ზამთარსა გამოგუსახვენ [102va] ჩუენ იგავნი ესე ამათ საქმეთანი, და დაღაცათუ თითოეულად არა თარგმნნეს სიტყუამან, არა უცნაურ არს მსმენელთაგან თითოეულისა მათისა ძალი და გონებაჲ.

და თუ ვითარ-იგი ყუაოდა[49] დასაბამსა კაცთა ბუნებაჲ, ვიდრემდის სამოთხესა შინა იყო და წყლითა მით წყაროჲსა მისისაჲთა განიპობებოდა და ყუაოდა,[50] რაჟამს-იგი ფურცელთა წილ უკუდავებისა ნაყოფი შეამკობდა კაცებასა, არამედ ზამთარმან მან რაჲ ურჩებისამან განაკმო ძირი მისი, დასცუა[51] ყუავილი იგი და მიწათა განერია და უკუდავისა მის შუენიერებისაგან განშიშულდა და ღმრთისა სიყუარულისა სათნოებათა იგი ყუავილი[52] და მდელოჲ განმრავლებითა უშჯულოებისაჲთა[53] განკმა, ვინაჲცა პირად-პირადნი ენებანი წინააღმდგომთა სულთანი, ვითარცა სასტიკნი ღელვანი, აღემართნეს ჩუენ შორის, რომელთა მიერ ბოროტი იგი დაქცევაჲ სულთაჲ იქმნების.

არამედ მო-რაჲ-ვიდა არისა მის სულთაჲსა შემოქმედი, რომელმანიგი ბოროტისა მის ქარისა მიერ მაშინ აღძრული იგი ზღუაჲ იხილა რაჲ, არაწმიდათა მათ სულთაცა შეჰრისხნა და ზღუასა უბრძანა: *„დადუმენ და დაიყავნ პირი!“*[1] და ყოველივე მყუდროებად შეცვალა და იწყო ბუნებამან ჩუენმან კუალად აღყუავებად და თუსთა მათ ყუავილთა მიერ კუალად განშუენებად, ხოლო ყუავილ ცხორებისა ჩუენისა სათნოებანი არიან, რომელნი-იგი აწ ყუავიან, ხოლო ნაყოფსა ჟამსა თუსსა გამოსცემენ.

და ამისთუს იტყჳს სიტყუაჲ: „ზამთარი წარკდა, წუმაჲ დასცხრა[54] *და წარვიდა, ყუავილი გამოჩნდა*[55] *ქუეყანასა ჩუენსა. ჟამი მოწილვისაჲ*

---

49 ჰყუაოდა C;
50 ყუეაოდა A;
51 დაჰსცუა C;
52 ყუეალი A;
53 უსჯულოებათათა C;
54 დაჰსცხრა C;
55 გამოჰსჩნდა C;

1• მარკ. 4,39;

მოიწია“.

იტყჳს უკუე, ვითარმედ: ხედავ სამოთხე[102vb]სა ამას, სათნოებათა მიერ აღყუავებულსა? ხედავ სიწმიდესა, რომელ არს ბრწყინვალე იგი და სულნელი შროშანი? ხედავ მორცხუეობისა და კრძალულებისა ვარდსა? ხედავ იასა, ქრისტეს ნელსაცხებელთასა და რაჲსათჳს უკუე არა შესთხზავ[56] ამათგან გჳრგჳნსა?

ესე არს ჟამი იგი, რომელსა შინა ჯერ-არს მოწილვაჲ და შეთხზვაჲ სულიერთა გჳრგჳნთაჲ და განშუენებაჲ, რამეთუ ჟამი მოსთულებისა მათისაჲ მოიწია.

ამას გიწამებს შენ კმაჲ გურიტისაჲ, ესე იგი არს *„კმაჲ ღაღადებისაჲ უდაბნოსა ზედა“*,[1•] რომელ არს იოვანე, გურიტი იგი უდაბნოჲსაჲ, რამეთუ ესე არს ბრწყინვალისა ამის არისა წინამორბედი, რომელი-იგი კეთილთა მათ სათნოებისა ყუავილთა კაცთა უჩუენებდა და რომელთა უნდა მოსთულებაჲ, წინა-უყოფდა ყუავილსა მას ძირთაგან იესესთა აღმოსრულსა ტარიგსა ღმრთისასა, ამხუმელსა სოფლისა ცოდვათასა და ასწავებდა ცოდვათა შენანებასა და სათნოდ მოქალაქობასა.

რამეთუ იტყჳს: *„კმაჲ გურიტისაჲ ისმა ქუეყანასა ჩუენსა“*. ნუუკუე და ქუეყანად ბოროტთა შინა განფრდილთა სახელ-სდებს, რომელთა მეზუერედ და მეძავად უწოდს სახარებაჲ, რომელთა შორის ისმა კმაჲ იოვანესი და რომელთა-იგი შეიწყნარეს ქადაგებაჲ მისი, ხოლო რომელთა არა შეიწყნარეს, მათ შორის არცა ისმა.

ხოლო ლეღჳსათჳს თქუმული იგი, ვითარმედ: *„გამოიღო გაგაჲ თჳსი“*, ესრეთ გულისჴმა-ვყოთ სიტყუაჲ იგი:

გარდარეულად მომზიდველ არს სიღრმეთა შინა მყოფისა მის ნოტიისა სიმკურვალისა მიერ ლეღჳ, და ვინაჲთგან ფრიადითა სინედლითა აღივსის გული მისი, იძულებით ბუნებაჲ ნერგისა მის შორის ნოტიისა მოდნობითა უკმარსა მას და ზრქელსა[103ra] სინედლესა მწუერვალთაგან თჳსთა განსთხევს[57] და მრავალგზის ჰყოფს ამას, ვიდრემდის განწმედილი ნაყოფი და მარჯუე საზრდელად ჟამსა თჳსსა გამოიღის, განრჩეული უკმრისა მისგან სიპოხისა.

---

56 შეჰსთხზავ C;

57 განჰსთხევს C;

1• მარკ. 1,3;

ამას უკუე პირველ ტკბილისა მის და სრულისა ნაყოფისა ლელჳსა მიერ სახედ ნაყოფისა გამოღებულსა გაგად სახელ-ედების, რომელი-იგი, უკუეთუ ვის ენებოს ოდესმე, იჭმებისცა და არა თუ თჳთ ნაყოფი არს იგი, არამედ დასაბამ ნაყოფისა იქმნების იგი. და რომელმან-იგი იხილოს, უეჭველად ნაყოფსაცა სამე მოელის ოდესმე, რამეთუ მომას- 5
წავებელ ტკბილთა მათ ლელჳთაჲსა გაგანი იგი იქმნებიან, რომელთა გამოღებასა იტყჳს ლელჳსათჳს.

ვინაჲთგან სულიერსა არესა გამოუსახავს სძალსა სიტყუაჲ და ჟამი ესე შუაღმგომელი არს ორთა მათ ჟამთაჲ — ზამთრისა მჭმუნ-ვარებისაჲ და ზაფხულისა ნაყოფთა მიღებისაჲ, ამისთჳს წარსლვასა 10
ბოროტთასა განცხადებულად ახარებს, ხოლო ნაყოფთა სათნოებისათა არღასრულთა წარმოაჩინებს, არამედ ჯეროვანსა ჟამსა დაუუნჯებს მათ, რაჟამს-იგი ზაფხული და სთუელი მოიწიოს.

და ვიცი, რამეთუ არა უმეცარ ხარ ზაფხულისა მიერ მოსწავებულსა კმისა მისგან საუფლოჲსა, რამეთუ ზაფხული აღსასრული არს ამის 15
სოფლისაჲ და სათნოებითა აღყუავებულსა აწვე უჩუენებს კეთილ-სა სასოებასა მერმეთა მათ მოსაგებელთასა.[1•] ვინაჲთგან კაცობრივ-მან ბუნებამან ზემოჴსენებულისა მისებრ ლელჳსა და პირველ მისსა[58] წარმოთქუმულისა ზამთრისა, რომელსა-იგი შინა ბოროტი სინოტიე შეიკრიბა, რომელმან სულიერი იგი ზაფხული კეთილად მოგუფინა 20
და ღმრთივშუენი[103rb]ერითა მუშაკობითა მოგჳმუშაკნა, პირველად განსთხევს[59] ბუნებისაგან ყოველსაე ნამეტნავსა და უკმარსა მწუერ-ვალთა წილ აღსარებისა მიერ და მერმე სახესა რასმე ნეტართა მათ სასოებათასა საღმრთოჲსა[60] ცხორებისა მიერ სოფელსა შინა დაჰნერ-გავს, ვითარცა ყუავილთა მიერ ლელჳსათა, რომელთა მიერ ყოფადსა 25
მას სიტკბოებასა გუახარებს. და ესრეთ არს სიტყუაჲ იგი, ვითარმედ: *„ლელუმან გამოუტეეა ყუავილი თჳსი“.*

ესრეთვე გულისჴმა-ყაე[61] ყუავილიცა იგი ვენაკთაჲ, რომლითა ღუნო-მან, მახარებელმან გულთამან, აღავსოს ოდესმე ტაკუკი იგი სიბრძნისაჲ

---

58 მისა C;

59 განჰსთხევს C;

60 საღმრთოისაჲ A;

61 გულისხმა-ჰყაე C;

1• ფსალ. 1,3;

და წინა-უყოს მოსუმურთა მაღლითა ქადაგებითა[1•] კელმწიფებით აღმოვსებად კეთილისა მის და ფრთხილისა სიმთრვალისა.

ხოლო მას ვიტყჳ სიმთრვალესა, რომლისა მიერ ნივთიერთაგან უნიეთოთა მიმართ იქმნების განცჯბრებაჲ[62] კაცთაჲ. ხოლო აწ ყუავის[63] ოდენ ესევითარი იგი ვენაკი და მოსცემს[64] სულსა სულნელებისასა ტკბილსა და ჰამოსა,[65] მადლითა სულისაჲთა შეზავებულსა, რომელსაიგი შეუმზადებს ცხოვნებულთა,[2•] ვითარცა იტყჳს მოციქული.

ამას უჩუენებს სძალსა სიტყუაჲ წინაჲსწარ მაუწყებელად კეთილისა მის სულთა არისა და ასწრაფებს მას და განაფრთხობს[66] განმზადებულთა მათთჳს საშუებელთა და ეტყჳს:

„აღდეგ, მოყუე, მახლობელო ჩემო, შუენიერო ჩემო, ტრედო ჩემო“.

რაოდენთა მოძღურებათა და სწავლათა წინა-მიყოფს ჩუენ სიტყუაჲ მცირეთა ამათ სიტყუათა მიერ, რამეთუ არა თუ ამაოდ რაჲმე და ცუდად მეტის-მეტყუელებს ესევითართა ამათ სიტყუათა ღმრთივსულიერი მოძღურებაჲ. ნუ იყოფინ! არამედ დიდსა რასმე და ღმრთივშუენიერსა გულისკმის-ყოფასა მიჩუენებს ჩუენ ორგზის მეტყუელებითა ამით, ხოლო რომელსა-ესე ვიტყჳ, ესევითარი არს [103va]:

ნეტარსა მას და სამარადისოსა და ყოველთა გონებათა უვაღრესსა ბუნებასა ყოველივე არსებაჲ თავსა შორის თჳსსა შეუცავს და არარაჲსაგან შემოისაზღერების, არცა შეიცვის ყოვლადვე, რამეთუ არცა რაჲ არს გამომსახველ და შემცველ მისსა — არცა ჟამი, არცა ადგილი, არცა სახე, არცა ფერი, არცა მსგავსებაჲ, არცა სივრცე, არცა რაბამობაჲ, არცა ვითარებაჲ, არცა სხუაჲ რაჲ გარეშემცველი სახელი, გინა საქმე, გინა გონებაჲ, არამედ ყოველივე კეთილთა მისთა სიმრავლე ბევრწილად და ათასწილად და აურაცხელად და მიუწდომელად აღემატების, რამეთუ სადა-იგი სიბოროტესა ადგილი არა აქუნდეს, მუნ კეთილთა დასასრული არა არს.

რამეთუ ქცევადსა ამას ბუნებასა შინა, ვინაჲთგან სწორი ნებისაჲ

---

62 განცუფრება C;
63 ჰყუავის C;
64 მოჰსცემს C;
65 ამოსა C;
66 განაფრთხოფს C;

1• იგავ. 9,3;
2• II კორ. 2,16;

გუაქუს ძლიერებაჲ და შეძლებაჲ და ორკერძოვე წინაუკუმო მიდრეკისაჲ, რომელ არს კეთილი და ბოროტი, რომელნი-იგი ერთმანერთსა შემდგომებითა ანუ თუ დასრულდებიან ჩუენ შორის, ანუ თუ აღორძნდებიან და იქმნების საზღვარი კეთილისა წინააღმდგომი მისი ბოროტი, და ყოველნივე საქმენი სულთა ჩუენთანი, რაოდენნიცა ურთიერთარს[67] მკდომ არიან, ურთიერთარს დასრულდებიან და ერთმანერთისაგან შეიცვიან. ხოლო მარტივი იგი და წმიდაჲ და მხოლოჲ და უქცეველი და უცვალებელი ბუნებაჲ სამარადისოდ ერთსა ზედა ჰგიეს და არაოდეს შეიცვალების თავისა თჳსისაგან ამისთჳს, რამეთუ შეუწყნარებელ არს ბოროტისა ზიარებისაგან და უსაზღვროდ ჰგიეს კეთილსა შინა და არცა ერთსა რას დასასრულსა ხედავს თავსა შორის თჳსსა [103vb] შეუწყნარებლობისათჳს ბოროტისა, რაჟამს უკუე მიიზიდოს კაცობრივი სული ზიარებად თჳსად: რაოდენცა უმეტესთა კეთილთა მიმართ წარემატოს სული იგი, ეგოდენცა სამარადისოდ საღმრთოჲ იგი დიდებაჲ უმაღლეს და უმაღლეს იქმნების საზომითა, რამეთუ სული იგი ყოველადვე ზიარებითა მით უვაღრესისაჲთა ზეშთა თავისა თჳსისა აღემატების და აღორძინებისაგან არა დასცხრების.[68] ხოლო კეთილი იგი, რომელსა ეზიარების, ერთსა ზედა ჰგიეს მარადის და ყოველადვე სწორებით უვაღრეს და უვაღრეს სულისა მის იქმნების.

ამისათჳსცა ვხედავთ სძალსა მას წმიდასა, ვითარცა ხარისხთა მიერ სათნოებათა კელპყრობითა უმაღლეს და უმაღლეს სიტყჳსა მიერ ამაღლებულსა,[69] რომელი-იგი პირველად საწინაჲსწარმეტყუელოთა სარკუმელთა მიერ და მერმე შჯულიერთა არდაბაგთა, რომელ არიან მცნებანი, განანათლა სიტყუამან და აწცა უწესს მას, რაჲთა მიეახლოს ნათელსა და რაჲთა შუენიერ იქმნეს[70] და სახედ ტრედისა და ნათლისა შეიცვალოს.

და მერმე, მიიღო რაჲ შუენიერებაჲ, რაოდენ დაიტევდა? კუალად პირველითგან ვიდრეღა იგი კეთილთა იყო უზიარებელი, უვაღრესისა შუენიერებისა ზიარებად მიიზიდვის, რაჲთა შემსგავსებულად წარმატებისა და სამარადისოდ ამაღლებისა, სურვილსაცა და გულისთქუმასა

---

67 ურთიერთას B;

68 დაჰსცხრების C;

69 აღმაღლებულსა B;

70 იქმნნეს B;

თჳსსა აღაორძინებდეს და გარდამატებულებითა მით უვაღრესთა მათ კეთილთაჲთა ესრეთ საგონებელ იყოფჳის, თუ აწღა ოდენ უწყიეს მიახლებად აღსავალისა.

ამისთჳსცა, განფრთხილებულსა მას და განკარგულსა, კუალად ეტყჳს სიტყუაჲ, ვითარმედ: *„აღდეგ!“* და მომსლველსა მას, ვითარმედ: *„მოვედ!“* რამეთუ არცა [104ra]ოდეს ესრეთ აღდგომილსა მას დააკლდეს სამარადისოდ აღდგომაჲ და არცა რომელი-იგი მირბიოდის უფლისა მიმართ, საღმრთოჲსა მის სარბიელისა სივრცე შეუმოკლდეს.

ამისთჳსცა, რაოდენგზისცა ეტყოდის, ვითარმედ: *„აღდეგ და მოვედ“*, ეგოდენგზისცა უვაღრესისა მიმართ აღსლვისა ძალსა და გულსმოდგინებასა მისცემს.

ეგრეთვე გულისკმა-ყაჳ[71] შემდგომიცა იგი სიტყუაჲ, რამეთუ რომელმან-იგი შუენიერებისაგან შუენიერად შეცვალებაჲ უბრძანა, სამოციქულოჲსა მისებრ სიტყჳსა დიდებითი დიდებად შეცვალებად[1•] უბრძანებს, რაჲთა მარადის მიწთომილისა[72] მის და პოვნილისა, რავოდენცა დიდ იყვნენ და მაღალ, არღა მიწდომილი იგი უმეტეს და უვაღრეს შეერაცხოს; ვინაჲცა დაღაცათუ პირველთა მათ წარმატებათა შინა ტრედი იყო, არარაჲ არს დაყენებაჲ, რაჲთა უვაღრესთა წარმატებათათჳს კუალადცა ტრედადვე უწოდოს.

და ესრეთ რაჲ იქმნეს[73], კუალად სიტყუამან სახელისა ამის მიერ შემდგომითი შემდგომად უვაღრესი გზაჲ უჩუენოს მას, ვითარცა იტყჳს: *„მოვედ შენ თავით შენით, ტრედო ჩემო, საგრილსა ქუეშე კლდისასა, მახლობელად ზღუდისა“*.[2•]

რაჲ გამოჩნდების აწ თქუმულთა ამათ შინა უფროჲსისა სისრულისა მიმართ ამაღლებაჲ? ესე იგი არს, რაჲთა არღარა მაწუეველისა და მიმზიდველისა მოსწრაფებასა ხედვიდეს, არამედ უმჯობესისა მიმართ წინამძღურად თჳსი სურვილი და გულსმოდგინებაჲ აქუნდეს, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: მოვედ შენ თავით თჳსით, ნუ მწუხარებით და იძულებით, არამედ თავით თჳსით თჳსთა გულისსიტყუათა

---

71 გულისხმა-ჰყოფს C;

72 მიწულომილისა B;

73 იქმნეს C;

1• II კორ. 3,18;

2• ქ.ქ. 2,14;

მიერ კეთილისა მიმართ გულისთქუმაჲ აღატყინე და ნუ იძულებასა მიჰყვე[104rb]ბი, რამეთუ სათნოებაჲ უპატრონო არს და უუფლო და ნებსით[74] და ყოელისაგე იძულებისაგან თავისუფალ.

ესევითარი იყო დავით, ნებსითსა ხოლო მის მიერ ქმნილსა სათნოყოფად ღმრთისა ილოცვიდა და ნებსით შეწირვასა აღუთქუმიდა,[1•] ესევითარნი იყვნეს თითოეულნი წმიდანი, რამეთუ ნებსით თჳსით შესწირვიდეს ღმრთისა თავთა თჳსთა და არა იძულებით მიიზიდვოდეს.

და შენცა, უკუე აჩუენე სრული წარმატებაჲ და თავით შენით ამაღლებაჲ, უმჯობესისა მიმართ გულსმოდგინებაჲ მოიგე და ესევითარი თუ იქმნე, მოხუდე საფარველსა კლდისასა, მახლობელად ზღუდისა.

ხოლო სიტყუაჲ ესე ესევითარი არს, ვითარმედ: ჲ სულო, უკუეთუ დამწყსილ იქმენ შჯულისა მცნებათა მიერ, უკუეთუ საწინაჲსწარმეტყუელოთა სარკუმელთა ნათელი გონებასა შინა შენსა იხილე, ნუღარა დაადგრები აჩრდილსა ქუეშე შჯულიერისა ზღუდისასა, რამეთუ ესევითარი იგი ზღუდე აჩრდილსა შეიქმს ყოფადთა მათ კეთილთასა და არა თუთ მას ხატსა საქმეთასა, არამედ კლდისა მიმართ წიაღ-ვლე, მახლობელად ზღუდისა, რამეთუ ახს კლდე იგი ზღუდესა, ვინაჲთგან წინამოზღუდვილი ქმნა შჯული სარწმუნოებასა მას სახარებისასა[75] და ახს ურთიერთარს ძალი იგი შჯულიერთა მათ მცნებათა და სახარებისა მოძღურებათაჲ.

და რაჲმცა უმახლობელეს იყო ამისსა, რამეთუ შჯული იტყჳს, ვითარმედ: *„ნუ იმრუშებ“*; და სახარებაჲ ბრძანებს, ვითარმედ: *„ნუ გული-გითქუამძ“*[76]. და ერთი იგი იტყჳს: *„ნუ კაც ჰკლავ“*; ხოლო მეორე, ვითარმედ: *„ნუცაღა თუ განჰრისხნები“* და ვინაჲთგან ახს წინამოზღუდვილსა მას საგრილი იგი კლდისაჲ, უჭირველ არს შენდა ზღუდისაგან კლდისა მიმართ მიცვალებაჲ და განუშორებელობაჲ[77].

წინადაცუეთაჲ აქუს ზღუდესა [104va] და წინადაცუეთაჲ — კლდესა, ცხოვარი და ცხოვარი, სისხლი და სისხლი, ზატიკი და ზატიკი და კნინღა და ყოველიეე ესრეთ არს და ესრეთ ურთიერთარს მახლობელ.

---

74 ნეფსით B (ყოველთჳს);

75 ცხოერებისასა BC;

76 გითქუამ˜ნ A;

77 განუშორებელ B;

1• ფსალ. 60,8;

გარნა ხოლო თუ ესე, რამეთუ კლდე იგი სულიერ არს, ხოლო ზღუდე იგი — კორციელ და აღგებულ მიწითა და სიზრქითა. ხოლო კლდესა მას სახარებისასა კორციელთა გონებათა თიკაჲ არა აქუს, არამედ და წინადაცუეთასაცა მიიღებს კაცი და ყოვლითურთ მრთელად და ცოცხლებით ჰგიეს და არცა ერთსა წყლულებასა, გინა განკუებასა სხეულისასა შეახებს ბუნებასა. და შაბათსაცა იმარხავს უქმობითა ბოროტთაჲთა და კეთილთაცა უქმობასა არა თაეს-იდებს, ვინაჲთგან უსწავიეს, ვითარმედ ჯერ-არს შაბათსა შინა საქმე კეთილისაჲ და შეუორგულებელად ჰყოფს მიღებასა საზრდელისასა და არაწმიდასა არა შეეხების, რამეთუ უსწავიეს კლდისაგან, ვითარმედ: *„პირით შემავალი არა შეაგინებს კაცსა“*.[1•]

და ესრეთ ყოვლით კერძო კორციელთა მათ რიდობათა შჯულისათა განიშორებს და სულიერად და გონიერად მიითუალავს თქუმულთა მათ გულისკმის-ყოფასა, ვითარცა თქუა პავლე, ვითარმედ: *„შჯული სულიერ არს“*.[2•] და რომელი ესრეთ იმარხვიდეს შჯულსა, იგი საგრილსა ქუეშე შეევალს სახარებისა კლდისასა, მახლობელსა კორციელისა მის ზღუდისასა.

ესე ყოველი სარკუმელთა მიერ რაჲ მიუთხრა მას სიტყუამან, კეთილად მიუგებს ტრედი იგი, განბრწყინებული გულისკმის-ყოფათა ნათლითა, რომელმან-იგი გონიერად იცნა კლდე იგი და გულისკმა-ყო, ვითარმედ იგი არს თავადი ქრისტე[3•] და იტყჳს, ვითარმედ: *„მიჩუენე მე პირი შენი და მასმინე მე კმაჲ შენი, რამეთუ ტკბილ არს კმაჲ შენი და პირი შენი შუენიერ“*.[4•]

ხოლო თქუმული ესე ესევითარი არს, ვითარმედ: ნუღარა მეტყჳ მე[104vb] საწინაჲსწარმეტყუელოთა და შჯულიერთა იგავთა მიერ, არამედ რაოდენ ძალ-მიც ხილვად, ეგოდენ მიჩუენე თავი შენი განცხადებულად, რაჲთა კლდესა მას სახარებისასა შინაგან შევიდე და დაუტეო ზღუდე იგი შჯულისაჲ.

და რავოდენ დაიტევს სასმენელი ჩემი, ეგრეთ მოეც სმენაჲ კმისა შენისაჲ ყურთა ჩემთა. რამეთუ უკუეთუ კმაჲ იგი სარკუმელთაჲ ესოდენ ჰამო არს პირისა შენისა გამოჩინებასა, რაოდენ უფროჲს

1• მთ. 15,17;
2• რომ. 7,14;
3• I კორ. 10,4;
4• ქ.ქ. 2,14;

მრავალწილად აქუნდეს სიტკბოებაჲ?

ამას და ესევითარსა იტყჳს სძალი, გულისკმა-ყო რაჲ საიდუმლოჲ იგი საბარებისაჲ, რომლისა-იგი მიმართ მრავლითკერძო და მრავლითსახით სარკუმელთა მიმართ წარმოჩინებულმან სიტყუამან წარუმართა მას; და სურვილად აღიძრვის ღმრთისა გამოჩინებისათჳს კორციელად, რაჲთა სიტყუაჲ იგი კორციელ იქმნეს და ღმერთი კორციით გამოჩნდეს და ასმინნეს სასმენელთა ჩუენთა საღმრთონი იგი ქმანი, რომელთა მიერ აღუთქუმიდეს ღირსთა საუკუნოსა მას ნეტარებასა.

და იხილე, თუ ვითარ შეეტყუებიან ლოცვასა ამას სძლისასა სიტყუანი იგი სჳმეონისნი[78], რომელნი თქუნა, ვითარმედ: *„აწ განუტევე მონაჲ შენი, მეუფეო, სიტყჳსაებრ შენისა, მშჳდობით, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი“*,[1] რამეთუ იხილა მან, ვითარცა სუროდა. ხოლო თჳთ თავადი იგი სიტკბოებაჲ ქმისა მისისაჲ უწყიან, რომელთა-იგი შეიწყნარის მადლი სახარებისაჲ და აღიარეს და თქუეს, ვითარმედ: *„სიტყუანი ცხორებისა საუკუნოჲსანი გჳრან შენ“*.[2]

ვინაჲცა მიითუალავს ლოცვასა მას სძლისასა, ვითარცა მართალსა და ჯეროვანსა, ყოვლადწმიდაჲ იგი სიძე სულთაჲ სახიერი, ხოლო ეგულებოდის[105ra] რაჲ თავისა თჳსისა ცხადად გამოჩინებაჲ, პირველად მონადირეთა წარავლენს მონადირებად მელთა, რაჲთა არღა დაეყენოს აღყუავებად და გამობუტკოვად მცბიერობითა მათითა საღმრთოჲ იგი ვენაკი და ეტყჳს, ვითარმედ: *„მიჰყრენით ჩუენ მელნი მცირენი“*.[3] ესე იგი არს მცირენი, გარნა განმრყუნელნი ვენაკთანი, რამეთუ აღყუავდნენ ვენაკნი, უკუეთუ არღარა იყვნენ განმრყუნელნი.

„მიჰყრენით ჩუენ მელნი მცირენი, განმრყუნელნი ვენაკთანი, და ვენაკნი ჩუენნი ყუავიან“.[4] შესაძლებელ-მე უკუე არს-ა ღირსად მიწდომაჲ თქუმულთა ამათ გულისკმის-ყოფისა სიმაღლესა?

და რაოდენსა საკჳრველებასა საღმრთოჲსა დიდებისასა წარმოაჩინებს სიტყუაჲ ესე და რაოდენსა გამოაცხადებს ღმრთისა ძლიერებისა გარდამატებულებასა სიტყუათა ამათ დაფარულებაჲ?! და თუ ვითარ-იგი, რომლისათჳს ესევითარნი თქუმულ არიან, კაცისმკლველი იგი და

---

78 სჳმეონისნი C;

1• ლუკ. 2,29-30;
2• იხ. 6,68;
3• ქ.ქ. 2,15;
4• ქ.ქ. 2,15;

უკეთურებითა ძლიერი, რომლისა ენაჲ, ვითარცა მახჳლი, აღლესულ არს, რომლისათჳს იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი, ვითარმედ: *„ისარნი ძლიერისანი, აღლესულნი ნაკუერცხალთა თანა ოკრებისათა“*[1] და ვითარმედ: *„მზირინ იგი, ვითარცა ლომი საყოფელსა თჳსსა“*[2] და *„ვეშაპი იგი დიდი და განდგომილი“*[3] და *„ჯოჯოხეთი, რომელმან განავრცო პირი თჳსი“*[4] და *„სოფლის მჰყრობელი იგი კელმწიფებისა ამის ბნელისაჲ“*,[5] რომელსა აქუს სიმტკიცე სიკუდილისაჲ.

და რაოდენსა თჳთ პირისა მისისაგან წარმოიტყჳს წინაჲსწარმეტყუელებაჲ, მიმღებელი იგი საზღჳართა თესლებისათა, რომელნი დაამტკიცნა მაღალმან, მსგავსად რიცხუთა მათ ანგელოზთა თჳსთაჲსა, რომელი მოიპყრობდა სოფელსა, ვითარცა ბუდესა, და ვითარცა დაშ[105rb]თომილთა კუერცხთა აღიხუმიდა მათ, რომელი იტყოდა დადგმად საყდართა თჳსთა ღრუბელთა ზედა და მსგავსად მაღლისა მის და რაოდენთა-იგი იობსა შინა წარმოიტყჳს მისთჳს სიტყუაჲ საშინელთა და შესაძრწუნებელთა, რომლისა-იგი *„გუერდნი რჳალ არიან და ზურგი მისი რკინა დასხივებულ“*[6] და *„ნაწლევნი მისნი ლოდ შემტკიცებულ“*[7] და სხუაჲ ყოველივე ესევითარი, რომელთა მიერ საშინელსა მას ბუნებასა მისსა გამოსახავს სიტყუაჲ ესე უკუე და ესეზომი და ესევითარი ერისთავი იგი გუნდთა მათ საეშმაკოთაჲ, თუ ვითარ იწოდების მხოლოჲსა მისგან და ჭეშმარიტისა ძლიერებისა მცირედ მელად.

და ყოველნივე იგი მისნი მიმდგომნი მკედრობანი ყოველნივე ერთსახედ[79] და ერთბამად შეურაცხ იქმნებიან და საკიცხელ მის მიერ, რომელი-იგი წარავლენს მონადირეთა მათ თჳსთა, რაჲთა მოინადირნენ იგი, რომელნი-იგი ნუუკუე და ანგელოზთა ძალნი იყჳნენ, სამეუფოჲსა მის ქუეყანად მოსლვისა წინამორბედნი და მსახურნი და მეუფისა დიდებისა სოფლად შემომყვანებელნი, რომელნი-იგი უმეცართა მათ

---

79 ერთ C;

1• ფსალმ. 119,4;
2• ფსალ. 9,30;
3• იობ. 26,13;
4• ამბ. 2,5;
5• ებრ. 2,14;
6• იობ. 40,13;
7• იობ. 41,6;

უჩუენებდეს და ეტყოდეს:

„ვინ არს ესე მეუფე დიდებისაჲ, უფალი ძლიერი და მტკიცე ბრძოლასა შინა“[1•] და სხუანი იგი *„სულნი მსახურნი, წარვლინებულნი მსახურებად მათთჳს, რომელთა-იგი დამკჳდრებად არს ცხორებაჲ?“*.[2•]

და უკუეთუ ვინ წმიდა მოციქულთა უწოდოს მონადირედ და მკეცთა ამათ მონადირებად წარვლენილად, არა სცთეს[80] ჭეშმარიტებისაგან, რომელთა-იგი ეტყოდა უფალი, ვითარმედ: *„გყენეთ თქუენ მესათხევლე კაცთა“*,[3•] რამეთუ ვერმცა წარემართა ეგევითარი იგი ნადირობაჲ, რომელ არს მონადირებაჲ კორცთაჲ და ცხორებაჲ სულთაჲ, რომელი-იგი სამჭედურითა მით და ბადითა სიტყუათაჲთა აღასრულეს, უკუეთუმცა პირველად მცირენი იგი მელნი კურელთა მათგან გულთაჲსა, რომელთა შინა დაებუდა, არა გამოეყვანნეს და შეემზადნეს იგინი ადგილად ძისა ღმრთისა, [105va] სადა-იგი თავი მიიდრიკოს.

ვინაჲცა რომელნიცა ამათგანნი, რომელნი ვაკსენენით და შეჰრაცხნეს[81] ვინ მონადირედ, ყოველთა მიერ საღმრთოჲ ძლიერებაჲ მისი წარმოიჩინების, რამეთუ არა თქუა, ვითარმედ: მოინადირეთ ეშჯ მაღნარისაჲ, რომელმან განრყუნა ვენაკი ღმრთისაჲ, ანუ თუ ბრანგჯ მძჯნვარე, გინა თუ ლომი მყრალი, ანუ თუ ვეშაპი იგი დიდი უფსკრულისაჲ და ანუ თუ გუელი გულარძნილი, რამეთუ უკუეთუმცა ესეევითარი რაჲმე ეთქუა, ნუუკუე და საგონებელმცა ქმნილ-იყო მონადირეთა მათ მიერ, თუ ძალი რამე იხილვების წინააღმდგომთა მათ შორის.

ამისთჳს ეტყჯს, ვითარმედ: ყოველნივე იგი მსოფლიონი მძლავრებანი, რომელთა მიმართ არს ბრძოლაჲ კაცთაჲ, რომელ არიან მთავრობანი და კელმწიფებანი ბნელისანი და სულნი იგი უკეთურებისანი, მელნი არიან მცირენი, გარნა მზაკუარნი და მანქანანი; უკუეთუ ძალსა ჩუენსა შეეტყუებოდიან და უკუეთუ მათ ერეოდით, მიიღოს თჳსი შუენიერებაჲ და მადლი ვენაკმან თქუენმან; რომელ არს კაცობრივი ბუნებაჲ და ტევანთა დამწიფებაჲ ყუავილისა მიერ, რომელ არს სათნოდ

---

80 ჰსცთეს C;

81 შერაცხნეს C;

1• ფსალ. 23,8;

2• ებრ. 1,14;

3• მთ. 4,19;

მოქალაქობაჲ, საანჯმნო-ჰყოფს:[82] *„მიპყრენით ჩუენ მელნი მცირენი, განმრყუნელნი ვენაკთანი, და ვენაკნი ჩუენნი ყუავიან“.*

ესმა უკუე საღმრთოჲ ბრძანებაჲ ვენაკსა მას, რომლისათჳს იტყოდა დავით, ვითარმედ: *„ცოლი შენი, ვითარცა ვენაკი მსხმოჲ, კიდეთა სახლისა შენისათა“.*[1] და იხილა თავი თჳსი ძლიერებითა მით მბრძანებელისაჲთა მკეცთა ამათ განრყუნისაგან განწმედილი და მეყსეულად მისცა თავი თჳსი მუშაკსა მას, რომელმან-იგი შუაკედელი ზღუდისაჲ მის დაჰკსნა. რამეთუ არღარა განიწვალების ზღუდითა მით შჯულიერითა სასურ[105vb]ველისა მის თჳსისა ზიარებისაგან, ამისთჳს იტყჳს: *„ძმისწული ჩემი ჩემდა და მე მისა, რომელი ჰმწყსი შორის შროშანთა, ვიდრემდის წარმოკლეს დღე და მოდგენ აჩრდილნი“.*[2] ამას იტყჳს, ვითარმედ: ესე არს პირისა პირისპირ ხილვაჲ, რომელი-იგი მარადის ჰგიეს, ვითარცა არს; ხოლო ჩემთჳს დისაგან ჩემისა, რომელ არს შესაკრებელი, კორციელად აღმობრწყინდა და მის შორის განვისუენებ და ვიქმნები მისა სამკჳდრებელი.

რამეთუ ესე არს მწყემსი იგი კეთილი, რომელი არა თივასა განუმზადებს საძოვრად სამწყსოსა თჳსსა, არამედ შროშანთა მიერ წმიდათა გამოზრდის ცხოვართა თჳსთა. რამეთუ ჭეშმარიტად, რომელი არღარა თივითა ზრდიდეს თივასა, რამეთუ თივაჲ საზრდელი არს პირუტყუთა ბუნებისაჲ, ხოლო კაცი სიტყჳერი ჭეშმარიტებისა სიტყჳთა გამოიზრდების, ხოლო უკუეთუ თივითა იზარდებოდის, იგიცა თივა იქმნების, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„ყოველი კორცი თივა არს“,*[3] ვიდრემდის კორცი იყოს.

ხოლო უკუეთუ ვინ სულისაგან იშვეს და სულ იქმნეს, არღარა ძოვდეს იგი თივის მსგავსსა ცხორებასა, არამედ სული იყოს საზრდელ მისსა, რომელსა-იგი მოასწავებს სიწმიდე და სულნელებაჲ შროშანთაჲ.

იყოს იგიცა შროშან წმიდა და სულნელი და ბუნებად საზრდელისა შეცვალებულ. და ესე არს დღე შემდგომი შარავანდედთაჲ, რომელი წარმოკლების,[83] ვითარცა სახელ-სდვა[84] საღმრთომან სიტყუა-

---

82 საჯმნო-ჰყოს B, საჯმნო-ჰყოს C;

83 წარმოჰკლების C;

84 სახელ-ჰსდვა C;

1• ფსალ. 127,3;

2• ქ.ქ. 2,16-17;

3• ეს. 40,6;

მან, რომელი-იგი სულისა მიერ იქმნების მომფენელ შარავანდედთა, რომელსა-იგი წარმოჴდომად და განთენებად სახელ-სდვა,[85] ვინაჲ-იგი ცხორებისა ამის აჩრდილნი წარჴდებიან, რომელთაცა მოსწრაფებით განიცადონ,[86] რომელთა-იგი ნათლითა მით ჭეშმარიტითა [106ra] არღა განუბრწყინვებიან თუალნი სულისა მათისანი, რომელნი-იგი აჩრდილთა და ამაოებათა, ვითარცა დადგრომადთა რათმე, ხედვენ და ჭეშმარიტსა მას ჭეშმარიტებასა, ვითარცა არაარსსა, შეურაცხ-ჰყოფენ.

ხოლო შროშანთა მიერ გამოზრდილნი, ესე იგი არს, რომელნი წმიდითა და სულნელითა და საღმრთოჲთა[87] საზრდელითა სულთა თჳსთა განაპოხებდენ, ყოველივე მაცთური და აჩრდილისასაზე უცნებაჲ[88] სოფლისა საქმეთაჲ თავთა თჳსთაგან განაშორონ და ჭეშმარიტთა მათ საქმეთა სიმტკიცე განიცადონ და ესევითარნი იგი ძე ნათლისა და ძე დღისა იქმნენ ჭეშმარიტებით.

ამას ხედავს სძალი და უსწრაფობს სიტყუასა, რაჲთა მოსწრაფედ საქმით სრულ-იქმნეს სასოებაჲ იგი კეთილთაჲ და ბოროტთა ზედა მოსლვაჲ დაიკსნეს. ამისთჳს იტყჳს: *„ჲ, ძმისწულო ჩემო, ემსგავსე შენ ქურციკსა ანუ ნუკრსა ირმისასა მთათა ზედა ღელოვანთა“*.[1*]

ესე იგი არს, ვითარმედ: ვითარცა ქურციკმან, იხილე, რომელი-ეგე ხედავ გონებასა კაცთასა, რომელი-ეგე გულისზრახვასა გულთასა ამოიკითხავ[89], უჩინო-ყავ[90] არსებაჲ ბოროტთაჲ, ვითარცა ნუკრმან ირემთამან,[91] მომსრველმან გულთა გესლოვანთამან.

ჰხედავთ ღელოვანთა ამათ მთათა კაცობრიჲისა ცხორებისათა, რომელთა ღირღოვანნი არა მთათა მწუერვალნი არიან, არამედ ღელოვანნი და მღჳმენი და კევნები? რბის უკუე სიტყუაჲ მოსწრაფებით მთათა ზედა ღელოვანთა, რამეთუ ყოველივე სიმაღლე, ჭეშმარიტებასა ზედა აღდგომილი, მთხრებლ არს და არა მთა და ღელოვან და არა ბორცუ, ვინაჲცა ეტყჳს სძალი, ვითარმედ: *„უკუეთუ ესევითართა ზედა*

---

85 სახელ-პსდუა C;
86 განიცდიან B;
87 საღმრთოთა B;
88 ოცნება C;
89 აღმოიკითხაუ C;
90 უჩინო-ჰყაუ C;
91 ირეთამან C;

1* ქ.ქ. 2,17;

რბიოდი, ყოველივე ესეითარი კეენები აღმოივსოს და ყოველივე ეს-ეითარი მთაჲ დამდაბლდეს[1] [106rb].

ამას ესეითარსა იტყჳს სული, რომელსა ჰმწყსიდეს სიტყუაჲ და ზრდიდეს არა ეკალთა რათმე მიერ და თივათა, არამედ სულნელებითა კეთილად მოქალაქობისა შროშანთაჲთა, რომელთა მიერ გამო-მცა-ზრდილ ვართ ჩუენცა, დამწყსილნი სიტყჳსა მიერ ქრისტე იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

1• ეს. 40,4;

ᲒᲐᲮᲜᲐ VI

სიტყუაჲ ესე:

3,1. სარეცელთა ჩემთა ზედა ღამე ვეძიებდ, რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან. ვეძიებდ მას და არა ვპოვე[1] იგი; ვხადოდე მას და არა ჰმა-მცა მე.

3,2. აღვდგე და მოვლო ქალაქი, სავაჭრონი და უბანნი და მოვიძიო, რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან; ვეძიებდ მას და არა ვპოვე იგი, ვხადოდე მას და არა ჰმა-მცა მე.

3,3. მპოვეს მე მცველთა, რომელნი მოჰვლიდეს ქალაქსა. ნუუკუე იხილეთ-ა, რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან?

3,4. ვითარცა კნინ-ოდენ წარვლე მათგან, ვიდრემდის ვპოვე, რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან; შევიპყარ იგი და არა განუტევე იგი, ვიდრემდის შევიყვანე იგი სახლსა დედისა ჩემისასა და საუნჯეთა მშობელისა ჩემისათა.

3,5. გაფუცებ[2] თქუენ, ასულნო იერუსალჵმისანო,[3] ძალთა[4] და სიმტკიცეთა აგარაკისათა, უკუეთუ აღადგინოთ და განაღჳძოთ სიყუარული, ვიდრემდისცა ინებოს.

3,6 ვინ არს ესე[5], რომელი აღმოვალს უდაბნოჲთ, ვითარცა რტოჲ კუამლისა კუმეულისაჲ,[6] მური და გუნდრუკი ყოველთაგან მტუერთა მენელსაცხებლეთაჲსა?

3,7. აჰა ესერა, ცხედარი სოლომონისი და სამეოცნი ძლიერნი გარემოჲს მისსა ძლიერთაგან ისრაელისათა.

3,8. ყოველთა უპყრიეს მახული, წურთილნი ბრძოლასა. კაცი და მახული მისი წელთა მისთა შიშისათჳს და განკრთომისა ღამესა შინა.

კუალად დიდთა და მაღალთა მოძღურებათა, ქებისა მიერ ქებათაჲსა[106va] აწ აღმოკითხულისა, ამის მიერ ვისწავებთ, რამეთუ

---

1 ჰპოვე C;
2 გაფუცე B;
3 იერუსალჵმისანო C;
4 ძალლთა A;
5 ესე]- C;
6 კუამლი საკუმეულისაჲ BC;

ფილოსოფოსობაჲ არს მაღალი მითხრობაჲ ესე სძლისაჲ, რომლისა მიერ თავისა თჳსისათჳს წარმოიტყჳს და მოძღურის ტრფიალთა მათ საღმრთოჲსა მის და აღმატებულისა შუენიერებისათა, თუ ვითარ სიყუარული თანა-აც, რაჲთა აქუნდეს მისსა მიმართ, ხოლო რომელსა-იგი ვისწავებთ წინამდებარეთა ამათ სიტყუათაგან, ესევითარი არს.

რამეთუ ჯერ-არს, ვითარ ვჰგონებ, რაჲთა პირველად წარმოვაჩინოთ სიტყუათა ამათ შინა მყოფი გონებაჲ და მერმე განხილულთა მათ შეერთებად ღმრთივსულიერთა მათ სიტყუათა. და რაჲთა მოკლედ წარმოვთქუა[7], ესევითარსა მოძღურებასა წინა-გუყოფენ სიტყუანი ესე:

ორად უკუე განყოფილ არს არსთა ბუნებაჲ მაღლითა მით განყოფითა და რომელიმე მათგანი არს სახილველ და ნივთიერ, და რომელიმე — უხილავ და უნივთო. ხოლო ხილულად ვიტყჳთ, რაოდენი-რაჲ საცნობელთა მიერ განიცდების და გულისკმა-იყოფების, ხოლო უხილავად, რაოდენიცა-იგი აღმატებულ არს საცნობელთა განცდისა.

და ამათგან ერთი იგი დაუსრულებელ არს და უსაზღვრო, ხოლო მეორე იგი მიწდომითა რაჲთმე — უეჭუელად დასრულებადი. რამეთუ ყოველივე ხილული, რაბამობითა და ვითარებითა შეცული,[8] სიდიდესა შინა და სახესა და ფერსა და გუარსა განიცდების და გულისკმა-იყოფების და დასრულდების. და რომელი გამოეძიებდეს ნივთიერსა რასმე, ამათსა უვაღრესსა სახესა და მოგონებასა ვერარას მოიგონებს.

ხოლო უხილავი იგი და უნივთოჲ ესევითართა ამათ გარეშეცვათაგან უცხო არს. ამისთჳსცა ევლტის დასრულებისა საზღვართა დაუსრულებლობითა [106vb].

და კუალად განიყოფვის უხილავი იგი ბუნებაჲ მრჩობლად განყოფილებად. და ერთი იგი დაუბადებელ არს და შემოქმედ დაბადებულთა და არსთა არსებისა მიმცემელ და მარადის არს, ვითარ-იგი არს და ყოვლადვე ჰგიეს ერთსა ზედა და ზეშთა ყოვლისა აღმატებისა და მოკლებისა. და ვინაჲთგან ყოველთა კეთილთა საუნჯე იგი მხოლოჲ არს, კეთილთა შეძინებისა შეუწყნარებელ არს.

ხოლო დაბადებისა მიერ არსებად მოყვანებული პირველისა მის არსთა მიზეზისა მიმართ ხედავს სამარადისოდ და ზიარებითა მით უვაღრესისაჲთა სამარადისოდ ჰგიეს კეთილსა შინა და მიუწდომელითა

---

7 წარმოჰსთქუა C;

8 შეცული B;

რაჲთმე წესითა მარადის დაიბადების კეთილთა მიმართ აღორძინებითა უვაღრესისა მიმართ შეცვალებული, ვიდრეცა ამით სახითა იგიცა დაუსრულებელ იქმნების და უსაზღვრო და გარეშეუწერელ უვაღრესისა მიმართ წარმატებითა; არამედ ყოველადვე და მარადის მოგებულნი იგი კეთილნი, რაოდენცა მაღალ და აღმატებულ იყვნენ უმაღლესთა მათ და უვაღრესთა, დასაბამ ხოლო იქმნებიან სამოციქულოჲსა მისებრ სიტყუსა: *„და შემდგომთა მათ მიწდომითა პირველთა მათ დაიწყებად მოვალს“*[1].

რამეთუ სამარადისოდ უვაღრესთა რათმე და გარდამატებულთა კეთილთა პოვნაჲ არა შეუნდობს წარსრულთა მათ კეთილთა განცდად სურვილსა მას მომგებელისასა, რამეთუ შუებაჲ იგი უვაღრესთა მათ უდარესთა მათ პატიოსნებასა დაჰფარავს, ვინაჲცა ფილოსოფოსობაჲ იგი საუფლოთა მათ მოძღურებათაჲ ესევითარი არს, ვითარ ჩუენ ვჰგონებთ. და ჯერ-არს, რაჲთა პირველად თჳთ იგი ღმრთივ[107ra]სულიერნი სიტყუანი მოვიკსენნეთ და მერმე თქუმულთა მათ გულისკმისყოფაჲ შეუდგინოთ, რამეთუ იტყჳს:

„სარეცელთა ჩემთა ზედა ღამე ვეძიებდ, რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან. ვეძიებდ მას და არა ვპოვე[9] იგი; ვხადოდე[10] მას და არა ჰმა-მცა მე. აღვდგე[11] და მოვლო ქალაქი და სავაჭრონი და უბანნი, რაჲთა მოვიძიო, რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან. ვეძიებდ მას და არა ვპოვე[12] იგი, ვხადოდე[13] მას და არა ჰმა-მცა მე. მპოვეს მე მცველთა, რომელნი მოჰვლიდეს[14] ქალაქსა; ნუჳკუე იხილეთ-ა, რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან? ვითარცა კნინ-ოდენ წარვლე მათგან, ვიდრემდის ვპოვე, რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან, შევიპყარ იგი და არა განუტეე იგი, ვიდრემდის შევიყვანე იგი სახლსა დედისა ჩემისასა და საუნჯეთა მშობელისა ჩემისათა“[2].

იხილე, თუ ვითარ ვჰპოვებთ თქუმულთა ამათ მიერ პირველთქუმულ-

---

9 ვჰპოე C;
10 ვჰხადოდე C;
11 აღჳსდგე C;
12 ვჰპოვე C;
13 ვჰხადოდე C;
14 მოვლიდეს B; მოჰლიდეს C;

1• ფილპ. 3,13;
2• ქ.ქ. 3,1-4;

თა მათ მოძღურებათა სახესა, რომელნი-იგი ზემო ვაკსენენით. რამეთუ პირველ აღსრულთა მათ სიმაღლეთა მარადის უვაღრეს იქმნების და მოგებულთა მათ კეთილთა შინა არაოდეს დაადგრების, არცა დაშჯერდების სული იგი უბიწოჲსა მის ქალწულისაჲ, რამეთუ ოდესმე ჰუნესა მიემსგავსების, დამაქცეველსა მეგჳბტელთა მძლავრებისასა[15] და კუალად მძივთა და გურიტსა — სამკაულითა ქედისაჲთა.

და მერმე, ვითარცა-ესე არა კმა-იყვნა, უმაღლესთა მიმართ აღმაღლდა[16] და სულნელებითა ნარდისაჲთა საღმრთოჲ სულნელებაჲ შეიწყნარა. და არცა აქა დაადგრა, არამედ კუალად სასურველი იგი თჳსი, ვითარცა ნელსაცხებელი რაჲმე სულნელი, თავსა თჳსსა შეიმტკიცა შორის სიტ[107rb]ყჳერთა მათ ძუძუთა თჳსთა, ვინაჲ-იგი აღმოაცენებს საღმრთოთა მათ მოძღურებათა და სივრცესა შინა გულისასა გამოიკრა იგი.

და ამისა შემდგომად, თჳსად ნაყოფად მოიგო დამნერგველი იგი კეთილთაჲ და ტევნად[17] უწოდა მას ტკბილითა და საწადელითა სულნელებითა აღსავსედ შუენიერებითა ყუავილისაჲთა.

და ესრეთ რაჲ წარემატა, მახლობელ იქმნა და შუენიერად იწოდა და თუალთა მისთა შუენიერებაჲ ტრედთა მიემსგავსა.

და მერმე კუალად უვაღრეს აღორძნდა და იქმნა იგი მხილველ უხილავთა და სიტყჳსა შუენიერებაჲ განიცადა და განკჳრდა, თუ ვითარ შუენიერი იგი საგრილი ცხედრად ცხორებისა ჩუენისა გარდამოვალს და ნივთიერითა მით კაცთა ბუნებისა ჴორცითა დაჩრდილოვნდების.

და ამათ თანა სათნოებათა სიმაღლესა გამოსწერს და იქმნების ნივთ სართულისა და ნაძუად და საროდ, უცხო დალპოლვისა და განხრწნისაგან, რომელთა მიერ სიმტკიცესა და უცვალებლობასა კეთილთა სიყუარულისასა თარგმანებს სიტყუაჲ და მერმე კუალად უვაღრესისა მიმართ შეცვალებასა თჳსსა საანჯმნო-ჰყოფს და შროშნად[18] ეკალთა შორის იწოდების.

და კუალად მის მიერ განიცდების შუენიერებაჲ სიძისაჲ, განყოფილი სხუათაგან. რამეთუ ვაშლად უწჳსს მას მაღნართა უნაყოფოთა და

---

15 მძლავრისასა C;

16 ამაღლდა B;

17 ტევანად B;

18 შროშანად B;

ფერითა მით ხილისაჲთა შეიმკების და აჩრდილსა მისსა განასუენებს, სახლსა შინა ღუნისასა შევალს[19] და ნელსაცხებელთა მიერ დაემტკიცებების და ვაშლთა მიერ გარე-მოისხმის და დაირთვის და ტკბილისა მის მიერ წყლულებისა რჩეულსა მას ისარსა გულსა თუსსა შეიწყნარებს [107va] და კუალად თუთ იგი ისარ იქმნების კელთა შინა მშჳლდოსნისათა და მარცხენისა მიერ თავი მისი განსა ზეცისასა წარემართების, ხოლო მარჯუენისა მიერ თავისა მიმართ თუსისა მიიზიდვის მოისარისა მიერ, ვითარცა ისარი.

და ამისა[20] შემდგომად, ვითარცა სისრულედ მიწევნული, სხუათაცა მაწუეელ იქმნების გულსმოდგინებისა და ფიცითა რაჲთმე სიყუარულისა მოსწრაფებად აღადგენს.

და ვინმცა არა თქუა[21] ესოდენსა სიმაღლესა აღწევნულად, გარნა აღსასრული პირველქმნილთა მათ წარმატებათაჲ[22] დასაბამ ექმნების უვაღრესთა მიმართ წარმართებისა. რამეთუ იგი ყოველი კმად სიტყუასად[23] შეირაცხა, საიდუმლოთა ხედვათა მიმართ მომაქცეველად სულისა, ვინაჲცა ხილვად იწყებს სასურველისა მის და სხუთა სახითა წარმოაჩინებს ხილვასა მისსა, რამეთუ ქურციკსა მიემსგავსების და ნუკრს ამსგავსებს[24] და არა დაადგრა არცა ერთსა ხილვასა ზედა და არცა ადგილსა გამოჩინებული იგი, არამედ ხლდების მთათა ზედა და რბის[25] მწუერვალსა ზედა ბორცუთასა.

და კუალად უვაღრესსა წესსა აღიწევის სძალი მეორისა კმისა სმენითა, რომლისა მიერ ებრძანა დატევებაჲ აჩრდილსა ზღუდისასა და ნათლად გამოსლვად და საგრილსა კლდისასა განსუენებად მახლობელად ზღუდისა და არისა შუენიერებითა განსუენებად და მოსთულებად ყუავილთა ფეროვანთა და შუენიერთა და მოწილვად განმზადებულთა [107vb] და სხუაჲ, რაოდენსა საშუებელსა ყოველი იგი შუებისმოყუარეთა მოატყუებს მსახიობელთა მფრინველთა კმითა, რომელთა მიერ კუალად უსრულეს იქმნების სძალი.

---

19 შევალსა A;
20 ამისსა C;
21 ასთქუა C;
22 წარმატებათა B;
23 სიტყუსა BC;
24 ემსგავსების BC;
25 ჰრბის C;

და ეყედრების, რაჲთა თჳთ მეტყუელისა მის ხატი იხილოს განცხადებულად და სიტყჳსა მისისა სმენად ღირს-იქმნეს; და რაჲთა არღარა სხუათა მიერ ზრახვიდეს მას, ვინაჲცა ჯერ-არნ[26] ნატრაჲ სულისა ამის, რომელი ესევითართა სიმაღლეთა ღირს-იქმნა, ვიდრეცა თავსა საწადელთასა მიიწია. რამეთუ ღმრთისა ხილვისა უფროჲსი ნეტარებაჲ რაჲმცა ვინ მოიგონა? გარნა ესეცა[27] თანაწარსრულთა მათ კეთილთა დასასრული არს, ხოლო უვაღრესთა მათ სასოებათა დასაბამ იქმნების.

რამეთუ აჰა ესერა, კუალად ესმის კმაჲ, რომელი უბრძანებს მონადირეთა საცხორებელად სიტყჳერთა მათ ვენაკთა მონადირებად ნაყოფთა მავნებელთა მათ მჴეცთა, რომელ არიან მელნი იგი მცირენი.

და ესე რაჲ იქმნა, შეიერთების ორი ერთად და ურთიერთარს შეეზავების, რამეთუ ღმერთი სულსა შინა დაემკჳდრების და კუალად სული ღმრთისა თანამკჳდრ იქმნების, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: *„ძმისწული ჩემი ჩემდა და მე მისდა, რომელი მწყსის შორის შროშანთა“*,[1•] რაჲთა შეცვალოს[28] კაცობრივი ცხორებაჲ აჩრდილისსახეთა უცნებათაგან ჭეშმარიტად ჭეშმარიტებად.

ხედავ-ა, თუ ვითარსა სიმაღლესა აღვიდა, სიტყჳსაებრ წინაჲსწარმეტყუელისა, ძალითი ძალად მავალი[2•] სული, ვიდრეცა საგონებელ არს, თუ თავსა კეთილთა სასოებათასა ამაღლებულ არს?

რამეთუ რაჲღამცა[29] იყო უვაღრესი, რაჲთა სასურველი იგი მის შორის მკჳდრ-იქმნეს და იგი სასურველისა შორის. გარნა და ესეცა იქმნა.

და კუალად, ვითარცა ჴუებული კეთილთა[108ra]გან ესრეთ მგლოვარე არს და ვითარმცა არა აქუნდა გულისთქუმისა თჳსისა სრულებაჲ, ესრეთ იურვის და მჭმუნვარე არს და ესევითარსა ამას ურვასა სულისასა მითხრობითა საანჯმნო-ჰყოფს და თუ ვითარ პოვა[30] სასურველი თჳსი და თუ ვითარ ვერ პოვა, სიტყუათა თჳსთა მიერ წარ-

---

26 ჯერ-არს B;

27 ესეცცა A;

28 შეასცუალოს C;

29 რამცა B; რაჲმცა C;

30 ჰპოვა C;

1• ქ.ქ. 2,16;

2• ფსალ. 83,8;

მოაჩინებს.

და ამას ყოველსა წინამდებარეთა ამათ მოძღურებათაგან ვისწავებთ და ვითარმედ არცა საღმრთოჲსა ბუნებისა დიდებაჲ დასასრულითა რაჲთმე შემოისაზღვრების, არცა გულისკმის-ყოფისა საზომი ზღვარ[31] იქმნების საძიებელისა მის გულისკმის-ყოფისა, რომლითამცა ჯერ- 5
იყო წალმართ სლვისაგან დადგრომაჲ მაღალთა მათ წარმატებათა გულისმთქუმელისაჲ, არამედ ესრეთ თანა-აც, რაჲთა აქუნდეს სიმაღლედ მიმართ მორბედსა მას გონებასა და აღმატებულთა მათ გულისკმის-ყოფათა მიმწდომელსა, რაჲთა ყოველივე სისრულე გულისკმის-ყოფისაჲ, მისაწდომელი კაცობრიჲისა ბუნებისაჲ, დასაბამ ექმნეს უმაღლესთა 10
სურვილისა და გულისთქუმისაჲ.

და გამოწულილვით გულისკმა-ყაე წინამდებარეთა ამათ სიტყუათა ძალი, რამეთუ კორციელად გამოხატვაჲ სიტყჳსაჲ ამის სასძლოჲსა და ქორწილისა სიხარულითა გამოისახვის და იგი იქმნების ნივთ ესევითარისა ამის გულისკმის-ყოფისა, რომელთა-იგი სიბრძნისმეტყუელებაჲ 15
მათ შინა აღსრულებადთა მათ უნივთოთა და წმიდათა სახისმეტყუელებათა მიმართ შეცვალებული მოძღურებათა წარმოაჩინებს იგავთამიერითა თარგმანებითა უწყებულთა მათ გამოსაცხადებელად მაღალთა და აღმატებულთა.

რამეთუ ვინაჲთგან სული სძლად გამოსა[108rb]ხა სიტყუამან, ხოლო 20
მის მიერ შეყუარებულსა მას ყოველითა გულითა და ყოველითა სულითა და ძალითა და ყოველითა გონებითა სიძედ სახელ-ედვა, შემსგავსებულად უკუე ვითარცა ჰგონებდა თავსა სასოებათასა აღწევნულად და სასურველისა მის მიმართ შეზავებულად, სრულსა მას კეთილთა ზიარებასა სარეცელად[32] სახელ-სდებს და სარეცლისა[33] ჟამსა ღამედ უწესს, 25
ხოლო სახელითა ღამისათა წარმოაჩენს უხილავთა ხილვასა მსგავსად მოსესსა[34], რომელი-იგი შევიდა ნისლსა შინა, სადა-იგი იყო ღმერთი, რომელმან, სიტყჳსაებრ წინაჲსწარმეტყუელისა, *„დადგა ბნელი საფარველად თჳსა“*.[1•]

---

31 საზღვარ C;

32 სარეცლად BC;

33 სარეცელისა B;

34 მოსესა BC;

1• ფსალ. 17,12;

და ესეითარსა რაჲ საზომსა მიიწია, მაშინღა გულისკმა-ყო, ვითარმედ ესეოდენ განშორებულ არს სისრულისაგან, ვითარცა რომელთაიგი არცა თუ დასაბამი მოუგიეს, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: რაჟამს-იგი მეგონა, ვითარმედ სისრულესა აღწევნულ ვარ და ვითარცა სარეცელთა ზედა განუსუენებდ თავსა თჳსსა ცნობილთა მათ გულისკმის-ყოფითა და მიწდომითა,[35] რაჟამს-იგი დაუტევენ საცნობელნი და უხილავთა შინაგან შეველ და რაჟამს-იგი შეპყრობილ ვიქმენ საღმრთოჲთა მით ღამითა და დაფარულსა მას ნისლსა შინა ვეძიებდ, მაშინ სიყუარული სასურველისა მის მიმართ მაქუნდა მგზებარედ.

ხოლო იგი თავადი საყუარელი აღფრინდა გულისსიტყუათა კელთდებისაგან. და ვეძიებდ მას ღამე სარეცელთა ჩემთა ზედა, რაჲთამცა ვცან, თუ რაჲ არს ბუნებაჲ მისი, ანუ თუ ვინაჲ იწყებს და ანუ თუ სადა დასრულდების და ანუ თუ რასა შინა აქუს არსებაჲ, გარნა ვერ ვპოვე იგი; ვხადოდე მას სახელით, რაოდენ შესაძლებელ იყო ჩემდა პოვნად [108va] უსხეულოჲსა მის სახელსა, არამედ არა იპოვა სახე სიტყჳსაჲ, სახელისა მისისა მიმწოდებელი.

და რამეთუ რომელი-იგი უზეშთაეს არს ყოველთა სახელთაჲსა,[1•] ვითარმცა იპოვა სახელდებულითა სახელითა? ამისთჳსცა იტყჳს, ვითარმედ: *„ვხადოდე[36] მას და არა ქმა-მცა“*. და მაშინ გულისკმა-ვყავ, ვითარმედ დიდადშუენიერებისა დიდებისა და სიწმიდისა მისისა არა არს საზღვარ, არცა დასასრულ.

ვინაჲცა კუალად აღადგინა თავი თჳსი და მოვლო გონებითა საცნაური იგი და უხილავი ბუნებაჲ ზეშთასოფლისაჲ, რომელსაცა ქალაქად სახელს-დებს, რომელსა შინა უფლებანი და მთავრობანი და კელმწიფებანი და საყდარნი და კრებაჲ იგი ურიცხუთა მათ ზეცისა ძალთაჲ დაწესებულ არს, რომელთაცა სავაჭროდ და უბნად სახელ-სდებს, რაჲთა ნუუკუე და მათ შორისმცა იპოვა საყუარელი იგი, და ვითარ-იგი მიმოვიდოდა და გამოეძიებდა ყოველსავე ანგელოზთა შემკობილებასა და მკედრობასა და ვითარ-იგი პოვნილთა მათ კეთილთა შორის საძიებელი იგი თჳსი ვერ იხილა, ესრეთ განიზრახა თავსა შორის თჳსსა, ვითარმედ მათ მიერმე მისაწდომელ არს-ა საყუარელი იგი ჩემი? და

35 მიწთომითა B;

36 ვხადოდე] + მე B;

1• ფილიპ. 2,9;

ჰრქუა მათ, ვითარმედ: *„ნუუკუე და თქუენ სამე უწყოდით, გინა იხილეთ, რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან?“* ხოლო იგინი დუმნეს ესე ვითარისა მის კითხვისა მიმართ და დუმილისა მიერ საცნაურ-ყვეს, ვითარმედ მათ მიერცა მიუწდომელ არს საძიებელი იგი მისი.

ხოლო ვითარცა მოელო მრავალმეძიებელისა მის გონებისა მიერ ყოველი იგი ზეშთასოფელისა ქალაქი და არცაღა საცნაურთა მათ და უხილავთა ძალთა შორის იხილა, რომლისათჳს-იგი სუროდა, მაშინ დაუტევა ყოველი[108vb]ვე იგი საპოვნელი და პოვნილი საძიებელი და ესრეთ პოვა, რომელსა-იგი ეძიებდა, რომელი-იგი მიუწდომელობითა ხოლო მიიწდომების და ამის მიერ ხოლო იპოვების უპოვნელი იგი თუ რაჲ არს, რაჟამს ყოვლითურთ მიუწდომელობაჲ მისი აღიაროს, რომლისა იგი ყოველივე მისაწდომელი გამოძიებაჲ მეძიებელთა მათ წინააღმდგომ და დამაბრკოლებელ პოვნისა მისისა ექმნების.

ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: *„ვითარცა კნინოდენ წარელე მათგან“*, ესე იგი არს, რაჟამს დაუტევენ ყოველნი დაბადებულნი და თანა-წარვჰკედ ყოველთა აგებულებათა და ყოველთა უხილავთა და ხილულთა არსებათა და ყოველივე მისაწდომელად საგონებელი გამოძიებაჲ დაუტევე, სარწმუნოებისა მიერ ვპოვე საყუარელი იგი და არღარა განუტევო იგი სარწმუნოებისა კელთაგან, რომლითა-იგი მოვიკიდე პოვნილსა მას, ვიდრემდის შემოვიდეს იგი შინაგან საუნჯეთა ჩემთა.

ხოლო საუნჯე უეჭველად გული არს, რომელი-იგი მაშინ იქმნების შემწყნარებელ სალმრთოჲსა დამკჳდრებისა მის შორის, რაჟამს მისწუთეს წესსა მას და დაწყნარებასა პირველსა, რომელსა-იგი შინა იყო, რაჟამს დაიბადა მშობელისა მიერ. ხოლო დედად უკუეთუ ვინ პირველი იგი მიზეზი არსებისა ჩუენისაჲ გულის‌ჴმა-ყოს, არა ცოდოს.

ხოლო აწ ჟამი არს, რაჲთა სიტყუათა ამათ შეუდგინნეთ ღმრთივ-სულიერნი იგი სიტყუანი და ჴმანი სალმრთონი, რაჲთა განხილულთა ამათ ძალსა მოეზავნენ და შეეწყჳნენ სიტყუანი იგი, რამეთუ იტყჳს:

„სარეცელთა ჩემთა ზედა ღამე ვეძიებდ, რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან. ვეძიებდ მას და არა ვპოვე იგი; ვხა[109ra]დოდე მას და არა ჴმა-მცა მე. აღვდგე უკუე და მოველო ქალაქი და საჳჭრონი და უბანნი და მოვიძიო, რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან. ვეძიებდ მას და არა ვპოვე იგი. ვხადოდე მას და არა ჴმა-მცა[37].

37 ჴმა-მცა]+მე C;

მპოვეს მე მცველთა, რომელნი მოჰვლიდეს[38] *ქალაქსა. ნუუკუე იხილეთ-ა, რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან? და ვითარცა კნინოდენ წარვლე მათგან, ვიდრემდის ვპოვე, რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან, შევიპყარ იგი და არა განუტევე, ვიდრემდის შევიყვანე იგი სახლსა დედისა ჩემისასა და საუნჯეთა მშობელისა ჩემისათა“.*

ამისა შემდგომად კუალად კაცთმოყუარებისათჳს ასულთაცა იერუსალემისათა ზრახავს, რომელნი-იგი ზემო კერძო ეკალთა მიამსგავსნა სიტყუამან, რაჟამს-იგი შუენიერებაჲ სძლისაჲ შროშანთა სიკეთესა შეეტყუა და ფიცისა მიერ ქუეყანისა ძალთაჲსა სწორსავე თჳსსა სიყუარულისა საზომსა ამცნებს მათ, რაჲთა ნებაჲ სიძისაჲ საქმით სრულ-იქმნეს მათ შორის და ამის პირისათჳს, ვინაჲთგან ზემო თქუმულ არს, თუ რაჲ არს სოფელი, ანუ თუ რაჲ არიან ძალნი იგი და სიმტკიცენი აგარაკისანი და თუ რაჲ არს ნებაჲ ანუ თუ რაჲ არს ყოვლითა გულითა შეყუარებაჲ, აწ კუალად ნამეტნავ არს მათვე სიტყუათა წარმოთქუმაჲ და განგრძობაჲ თხრობისაჲ, რამეთუ იგიეე პირი კმა არს ამისცა საძიებელისა განმარტებად. ამისთჳსცა შემდგომთა სიტყუათა მიმართ მივიდეთ, უკუეთუ ოდენ შესაძლებელ იქმნეს ჩუენ მიერცა საღმრთოჲსა მის ტრედისა თანა სიმაღლედ აღფრინებად[39] და სმენად კმასა[40] სიძისა მეგობართასა, რომელნი-იგი განკურვებულ არიან აღმოსლვასა მისსა უდაბნოჲთ, რომელი-იგი უფროჲსღა განამრავლებს მხილველთა მათ განკრთომასა, უკუეთუ უდაბნოჲ შემძლებელ არს ესევითარისა რაჲსმე აღმოცენებად [109rb], რომელი მსგავს იყოს ხისა შუენიერებისა, რომელი-იგი უდაბნოსა შინა სურნელებითა საკუმეველთა კუამლისაჲთა გამოსახულ არს.

ხოლო საკუმეველნი იგი არიან მური და გუნდრუკი. და კუალად ამათისა სულნელებისაგან მტუერიცა რაჲმე წულილადი, ნელსაცხებელთა მათგან შენელებული, მის თანავე აღტყდებოდა, მის თანავე აღვიდოდა, რაჲთა მტუერისა წილ მის მიერ განიზავოს ჰაერი, რომელ არს მწუღილთა მათ ნელსაცხებელთა აღფრქუევაჲ და განფენაჲ, რომელთა მიერ მართლ აღსრულ იყო და აღმაღლებულ მტუერი იგი, ხოლო

---

38 მოვპლიდეს B;

39 აღფრინებად C;

40 ქმაჲ C;

სიტყუაჲ იგი ესრეთ არს: *„ვინ არს ესე, რომელი აღმოვალს*[41] *უდაბნოჲთ, ვითარცა რტოჲ კუამლისა კუმეულისაჲ მური და გუნდრუკი ყოველთაგან მტუერთა მენელსაცხებელთაჲსა?*[41•]

უკუეთუ ვინ გამოწულილვით გულისკმა-ყოს[42], პოვოს[43] სიტყუათა ჩუენთა პირველ განხილულთა ჭეშმარიტებაჲ. რამეთუ ვითარცა-იგი განცხრომასა მას თეატრონთასა, დაღაცათუ თჳთ იგინი იყვნენ, რომელნი წინადაგებულსა მას მათდა სახესა იჩემებდენ, სხუად სხუათაგან იქმნებიან საგონებელ და განყოფილებითა მით ჩემებისაჲთა სახესაცა მათსა შეიცვალებენ, და რომელი-იგი მონა არნ და მდაბიო, იქმნის იგი ახოვან და ერისთავ და კუალად მონამან დაუტევის მონებისა იგი სახე და შეიმოსის სახე წარჩინებულთაჲ და გინა თუ თჳთ მეფისაჲცა.

ეგრეთცა სათნოებათა მიერ წარმატებულნი არა ყოვლადვე ერთსა სახესა ზედა დაადგრებიან, არამედ მაღალთა მათ გულისთქუმათა მიერ დიდებითი დიდებად შეიცვალებიან და შემსგავსებულად სათნოებათა თჳსთა და სამარადისოდ კეთილოთა მიმართ წარმატებისა და სისრულისა განბრწყინდებიან და ნათობენ, გინა თუ მონანი იყვნენ, გინა თუ მდაბიონი, არამედ აღორძინებითა მით კეთილთაჲსა სხუაჲ სხჳსა წილ იქმნებიან [109va] და იხილვებიან.

და ამისათჳს უცხო-უჩნს მეგობართა სიძისათა ხილვაჲ ესე ქალწულისაჲ, ვითარ მე ვჰგონებ, რომელთა-იგი ამისსა უწინარეს შუენიერად და მისა შემდგომად მსგავსებითა ოქროჲსა და ვეცხლისაჲთა შუენიერაბაჲ მისი განაშუენეს.

ხოლო აწ ვინაჲთგან პირველხილულთა მათ სასწაულთაგანი არარაჲ იხილეს მის თანა, ამისთჳსცა უმაღლესთა სახეთა მიერ გამოსახვენ მას და უკჳრს არა ხოლო თუ აღსლვაჲ, არამედ თუ ვინაჲ-იგი აღვიდა. რამეთუ ესე არს, რომელი-იგი აღაორძინებს განკურვებასა მას, ერთად იხილვების, რომელი-იგი აღვალს და სიქშოსა მაღნართასა ემსგავსების და რტოდ საგონებელ იქმნების, სიმაღლედ აღსრულად და აღორძინებულად.

ხოლო აღმზრდელ რტოჲსა მის და ხისა არა ქუეყანაჲ რაჲმე შეიქმ-

---

41 აღმოვალ არს A;

42 გულისხმა-ჰყოს C;

43 ჰპოვოს C;

1• ქ.ქ. 3,6;

ნების პოხიერი და ნოტიად, არამედ გუალული და წყურიელი და უდაბნოდ. და რასა უკუე ზედა დანერგულ არს რტოდ ესე და ვინად ორძის? ძირ მისა არს მტუერი ნელსაცხებელთად, ხოლო მპოხელ — ორთქლი საკუმეველთად, რომელი-იგი სულნელებისა მიერ შეაცურევს[44] ესევითარსა მას მაღნარსა. და ესეოდენთა ამათ და ესევითართა წამებათა მიერ რაბამთა შესხმათა და ვითართა ქებათა წარმოაჩინებს სიტყუად?

რამეთუ გამოჩინებულისა მისთჳს ურთიერთარსი იგი კითხვად და არა პირველითა სახითა, არამედ სხჳთა ხატითა ხილვად აღორძინებად არს შესხმისად სათნოებათა მიერ სისრულედ წარმატებულისა სულისად, რომელი-იგი ფრიადსა წამებნ უმჯობესისა და უვაღრესისა მიმართ აღორძინებასა და წარმატებასა [109vb] მისსა. რამეთუ განკურვებულთად არს ესევითარი ესე ქმად, რომელნი-იგი განკურვებულ იყვნიან, რაჟამს გარეშე ჩუეულებისა იხილიან ესევითარითა რადთმე შუენიერებითა აღყუავებული ხატი, ვითარმედ ესე რომელი უდაბნოდთ აღმოვალს, პირველ შავად იხილვებოდა ჩუენ მიერ და აწ, ვითარ განიბანა დაბნელებული იგი ხატი, და ვითარცა თოვლი ბრწყინავს ესე შუენიერებითა და საკურველი ესე არს, რამეთუ ესევითარისა ამის სახისა და შუენიერებისა მიზეზ უდაბნოდ არს, რომელმან-იგი ესრეთ აღამაღლა იგი და ვითარცა ნაძჳ რადმე ბორობანი[45] შუენიერებითა და სიკეთითა შეამკო. რამეთუ არა თუ დახუდომით რადმე და გარეწარად აღმაღლდა ესევითარსა ამას სიმაღლესა, არამედ თჳსთა შრომათა მიერ და მოღუაწებათა მოიგო ესევითარი ესე შუენიერებად.

და ესრეთვე ოდესმე წინადსწარმეტყუელისაცა სული წყურიელ იქმნა საღმრთოდსა[46] მის წყაროდსა, რაჟამს-იგი იქმნნეს ჴორცნი მისნი უდაბნო და უგზო და წყურიელ და საღმრთოდ იგი წყურილი თავსა შორის თჳსსა შეიწყნარა. ვინადცა აღსლვად ესე უდაბნოდთ წამებს, ვითარმედ კრძალულებითა და მოღუაწებითა აღვიდა ესევითარსა ამას სიმაღლესა, ვიდრეღა იქმნა მეგობართაცა სიძისათა საკურველება, რომელნი-იგი მრავალთა სახეთა მიერ თარგმანებენ შუენიერებასა მისსა, ვინადთგან ერთისა მიერ ყოველთავე შეცვად შეუძლებელ იყო,

---

44 შეაცუ B;

45 შრომანი C;

46 საღთოსა C;

რამეთუ პირველად ხედვასა მისსა ხესა მიამსგავსებენ და არა ერთ-
სახესა, არამედ მაღნარსა, რაჲთა მაღნარისა მის მრავალფერობაჲ იგი
და თითოსახეობაჲ სათნოებათა მისთაჲ წარმოაჩინონ. და მერმე სახედ
სიკეთისა მისისა კუამლსა საკუმეველთასა შემოიღებენ და არცა ამას
მარტივად აღტევებულსა, არამედ მურითა და გუნდ[110ra]რუკითა შეზა- 5
ვებულსა, რაჲთა სულნელებაჲ იგი კუმევისაჲ ორთავე მიერ შეიერთოს
და ესრეთ ნელსაცხებელთა ამათ შეზავებათა უმეტესი მოესწავების
შუენიერებაჲ სძლისაჲ, რომელთაგანსა მურსა შემურვაჲ აქუს საქმეთ
კორცთა დაფლვად განმზადებულთაჲ, ხოლო გუნდრუკი საღმრთოდ
შესაწირავად განკუთნილ არს. 10

და რომელსა ენებოს მსახურად ღმრთისა დაწესებაჲ თავისა თჳსი-
საჲ, ვერ შესაძლებელ არს, რაჲთამცა სხჳსა სახითა იქმნა იგი გუნ-
დრუკ და საღმრთო საკუმეველ, უკუეთუ პირველად არა იქმნეს იგი
მურ. ესე იგი არს, უკუეთუ არა მოაკუდინნეს[47] ასონი თჳსნი ქუეყანასა
ზედა და მის თანა დაეფლას, რომელმან-იგი ჩუენთჳს სიკუდილი დაით- 15
მინა და მომკუდართა მათ კორცთა მურითა შემურვაჲ თავს-იდვა და
უკუეთუ ესრეთ შეიმკოს, ყოველსავე ნელსაცხებელსა სათნოებათასა
გარემოჲს ცხორებისა თჳსისა ესრეთ მოისხამს, ვითარცა სულნელსა
მას მტუერსა ნელსაცხებელთასა, რომელი-იგი უკუეთუ ვინმე იყნოსოს,
იქმნების იგი აღსავსე სულითა წმიდისა და მხილველ დაფარულთა და 20
წინაჲსწარმეტყუელ.

ხოლო შემდგომად შუენიერებისა მისისა წამებისა მეგობარნი სიძ-
ისაჲ და ეზოჲსმოძღუარნი უბიწოჲსა მის სასხლოჲსანი და წმიდისა
მის სძლისა დამწინდებელნი უჩუენებენ მას სამეუფოჲსა მის ცხ-
ედრისა შუენიერებასა, რაჲთა უმეტესად გულისთქუმად მოიყვანონ 25
სძალი საღმრთოჲსა მის და უხრწნელისა მეუღლებისა, ხოლო სახე
სამეუფოჲსა მის ცხედრისაჲ ესევითარი არს, რომელსა საჩინოთა
სიტყუათა მიერ მხილველ ჰყოფენ მას და ცხადად გამოუხატვენ და
მიუთხრობენ და ეტყჳან:

„აჰა ესერა, ცხედარი სოლომონისი და სა[110rb]მეოცნი ძლიერ- 30
ნი გარემოჲს მისსა[48] ძლიერთაგან ისრაელისათა. ყოველთა უპყრიეს
მახჳლი, წურთილნი ბრძოლასა კაცი და მახჳლი მისი წელთა მისთა

47 მოაკუდინნე BC;

48 გარემო მისა B;

შიშისათჳს და განკრთომისა ღამესა შინა“.[1•]

ხოლო რამეთუ არა მოთხრობისაგან უწყებათაჲსა არს სიტყუაჲ ესე ცხედრისაჲ,[49] ყოველთა მიერ საცნაურ იქმნეს და ეუწყოს კორციელად აღწერილისაგან სოლომონისთჳს, რომლისა მეფობაჲ და ტაბლაჲ და ნეშტი იგი მეუფებისა მისისა განგებაჲ ყოვლითა გამოწულილვითა გამოსახა სიტყუამან, ხოლო ცხედრისათჳს ახალი რაჲმე და შეცვალებული არარაჲ უთქუამს, ვინაჲცა ჯერ-არს და თანანადებ, რაჲთა არა დაშთეს თხრობაჲ ესე მსგავსად აღწერილისა მის უქმად, არამედ რაჲთა მოღუაწებითითა რაჲთმე გამოძიებითა შევცვალოთ თქუმული ესე სულიერად ხედვად და ნივთიერთა სახეთაგან განვაშოროთ გონებაჲ მისი.

რამეთუ სამეოცთა ძლიერთაგან რაჲმცა შემკობაჲ იქმნა სასძლოჲსა ცხედრისაჲ? რომელთა წურთილება საშინელებაჲ არნ ბრძოლისაჲ, ხოლო სამკაულ — მახჳლი, შებმული წელთა, ხოლო საკჳრველება — განკრთომაჲ და შიში ღამისაჲ, რომელ არს საშინელი რაჲმე და შემაძრწუნებელი ბგერაჲ და განკრთომაჲ ღამესა შინა, რომელი-იგი იქმნების აღჭურვილთა მათთჳს, ვინაჲცა ყოველითა საჳითა თანა-გუაც ძიებად თქუმულთა ამათ მიერ გულისკმის-ყოფასა რასმე მიმდგომსა პირველგანხილულთასა.

და რაჲმცა[50] იყო გულისკმის-ყოფაჲ იგი? ესე იგი არს, საღმრთოსა შეუნიერებასა საშინელებასა შინა აქუს სასურველობაჲცა წინაუკუმო კორციელთა შეუნიერებათა, რამეთუ აქა აღმაორძინებელ გულისთქუმათა იქმნების წყლიანობაჲ და სიდაშნე[51] სახისაჲ, [110va] ყოველისაჲვე საზარელისა და მრისხანისა სიყუარულისაგან განშორებული.

ხოლო საღმრთოჲ იგი და უხრწნელი შეუნიერებაჲ და სიკეთე და საწადელცა არს და საშინელ და შესაძრწუნებელ. და ვინაჲთგან ვნებული და მწიკულევანი კორცთა გულისთქუმაჲ ასოთა შინა კორციელთა დამკუდრებული, ვითარცა გუნდი[52] რაჲმე და ბანაკი ავაზაკთაჲ, უმ-

---

49 ცხედრისა A;

50 რაჲთამცა C;

51 სიდაბნე C;

52 გუნდ A;

1• ქ.ქ. 3,7-8;

ზირის გონებასა და მრავალგზის წარსტყუენავს[53] და წარიტაცებს ნებისაებრ და განზრახვისა თჳსისა, ხოლო საქმე ესე მტერობა არს ღმრთისა, ვითარცა მოციქული იტყჳს, ვითარმედ: *„ზრახვაჲ ხორცთაჲ მტერობა არს ღმრთისა“*,[1*] და ამისთჳს ვიტყჳ, ვითარმედ წინაუკუმო ხორციელთა გულისთქუმათა იქმნების საღმრთოჲ ტრფიალებაჲ, და ვინაჲთგან ამას წინა-უძღჳს შუებაჲ და განსუენებაჲ და დაკსნილობაჲ და უჯეროჲ სიყუარული, მუნ ნივთ საღმრთოჲსა ტრფიალებისა იქმნების შიში და ძრწოლაჲ და სიმკნე.

რამეთუ რაჟამს აზოვნითა სიმკნითა და მრისხანებითა გულისთქუმისა ავაზაკი შეაძრწუნნეს და იოტნეს, მაშინ გამოჩნდების[54] წმიდაჲ იგი სულისა შუენიერებაჲ, რომელსა-იგი არცა ერთი რაჲ ხორცთა ვნებისა გულისთქუმაჲ შეამწიკულებდეს.

ამისთჳსცა სასძლოჲ იგი ცხედარი მეუფისაჲ ჯეროვნად შეიცვის ჭურვილთა მიერ, რომელთა-იგი ბრძოლისა ქელოვნებასა მზად აქუნდეს წელთა ზედა მახჳლი და განაკრთობდეს და შეაძრწუნებდეს გულისსიტყუათა მათ ბნელისათა, რომელნი-იგი ღამესა შინა და წყუდიადსა წარსტყუენენ და განჰგურემენ [110vb] წრფელთა გულითა.

და რამეთუ დამკსნელი არს და მკლველი ბილწთა გულისთქუმათაჲ აღჭურვაჲ იგი მბრძოლთა მათ გარეშემცველთა ცხედრისათაჲ, ცხად არს და საცნაურ შემდგომთაცა სიტყუათა გამოსახვითა, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„ყოველნივე წურთილნი ბრძოლასა კაცი და საბარკალე მისი წელთა მისთა“*.

ჭეშმარიტად, წურთილთა და მეცნიერთაჲ არს, თუ ვითარ ჯერარს წინაგანწყობაჲ ხორცთა და სისხლთაჲ საბარკალისა[55] მახჳლისა წელთა ზედა პრყობაჲ. და ვიცი, რომელ უკუეთუ ვინმე იგავსა წერილთასა არა უმეცარ იყოს, უეჭუელად გულისკმა-ჰყოფს მახჳლისა და წელთა და საბარკლისა მოკსენებითა, თუ რასა მოასწავებენ და რამეთუ მახჳლი სიტყუაჲ არს ღმერთი.

ვინაჲცა რომელმან საშინელი იგი საჭურველი, რომელ არს მახჳლი სიწმიდისაჲ, მოირტყას, იგი არს მოსურნე და ტრფიალ უხრწნელისა

---

53 წარჰსტყუენავს C;

54 გამოჰსჩნდების C;

55 საბარკლისა B;

1* რომ. 8,7;

მის ცხედრისა, ერთი ძლიერთაგანი[56] ისრაელისათა და ღირსი შერთვად რიცხუსა მას სამეოცთასა და მცველი ღმრთივბრწყინვალისა მის სასუენებელისაჲ.

ხოლო რამეთუ რიცხუსა ამას აქუს რაჲმე ძალი საიდუმლოჲ, არა იჭუეულ ვართ, გარნა იგი მათდა ხოლო საცნაურ არს, რომელთა გამოუცხადებს დაფარულთა საიდუმლოთა მადლი სულისა წმიდისაჲ.

ხოლო ჩუენთჳს კეთილ არს, რაჲთა საჩინოჲთა ძალითა ამის სიტყჳსაჲთა განეძღეთ, ვითარცა იგი პასექისათჳს უბრძანა მოსე საჩინოჲსა მის კორცისა მჭამელთა და შეუხებელად ეგნენ გამოუცხადებ[111ra] ლობისა ძუალთა შინა დაფარულისაგან,[1•] ხოლო უკუეთუ ვისმე გულიუთქუმიდეს ტჳნთა მათთჳს დაფარულთა სიტყჳსათა, ეძიებდინ მისგან, რომელი-იგი ღირსთა თჳსთა გამოუცხადებს დაფარულთა.

ხოლო რაჲთა არა ბრალეულ ვიქმნენთ[57] სრულიად გამოუძიებელად თანაწარსლვისათჳს სიტყჳსა, არცა მოვმედგრდეთ აღსრულებად საღმრთოჲსა ბრძანებისა, რომელი-იგი გუბრძანებს გამოძიებად საღმრთოთა წერილთა,[2•] ესრეთ განვიხილოთ სიტყუაჲ იგი სამეოცთა რიცხჳსაჲ.

ათორმეტნი კუერთხნი, რიცხჳსაებრ ათორმეტთა ტომთაჲსა, საღმრთოჲთა ბრძანებითა მოიხუნა მოსე, არამედ ერთსა ხოლო პატივ-ეცა განედლებითა მით და ნაყოფიერ-ქმნითა მით ყოველთაგან და კუალად ისო ნავეს[58] მიერ ათორმეტნი ქვანი დაისხნეს იორდანეს, რიცხჳსაებრვე ათორმეტთა მათ ტომთაჲსა, საწამებელად საიდუმლოჲსა მის, რომელი იქმნა მაშინ, რომელთაგანი არცა ერთი იქმნა შეურაცხ, არამედ ყოველნივე მიითუალნეს.

და რაბამსა შემდგომებასა წარმოაჩინებს უწყებაჲ ესე? რამეთუ უსრულესისა მიმართ წარმატებასა რასმე ერისასა გამოსახავს და ვითარმედ დასაბამსა მას შჯულისდებისასა ერთი ხოლო იპოვა კუერთხი განცხოველებულ და განედლებულ, ხოლო სხუანი იგი, ვითარცა უნაყოფონი და განკმელნი, განითხინეს. ხოლო მიმყოვრებულნი რაჲ ჟამნი გარდაკდეს და შჯულიერთა მათ მცნებათა უფროჲსი გამოცდილებაჲ

---

56 ძლიერთაგან B;

57 ვქმნენთ C;

58 იესუ ნავეს B, ისუ ნავეს C;

1• გამ. 12,9-10;

2• ინ. 5,39;

მოიღეს, ვიდრეღა მეორე წინადაცუეთაჲ იქმნა ისოს[59] მიერ და რაჟამს იგი ქვისა დანაკთა მიერ ყოველივე ნამეტნავი და არაწმიდაჲ განაგდეს, და ვიცი, რამეთუ გულსმოდგინედ მსმენელი დანაკთა [111rb] მათ მიერ ქვისათა მსგავსებულსა არა უმეცარ არს, ვინაჲცა ჯეროვნად იქმნა, რამეთუ შემდგომად შჯულიერისა მის და სათნოდ მოქალაქობისა არცა ერთი ქვათა მათგანი განაგდო,[60] რომელნი-იგი სახედ ტომთა ისრაელისათა მოიხუნეს და ვინაჲთგან ჯერ-არს სამარადისოდ კეთილთა აღორძინებისა ძიებაჲ, რაჟამს-იგი წარკდეს ჟამნი და ძლიერებაჲ ისრაელთაჲ უმეტეს აღემატა, ვითარცა გუაუწყებს ჩუენ წინამდებარე ესე სიტყუაჲ, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„ძლიერთაგან ისრაელისათა“*.[1•]

მაშინ არღარა ერთი ქვაჲ, გინა ერთი კუერთხი მოიღების ტომისაგან, არამედ ქვისა წილ და კუერთხისა თითოეულისა ტომისაგან ხუთნი მამაკაცნი გამოირჩევიან — კაცნი მბრძოლნი, სწავლულნი ბრძოლასა, აღმღებელნი მახჳლისანი ძლიერთაგან ისრაელისათა — მცველად საღმრთოჲსა მის ცხედრისა, რომელთაგანი ამისთჳს არავინ განიგდების, რამეთუ ყოვლისა ტომისა პირმშო ხუთნი იქმნებიან, რომელთა რიცხჳ, ათორმეტად შეკეცილი, სრულ-იქმს რიცხუსა სამეოცთასა.

ვინაჲცა ჯერ-არს, რაჲთა თითოეულისა ტომისაგან ხუთნი იყვნენ აღჭურვილნი, საშინელნი მცველნი სამეუფოჲსა ცხედრისანი, რამეთუ უკუეთუ აკლდეს რიცხუსა ხუთთასა, მიუთუალველ იქმნებიან ნეშტნი იგი.

აწ უკუე, რაჲ შესაძლებელ-მე არს-ა შეკადრებად, რომლისა-ესე მეგულების თქუმად, თუ ვითარ ყოვლისა ტომისაგან ხუთნი აღიჭურვიან, რაჲთა იქმნენ მცველ სამეუფოჲსა ცხედრისა, და თუ ვითარ თითოეული ხუთთა მათგანი საზარელ წინააღმდგომთა იქმნე[111va]ბის აღჭურვისა მისთჳს და მახჳლსა წელთასა აღმოიწუდის? ანუ თუ ცხად არს, ვითარმედ ერთისა მის წილ ქვისა ხუთნი ესე ჭურვილნი არიან, რომელნი თითოეულისა საცნობელისა შემსგავსებულსა მახჳლსა შემაძრწუნებელად წინააღმდგომთა აღმოიკდიან.

თუალთა უკუე მახჳლი არს სამარადისოდ ხედვაჲ უფლისა მიმართ და მართლხედვაჲ და არცა ერთითა რაჲთ მწიკულევანითა ხედვითა

---

59 იისუს C;

60 განიგდო C;

1• ქ.ქ. 3,7;

შეგინებაჲ.

და ეგრეთვე, სასმენელთა საჭურველ არს სმენაჲ საღმრთოთა მოძღურებათაჲ და ამაოჲსა სიტყჳსა არაოდეს შეწყნარებაჲ. ეგრეთვე იქმნების შეჭურვაჲ გემოჲსხილვისაცა და შეხებისა და ყნოსისაჲ და მოღუაწებისა და მარხვისა მახჯლითა; შემსგავსებულად თითოეულისა საცნობელისა აღჭურვაჲ მოღუაწისაგან, რომელთა მიერ იქმნების ძალთა მათ ბნელისათა შემაძრწუნებელ და განმაკრთობელ, რომელთა-იგი ჟამად ბრძოლისა და სულთა ვნებისა და წარწყმედისა ღამე იქმნების და ბნელი.

რამეთუ მას შინა თქუა წინაჲსწარმეტყუელმან მკეცთა მაღნარისათა ბოროტისა მის საზრდელისა მათისა სამწყსოთაგან ღმრთისათა ძიებაჲ. რამეთუ იტყჳს,[61] ვითარმედ: *„დასდევ ბნელი და იქმნა ღამე. მას შინა ვიდოდიან ყოველნი მკეცნი მაღნარისანი, ლეკუნი ლომთანი მყურალნი“*.[1•]

აწ უკუე, ვინაჲთგან ყოველივე ცხოვნებული იქმნების ისრაელ, რამეთუ *არა ყოველნი ისრაელისაგანნი*[62] *ესენი არიან ისრაელ*,[2•;63] არამედ რომელნი-იგი გონებითა მათითა ხედვენ ღმერთსა საქმეთა მიერ კეთილთა, იგინი ღირს-იქმნებიან ჭეშმარიტებით ამის წოდებისა. ხოლო რომელი ღმერთსა ხედვიდეს,[64] ესე არს საქმე და თჳსებაჲ მისი, რაჲთა არცა ერთითა საცნობელითა [111vb] განიცდიდეს ცოდვასა.

რამეთუ ვერვის ძალ-უც ორთა უფალთა მონებად, არამედ ერთისა შეყუარებითა მეორესა მას მოიძულებს, უფროჲსღა უკუეთუ წინააღმდგომნი იყვნენ, ვინაჲცა ყოველივე ცხოვნებული ცხედარ იქმნების მეუფისა.

რამეთუ უკუეთუ ყოველნი წმიდანი გულითა იხილვენ ღმერთსა, სამართლად სამე იწოდებიან ისრაელ,[65] რომელ არს გონება, მხილველ ღმრთისა, უბიწონი და წმიდანი გონებითა და სულითა და გულითა.

ხოლო დაფარულითა რაჲთმე ძალითა ათორმეტ ტომად განიყოფვის

---

61 ვიტყჳ B;
62 ისრაილისაგანნი C;
63 ისრაილ C;
64 ჰხედვიდეს C;
65 ისრაილი C;

1• ფსალ. 103,18; 20-21;
2• რომ. 9,6;

სახელი ესე და სავსებაჲ ცხოვნებულთაჲ კეთილად სრულ-იქმნების რიცხჳთა ამით სამეოცთაჲთა, რამეთუ თითოეულისა ტომისაგან თითოჲ მოიყვანების და რიცხჳსაებრ საცნობელთასა ერთი იგი ხუთჯურვილად განიყოფვის[66]. ვინაჲცა ყოველთა, რომელთა შეიმოსონ ყოვლადსაჭურველი ღმრთისაჲ, ერთსა მოიცვენ ცხედარსა სამეუფოსასა და ყოველნივე ერთ ისრაელ იქმნებიან და ათორმეტთა ტომთა მიერ ხუთეულად განყოფილთა[67] მბრძოლთაჲთა სამეოცთა რიცხუსა სრულ-ჰყოფენ.

და ესევითართა ამათ ახოვანთა სრულებითა ერთ წყობა და ერთ მკედრობა და ერთ ცხედარ და ერთ სარწმუნოება და ერთ ეკლესია[68] და ერთ ერ და ერთ სძალ იქმნებიან, ყოველნივე ერთსა ქუეშე ერისმთავარსა და ერისშემკრებელსა და სიძესა და ერთისა გუამისა ზიარებად შეერთებულნი.

ხოლო რამეთუ განსუენებაჲ ცხოვნებულთაჲ ცხედრად იწოდების, სიტყუაჲცა უფლისაჲ დაამტკიცებს და გუასწავებს, რამეთუ იტყჳს ურიდად მთხოველისა მის მიმართ, ვითარმედ: *აჰა ესე[112ra]რა, კარი ჩემი დაჴშულ არს და ყრმანი ჩემნი ჩემ თანა არიან სარეცელსა* ზედა[1•]. რამეთუ რომელთა-იგი საჭურველითა სიმართლისაჲთა უვნებელობაჲ მოუგეს თავთა თჳსთა, კეთილად უწესს მათ ყრმად სიტყუაჲ და ამის მიერ მოძღურებასა გუასწავებს, ვითარმედ მოღუაწებისა მიერ მოგებულნი ჩუენ მიერ კეთილნი არა უცხო არიან ჩუენგან, არამედ პირველითგან დათესულ ბუნებასა შინა ჩუენსა. და რომელმან-იგი მახჳლი მოირტყა წელთა, სათნოდ ცხორებითა და კრძალულებითა ვნებანი იგი არაწმიდანი განყარნა და იქმნა იგი ჩჩჳლ.

ხოლო ჩჩჳლი ჰასაკითა უმეცარ არს არაწმიდათა ვნებათა, რამეთუ ვერ დაეტევიან მის შორის ვნებანი სიჩჩოებისა მისთჳს; ვინაჲცა ერთ არს ჭურვილთა გარემოჲს ცხედრისა დგომაჲ და ყრმათა სარეცელსა ზედა განსუენებაჲ, რამეთუ ერთ არს ორთავე უვნებელობაჲ, რომელთა-იგი არა შეიწყნარეს და რომელთა-იგი განიშორეს ვნებაჲ, რამეთუ პირველთა მათ არცა თუ იცნეს გემოჲ ვნებათაჲ, ხოლო მეორეთ ამათ მასვე წესსა აღიყვანნეს თავნი თჳსნი, რამეთუ მოიქცეს და

66 განიყოფის C;
67 განყოფითა C;
68 ეკკლესია C;
1• ლუკ. 11,7;

იქმნეს ყრმა უვნებელობითა.

და ნეტარ არს, რომელი ამათ შინა იპოვოს[69], რაჲთა ანუ ყრმა იქმნეს, ანუ თუ ჭურვილ და ანუ თუ ჭეშმარიტ ისრაიტელ, რაჲთა ვითარცა ისრაიტელი გულითა წმიდითა ღმერთსა ხედვიდეს, და ვითარცა ჭურვილი უვნებელობითა და სიწმიდითა მეუფისა ცხედარსა, ესე იგი არს თჳსსა გულსა სცვიდეს[70] და ვითარცა ყრმაჲ, ნეტარსა მას უმანკოებისა სარეცელსა ზედა განისუენებდეს ქრისტე იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

69 იპოოს C;

70 ჰსცვიდეს C;

ᲗᲐᲕᲘ VII

სიტყუაჲ ესე:

3,9. გავალაკი იქმნა მეფემან სოლომონ ძელთაგან ლიბანისათა.

3.10. სუეტნი შექმნნა ვეცხლისანი და კამა[112rb]რა დრეკილი მისი ოქროჲსაჲ; აღსავალი მისი — პორფირი, იატაკი მისი ქვაფენილ — სიყუარული ასულთაგან იერუსალჱმისათა.

3,11. განვედით და იხილეთ, ასულნო სიონისანო, მეფე სოლომონ გურგჳნითა მით, რომლითა გურგჳნოსან-ყო[1] იგი დედამან მისმან დღესა მას სიძობისა მისისასა და დღესა სიხარულისა გულისა მისისასა.

4,1. აჰა ეგერა, შუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო. აჰა ეგერა, შუენიერ ხარ, თუალნი შენნი ტრედ არიან გარეშე დუმილისა მაგის შენისა. თმაჲ შენი, ვითარცა არვე თხათაჲ, რომელნი გამოჩნდეს გალადით.

4,2. კბილნი შენნი, ვითარცა არვე მორისულთაჲ, რომელნი აღმოკდეს საბანელით. ყოველნიე ორთმსხმელნი და ბერწი არა არს მათ შორის.

4,3. ვითარცა საბელი ძოწეული, ბაგენი შენნი და სიტყუაჲ შენი შუენიერ. ვითარცა ნაქურცენი მროწეულისაჲ, საკეთენი შენნი გარეშე დუმილისა მაგის შენისა.

4,4. ვითარცა გოდოლი დავითისი — ქედი შენი, რომელი-იგი აღშენებულ არს თალპიოთს. ათასი ფარი დამოკიდებულ მას ზედა და ყოველი ისარი ძლიერთაჲ.

4,5. ორნი ძუძუნი შენნი, ვითარცა ორნი თიკანნი, მარჩბიენი ქურციკისანი, რომელნი ძოვედ შორის შროშანთა.

4,6. ვიდრე დღისა შერიჟურებადმდე[2] და აჩრდილთა შეძრვად, მე თჳთ მივიდე მთასა მას მურისასა და ბორცუსა გუნდრუკისასა.

4,7. ყოვლადშუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო, და ბიწი არა არს შენ თანა.

მრავალთა ადგილთა და მრავლითა სახითა მეფე სოლომონ სახედ ჰჴშმარიტისა მის მეუფისა იწოდების. ხოლო მრავლად ვიტყჳ წმიდათა წერილთა მიერ უმჯობესისა კერძსა უწყებასა მისსა, რამეთუ

---

1 გურგუნოსან-ჰყო C;

2 შერიჟუებადმდე B;

მშჳდობად ეწოდების და ტაძარსა [112va] აღაშენებს და სიბრძნე აქუს აურაცხელი და მეუფებს[3] ისრაელთა ზედა და შჯის[4] ერთა სიმართლით და თესლისაგან არს დავითისა. არამედ და რამეთუ დედოფალიცა იგი ეთიოპისაჲ მისა მიმართ მოვიდა და ესე და ესეევითარი თქუმულ არს მისთჳს იგავით და სახისმეტყუელებით, ხოლო ჭეშმარიტებით მადლსა სახარებისასა მოასწავებს.

რამეთუ ვინმცა იყო ესრეთ მშჳდობა და მშჳდობისმყოფელ, ვითარ რომელმან-იგი მოაკუდინა მტერობაჲ და შემშჭუალა ჯუარსა და ჩუენ, მტერნი ესე, და უფროჲს-ღა ყოველი სოფელი თავსა თჳსსა დააგო და შუაკედელი იგი მტერობისაჲ დაჰკსნა, რაჲთა ორივე იგი დაჰბადოს თავისა მიერ თჳსისა ერთად ახლად კაცად ყოფად მშჳდობისა,[1•] რომელმან-იგი ახარა მშჳდობაჲ შორიელთა და მშჳდობაჲ მახლობელთა მახარებელთა მათ მიერ მშჳდობისათა.

ხოლო აღმაშენებელი ტაძრისაჲ ვინ არს ესეევითარი, რომელმან საფუძველნი თჳსნი დასხნა მთათა შინა წმიდათასა, ესე იგი არს წინაჲსწარმეტყუელთა და მოციქულთა? ხოლო აღაშენებს, ვითარცა იტყჳს პავლე, საფუძველსა ზედა მოციქულთა და წინაჲსწარმეტყუელთასა,[2•] ქვათა მათ ცხოველთა და სულიერთა, რომელნი-იგი თავისა მიერ თჳსისა, სიტყჳსაებრ საწინაჲსწარმეტყუელოჲსა, შენაწევრებად კედლისა მის მიგორდებიან,[3•] რაჲთა შეიერთნენ ერთობითა სარწმუნოებისაჲთა და საკრველითა მშჳდობისაჲთა და აღაორძინნენ თავნი თჳსნი ტაძრად წმიდად, რაჲთა იქმნენ[5] სამკჳდრებელ ღმრთისა სულითა.

და რამეთუ სიბრძნითა თჳსითა სოლომონ ჭეშმარიტსა მას სიბრძნესა მოასწავებს, ვერვინ გუაცილობს, რომელიცა სახისა და ჭეშმარიტებისა განცდად შემძლებელ იყოს, რამეთუ წიგნი წამებს[6] მისთჳს, ვითარმედ წარ[112vb]ჰკდა იგი საზღვართა კაცობრივისა სიბრძნისათა და ყოველივე მეცნიერებაჲ სივრცესა შინა გულისასა შეიკრიბა, ვიდრეღა

---

3 მეუფებს A (ყოფილა „მეფობს", გადამწერს ჩაუმატებია ზემოდან „ე" და „უ", „ო" ამოუშლია);

4 Ისჯის C;

5 იქმნენ BC;

6 Ისწამებს C;

1• ეფეს. 2,14-15;

2• I კორ. 3,10-11;

3• ზაქ. 9,16;

პირველთა მათ ყოველთავე წარემატა და შემდგომთა მიერ მიუწთომელ იქმნა; ხოლო ღმერთი თუთ ბუნებით არს სიბრძნე და ჭეშმარიტება და ძლიერება და შემოქმედ ყოველისა სიბრძნისა. ამისთჳსცა სიტყუასა მას დაჳითისსა, ვითარმედ: *„ყოველივე სიბრძნით ჰქმენ“*,[1•] თარგმნის[7] მოციქული და იტყჳს, ვითარმედ: *„მის მიერ დაებადა[8] ყოველი“*.[2•]

ხოლო რამეთუ მეუფე არს ისრაელთაჲ უფალი, მტერთა მიერცა წამებულ არს, რომელთა-იგი დაწერეს[9] ჯუარსა ზედა აღსარებაჲ მეუფებისა მისისაჲ, ვითარმედ იგი არს მეუფე ჰურიათაჲ[3•]. რამეთუ მივითუალავთ წამებასა ამას, დაღაცათუ რეცა დამაკნინებელ არს დიდებასა მას მეუფებისა მისისასა ისრაელთა[10] მეუფებასა შინა შემოსაზღერებაჲ ყოვლისა მპყრობელობისა მისისაჲ, რამეთუ არა თუ ესრეთ არს, არამედ ორკერძოჲსა[11] მიერ დაწერილი იგი ჯუარსა ზედა ყოველთა ზედა მთავრობასა მისსა განაჩინებს, ვინაჲთგან არა შესძინებს, ვითარმედ: *„ისრაელთაჲ ხოლო არს მეუფე“*,[4•] რამეთუ მარტივად წამა[12] სიტყუამან ჰურიათა ზედა მთავრობაჲ[13] მისი[14] და სიტყჳსა ამის მიერ დუმილით აღსაარებაჲ ყოველსა მპყრობელობისა მისისაჲ შეაუღლა. რამეთუ ყოვლისა ქუეყანისა მეუფესა უეჭუელად[15] და კერძოჲსაცა აქუს მეუფებაჲ.

ხოლო მოსწრაფებაჲ სოლომონისი სამართალ შჯისაჲ ჭეშმარიტსა მას მსაჯულსა ყოვლისა სოფლისასა მოასწაებს, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„მამაჲ არავის ჰშჯის, არამედ ყოველი საშჯელი მოსცა ძესა“*[5•] და ვითარმედ: *„ვერ ძალ-მიც თავით თჳსით ყოფად რაჲსამე,*

---

7 პსთარგმნის C;
8 დაიბადა C;
9 დაჰსწერეს C;
10 ისრაილთა C;
11 კერძოსა C;
12 ჰსწამა C;
13 მთავრობისა C;
14 მის C;
15 უეჭუელად (A-ში აღდგენილია გეიან სხვა ხელით).

1• ფსალ. 103,24;
2• კოლ. 1,16;
3• მთ. 27,37;
4• ლკ. 23,38;
5• ინ. 5,22;

არამედ ვითარცა [113ra] მესმის, ვშჯი და საშჯელი ჩემი მართალ არს".[1•] რამეთუ ესე არს სამართლად შჯისა აღმატებული საზღვარი, რაჟამს არა თავით თჳსით და არცა შენდობითა რაჲთმე და მიმადლებითა განშჯიდეს[16] განშჯადთა მათ, არამედ პირველად ისმენდეს განშჯადთა მათ საშჯელსა და ესრეთღა მისცემდეს მათთჳს განჩინებასა. ამისთჳსცა ძალი იგი ღმრთისაჲ რომლისათჳსმე აღ-ცა-იარებს, ვითარმედ: „ვერ ძალ-მიც ყოფად, რამეთუ გარეშე სიმართლისა გარდაქცევად საშჯელისა ვერ ძალ-უც ჭეშმარიტებასა".[2•]

ხოლო რამეთუ თესლისაგან დავითისა არს კორციელად უფალი, ვითარცა აღსაარებული პირველითგან დავითის მიმართ აღთქუმულისა მის მიერ, და სჳანათა ბევრეულთა სახეთა დაუტეოთ აწ და თანა-წარვჰჴადოთ სიტყუაჲ ჩუენი.

ხოლო დედოფლისა ამის ჰინდოელისა საიდუმლოჲ საცნაურ იქმნეს გონიერისა, ვითარმედ სახარებისა საკურველებათა ქადაგებს,[17] თუ ვითარ დაუტევა ჰინდოეთისა მეფობაჲ და ესეოდენნი ადგილნი და სიშორენი წიაღ-ვლნა და სოლომონისა მოიწია ტრფიალებითა სიბრძნისა მისისაჲთა და ქვათა მიერ პატიოსანთა და ოქროჲსა და ნელსაცხებელთა სულნელებისა პატივ-სცა მეფესა[3•] და ესე ესრეთ გულისჴმა-ყავ:

რამეთუ ვინმცა არა უწყოდა, ვითარმედ პირველ კერპთმსახურებისა მიერ შავ იყო და ჰინდო წარმართთა ეკლესიაჲ, ვიდრე-იგი არღა ქმნილ იყო ეკლესიაჲ და ფრიად განშორებულ უმეცრებისა სიშორითა ცნობისაგან ჭეშმარიტისა ღმრთისა. არამედ რაჟამს *„გამოჩნდა მადლი იგი ღმრთისაჲ"*[4•] და სიბრძნე გამობრწყინდა და ნათელმან მან ჭეშმარიტმან ბნელსა შინა და აჩრდილ[113rb]თა სიკუდილისათა მსხდომარეთა შარავანდედნი თჳსნი მიჰფინნა, მაშინ ისრაელთა, განცდად ნათლისა, დაიწუხნეს თუალნი მათნი და კეთილთა ზიარებისაგან უცხო-იქმნნეს.

ხოლო წარმართთაგანნი ჰინდონი მოვიდეს სარწმუნოებად და ოდესმე

---

16 განჰსჯიდეს C;

17 ჰქადაგებს C;

1• ინ. 5,30;

2• ინ. 5,30;

3• III მეფ. 10,10;

4• ტიტ. 2,11;

შორიელნი იგი მახლობელ იქმნნეს[1•] და წყლითა მით საიდუმლოჲთა[18] ჰინდოებაჲ იგი განიბანეს, ვინაჲცა ჰინდოეთმან უსწრო კელის მიცემად ღმრთისა და შეწირვად ძღუენი მეუფისა, რომელ არიან ღმრთისმსახურებისა ნელსაცხებელნი და ღმრთისმეცნიერებისა ოქროჲ და მცნებათა და სათნოებათა აღსრულებისა ქვანი პატიოსანნი.

ხოლო ამიერითგან ჟამი არს, რაჲთა წინამდებარეთა მათ ღმრთივსულიერთა სიტყუათა თარგმანებასა კელ-ვყოთ და განვაცხადოთ დაფარულებაჲ მათი. რამეთუ იტყჳს, ვითარმედ:

„გავალაკი იქმნა მეფემან სოლომონ ძელთაგან ლიბანისათა. სუეტნი შექმნნა ვეცხლისანი და კამარა დრეკილი მისი ოქროჲსაჲ აღსავალი მისი — პორფირი, იატაკი მისი — ქვაფენილ სიყუარული ასულთაგან იერუსალჱმისათა“,[2•] ვითარ-იგი პირველ გამოძიებულთა მათ მიერ პოვა სიტყუამან, რამეთუ საქმენი იგი სოლომონისნი საღმრთოთა საიდუმლოთა გამოსახვენ.

ეგრეთვე და გავალაკისა ამის შემზადებითა ჩუენთჳს აღსრულებული განგებულებაჲ უფლისაჲ მოესწავების, რამეთუ ღირსთა შორის თჳსთა მრავალსახედ შეიცვალების ღმერთი და ვითარცა თითოეულსა ძალედვას და ღირს-იყოს, ეგრეთ[19] იქმნების თითოეულისა შორის, რამეთუ რომელიმე იქმნების ადგილ ღმრთისა და რომელიმე — ტაძარ და სხუაჲ — საყდარ და სხუაჲ — კუარცხლბეკ და რომელიმე — ეტლ, გინა თუ ჰუნე და ცხენ და მორჩილებით შეიწყნარებს ამ[113va]კედრებასა[20] სახიერისა მის მკედრისასა და სადაცა-იგი მან თავადმან წამ–უყენეს, მიერ კერძოცა წარჰმართებს სრბასა თჳსსა.

ხოლო ვითარცა-ესე აწ ვისწავებთ და გავალაკცა ვინმე იქმნების მისა, რომელი-იგი მსგავსად მისისა[21] მის სიბრძნისა არა თუ ძელთაგან ხოლო ლიბანისათა შეიმზადების, არამედ ოქროჲთაცა და ვეცხლითა და პორფირითა და ქვათა ბრწყინვალებითა შემსგავსებულად თითოეულისა კერძოჲსა შეიმზადების, რომელთა მიერ საქმით სრულ-იქმნების

---

18 საიდუმლოჲთაჲთა A;

19 ეგრეთვე B;

20 აღმკედრებასა BC;

21 მისსა C;

1• ფსალ. 67,32;

2• ქ.ქ. 3,9-10;

სიყუარული მისი, რომლისა-იგი სიყუარულისა ძალი არა ყოველთა მიერ დაიტევის, არამედ მის მიერ ოდენ, რომელი-იგი სათნოდ ცხორებითა იქმნეს აზნაურ და ასულ ზეცათა იერუსალემისა[1*].

ხოლო რომელსა ღმერთი თავსა შორის თჳსსა ეტჳრთოს, რამეთუ არს იგი გავალაკ მის შორის დამკჳდრებულისა მის, პირველ ჩუენისაცა სიტყჳსა ცხად არს ესე, რამეთუ რომელი-იგი, მსგავსად წმიდისა პაულესსა,[22] არღარა თჳთ ცხოველ იყოს, არამედ ქრისტე აქუნდეს ცხოველად თავსა შორის თჳსსა[2*] და გამოცდილებასა მისცემდეს[23] საქმით მის შორის მეტყუელისა ქრისტესსა, ეგევითარი იგი ჭეშმარიტად გავალაკ იქმნების და იწოდების მის მიერ ტჳრთულისა მის.

გარნა არა ესე არს, რომელსა-იგი ვეძიებთ, არამედ მისი თანა-გუაც მოღუაწებით გულისკმის-ყოფად, თუ რასა მოასწავებს ნივთისა მის პირად-პირადობაჲ და თითოფერებაჲ[24]; ვითარ მოიღების ოქროჲსა თანა ვეცხლიცა და პორფირი და ქვანი და ნივთი შეშისაჲ შემზადებად გავალაკისა მის და უფროჲსღა, რამეთუ ძელი ბრძენმან მან ხუროთმოძღუარმან პაულე ძელისა თანა და ლერწმისა განგდებულ-ყო შენებასა მას შინა ტაძრისასა, ვითარცა ცეცხლისა მიერ საქმეთა გამომცდელისა მის ძა[113vb]ლისა დასაწუაჲ და განსალევნელი[3*].

გარნა უწყით ბუნებაჲცა რაჲმე შეშისაჲ, რომელი არა ჰგიეს მას ზედა, ვითარ-იგი არს, არამედ ოქროდ და ვეცხლად და სხუად რომლადმე პატიოსნად ნივთად შესცვალებს თავსა თჳსსა, ვითარცა იგივე მოციქული იტყჳს, ვითარმედ: *„სახლსა შინა დიდსა ღმრთისასა რომელიმე ჭურჭელი ბუნებით არს ოქროჲსა და ვეცხლისაჲ“.*[4*]

და ამათ მიერ, ვითარ ეჰგონებ, უკორცოთა მათ და გონიერთა ძალთა მოასწავებს, და რომელიმე ძელისა და კეციսაჲ, და ნუუკუე ჩუენთჳს იტყჳს ამას, რომელნი-ესე მიწა-გუყვნა ურჩებამან და კეცსა მიგუამსგავსნა, ხოლო ძელისამიერმან ცოდვამან ოქროჲსა წილ ძელისა ჭურჭლად შემცვალნა ჩუენ. ხოლო წესისაებრ ნივთთაჲსა განყოფილ არს

---

22 პაულესა C;

23 მიჰსცემდეს C;

24 თუთოფერებაჲ B;

1* გალ. 4,26;

2* გალ. 2,20;

3* I კორ. 3,10-13;

4* II ტიმ. 2,20;

კუმევაჲცა იგი ჭურჭელთაჲ, რამეთუ პატიოსანთა ნივთთაჲ პატიოსნად დაწესებულ არს და უპატიოთაჲ უპატიოთა მსახურებისათჳს მივრდომილ[25].

გარნა რასა იტყჳს ესევითართა მათთჳს პავლე, ვითარმედ კელმწიფებაჲ აქუს ჭურჭელსა მას თჳსისა ნებისა და გონებისაგან ძელისაგან ოქროჲსად შეცვალებად, გინა თუ ვეცხლისად კეცისაგან. რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: უკუეთუ ვინმე განიწმიდოს თავი თჳსი, იყოს იგი ჭურ პატიოსან,[26] საკმარ უფლისა თჳსისა, ყოვლისათჳს საქმისა კეთილისა განმზადებულ"[27;1*].

და ვითარ ეჰგონებ, თქუმულთა ამათ მიერ შეევახლებით ძალსა წინამდებარისა ამის სიტყჳსასა, რამეთუ ლიბანისა მთაჲ მრავალთა ადგილთა წმიდათა წერილთასა სახედ წინააღმდგომისა[28] ძალისა[29] მოიკსენების, ესრეთ რაჟამს თქუას წინაჲსწარმეტყუელისა მიერ, ვითარმედ: *შემუსრნეს უფალმან ნაძუნი იგი ლიბანისანი და დააწულილნეს იგინი*[30] და ლიბანიცა, *ვითარცა*[31] *კბოჲ*[32] *[114ra] იგი*,[2*] რომელი უდაბნოსა ზედა დაიგალა მოსეს მიერ და იქმნა დაგლისა მის მიერ შესასუმელ ისრაელთა.

და წინაჲსწარმეტყუელებაჲ ესე ესევითარსა ძალსა წარმოაჩინებს, ვითარმედ არა ხოლო თუ წინააღმდგომისა ძალისა მიერ აღმოცენებულნი იგი ბოროტნი, არამედ თჳთ მებრ იგიცა ლიბანისა მთაჲ დასაბამი ბოროტთაჲ და ძირი, რომელი ზრდის[33] ნივთსა ესევითართა მათ ნაძუთასა, უჩინო-იქმნეს და წარწყმდეს.

ვინაჲცა ჩუენ სამე ვიყუენით ძელნი იგი ლიბანისანი, ვიდრემდის-იგი

---

25 მირდობილ A;

26 პატივოსან C;

27 განმზადებად C;

28 წინააღმდგომისა] წინააღმდგომთა A (სიტყუის ბოლო სხუა ხელითაა აღდგენილი); + ამის C;

29 ძელისა C;

30 ფსალ. 28,5-6;

31 ვითარცა]- A;

32 კბოჲ] ქუაჲ A (აღდგენილია გუიან, სხუა ხელით);

33 ჰზრდის C;

1* II ტიმ. 2,21;

2* ფსალ. 28,5-6;

ვიყვენით მდგომარე და დანერგულ მას ზედა ბოროტისა ცხორებისა მიერ და კერპთა საცთურისა, გარნა ვინაჲთგან სიტყჳერისა მის ცულისა მიერ მოვიკაფენით მიერ და კელთსხმულ ვიქმნენით კელოვნისა მის კუროთმოძღურისა კელთა, შეგუქმნა ჩუენ თჳსა გავალაკად და ოქროჲსა და ვეცხლისად შეცვალა ბუნებაჲ იგი შეშისაჲ მეორედ შობისა მიერ და ყუავილოვნად პორფირად და ქვათა ბრწყინვალებად.

და ვითარცა იტყჳს მოციქული, ვითარმედ შემსგავსებულად კაცად-კაცადისა გულსმოდგინებისა, განუყვნა ღმერთმან ნიჭნი იგი სულისა წმიდისანი და რომელსამე მისცემს წყალობასა, შემსგავსებულად სარწმუნოებისა მისისა, და სხუასა — სხუასა რასმე შეწევნათაგანსა, რომლისა მადლსა ძალ-ედვას თითოეულსა შეწყნარებად[1•] და ანუ თუ თუალ ექმნებოდის იგი გუამსა მას ეკლესიისასა, ანუ თუ კელად და დაიწესებოდის, ანუ თუ ფერჲსა წილ განამტკიცებდეს მას.

ხოლო[34] ეგრეთვე გავალაკისა ამის შექმნულებასა[35] რომელიმე სუეტ იქმნების და რომელიმე — აღსავალ და სხუაჲ — თავით კერძო, რომელსა კამარა დრეკილ უწოდა.

და არიან ვიეთნიმე შინაგან იატაკად დაწე[114rb]სებულნი, რომელთაიგი ნივთსა არა თუ შესამკობელად ხოლო იკმარებს კელოვანთმოძღუარი იგი ყოველთაჲ, არამედ ვითარცა ყოვლისა მის შემკობისა განმაშუენებელად მოიპოვებს ამათსა მას ბრწყინვალებასა.

სუეტნი უკუე გავალაკისანი არიან ვეცხლისანი და აღსავალი მისი — პორფირი. ხოლო კამარა დრეკილი, რომელსა შინა მიიდრეკს სიძე თავსა თჳსსა, არს იგი ოქროჲსაჲ, ხოლო შინაგანი ყოველი ქვათა მიერ პატიოსანთა შეიმკობვის.

სუეტად გულისკმა-ვჰყოფთ სუეტთა მათ ეკლესიისათა, რომელთაიგი *„სიტყუაჲ არს ღმრთისა ცოცხალ წმიდა, გამოკურვებულ და გამოცდილ“*[2•] და რამეთუ უმეტეს ყოვლისა სამეუფოდ სამკაულად პორფირი გულისკმაიყოფების, ესე იგი არს, რაჲთა მაღლითა მით მოქალაქობითა იქმნეს იგი მეუფე ენებათა და მეუფებენ ქრისტეს თანა.

ხოლო მთავარი იგი გონებაჲ მათი, სადა-იგი თავსა თჳსსა მიი-

---

34 ხოლო] — BC;

35 შექმნულებაჲ] შემზადებაჲ B (A-ში გვიანდელი ხელითაა აღდგენილი);

1• რომ. 12,6-7;

2• ფსალ. 11,7;

დრეკს, აღმაშენებელი იგი გავალაკისაჲ, არს იგი ოქროჲ წმიდათა მათ მოძღურებათა მათთაჲ. ხოლო რავოდენიცა არს დაფარულ და უჩინო, უბიწოჲსა და წმიდისა გონებისა პატიოსანთა ქვათა მიერ განშუენდების და ამის ყოვლისა მიერ იერუსალემისა ასულთა სიყუარული სრულ-იქმნების.

ხოლო უკუეთუ ვისმე ენებოს და ყოვლისავე ეკლესიისაცა გავალაკად წოდებაჲ და განყენეს განყოფილებისაებრ შეწევნათაჲსა გავალაკისა იგი კერძონი, ვითარცა ზემო წარმოვთქუენით[36], ესრეთცა ფრიადი შეუნიერებაჲ წარმოაჩინოს სიტყუამან, რაჟამს-იგი თითოეულთა წესთა მოუზაენეს ნივთნი იგი გავალაკისანი სიტყჳსაებრ მოციქულისა, ვითარმედ: *„დაადგინნა ღმერთმან ეკლესიათა პირველად მოციქულნი, მე[114va]ორედ — წინაჲსწარმეტყუელნი, მესამედ — მოძღუარნი“*[1•] და მერმე — ყოველნივე თითოეულად, ვითარცა იტყჳს — *„დასამტკიცებელად წმიდათა“*,[2•] რაჲთა სახელთა ამათ მიერ შემზადებაჲ იგი გავალაკისაჲ სრულ-იქმნეს მღდელთა მიერ და მოძღუართა და პატიოსანთა ქალწულთა, რომელნი-იგი იატაკსა გავალაკისასა სიწმიდითა სათნოებათაჲთა, ვითარცა პატიოსანთა ქვათა ბრწყინვალებითა, ესრეთ ელვარე ჰყოფენ და ესე აქამომდე იყავნ.

ხოლო შემდგომი იგი სიტყუაჲ სძლისა წუევასა წარმოაჩინებს ასულთა მიმართ იერუსალჱმისათა,[37] რამეთუ ვითარცა-იგი დიდსა პავლეს ზღვევად შეერაცხა, არა თუმცა თჳსთა მათ კეთილთა ყოველნივე იზიარნა, ვინაჲცა, რომელნი-იგი ისმენდეს, ესრეთ ეტყოდა მათ, ვითარმედ: *„იქმნენით ვითარცა ესე მე, რამეთუ მეცა ვიყავ ოდესმე, ვითარცა-ეგე თქუენ“*.[3•]

ეგრეთვე კაცთმოყუარეცა ესე სძალი, ვინაჲთგან ღირს-იქმნა ცნობად სალმრთოთა საიდუმლოთა სიძისათა და ცხედარი იხილა და სასუენებელ სამეუფო გამოჩნდა, კმობს ქალწულთა მიმართ, რომელ არიან სულნი ცხოვნებულთანი, ვითარმედ: ვიდრემდის შეყენებულ ხართ ქუაბსა შინა საწუთროჲსასა, გამოვედით საბურველთაგან ბუნებისათა და იხილეთ ხილვაჲ საკჳრველი. და იქმნენით ასულ სიონისა და იხილეთ გჳრგჳნი,

---

36 წარმოვსთქუენით C;

37 იერუსალიმისათა C;

1• I კორ. 12,28; ეფეს. 4,11;

2• ეფეს. 4,12;

3• გალ. 4,12; I კორ. 7,7; I კორ. 11,1;

განმაშუენებელი თავსა სამეუფოსა, რომელი-იგი დაადგა მას დედამან მისმან სიტყუსაებრ წინაჲსწარმეტყუელისა, ვითარმედ: „*დაადგა თავსა მისსა გურგუნი ქუათაგან პატიოსანთა*“.[1•]

ხოლო არავინ არს, რომელმანმცა უწყოდა გულისკმის-ყოფაჲ[38] საღმრთოთა სიტყუათაჲ და განყოფილებისათჳსმცა სახელთაჲსა იწუ-ლილვიდა და რამეთუ დედაჲ მამისა წილ მოიკისენების და ორთავე მიერ ერთი გულისკმის-ყოფაჲ გამოჩნდების, ვინაჲთგან ღმრთეებაჲ[39] არცა მამაკაცება არს, არცა დედა[114vb]კაცება. რამეთუ ვითარმცა ეგო ღმრთეებისა შორის ესევითარისა რაჲსმე მოგონებაჲ, ვინაჲთგან არცაღა თუ ჩუენ, კაცთა შორის, ჰგიეს ესევითარი ესე სამარადისოდ, არამედ რაჟამს-იგი ქრისტეს მიერ ყოველნივე ერთ ვიქმნეთ,[2•] მაშინ სასწაულთა ამათ განყოფილებისათა ყოველით ძუელით კაცითურთ გან-ვიძურცით და ამისთჳს სწორსა ძალსა წარმოაჩინებს გამოუთქუმელისა მის ბუნებისასა ყოველივე მოპოვებული სახელი და არცა დედაკაცისა და არცა მამაკაცისა სახელისდებაჲ შეაგინებს უხრწნელსა მას ბუნე-ბასა.

ამისთჳსცა საზარებასა შინა მამაჲ ითქუმის აღმასრულებელად ქორ-წილსა ძისასა.[3•] ხოლო წინაჲსწარმეტყუელი ღმრთისა მიმართ იტყჳს, ვითარმედ დაადგა[40] თავსა მისსა გურგუნი ქუისა მისგან პატიოსნისა, ხოლო აქა დედისა მიერ იტყჳს სიძისა დადგმასა გურგუნისასა.

ვინაჲცა ვინაჲთგან ერთი ქორწილი არს და ერთი სძალი და ერთი-სა მიერ დაედგმის სიძესა გურგუნი, არარაჲ განყოფილებაჲ შემოვალს შორის ყოელადვე — გინა თუ ძედ ღმრთისად ეწოდოს მხოლოდშო-ბილსა ღმერთსა, გინა თუ ძედ სიყუარულისა მისისა, ვითარცა იტყჳს პავლე, ვინაჲთგან ორთავე სახელთა მიერ ერთი ძალი მოესწავების და სახელითა სიძისა და სძლობისაჲთა ჩუენ შორის დამკუდრებაჲ და შეერთებაჲ მისი საანჯმნო იქმნების.

ამისთჳს იტყჳს სძალი ქალწულთა მიმართ, ვითარმედ: გამოვედით და იქმნენით ასულ სიონისა, რაჲთა ვითარცა მაღლით საებგუროჲთ

---

38 გულისხმის-ყოფისაჲ C;

39 ღთაება C;

40 დაადგ B;

1• ფსალ. 20,4;

2• გალატ. 3,28;

3• მთ. 22,2;

(რამეთუ ესრეთ ითარგმანების სიონი) შეუძლოთ ხილვად საკჳრველსა ამას სახილველსა, რომელ არს სიძისა გჳრგუნოსნებაჲ, ხოლო გჳრგუნოსან ეკლესიაჲ იქმნების და სულიერთა მათ ანთრაკთა მიერ გარეშეიცავს თავსა საღმრთოსა.

ხოლო გჳრგუ[115ra]ნისმოქმედ ესევითარისა გჳრგუნისა არს სიყუარული, რომელსა გინა თუ დედად ვინ უწოდოს და გინა თუ სიყუარულად, არა სცთეს, *„რამეთუ ღმერთი სიყუარულ არს“*,[1] ვითარცა იტყჳს იოვანე და ამის გჳრგუნისა მიერ, ვითარცა სასძლოჲსა სამკაულისა, განმზიარულებასა მისსა ქადაგებს სძალი, რამეთუ უხარის ჭეშმარიტად, რომელმან-იგი თანამკჳდრად თჳსად ეკლესიაჲ გამოაჩინა და სათნოებათა ბრწყინვალებითა მის მიერ გჳრგუნოსან იქმნა, რომელ არიან ცხორებანი წმიდათანი.

ხოლო უშუენიერეს არს, რაჲთა თჳთ საღმრთონი იგი კმანი მოვიჴსენნეთ, რომელნი-იგი ესევითართა სიტყუათა მიერ შეწყობილ არიან: *„განვედით და იხილეთ, ასულნო სიონისანო, მეფე სოლომონ გჳრგუნითა მით, რომლითა გჳრგუნოსან-ყო იგი დედამან მისმან დღესა მას სიძობისა მისისასა და დღესა მას სიხარულისა გულისა მისისასა“*.[2]

ესევითარი უკუე ესე კაცთმოყუარებაჲ სძლისაჲ მიითუალა სიძემან და სიტყუამან და რამეთუ მსგავსად მეუფისა, მასცა *„ჰნებავს ყოველთა ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისსა მოსლვაჲ“*, ვინაჲცა უპატიოსნეს და უდიდებულეს გამოაჩინებს მას და ქადაგ და მხატჳარ შუენიერებისა მისისა იქმნების, რამეთუ არა თუ ლიტონად იქმნების ქებაჲ სიკეთისა მისისაჲ, არამედ ვრცელი რაჲმე შესხმაჲ წარმოიჩინების შუენიერებისა მისისაჲ და თითოეულისა ასოჲსა შემსგავსებულსა სახესა სახისმეტყუელებით და ჭეშმარიტებით შეასხამს მას და იტყჳს:

„აჰა ეგერა, შუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო, აჰა ეგერა, შუენიერ ხარ“,[3] რამეთუ ვინაჲთგან მიემსგავსა კაცთმოყუარესა მის ნებასა მეუფისასა და მსგავს[115rb]ად აბრაჰამისსა გამოსლვაჲ უბრძანა[4] ქალწულთა თითოეულსა ქუეყანისაგან თჳსისა და თჳსებისაგან ხილულთა ამათ საცნობელთაჲსა, რაჲთა იხილონ წმიდაჲ იგი სიძე მისი გჳრ-

---

1• I იო. 4,8;
2• ქ.ქ. 3,11;
3• ქ.ქ. 4,1;
4• დაბ. 12,1;

გუნოსანი გურგუნითა ეკლესიისაჲთა.

ამისთჳს ჭეშმარიტად მახლობელ იქმნა სახიერებასა მეუფისასა და სიყუარულითა მოყუსისაჲთა მეგობრად ღმრთისა გამოჩნდა[41], ვინაჲცა ეტყჳს მას სიტყუაჲ, ვითარმედ: *„შუენიერ ხარ, რომელი-იგი კეთილ-ითა მაგით ნებითა კეთილსა მიეახლე“*. ხოლო მეორედ მოქცევაჲ იგი ქებისაჲ უტყუველობასა აჩუენებს წამებისასა, რამეთუ მრჩობლითა წამებითა დამტკიცებასა ჭეშმარიტებისასა განაჩინებს საღმრთოჲ ბრძანებაჲ, ვინაჲცა იტყჳს, ვითარმედ: *„აჰა ეგერა, შუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო, აჰა ეგერა, შუენიერ ხარ“*.

ხოლო ვინაჲთგან ყოველი ეკლესიაჲ[42] ერთჯორც არს ქრისტჱსა და ერთსა გუამსა შინა, ვითარცა იტყჳს მოციქული, მრავალასოება არნ[43] და ყოველთა მათ ასოთა არა ერთი საქმე აქუს,[1•] არამედ რომელიმე თუალად დაჰბადა ღმერთმან გუამსა შინა და სხუაჲ ყურად დაენერგა და ვიეთნიმე აღსრულებისათჳს ძალთაჲსა არიან კელი. და რომელთა-იგი სიმძიმე გუამისაჲ უტჳრთავს, ფერჩად ეწოდების, და რომელნიმე — გემოჲსხილვისა და ყნოსისა, და შემდგომითი შემდგომად ყოველთავე ასოთა აგებულებასა სრულ-ჰყოფენ, რომელთა მიერ კაცებაჲ გამოისაჰჳის. ხოლო შესაძლებელ არს პოვნად და ენაჲცა ზიარსა მას შინა გუამსა ეკლესიისასა და ბაგეთა და კბილთა და ძუძუთა და მუცელსა და ყელსა და, ვითარცა პავლე იტყჳს, და მათცა, რომელნი-იგი უშუერად საგონებელ არიან გუამსა შინა, ამისთჳს გამოწულილვით განმცდელი იგი [115va] და გამომცდელი შუენიერებისაჲ ყოვლისავე გუამისა ასოთა, რომელნი-იგი სთნდეს[44], ჯეროვანსა და შემსგავსებულსა ქებასა წარმოიტყჳს, ხოლო იწყებს შესხმასა უმთავრესთა ასოთაგან.

და რაჲცა იყო ასოთა შინა ჩუენთა უპატიოსნეს თუალთა, რომელთა მიერ მოვიღებთ შეწევნასა ნათლისასა და რომელთა მიერ იქმნების მბრძოლთა და მოყუარეთა შეტყუებაჲ და თჳსი და უცხოჲ განი-წვალების, რომელნი-იგი ყოვლისავე ქელოვნებისა წინამძღუარ და მას-წავლელ იქმნებიან და უცთომელად სლვისა მიმართ წარმმართებელ,

---

41 გამოაჩნდა C;

42 ეკკლესია C;

43 არიან C;

44 ჰსთნდეს C;

1• რომ. 12,4-5; I კორ. 12;12;

შეერთებულნი იგი და განუყოფელნი, რომელთა აგებულებაჲ, სხუათა მათ საცნობელთა აღმატებული, მათ მიერ ქმნილსა მას უაღრესსა სარგებელსა ცხორებისა ჩუენისასა წარმოაჩენს.

და ეჰგონებ, თუ ცხად არს ყოველთა მიერ, რომელთა ესმის, თუ რომელთა ასოთა ეკლესიისათა ხედავს ქებაჲ იგი თუალთაჲ.

თუალი იყო სამოელ, რომელი ხედვიდა, რომელსა-იგი მხილველცა ეწოდებოდა. თუალი იყო ეზეკიელ, რომელი-იგი მსტოვრად დაწესებულ იყო ღმრთისა მიერ მის მიერ განმსტურობილთა მათ ცხორებისათჳს. და კუალად, თუალი იყო მხილველი მიქეა და მოსე განღმრთობილი, რომელი-იგი ამის მიერ ღმერთადცა იწოდა. თუალი იყვნეს ყოველნივე იგი, წინამძღურად ერისა დაწესებულნი, რომელთა მაშინდელნი იგი კაცნი მხილველად უწესდეს.

და აწ, რომელნი-იგი მათსა მას ადგილსა აღმოავსებენ გუამსა შინა ეკლესიისასა, სამართლად სახელ-ედების მათ თუალ, უკუეთუ განმარტებულად ხედვიდენ მზისა მის მიმართ სიმართლისა [115vb]1* და არა დაიბრყყულებდენ თუალთა მათთა საქმეთა მიერ ბნელისათა, და უკუეთუ განარჩევდენ[45] თჳსსა უცხოჲსაგან, ესე იგი არს, რაჲთა უწყოდინ, ვითარმედ ყოველივე ხილული და საწუთროჲ უცხო არს ბუნებისაგან ჩუენისა, ხოლო თჳსი — სასოებით მოსალოდებელნი იგი და წინაგანმზადებულნი კეთილნი, რომელთა მოგებაჲ სამარადისო არს და მიუღებელ.

თუალთა უკუე საქმე არს და ესეცა, რაჲთა იცნობდენ მოყუარესა და მტერსა და რაჲთა უყუარდეს ჭეშმარიტი მეგობარი ყოვლითა გულითა და სულითა და გონებითა, ხოლო სრულსა სიძულილსა აჩუენებდეს მტერისა მის მიმართ ცხორებისა ჩუენისა. და კუალად, საქმეთა წინამძღუარ და უმჯობესისა მასწაველ და ღმრთისა მიმართ მიმყვანებელ უბიწონი და წმიდანი თუალნი იქმნებიან და მათი საქმე არს ყოველივე ესევითარი, მსგავსად კორციელთა ამათ თუალთა, მოქალაქობისა მიერ მაღლისა ნეშტთა მათ სათნოებათა უმაღლეს დამტკიცებითა.

ამისთჳს ამიერ იწყებს სიტყუაჲ ქებად შუენიერებასა სძლისასა და

---

45 განარჩევდა A (A-ში სიტყვის ბოლო სამი ასო „ვდა" აღდგენილია განსხვავებული ხელით);

1* ტექსტში ამ გვერდის სვეტის კიდეები გვიანაა აღდგენილი;

იტყჳს: *„თუალნი შენნი ტრედ არიან“*,[1•] რამეთუ სიმარტივე და უმანკოებაჲ სახედ თუალთა იხილა მის თანა და სთნდა იგი და მიითუალა. ამისთჳსცა ტრედად სახელ-სდვა მათ, რამეთუ თჳსი[46] არს ტრედთაჲ უმანკოებაჲ.

და ნუუკუე[47] ესევითარსაცა რასმე[48] წამებს სიტყუაჲ ქებისა მის მიერ თუალთაჲსა, რამეთუ ვინაჲთგან ხატნი ყოველთაევე ხილულთანი, წმიდისა და განწმედილისა თუალისა მიერ განცდილნი, მხილველობისა ძალსა სრულ-ჰყოფენ, რამეთუ შეუძლებელ არს, უკუეთუმცა რასაცაიგი [116ra] ხედვიდა, და არამცა განიცადა ხატი მისი სახილველმან და სახედ სარკისა მსგავსებაჲმცა მისი არა გულისჴმა-ყო.

და რაჟამს ხილვისა ესე კელმწიფებაჲ ეკლესიისა მიმართ[49] წარმართოს და არარას განიცდიდეს ნივთიერსა და ჶორციელსა, უნივთოჲ და სულიერი ცხორებაჲ წარემართების მის შორის.

და ესევითარი იგი ცხორებაჲ მადლითა სულისა წმიდისაჲთა გამოისახვის და მის მიერვე წარემართების, ვინაჲცა უსრულესი ყოველთა ქებათაჲ ქებაჲ თუალთაჲ არს, რაჲთა მადლთა მიერ[50] სულისა წმიდისათა გამოისახვოდის სახე იგი ესევითარისა მის ცხორებისაჲ.

და რამეთუ სული წმიდაჲ სახითა ტრედისაჲთა გამოჩნდა[51], ხოლო რამეთუ ორნი თუალნი იქებიან, ესე იგი არს რაჲთა სრულებით[52] მიემთხჳოს ქებასა ხილულიცა და უხილავი კაცი, ამისთჳს შესძინა[53] ქებასა მას სხუაჲცა უაღრესი ქებაჲ და თქუა, ვითარმედ: *„გარეშე დუმილისა მაგის შენისა“*,[2•] რამეთუ კეთილისა ცხორებისა რომელიმე ცხად არს, ვითარმედ კაცთაცა საცნაურ იქმნების, ხოლო რომელიმე — დაფარულ და გამოუთქუმელ და ღმრთისა მიერ ხოლო ხილულ,

---

46 თჳსი A (A-ში ბოლო ორი ასო „სი“ აღდგენილია განსხვავებული ხელით);

47 უკუე — BC;

48 საშე A/სხვა ხელითაა აღდგენილი/;

49 მიშიმართ A;

50 მიშართ A /სხვა ხელით/;

51 გამოჩსჩნდა C;

52 სრულობით C;

53 შეჰსძინა C;

1• ქ.ქ. 4,1;

2• ქ.ქ. 4,1;

ვინაჲცა რომელი-იგი არღაქმნილსა განიცდის და დაფარულთა ზედავს, წამებს[54] ქებულისა მის პირისათჳს, ვითარმედ უფროჲს ხილულისა არს დადუმებული. თუალისათჳსცა იტყჳს, ვითარმედ:

„თუალნი შენნი ტრედ არიან გარეშე დუმილისა მაგის შენისა“. რამეთუ გარეშე ქებულისა მის სახისა არს დუმილისა იგი საკჳრველებაჲ, ხოლო შემდგომითი შემდგომად წარჰმართებს გზასა თჳსსა სახესა მას შესხმისასა და იტყჳს: *„თმაჲ შენი, ვითარცა არვე თხათაჲ, რომელნი გამოჩნდეს*[55] *გალაადით“*.[1•] პირველად უკუე ჯერ-არს გულის[116rb]ჴმის-ყოფად[56] ბუნებასა თმათასა და მერმე — განცდად ქებისა, რომელსა თმათა მიერ სძალსა მიანიჭებს სიტყუაჲ.

დიდებად უკუე დედაკაცისა თავისა თმაჲ წოდებულ არს პავლეს მიერ; და ვითარმედ სამკაულად მოეცა მას თმაჲ იგი, ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ მორცხუედ და პატიოსნად ჯერ-არს დედათა შემკობად თავთა მათთა და აღსწერს, ვითარმედ ვითარცა შუენის დედათა, რომელთა აღეთქუას ღმრთის მსახურებაჲ, მორცხუედ და სიწმიდით შემკობად თავთა მათთა, ვინაჲცა თმათა მიერ თავისათა, რომელთა მიერ შეიმკობვის დედაკაცი, მორცხუეობაჲ და სიწმიდე გამოისახვის პავლეს მიერ[2•].

და რამეთუ არცა რას სხუასა ჯერ-არს დიდებად სახელისდებად სულისა მის, რომელსა ღმრთის მსახურებაჲ აღეთქუას, თჳნიერ მორცხუეობისა და სიწმიდისა, რომელსაცა თმად სახელ-ედვა, რომელი-იგი, უკუეთუ ვისმე არა აქუნდეს, არცხუენს თავსა თჳსსა, სიტყჳსაებრ მოციქულისა.

ხოლო უკუეთუ თმათათჳს ესრეთ სიბრძნის-მეტყუელა[57] პავლე, ჯერ-არს მითუალვად ქებისა მის და სიტყჳსა მის ძალსა მოღებად ეკლესიისა ზედა, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ:

„თმაჲ შენი — ვითარცა არვე თხათაჲ, რომელნი გამოჩნდეს გალაადით“.

---

54 ჰსწამებს C;

55 გამოჰსჩნდეს C;

56 გულისხმის-ყოფად C;

57 სიბრძნის-ჰმეტყუელა C;

1• ქ.ქ. 4,1;

2• I ტიმ. 2,9-10;

რამეთუ ამით მიერ სათნოსა მოქალაქობასა გამოსახავს და აქებს სიტყუაჲ ესე. ხოლო სიტყუასა ამას შინა თმათასა ამისიცა ჯერ-არს შეძინებაჲ, ვითარმედ ყოვლისავე გონიერისა გრძნობისაგან უცხო არიან თმანი და რამეთუ არცა ესე არს მცირე აღორძინებად ქებისა, ვითარმედ არცა ტკივილი არს და არცა განსუენებაჲ გრძნობასა შინა თმათასა, რამეთუ ჴორცთა, რომელთაგან აღმოსცენდებიან, ელმის, დარაჲ-იფხურებოდინ[58], ხოლო თჳთ იგი თმანი გინა თუ დაიჭრებოდინ[59], [116va] გინა თუ დაიწუეოდინ[60], ანუ თუ მოღუაწებითა რაჲთმე იფუფუნებოდინ, არცა ერთსა შეიწყნარებენ გრძნობასა და გრძნობისაგან დაკლებაჲ მკუდართაჲ არს თჳსი.

აწ უკუე, რომელი სოფლისა ამის სასწრაფოთაგან[61] არცა ერთსა გრძნობასა შეიწყნარებდეს, არცა დიდებისა და პატივისაგან აღზუავნებოდის და არცა გონებისა და შეურაცხებისათჳს ელმოდის, არამედ ორთაცე ამათ შინა მკდომთა საქმეთა სწორებით დაიცვიდეს თავსა თჳსსა, ეგეცითარი იგი არს ქებული იგი თმაჲ სძლისაჲ, რამეთუ სოფლისა ამის საქმეთა მიმართ უძრავ არს იგი, მსგაესად მკუდრისა, და გინა თუ ესრეთ გულისჴმა-ჰყო[62] და გინა თუ ეგრეთ[63], ვითარცა ზემო ვთქუთ, არა უცხო იყოს[64] ჭეშმარიტებისაგან.

ხოლო რამეთუ სიორძილე იგი და შესხმაჲ თმათაჲ ემსგავსების გალადით გამოჩინებულსა მას თხათა არვესა, ვითარ-იგი ჯერ-არს გამოწულილვით გულისჴმის-ყოფაჲ, ამის პირისათჳს ვერ უძლეთ მიწთომად. ხოლო ვჰგონებთ, ვითარმედ ვითარცა ძელნი იგი ლიბანისანი ოქროდ და ვეცხლად და პორფირად შეცვალნა და შექმნა გავალაკად თავისა თჳსისათჳს მეუფემან, ეგრეთვე ძალ-უც მწყემსსა მას კეთილსა კოლტსაცა თხათასა სამწყსოდ ცხოვართა შეცვალებად, რომელნი-იგი ძოვდეს მთასა ზედა გალადისასა. ხოლო უცხოთესლთა მთისა სახელი არს ესე, რომელმან-იგი ესევითარი ესე მადლი გამოაჩინა, ვიდრეღა წარმართნი, რომელნი-იგი მწყემსსა მას სახიერსა შეუდგეს,

---

58 და-რა-იფხურებოდენ C;

59 დაიჭრებოდინნ A /სხჳა ხელით/;

60 დაიწოდინ C;

61 სასწაულოთაგან C; σπουδαζομένων PG 44, col. 921 C_{12}.

62 გულისსმა-ყო C;

63 ესრეთ C;

64 არს C;

შეცვალნა იგინი თმად, განმაშუენებელად სძლისა სიკეთესა, რომელთა მიერ პირველ განხილულისა [116vb] მისებრ სიტყუსა ჩუენისა მორცხუეობაჲ და სიწმიდე და მოღუაწებაჲ და მოკუდინებაჲ ქორცთაჲ მოესწაებისა.

და ნუუკუე და მოეზაეოს სახისმეტყუელებასა ამას თხათასა ელიაცა, რომელმან-იგი მთასა მას ზედა გალადისასა მრავალჟამ იღუაწა და უფროჲსღა მოღუაწებით ცხორებისა წინამძღურად გამოჩნდა, რომელი-იგი იყო ყუთელ ფერითა და მკცოვან თმითა და ჩჩულთა წილ სამოსელთა თხის ტყავითა დაბურვილ. ყოველთაე უკუე, რომელთაცა მსგავსად მისსა წარჰმართონ ცხორებაჲ თჳსი, სამკაულ ეკლესიისა იქმნებიან იგი, რომელსა-იგი აწ არეულად[65] უპყრიეს მოღუაწებისა სახე, რომელნი-იგი ზოგად იღუწიან სათნოებისათჳს.

ხოლო გალადით გამოჩინებაჲ ესევითართა ამათ არეთაჲ უმეტეს აღაორძინებს და უმეტეს[66] გარდაჰმატებს საკურველებასა და რამეთუ საწარმართოჲსა ცხორებისაგან იქმნა ღმრთის მსახურებისა მოღუაწებად შეცვალებაჲ ჩუენი.

რამეთუ არა თუ სიონი, მთაჲ წმიდაჲ,[67] მისი იქმნა წინამძღუარ ესევითარითა ამის ცხორებისა, არამედ კერპთა დამონებული იგი ნათესავი ესევითარითა კეთილითა შეცვალებითა შეიცვალა, ვიდრეღა სათნოებათა წარმატებითა იქმნა იგი სასძლოჲსა მის თავისა განმაშუენებელ.

და ამისა შემდგომად თანა-წარჰკდა სიტყუაჲ პირსა და ბაგეთა, შესხმაჲ იგი კბილთაჲ წარმოაჩინა, რომლისა არა ჯერ-არს გამოუძიებელად თანაწარსლვაჲ, თუ რაჲსათჳს შესხმასა შინა უწინარეს ბაგეთა მოიკსენებიან კბილნი და ნუუკუე და თქუამ[117ra][68] ვინმე, ვითარმედ რაჲთა განღიმებითა მით კბილთაჲთა უბრწყინვალეს გამოაჩინოს შუენიერებაჲ იგი პირისაჲ და ბაგეთაჲ, რაჟამს-იგი სპეტაკობაჲ და განწესებაჲ კბილთაჲ სიწითლესა მას ბაგეთასა დაფარულად შეამკობნ. და ამისთჳს დაიდუმნა პირი[69] და ბაგენი.

ხოლო მე ამის თანა სხუასაცა ძალსა განვიცდი, რომლისა მიერ ჯე-

---

65 არეულად A (სხუა ხელია);

66 უფროჲს B (A-ში აღდგენილია სხუა ხელით).

67 მთა წმიდა A /აღდგენილია სხუა ხელით/;

68 თქუას-მცა C;

69 პირნი C;

როვან იქმნების პირველ პირისა ქებაჲ კბილთა სიკეთისაჲ და რამეთუ არცა ბაგენი დაუტევნა შეუსხმელად, არამედ ღებილად მეწამულად უწოდა ბაგეთა მისთა და სიტყუასა მისსა — შუენიერ. და რაჲ-მე არს, რომელსა-იგი განვიცდი?

კეთილი წესიერებაჲ არს სწავლასა[70] შინა, რაჲთა პირველ ის-წავლოს[71] და მერმე წარმოთქუას დასწავლული იგი და ანუ რაჲთა პირველად ისწავოს და მერმე ასწავოს. და უკუეთუ ვინმე სწავლათა სულიერთა საზრდელად სულთა სახელ-სდვას, არა სცთეს ჭეშმარიტებისაგან. ხოლო ვითარცა-იგი ჴორცთა საზრდელსა კბილთა მიერ დავაწულილებთ და სარგებელად გუამისა შევსცვალებთ[72], ეგრეთვე სახედ არს სულსაცა შინა დამწუულილებელი[73] ძალი, რომლისა მიერ სარგებელად მიმღებელთა შეიცვალების მოძღურებაჲ და სწავლაჲ სულიერი.

ვინაჲცა მოძღუართა მათ, განმხილველთა და განმრჩეველთა და დამაწულილებელთა მოძღურებისათა, რომელთა მიერ განსაგონებელ და გულისჴმისსაყოფელ და სარგებელ ჩუენდა იქმნების სწავლისა და მოძღურებისა ძალი, სახისმეტყუელებით კბილად სახელ-სდებს[74] მათ სიტყუაჲ, ამის მადლისათჳს უსწრობს ქებაჲ კბილთაჲ და მერმეღა შეუდგს ქებაჲ ბაგეთაჲ, რამეთუ ვითარმცა აღყუავნა პირმეტყუელთა მათ ბაგეთა შუენიერებაჲ, არა თუმცა კბილთა მათ [117rb] მოღუაწებით გამოძიებულთა მოძღურებათა მადლი სიტყუათაჲ შეჰმოსეს ბაგეთა?

ვინაჲცა შეწყობასა შინა შესხმათასა მიზეზად კბილთა შესხმისა ესე გულისჴმა-ყავთ,[75] ხოლო აწ ჟამი არს, რაჲთა თჳთ მებრ იგიცა შესხმაჲ განვიხილოთ, თუ ვითარ შეასწორებს შუენიერებასა კბილთასა განრისულთა არვეთა, რომელნი აწღა საბანელით აღმოვიდოდიან და ყოველნივე ერთბამად ტყუბ-ტყუბთა მათ ნაშობთა ზედა იხარებდიან[76].

ხოლო თჳთ სიტყუაჲ იგი შესხმისაჲ[77] ესევითარი არს: „კბილნი

---

70 სსწავლასა A /აღდგენილია სხუა ხელით/;

71 ისწავოს C;

72 შევჰსცუალებთ C;

73 ეს სიტყუა A-ში აღდგენილია;

74 სახელ-ჰსდებს C;

75 გულისსმა-ჰყავთ C;

76 იხარებდინ C;

77 ~ შესხმა იგი სიტყჳსაჲ C;

შენნი, ვითარცა არვე მორისულთაჲ, რომელნი აღმოჴდეს[78] *საბანელით. ყოველნივე ორთმსხმელნი და ბერწი არა არს მათ შორის“.*[1•]

ხოლო ამათ სიტყუათა უკუეთუ კორციელად განვიცდიდეთ, არა უწყი[79], თუ ვითარიმცა იპოვა სახე კბილთა შესხმისაჲ მრავალმშობიერთა[80] და გარისულთა არვეთა სახისაგან, რამეთუ კბილთა შესხმაჲ არს სიმტკიცე და სპეტაკობაჲ და შეწყობილი აგებულებაჲ და მარტივად და ვაკედ ღრძილთა ზედა მიწყობილი შედგმულებაჲ. ხოლო არვენი, საბანელით აღმომავალნი ორთმსხმელნი, საძოვართა მიმართ განბნეულნი და მეწამულითა აღნიშნულნი, ვითარსა გამოსახვენ კბილთა შუენიერებასა სახითა მათითა, არა უწყი.

ესენი ერთბამად მდგომარე არიან, შეწყობილნი და შეერთებულნი და განკარგულნი, ვითარცა არს წესი კბილთაჲ, ხოლო იგინი — ურთიერთარს განშორებულნი და საძოვართა მიმართ განბნეულნი.

და კუალად, კბილნი ბუნებით შიშუელ არიან და მატყლმცენარეთა უმარჯუ შესატყუებელად, ვინაჲცა საძიებელ არს, თუ ვითარ, რომელი-იგი შეამკობს შესხმისა მიერ კბილთა განწესებასა, მრჩობლმშობელთა არვეთა მიამსგავსებს სიკეთესა მათსა, გარისულთა და განბანილთა? და რაჲ არს, რომელი-იგი [117va] გულისკმა-ვყავთ ამის პირისათჳს?

რომელნი-იგი საღმრთოთა საიდუმლოთა განცხადებულად თარგმანებითა დააწულილებდენ, რაჲთა სულიერი იგი საზრდელი მარგებელ და მომზავებელ ექმნეს გუამსა მას ეკლესიისასა[81], ეგევითარნი სრულჰყოფენ საქმესა კბილთასა, რამეთუ ზრქელსა და მტკიცესა პურსა სიტყჳსასა მიიღებენ თჳსითა პირითა და წულილადისა ხედვისა მიერ მარგებელად საზრდელ სულთა მათ შემწყნარებელთა მისთა შესცვალებენ.

და ვჰგონებ, თუ უმჯობეს არს, რაჲთა იგავით გამოვაცხადოთ ძალი სიტყჳსაჲ ამის. ნეტარი პავლე ოდესმე მარტივად და განუმზადებელად, ვითარცა პურსა რასმე დაუცოხნელსა, წინა-დამიგებს ჩუენ მცნებათა შჯულისათა და იტყჳს, ვითარმედ: *„არა დაუკრა პირი ჴარსა*

---

78 აღმოვიდეს C;

79 ვუწყი C;

80 მრავალგონიერთა C;

81 ეკკლესიისა C;

1• ჭ.ჭ. 4,2;

მლეწველსა“.[1•] და კუალად ოდესმე თარგმანებისა მიერ მოალბობს და შესაწყნარებელ ჰყოფს ნებასა შჯულისასა და იტყჳს, ვითარმედ: *„ნუუკუე ჴართაჲ რაჲმე ეურვებოდა ღმერთსა? არამედ ჩუენთჳს სამე დაიწერა“.*[2•] და სხუასა მრავალსა ჰყოფს ესრეთვე სახედ, ვითარ-
5 იგი რაჟამს თქუას[82], ვითარმედ: *„აბრაჰამს ორ ძე ესხნეს: ერთი მჴევლისაგან და ერთი — აზნაურისაგან“.*[3•] და ესე არს დაუწულილებელი იგი პური. გარნა იხილე, თუ ვითარ დააწულილებს მას და ჰყოფს საზრდელად მიმღებელთა, რაჟამს სახედ ორთა მათ შჯულთა თარგმანოს შეტყუებაჲ მათი და გამოაჩინოს ერთისა მის მონებად შობაჲ და
10 მეორისაჲ — აზნაურებად.

ეგრეთვე ყოველსავე შჯულიერსა, რაჲთა არა თითოეულად ვიტყოდი და განვაგრძობდე სიტყუასა, ზრქელსა ჴორცსა მიიღებს და თარგმანებისა მიერ დააწულილებს და ჴორციელისაგან სულიერად შესცვალებს და იტყჳს: *„უწყით, ვითარმედ შჯული სულიერ არს“.*[4•]

15 აწ უკუე, რომელი-იგი პავლესთჳს გულისჴმა-ვყავთ, ვითარმედ საქმესა აღასრულებდა იგი ეკლესიისა კბი[117vb]ლთასა დაწულილებითა და გამოცხადებითა მოძღურებათაჲთა, მასვე ვიტყჳთ ყოველთათჳსვე, რომელნი მსგავსად მისსა გამომითარგმანებელნ ჩუენ საიდუმლოთა, ვინაჲცა კბილნი არიან ეკლესიისანი, რომელნი-იგი დაუცოხნელსა მას
20 მწუანვილსა საღმრთოთა სიტყუათასა დამიწულილებდნ ჩუენ და აღმოიცოხნიდენ, ვითარცა-იგი აღსწერს წმიდაჲ მოციქული ეპისკოპოსისათჳს, ვითარმედ: *„რომელსა გული-უთქუმიდეს მისთჳს, კეთილისა საქმისა გული-უთქუამს“.*[5•]

მერმე გამოსახავს ცხორებასა მისსა, თუ ვითარ ჯერ-არს, რაჲთა
25 იყოს მღდელთმოძღუარი და ოდეს-იგი წარმოთქუას ყოველივე საქმე მისი თჳთოეულად,[83] ამასცა შესძინებს[84], ვითარმედ: და რაჲთა აქუნდეს მადლი მოძღურებისაჲ.

---

82 ჰსთქუას C;

83 თჳითეულად A;

84 შესძენს C;

1• I კორ.9,9;

2• I კორ. 9,9-10;

3• გალატ. 4,22;

4• რომ. 7,14;

5• I ტიმ. 3,1;

ეგრეთვე აქა ეკლესიისა კბილთა მსახურებისა წესსა აღმასრულებელთაჲ ჰნებავს სიტყუასა, რაჲთა პირველად იყუნენ იგინი[85] განწმედილ ყოვლისავე ნივთიერისა სიმძიმისაგან და მერმე, რაჲთა საბანელითა მით გონებისაჲთა[86] იყუნენ განბანილ ყოვლისაგან შეგინებისა ქორცთაჲსა და სულთაჲსა და მერმე, რაჲთა მარადის წარმატებითა აღმაღლდებოდინ და არაოდეს უკუნ-იქცეოდინ მთხრებლად დაკნინებისა[87] და მერმე, რაჲთა მრჩობლითა მით კეთილთა გულისზრახვათა ნაშობითა მრავალფერთა მათ სათნოებათა ზედა იხარებდენ და რაჲთა არცა ერთითა კეთილთა საქმეთა ნაშობითა იყუნენ ბერწ.

ხოლო მარჩიბივთა[88] შობაჲ სახე იქმნების ორკერძოვე გონებისა ჩუენისა წარმატებისა და ესე არიან ორთმსხმელნი იგი კბილნი, რაჲთა სულითა უვნებელობასა შობდენ, ხოლო ქორცთა ცხორებითა — წესიერსა მოქალაქობასა.

და ამას[89] ზედა შესძინებდნენ[90] ბაგეთა, შემსგავსებულსა ქებასა მობაძავად მეწა[118ra]მულისა ღებილისა, შემკობითა მათითა, რომელი-იგი თჳთვე თარგმნა[91] და სიტყუად შუენიერად უწოდა.

ხოლო ესე ზემოკერძო განგჳხილავს, ვითარ-იგი კბილთა მსახურებითა შეიმკების შუენიერებაჲ ბაგეთაჲ, რამეთუ კბილთა მიერ, რომელ არიან მოძღუართა იგი თარგმანებანი, პირიცა ეკლესიისაჲ მათ თანავე მეტყუელებს[92]. ამისთჳსცა პირველ ბაგეთაჲსა კბილნი განრისუვიან[93] და განიბანებიან და ორთმსხმელ იქმნებიან და ბერწობაჲ არა[94] არს მათ შორის.

და მერმეღა მეწამულითა ფერითა ბაგენი ყუავილოვან იქმნებიან, რაჟამს-იგი იქმნეს ყოველივე ეკლესიაჲ კითილითა მით ერთობითა ერთკმა და ერთსიტყუაჲ.

---

85 იყუნენ იგი A /აღდგენილია გეიან/;
86 გონებისათა A /აღდგენილია გეიან/;
87 დახსნილობისა A /სხვა ხელით/;
88 მარჩბივი A (აღდგ);
89 ამათ C;
90 შეესძინებდენ C;
91 ესთარგმნა C;
92 ესმეტყუზლებს C;
93 განირისეიან C;
94 არა] — C;

ხოლო მრჩობლსა სიკეთესა გამოსახავს სახე იგი, რამეთუ არა ხოლო თუ მარტივად საბლად უწევს ბაგეთა, არამედ შესძინა ყუავილიცა ფეროვნებისაჲ, რაჲთა ორკერძოვე შეიმკოს პირი ეკლესიისაჲ საბლისა მიერ მეწამულისა, განთვისებულად თითოეულითა კერძოჲთა.

რამეთუ საბლისა მიერ ერთობასა მოასწავებს ნებისა და გონებისასა, რაჲთა ყოველითურთ ერთსაბელ და ერთთხზულება იქმნეს და პირად-პირადთა საქუსალთაგან შეერთებულ და შეთხზულ. ხოლო მეწამულისა მიერ სისხლისა მის მიმართ, რომლისა მიერ ვიკსნენით, მიხედვასა ასწავებს და რაჲთა მარადის აღსარებაჲ[95] მისი პირსა შინა ეტყრთოს, რომელმან-იგი სისხლითა თჳსითა მომიყიდნა ჩუენ.

რამეთუ ორთავე ამათ მიერ სრულ-იქმნების ეკლესიისა ბაგეთა შუენიერებაჲ, რაჟამს სარწმუნოებაჲ აღსაარებითა[96] ბრწყინვიდეს და სიყუარული სარწმუნოებითა განითხზჳოდის.[97] და უკუეთუ ჯერ-არს, რაჲთა ვითარცა საზღვრითა რაჲთმე შემოვიცვათ სახე ესე, ესრეთ შემოვსაზღვრებთ თქუმულსა ამას [118rb].

მეწამული საბელი არს სარწმუნოებაჲ, სიყუარულითა სრულქმნილი, რაჲთა სარწმუნოებითა მეწამული მიესწავოს და სიყუარულითა საბელი ითარგმანოს, ვინაჲცა სძლისა ბაგეთა ამათ მიერ შემკობასა წამებს ჭეშმარიტებაჲ; ხოლო სიტყჳსა შუენიერებაჲ უწულილესისა რაჲსმე განხილვისა, გინა თუ სხჳსა თარგმანებისა, არა მოქენე არს, რამეთუ უსწრო და წინაჲთევე თარგმნა მოციქულმან, ვითარმედ: *„სიტყუაჲ მისი არს სიტყუაჲ სარწმუნოებისაჲ, რომელსა ვქადაგებთ, რამეთუ აღ-თუ-იარო პირითა შენითა უფალი იესუ და გრწმენეს გულითა შენითა, ვითარმედ ღმერთმან აღადგინა იგი მკუდრეთით, სცხოვნდე. რამეთუ გულსა ჰრწამს სიმართლედ და პირითა აღიარებ საცხორებელად“*[1]· და ესე არს სიტყუაჲ იგი შუენიერი, რომლისა მიერ ბაგენი ეკლესიისანი, მსგავსად საბლისა მის მეწამულისა, ღმრთივშუენიერად ყუავიან.

ხოლო დაშჯერდების[98] სიძე შემდგომად პირისა შუენიერებისა ფეროვნებასაცა ღაწუთასა, ხოლო კერძოსა ამას პირისასა საკეთედ უწევს

---

95 აღსაარებაჲ B;

96 აღსარებითა C;

97 განითხზოდეს C (A-ში მეორე „ა“ სხვა ხელითაა ჩაწერილი);

98 დაჯერდების C;

1· რომ. 10,8-9-10;

ჩუეულებაჲ სიტყჳსაჲ, ხოლო ამსგავსებს აგებულებასა მას ღაწუთასა ნაქურცენსა[99] მროწეულისასა და ესევითარითა შესხმითა გამოსწერს სიტყუათა მათ, რამეთუ იტყჳს: *„ვითარცა ნაქურცენი მროწეულისაჲ, საკეთენი შენნი გარეშე დუმილისა მაგის შენისა“.*[1•]

და რამეთუ ძალი სიტყჳსაჲ ამის მორცხუეობაჲ არს პირველთქუმულთაგან, არა ძნელ არს ამის გულისკმის-ყოფაჲ, რამეთუ გუამოან-ყო[100] ეკლესიაჲ სიტყუამან მსგავსებითა სძლისაჲთა და თითოეულნი სათნოებანი შემსგავსებულად პირისა შუენიერებისა განყვნა და აწ ფეროვნებითა ღაწუთაჲთა და მღჳანებითა ჯეროვნად[101] აქებს სიწმიდესა მისსა და სახისმეტყუელებითა მროწეულისაჲთა მორცხუეობასა მისსა შეამკობს [118va].

რამეთუ ესე, ნაყოფი სიმქისითა და მომმუხაობითა ქერქისაჲთა აღიზრდების[102], ვინაჲცა სახედ სიწმიდისა კეთილად და ჯეროვნად გამოისახვის შეტყუებისა მიერ, რამეთუ ვითარცა-იგი სიკსუე და მომმუხაობაჲ მროწეულისა ქერქისაჲ ზრდის და ჰფარავს შინაგანსა მის ნაყოფისა სიტკბობასა, ეგრეთვე მქისე და მოღუაწებისა მომმუხაობაჲ და ჭირვეული ცხორებაჲ მცველ ექმნების სიწმიდისა სიკეთესა.

ხოლო ამისცა სათნოებისა მრჩობლი ქებაჲ წარმოიჩინების აქა ფეროვნებითა მით წესიერად ცხორებისაჲთა[103] და უვნებლობითა სულისაჲთა წარმართებული, რომლისა ქებაჲ, სიტყჳსაებრ მოციქულისა, — *„არა კაცთაგან არს, არამედ ღმრთისა მიერ“*,[2•] რამეთუ საქმეთამიერსა მას ბრწყინვალესა მორცხუებასა საჩინოთა მათ ფერთა მიერ განთჳსებული და განკუთნჳილი აქუს ქებაჲ და შესხმაჲ, გარნა გარეშე დადუმებულთა და დაფარულთა საკურველებათაჲსა არს იგი, რომელნი-იგი მის ხოლო თუალისა მიერ იხილევიან, რომელი-იგი ხედავს დაფარულთა.

ხოლო შემდგომთა მათ სიტყუათა მიერ ვისწავებთ, რამეთუ ყოველნივე საქმენი ღმერთშემოსილთა წმიდათანი სახე და სამოძღურებელ სათნოებათა წარმატებისა იქმნებიან, რომელ არიან ქორწინებანი, ქუ-

---

99 ნაქრცუენსა C;
100 გუამოვან-ყო C;
101 ფეროვნად C;
102 აღიზარდების C;
103 ცხოერებისათა C;

1• ჭ.ჭ. 4,3;
2• რომ. 2,29;

ეყანითი ქუეყანად მიმოსლვანი, ბრძოლანი და ნაშენებთა აღშენებანი.

ესე უკუე ყოველივე შემდგომისა მის ცხორებისა შჯულისდებად გამოისახვოდა, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: *„ესე ყოველი სამოძღურებელად ჩუენდა დაწერა, რომელთა ზედა აღსასრული ჟამთაჲ მოიწია“*,[1•] რამეთუ უცხოთესლთა მიმართ ბრძოლაჲ განგუაზრახებს ჩუენ ბოროტისა მიმართ ახოვნებასა და სიმკჳესა. ხოლო ქორწინებათა მიმართ მოსწრაფებაჲ სათნოებათა [118vb] შეყოფასა სახისმეტყუელებით გუასწავებს.

ეგრეთვე მწირობაჲ სათნოდ ცხორებისა მკჳდრობასა წინა-გუყოფს, ხოლო რავდენსაცა აღშენებად ნაშენებთა ისწრაფდეს სულიერთა მათ სახლთა ჩუენთა, სათნოებათა მიერ აღშენებულთა მოღუაწებასა და განგებასა გუბრძანებს. ვინაჲცა ვჰგონებ, ვითარმედ წარჩინებული იგი გოდოლი, რომელსა შინა რჩეულ-რჩეული იგი ნატჳყუენავი დააუნჯა დავით, სათნოებათა მიმართ წარმატებასა ეკლესიისასა და სათნოდ ცხორებისა მოღუაწებასა წარმოაჩინებს და საქმისა მის მიერ წინაჲსწარ-გამოსახავს, რომელი-იგი აღაშენა მთასა ზედა და სიმაღლედ აღმაღლდა და მცველად და საუნჯედ ნატჳყუენავთა მათ ჟამსა შინა ჯეროვნად საგონებელ იქმნა.

და რაოდენნიცა უცხოთესლთაგან დაიმონნა ნეშტთა მათ საკმართა თანა და თჳსად მონაგებად მოიგნა დავით მეფემან, ცხად-ჰყოფს და საცნაურ სიბრძნისა მიერ თჳსისა, თუ ვითართა კეთილთა მიმართ ხედავს კაცობრივი ცხორებაჲ და ვითარცა განმზრახი რაჲმე შემდგომისა ცხორებისა, აღშენებითა მით გოდლისაჲთა[104] გამოსახული გულსკმისყოფა სამოძღურებელად დაგჳტევა. რამეთუ ყოვლისავე ეკლესიისა გუამისა თითოეულთა ასოთა რომლისამე სახისა მიმართ შეტჳყუებითა[105] შესხმაჲ ეგულებოდა, ამისთჳსცა შემდგომითი შემდგომად, რომელნი-იგი სახედ ქედისა შერაცხილ იყვნენ ერსა შორის, თუ ვითართაჲ ჯერ-არს, რაჲთა იყვნენ, გამოსახავს სიტყჳთა თჳსითა, რომლისათჳსცა მოიკსენებს გოდოლსა მას, რომელსა ეწოდების დავითისად და აქუს საბრძოლთაგანცა ნიშნიანობაჲ, რამეთუ „თალპიოთ“ საბრძოლად გამოითარ[119ra]გმანების.

---

104 გოდლისათა A (აღდგენილია სხუა ხელით);

105 შეტჳყუებ˜ა A (აღდგენილია მოგჳიანო ხელით);

1• I კორ. 10,11;

ხოლო სიტყუაჲ იგი ესრეთ არს: *„ვითარცა გოდოლი დავითისი, ქედი შენი, რომელი აღშენებულ არს თალპიოთს. ათასი ფარი დამოკიდებულ მას ზედა და ყოველი ისარი ძლიერთაჲ“!*•

ამის უკუე გოდლისა ცხადსა აღშენებასა არა მცირედი აქუს წარჩინებულებაჲ: პირველად, რამეთუ დავითის მიერ აღშენებულ არს და მერმე — თჳთ ადგილისა საბელოვნებითა და მას შინა დასხმულთა მათ საჭურველთა რჩეულებითა, რომელ არს ფარი და ისარი, რომელთა სიმრავლესა წარმოაჩინებს სიტყუაჲ ათასეულად აღრიცხუვითა.

გარნა ჩუენ მიერ საძიებელი ესე არს, რაჲთა საღმრთოთა ამათ სიტყუათა ძალი გულისჴმა-ვყოთ და თუ ვითარ შეეტყუების გოდოლი ესე კერძოსა მას ეკლესიისასა, რომელსა ქედ ეწოდების.

ხოლო პირველად ჯერ-არს, რაჲთა გულისჴმა-ვყოთ, თუ აგებულებასა შინა გუამისასა რომელსა ადგილსა ეწოდების ქედ, და მერმე — შეერთებად ასოთა თანა ეკლესიისათა შეტყუებისა[106] მიერ და თარგმანებისა.

აწ უკუე, დაფუძნებული იგი ბეჭთა და მჯართა შორის, რომელსა უტჳრთავს[107] თავი თავისა მიერ თჳსისა და ხარისხისა წილ მისთჳს შემზადებულ არს, ქედად სახელ-ედების, რომლისა-იგი უკუანა კერძოჲ ძუალთადა შემტკიცებულ არს, ხოლო წინა კერძოჲ თავისუფალ არს ძუალთა შეცვისაგან.

ხოლო აგებულებაჲ ძუალთაჲ არცა მკლავთასა მსგავს არს, არცა წჳვთასა, არამედ მძივთსახედ დაცუმულ. და ესრეთ ძუალნი იგი, შენაწევრებულნი და შემტკიცებულნი და ძარღუთა და ნასხმანთა მიერ შეძერწულნი, ქედად შეიმზადებიან და თავისა მიმართ აღვლენ და ტჳნისა მიმართ აღიწევიან, ვითარცა [119rb] ნესტუნი და ნაკადულნი, და შინაგანთა მათ მონაქცევთა თხემისათა და საუნჯეთა გონებისა და ცნობისათა შევლენ და შეიერთებიან.

ხოლო წინა კერძო ყელისა და ყიისა აგებულებაჲ ქედისაჲ მიერ ტჳრთულ არს, რომლისა-იგი შორის დამტკიცებულ არიან საუნჯენი ყნოსისა და აღმოფშუნვისანი, რომელთა მიერ აღეტყინების გულითადი

---

106 შეტყეებისა A (მოგუიანო ხელით აღდგენილია);

107 უტჳრთავს A (სხუა ხელით);

1• ქ.ქ. 4,4;

იგი ცეცხლი და თუსისა საქმისა მოსწრაფებად[108] აღიძრვის.

ხოლო შეიცავს იგი საზრდელისაცა შთამყვანებელთა მათ ასოთა, რომელსა-იგი ყიად და სასად ეწოდების, რომელთა მიერ ყოველსავე პირით შთასრულსა შემწყნარებელთა მათ საუნჯეთა მუცლისათა მიაწევს.

ხოლო აქუს სხუადაცა რადმე სხუათა ასოთა უმეტესობად ქედსა, რამეთუ ზედა კერძო გულისა ეზოთა აქუს მას საუნჯე კმისად, რომელსა შინა ყოველივე ავაჯთა[109] და კილოთა აგებულებად შეიმზადების და სახედ ორღანოდსა აღმოვალს გულისა ეზოთა შინა, სულისა მიერ მორთული და შენელებული.

ხოლო ვინადთგან კორციელი სახე ქედისად ესრეთ გამოისახა ჩუენ მიერ, უადვილეს არს განხილულისა ამის მიერ განცდად ქედსა მას ეკლესიისა გუამისასა. ქედად გულისკმა-ყავ[110], რომელიცა იყოს, რომელსა შემსგავსებულთა საქმეთა მიერ სახელი ესე ჭეშმარიტებით მოეგოს და ქედად იწოდებოდის და გოდოლსა დავითისსა მიემსგავსებოდის.

პირველად უკუე ვთქუათ პირველისათჳს და უაღრესისა[111], ესე იგი არს, რომელსა თავისა მიერ თუსისა ეტჯრთოს ჭეშმარიტი იგი თავი ყოველთად, ხოლო მას ვიტყჳ თავსა, რომელ არს ქრისტე, *„რომლისა მიერ ყოველი გუამი შენაწევრებულ არს და შემტკიცებულ“*[1]· და ესევითარსა მას შუენის ჭეშმარიტებით სახელი ესე. და მერმე, უკუეთუ არს იგი შემწყნარებელ სულისა წმიდისა, რომელი-იგი [119va] განაკურვებს გულთა ჩუენთა და სახედ ცეცხლისა აღაგზებს, ტკბილად მეტყუელისა მის კმისა მიერ ჰმსახურებს სიტყუასა.

რამეთუ კაცობრიესა ბუნებასა შინა კაცობრივი კმად სხჳსა არარადსთჳს დაუბადებიეს ღმერთსა, არამედ რადთა იყოს იგი ორღანო სიტყჳსა და თავისა მიერ თუსისა გამოაცხადებდეს აღძრვათა გულისათა.

ხოლო აქუნდინ ესევითარსა მას ქედსა და ძალიცა და საქმე გამომზრდელი, რომელ არს მოძღურებად, რომლისა მიერ ყოველივე გუა-

---

108 მოსწრაფედ C;

109 ავჯთა A, ავაჯათა C;

110 გულისხმა-ჰყავ C;

111 უარესისა C;

1· ეფეს. 4,16;

მი ეკლესიისაჲ განძლიერდების, რამეთუ მარადის რაჲ მიეცემოდის საზრდელი, არსებასა შინა ჰგიეს გუამი, ხოლო უკუეთუ მოაკლდეს, დაიკსნების და განიხრწნების. მიემსგავსენ უკუე შენაწევრებით შეწყობილებასაცა ქედისასა, რაჲთა ყოველთავე, რომელნი იყვნენ ერსა შორის, საკრველითა მით მშუდობისაჲთა ერთგუამოვნებად მოიყვანებდეს მოდრეკითა და აღმართებითა და იმიერ და ამიერ ხედვითა და წესიერად მიმოქცევითა.

ესევითარი ქედი იყო პავლე და უკუეთუ ვინმე სხუამან მობაძავად მის წარჰმართა ცხორებაჲ თჳსი, რომელმან-იგი იტყრთა სახელი უფლისაჲ და იქმნა ჭურ რჩეულ მეუფისა და ესრეთ მტკიცედ შეენაწევრა მას თავი იგი ყოველთაჲ, ვიდრეცა რავოდენსაცა იტყოდა, არღარა იგი იტყოდა, არამედ თავი იგი იტყოდა პირით მისით, ვითარცა-იგი დასწერს კორინთელთა მიმართ, ვითარმედ: *„ქრისტე არს, რომელიცა იტყჳს მის შორის ესრეთ“*.[1•]

კმატკბილ და კმამაღალ იყვნეს გულისა ეზონი მისნი, რომელთაიგი განამტკიცებდა სული წმიდაჲ ჭეშმარიტებისა სიტყჳთა და დაატკბობდა სასასა მისსა საღმრთოთა მათ მიერ მოძღურებათა და ცხოველმყოფელთა მათ სწავლათა მისთა მიერ გამოზრდიდა ყოველსავე მას გუამსა ეკლესიისა[112].

და უკუე ეძიებდე, ესე იყო ჭეშმარიტად ღმრთივშუ[119vb]ნიერი იგი ქედი ეკლესიისაჲ. რამეთუ ვინ შეანაწევრნა ესრეთ და ერთგუამყვნა ყოველნივე საკრველითა მით მშუდობისა და სიყუარულისაჲთა? გინა თუ ვინ ასწავა ესრეთ ბრწყინვალედ მოდრეკად[113] ქედსა თჳსსა სიმდაბლედ და დამდაბლებად მდაბალთა თანა და კუალად ზეცისასა ზრახვითა აღებად თავისა და აღმაღლებად და იმიერ და ამიერ ხედვად და მსტურობად და მიმოხილვად[114] ქელოვნებით მრავალფერთა მათ მიმართ მანქანებათა მტერისათა და გარეწარსლვად და განკრძალვად მათგან?

და ესევითარი იგი გოდოლი აღეშენების[115] დავითის მიერ, ხოლო შენ

---

112 ეკკლესიისასა C;

113 მოდრეკა C;

114 მიმოქცევად B (A-ში ეს სიტყვა აღდგენილია);

115 აღეშენა B;

1• II კორ. 13,3;

გულისკმა-ყავ და მის მიერ,[116] მეუფე და მამაჲ მეუფისაჲ, რომელმანიგი პირველითგან აღაშენა კაცი გოდლად და არა დაცემულად და რაჲმცა კუალად მეორედ აღაშენა იგი მადლისა მიერ საღმრთოჲსა და მოჰკრძალა იგი მრავალფერთა მათ ფართა მიერ, რომელ არღარა იქმნეს იგი მბრძოლთა მიერ ადვილად წარსატყუენველ, ხოლო რამეთუ დამოკიდებულ არიან ფარნი იგი და არა ქუეყანასა ზედა მდებარე, არამედ ჰაერთა შინა გარემოს მისა მოზღუდვილ, და ფართა თანა ისარნი იგი ძლიერთანი ზარმცემელ და შემაძრწუნებელ არიან მბრძოლთა, რაჲთა ვერცაღა თუ ძირსა მიეახლნენ გოდლისასა.

და ამის მიერ, ვითარ ვჰგონებ, ანგელოზთამიერსა შეცვასა მოასწავებს ესევითარისა მის გოდლისასა, რომელთა-იგი სიმრავლითა მით ფართაჲთა გამოგუსახავს ჩუენ სიტყუაჲ.

და ესევითარსა ამას გონებასა დაამტკიცებს მოკსენებაჲ იგი ისართაჲ, რამეთუ არა თჳნა მარტივად ისარნი, არამედ შეძინებითა მით ძლიერთაჲთა თანაშეწევნაჲ იგი [120ra] მათი და ძლიერებაჲ წარმოაჩინა, ვინაჲცა შეეტყუების სიტყუაჲ ესე სიტყუასა მას ფსალმუნთასა, ვითარმედ: *„დაიბანაკებს ანგელოზი უფლისაჲ გარემოჲს მოშიშთა მისთა და იკსნნეს*[117] *იგინი“*,[1•] ხოლო ათასეულად აღრიცხუვაჲ სიმრავლესა მოაწავებს, ვითარცა არს ესე ჩუეულება წერილთაჲ და ესევითართა ამათ სიტყუათა სიმრავლისა წილ იკუმევენ, ვითარცა-იგი იტყჳს დავით სიმრავლისა წილ, ათასეულთა წარმმართებელთა და უფროჲს ათასეულისა — ოქროჲსა და ვეცხლისა[2•].

ესრეთ უკუე გულისკმა-ყავთ ქედი იგი დაფუძნებულად ბეჭთა შორის და მკართა, ხოლო მკართა წილ გულისკმა-ვჰყოფთ მოღუაწებისა და შრომისა მოსწრაფებასა, რომელთა მიერ სრულ-ჰყოფენ მკლავნი ჩუენნი ცხორებასა ჩუენსა, ხოლო უაღრესისა[118] მიმართ აღორძინებასა ღმრთისა მიმართ აღმაღლებულისა სულისასა გულისკმა-ჰყოფს უეჭუელად, რომელი გულისკმის-ყოფით ისმენდეს თქუმულთა ამათ, რამეთუ პირველ საწადელ იყოს სძლისა, რაჲთამცა ცხენსა ემსგავსა,

---

116 დაეითის] და მის A (A-ში სხვა ხელით არის აღდგენილი);

117 იკსნნენ A;

118 უპირატესისა A (აღდგენილია სხვა ხელით);

1• ფსალ. 33,18;

2• ფსალ. 67,18;

შემმუსრველსა მეგუბტელთა[119] მძლავრისასა და მისსა შემდგომად — მძიეთა ფარღლისათა, შემცველთა ყელისათა და განმაშუენებელთა.

ხოლო აწ თუ რაბამსა სისრულესა და კეთილთა სიმრავლესა წამებს[120] მისთჳს საღმრთოჲ წერილი, რამეთუ არღარა მძიეთა რათმე შუენიერებასა, არამედ გოდლად უწესს მას სიდიდისათჳს მისისა, რომელსა-იგი საჩინო-ჰყოფს და განსაცდელ[121] შორიელთაცა არა ხოლო თუ შენებულისა მის ოდენ შუენიერებაჲ, არამედ სიმაღლეცა ადგილისაჲ, რომელსა ზედა აღშენებულ არს და სიმაღლედ აღწევნულ [120rb], რამეთუ არს იგი ბუნებით გარემოჲსთა მათ ადგილთა ყოველთაჲვე უმაღლეს.

ხოლო რაჟამს შენებულებაჲ გოდლისაჲ მეუფისა მიერ აღშენებულ იყო და საფუძველი მისი მაღალსა მოქალაქობასა ზედა დამყარებულ, მაშინ სრულ-იქმნების სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, ვითარმედ: *„ვერ შესაძლებელ არს დაფარვად ქალაქი, რომელი მთასა ზედა დაშენებულ იყოს“*,[1] ხოლო შენ ქალაქისა წილ გულისჴმა-ყავ გოდოლი.

და ვითარ ვჰგონებ, ჟამი არს ამიერითგან ორთა მათთჳსცა ნუკრთა ქურციკისათა გულისჴმის-ყოფად, რომელნი-იგი ძუძუდ იწოდნეს და გულსა ზედა სძლისასა განისუენებენ, ვითარცა იტყჳს:

„ორნი ძუძუნი შენნი, ვითარცა ორნი თიკანნი, მარჩიბენი ქურციკისანი, რომელნი ძოვედ შორის შროშანთა“,[2] რამეთუ შორის მათსა არს აგებულებაჲ გულისაჲ, რომელთა-იგი საძოვარი არა თივაჲ არს, არცა ეკალი, არამედ შროშანი და ყოველთაჲვე ჟამთა ძოვნისა მათისათა ყუავილსა თჳსსა თანად განმაგრძობელი და არა ჟამსა შინა აღყუავებადი და ჟამსა შინა დაჭნობადი, არამედ მიმყოვრებულად მიმცემელი თიკანთა ამათ საზრდელისაჲ თავისა მიერ თჳსისა, ვიდრემდის არღარა აჩრდილობდენ ცხორებისა ამის საცთურთა მოსწრაფებანი, არამედ რაჟამს-იგი ყოველი ადგილი ნათლითა განბრწყინდეს და დღისა მიერ ყოვლით კერძო ქროდის[122] ნათელი, ვითარცა იტყჳს: *„ვიდრე დღისა*

---

119 მეგუპტელთა AC /A-ში სხჳა ხელითაჲ/;
120 პსწამებს C;
121 განსაცდელთა C;
122 ქროდეს C;

1• მთ. 5,14;
2• ქ.ქ. 4,5;

განრიყუებადმდე და აჩრდილთა შეძრვად“.[1]

ხოლო განაღა იცი და გისწავიეს სახარებისაგან, რამეთუ სული წმიდაჲ არს, რომელი-იგი ქრის, სადაცა ენებოს და სადაცა ქრო-დის, მიჰფენს ნათელსა, რომელთა უწყოდიან, *„თუ ვინაჲ მოვალს ანუ ვიდრე ვალს“*,[2] რომლისათჳს აწ სიტყუაჲ ესე წარმოაჩინებს: *„ორნი ძუძუნი შენნი, ვითარცა ორნი თიკანნი, მარჩჩიენი ქურციკისანი, რომელნი ძოვედ შორის შროშანთა, ვიდრე დღისა განრიყუებადმდე და აჩრდილთა შეძრვად“.*[3]

და ვჰგონებ, თუ [120va] არავინ არს, რომელიმცა ორგულებდა[123] სიტყჳსა ამისთჳს, ვითარმედ სული წმიდაჲ საზელითა დღისაჲთა იწოდების და ვინაჲცა მიჰბერნეს, ნათელსა მიჰფენს ყოველთა ზედა, რომელთაცა მიეფინოს; რამეთუ უკუეთუ ძე ნათლისა და ძე დღისად იქმნებიან, რომელნიმცა იშჳნეს სულისაგან, რაჲმცა ვინ უწოდა სხუაჲ სულსა წმიდასა გარეშე დღისა და ნათლისა, რომლისა მობერვანი მაო-ტებელ აჩრდილთა ამაოებისათა იქმნებიან?

რამეთუ თჳნიერ ყოვლისა ცილობისა, რაჟამს მზე აღმობრწყინდეს, აჩრდილნი ივლტიან და უჩინო-იქმნებიან. ხოლო საიდუმლოჲ ორთა თიკანთა ქურციკისათაჲ, რომელთა შობაჲ მარჩჩიე არს და საზრდელ — ყუავილი შროშანთაჲ, ხოლო ადგილ საძოვრის — კეთილი და პოხილი ქუეყანაჲ, რომელ არს გული, სიტყჳსაებრ უფლისა იგავთაჲსა, სადა-იგი ძოვენ და უბიწოთა გულისსიტყუათა ყუავილითა განიპოხებიან.

ხოლო ყუავილსა შროშანთასა მრჩობლი მადლი აქუს ბუნებისაგან სულნელებისა და ფერისა შეზავებითა, ვიდრეცა თითოეული ამათგანი საწადელ არს მომწილველთა მისთა. და გინა თუ ვინ იყნოსოს და გინა თუ ვინ განიცადოს, ორკერძოვე სახარულევან-ჰყოფს — საყნოსელნი უკუე სულნელებითა ქრისტესითა აღივსებიან, ხოლო ხილვისა მიერ სიწმიდე და უბიწოებაჲ განიცდების.

და ნუუკუე და ესრეთ საცნაურ-იქმნეს დაფარულებაჲ იგი სიტყ-ჳსაჲ, რამეთუ ყოვლისა კაცისა შორის ორნი კაცნი იხილვებიან: ერთი იგი ჯორციელი და ხილული, ხოლო მეორე — გონიერი და

---

123 ორგულობდა C;

1• ქ.ქ. 4,6;
2• ინ. 3,8;
3• ქ.ქ. 4,5-6;

უხილავი. და ორთავე შობაჲ მარჩბივი[124] არს და ორნივე სოფლად ერთბამად შემოვლენ, რამეთუ არცა სული უწინარეს არს ჯორცთა, არცა პირველ [120vb] სულისა შეიმზადებიან ჯორცნი, არამედ ერთბამად შემოვლენ ცხორებასა ამას. და საზრდელი მათი ბუნებითი სიწმიდე არს და სულნელებაჲ და ყოველივე ესევითარი, რომელსა აღმოაცენებენ სათნოებანი. ხოლო ვიეთნიმე საზრდელისა წილ მაკუდინებელთაცა საზრდელთა მიიღებენ, რომელნი-იგი არა ძოვენ ყუავილსა სათნოებათასა, არამედ ეკალთა და კუროჲსთავთა ზედა იხარებენ, რამეთუ ესრეთ სახელ-სდებს ცოდვასა იგავი იგი საბარებისაჲ, რომლისა გამომღებელ იქმნა უკეთურებაჲ იგი გუელისაჲ. და ვინაჲთგან განმრჩეველი თუალი საკმარ არს, რაჲთა შეუძლოს[125] გამოწულილვით განყოფად და ცნობად ეკლისა და შრომნისა, რაჲთა მაცხოვნებელი იგი მოიწილოს, ხოლო მაკუდინებელი იგი მოიძაგოს, ამისთჳს, რამეთუ მსგავსად დიდისა პავლესსა,[126] ძუძუ ექნებოდის ჩჩჳლთა და სძითა ზრდიდეს ახლადშობილთა მათ ეკლესიისათა, ორად ძუძუდ, მიმსგავსებულად მარჩბივთა მათ თიკანთა ქურციკისათა, სახელ-სდვა. ესევითარითა მათთჳს ასოთა ეკლესიისათა ყოვლით კერძო გამოცდილებაჲ წამა[127] და ვითარმედ ორკერძოვე წარემატების წმიდათა მათ შრომანთა ძოვნად და მალიად ხედვად და განრჩევად საზრდელისაგან ეკალთა და რამეთუ გონებასა შინა მთავარსა იქცევის, რომლისა სახე არს გული, რომელი-იგი თავისა მიერ თჳსისა ზრდის ძუძუთა მათ.

და კუალად, რამეთუ არა თავსა შორის თჳსსა შეაწყუდევს მადლსა, არამედ აღმოუცენებს, ვითარცა ძუძუჲ, მოქენეთა სიტყჳსათა და *„ვითარცა მზრდელი ჰფუფუნებს შვილთა“*[1•] თჳსთა, ვითარცა-იგი მოციქული იტყოდა და იქმოდა. ვიდრე[121ra] აქამომდე წარმოთქუა[128] სიტყუამან ქებაჲ ეკლესიისა ასოთაჲ, ხოლო ამიერითგან ყოვლისავე გუამისა მისისა შესხმასა წარმოაჩინებს, რაჟამს-იგი *„სიკუდილისა*

---

124 მარჩბივ C;

125 შეუძლოთ A („თ“ გვიან არის აღდგენილი);

126 პავლესა C;

127 პსწამა C;

128 წარმოპსთქუა C;

1• I თესალ. 2,7;

მიერ განაქარეოს, რომელსა-იგი აქუნდა სიმტკიცე სიკუდილისაჲ“[1•] და კუალად აღიყვანოს თავი თჳსი თჳსსავე მას ღმრთეებისა დიდებასა, რომელი აქუნდა პირველ სოფლისა დაბადებისა.[2•]

რამეთუ თქუა რაჲ, ვითარმედ: *„მე თჳთ მივიდე მთასა მას მურისასა და ბორცუსა გუნდრუკისასა“*,[3•] მურისა მიერ ვნებაჲ, ხოლო გუნდრუკისა მიერ დიდებაჲ ღმრთეებისაჲ[129] წარმოაჩინა და მეყსეულად შესძინა: *„ყოველადშუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო, და ბიწი არა არს შენ თანა“*.[4•]

გუასწავა თქუმულთა ამათ მიერ პირველად, ვითარმედ ვერვინ მიუღებს სულსა მისსა მისგან, არამედ კელმწიფებაჲ აქუს დადებად და კელმწიფებაჲ აქუს კუალად მოღებად მისა, მი-რაჲ-ვიდეს თავით თჳსით მთასა მას მურისასა, და არა თუ ჩვენთა საქმეთაგან, რაჲთა არა იქადოს ყოველმან კორციელმან, არამედ თჳსითა მადლითა და თჳსითა ჴელრჩინებითა ცოდვილთათჳს მიითუალა სიკუდილი და მერმე — რამეთუ არა იყო სხჳთა ღონითა ბიწისაგან განწმედაჲ კაცობრივისა ბუნებისაჲ, არა თუმცა კრავსა მას ღმრთისასა, რომელმან აიხუნა ცოდვანი სოფლისანი, თავისა მიერმცა თჳსისა უჩინო-ექმნა ყოველიეე სიბოროტე.

ვინაჲცა თქუა რაჲ, ვითარმედ: *„ყოვლადშუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო, და ბიწი არა არს შენ თანა“*,[5•] და გამოსახა საიდუმლოჲ იგი ვნებისაჲ სახისმეტყუელებითა მკუდრისაჲთა და მერმე გუნდრუკი მოიკსენა, რომლისა მიერ ღმრთეებაჲ[130] მოესწავების, ორთავე ამათ მიერ ამას გუასწავებს ჩუენ, ვითარმედ: რომელი ეზიაროს მურსა, მისსა თანაზიარ [121rb] იქმნეს იგი უცილობელად და გუნდრუკისაცა, რამეთუ რომელმან მის თანა ივნოს, უეჭუელად მის თანაცა იდიდოს. ხოლო რომელი ერთგზის საღმრთოჲსა დიდებისა იქმნეს, ყოველად იქმნების შუენიერ და უცხო ბიწისაგან წინააღმდგომისა, რომელი-იგი ჩუენდაცამცა მომადლებულ არს ჩუენთჳს მომკუდრისა მის მიერ და აღდგომილისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და ძლიერებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

---

129 ღ˜თაებისა C;
130 ღ˜თაება C;

1• ებრ. 2,14;
2• ინ. 17,5;
3• ქ.ქ. 4,6;
4• ქ.ქ. 4,7;
5• ქ.ქ. 4,7;

სიტყუაჲ ესე:

4,8. მოვედ, სძალო, ლიბანით, მოვედ ლიბანით. მოხუდე და წარმოჰველო დასაბამით სარწმუნოებისაჲთ თხემსა ზედა სანარისა და ერმონისასა, საყოფელთაგან ლომთაჲსა და მთათაგან ვეფხთაჲსა.

4,9 გუასურევე ჩუენ, დაო ჩუენო, სძალო, გული გუალმე ჩუენ ერთითა თუალთა შენთაჲთა და ერთითა მძივითა ყელისა შენისაჲთა.

რაჟამს-იგი ხილვანი იგი დიდნი წარმოთქუნა კორინთელთა მიმართ დიდმან მოციქულმან და თჳსისა გონებისა იჭუეულებაჲ წარმოაჩინა, გინა თუ კორცითა იყო, გინა თუ გონებითა ჟამსა მას საიდუმლოთა ხილვისასა სამოთხესა შინა, ესრეთ წამებს[1] თავისა თჳსისათჳს, ვითარმედ: *„არღა შემირაცხიეს თაჲი ჩემი წარწევნულად, არამედ წუთლა წარვემატები წინაკერძოჲსა მის მიმართ მიწდომად*[2] *და წარსრულსა მას დაჲივიწყებ“.*[1•]

და ამას იტყოდა შემდგომად სამ ცამდე აღწევნისა, რომელნი-იგი მან ხოლო მხოლომან უწყნის (რომელთათჳს-იგი მოსე დაბადებასა შინა არა წარმოთქუა),[3] და შემდგომად გამოუთქუმელთა მათ სამოთხისა საიდუმლოთა სმენისა, ჯერეთ უაღრესისა მიმართ აღვალს და არა დააცადებს აღსლვისაგან არაოდეს, არამედ მიწდომილთა მათ კეთილთა საფუძველ ჰყოფს უაღრესთა მიმართ გულის[121va]თქუმისა.

და ვითარ ვჰგონებ, ამას გუასწავებს ჩუენ ამის მიერ, ვითარმედ ნეტარისა მის კეთილთა ბუნებისა მრავალ არს, რომელი მარადის იპოვების, ხოლო ბევრწილ უმრავლეს არს ყოვლადვე მიწდომილისა მის უაღრესი და მიუწდომელი.

და ესე სამარადისოდ იქმნების მიმღებელთა მათ შორის, რამეთუ დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა აღორძინებაჲ, რაოდენცა ვინ წარემატებოდის, დაუსრულებელ-ჰყოფს წარმატებასა მას წარმატებულისასა საღმრთოთა მათ კეთილთა უსაზღვროებითა, რამეთუ წმიდაჲ გუ-

---

1 ჰსწამებს C;

2 მიწუდომად B;

3 წარმოჰსთქუა C;

1• ფილიპ. 3,12-13;

ლითა უტყუველისა მისებრ ქმისა საღმრთოჲსა სამარადისოდ ხედავს ღმერთსა,[1•] ძალისაებრ და შეძლებისა თჳსისა, და რაოდენ ძალ-უც დატევნად, ესოდენ შეიწყნარებს განცდასა მისსა. ხოლო მიუწდომელი იგი და უსაზღვროჲ დიდებაჲ ღმრთეებისაჲ[4] ზეშთა ჰგიეს ყოველისა მიწდომისა და განცდისა, რამეთუ რომლისა-იგი დიდადშეუნიერებისა და დიდებისა საზღვარ არა არს[2•], ვითარცა წამებს[5] წინაჲსწარმეტყველი, იგი ყოველადვე ერთსა ზედა სიმაღლესა და ერთსა ზედა მიუწდომელობასა იხილვების.

ვითარცა-იგი დიდმან დავით, რომელმან კეთილნი იგი აღსლვანი[6] გულსა თჳსსა დაისხნა და ძალითიძალად ვიდოდა სამარადისოდ, ესრეთ ქმა-ყო[7] ღმრთისა მიმართ, ვითარმედ: *„ხოლო შენ მაღალ ხარ უკუნისამდე, უფალო“*,[3•] და ვითარ ვჰგონებ, ამას მოასწავებს ქმისა ამის მიერ, ვითარმედ ყოველთავე მათ შინა დაუსრულებელთა საუკუნეთა, რომელი შენდა მომართ მოიცლტოდის, სამარადისოდ თავისა თჳსსა უმაღლეს იქმნების და ყოველადვე შემსგავსებულად კეთილისა მის აღსლვისა თჳსისა აღემატების და აღორძნდების.[4•]

ხოლო შენ თავადი უკუე მასვე სიმაღლესა ზედა ჰგიე, რამეთუ არცა შესაძლებელ არს, რაჲთამცა აღმა[121vb]ვალთა მათ უმდაბლეს ეჩუენე, რამეთუ ყოველადვე სწორებით უმაღლეს ჰგიე ამაღლებულთა მათ სიმაღლისა.

ესრეთ უკუე გჳსწავიეს ბუნებისათჳს გამოუთქუმელთა მათ კეთილთაჲსა, რომელთათჳს იტყჳს მოციქული, ვითარმედ კეთილნი იგი, რომელნი თუალმან არა იხილნა, რამეთუ დაღაცათუ სამარადისოდ ხედვიდეს, არა თუ რაოდენ არიან, ეგოდენ ხედავს, არამედ რაოდენი ძალ-უც თუალთა დატევნად; და ყურსა არა ესმა, ესე იგი არს, რავოდენ[8] არს უწყებული იგი, რამეთუ დაღაცათუ სამარადისოდ შეიწყნარებდეს სმენასა

---

4 ღ˜თაებისა C;
5 ჰსწამებს C;
6 აღსავალნი C;
7 გულისხმა-ჰყო C;
8 რაოდენ C;

1• მთ. 5,8;
2• ფსალ. 144,3; 5;
3• ფსალ. 91,9;
4• ფსალ. 83,6;8;

მათსა, ბევრწილად უაღრეს არს უსმენელი იგი და გულსა კაცისასა არა აღვიდა, დაღაცათუ წმიდაჲ გულითა სამარადისოდ, რავოდენცა ძალ-ედვას და ხედავს, არამედ მიწდომილი[9] იგი უეჭველად პირველ მიწდომილთასა უაღრეს არს, ხოლო საძიებელსა მას ვერ შემოსაზღვრებს[10] თავსა შორის თჳსსა, არამედ პოვნილისა მის აღსასრული აღმავალთა მათ უმაღლესისა მიმართ აღსლვისა დასაბამ ექმნების, და ვერცა ოდეს აღმავალი იგი დადგების[11] დასაბამითა დასაბამისა მოღებისაგან და არცა დასრულდების სამარადისოდ უაღრესთა დასაბამი, რამეთუ არაოდეს დასცხრების სურვილი აღმავალისაჲ მის ცნობილთა მათ სიმაღლითა, არამედ უაღრესთა მიერ კუალად სხუათა უაღრესთა გულისთქუმათა მიმართ შემდგომითი შემდგომად აღვალს სული იგი ღმრთისმოყუარე და ყოვლადვე უვაღრესთა მიმართ აღსლვითა უსაზღვრო იქმნების და დაუსრულებელ.

ხოლო ვინაჲთგან ესე წარმოვთქუთ[12], ამიერითგან ჟამი არს წინადაგებად საღმრთოთა მათ სიტყუათა [122ra] თარგმანებასა, რამეთუ იტყჳს:

„მოვედ, სძალო, ლიბანით, მოვედ ლიბანით, მოხუდე და წარმოჰველო[13] *დასაბამით სარწმუნოებისაჲთ თხემსა ზედა სანარისა და ერმონისასა, საყოფელთაგან ლომთაჲსა და მთათაგან ვეფხთაჲსა“.*

რაჲ-მე უკუე არს, რომელი-იგი ამათთჳს გულისკმა-ვყავთ?[14] წყაროჲ იგი კეთილთაჲ მარადის თავისა მიმართ თჳსისა მიიზიდავს წყურიელთა, ვითარცა საზარებასა შინა წერილ არს, ვითარმედ: *„რომელსა სწყურის, მოვედინ ჩემდა და სუემდინ“.*[1•]

და ამის ბრძანებისა მიერ უსაზღერო-ყო პირი სამთავე ამათ საქმეთაჲ, ესე იგი არს წყურილისა და სუმისა და მისსა მიმართ მისლვისაჲ, არამედ ჩინებითი იგი ბრძანებაჲ სამარადისო-ჰყოფს წყურილისა და სუმისა და მისსა მიმართ მისლვისა წადიერებასა.

---

9 მიწუდომილი B;

10 შემოსაზღურავს C;

11 დასდგების C;

12 წარმოჰსთქუთ C;

13 წარმოელო C;

14 გულისსმა-ვჰყავთ C;

1• ინ. 7,37;

ხოლო რომელთა-იგი გემოჲ იხილონ და გამოცდილებით ისწავონ, ვითარმედ *„ტკბილ არს უფალი“*,[1•] გემოჲსხილვაჲ იგი, ვითარცა მიმზიდველი რაჲმე და მაიძულებელი, უაღრესისა ზიარებისა მიმართ მაწუეველ და აღმძრველ ექმნების, ვინაჲცა სიმაღლედ აღმავალსა არაოდეს მოაკლდების წოდებაჲ და წუევაჲ უაღრესისა მიმართ აღმაღლებისაჲ.

და ზოგსრაჲმე მოვიკსენნეთ მრავალგზის ქმნილნი იგი სიტყუსა მიერ ზემოკერძო წოდებანი სძლისანი, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„მოვედ, მახლობელო ჩემო“*; და კუალად, ვითარმედ: *„მოვედ, ტრედო ჩემო“*, და კუალად, ვითარმედ: *„მოვედ შენ საფარველსა კლდისასა“*.[2•]

და სხუანი ესეევითარნი მრავალნი სიტყუანი, მწოდებელნი და მომდრეკელნი და უაღრესთა სურვილთა და გულისთქუმათა მიმართ აღმძრველნი, წარმოაჩინნა სიტყუამან სულისა მიმართ და მათ ყოველთა მიერ მისა[15] მიმართ რაჲ ამაღლდა, წამა[16] შუენიერებაჲ და სიკეთე მისი და თქუა[17], [122rb] ვითარმედ: *„ყოვლადშუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო, და ბიწი არა არს შენ თანა“*.

და რაჲთა არა წამებითა ამით მომედგრდეს და უაღრესთა წარმატებათა მიმართ აღსლვისაგან დაეყენოს, კუალად წოდებისა ამის მიერ უმაღლესთა წარმატებათა მიმართ და სურვილთა აღსლვად უბრძანებს და ეტყჳს: *„მოვედ, სძალო, ლიბანით“*.[3•]

და სიტყუაჲ ესე ესეევითარი არს, ვითარმედ: კეთილად მერჩდი და კეთილად შემომიდეგ და მოხუედ ჩემ თანა მთასა მას მურისასა, რამეთუ დაეფალ სიკუდილსა ჩემსა თანა ნათლისღებისა მიერ და ჩემ თანავე აღმოჰკედ ბორცუსა მას გუნდრუკისასა, რამეთუ ჩემ თანა აღსდეგ და ჩემ თანა აჰმაღლდი ღმრთეებისა ზიარებითა, რომელსა ცხად-ჰყოფს სახელი ლიბანისაჲ.

აწ უკუე აღმოვედ ჩემ თანა ამიერ სხუად მთად, წარმატებული და ამაღლებული გულისკმის-ყოფითა, ვინაჲცა მოვედ ლიბანით არღარა დაწინდებული, არამედ სძალი. რამეთუ ჩემ თანა ცხორებაჲ შეუ-

---

15 მისსა C;
16 ჰსწამა C;
17 ჰსთქუა C;

1• ფსალ. 33,9;
2• ქ.ქ. 2,10,14;
3• ქ.ქ. 4,8;

ძლებელ არს, არა თუ შეიცვალო სიკუდილისა მურიტა გუნდრუკად ღმრთეებისა.

აწ უკუე, ვინაჲთგან აქამომდე მოიწია და ამას სიმაღლესა ღირსიქმენ, ნუ დასდგები ამაღლებისაგან[18], რაჲთა მაღალსა მას სისრულესა აღიწიო. რამეთუ დასაბამ სარწმუნოებისა ესე გუნდრუკი იქმნების, რომლისა ზიარ იქმენ აღდგომისა მიერ. ხოლო დასაბამ უმაღლესთა კეთილთა მიმართ მისლვისა ესე დასაბამი გექმნა შენ, რომელ არს სარწმუნოებაჲ.

„მოხუდე და წარმოჰკლო“[1•] — ესე იგი არს, ვითარმედ და აწცა მოხუდე და სამარადისოდ მოსლვისაგან არა[19] დასცხრე ესევითართა აღმატებათა მიერ. *„მოხუდე და წარმოჰკლო*[20] *დასაბამით სარწმუნოები[122va] საჲთ თხემსა ზედა სანარისა და ერმონისასა“* — და ამათ მთათა მიერ მეორედ შობისა საიდუმლოსა წარმოაჩინებს, რამეთუ ამიერ იტყჳან იორდანისა წყაროთა გამოსლვასა, რომელნი-იგი[21] ორ მთად განიყოფვიან[22] და ეწოდების მათ სანარი[23] და ერმონი.

და ვინაჲთგან ამათ წყაროთა მდინარე დასაბამ იქმნა განღმრთობისა ჩუენისა, ამისთჳს ისმენს ჴმასა მას მწოდებელისა თჳსისა, რომელი ეტყჳს, ვითარმედ: *„მოვედ ლიბანით და დასაბამით სარწმუნოებისაჲთ და თხემისაგან ამათ მთათაჲსა“*,[2•] ვინაჲ-იგი აღმოგიცენდეს შენ საიდუმლოჲსა წყარონი; ვინაჲცა ლომთა იგი და ვეფხთა კსენებაჲ კეთილად შემოიღო, რაჲთა შემაწუხებელთა სახეთაგან უტკბილეს-ყოს[24] მახარებელთა მათ საშუებელი, რამეთუ ვინაჲთგან განიძარცუა ოდესმე კაცმან საღმრთოჲ ხატოვნებაჲ, მსგაჳსებითა პირუტყუთა ბუნებისაჲთა განმკეცდა და ბოროტთა საქმეთა მიერ იქმნა იგი ლომ და ვეფხ.

რამეთუ რომელი ლომისაგან მიიზიდოს, რომელი-იგი მზიროდის საყოფელსა თჳსსა, ვითარცა იტყჳს მეფსალმუნე: *„და მაბითა მისითა*

---

18 აღმაღლებისაგან B;
19 არაჲ A;
20 წარმოელი C;
21 რ˜ლნი-ესე C;
22 განიყოფიან C;
23 სანირი C;
24 ჰყოს C;

1• ქ.ქ. 4,8;
2• ქ.ქ. 4,8;

დამდაბლდეს“.[1•] და ვინაჲთგან მკეცი იგი გონებასა მისსა მძლე ექმნეს, ბუნებისა მისისა მსგავსებად შეიცვალების, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: *„ემსგავსნენ მათ მოქმედნი მათნი და ყოველნი, რომელნი ესვიდენ მათ*“.[2•]

და ეგრეთვე მსგავსად ეფხჲ იქმნების, რომელმან საწუთროჲსა ამის შეგინებათა მიერ სული თჳსი შეამწიკულოს და აჭრელოს[3•] და ვინაჲთგან იყო ოდესმე, ოდეს-იგი ამათ შინა იქცეოდა კაცებაჲ კერპთმსახურებისა მიერ და ჰურიათა საცთურისა და პირად-პირადთა ცოდვათა სიბოროტითა შეცთომილი, ხოლო მისსა[25] შემდგომად იორდანისა მიერ და მურისა და გუნდრუკისა ესოდენ ამაღლდა, ვიდრეცა სიმაღლისა თანა საღმრთოჲსა თანამავალ იქმნა და თანააღ[122vb]მაღლებულ.

ამისთჳს განამრავლებს მისთა მათ კეთილთა მხიარულებასა სიტყუაჲ ოდესმე მის მიერ ქმნილთა მათ უწესობათა მოკსენებითა, თუ რასა შინა იყო სული პირველ ლიბანისა, რომელ არს გუნდრუკი, და სარწმუნოებისა დასაბამისა და პირველ იორდანეს გამოცხადებულთა ჩუენდა საიდუმლოთა. რამეთუ ვითარცა-იგი მშჳდობით ცხორებაჲ შემდგომად ბრძოლისა უტკბილეს იქმნების, მჭმუნვარეთა მათ ჰამბავთა მიერ შენელებული, და სიმრთელისა კეთილი უფროჲს დაატკბობს საცნობელთა ჩუენთა კორციელთა, უკუეთუ სალმობათა სიმწარისაგან კუალად თავისავე თჳსისა მიიქცის ბუნებაჲ, ეგრეთვე სახედ აღორძინებასა რასმე და განმრავლებასა კეთილთა მხიარულებისასა განაგებდა სიძე იგი სახიერი მისსა მიმართ აღმავალისა სულისასა. ამისთჳსცა არა ხოლო თუ თჳსსა[26] შუენიერებასა უჩუენებს სძალსა, არამედ საშინელსა მასცა ხატსა მკეცთასა მოიკსენებს, რაჲთა უმეტეს ფუფუნეულ იქმნეს მისთა მათ კეთილთა სიმრაულითა, რაჟამს ისწავოს სახისმეტყუელებისა მიერ, თუ ვითარი ვითარისა წილ მოიგო.

და ნუუკუე და სხუაჲცა რაჲ-მე კეთილი განემზადების ამათ მიერ სძალსა განგებულებით? რამეთუ ვინაჲთგან ბუნებით შეცვალებადნი ვართ, ესრეთ ჰნებავს სიტყუასა, რაჲთა არა ბოროტისა მიმართ იქმ-

---

25 მისა C;

26 თუსსა A;

1• ფსალ. 10,9-10;

2• ფსალ. 113,8;

3• τὴν ψυχὴν στιγματίσας PG 44, col. 945 A_{11};

ნებოდის შეცვალებაჲ ჩუენი, არამედ რაჲთა სამარადისოდ უმჯობესისა მიმართ აღორძინებითა თანაშემწედ უმაღლესთა აღსლვათა მიმართ ვიკუმიოთ წოდებაჲ იგი, რაჲთა ქცევადისა მის ბუნებისა ჩუენისა მიერ წარჰვმართოთ ბოროტთა მიმართ უქცეველობაჲ. და ამისთჳს, ვითარცა მასწავლელ რაჲმე და მცველი ბოროტთაგან, უცხო-ყოფისა კსენებაჲ იგი მჴეცთაჲ მათ, რომელნი ოდესმე გუმძლავრობდეს ჩუენ, წარმოაჩინნა სიტყუამან, რაჲთა ბოროტთაგან გარემოქცევითა მიუდრეკელობაჲ და [123ra] უქცეველობაჲ კეთილთა შინა წარვჰმართოთ, რაჲთა არცა კეთილად შეცვალებისაგან დავსცხრებოდით და არცა ბოროტად შევიცვალებოდით.

ამისთჳსცა მოსლვად უბრძანებს სძალსა ლიბანით და საყოფელსა ლომთასა მოაკსენებს, რომელთა-იგი შინა იყოფებოდა და მთათა ვეფხთასა, რომელთა-იგი შინა იქცეოდა, რაჟამს-იგი იყო მჴეცთა საზრდელისა ზიარ.

გარნა ვინაჲთგან კმაჲ სიტყჳსაჲ ყოვლადვე კმაჲ არს ძლიერებისაჲ და ვითარცა-იგი პირველსა მას დაბადებისა ბრძანებასა თანა ნათელიცა წარმოიჩინა და სამყაროჲ გარდაერთხა სხუათა მათ თანა დაბადებულთა, ეგრეთვე სახედ არა სიტყჳსა მიერ განმტკიცნა სული და ესევითარი იქმნა, ვითარ ენება სიტყუასა, და საღმრთოდ შეიცვალა და დიდებითი დიდებად აღვიდა კეთილისა მის შეცვალებისა მიერ, ვიდრეღა იქმნა იგი საკჳრველება ანგელოზთა კრებულისა და ყოველთავე შესხმისა ესე და საკჳრველებისა კმაჲ აღმოთქუეს მისა[27] მიმართ, ვითარმედ:

„გუასურვე ჩუენ, დაო ჩუენო, სძალო“,[1•] რამეთუ ვინაჲთგან უვნებელობისა ხატი ანგელოზთა მობაძვად ბრწყინვიდა მის ზედა, უკორცოთა თჳსებაჲ და დობაჲ მოატყუა მას კორცთა მიერ უვნებელობისა წარმართებამან.

ამისთჳსცა თქუეს მისსა მიმართ, ვითარმედ: *„გუასურვე ჩუენ, დაო ჩუენო, სძალო“* და ორკერძოთა მათ სახელთა მიერ შესხმაჲ მისი ჭეშმარიტი წარმოაჩინეს.

„დად ჩუენდა“ უწოდეს თჳსებისათჳს უვნებელობისა, ხოლო „სძლად“ — შეერთებისათჳს სიტყჳსა. ხოლო სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: *„გუა-*

27 მისსა C;

1• ქ.ქ. 4,9;

სურვე ჩუენ" – ესევითარი არს, ვითარმედ აღაორძინე სურვილი ჩუენი და წადიერ-გუყვენ ჩუენ სიყუარულისა მიმართ საღმრთოჲსა და ვითარცა ეტყოდეს მას, ვითარმედ: გულოვან-გუყვენ ჩუენ.

და რაჲთა უმეტეს განცხადნეს თქუმული ესე, მთარგმა[123rb]ნებელად მისა წმიდაჲ მოციქული შემოვიყვანოთ, რამეთუ იტყჳს წიგნსა შინა ეფესელთასა, რაჟამს დიდი იგი საიდუმლოჲ განკაცებისა და ღმრთისა გამოჩინებისაჲ წარმოგჳთხრა, ვითარმედ: არა ხოლო თუ კაცობრივმან ბუნებამან ისწავნა საღმრთონი საიდუმლონი მადლისა ამის მიერ და განგებულებისა, არამედ მთაერობათაცა და კელმწიფებათა ზეცისათა ეცნობა მრავალფერი იგი სიბრძნე ღმრთისაჲ, ქრისტეს განგებულებისა მიერ კაცთადა გამოცხადებული.

ხოლო სიტყუაჲ იგი ესევითარი არს: „*რაჲთა ეუწყოს აწ მთავრობათა მათ და კელმწიფებათა ზეცისათა ეკლესიისა მიერ მრავალფერი იგი სიბრძნე ღმრთისაჲ გულსმოდგინებისაებრ საუკუნეთაჲსა, რომელი იქმნა ქრისტე იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისა მიერ გუაქუს კადნიერებაჲ და მიახლებაჲ სასოებით სარწმუნოებისა მისისა*".[1•]

და რამეთუ ჭეშმარიტად ეკლესიამან ასწავა უზეშთაესთა მათ ძალთა მრავალფერი იგი სიბრძნე ღმრთისაჲ, რომელი-იგი წინააღმდგომთა საკურველებათა მიერ საკურველთ-მოქმედა დიდებულად და საკურველად, ესე იგი არს, ვითარ იქმნა სიკუდილითა ცხორებაჲ და ცოდვითა – სიმართლე და წყევითა – კურთხევაჲ და შეურაცხებითა – დიდებაჲ და უძლურებითა – ძლიერებაჲ.

რამეთუ უწინარეს ამისა პირველთა მათ ჟამთა მარტივი ხოლო და ერთსახე სიბრძნე ღმრთისაჲ უწყოდეს ზეცისა მკედრობათა, შემსგავსებულად ბუნებისა თჳსისა მოქმედი საკურველებათაჲ.

და მრავალფერ იყო ხილულთა მათ შორის არარაჲ, გარნა ესე ხოლო, ვითარმედ ძალ-უც საღმრთოსა ბუნებასა ყოველთა დაბადებულთა კელმწიფებით დაბადებად და წამის-ყოფითა ხოლო ნებისაჲთა არსთა ბუნებისა არსებად მოყვანებად და ესრეთ ქმნად ყოველისავე, რაჲთა კეთილ იყოს და კეთილ ფრიად და წყაროჲსა მისგან კე[123va]თილთაჲსა აქუნდეს ძირი და აღმოცენებაჲ.

1• ეფეს. 3,10-12;

ხოლო პირად-პირადი ესე სახე სიბრძნისაჲ, წინაუკუმოთა საქმეთა შეთხზულებითა სრულქმნილი, აწ ისწავეს ეკლესიისაგან ღმრთივშუენიერად, თუ ვითარ სიტყუაჲ კორციელ იქმნების, ვითარ ცხორებაჲ სიკუდილსა შეეყოფის, ვითარ თჳსითა წყლულებითა ჩუენსა განჰკურნებს წყლულებასა, ვითარ უძლურებითა ჯუარისაჲთა შეჰმუსრავს ძალსა მკდომისასა, ვითარ უხილავი კორცითა გამოჩნდების, ვითარ მოიყიდის ტყუეთა და იგივე იქმნების საკსარცა და მომსყიდელცა, რამეთუ საკსრად ჩუენდა თავი თჳსი მისცა სიკუდიდ, და თუ ვითარ სიკუდილსაცა მიითუალავს და ცხორებისაგანცა[28] არა განეშორების, და თუ ვითარ მონათაცა შეერთვის და მეუფედცა ჰგიეს.

რამეთუ ესე ყოველი და ესევითარი არა მარტივი, არამედ პირად-პირადი საქმე სიბრძნისაჲ მეგობართა სიძისათა ეკლესიისაგან[29] ისწავეს და გულქუელ იქმნნეს და სურვილი შესძინეს სურვილსა ზედა და სწუაჲ სახე საღმრთოჲსა სიბრძნისაჲ საიდუმლოჲსა ამის მიერ გულისკმა-ყვეს.

და უკუეთუ არა კადნიერ არს თქუმად, ნუუკუე და მათცა სძლისა მიერ განიცადეს შუენიერებაჲ სიძისაჲ?

და განჰკრთეს და განკჳრდეს, თუ ვითარ ყოველთა არსთაგან უხილავმან და მიუწდომელმან, *„რომელი არასადა ვინ იხილა, ვერცა ხილვად შემძლებელ არს“*,[1•] ამან ეკლესიაჲ თჳსად გუამად გამოაჩინა და შეძინებითა ცხოვრებულთაჲთა აღაშენებს თავსა თჳსსა სიყუარულისა მიერ, *„ვიდრემდის ვიქმნნეთ ყოველნი მამაკაცად სრულად, საზომად ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა“*.[2•]

აწ უკუე, ვინაჲთგან გუამ ქრისტესა არს ეკლესიაჲ და თავ გუამისა არს ქრისტე და მსგავსებითა თჳსითა გამოხატავს პირსა ეკლესი[123vb] ისასა, ნუუკუე და ესე განიცადეს მეგობართა სიძისათა და ელმოდა[30] გული სურვილითა, რამეთუ უხილავსა მას უგანცხადებულესად ხედვენ მის შორის, ვითარცა-იგი რომელთა სიმრგულე მზისაჲ ვერ ეძლის ხილვად და წყლისა სიწმიდესა შინა იხილიან მსგავსებაჲ მისი,

---

28 ცხოვრებისაგანაც C;

29 ეკკლესიისათა C;

30 ელმა C;

1• I ტიმ. 6,16;

2• ეფეს. 4,13;

ეგრეთცა იგინი ეკლესიისა შორის, ვითარცა განწმედილისა სარკისა, მზესა მას სიმართლისასა განიცდიან, ესე იგი არს ხილულისა მიერ უხილავსა.

და ამისთჳს არაერთგზის თქუმულ არს სძლისა მიმართ მეგობართა მიერ სიძისათა, ვითარმედ: *„გუასურვე ჩუენ“*, რომელ არს, ვითარმედ ძალი რაჲმე და გულისკმის-ყოფაჲ განცდად ნათლისა თავისა მიერ შენისა დაჰნერგე ჩუენ შორის, ფრიად სასურველი და საწადელი; არამედ მეორედცა მასვე სიტყუასა მოაქცევენ, რაჲთა ამის მიერ უმეტეს სარწმუნო-ყონ თქუმული იგი და იტყჳან: *„გული გუალმე ჩუენ ერთითა თუალითა შენთაჲთა“*,[1•] ვინაჲცა ესე არს, რომელმან მეგობართა იგი სიძისათჳს სიყუარული უფროჲს განსაკრთომელ-ყო, რამეთუ ვინაჲთგან მრჩობლი არს სულსა შორის მხედველობისა ძალი და ერთითა მით ჭეშმარიტებასა განიცდის, ხოლო მეორითა ამაოებათა მიმართ შეცთომილ იქმნების, და ვინაჲთგან ერთისა მის ხოლო ბუნებით კეთილისა მიმართ განღებულ არს უბიწოჲ იგი თუალი სძლისაჲ, ხოლო მეორე დაწუხჳილ არს, ამისთჳსცა ერთისა თუალისა ქებასა წარმოაჩენენ მეგობარნი, რომლითა-იგი ხოლო ხედავს მხოლოსა.

და მას ვიტყჳ მხოლოსა, რომელი-იგი უქცეველითა მით და სამარადისოჲთა და მიუწდომელითა ბუნებითა იცნობების, რომელ არს ჭეშმარიტი იგი მამაჲ და მხოლოდშობილი ძე და სული ყოველადწმიდაჲ,

რამეთუ ჭეშმარიტად მხოლოჲ არს, რომელი-იგი ერთითა ბუნებითა იხილვების და არცა ერთსა რას განყოფილებასა, გინა გან[124ra]კუეთასა შემოიღებს თუთებისათჳს გუამთაჲსა.

რამეთუ არიან ვიეთნიმე, რომელნი უარსებოთა საქმეთა მრავალსახედ ხედვენ და მიმოქცევადთა მათ თუალთა მიერ მრავალთა ბუნებათა განყოფასა ბოროტად განიცდიან და მახჳლად და ფრთხილად ხედვითა უცნებათაჲთა მი-მო-ეკუეთებიან.

ესენი არიან, რომელთა მრავალმხედველ ეწოდების, რომელნი-იგი მრავლად მხედველობითა მათითა არცაღა თუ ერთსა რას ხედვენ და რომელნი-იგი ოდესმე ღმრთისა მიმართ ხედვენ[31] და კუალად ნივთიერთა საოცრებათა მიმართ მი-მო-ეკუეთებიან, უარსებოთა მათ საოცრებათა შემშჭუალვითა უღირს არიან იგინი ანგელოზთამიერისა შესხმისა.

---

31 ხედეედ C;

1• ჯ.ჯ. 4,9;

ხოლო რომელი ღმრთისა მიმართ ხოლო ხედვიდეს ფრთხილად და მახჯლად, სხუათა მიმართ ყოველთა ხედვათა, რომელთა მიმართ თუალნი მრავალთანი ხედევენ, ბრმა არს. ამისთჳს ერთითა თუალითა განაკჳრვებს სძალი მეგობართა სიძისათა, ვინაჲცა ბრმა არს მრავალთუალი იგი, რომელი ამაოებათა მიმართ მრაველითა თუალითა ხედავს, ხოლო იგი მალემხედველ და სულითა მხედველ, რომელი ერთითა მით თუალითა სულისაჲთა ერთისა მის ხოლო და მხოლოჲსა კეთილისა მიმართ ხედავს.

ხოლო რაჲ არს ერთი იგი თუალი და რაჲ არს[32] ერთი იგი მძივი სძლისა ყელისაჲ, არა ძნელ არს ზემოთქუმულთაგან გულისკმის-ყოფაჲ, დაღაცათუ რეცა არა ცხად არს წარმოჩენაჲ მათი, რამეთუ ესრეთ იტყჳს სიტყუაჲ იგი, ვითარმედ:

„გული გულმე ჩუენ ერთითა თუალთა შენთაჲთა და ერთითა მძივითა ყელისა შენისაჲთა“, რამეთუ ერთი იგი და ერთითა თუალთა შენთაჲთა ერთ არიან ერთისა მის სულისა თანა შეტყუებითა.

რამეთუ თითოეულსა [124rb] უწურთელთაგანსა თანა მრავალნი სულნი გამოჩნდებიან, რომელთა შორის ვნებანი მძლავრებისა მიერ სულისა წილ შეიცვალებიან და ადგილთა სულისათა დაიპყრობენ, რომელ არიან მწუხარებაჲ და განსუენებაჲ, გულისწყრომაჲ და შიში, სიჯაბნე და თაყჳედობაჲ. ესენი არიან, რომელნი ესრეთვე[33] სახედ შესცვალე შენ ხატსა სულისასა და მრავალსულ იქმნებიან მის შორის; ხოლო რომელი სიტყჳსა მიმართ ხედვიდეს მარტივითა მით სათნოდ ცხორებითა, ეგევითარი იგი წამებულ არს, ვითარმედ ერთისა სულისა თანა ცხოველ არს, ვინაჲცა ერთითა პირველისავე სიტყჳსა ძალსა გულისკმა-გჳყოფს, ანუ თუ ერთსა სულსა, ანუ თუ ერთსა ცხორებასა და ერთსა წესიერებასა.

ხოლო შემდგომსა მას სხუაჲ ძალი აქუს. ესე იგი არს, ვითარმედ: *„ერთითა მძივითა ყელისა შენისაჲთა“*,[1•] რომელი-ესე ესრეთ გულისკმა-იყოფების[34], ვითარმედ შენი თუალიცა ერთ არს ერთისა მიმართ ხედვითა და სულიცა ერთ არს ამისთჳს, რამეთუ არა განწჳალებულ

---

32 არს]-C;

33 ესრეთვეთ A;

34 გულისკმა-იყოფების] იყოფების C;

1• ქ.ქ. 4,9;

არს იგი მრავალთა მიმართ სიყუარულითა, და აგებულებასაცა ყელისა შენისასა სისრულე მაღალი მოუგიეს, რომელ არს საღმრთოჲსა უღლისა[35] ტჳრთვაჲ მას ზედა, რამეთუ ვინაჲთგან ერთისა მძივისა მიერ ყელისა შენისა უღელსა საღმრთოსა განვიცდით შენ ზედა, ხოლო ჰეშმარიტთა მათ კეთილთა სიყუარულითა ერთსა თუალსა და ერთსა სულსა ამისთჳს აღვიარებთ, ვითარმედ საკჳრველებათა შენთა მიერ გულქჳელ გუყვენ ჩუენ, რამეთუ ერთსა თუალსა აჩუენებ და ერთსა სულსა ერთითა მით მძივითა ყელისა შენისაჲთა.

ხოლო ერთი მძივი სძლისა ყელისაჲ არს უღელი ქრისტესი, ვითარცა ეთქუთ. ესე უკუე არს ქებაჲ ანგელოზთაჲ, რომელი სძლისათჳს წარმოაჩინეს, რამეთუ მეგობრად სიძისა ამათ გულისკმა-ჰყოფთ[36].

და რაჲთა არავის ეგონოს, ვითარმედ განუ[124va]ნახველად და გამოუძიებელად წარმოეჩინების ქებაჲ მათი, დაამტკიცებს სიტყუაჲ შესხმასა მათსა და უფროჲსთა საკჳრველებათა თავით შესძინებს სიკეთისა მისისა წამებითა და ასოთა მისთა შუენიერებათა გამოსახავს სიტყუთა თჳსითა, რომელი-იგი შემდგომითი შემდგომად შეესძინოთ ნებითა ღმრთისაჲთა, უკუეთუ შეგუეწიოს ჩუენ საღმრთოჲ ძლიერებაჲ განცდად საიდუმლოთა გულისკმის-საყოფელად[37] ეკლესიისა და საქებელად დიდებასა მადლისა მისისასა ქრისტე იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომელსა შუენის დიდებაჲ და პატივი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

35 უღლისაჲ A;

36 გულისხმა-ჳყოფთ C;

37 გულისხმის-საყოფად C;

ᲒᲐᲮᲜᲐ IX

სიტყუაჲ ესე:

4,10. რაბამ განშუენდეს ძუძუნი შენნი უფროჲს ღუინისა, დაო ჩემო, სძალო! რავდენ განშუენდეს ძუძუნი შენნი ღუინისაგან და სული მიჰრონთა შენთაჲ უფროჲს ყოველთა ნელსაცხებელთა!

4,11. თაფლი დამოსწუთის ბაგეთა შენთა, სძალო, თაფლი, და სძე ქუეშე[1] ენასა შენსა. და სულნელებაჲ სამოსელთა შენთაჲ ვითარცა სულნელებაჲ ლიბანისაჲ.

4,12. მტილი მოკრძალული არს დაჲ ჩემი, სძალი, მტილი დაკშული და წყაროჲ დაბეჭდული.

4,13. მოციქულებანნი შენნი — სამოთხე მრონწეულთა ნაყოფსა თანა ხილნარისასა, კუპრი ნარდიონითურთ;

4,14. ნარდიონი და ქურქუმაჲ, საკუმეველი ლერწმისაჲ და კინამოჲ ყოველთა თანა ხეთა ლიბანისათა; მური და ალოჲ ყოველთა თანა პირველთა ნელსაცხებელთა.

4,15. წყაროჲ მტილი და ჯურღმული წყლისა ცხოველისაჲ და მძაფრ მომავალისაჲ ლიბანით.

„უკუეთუ ქრისტეს თანა აღდგომილ ხართ, ზეცისასა ზრახეოდით და ნუ ქუეყანისასა“, ამას იტყჳს თქუენდა მიმართ, რომელი-იგი იტყოდა პავლეს შორის, რამეთუ წამებს, ვითარმედ: *„მოჰკუედით და ცხორებაჲ თქუენი დაფარულ არს [124vb] ქრისტეთურთ ღმრთისა თანა და რაჟამს ქრისტე გამოცხადნეს, ცხორებაჲ თქუენი, მაშინ თქუენცა გამოსცხადნეთ დიდებით“.*[1•]

აწ უკუე, უკუეთუ მომკუდარ ვართ ქუეყანისა ბუნებისაგან, ქუეყანით ზეცად მიმართ ავამაღლოთ[2] სასოებაჲ ცხორებისა ჩუენისაჲ და უკუეთუ ჯორცთა ცხორებაჲ დაფარულ არს ჩუენგან სიტყჳსა მისებრ იგავთაჲსა, რომელი იტყჳს, ვითარმედ: *„ბრძენთა დაიფარიან გრძნობაჲ“*[2•] და ჭეშმარიტისა ცხორებისა ჩუენ შორის გამოცხადებასა მოველით,

---

1 ქუშე A;

2 აღვამაღლოთ B;

1• კოლას. 3,4-5;

2• იგავ. 10,14;

რომელ არს ქრისტე, რაჲთა ჩუენცა დიდებით გამოვცხადნეთ,[3] საღმრთოდ შეცვალებულნი.

ესრეთ ვისმინნეთ აწ აღმოკითხულნი ესე, ვითარმცა მომკუდარ ვიყვენით კორცითა და ნუცამცა ერთისა მიმართ კორცთა გონებისა მივითრევით სიტყუათა ამათ მიერ, რამეთუ რომელი მოკუდეს ენებათაგან და გულისთქუმათა, და სიწმიდისა და უხრწნელებისა ძალად მიიხუამს საღმრთოთა სიტყუათა წარმოჩინებასა, რამეთუ ზეცისასა ზრახავს, სადაცა-იგი თჳთ ქრისტე არს მარჯუენით მამისა მჯდომარე, სადაიგი მდაბალთა და ენებულთა გულისზრახვათა ბიწი არა იხილევების, არამედ ყოვლისავე ესევითარისა დავიწყებაჲ იქმნების.

აწ უკუე ვისმინნეთ საღმრთონი იგი სიტყუანი, რომელთა მიერ გამოსახავს საღმრთოჲ წერილი უბიწოჲსა მის სძლისა შუენიერებასა, ხოლო ესრეთ ვისმინნეთ, ვითარცა უცხოთა კორცთა და სისხლთაგან და სულიერად ბუნებაშეცვალებულთა, რამეთუ იტყჳს: *„რაბამ განშუენდეს ძუძუნი შენნი უფროჲს ღჳნისა, დაო ჩემო სძალო, რაოდენ*[4] *განშუენდეს ძუძუნი შენნი ღჳნისაგან და სული მიჰრონთა*[5] *შენთაჲ უფროჲს ყოველთა ნელსაცხებელთა“*.[1•]

ესე უკუე, ვითარმედ: ყოველმან, რომელმან ყოს ნებაჲ ღმრთისაჲ, ძმა არს მისა, და და დედა; და რამეთუ რომელი შეეყოს უფალსა, ქალწულად წმიდად და ზიარ უხრწნელისა მის სასძლოჲსა იწოდების — საჩინო არს და ცხად [125ra] ყოვლისავე, რომელი არა უმეცარ იყოს საღმრთოთა წერილთა.

ხოლო მე საღმრთოჲსა ამის სიტყჳსა ძალი გამოვიძიე და ესევითარისა ამის წოდებისაგან არა მარტივსა ქებასა ვხედავ სიტყჳსა მიერ სძლისა მიძღუნებულსა, არამედ მიზეზთა შუენიერებად აღორძინებისა მისისათა ვიტყჳ სიძისა მიერ წარმოთქუმად, რამეთუ არამცა განშუენებულ იყო, ვითარცა კეთილთა მათ მოძღურებათა წყაროჲთა, რომელთაცა სახისმეტყუელებით ძუძუდ საბელ-სდებს,[6] უკუეთუმცა პირველ კეთილთა საქმეთა მიერ თავი თჳსი არა გამოეჩინა დად უფლისა, და

---

3 გამოჰსცხადნეთ C;

4 რავდენ B;

5 მირონთა C;

6 სახელ-ჰდებს C;

1• ქ.ქ. 4,10;

მეორედ შობისა მიერ ქალწულებითა წმიდითა არა განახლებულ იყო და დაწინდებულ და სძალ დამწინდებელისა მის არა გამოჩინებულ.

აწ უკუე, რომელმან-იგი დად თჳსა და სძლად სახელ-სდვა[7], მას მიზეზსა იტყჳს უაღრესად და უსრულესად ძუძუთა მისთა შეცვალებისასა, რომელნი-იგი არღარა ჩჩჳლთა საზრდელსა სძესა აღმოაცენებენ, არამედ უხრწნელსა ღჳნოსა, მახარებელსა სრულთასა, აღმოდიან[8], რომლისა-იგი მადლი წყლისა აღრევამან ვაჭართამან ვერ განრყუნა; ხოლო რეცა ქორწინებისა სიხარული რაჲმე წარმოიჩინების თქუმულთა ამათ მიერ და სიყუარულისა[9] მოწლებაჲ[10] — ორკერძოვე ურთიერთ არს მინიჭებული სასძლოჲსა ტრფიალებისა საბითა და მოწლებითა.

რამეთუ მისთავე მობაძავთა ქმათა მიერ შეასხამს სიძე ეკლესიასა, ვითართამიერი-იგი მან პირველ შუენიერებაჲ მისი ადიდა. რამეთუ მეყსეულად პირველთავე სიტყუათა შინა, რაჟამს-იგი საღმრთოჲსა სიტყჳსა და ქმისა სმენად სურვიელ იქმნა პირისაგან მისისა, და ამბორისყოფისა საბითა ესე გამოსახა და მიზეზად ესევითარისა გულისთქუმისა ძუძუთა მისთა სიკეთე წარმოაჩინა და კეთილ უწოდა [125rb] უფროჲს ბუნებისა ღჳნისასა და აღმატებულ ყოველთა მიჰრონთა და ნელსაცხებელთა სულნელებისა და თქუა, ვითარმედ: *„კეთილ არიან ძუძუნი შენნი უფროჲს ღჳნისა და სულნელებაჲ[11] მიჰრონთა შენთაჲ უფროჲს ყოველთა ნელსაცხებელთა“*.

და ვინაჲთგან ესე მოძღურებაჲ სხუათაცა ყოველთაცე საღმრთოთა სიბრძნისმეტყუელებათა შინა გუსწავიეს, მარადის ესრეთ შეიცვალების ჩუენდა მომართ ღმერთი, ვითარიცა გონებაჲ ვაჩუენოთ ჩუენ ღმრთისა მიმართ.

რამეთუ დავით წამებს[12] წინაჲსწარმეტყუელებით და იტყჳს, ვითარმედ: *„ვითარ კეთილ არს ღმერთი გულითა წრფელთათჳს“*,[1a] ხოლო განმკეცებულთათჳს ცხორებითა სხუაჲ რომელიმე წინაჲსწარმეტყუელი

---

7 სახელ-ჰსდვა C;

8 აღმოჰსდიან C;

9 სიხარულისა C;

10 მოწილება C;

11 სუნნელება C;

12 ჰსწამებს C;

1a ფსალ. 72,1

დათუად უწესს მას და ვეფხად[1•] და სახისმეტყუელებით სახარებისა მოძღურებათა წარმოაჩინებს, რომელთა მიერ სხუთა სახითა ეჩუენების მარცხენითთა მათ და სხუთა სახითა — მარჯუენითთა, ერთთა მათ ტკბილად და სახიერად, ხოლო მეორეთა მათ — საშინელად და საზარელად, რამეთუ შემსგავსებულად ნებისა და გონებისა მათისა ორკერძოვე შეიცვალების.

ამისვე უკუე მადლისათჳს და აწცა შემსგავსებულად სძლისა ნებისა მისაგებელი სიძისაჲ წარმოიჩინების და რომელთა-იგი მიერ მან ადიდა შუენიერებაჲ მეუფისაჲ, მსგავსთავე მათთა შესხმათა წინა-უყოფს მას მეუფე.

რამეთუ მიითუალავს იგიცა საქმეთა მიერ კეთილთა უმჯობესად შეცვალებასა ძუძუსა მისთასა, რამეთუ სძისმცენარებისაგან დასცხრეს და არღარა სძესა, არამედ ღჳნოსა აღმოაცენებენ, რომლისა მიერ განსრულებულთა გულთა სიხარული იქმნების, რომელნი-იგი არღარა იღელვებოდინ სიჩჩოჲსაგან, არამედ ტაკუკთაგან სიბრძნისათა განძღომად შემძლებელ იყვნენ და მტკიცისა საზრდელისა ჭამად პირითა.

აქნა უკუე ძუძუნი მისნი სახითა ღჳნისაჲთა [125va] და შესძინა ქებასა მას სულნელებაჲცა[13] და თქუა, ვითარმედ:

„და სული მიჰრონთა შენთაჲ უფროჲს ყოველთა ნელსაცხებელთა“; ხოლო ჯერ-არს, რაჲთა ესევითარი ესე ქებაჲ, სახელდებული წმიდათა წერილთაგან, არა ესრეთ გულისკმა-ვყოთ, ვითარმცა მათ ნელსაცხებელთა იტყოდა, რაოდენი-იგი ყნოსისა მიერ საშუებელ საყნოსელთა იქმნებიან, არამედ მათ ნელსაცხებელთა იტყჳს, რაოდენნი-იგი[14] წმიდათა წერილთაგან გჳსწავიან, ვითარ-იგი ნოე შეწირა მსხუერპლი ღმრთისა და იყნოსა იგი უფალმან სულად სულნელებისა, ვინაჲცა ნელსაცხებელ ღმრთისა ესევითარი მსხუერპლი იქმნების.

და სხუანიცა მრავალნი ესევითარნი მსხუერპლნი შეიწირნეს ღმრთისა ამისა შემდგომად შჯულისაგან — სალხინებელნი და სამადლობელნი და ცხორებისანი და განსაწმედელნი და ცოდვათათჳს.

ესე ყოველნი გულისკმა-ყვენ ნელსაცხებელად და კუალად ყოვლადდასაწუელნი და საკუერთხნი და განზოგებულნი იგი ნაკეთალთა

---

13 სუნნელება C;

14 რაჲდენნი-იგი B;

1• ოს. 13,7-8;

შესაწირავნი, გული იგი სამღდელოჲ და კერძოჲ ღუძლისაჲ და ცმელი თირკუმელთაჲ და ამათ თანა – გუნდრუკი და სამინდოჲ, ზეთითა შეზელილი, და საკუმეველი იგი სულნელთაჲ და სხუაჲ ყოველივე, რავდენიცა ცეცხლისაგან განიწმიდნებოდა, ნელსაცხებელთავე ამათ მწყობრსა შინა დააწესე.

აწ უკუე, რაჟამს გუესმეს ნელსაცხებელი სძლისაჲ უფროჲს ყოველთა ნელსაცხებელთაჲსა, პატიოსნად და შეწირულად ამას გულისკმა-ვჰყოფთ[15], ვითარმედ ჭეშმარიტებისა საიდუმლოჲ, სახარებისა მოძღურებისაგან აღსრულებული, ხოლო არს საღმრთო სულნელება და [125vb] უაღრეს ყოველთა მათ შჯულიერთა ნელსაცხებელთა, ვინაჲთგან არღარა არს იგი სახითა რაჲთმე და აჩრდილითა დაფარულ, არამედ გამოცხადებითა ჭეშმარიტებისაჲთა შენელებულ.

რამეთუ დაღაცათუ პირველთა მათ ნელსაცხებელთაგანი რაჲმე იყნოსა უფალმან სულად სულნელებისა, თუთოეული მათი ძალისაებრ და გონებისა[16] შემწირველთაჲსა ღირს-იქმნა მითუალვასა მათსა და არა საჩინოდ აღსრულებულისა მისებრ სახისა და წესისა საქმეთაჲსა.

და ესე ცხად არს მაღლისა მისგან საწინაჲსწარმეტყუელოჲსა კმისა, რომელი იტყუს, ვითარმედ: *„არა შევიწირნე მე სახლისა შენისაგან ზუარაკნი და არცა არეისა შენისაგან ვაცნი, რამეთუ არა ვჰპოო მე კორცი ზუარაკთაჲ, არცა სისხლი ვაცთაჲ ვსუა მე“*.[1•]

დაღათუ მრავალგზის იქმნნეს ცხოველთა დაწყუედითა შესაწირავნი, არამედ დაღაცათუ ესევითარი რაჲმე იქმნეს, სხუაჲ არს შენდა სახისა მის მიერ მოსწავებული შჯულისდებაჲ, რომელ არს ვნებათა იგი დაკლვაჲ და დაწყუედაჲ, ვითარცა იტყუს, ვითარმედ:

„მსხუერპლ ღმრთისა არს სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხ-ყოს“.[2•]

და ესრეთვე შეიმზადების მსხუერპლი ქებისაჲ ჩუენ მიერ, რომელი იქმნების სადიდებელად მისა, რომელი-იგი იყნოსს ესევითართა სულნელთა სულად სულნელად. და ვინაჲთგან ყოველივე იგი სახენი შჯუ-

15 გულისხმა-ვყოფთ C;
16 მოგონებისა B;

1• ფსალ. 49,9; 49,13;
2• ფსალ. 50,19;

ლისა ნელსაცხებელთანი თანა-წარვლნა და ზეშთა იქმნა[17] სული იგი, რომელი, სიტყჳსა მისებრ სამოციქულოჲსა, სულნელება ქრისტესა იქმნა[1•] სათნოდ ცხორებითა და მიჰრონ[18] სამღდელო და საკუმევ-ელ შეზავებულ, [126ra] პირად-პირადთა მათ სათნოებათა ყუავილითა შენელებულ და კეთილად შესურნელებულ, რომლისა ყნოსაჲ მიი-თუალა საყნოსელმან სიძისამან სულად სულნელებისა, ვინაჲცა საღმ-რთოჲ საცნობელი, ვითარცა სოლომონ სახელ-სდებს, კორციელთა მათ და შჯულიერთა ნელსაცხებელთა მიერ უნივთოსა მას და წმიდასა წინა-უყოფს სათნოებათა მიერ შეზავებულსა სულნელებასა და იტყჳს, ვითარმედ: *„და სული მიჰრონთა[19] შენთაჲ უფროჲს ყოველთა ნელ-საცხებელთა“.*

ხოლო შემდგომი სიტყუაჲ უმაღლესისა ქებისა მიმართ აღიყვანებს ქებასა და სულიერთა მათ მადლთა სიმდიდრესა წურთისაგან და კრძა-ლულებისა მოგებულად მის მიერ წამებს და დაამტკიცებს, ვინაჲთ-გან სიტყუაჲ იგი იგავთაჲ მოწაფესა მას სიბრძნისასა ფუტკრისა მიმართ უბრძანებს მისლვად (ხოლო შენ სწავლათაგან მასწავლელი იგი გულისკმა-ყავ[20], თუ ვინ არს), რამეთუ ეტყჳს ტრფიალთა მათ სიბრძნისათა, ვითარმედ: *„წარვედით ფუტკრისა მიმართ და ისწავეთ, ვითარ-იგი მოქმედ არს და საქმესა მას თჳსსა, ვითარცა პატიოსანსა, წარმოაჩინებს, რომლისა-იგი ნაშრომსა მეფენი და გლახაკნი სიცოცხ-ლედ მიიღებენ“*[2•] და სასურველად ყოველთა უწესს მას და საქებელად უძლურად ძალითა, ხოლო ძლიერად — სიბრძნითა და ვითარმედ სი-ბრძნესა პატივ-სცაო. და ამისთჳს წარმოიჩინა იგავად მოღუაწეთა და სათნოთა ცხორებისა, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ სიბრძნესა პატივ-სცა და წარმოიჩინა.

და თქუმულთა ამათ მიერ განაზრახებს, რაჲთა არცა ერთი უგულებ-ელს-ჰყოს კეთილთა სწავლათაჲ, არამედ რაჲთა მი-მო-ფრინვიდეს, ყუავილოვანსა კეთილთა სიტყუათასა და ძალად სიბრძნისა თითოეუ-

---

17 ზესთა-ექმნა C;

18 მირონ C;

19 მირონთა C;

20 გულისხმა-ჰყავ C;

1• შდრ. II კორ. 2,15;

2• იგ. 22,13;

ლისა წიგნისა ყუავილსა შეიკრებდეს და შეუმზა[126rb]დებდეს თავსა თჳსსა საღმრთოსა გოლეულსა და ვითარცა სკასა რასმე შინა, გულსა თჳსსა საქმისმოყუარებასა[21] მას დაიუნჯებდეს; და ვითარცა კურელთა რათმე გოლეულისათა, მრავალსახეთა მათ სწავლათა შეურევნელითა კსენებითა ოთხკედელთა მათ საუნჯეთა შინა სცვიდეს.

და ესრეთ მსგავსად ბრძნისა მის ფუტკრისა, რომლისა-იგი ტკბილ არს გოლეული და არამომწყლველ[22] ისარი, პატიოსანსა ამას სათნოებათა ნამუშაკევსა სამარადისოდ მოივაჭრებდეს.

რამეთუ ჭეშმარიტად მოივაჭრებს, რომელმან საუკუნენი იგი კეთილნი საწუთროჲთა ამით შრომითა მოიყიდნეს და თჳსნი ნამუშაკევნი სიცოცხლედ სულიერად მეფეთა და გლახაკთა განუყვნეს[23]. და ამის მიერ ესევითარი იგი სული სასურველ იქმნეს სიძისა და საწადელ ანგელოზთა და უძლურებასა შინა აღასრულოს ძლიერებაჲ პატივითა სიბრძნისაჲთა.

ხოლო ვინაჲთგან სწავლისა და მოღუაწებისა სახე არს იგავი იგი ბრძნისა მის ფუტკრისაჲ და მრავალსახენი სულიერთა მადლთა განყოფილებანი შემსგავსებულად მოსწრაფებისა მოღუაწეთა მათ მოეტყუებიან, ამისთჳს იტყჳს სძლისა მიმართ, ვითარმედ: აღსავსე იქმნა გული შენი გოლეულისაგან მრავალფერთა სწავლათაჲსა, ვინაჲცა აღმოაცენებ კეთილთაგან საუნჯეთა გულისა შენისათა ცუარსა თაფლმწოლვარეთა მათ სიტყუათასა, ვიდრეცა არიან სიტყუანი შენნი თაფლითა და სძითა განზავებულ, ვინაჲცა იტყჳს: *„თაფლი დამოსწუთის ენასა შენსა, სძალო, თაფლი და სძე ენასა ქუეშე შენსა“*[1•]

რამეთუ ესევითარნი არიან სიტყუანი შენნი, ვიდრეცა არა მარტივსა სარგებელსა წინა-უყოფენ მსმენელთა, არამედ შემსგავსებულად მსმენელთა მათ ძალისა შეიცვალებიან იგინი, ვიდრეცა სრულთაცა და ჩჩჳლთაცა განე[126va]საკუთრებიან, რამეთუ სრულთა მათ თაფლ, ხოლო ჩჩჳლთა მათ სძე ექმნებიან, ვითარი იყო პაულე, რამეთუ რომელთამე, ვითარცა ახალშობილთა, ლბილთა სიტყუათა მიერ მზარდულ ექმნებოდა, ხოლო სრულთა მათ შორის სიბრძნესა ზრახვიდა, საიდუმლოდ

---

21 სქემისმოყუარებასა C;

22 არამომრწყუელ C;

23 განოყვნეს A;

1• ქ.ქ. 4,11;

დაფარულსა საუკუნეთაჲთგან, რომელსა ვერ დაიტევს სოფელი ესე, ვერცა მთავარნი ამის სოფლისანი.

და ესევითარსა ამას შეზავებასა სძისა და თაფლისასა ენასა ქუეშე[24] იტყჳს დაუნჯებულად და მარჯუედ, ოდესცა ენებოს წარმოჩინებად სიტყჳსა.

რამეთუ რომელმან უწყოდის, თუ ვითარ ჯერ-არს თითოეულისა მიგებად სიტყჳსა და აქუნდეს მრავალფერი იგი ძალი სიტყჳსაჲ, თითოეულსა მსმენელსა, შემსგავსებულად საკმრისა, კელთ-უდებს წესსა მეტყჳელებისასა.

და ესევითარი რაჲ ქებაჲ შეასხა პირსა და ენასა სძლისასა, კუალად უმაღლესთა შესხმათა მიმართ ამაღლდების[25] და იტყჳს, ვითარმედ: სულნელებაჲ სამოსელთა შენთაჲ — ვითარცა სულნელებაჲ ლიბანისაჲ, ესე იგი არს გუნდრუკოვანისაჲ.

ხოლო სიტყჳაჲ ესე სიბრძნისმეტყჳელებაჲ არს, რომელი უჩუენებს, თუ რაჲსა მიმართ ჯერ-არს, რაჲთა ხედვიდეს სათნოჲთ ცხორებაჲ კაცთა არსებისაჲ, რამეთუ თავი და აღსასრული სათნოჲსა ცხორებისაჲ მსგავსებაჲ არს ღმრთისაჲ და გინა თუ წმიდაჲ და უბიწოჲ სულისა სიწმიდე და შეურევნელი ყოვლისაჲე ვნებულისა სიყუარულისაგან მოღუაწებისა მიერ წარემართების სათნოთა შორის ამის მადლისათჳს და გინა თუ სხუაჲ რომელიმე დიდთა მათ მოღუაწებათაგანი, რაჲთა მსგავსებაჲ რაჲმე აღმატებულისა მის ბუნებისა სიმაღლისა მის მიერ და უნივთოჲსა ცხორებისა იქმნეს მათ შორისცა.

და ვინაჲთგან არა ერთგუარი არს და არცა ერთსახე წესი სათნოჲსა მოქალაქობისაჲ, არამედ ვითარცა-იგი ნაქსო[126vb]ვისა აგებულებაჲ მრავალთა საქუსალთა მიერ და ზედათა შეიმზადების და ესრეთ ქსოვისა მიერ აღკუეთაჲ სამოსლისაჲ სრულ-იქმნების, ეგრეთვე სათნოჲსა ცხორებისათჳს მრავალთა ნივთთა ჯერ-არს შემზადებაჲ, რომელთა მიერ იქსოვების საღმრთოჲ ცხორებაჲ, ვითარცა-იგი აღჰრაცხს[26] წმიდაჲ მოციქული ესევითართა მათ ნივთთა, რომელთა მიერ წმიდაჲ იგი წესი ესევითარისა მის ქსოვისაჲ სრულ-იქმნების. რამეთუ იტყჳს სიყუარულსა და სიხარულსა და მშჳდობასა და სულგრძელებაჲ-

24 ქუე C;

25 აღმაღლდების B;

26 აღრაცხს C;

სა და სიტკბოებასა[1*] და ყოველთავე მათ ესევითართა, რომელთა მიერ შეიმკობვის, რომელმან-იგი ქუეყანისა და განხრწნადისა ცხორებისაგან ზეცათა უხრწნელებაჲ შეიმოსა.

და მის პირისათჳს მიითუალავს სძლისა სამოსლისა სამკაულსა, ვითარცა სულნელებასა გუნდრუკისასა.

დაღაცათუ პირველ ამისსა მიჰრონი იგი სძლისაჲ ყოველთა ნელსაცხებელთა უაღრეს გამოაჩინა სულნელებითა, ვიდრეღა საგონებელ არს, თუ დამჴსნელ არს ესე სულისა მის შესხმისა, რამეთუ რომელი-იგი მუნ ყოველთა ნელსაცხებელთა აღემატა, აწ ერთსა საკუმეველსა ემსგავსების, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: ვითარცა არს სულნელებაჲ გუნდრუკისაჲ, ესრეთ არს სულნელებაჲ სამოსელთა შენთაჲ.

გარნა ვინაჲთგან განგებულებითა რაჲთმე პატივად საღმრთოდ განკუთნჳილ არს გუნდრუკი, ამისთჳს უფროჲსი იგი ყოველთა ნელსაცხებელთაჲ ერთსა ღმრთეებისათჳს განკუთნჳილსა საკუმეველსა მიემსგაესა. და გონებაჲ იგავისაჲ ამის ესევითარი არს, ვითარმედ: ჶ სძალო, აღმატებაჲ სათნოებათა შენთაჲ მსგავს იქმნების საღმრთოჲსა ნეტარებისა სიწმიდისა მიერ და უვნებელობისა, უხრწნელისა მის ბუნებისა მობაძავქმნილი; და ვითარმედ ესევითარი არს სამოსელთა შენთა სულნელებაჲ, ვიდრეღა მსგავს არს იგი გუნდრუკსა, რომელი-იგი საღმრთოდ პატივად და შესაწირავად განწესე[127ra]ბულ არს.

და კუალად შემდგომთა მათ ქებათაგან ვისწავებთ, თუ ვითარ ვინ იქმნეს სძალ სამეუფო და დად უფლისა, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„მტილი მოკრძალულ არს დაჲ ჩემი სძალი“*.[2*] ესე იგი არს, ვითარმედ რომელსაცა ჰნებავს, რაჲთა ზიარებითა საღმრთოჲთა იქმნეს სძალ და ნებისა ღმრთისა აღსრულებითა იქმნეს დად მისა, ვითარცა იტყჳს სახარებაჲ, პირველად იქმენინ მტილ აღყუავებულ და ყოველთავე ნერგთა შუენიერებაჲმცა ყუავის მის შორის, რომელ არს სიტკბოებაჲ ლელუსაჲ და ნაყოფიერებაჲ ზეთისხილისაჲ და სიმაღლე ფინიკისაჲ და ტევნულებაჲ ვენაკისაჲ.

და ნუმცა დგას მის შორის ბულქჳ რაჲმე ეკლოვანი, ნუცა ძეძჳ, ნუცა ღჳაჲ, არამედ საროჲ და მურტი, რამეთუ ესევითარსა ამას მტილსა ესრეთ შეამკობს დიდი დაჳით და კმამაღალი ესაია. ერთი

1* გალატ. 5,22;
2* ჯ.ჯ. 4,12;

იგი იტყჳს, ვითარმედ: „*მართალი, ვითარცა ფინიკი, აღყუაჳნეს*“,[27]1• და „*ცოლი შენი, ვითარცა ვენაკი მსხმოჲ*“ და „*ხოლო მე, ვითარცა ზეთისხილი ნაყოფიერი*“.2•

და სხუაჲ წინაჲსწარმეტყუელი ჰნატრის თჳსთა ლეღუთა ქუეშე განმსუენებელსა,3• ხოლო ესაია[28] ღჳისა და ძეძჳსა წილ[29] საროჲსა და მურტისა აღმოცენებად ბრძანებს.4•

ხოლო თითოეულად[30] ნერგთა ამათ საზისმეტყუელებაჲ ნამეტნავ არს აწ[31] გამოწულილვით წარმოთქუმად, ვინაჲთგან ყოველთაღა ცხად არს, თუ რაჲ არს სიტკბოებაჲ ლეღჳსაჲ, მწარისა მის სინელდისაგან დამწიფებული, რომელი-იგი პირველ მწარე არს და უკმარ, ხოლო უკუანაჲსკნელ ნაყოფ მშჳდობისა იქმნების და დაატკბობს საცნობელთა სულთასა.

და კუალად, უკუეთუ ნაყოფიერებაჲ ზეთისხილისაჲ რასა მოგუანიჭებს ჩუენ მომმუხაჳისა[32] მისგან და მწარისა გემოჲსა, რომელი-იგი დასაბამსა იხილვების ხილისა მის თანა, [127rb] ხოლო შემდგომითი შემდგომად დამწიფებითა და მოღუაწებითა მუშაკთაჲთა შეიცვალების იგი ბუნებად ზეთისა, რომელი-იგი იქმნების ნივთ ნათლისა და შრომათა განმსუენე და ჭირთა ლხინება და თავისა განმაბრწყინვებელ და შჯულიერად მოღუაწეთა შემწე ღუაწლისა.

და თუ ვითარ შეუხებელ-ჰყოფს ფინიკი ნაყოფსა თჳსსა მპარავთაგან, რამეთუ სიმაღლესა შინა დაიუნჯებს მას[33] და არა მდაბლად და არცა ქუეყანასა ზედა, და მერმე მადლიერობაჲ[34] ვენაკისაჲ და საროჲ სულნელი და მურტი სახარულევანი და რამეთუ ესე ყოველნი სახის-

---

27 აღყუაჳდეს B;
28 ისაია C;
29 ~ ღჳისა წილ და ძეძჳსა C;
30 თჳთოეულად B;
31 აწ] – BC;
32 მომუხაჳისა A; მომუხლჳსა C;
33 მათ BC;
34 მადლიერებაჲ B; მადლიერება C;

1• ფსალ. 91,3;
2• ფსალ. 127,3;
3• მიქ. 4,4;
4• ეს. 55,13;

მეტყუელებისა განხილვითა სათნოებისა ძალად შეიცვალებიან, არავინ არს ამისა უმეცარ, რომელნიცა გონიერად განიცდიან თითოეულისა გულისკმის-ყოფასა და თუ რაჲსა მიმართ ხედავს სიტყუაჲ მათი, დაღაცათუ ჩუენ თანა-წარვჰკედით.

აწ უკუე, რომელიცა ესევითართა ნერგთა მტილად გამოჩნდეს და იქმნეს სამოთხე სახარულევან და მცნებათა ზღუდითა ყოვლით კერძო მოკრძალულ, რაჲთა არცა ერთი რაჲ სცეს თავისა მიმართ თჳსისა შესაცალი არცა მკეცთა, არცა მპარავთა, რამეთუ რომელი მცნებათა ზღუდითა შეცჳლულ იყოს, უვალ არს იგი ბრანგჳსაგან მძჳნვარისა და ვერ განჰრყუნის მას ეშჯ მაღნარისაჲ[1•].

ესევითარი იგი იქმნების მტილ მოკრძალულ და იქმნების იგი და სძალ მისა, რომელმან-იგი ჰრქუა ესევითარსა მას სულსა, ვითარმედ: *„მტილი მოკრძალული არს დაჲ ჩემი, სძალი“.*

ხოლო ვინაჲთგან მტილისა ამის წყაროჲცა საკმარ არს, რაჲთა შუებულ და დაუჭნობელ იქმნეს კევნარი[35] მისი მარადის რწყვისა და განპოხისა მიერ წყალთაჲსა, ამისთჳსცა შეაუღლა ქებათა მათ მტილსა თანა წყაროჲცა და თქუა: *„მტილი დაკშული, წყაროჲ დაბეჭდული“*[2•].

ხოლო წყაროჲ[127va]სათჳს სიტყუასა იგავნი გუასწავებენ ჩუენ იგაჳით და იტყჳან, ვითარმედ: *წყაროჲ წყლისაჲ იყავნ შენდა განკუთნეილ და შენდა იყავნ მხოლოჲსა და ნუმცა ვინ უცხოჲ გეზიარების შენ,*[3•] რამეთუ ვითარცა-იგი მუნ აყენებს უცხოთა განლეკად წყალსა მას წყაროჲსასა, ეგრეთვე აქა წამებს, რაჲთა არასადა მიიკუალებოდის უცხოთა მიმართ წყაროჲ ესე სიტყჳსა მის მიერ, რომელი თქუა, ვითარმედ: „დაბეჭდული“, რომელი-იგი სწორ არს თქუმად, ვითარმედ: „დამარხულ“.

ხოლო თქუმული ესე ესევითარი არს: წყაროდ უკუე სიტყჳსაებრ ჩუენისა სახელ-ედების გულისკმისმყოფელსა მას ძალსა სულისა ჩუენისასა, რომელი-იგი ყოველთავე გულისსიტყუათა აღმოდის ჩუენ შორის და აღმოაცენებს.

---

35 ტევნარი C;

1• ფსალ. 79,14;
2• ქ.ქ. 4,12;
3• იგაენ. 5,16-17;

გარნა აღძრვაჲ იგი გონებისაჲ მაშინ იქმნების ჩუენდა, რაჟამს უმჯობესისა ჩუენისა მიმართ აღიძრვოდის და ყოველსავე შეწევნასა მოგებად კეთილისა მოგუანიჭებდეს.

ხოლო რაჟამს გარდააქციოს შეწევნაჲ იგი გულისსიტყუათაჲ განზრახვად და გონებად უკეთურებისა, მაშინ უცხოთა მიმართ განილევის დინებაჲ მისი, რაჟამს-იგი შეწევნითა გულისსიტყუათაჲთა რწყუდეს და ზრდიდეს ადვილად საზრდელსა მას ეკლისსახესა ცხორებასა, ხოლო აკმობდეს და დააჭნობდეს ნერგთა მათ და სამოთხეთა სულიერთა და არცა ერთსა ნაკადულსა კეთილთა გულისსიტყუათასა მიჰფენდეს მზრდელად და განმპოხებელად ძირთა მათ საღმრთოჲსა მის ვენაკისათა.

და ვინაჲთგან დაბეჭდვაჲ მის მიერ დაბეჭდულსა მას წარუპარველ ჰყოფს დაბეჭდისა მის მიერ, შეაძრწუნებს[36] მპარავსა და ყოველივე წარუპარველი თჳსსა უფალსა დაემარხვის წარუგებელად.

სრულსა და აღმატებულსა ქებასა სძლისასა წარმოაჩენს ამას ადგილსა სიტყუათა ამათ მიერ და სათნოებათა [127vb] მისთა შესხმასა დაამტკიცებს წამებისა ამის მიერ, ვითარმედ შეუხებელად ჰგიეს მტერთა მიერ გონებაჲ მისი სიწმიდითა და უვნებელობითა დამარხული თჳსისა მეუფისა.

რამეთუ ამას წყაროსა სიწმიდე დაჰბეჭდავს, რაჟამს არცა ერთი რაჲ შემამრღუეველი ნივთი შეარღუევს სიწმიდესა და უბიწოებასა გულისასა.

და რაჲთა უცხადესადრე მიგითხრათ სიტყჳსა ამის ძალი, ესრეთ გულისკმა-ყავთ, რამეთუ ვინაჲთგან ჩუენ შორის რომელიმე ჭეშმარიტად ჩუენი არს, რავდენიცა არს თჳსი და საკუთარი სულისაჲ, და რომელსამე განვითჳსებთ ვითარცა ჩუენსა, ხოლო ვიტყჳ კორციელსა და გარეშესა და ეჭუთა რაჲთმე ცთომილითა თჳსად სახელ-ვსდებთ უცხოსა მას, რამეთუ რაჲ ზიარებაჲ აქუს უნივთოსა მას ბუნებასა სულისასა ზრქელისა მის მიმართ აგებულებისა ნივთთაჲსა.

და ამისთჳს განგუაზრახებს სიტყუაჲ იგი იგავთაჲ, რაჲთა წყაროსა გონებისა ჩუენისასა არა განვჰლეეთ[37] უცხოთა ზედა და გარეშეთა, რომელ არიან კორცნი და კორციელნი საქმენი, არამედ რაჲთა თჳსსა

36 შეაძრწუნებს BC;

37 განვლეეთ C;

მტილსა შინა დიოდის[38] და საღმრთოსა მას სამოთხესა განაპოხებდეს.

ხოლო სამოთხედ ღმრთისა სათნოებათა ეწოდების, რომელთა წურთასა შემშჭუალული[39] გულისკმისმყოფელი იგი ძალი სულისა ჩუენისაჲ და არარაჲსა გარეშისა მიმართ განდინებული ბეჭდითა მით ჭეშმარიტებისაჲთა დაიბეჭდვის და სიყუარულითა მით კეთილისაჲთა გამოიხატვის. ხოლო ვიხილოთ შემდგომიცა იგი ძალი ქებისაჲ, რამეთუ იტყჳს:

„მოციქულებანი შენნი — სამოთხე მროწეულთა, ნაყოფსა თანა ხილნარისასა, კჳპრი ნარდიონითურთ; ნარდიონი და ქურქუმაჲ, საკუმეველი ლერწმისაჲ[40] [128ra] და კინამოჲ ყოველთა თანა ხეთა ლიბანისათა; მური და ალოჲ ყოველთა თანა პირველთა ნელსაცხებელთა და წყაროჲ მტილი და ჯურღმული წყლისა ცხოველისაჲ და მძაფრ მომავალისაჲ ლიბანით“.[1•]

და რამეთუ დიდი და განსაკრთომელი გულისკმის-ყოფაჲ დაფარულ არს თქუმულთა ამათ შინა, რომლისა მიერ შუენიერებაჲ იგი ღმრთისა მიმართ აღმაღლებულისა სულისაჲ განითქუმის პირად-პირადთა ამათ შემკობათა გარდამატებულითა შესხმითა, ცხად არს თჳთ მებრ მარტივად თქუმულთაცა ამათ სიტყუათა მიერ.

და გამოწულილვით გულისკმის-ყოფაჲ მისი პავლესაგან ოდენ შესაძლებელ არს, ანუ თუ მსგავსისა მისისაჲ[41], რომელმან უწყოდის ზრახვაჲ სულითა საღმრთოთა საიდუმლოთაჲ. რამეთუ ვითარ არს სამოთხე მროწეულთა მოციქულებაჲ სძლისაჲ, ანუ თუ ნაყოფი მროწეულთაჲ შეეტყუების ნაყოფსა თანა ხილნარისასა და ანუ თუ ნაყოფნი ხეთანი ვითარ იქმნებიან მურ და ნელსაცხებელ თჳთოსახე,[42] რამეთუ ნაყოფსა თანა ხეთასა კჳპრი[43] და ნარდიონი და ქურქუმაჲ მოიკსენებიან და საკუმეველი ლერწამთაჲ[44] და კინამოჲ და ყოველნივე ხენი ლიბან-

---

38 ჰსდიოდის C;

39 შემჰსჭჳალული C;

40 ლელწმისა C;

41 მისისა B;

42 თითოსახე C;

43 კიპრი C;

44 ლელწამთა C;

1• ქ.ქ. 4,13-15;

ისანი, ვიდრეცა არცა ერთი განყოფილებაჲ იქმნების ლიბანისა ზეთაჲ მრავალფერთა მათგან და პირად-პირადთა ნელსაცხებელთა, რომელთაიგი შეეძინების მური და ალოჲ და ყოველნივე პირველნი ნელსაცხებელნი.

და რამეთუ რომელი-იგი ზემოკერძო მაქებელისა მის მიერ მტილად იწოდა, აწ წყაროდ სახელ-ედების და მტილად და ჯურღმულად წყლისა ცხოველისა, მძაფრ მომავალისა ლიბანით.

ხოლო ამათი ჭეშმარიტი გულისკმის-ყოფაჲ, ვითარცა ზემო ვთქუ, უწყოდიან სამე მათ, რომელნი-იგი შემძლებელ იყუნენ გამოკულევად სიღრმესა და სიბრძნესა და სიმდიდრე[128rb]სა მეცნიერებისა ღმრთისასა სულითა წმიდითა.

ხოლო ჩუენ ადგილსა ამას წინამდებარეთა ამათ კეთილთაგან, რაჲთა არა სრულიად უშუებელ და გემოჲსუნაჲველ ვიქმნეთ, კნინ ოდენ შევეხნეთ ძალსა სიტყჳსასა. და თჳთ თავადი იგი სიტყუაჲ ღმრთისაჲ ვყოთ[45] წინამძღუარ მოსწრაფებისა ჩუენისა.

ყოველნივე ესე მწყობრნი ქებათანი, რავდენნიცა[46] პირველ ამისსა ითქუნეს და რავდენნიცა აწ სიტყუამან წინა-მიყუნა ჩუენ მისთჳს, არა ლიტონისა რაჲსმე შესხმისა მიმართ ხედვენ, არამედ თქუმულთა ამათ მიერ ძალ-სცემენ[47] გულსა და განაძლიერებენ უფროჲსთა და უმაღლესთა აღსლვათა მიმართ აღმაღლებად.

და ესე ესრეთ გულისკმა-ყავ: დად და სძლად სიტყჳსა იწოდების, არამედ თითოეული ამათ სახელთაჲ ორკერძო შეაერთებს სულსა სიძისა მიმართ. რამეთუ სძლობისა მოსწავებითა *„ერთჯორც და ერთგუამ“*[1•] ჰყოფს სიძისა მის თანა უხრწნელისა სიტყჳსა მისებრ სამოციქულოჲსა, ხოლო ნებისა მისისა მოსწრაფედ სრულ-ყოფითა დობისა თჳსებად აღიყვანებს კმისა მისებრ სახარებისა.

და მერმე იქების ბუნებაჲ ძუძუთაჲ, რომელნი სძისა წილ ღუნოსა აღმოაცენებენ.

და ესრეთ ცხად იქმნების, რამეთუ საქმენი იქებიან და არა თუ უარსებოჲ რაჲმე და უსაქმოჲ შესხმაჲ წარმოიჩინების. და მერმე ამათ

---

45 ვჰყოთ C;

46 რავოდენნი B, რაოდენნიცა C;

47 ძალ-ჰსცემენ C;

1• ეფეს. 5,23;

თანა მიჰრონი მისი ყოველთა ნელსაცხებელთა უაღრეს იწოდების, რომელი-იგი არამცა ქებულ იყო ესრეთ, არა თუმცა წარმატებისა მიერ ესევითარსა მას ჭეშმარიტსა სიმაღლესა აღსრულ იყო.

და მერმე საკჳრველ იქმნების თაფლმწთოლვარებაჲ იგი სიტყუათა მისთაჲ, რომელნი გამოვიდეს პირისა მისისაგან და შეზავებაჲ იგი სიბრძნისა მისისაჲ, დაუნჯებული ენასა ქუეშე მისსა, მობაძავი სძისა და თაფლისაჲ.

და[128va] ესეცა ძალნი არიან არა სიტყუანი, რამეთუ უაღრესთა აღსლვათა მიერ წარმართებული სიტყჳსა მიერ ესეოდენ აღორძინდა, ვიდრეცა პირი თჳსი წყაროდ თაფლისად[48] გამოაჩინა და ენაჲ თჳსი შეზავებულისა მის სიბრძნისა საუნჯე ყო, მსგავსად ქუეყანასა მას აღთქუმისასა, რომელი-იგი აღმოდის[49] თაფლსა და სძესა.

და აღსლვათა მიერ ესოდენ აღამაღლა იგი სიტყუამან და წუთლა უმაღლეს აღიყვანებს, რამეთუ სამოსელსა მისსა სულნელ უწოდა, მსგავსად სულნელებისა მის ლიბანისა, რომლისა მიერ ქრისტეს შემოსასა წამებს მისთჳს სიტყუაჲ.

ხოლო ყოველისავე სათნოდ ცხორებისა სრულ-ყოფაჲ საღმრთოჲსა ზიარებისა მიერ იქმნების, რამეთუ ლიბანისა მიერ, რომელ არს გუნდრუკი, ღმრთეებაჲ[50] მოესწავების და არცა აქა დადგა[51] უმაღლესისა მიმართ აღყვანებისა მისისაგან სიტყუაჲ, არამედ შემდგომად გუნდრუკისა სულნელებისა მსგავსებისა სულისა მტილად გამოაჩინა იგი მსგავსებითა სამოთხისაჲთა, მტილად გარნა არა ეგრეთ, ვითარ-იგი იყო პირველთა მათ კაცთაჲ, მიშუებით და შეუცავად, არამედ კსენებითა მცნებისაჲთა, ყოვლით კერძო მოკრძალულ და მოზღუდვილ.

ხედავ-ა, თუ რაბამი ძალი მიიღო სიმაღლედ მიმართ აღსლვისაჲ?

მცირედ უკუე მელოდე და კუალად გიჩუენო უაღრესი აღმატებაჲ მისი, რამეთუ არა ხოლო თუ მტილად გამოჩნდა[52] და კრძალულად და თჳსისა საზრდელისა გამომღებელად, არამედ სასუმელცა იქმნების წყურიელთა წყაროჲსა ბუნებად შეცვალებითა და წყარო დაბეჭდულ.

---

48 თაფლისა B;

49 აღმოჰსდის C;

50 ღთ̃აება C;

51 დაჰსდგა C;

52 გამოჰსჩნდა C;

და არცა აქა დადგა[53], არამედ ესეოდენ[54] აღემატა აღორძინებითა, ვიდრეცა პირით მისით აღმოაცენა სამოთხე. რამეთუ უკუეთუ ვინ გამოწულილვით გულისკმა-ყოს ებრაულად აღწერილი [128vb] ძალი სიტყჳსაჲ ამის, ვითარმედ „მოციქულებანი“ ამის წილ ესრეთ წერილ არს, ვითარმედ: *„პირით შენით სამოთხე მროწეულთაჲ“*, რომელი-იგი ამას მოასწავებს, ვითარმედ: „სიტყუაჲ შენი და პირისა შენისა მოციქულებაჲ სამოთხე არს მროწეულთაჲ“, ხოლო ესე მროწეულნი მრავალსახესა რასმე ხილნარსა აღმოაცენებენ.

ხოლო ხილნარი იგი არს კჳპროჲ[55] ნარდიონისა თანა და ქურქუმაჲ, ლერწამი საკუმეველთაჲ და კინამოჲ, და ყოველი ესე ხე ლიბანისაჲ, და მური და ალოე და პირველნი ნელსაცხებელნი.

რამეთუ ვინაჲთგან ნეტარებისა მისებრ ფსალმუნთაჲსა შეწევნაჲ ღმრთისაჲ იქმნა მის თანა და კეთილნი ესე აღსლვანი გულსა თჳსსა დაისხნა სამარადისოდ ძალითიძალად აღსლვითა,[56:1•] კეთილად იწოდნეს მოციქულებანი პირისა მისისანი სამოთხედ. მროწეულთა სისრულისა-თჳს წესისა მისისა და შემსგავსებულად შემდგომისა მის გონებისა იქმნა შეწყობაჲ ესე სიტყუათაჲ ამათ, რამეთუ მოციქულებაჲ წარმოვ-ლენილისაგან[57] წარვლენილისა მიმართ მიიწევის.

და ესე ჩუეულებისაგანცა მსოფლიოთა სიტყუათაჲსა საცნაურ იქმ-ნების და სახარებაჲცა იტყჳს, რამეთუ რომელთა-იგი ქადაგებად ჭეშ-მარიტებისა წარავლენდა მოწაფეთა, მოციქულად უწოდა სიტყუამან.

და რაჲ-მე არს უკუე, რომელსა-იგი მოციქულებს პირი სძლისაჲ? ანუ ცხად არს, ვითარმედ სიტყუაჲ სარწმუნოებისაჲ, რომელი-იგი, მი-რაჲ-იწიოს შემწყნარებელთა მათ მიმართ, სამოთხე იქმნების სასმე-ნელთა მიერ დანერგულთა შინა, ხოლო ნერგოვანსა და მრავალფერთა ხეთაგან ერთად შეკრებულსა სამოთხედ ეწოდების ჩუეულებისა მიერ და რაჲთა ნათესავობაჲცა ვისწავოთ ნერგთაჲ მათ, რომელნი-იგი სი-ტყჳსა მიერ სულსა შინა მორწმუნეთასა დაენერგვიან; მროწეულო-

---

53 დაჰსდგა C;

54 ესოდენ B;

55 კიპროჲ C;

56 სულითა C;

57 წარმოვლენელისაგან C;

1• ფსალ. 83,6-8;

ვანად[58] სახელ-სდებს[59] ხილოვანსა მას, რომელთა [129ra] ჰნერგავს სიტყუაჲ იგი, პირისაგან სძლისა წარვლინებული, ხოლო მროწეული ძნიად კელთსადებელ არს მპარავთა, რამეთუ ეკლოვანთა რტოთა გამოიხუამს და ნაყოფსა თჳსსა მომმუხავითა რაჲთმე და მწარითა საბურველითა გარე-შეიცავს და ზრდის, რომელი-იგი თჳსსა ჟამსა, რაჟამს დამწიფდეს და საბურველი იგი განიპოს, შინაგან გამოჭურს,[60] შუენიერად შეწყობილი და საწადელი სახილველად, ხოლო საბარულევანი და თაფლისფერი გემოჲთა და ღუნისფერითა წყლიანობითა დამატკბობელი გემოჲსხილვისა საცნობელთაჲ[61].

და ვითარ მე ვჰგონებ, ამისთჳს შეჰმზადებს მროწეულისა სამოთხეთა სიტყუაჲ იგი, პირისაგან სძლისა წარვლენილი სულსა შინა მსმენელთასა, რაჲთა ვისწავოთ თქუმულთა ამათ მიერ და საწუთროსა ამას ცხორებასა[62] შინა არა დავიკსნენეთ, არცა მოვმედგრდეთ შუებითა რაჲთმე და ფუფუნებითა, არამედ რაჲთა მოღუაწებისა მიერ და მარხვისა ფიცხელი ცხორებაჲ მოვიპოოთ; რაჲთა ესრეთ მიუახლებელ იქმნეს მპარავთაგან ნაყოფი იგი სათნოებისაჲ და შეცვულ ფიცხლითა მით საბურველითა მარტივისაჲთა და პატიოსნისა მის და განუღიმებელისა დაწყნარებისა მიერ, ვითარცა სიმახულითა რაჲთმე ეკალთაჲთა განჰგურემდეს, რომელთა-იგი ენების მოახლებაჲ და ვნებაჲ ჩუენი;

რაჲთა რაჟამს მოიწიოს ჟამი განსუენებისაჲ და ნაყოფთა მოსთულებისაჲ ყოველთაჳე ხილნართა, ნაყოფიერებად და ფუფუნებად გუექმნეს ჩუენ სამოთხე იგი მროწეულისაჲ და არა რკოდ და კაწახად, ანუ თუ სხუად რადმე ესეეითარად, არამედ მრავალფერად და მრავალსახედ ნელსაცხებელთა ბუნებად შეიცვალოს, ესე იგი არს [129rb] — კჳპრად და ნარდიონად და ნეშტთა მათ ნელსაცხებელთა სულნელებად, რომელთა წარმოიტყჳს, და ვითარ კეთილ არს კჳპრისა და ნარდიონისა კეთილი იგი მეუღლებაჲ — ერთისა მის მკურვალებაჲ, ხოლო მეორისა — სულნელებაჲ.

რამეთუ არა საქებელ არს განთჳსებულად მკურვალებაჲ ოდენ, რაჟამს შეყროლდის განკურვებითა მკურვალებაჲ იგი, არამედ ჯერ-არს,

58 მროწეულევანად C;
59 სახელ-ისდებს C;
60 გამოისჭურს C;
61 საცნობელთაჲთა BC;
62 ცხოერებისა C;

რაჲთა შენელდებოდის მჯურვალებაჲ იგი სულნელებითა სიწმიდისაჲთა, რაჲთა იქმნეს აღტყინებულ სულითა წმიდითა, განწმედილი იგი უგემურისა მის მჯურვალებისაგან.

და ამათ ხილნართა ნაყოფსა თანა იპოვებიან[63] სხუანიცა სულნელებანი, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: ნარდიონი და ქურქუმაჲ. ხოლო ნარდიონისა სულნელებისათჳს ზემო გჳთქუამს, ხოლო აწ ჯერ-არს, რაჲთა ვთქუათ[64] სახისმეტყუელებაჲ ქურქუმისაჲ.

იტყჳან უკუე ამის ყუავილისათჳს, რომელთა-იგი შეისწავეს ძალი მისი, ვითარმედ არცა მჯურვალე არს და არცა გრილ, არამედ უცხო ორკერძოვე მიდრეკისაგან და განსწორებულ და ვითარმედ აქუს მას ძალი, ნუგეშინისმცემელი სალმობათაჲ.

და ვითარ ვჰგონებ, სათნოებათა სახესა სიბრძნის-მეტყუელებს იგავი ესე, რამეთუ ყოველივე სათნოებაჲ ორთა სიბოროტეთა არს საშუალი:[65] გარდამატებისა და მოკლებისა კეთილთაჲსა, ვითარ-იგი არს სიმჯნე და სიჯაბნე, და მოშიშებაჲ და კადნიერებაჲ, და სიძჳრე და უძლებებაჲ[66]. რამეთუ მოშიშებაჲ და სიძჳრე ჯეროვნისა კერძისაგან მოკლებაჲ არს, ხოლო უძლებებაჲ და კადნიერებაჲ — გარდამატებულებისაჲ.

ხოლო ორკერძოვე უზომოებისაგან სიცელტოლაჲ სათნოებად იწოდების და არს.

და ამისთჳს ვთქუ[67] ქურქუმისათჳს, ვითარმედ საზე არს ჯეროვანთა სათნოებათაჲ, რომელნი არცა გარდამატებულ იყვნენ და არცა მოკლებულ [129va].

ხოლო მე ვიტყჳ, ვითარმედ სარწმუნოებისა სიტყუასა უფროჲს განეთჳსების სახიმეტყუელებაჲ ქურქუმისაჲ, რამეთუ სამკეცად იხილვების ყუავილი ესე; და ყუავილიცა იგი, რომელი ზრდის[68] მას, არს იგი ჰაერისა მსგავს და წმიდა და განიფურჭნის რაჲ, იპოვის სამკეცი ესე ყუავილი სულნელი და მარჯუე საკურნებელად სიდიდითა და სიკეთითა და სულნელებითა და საკუთრებითა ძალისაჲთა სწორნი და

---

63 იპოებიან C;

64 ვსთქუათ C;

65 საშოვალი B, საშუალი C;

66 უძლებობაჲ A;

67 ვჰსთქუა C;

68 ჰზრდის C;

შეუწყნარებელნი, რომელთა-იგი, ვითარცა ვთქუ,[69] და ფეროვნებაჲ და შუენიერებაჲ და სულნელებაჲ[70] და ვითარებაჲ სწორ არნ და ერთსახე, რომელსა თანა იხილვებიან სხუანი სამნი ყუავილნი, ყუთელნი ხილვითა და უქმნი ყოელისაჲე საკმრისა საქმისა მიმართ, რომელთა-იგი უნდოჲსა მის ფეროვნებისათჳს სცთებიან უცებნი და უსწავლელნი და კეთილთა მათ წილ ჯერკუალთა მათ მოისთულებენ, რომელსა-იგი აწცა იქმან, რომელნი-იგი გარდააქცევენ სარწმუნოებასა და მართალთა მათ და მრთელთა მოძღურებათა წილ მოპოვნებულსა მას და შეწმასნილსა საცთურსა აღირჩევენ.

აწ უკუე ორკერძოვე სასმენელმან მსმენელისამან აღირჩიენ, რომელიცა ჰნებაჳს, გინა თუ ერთკერძოჲ თქუმულისაჲ ამის და გინა თუ ორკერძოვე, რამეთუ ერთ არს ორკერძოვე, გინა თუ სრულისა სათნოებისა მოგებაჲ და გინა თუ ღმრთისაჲ და რამეთუ სათნოებაჲ არა გარეშე არს ღმრთისა.

ხოლო ჩუენ სხუათა მათ ნელსაცხებელთა განხილვად წარვემართნეთ, რამეთუ ლერწამი[71] სულნელთაჲ[72] და კინამოჲ არიან სამოთხეთაგან სძლისათა გამოღებულ ნაყოფად. ხოლო ლერწმისათჳს იტყჳან, ვითარმედ უაღრეს არს იგი სხუათა მათ საკუმეველთასა[1•] სულნელებითა, ვიდრეცა სამღდელოთა მათ საკუმეველთა შჯულისათა შემნელებელ იყო იგი.

ხოლო კინამოჲსათჳს მრავალსახესა [129vb] რასმე და მრავალფერსა საქმესა მოგუთხრობენ ბუნებითისა რაჲსმე აგებულებისა და ძალისაგან, რომელთაგანი უმრავლესი, უფროჲსცა დარწმუნებისა, საგინებელ არს, რამეთუ იტყჳან, ვითარმედ მდუღარესა სიავსა უკუეთუ ვინ მიაახლოს ნელსაცხებელი ესე, მეყსეულად განგრილდების, და აბანოთა განკურვებულთა უკუეთუ ვინ შეიღოს სიმკურვალესა მას, რომელი იყოს ჰაერსა შინა, მყის სიგრილედ შესცვალებს,[73] და ვითარმედ ხრწნილებისაგან შობილთა მატლთა უჩინო-ჰყოფს.

---

69 ვჰსთქუ C;
70 სუნნელება C;
71 ლელწამი C;
72 სურნელთა C;
73 შეჰსცვალებს C;
1• გამოსლე. 30,23;

და სხუასაცა იტყჳან დაუჯერებელსა, ვითარმედ: უკუეთუ შთაედვას პირსა მძინარისასა, არცა ერთსა სცემს დაბრკოლებასა ძილისათჳსცა და უბნობისა, არამედ რასაცა ვინ ჰკითხვიდეს, ესრეთ მიუგებს, ვითარცა მღუძარე, რომლისათჳს წამებაჲ ვითარმედ ესრეთ არს და გამოუცდელისა საქმისათჳს დამტკიცებაჲ არა მცირედსა მოასწაჳებს უგუნურებასა და წარმდებობასა.

გარნა ვინაჲთგან სიტყჳთა რაჲთმე საიდუმლოჲთა თანა-აღირაცხა ესეცა ნაყოფთა მათ თანა სამოთხისათა და ნელსაცხებელთა, რომელნიიგი არცა თუ ჭეშმარიტებით მროწეულისაგან აღმოსცენდეს და რამეთუ არცა შესაძლებელ არს ხილულთა სამოთხეთა აღმოცენებად პირისაგან სძლისა, არამედ რაჲთა გულისკმის-ყოფაჲ რაჲმე და სახისმეტყუელებაჲ სარგებელისაჲ მოგუატყუას ჩუენ ქებისათჳს სძლისა.

არა კეთილ არს, რაჲთა ზრახული იგი მეზღაპრეთაჲ კინამოჲსათჳს სრულიად განვსთხიოთ, რომელი-ესე აწ წარმოვთქუთ[74] მისთჳს და რომელსა-იგი სხუანი წარმოიტყჳან, რაჲთა ნუუკუე და იპოს[75] რაჲმე მას შინა სიტყჳაჲ სარგებელისაჲ, სათნოდ ცხორებისა სისრულისა გამომსახველი, რამეთუ წურთილთა[76] მათ და სწაელულთა და გულისკმისმყოფელთა [130ra] სულთა შინა ესე კინამოჲ იპოვების, რაჟამს იგი ანუ თუ გულისთქუმისა მიერ ვინმე ეტყინებოდის, ანუ თუ გულისწყრომისაგან დუღდეს და გულისსიტყჳთა კეთილითა დაშრიტოს ვნებაჲ იგი და ანუ თუ ძილსა შინა მის ცხორებისასა პირსა შინა თჳსსა ეტჳრთოს ფრთხილი იგი გულისსიტყუათა კინამოჲ და მსგავსად დაუძინებელთა მათ მღუძარეთა ანგელოზთა შეუცთომელად და შეუმრღუეველად წარმოაჩინებდეს თქუმულთა ამათ ძალსა და გონებასა და ჭეშმარიტებითა სიტყჳსაჲთა ჰბაძვიდეს მიურულებელსა მას ანგელოზთა ბუნებასა, რომელთა-იგი ვერცა ერთი საოცრებისა იძულებაჲ განაშორებს ჭეშმარიტებისაგან.

და ნუუკუე და ესე არს პირისაგან სძლისა გამოსრული იგი კინამოჲ, რომლისა მიერ გულისთქუმისა და გულისწყრომისა მდღეარებაჲ დაშრტების და ყოველისაჲე ამის ცხორებისა სიზმრისა სახისა საუცრებისაგან და შერევნისა წმიდა და შეუმრღუეველი იქმნების სიტყჳაჲ.

---

74 წარმოვსთქუთ C;

75 იპოჳს B;

76 წურილთა A;

და ნუვინ შეასმენს სიტყუასა ამას კინამოჲსასა დაუჯერებლობისათჳს მისისა, ვითარმცა არა ჭეშმარიტისაგან შევასხემდით სძალსა ქებასა, რამეთუ უწყის მრავალგზის წმიდამან წერილმან ზღაპართაცა რათმე გარეშეთა შემოღებაჲ თჳსისა სულისა და გონებისა თანაშემწედ და საზღაპროჲსა მის წარმოთქუმისაგან სახელთა რათმე მოიკსენებს ურცხჳნელად ცხადად გამოსაცხადებელად წინამდებარისა მის გულისკმის-ყოფისა, ვითარცა-იგი იობის ასულთათჳს, რომელთა-იგი შუენიერებაჲ განსაკრთომელ-ყო[77] სიტყუამან და სახელთა მიერ გარდამატებულებაჲ იგი საკჳრველებისა მათისაჲ[78] წარმოაჩინა და თქუა, ვითარმედ პირველსა მას უწოდი დღე და მეორესა — კასია და მესამესა — ამალთიისა რქაჲ[1•].

და ესე ცხად არს ყოველთა, რამეთუ ამალთიისა უწყებაჲ [130rb] საწარმართომან ზღაპარმან წარმოაჩინა, რომელი-იგი იყო თხაჲ და იქმნა გამომზრდელ ვიეთამე, ვითარცა ზღაპრობენ, რომლისა-იგი ერთი რქაჲ აღმოიფხურა და ღელისა მისგან აღმოფხურულისა აურაცხელთა კეთილთა აღმოდიოდა.

და ამისთჳს ეწოდა მას მხიარულებისა რქაჲ, ვითარცა-იგი ზღაპარმან სახელ-სდვა[79].

აწ უკუე, რაჲ ჰრწმენამე-ა საღმრთოსა წიგნსა, ზღაპარი იგი ნუ იყოფინ, არამედ ყოველთავე სათნოებისა კეთილთა მიერ შემკობაჲ იობის ასულისაჲ წამა და სახელისა ამის მიერ ჭეშმარიტებაჲ მისი წარმოაჩინა,[80] ვინაჲცა გულისკმის-ყოფით მკითხველი, გინა მსმენელი საღმრთოთა წიგნთაჲ პირსა ოდენ ქებისასა გულისკმა-ჰყოფს[81] სახელისა მიერ, ხოლო ზღაპრისა სიცბილთა ყოვლადვე არა მიხედავს.

და ვითარცა-იგი კასიაჲ და დღე რაჲ გუესმას, არცა სულნელთა ნივთსა, არცა მზისა სრბასა გულისკმა-ვყოფთ სახელთა მათ მიერ, არამედ სათნოებათა მათთა საცნაურმყოფელად ვიტყჳთ სახელთა მათთა სიმაღლესა, რომელთაგანი კასიაჲ სიწმიდესა და სულნელებასა

77 განსაკრთომელ-ჰყოს BC;
78 მათისა BC;
79 ჰსდვა C;
80 წარმოიჩინა BC;
81 ხმა-ჰყოფს C;

1• იობ. 42,14;

საქმეთა მისთასა წარმოაჩენს, ხოლო დღე — შუენიერებასა, სიტყჳსაებრ მოციქულისა, რამეთუ უბიწოდ ცხორებულთა შვილად ნათლისად და ძედ დღისად[82] სახელ-სდებს[1•].

ეგრეთვე აქა არა შეუმსგავსებელ არს შესხმად სძლისა კინამოჲსათჳს, წარმოთქუმული სახისმეტყუელებით თარგმანებისა მიერ; ხოლო რომელი-იგი ესეოდენ იქმნა და ესევითართა შესხმათა სიმაღლესა მისწუთა[83] მოქალაქობისა მიერ და ყოველთა მიერ საღმრთოჲსა ხატოვნებისა მსგავსებანი გამოაჩინნა თავსა შორის თჳსსა, და ამას ცხადყოფს სიტყუაჲ იგი [130va], რომელი იტყჳს, ვითარმედ: *„ყოველთაგან ბეთა ლიბანისათა“*.[2•] რამეთუ არა ერთსახეთა ხეთა იტყჳან ლიბანისათა, რომელთაცა გამოცდილებით უწყიან მათთჳს, ვინაჲ-იგი გუნდრუკი გამოვალს, არამედ არს რაჲმე ხეთა მათ შორის განყოფილებაჲ, რომელნი-იგი სახესა მას საკუმეველისასა შესცვალებენ თჳსისა მის მიერ შეცვალებისა.

აწ უკუე, რომელნი ყოველთავე საქმეთა ამის ცხორებისათა ღმრთივშუენიერად აღასრულებდეს თავისა მიერ თჳსისა, ყოველთავე ლიბანისა ხეთა შუენიერებასა თავსა შორის თჳსსა გამოაჩინებს, რომელთა მიერ საღმრთოჲ ხატოვნებაჲ გამოისახვის, ხოლო საღმრთოჲსა დიდებისა ზიარ ვერვინ იქმნების, რომელი პირველ არა თანახატ-ექმნეს მსგავსებასა მას სიკუდილისა მისისასა[3•]. ვინაჲცა მწყობრსა მას შინა სულნელთასა შეწყობაჲ იგი შესხმისაჲ ამასცა მოიკსენებს, ვითარმედ სხუანიცა იგი ნელსაცხებელნი ხილნარნი არიან მროწეულისანი, რომელნი ზემო წარმოთქუნა სიტყუამან და მათ თანავე — მურიცა და ალოჲცა და პირველნი ნელსაცხებელნი, რამეთუ მურისა და ალოჲსა მიერ ზიარებასა დაფლვისასა მოასწავებს, ვითარცა იტყჳს ჭმამალი სახარებაჲ, რამეთუ ესე ნელსაცხებელნი იქმნნეს დასაფლველ უფლისა,[4•] რომელმან-იგი ჩუენთჳს იხილა გემოჲ სიკუდილისაჲ.

ხოლო პირველთა ნელსაცხებელთა მიერ სიწმიდესა და შეურევნელობასა ყოელისავე მოფარდულთა სიერაგისაგან წარმოაჩინებს სიტყუაჲ,

---

82 დღისა B;
83 მისწუდა C;

1• I თესალ. 5,5;
2• ქ.ქ. 4,14;
3• რომ. 6,5;
4• ინ. 19,39-40;

ვითარცა-იგი იტყჳს ამოსცა მათდა მიმართ, რომელნი-იგი იშუებენ ამათ ესევითართა მიერ, ვითარმედ რომელნი-იგი სუმიდეს განწურვილსა ღუნოსა და პირველთა ნელსაცხებელთა იცხებდეს[1•] და კუალად პირველ ამისა, ვითარმედ რომელნი ჭამენ თიკანთა არვისაგან და კბოთა ჩჩჳლთა სძისმწოვართა მროწეულთაგან[2•] და იტყუელვენ კმითა ორღანოთაჲთა, არ[130vb]ცა ღუნოსა თხლე აღამრღუევდა და არცა მიჰრონისა პატიოსნებასა და სულნელებასა შერევნაჲ რაჲსამე განხრწნიდა. გარნა მუნ საყუედრელად ისრაელთა[84] წარმოიტყჳს წინაჲსწარმეტყუელებაჲ, რამეთუ ურწყოჲთა წერილთა სიტყჳთა განძლებოდეს ყოველისაჲე თხლისაგან განწურვილისა და უზაკველი აქუნდა სულნელებაჲ ნელსაცხებელთაჲ და ყოველთაჲე სულიერთა სანუკვართა მიერ იშუებდეს.

და არარაჲ ირგეს ეგევითარისა მის[85] შუებისაგან, რამეთუ სიბოროტე იგი ნებათა მათთაჲ სიწმიდესა მასცა ღუნისასა აღთქუეფულად და მრღჳედ გამოაჩინებდა და სურნელებასა პირველთა ნელსაცხებელთასა ბოროტთა განზრახვათა შერევნითა განჰრყუნიდა.

ხოლო აქა უზაკუელთა და წმიდათა მოძღურებათა წამებს[86] სძლისათჳს სიტყჳაჲ პირველთა ნელსაცხებელთა ნაყოფიერებითა. და არცა ამათ შინა დადგა, რამეთუ არცა სძალმან უმაღლესთა საზომთა მიმართ წარმატებაჲ მოიწყინა, არცა სიტყჳამან თანაშეწევნაჲ მისი და ამაღლებაჲ დააცადა.

რამეთუ რომლისა-იგი პირისა მოციქულებანი მროწეულთა და ნელსაცხებელთა სამოთხე არიან, იგივე აწ წყარო იქმნების, მომრწყველ მისგან აღმოცენებულთა მათ სამოთხეთა, არა ვითარ-იგი პაველსთჳს და აპოლოჲსთჳს ვისწავეთ, ვითარმცა ერთი ჰნერგვიდა და მეორე რწყვიდა[3•], არამედ ორსავე სძალი იქმს, რამეთუ ერთბამად ჰნერგავსცა სამოთხეთა და რწყავსცა.

და ნუუკუე უმაღლესსა რასმე ძალსა მოასწავებს ქებაჲ ესე? რამეთუ წყაროდ უწესს მას არა წყალთა რათმე აღმომაცენებელად, არამედ

---

84 ისრაილთა C;

85 მის] – B;

86 ჰსწამებს C;

1• ამოს. 6,6;

2• იქვე 6,4;

3• I კორ. 3,6;

მტილთა, არა ნაკადულთა მომდინარედ, არამედ თჳთ მათ მტილთა მრწყველად და აღმომაცენებელად.

ესერეთ აღმოდიოდა სულიერთა მათ მტილთა წმიდაჲ მოციქული და რომელთაცამცა მიეახლა, სამოთ[131ra]ხედ ეკლესიისა მოძღურებითა თჳსითა შეჰმზადებდა.

და მერმე, თავსა ქებათასა აღიყვანებს სძალსა ქებათა მიერ სიტყუაჲ და ჯურღმულად სახელ-სდებს მას წყლისა ცხოველისა და მქანრ მოსავალისა ლიბანით, რამეთუ რომელ-იგი ვისწავეთ ბუნებისა მისთჳს ცხოველმყოფელისა წიგნთაგან, რამეთუ ოდესმე იტყჳს, ვითარმედ *„მე დამიტეეს წყაროჲ წყლისა ცხოველისაჲ“*.[1•]

და კუალად, უფალი სამარიტელსა ეტყოდა, ვითარმედ: უკუეთუმცა იცოდე შენ ნიჭი ღმრთისაჲ და ვინ არს, რომელი გეტყჳს შენ, ვითარმედ: მასუ მე წყალი, შენმცა სთხოვე მას და მოგცამცა წყალი ცხოველი; და კუალად, ვითარმედ: *„რომელსა სწყურის, მოვედინ ჩემდა და სუემდინ, რამეთუ რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ვითარცა თქუა წიგნმან, მდინარენი დიოდიან მუცლისა მისისაგან წყლისა ცხოველისანი. და ამას იტყოდა სულისა მისთჳს, რომლისაჲ ეგულებოდა მოღებად მორწმუნეთა მათ მისა*[87] *მიმართ“*.[2•] და ყოველსა ადგილსა სახედ საღმრთოჲსა ბუნებისა წყალი გამოისახვის ცხოველი.

და აქა უტყუველი იგი წამებაჲ სიტყჳსაჲ ჯურღმულად წყლისა ცხოველისა უწესს სძალსა, რომლისა წარმოცენებაჲ არს ლიბანით.

და ესე ფრიად საკჳრველ არს და განსაკრთომელ, რამეთუ სხუათა ყოველთა ჯურღმულთა შეკრებულთა წუეთთა და ნაკადულთაგან აქუს მცენარებაჲ წყლისაჲ, ხოლო სძალსა ოდენ აქუს მდინარისაგან სიმდიდრე წყალთაჲ: სიღრმე უკუე ჯურღმულისაჲ არს, ხოლო წყალი — მძაფრ მომავალისა მდინარისაგან.

და ვინმცა უძლო ღირსად გამოთქუმად საკჳრველებათა ამათ ძალსა, რომელნი-ესე იქმნნეს[88] მის ზედა მსგავსებითა ღმრთისაჲთა? და კნინღა და არღარა იპოვების უვაღრესი საზომი, რაჲთამცა მუნ აღამაღლა თავი თჳსი, ვინაჲთგან ყოველით კერძო ემსგავსა პირმშოსა მას შუე-

---

87 მისსა B;

88 იქმნეს C;

1• იერემ. 2,13;

2• იხ. 7,37-39;

ნიერებასა.

და განიცადეღა [131rb], თუ ვითარ გამოწულილვით მიმსგავსებულ არს, რამეთუ მიმსგავსებულ არს წყაროჲსადა წყაროჲთა და ცხორებითა – ცხორებისადა და წყლითა – წყლისადა; და რამეთუ ცხოველ არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ, ცხოველ არს სულიცა, შემწყნარებელი სიტყჳსაჲ; იგი წყალი ღმრთისაგან აღმოდის, ვითარცა-იგი იტყჳს, ვითარმედ: „ღმრთისაგან გამოვედ და მოვედ“[1].

ხოლო ესე შეიწყნარებს მას ჯურღმულსა შინა სულისა თჳსისასა და იქმნების საუნჯე წყლისა მის ცხოველისა, ლიბანით მომავალისა, უფროჲსღა მძაფრად მოქანებულისა, ვითარცა საზელ-სდვა სიტყუამან, რომლისა-იგი ჩუენცამცა ღირსქმნულ ვართ და მო-მცა-გჳღებიეს ჯურღმული იგი, რაჲთა მცნებისა მისებრ სიბრძნისა ჩუენსა ვსუმიდეთ წყალსა და არა უცხოსა, ქრისტე იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომელსა შუენის დიდებაჲ და პატივი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

1• იხ. 8,42;

ᲒᲪᲮᲘ X

სიტყუაჲ ესე:

4,16. აღდეგ,[1] ჩრდილოო, და მოვედ, ბღუარო. მოჰბერე მტილსა ჩემსა და დიოდენ ნელსაცხებელნი ჩემნი. შთაკედინ ძმისწული ჩემი მტილსა თჳსსა და ჭამენ[2] ნაყოფი ხილნართა თჳსთაჲ.

5,1. შევედ მტილსა ჩემსა, დაო ჩემო, სძალო. მოვისთულე მური ჩემი ნელსაცხებლით ჩემითურთ. ვჭამე[3] პური ჩემი თაფლითა ჩემითა. ვსუ[4] ღუნოჲ ჩემი სძითა ჩემითა. ჭამეთ, მოყუასნო ჩემნო, და სუთ და დაითრევნით, ძმისწულნო ჩემნო!

5,2. მე მძინავს და გული ჩემი მღუძარე არს.

აწინდელსა ამას წინადაგებულსა ჩუენდა საღმრთოთა სიტყუათა განხილვასა შემდგომებისაგან ქებისა ქებათაჲსა ძნიად მისაწდომელი რაჲმე აქუს გულისკმის-ყოფაჲ და დაფარული და უჩინოჲ და გამოუცხადებელი [131va] და გამოუთქუმელთა სიღრმეთა შინა მდებარე; და უმეტესი კრძალულებაჲ თანა-გუაც და უფროჲსღა უმრავლესი ლოცვათამიერი შეწევნაჲ და სულისა წმიდისა კელისაპრობაჲ და წინამძღურობაჲ[5], რაჲთა არა იგიეე შეგუეთმხჳოს ჩუენ მაღალთა მათ[6] საკურველებათა განკრთომითა, ვითარ-იგი შეგუემთხუევის საკურველებითა ვარსკულავთაჲთა.

და რამეთუ შორით მათიცა იგი გჳკურს შუენიერებაჲ, ხოლო კელთდებად მათდა არცა ერთისა ღონისა ძალ-გუც მოგონებად, არამედ ერთი ხოლო საშუებელი მოგუეტყუების მათ მიერ, რომელ არს ხილვისა მათისა საკურველებაჲ.

რამეთუ ჭეშმარიტად ვარსკულავ არიან საღმრთოჲთა ამათ სიტყუათა ნათელნი და ბრწყინვალებანი ზეშთა მნათობნი და აღმაღლებულნი თუალთაგან სულისათა ესოდენ, რაოდენ განშორებულ არიან ცანი ქუ-

---

1 აღდგედ A, აღჰსდეგ C;
2 ჰსჭამენ C;
3 ვჰსჭამე C;
4 ვჰსუ C;
5 წინამძღურება C;
6 ამათ B;

ეყანისაგან[1•], ვითარცა იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი.

ხოლო უკუეთუ იქმნეს სულსაცა ზედა ჩუენსა რომელი-იგი გუესმის ელიაჲსთჳს და ცეცხლისა ეტლითა ამაღლდეს გონებაჲ ჩუენი ზეშთა სიმაღლედ და ზეცისა შუენიერებათა აღიწიოს.[2•]

ხოლო ცხად არს, რამეთუ სულსა წმიდასა ვიტყჳთ ცეცხლად, რომლისა მიფენად მოვიდა უფალი ქუეყანასა ზედა[3•] და ხილვითა ენათაჲთა მოწაფეთა განუყო; არა უსასო იქმნეს ჩუენდაცა მიახლებაჲ ესევითართა ამათ ვარსკულავთაჲ, რომელ არიან საღმრთონი გულისკმის-ყოფანი, რომელნი-იგი ზეცისათა ამათ და სულიერთა სიტყუათა მიერ სულთა ჩუენთა უკამკამებენ და განანათლებენ.

რამეთუ აღიხილენლა თუალნი სულისა შენისანი. შენდა მიმართ ვიტყჳ, მსმენელისა, კმასა მას, რომელი იქმნა ღმრთისა მიერ მამათმთავრისა მიმართ: *„აღიხილენ ზეცისა[7] ამის მიმართ და იხი[131vb]ლენ ვარსკულავნი ესე, უკუეთუ უძლო აღრაცხვად სიმაღლესა ძალისა და გულისკმის-ყოფისა მათისასა“.*[4•] იხილე კელმწიფებაჲ ესე დედოფლისაჲ და ბრძანებათაგან მისთა ძლიერებაჲ მისი განიცადე.

რამეთუ ვითარცა კელმწიფეთა თჳთმფლობელობასა სიტყუათა ამათ მიერ წარმოაჩენს, არა ლოცვისა მიერ აღასრულებს ნებასა თჳსსა, არამედ კმისა მიერ საღმრთოჲსა აღთქუმისა მისებრ უტყუეელისა, რომელსა იტყჳს სარწმუნოჲსა მის და გონიერისა მნისა მიმართ და განმგისა, რაჲთა ყოველთა მონაგებთა სამეუფოთა უფალ იქმნეს[5•]. ესევითარი კელმწიფებაჲ მოუღებიეს და მეუფებრ აღასრულებს ნებისა თჳსისა წადიერებასა ორთა მათ ქართა ძლიერთასა, რამეთუ ჩრდილოსა ბრძანებით და კელმწიფებით განუჩინებს, ხოლო ბღუარსა არძანიგით მოუწოდს და თჳსსა მომართ მოსლვად ასწრაფებს და იტყჳს: „აღდეგ, ჩრდილოო, და მოვედ, ბღუარო!“[6•]

და ვითარ ვჰგონებ, არა უცხო არს სიტყუათა მათგან ასისთაჳისათა ძალი ესე თქუმულთაჲ ამათ, რომელთათჳს-იგი განკურდა უფალი, ვი-

---

7 ცისა BC;

1• ფსალ. 102,11;
2• IV მეფ. 2,11;
3• ლუკ. 12,49;
4• დაბ. 15,5;
5• ლუკ. 12,42;
6• ქ.ქ. 4,16;

თარცა იტყჳს მახარებელი, და უფროჲს ისრაელისა[8] გამოაჩინა სარწ-
მუნოებაჲ მისი[1*] არა ამათ ისრაელთა[9] ერისა სარწმუნოებისა, არამედ
თჳთ თავადისა მის ისრაელ მამათმთავრისა, რომელი-იგი რკინობასა
მას[10] წინააღმდგომისასა შემდგომად საღმრთოჲსაცა შეწევნისა ძნიად
5 განერა დაცემასა და არცაღა ესრეთ სრულიად გარეშე დაშთა მკდომი-
სა მის ვნებისა, რამეთუ ვრცელ ბარკალსა ვნებაჲ იგი დაბუშებისაჲ
შეიწყნარა.

ხოლო ესე ასისთავი, რომლისათჳს-ესე აწ ვიტყჳთ სამეუფოჲთა
რაჲთმე ძალითა, წარვლენილ იყო პყრობად უცხოჲსა რაჲსმე კელმ-
10 წიფებისა, რომლისათჳს იგი იქმნა საკჳრველ და მიემთხჳა საწადელსა
თჳსსა [132ra], რამეთუ იტყჳს კელწმიფებასა ქუეშე[11] მისთა მყო-
ფთა მკედართათჳს კელმწიფებით წარვლინებად, რომელი ენების, და
აგრეთვე მოწოდებად, რომლისაჲ სთნდის, და მონისა თჳსისა განწესე-
ბად შემსგავსებული მსახურებაჲ.

15 და მუნცა სიტყუაჲ იგი ასისთავისაჲ არა თუ იბედივი რაჲმე არს,
არამედ სიბრძნისმეტყუელებაჲ, რამეთუ ერთგზის წარვლენილსა არ-
ღარა მიაქცევს მისსა, არამედ იგი რაჲ წარავლინოს, სხუასა განისა-
კუთრებს მის წილ.

რამეთუ მისთჳს იტყჳს, ვითარმედ: *„წარვედ, და წარვალს; და სხ-*
20 *უასთჳს, ვითარმედ: მოვედ“*,[2*] არა იგი, რომელი წარავლინა, არამედ
სხუაჲ.

და ვითარ ვჰგონებ, ესევითარსა რასმე გუასწავებს, ვითარმედ ურთ-
იერთარს მკდომთა ერთბამად ერთმანერთისა თანაყოფად, გინა ცხ-
ორებად, ბუნებაჲ არა აქუს, რამეთუ, სიტყჳსაებრ მოციქულისა, არცა
25 ერთი არს ზიარებაჲ ბნელისაჲ ნათლისა მიმართ[3*], არამედ უცილობელ
არს, ვითარმედ ბნელი რაჲ უჩინო იქმნეს, მის წილ ნათელი მოეფინე-
ბის და სიბოროტე რაჲ წარიდევნოს, სათნოებაჲ შემოვალს.

და ესე რაჲ ესრეთ აღესრულებოდის, ვერღარა ერევის ზრახვაჲ

---

8 ისრაილისა C;

9 ისრაილთა C;

10 მას] – C;

11 ქუე A (სტრიქ. ბოლოსაა);

1* მთ. 8,10;

2* მთ. 8,9;

3* II კორ. 6,14;

კორცთაჲ ზრახვასა სულისასა და რამეთუ ვერცა ძალ-უც, ვინაჲთგან მოიკლას იგი წინააღმდგომისა ძალისა წარმოჩინებად, არამედ ყოვლისავე ჯეროვნისა მსახურებისა მიმართ მომზავებელ იქმნების ძლიერებითა სულისაჲთა და მორჩილ და უცილობელ.

რამეთუ რაჟამს წარიდევნოს მკედარი, შემწე ბოროტისაჲ, და მის წილ შემოვიდეს სათნოებისა ჭურვილი, შეჭურვილი ჯაჭუთა სიმართლისაჲთა, და მახული იგი სულისაჲ ეპყრას ქელთა მისთა და ეტყრთოს სრულმყოფელი იგი საჭურველთაჲ, რომელ არს ფარი სარწმუნოებისაჲ და ჩაფხუტი ცხორებისაჲ და ყოველივე იგი სულიერი საჭურველი მოაქუნდეს თავისა მიერ თჳსისა, მაშინ ეშინის მონათა მათ კორცთა მფლო[132rb]ბელისა მის გონებისაგან და გულსმოდგინედ მიითუალავნ ბრძანებასა ამას უფლისა თჳსისასა, რომლისა მიერ სათნოებაჲ სრულ-იქმნების მსახურებითა კორცთაჲთა.

და ესე არს, რომელსა-იგი წარმოაჩენს ასისთავისა მის სიტყუაჲ, რომელ თქუა, ვითარმედ: „და *მონასა ჩემსა: ყავ ესე, და ყოს*“.[1•]

არამედ ვისმინოთ დედოფლისაჲ, თუ ვითარ აღადგენს თავისა თჳსისა მიერ ჩრდილოსა წინაუკუმო[12] თჳსსა უკუმოქცევად ქროლისა, რამეთუ არა უბრძანებს დაყუდებად, ვითარცა-იგი ღმერთმან[13] უბრძანა ოდესმე ზღუასა მას და ქართა დადუმებაჲ და ღელვატეხილობაჲ იგი მისი მყუდროებად შეცვალა, არამედ განშორებასა და სიელტოლასა უბრძანებს, რაჲთა დაუბრკოლებელად ჰბერვიდეს სამხარი და არცა ერთი ნიავი დააყენებდეს ქროლასა მისსა. რამეთუ იტყჳს: „*აღდეგ, ჩრდილოო*“.

და რაჲ-მე არს მიზეზ ამის ქარისა აღდგინებისაჲ? ფიცხელ არს ქარი ჩრდილოეთისაჲ, ვითარცა იტყჳს სიტყუაჲ იგავთაჲ, ხოლო სახელით მარჯუენედ უწესს, გარნა საქმით არარაჲთ არს იგი მარჯუე, გარნა თუ ვისმე სამხრით აქუნდეს აღმოსავალი და სრბასა თჳსსა ჰყოფდეს დასავალით.

ხოლო განაღა სცნობ თქუმულთა ამათ იგავსა, რამეთუ რომელი აღმოსავალსა განეყოს, ვინაჲთგან ესრეთ ეწოდების ქრისტესა წინაჲ-

---

12 წინაუკმო C;

13 ღ`ნ]რ`ნ BC;

1• მთ. 8,9;

სწარმეტყუელისა მიერ[1•], და დასავალით კერძო ნათლისა სდევნიდეს თავსა თჳსსა, სადა-იგი არს კელმწიფებაჲ ბნელისაჲ, მარჯუენით თჳსსა უპყრიეს ჩრდილოჲ, რომელი-იგი ბოროტითა საგზლითა ანუკვებს მას და ისტუმრებს; რომელთა მიერ, რომლისა-იგი სრბაჲ იქმნეს ბნელისა მიმართ, იგი ჰპოვებს ჩრდილოსა მარჯუენით თჳსსა, ესე იგი არს არაწმიდაჲ და რომელი ვნებათა მათ ბილწებისათა თანაქროდის და თანარბიოდის, ესრეთ იქმნების ქარი ესე სიბოროტისაჲ მარჯუე[132va]ნე; და ანგაჰრსაცა, რაჟამს-იგი ნივთთა მათ ანგაჰრებისათა შეუნქრევდეს, მას, ვითარცა მიწასა რასმე და მტუერსა, ესრეთ თითოეულსა უშჯულოებასა თავისა მიერ თჳსისა შეწევნასა მიანიჭებს და რომელთაცაიგი შეეყოს, მარჯუენე ექმნების მათ. არს იგი ჭეშმარიტად ფიცხელ ბუნებით, გარნა გემოთა მიერ დაჰფარავს სიფიცხლესა თჳსსა.

და ამისთჳს სდევნის და იოტებს თჳსისა კელმწიფებისაგან ჩრდილოსა მძლე იგი ვნებათაჲ და დამთრგუნველი მათი სძალი და ეტყჳს: *„აღდეგ, ჩ ჩრდილოო“*.

და სახელისა ამის მიერ წინააღმდგომსა მას ძალსა მოასწავებს და არავინ არს ამისსა უმეცარ, რომელმანცა უწყის შეტყუებაჲ ბუნებათა და სახელთაჲ.

რამეთუ ვინმცა არა უწყოდა სარბიელი იგი მზისაჲ და ვითარმედ ალმოსავალით წარჰვლის არეთა[14] ბღუარისათა და დასავალად მიიწევის, ხოლო სახე ქუეყანისაჲ მრგუალ არს, ვითარცა იტყჳან ესევითართა საქმეთა მეცნიერნი. და სადა-იგი მზე არა გამობრწყინდეს თჳნიერ ყოვლისა ცილისა, წინააღმდგომისა მიერ დაბნელდების, საკშოჲთა წყუდიადისაჲთა განწვალებული და ჩრდილოქმნილი.

და ვინაჲთგან უნათლო არს ადგილი იგი და განკმელადცა ჰგიეს მარადის და არცა განტფების შარავანდედთაგან მზისათა და არცა განბრწყინდების, ამისთჳსცა მთავარსა მას და კელმწიფესა ბნელისასა, რომელი-იგი ჩჩულსა მას ბუნებასა სულთასა სახედ წყლისა განყინებისა მიერ ქვა-იქმს და განაფიცხებს, ჩრდილად და ფიცხლად სახელსდებს სიტყუაჲ, რომელი-იგი მოგუატყუებს მჭმუნვარესა ზამთრისასა, ხოლო მას ზამთარსა ვიტყჳ, რომელსა შინა ჭირთაგან სიელტოლასა

---

14 ჰაერთა C;

1• ზაქ. 6,12;

უღონო-ყოფს სიტყუაჲ საზარებისაჲ[1•], რომელსა-იგი შინა სათნოებითა აღყუავებულ[132vb]თა შუენიერებაჲ დაჭნების.

კეთილად უკუე სდევნის მას კელმწიფებით სიტყუაჲ იგი დედოფლისაჲ და მოუწოდს ქარსა მას[2•] სამხრისასა, მკურვალესა და ბრწყინვალესა, რომელსაცა-იგი ბღუარად სახელ-სდებს, რომლისა მიერ მდინარე საშუებელისაჲ წარმოეცემის, ვითარცა იტყჳს:

„და მოვედ, ბღუარო. მოჰბერე მტილსა ჩემსა და დიოდენ ნელსაცხებელნი ჩემნი“.

და ესე იქმნა სასტიკითა მით მობერვითა სულისა წმიდისაჲთა მოწაფეთა ზედა ქორსა მას შინა სიონისასა, ოდეს-იგი მიჰბერა მან სამოთხეთა მათ ზედა სულიერთა და აღძრნა ნერგნი[15] იგი საღმრთონი აღმოცენებად მდინარეთა მათ ნელსაცხებელისათა; და აღმოიტყოდა სულნელებათა მათ წინაჲსწარმეტყუელებისა პირთაგან მათთა უბიწოთა და ცხოველთა მათ მაცხოვარებისა და სარწმუნოებისა სწაულათა მრავალფერითა მით ენებითა დაუბრკოლებელად და სულნელებათა მათ მოძღურებისათა, ვითარცა ღუართა, აღმოდიოდა.

ესრეთ ას ოცნი იგი მოწაფენი, სახლსა ღმრთისასა დანერგულნი მობერვითა მით ესევითარისა ბღუარისაჲთა, მოძღურებისა მის მიერ ცეცხლისა ენათაჲსა აღყუავნეს, ვინაჲცა იტყჳს ეგევითარსა მას ბღუარსა სძალი, ვითარმედ:

„მოჰბერე მტილსა ჩემსა“, ვინაჲთგან დედა მტილთა იქმნა ჴმისა მიერ სიძისა, რომელმანცა შეჰმზადა იგი, ვითარცა წერილ არს, მტილად და წყაროდ.

და ამისთჳს მტილსა მას თჳსსა, რომელ არს ეკლესიაჲ, აღვსებულსა ზეთა მიერ სულიერთა, ჰნებავს, რაჲთა მოჰბეროს სულმან წმიდამან, ვიდრემდის გამოჴდენ[16] მისგან ნელსაცხებელნი.

იტყჳს უკუე წინაჲსწარმეტყუელი, ვითარმედ: *„ქროდის სული მისი და დიოდიან წყალნი“*,[3•] ხოლო სამეფოჲთა მით სიმდიდრითა განშუენებული სძალი უმაღლესისა წესისა მიმართ შესცვალებს[17] მდინარეთა

---

15 ნერნი A;

16 გამოჴდეს C;

17 შეჰსცუალებს C;

1• მთ. 24,20;

2• ფსალ. 147,18;

3• ფსალ. 147,18;

მათ, რაჲთა ხეთა მათ [133ra] მტილისათა ნელსაცხებელისა მდინარენი წარმოაცენენ სასტიკად მობერვითა მით ბღუარისაჲთა.

რაჲთა ამის მიერ ცხადად ვისწავოთ განყოფილებაჲ ძუელისა მის შჯულისაჲ ახლისაგან, რამეთუ საწინაჲსწარმეტყუელოჲ იგი მდინარე აღიცსო წყლითა, ხოლო სახარებისაჲ — ნელსაცხებლითა.

ესევითართა ნელსაცხებელთა მდინარე იყო მტილისაგან ეკლესიისა აღმოცენებული სულისა მიერ წმიდაჲ მოციქული პავლე, რომლისა-იგი მდინარე ქრისტესი იყო სულნელებაჲ; ეგევითარივე იყო იოანე და ლუკა და მარკოს და მატთეოს და სხუანი ყოველნივე ნერგნი იგი, წარჩინებულნი მტილისა მისგან სასძლოჲსა, რომელნი-იგი ბრწყინვალითა მით ბღუარითა სამხრისაჲთა ინიავნეს და იქმნეს წყაროჲ ნელსაცხებელთა და აღმოდიოდეს მადლთა და სულნელებათა საბარებისათა.

და მერმე იტყჳს: *„შთაკჳდინ ძმისწული ჩემი მტილსა თჳსსა და ჰამენ ნაყოფი ხილნართა თჳსთაჲ“.*[1]

ეჰა, პატიოსანი და ნიჭმრავალი სული და ეჰა, კმაჲ ესე, სავსე კადნიერებითა, რომელი-ესე სძლევს ყოველსავე ძალსა და სიმაღლესა გონებისასა, რამეთუ ვის შეიწყნარებს სერობად თჳსთა მიერ ნაყოფთა და ვის განუმზადებს თჳსთა კეთილთა მიერ განსუენებასა და ვის უწოდს განმზადებულთა მათ სანუკვართა მიერ სადილობად, რომლისა მიერ არს ყოველი და რომლითა არს ყოველი და რომლისგან არს ყოველი, რომელი *„მისცემს საზრდელსა ყოველთაჲ ჴამსა თჳსსა, რომელი აღიღებს კელსა თჳსსა და აღავსებს ყოველსა ცხოველსა“*[2] *„ნებისაებრ და სათნოებისა თითოეულისა*[18] *ჰურსა მას, რომელი ზეცით გარდამოჴდა და ცხორებაჲ მოსცა სოფელსა“*,[3] რომელი-იგი ყოველთა არსთა ცხორებისა თჳსისაგან წყაროჲსა აღმოუცენებს, ამას სძალი დაუგებს ტაბლასა და განუმზადებს სერობასა.

და მტილი არს ტაბლაჲ, ხეთა მიერ სუ[133rb]ლიერთა დანერგული, ხოლო ჩუენ ვართ ხენი იგი, უკუეთუ ოდენ ჩუენცა წინა-დაუგოთ საზრდელად მისა ცხორებაჲ სულთა ჩუენთაჲ, რამეთუ ესრეთ თქუა[19], ვი-

---

18 თჳთოეულისა B;

19 Ესთქუა C;

1• ჭ.ჭ. 4,16;

2• ფსალ. 144,15-16;

3• ინ. 6,32-33;

თარმედ: ცხორებაჲ ჩუენი არს საზრდელ და სანუკვარ მისა, ვითარმედ: *„ჩემი ჭამადი ესე არს, რაჲთა ვყო*[20] *ნებაჲ მამისა ჩემისაჲ“*,[1•] ხოლო ცხად არს პირი საღმრთოჲსა მის ნებისაჲ, რამეთუ ჰნებავს ყოველთა ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ[2•].

ესე უკუე არს განმზადებული მისთჳს საზრდელი, რომელ არს ცხორებაჲ ჩუენი, ხოლო ნაყოფ ჩუენდა ნებაჲ და გულსმოდგინებაჲ იქმნებიან, რომელნი-იგი მომსთულებელსა ჩუენსა ღმერთსა თავთა მიერ თჳსთა, ვითარცა ხილნართა რათმე მიერ, სულსა ჩუენსა კელთუდებენ.

ხოლო ჯერ-არს ამისიცა გულისჴმის-ყოფაჲ, რამეთუ პირველ სძალი დატკბების ნაყოფითა მით ვაშლისაჲთა, ვითარცა თქუა[21], ვითარმედ და ნაყოფი მისი ტკბილ არს სასასა ჩემსა.

და მერმე თჳთცა იქმნების ნაყოფ მწიფე და ტკბილ და მახარებელად მუშაკისა წინადაგებულ, ხოლო სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: *„შთაჴედინ“*, ლოცვისაჲ აქუს ძალი და მოსწავებაჲ, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: *„წმიდა იყავნ სახელი შენი“* და ვითარმედ: *„იყავნ ნებაჲ შენი“*, რამეთუ ვითარცა-იგი მუნ ლოცვისა ძალი აქუს სიტყუათა მათ გამოსახვასა, ეგრეთვე აქა, ვითარმედ: *„შთაჴედინ“* ლოცვაჲ არს სძლისაჲ, რომელი-იგი უჩუენებს ღმერთსა სათნოებისა მათ ხილნართა ნაყოფიერებასა, ხოლო შთამოსლვაჲ კაცთმოყუარებისა საქმესა მოასწავებს, რამეთუ[22] სჯულთა სახითა ამაღლებაჲ ჩუენი მაღლისა მიმართ შეუძლებელ არს, უკუეთუ არა სიმდაბლედ მოდრკეს უფალი, რომელი-იგი აღამაღლებს მშჯდთა გულითა.

ამისთჳსცა სიმაღლედ აღმავალი სული მაღალსა მას ჴელისაპყრობასა მისსა ითხოვს და ევედრების გარდამოსლვად თჳსისა სიმაღლისაგან, რაჲთა იქმნეს მდაბალთა მიერ მისაწდომელ[23], ხოლო რომელმან-იგი თქუა წინაჲსწარმეტყუელისა მიერ, ვითარმედ: [133va] *„ვიდრეღა-იგი იტყოდი, გრქუა შენ: აჰა, აქა ვარ“*,[3•] ვიდრეღა არა წარმოესრულა

---

20 ჳყო C;
21 ჰსთქუა C ;
22 ვინაჲთგან B;
23 მისაწუდომელ B;

1• ინ. 4,34;
2• I ტიმ. 2,4;
3• ეს. 58,9;

ლოცვაჲ იგი სძალსა და ესმაცა, რომლისათჳს-იგი ეუედრებოდა და მოხედნაცა განმზადებულებასა გულისა მისისასა.

და გარდამოჴდა მტილად მობერილად ბღუარისა მიერ და ნაყოფნი ნელსაცხებელთანი მოისთულნა და ხილნართაგან სათნოებისათა განძღა და განსუენებაჲ იგი განთქუა და მისათხრობელ-ყო[24].

და ესრეთ ეტყოდა სძალსა: *„შეუედ მტილსა ჩემსა, დაო ჩემო, სძალო. მოვისთულე მური ჩემი ნელსაცხებლით ჩემითურთ. ეჭამე პური ჩემი თაფლითა ჩემითა. ესუ ღუნოჲ ჩემი სძითა ჩემითა. ჭამეთ[25], მოყუასნო ჩემნო, და სუთ და დაითრჳენით, ძმისწულნო ჩემნო“*!

ხედავ-ა, თუ ვითარ გარდაჰმატებს ნიჭთა სიმრავლითა თხოვასა?

ილოცა სძალმან, რაჲთა იქმნენ[26] ნერგნი მისნი წყარო ნელსაცხებელთა მტილსა შინა მისსა, მობერილნი იგი სამხრისა მიერ მობერვითა ბღუარისაჲთა და ნაყოფითა ხილნართაჲთა მუშაკთმთავრისა მის სტუმრებად.

და ესე ცხად არს, ვითარმედ ყოველივე სულნელებაჲ ყნოსისა საცნობელთა იქმნების საშუებელი, ხოლო ხილნი ძლიერებისა მას პურისასა უუძლურეს არიან გამოზრდილთა მათ განძღომად და განშუენებად, არამედ რომელი-იგი გარდამოჴდა მტილსა თჳსსა, უაღრესად და უპატიოსნესად შეცვალა ნაყოფთა მათ ბუნებაჲ, რამეთუ მოისთულებს მტილისაგან მურსა ნელსაცხებელთა თჳსთა თანა, რამეთუ ყოველივე კეთილი, რაჲცა იხილვების, გინა მოიგონების, ყოველივე მისი არს და მის მიერ არს, ვითარცა გალობს[27] წინაჲსწარმეტყუელი. ხოლო ხილთა წილ საზრდელსა პურისასა, თაფლითა შენელებულსა, მისცემს გამოღებად ნერგთა მათ, რომელსა-იგი ჭამს თაფლისა თჳსისა [133vb] თანა და რამეთუ თაფლიცა მისივე არს, ვითარცა სხუანი იგი კეთილნი, და ღუნოსაცა აღმოივსებს მათგან, განზაებულსა სძითა თჳსითა, *„რამეთუ მისგან და მის მიერ და მისა მიმართ არს ყოველი“*.[1*]

ეჰა, ნეტარი იგი მტილი, რომლისა ნერგნი ესევითართა ნაყოფთა გამომღებელად იწამნეს, ვიდრეღა ყოველთავე შუებათა საშუებელნი,

---

24 მისათხრობელ-ჰყოს C;

25 ჰსჭამეთ C;

26 იქმნენ C;

27 ჰგალობს C;

1* რომ. 11,36.

გულისთქუმისაებრ მიმღებელთაჲსა, ერთბამად შემოკრბეს მათ შორის, რამეთუ სულნელებისა მიერ მშუებელისა მურ ექმნების ნელსაცხებელთა თანა, რაჲთა ქუეყანისა[28] ასოთა მოკუდინებათა წმიდაჲ და სულნელი ცხორებაჲ შეასულნელოს, პირად-პირადთა და მრავალფერთა სათნოებისა ნელსაცხებელთა მიერ შენელებული.

ხოლო რომელი სრულსა საზრდელსა ეძიებდეს, პურად შეიცვალების არა ველისყრდელითა მწარითა საჭამადად,[1•] ვითარცა ბრძანებს[29] შჯული, რამეთუ მცირედჟამ არს და საწუთრო[30] სიმწარე, არამედ თჳსად სანუკვარად ჰყოფს თაფლსა, რაჟამს-იგი თჳსსა ჟამსა ნაყოფმან სათნოებისამან დაატკბნეს საცნობელნი სულისანი, რომლისა სახედ შემდგომად აღდგომისა უფლისა ცხადად იხილეს მოწაფეთა, ესე იგი არს პური, გოლეულითა დატკბობილი.

და კულად, წყურიელსა ტაკუკ ექმნების აღსავსე ღუნითა და თაფლითა, არა ღრუბელ ნავღლითა და ძმრითა[31] აღსავსე[2•], რომელი-იგი ჰურიათა ქველისმოქმედსა მას და კეთილისმყოფელსა მათსა ქველმოქმედებათა მისთა წილ ლერწმითა[32] მიუპყრეს.

და ვითარ ვჰგონებ, არავინ არს, რომელმანცა არა უწყოდნა თქუმულთა ამათ იგავნი, თუ ვითარ პაელე ზე იყო, მურითა აღსავსე, *„რომელი-იგი დღითიდღე მოკუდებოდა[3•] და თჳთ იგი მისცემდა თავსა თჳსსა განჩინებასა სიკუდილისასა და სიწმიდისა მიერ და უვნებე[134ra] ლობისა სულნელქმნილნი ცხორებულთა მათ სულ ცხორების ექმნებოდა“.*[4•]

ხოლო თუ ვითარ გამოზრდიან უფალსა, მეუფესა მას მტილისასა, სულიერნი იგი ნერგნი მტილისანი, თჳთ თავადი უფალი წამებს,[33] მჯდომარე საყდართა ზედა, ვითარმედ: *„მშიოდა და მეცით მე ჭამადი“.*[5•]

---

28 ქუეყანისანი A;
29 აბრძანებს C;
30 საწუთო C;
31 ძრმითა C;
32 ლელწმითა C;
33 ასწამებს C;

1• გამოს. 12,8;
2• ლკ. 23,36;
3• I კორ. 15,31;
4• II კორ. 1,9;
5• მთ. 25,35;

და რამეთუ ქველისსაქმე არს პური სიხარულისაჲ, დატკბობილი თაფლითა მცნებისაჲთა.

და კუალად, თუ ვითარ აღმოაცენებენ ღუნოსა შუებულნი იგი ნერგნი სასძლოჲსა მის მტილისანი, რომლისა მიმართ ესრეთ იტყჳს, ვითარმედ: *„მწყუროდა და მასუთ მე ღუნოჲ, სძითა განზავებული და არა წყლითა, ჩუეულებისაებრ მოფარდულთაჲსა“* და რამეთუ სძე პირველი საზრდელი არს კაცობრივისა ბუნებისაჲ, წმიდაჲ და მარტივი და ჩჩუკლებრივი და უზაკუველი და ყოვლისავე ბოროტად ცხორებისაგან განწმედილი.

ესე რაჲ წამოთქუა[34] სძლისა მიმართ სიტყუამან, მისცვალებს და მიმოდასდებს მოყუასთა მიმართ საიდუმლოთა სახარებისათა და იტყჳს: *„ჭამეთ, მოყუასნო ჩემნო, და სუთ და დაითრეენით, ძმისწულნო ჩემნო“*.[1•]

რომელმან უწყოდნის საიდუმლონი სახარებისანი, არცა ერთი განყოფილებაჲ შემოიღოს სიტყუათა ამათ შორის და რომელნი-იგი მაშინ სერობასა მას საიდუმლოსა ითქუნეს მოწაფეთა მიმართ, რამეთუ ვითარცა-იგი მაშინ, ეგრეთვე აწ იტყჳს სიტყუაჲ, ვითარმედ: *„მიიღეთ და ჭამეთ“*.[35]

ხოლო დათრობის მიმართ წუევაჲ, რომელსა-იგი ჰყოფს სიტყუად აქა ძმათა მიმართ, ნუ ჰგონებს, თუ შესცვალებს[36] რასმე სიტყუასა სახარებისასა, რამეთუ რომელი-ესე აქა მეგობართა უბრძანა, ესე მუნ საქმით აღასრულა, ვინაჲთგან ყოველივე სიმთრვალე განაკჳრვებს და განაცუბრებს გონებასა დამთრვალთასა, რომელსა-იგი აქა უბრძანებს ესევე საღმრთოჲსა მის ჭამისა და სუმისა მიერ და მაშინცა იქმნე და ყოვლადვე იქმნების მჭამელთა მათ [134rb] და მსუმელთა შორის უმდაბლესთაგან უაღრესთა მიმართ შეცვალებითა და განცუბრებითა.

ესრეთ დაითრეობიან, ვითარცა იტყჳს წინაჲსწარმეტყუელებაჲ, *„რომელნი სიპოხესა სახლისა ღმრთისასა სუმიდენ და ღუარითა საშუებელითაჲთა ირწყჳებოდინ“*.[2•] ვითარცა-იგი ოდესმე დიდიცა დავით

---

34 წარმოსთქუა C;

35 სჭამეთ C;

36 შეჰსცუალებს C;

1• ქ.ქ. 5,1;

2• ფსალ. 35,9;

დაითრვოდეს, იგი თჳთ მებრ თავსაცა თჳსსა წარჰკლა და განკურვებულ იქმნა და განცუბრებულ და იხილა შუენიერებაჲ იგი უხილავი და კმა-ყო[37] კმაჲ იგი ყოვლადსწადელი, ვითარმედ: *„ყოველი კაცი ცრუ არს“*,[1•] რაჟამს-იგი სიტყუასა არწმუნებდა გამოუთქუმელთა მათ კეთილთა თარგმანებასა.

ესრეთ დაითრო და ჭაბუკიცა ბენიამენ. პავლე, რაჟამს-იგი განკურდა და იტყოდა, ვითარმედ: *„და გინა თუ განეცუბრდით,*[38] *ღმრთისა“*, და რამეთუ მისსა მიმართ იყო განცუბრებაჲ მისი, *„და გინა თუ განებრძნდით, თქუენდა“*,[2•] რომელსა-იგი აჩუენებდა, ჰზრახვიდა რაჲ ფესტოსს და იტყოდა, ვითარმედ: *„არა ეგორგ,*[39] *არამედ სიწმიდისა და სიმართლისა სიტყუათა ვიტყჳ“*.[3•]

ვიცი ნეტარიცა პეტრე ესევითარისავე სიმთრვალისა სახესა შინა, რამეთუ ერთბამად და შიოდაცა, დაეთროცა, რამეთუ პირველ კორციელისა საზრდელისა მიღებადმდე, რაჟამს-იგი შეემშია და უნდა ჭამის, და ვიდრეღა-იგი უმზადებდეს მას, იქმნა მის ზედა საღმრთოჲ და განფრთხობილი სიმთრვალე, რომლისა მიერ განკურდა იგი თავსა შორის თჳსსა და განცუბრდა და იხილა ტილოჲ იგი სახარებისაჲ, ოთხთა კიდეთაგან ზეცით დამოკიდებული, და ყოველივე ნათესავი კაცთაჲ ეპყრა მას შინა ბევრეულითა სახითა მფრინველთა და ოთხფერკთა და ქუეწარმავალთა და მკეცთაჲთა, სამსახურებელთა განყოფისაებრ შეცვალებულთა[40], რომელთა-იგი მკეცებრივსა და პირუტყუებრსა სახესა დაკლვად უბრძანებდა პეტრეს სიტყუაჲ, რაჲთა განწმიდნენ რაჲ იგინი, ნეშტი იგი იქმნეს საჭამადად,[41] რაჟამს-[134va]იგი შიშულად და მარტივად გამოისახა ღმრთისმსახურებისა საიდუმლოჲ და სიტყუაჲ სარწმუნოებისაჲ, რამეთუ არა თუ ერთგზის პრქუა კმამან მან საღმრთომან, ვითარმედ: *„არა არს შეგინებულ, რომელი ღმერთმან განწმიდა“*, არამედ სამგზის იქმნა ესევითარი ქადაგებაჲ, რაჲთა ერთისა მის

---

37 კმა-ჰყო C;

38 განცუფრდით C;

39 ეჰბორგ C;

40 შეცუალებითა C;

41 საჭამად A;

1• ფსალ. 115,2;

2• II კორ. 5,13;

3• საქ. მოც. 26, 25;

კმისა მიერ ვისწაოთ[42] განწმედად ღმრთისა მამისად და მეორისა მიერ — განწმედად ღმრთისა ძისად და მესამისა მიერ — განწმედად ღმრთისა სულისა წმიდისად.

და ვინადთგან ესევითარი იქმნების სიმთრვალე ღუნისა მიერ[43], რომელსა წინა-დაუდგამს მოსუმურთა მათ უფალი, რომლისა მიერ იქმნების სულისა საღმრთოდ განცუბრებად, კეთილად უბრძანებს, რომელნი-იგი სათნოებათა მიერ იქმნნეს მოყუას მისსა და არა შორად განშორებულთა უფალი, ვითარმედ: *„ჭამეთ, მოყუასნო ჩემნო, და სუთ, მახლობელნო ჩემნო, და დაითრევნით, რამეთუ რომელი ულირსებით ჭამდეს და სუმიდეს, დასასჯელად თავისა თჳსისა ჭამს და სუამს“*.[1•]

ხოლო ღირსთა მათ ჭამისათა კეთილად უწოდა ძმად თჳსად, რამეთუ რომელი ჰყოფდეს ნებასა მისსა, და ძმად და დად და დედად იწოდების სიტყჳსა მიერ.

ხოლო ჯეროვნად შეუდგების სიმთრვალესა მას ძილი, რადთა მოდნობისა მიერ სიმართლედ და ძალად შეიცვალოს მსერობელთა მათ, ვინადაც შემდგომად პურობისა მის და განსუენებისა მიიძინებს სძალი.

ხოლო ძილი იგი არს უცხოდ რამე და გარეგანი ბუნებითისა ჩუეულებისაგან, რამეთუ ჩუეულებად ძილისად ესევითარი არს: არცა რომელსა-იგი ეძინოს, ჰღუძავს და არცა რომელსა ეღუძოს, სძინავს, არამედ ორივე ურთიერთარს განილევის — ძილიცა და მღუძარებადცა, ერთმანერთისა შემდგომებითა განკრთომილნი და კუალად თითოეული[44] ეგრეთვე სახედ თჳსსა ჟამსა [134vb] მოწევნული, ხოლო აქა ახალი რამე და საკჳრველი წინააღმდგომთა შეზავებად და შეერთებად იხილვების[45] მის შორის, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „მე მძინავს და გული ჩემი მღუძარე არს“.

რად-მე უკუე ჯერ-არს ამისთჳს მოგონებად? რამეთუ ძილი მსგავსებად არს სიკუდილისად და ყოველივე საქმე კორცეულთა საცნობელთად დაიკსნების მის შინა.

და არცა სახილველნი და არცა სასმენელნი და არცა საყნოსელნი

---

42 ვისწაოთ C;

43 მის C;

44 თჳთუეული B;

45 იქმნების A; Θεωρεῖται PG 44, col. 992. C_{11}.

1• I კორ. 11,29;

და არცა გემოჲსხილვაჲ და არცა შეხებაჲ შემძლებელ არიან ჟამსა ძილისასა თჳსსა საქმესა აღსრულებად და ძალიცა გუამისაჲ დაიკსნების და ზრუნვათაცა კაცისათა დავიწყებაჲ იქმნების და დაკსნად შიშისაჲ და დამშუდებაჲ გულისწყრომისაჲ და მოლბობაჲ განმწარებულთა სიფიცხისაჲ და ყოველთა ბოროტთა უგრძნულობაჲ,[46] ვიდრემდის-იგი დაეპყრის ძილსა ჴორცთა ბუნებაჲ.

ვინაჲცა ამას ვისწავებთ ამის მიერ, ვითარმედ უმაღლეს იქმნა თავისა თჳსისა, რომელი-იგი ამისთჳს იქადის და იტყჳს, ვითარმედ: „მე მძინავს, ხოლო გული ჩემი მღუძარე არს“.

და რამეთუ ჭეშმარიტად რომლისა გონებაჲ ფრთხილ იყოს და ღმრთიებრწყინვალედ მოქალაქობდეს და არცა ერთისა საცნობელთაგანისაგან იმძლავრებოდის, ვითარცა ძილითა რაჲთმე და შესულებითა დაიკსნების ჴორცთა ბუნებაჲ და საკადრებელ არს თქუმად, ვითარმედ სძინავს უქმობითა სახედველითა და შეურაცხ-ჰყოფს ხილვათა მათ, რომელნი-იგი ყრმებრივთა[47] მათ სახედველთა განაკრთობენ.

და რად მათ ხოლო ვიტყჳ, რომელნი ქუეყანისა ნივთთაგან არიან, ვითარ-იგი ოქროჲ და ვეცხლი და ქვანი იგი და ანთრაკნი, რომელნი [135ra] ფეროვნებითა რაჲთმე და ბრწყინვალებითა აღსძრვენ თუალთა უძღებებად, არამედ საკჳრველებანიცა იგი, რომელნი ცათა შინა იხილვებიან, ესე იგი არს სიმრგულე მზისაჲ და შუენიერებაჲ ვარსკულავთაჲ და მრავალფერებაჲ იგი მთოვარისაჲ და სხუაჲ ყოველივე, რაოდენიცა[48] განაცხრობს თუალთა, ვინაჲთგან არარაჲ არს მათგანი უცვალებელ და სამარადისო, არამედ იცვალების ცვალებასა თანა ჟამთასა და წარვალს.

ამათ უკუე ყოველთა და ესევითართა შეურაცხებითა და ჭეშმარიტთა მათ კეთილთა განცდითა დაკსნილ არს და მირულებულ თუალი გუამისაჲ და არარაჲსა მის მიერ ჩუენებულთაგანისა მიმართ მიიზიდვის სული სრული და მაღალი, რამეთუ მას ოდენ განიცდის გონებითა, რომელი-იგი უაღრეს არს ხილულთაჲსა.

ეგრეთვე და სასმენელიცა მკუდარ იქმნების და უქმ, რაჟამს უაღრესთა მათ სიტყჳსათა შექცეულ იყოს სული და საწუთროთა საქმეთა

---

46 უგრძნეულობა C;

47 ბრმებრივთა C;

48 რაჲოდენიცა B;

სმენანი უვარ-ექმნენ.

ხოლო პირუტყუებრივთა მათ საცნობელთათჳს არცა თუ ჯერ-არს თქუმად, რამეთუ შორად განუთხევიან იგინი[49] სულსა, ვითარცა ნამკუდრევნი რაჲმე სიმყრალენი, რომელ არს ცხჯრთშემბნედელი იგი საყნოსელი და მუცლის მონებად მოცლილი იგი გემოჲსხილვაჲ და ამათ თანა შინაგანმცემელი იგი და ბრმაჲ საცნობელი შეხებაჲ, რომელი-იგი ნუუკუე და ბრმათათჳს ხოლო შეუმზადებია ბუნებასა.

და ამათ ყოველთა უქმობითა, ვითარცა ძილითა რაჲთმე შეპყრობილი, წმიდა არს გულითა და უბიწო საქმეთაგან ქუეყანისათა და ზეცად მიმართ ხედავს გონებითა, ვითარცა განუცხრომელი და უძრავი და შეუმრღუეველი ამბოხებისაგან საცნობელთაჲსა.

რამეთუ ვინაჲთგან კაცობრივსა ბუნებასა შინა [135rb] მრჩობლი აქუს[50] გულისთქუმაჲ, რომელი-იგი იქმნების სულსა შინა უვნებელობითა, ხოლო კორცთა შინა — ვნებათა მიერ, და ამათ ორთავე შორის, რომელიცა ნებამან გამოირჩიოს, იგიცა მძლე ექმნების მეორესა, ვინაჲცა უკუეთუ ვინმე საცნობელთა შეექცეს და მათ მიერ აღმოცენებულსა კორცთა გულისთქუმასა მოიზიდვიდეს, გემოსა საღმრთოჲსა სიხარულისასა ვერ იხილავს იგი, რამეთუ უდარესი იგი დაუბნელებს უაღრესსა მას.

ხოლო რომელთა შორის საღმრთოჲ გულისთქუმაჲ გარდაემატოს, მათი იგი კეთილი დაუბნელებელ იქმნების[51] მათ წინაშე და სალტოლველ.

ამისთჳსცა სული, რაჟამს ჭეშმარიტთა მათ ხოლო ხილვათა მიერ იხარებდეს, არარაჲსა მიმართ იღჳძებს ყოვლადვე საცნობელთა აღძრვისა და საქმისა და გულისთქუმისა, არამედ ყოველთაცე კორციელთა[52] ამბოხთა დააძინებს და შიშუელი[53] და წმიდაჲ გონებითა საღმრთოჲსა მღჳძარებისა მიერ გამოცხადებასა ღმრთისასა შეიწყნარებს, რომლისაი-იგი ჩუენცამცა ღირსქმნულ ვართ და ზემოთქუმულისა მის ძალისა მიერ წარ-მცა-გჳმართებიეს საწადელი იგი მღჳძარებაჲ სულისაჲ ქრისტე იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომელსა შუენის დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

---

49 იგი B;

50 არს C;

51 ექმნების BC;

52 კორცთა C;

53 შიშუველი B;

ᲒᲐᲮᲜᲐ XI

სიტყუაჲ ესე:

5,2. ჰმაჲ ძმისწულისა ჩემისაჲ ჰრეკს კარსა: *„განალე, დაო ჩემო, მახლობელო ჩემო, ტრედო ჩემო, სრულო*[1] *ჩემო, რამეთუ თავი ჩემი ალიწსო ცუარითა და თმანი ჩემნი – ცუართაგან ღამისათა“.*

5,3. განვიძარცუე სამოსელი ჩემი, ვითარ-მე შევიმოსო იგი? დავიბანენ ფერჴნი ჩემნი, ვითარ-მე შევაგინნე იგი?

5,4. ძმისწულმან ჩემმან მოყო[2] ჴელი მისი სარკუმლით [135va] გამო და მუცელი ჩემი აღიძრა მის ზედა.

ერთი არს და ესეცა დიდთა მათ უფლისა მცნებათაგან, რომლისა მიერ გონებაჲ სიტყჳსა მოწაფეთაჲ ყოველსავე ნივთსა ბუნებისასა, ვითარცა მტუერსა რასმე, განიყრის თავისა თჳსისაგან და გულისთქუმად უაღრესთა მათ და უნივთოთა კეთილთა ამაღლდების, ესე იგი არს, რამეთუ თანა-აც, რომელნი-იგი ზეცისა ცხორებისა მიმართ ხედვიდენ, რაჲთა უაღრეს იქმნენ ძილისა და სამარადისოდ იღუძებდენ გონებითა და ვითარცა მაცთური რაჲმე სულთაჲ და მტერი ჭეშმარიტებისაჲ, ჰრული თუალთაჲ ესრეთ წარიოტონ.

ხოლო მას ვიტყჳ ჰრულსა და ძილსა, რომელთა მიერ გამოისახვიან მათ შორის, რომელთა-იგი მისცნენ თავნი თჳსნი საცთურთა სულისათა სიზმრისისახენი ესე უცნებანი, რომელ არიან მთაერობანი და ძლიერებანი და სიმდიდრენი და ამპარტავანებანი და გულისთქუმათა და გემოვნებათა გრძნებანი და დიდებისმოყუარებანი და შუებანი და პატივისმოყუარებანი და ყოველივე, რაოდენიცა ცხორებასა ამას საოცრებითა რაჲთმე განუკრძალველთა მიერ სასწრაფო იქმნების, რომელი-იგი ჟამთა და წელთა გარდასლვასა თანა დის[3] და უჩინო-იქმნების, რომელი-იგი საგონებელ ოდენ არს და საეჭუ, თუ ნუუკუე აქუს რაჲმე არსებაჲ.

ხოლო არცა არს, რაჲ-იგი საგონებელ არს და არცა საგონებელობაჲ იგი სამარადისოდ ჰგიეს მის თანა, არამედ ერთბამად საგონე-

---

1 სულო C;

2 მოჰყო C;

3 ჰსდის C;

ბელცა იქმნა და წარწყმდაცა მსგავსად ღელვათა, აღტეხილთა წყალთაგან, რომელნი-იგი აღძრვისაგან ქართაჲსა ჟამ ერთ აღიბერნიან და არა აქუნ[4] სიმტკიცე აღბერვასა მას, არამედ მყისსა შინა ამაღლდიან ქარისაგან და კუალად დასცხრის რაჲ ქარი, ეგრეთ[135vb]ვე საზედ მოწრფელდის პირი ზღუსაჲ, ვითარცა-იგი იყო პირველ.

ვინაჲცა რაჲთა განეშოროს[5] გონებაჲ ჩუენი ესევითართა მათ უცნებათაგან, მძიმესა ამას ძილსა თუალთაგან სულისათა განგდებად გუბრძანებს, რაჲთა უარსებოთათჳს მოსწრაფებითა არსთა მათ და მტკიცეთა და ჭეშმარიტად უცვალებელთაგან არა გამოვეკუნეთ.

ამისთჳს და ღონესაცა გუასწავებს მღჳძარებისასა და იტყჳს, ვითარმედ: *„იყვნედ წელნი თქუენნი მორტყმულ და სანთელნი თქუენნი აღნთებულ“*,[1°] რამეთუ რაჟამს თუალნი განიცდიდენ ნათელსა, განაგდებენ სიმძიმესა ძილისასა და წელნი, მომტკიცებულნი სარტყლისა მიერ, შეუწყნარებელ-ჰყოფენ ძილსა კორცთაგან, რამეთუ არა იძლევიან განსუენებისაგან ძილისა შრომისა მისთჳს და ტკივილისა, რომელი აქუნ მორტყმისაგან.

და ვჰგონებ, თუ არაჳსგან არს უცნაურ ძალი და გულისკმისყოფაჲ იგავთა ამათ, ესე იგი არს, რამეთუ რომელი სიწმიდითა მომტკიცებულ იყოს და მორტყმულ, ნათელსა შინა ცხორებს წმიდისა სჳნიდისასა და სანთლითა კაცნიერებისაჲთა განაბრწყინვებს ცხორებასა თჳსსა, რომელთა მიერ განიცდიდეს რაჲ ჭეშმარიტებასა, უძილად და უცთომელად ჰგიეს სული და არცა ერთისა საცთურთა მათ სიზმართაგანისაგან იოცნების.

ხოლო უკუეთუ მოძღურებისაებრ სიტყჳსა ესე წარემართოს, ანგელოზებრივმან ცხორებამან შეამკოს ცხორებაჲ ჩუენი, რომელთა-იგი მსგავსებასა გუბრძანებს საღმრთოჲ ბრძანებაჲ და იტყჳს, ვითარმედ:[6] *„და თქუენ ემსგავსენით კაცთა მათ, რომელნი მოელიედ უფალსა თჳსა, ოდეს მოვიდეს ქორწილისაგან, რაჲთა რაჟამს მოვიდეს და ირეკოს მეყსეულად, განუ[136ra]ღონ მას“*.[2°]

---

4 აქუნ C;

5 განაშოროს C;

6 ვითარმედ] — B;

1° ლკ. 12,35;

2° ლკ. 12,36;

რამეთუ იგინი არიან, რომელნი მიელიან უფლისა ქორწილისაგან აღსლვასა და ბჭეთა ზედა ცისათა მღუძარითა თუალითა მსხდომარენი, რაჲთა კუალად მათ მიერვე შევიდეს მეუფე იგი დიდებისაჲ, მო-რაჲ-იქცეს ქორწილით ნეტარებისა მას უაღრესსა ცათასა, ვინაჲ-იგი, სიტყჳსაებრ ფსალმუნთაჲსა, ვითარცა *„სიძე გამოვიდა ეზოჲთ თჳსით“*,[1] და შეგუაერთნა ჩუენ თავსა თჳსსა ქალწულად წმიდად საიდუმლოჲსა მის მიერ მეორედ შობისა, რომელნი-ესე განვეშორენით კერპთა და უხრწნელებითა ქალწულებისაჲთა განაშუენა ბუნებაჲ ჩუენი.

ესევითარი იგი ქორწილი რაჲ სრულ-იქმნა და სძალ იქმნა სიტყჳსა ეკლესიაჲ, ვითარცა იტყჳს იოვანე, ვითარმედ; *„რომელსა აქუს სძალი, იგი სიძე არს“*,[2] და საიდუმლოთა სასძლოდ შეიყვანა იგი, ელოდნეს[7] ანგელოზნი აღსლვასა ეკლესიისა მეუფისასა ბუნებითსა მას ნეტარებასა.

და ამათი თქუა,[8] ვითარმედ ჯერ-არს მსგავსებაჲ ჩუენისა ცხორებისაჲ, რაჲთა ვითარცა იგინი შორს არიან ყოელისავე სიბოროტისაგან და უცნებისა და უბიწოჲთა მით მოქალაქობითა მზა არიან შეწყნარებად მისლვასა მეუფისასა, ეგრეთცა ჩუენ წინაშე ბჭეთა სახლისა ჩუენისათა ვიღუძებდეთ და მზა-ვჰყოფდეთ თავთა ჩუენთა მორჩილებად და სმენად, რაჟამს მოვიდეს და ირეკოს, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: *„ნეტარ იყუნენ იგი მონანი, რომელთაჲ მოვიდეს უფალი მათი და პოვნეს იგინი მღუძარედ“*.[3]

და ვინაჲთგან ნეტარ არს, რომელი ერჩდეს კმასა მისსა, რომელი ჰრეკდეს, ამისთჳსცა სული იგი, რომელი კეთილად სცავს თჳსთა საუნჯეთა და იღუძებს მათ ზედა და მარადის ნეტარებისა მიმართ ზედაჳს, აგრძნობს კართა ზედა დგომასა მეუფისასა და იტყჳს: *„კმაჲ ძმისწულისა ჩემისაჲ ჰრეკს[9] კარსა“*.[4]

რამეთუ ვითარ ვინ განიცადოს ღირსებით სიტყუათა ამათ[10] მიერ

---

7 ელოდეს C;
8 ჰსთქუა C;
9 რეკს C;
10 ამ A;

1• ფსალ. 18,6;
2• ინ. 3,29;
3• ლკ. 12,37;
4• ქ.ქ. 5,2;

სძლისაჲ იგი საღმრთოდ სიმაღლედ [136rb] ამაღლებაჲ,[11] რომელმანიგი ესევითარითა ქელმწიფებითა და სასოებითა ფიცხელი იგი ჩრდილოჲ თავისა თჳსისაგან განკადა და ბრწყინვალე იგი სული თავსა თჳსსა ზედა მოზიდა და სამოთხე მროწეულთაჲ პირით თჳსით წარმოაჩინა, რომლისა ხილ და ნაყოფ იყვნეს ნელსაცხებელნი, რომელმან მტილი თჳსი ტაბლად დაუგო მეუფესა დაბადებულთასა, რომლისა-იგი წინადაგებულთაგანი არარაჲ იქმნა განსაგდებელ, არცა შეურაცხ, არამედ ყოველივე კეთილად იწოდა მური და ნელსაცხებელი და თაფლი და პური და სძე და ღჳნოჲ, რომლისა-იგი სისრულე წამა[12] სიტყუამან და თქუა,[13] ვითარმედ: *„ყოველადშუენიერ ხარ და ბიწი არა არს შენ თანა“*.[1•]

ესევითარი[14]აწ ესრეთ შეჰრაცხს თავსა თჳსსა, ვითარცა აწღა ღირსიქმნებოდა გამოცდილებასა ღმრთისასა და ვითარმცა წინაშე კართა მდგომარე სიტყუაჲ არაოდეს შეეწყნარა და განკურდების ძალსა ქმისა მისისასა და იტყჳს არა თუ თავისა თჳსისათჳს, არამედ კართა მისთა შეხებასა სიძისა საღმრთოჲსა მის ქმისასა და გალობს:[15] *„ქმაჲ ძმისწულისა ჩემისაჲ ჰრეკს კარსა“*.

ხედავ-ა, ვითარ უსაზღვრო არს სრბაჲ ღმრთისა მიმართ აღმავალთაჲ, ვითარ მარადის მისაწდომელი[16] იგი დასაბამ იქმნების უაღრესისა? რამეთუ რაჟამს უმაღლესთა აღსლვათა მიმართ დასრულებასა რასმე სრბისა მისისასა მოველოდეთ სიტყუათა მათ მიერ, რომელნი ითქუნეს მისსა[17] მიმართ, რამეთუ და რასა-ღა-მცა ვინ ეძიებდა სისრულისა უმეტესსა წამებასა, მაშინ ვხედავთ, ვითარმედ შინაგან იყო იგი და არცა თუ კარნი მისნი შეევლნა, არცაღა ხილვითა პირისა მისისაჲთა ეხარა, არამედ წუთღა სმენისა წარემართების ზიარებად კეთილთა.

ხოლო რომელსა-იგი ვისწაებთ თქუმულთა [136va] ამათ მიერ, ესე

---

11 აღმაღლება C;

12 პსწამა C;

13 პსთქუა C;

14 ესე ესევითარი A;

15 პგალობს C;

16 მიწუღომილი BC;

17 მისა B;

1• ქ.ქ. 4,7;

არს, ვითარმედ რაოდენცა უმეტეს წარემარტებოდინ[18] წმიდანი, შუენის მათ კმაჲ იგი სამოციქულოჲ, რომელი იტყჳს, ვითარმედ: *„რომელსა ეგონოს, ვითარმედ უცნობიეს რაჲმე, არღა უცნობიეს, ვითარ-იგი ჯერ-არს ცნობად“*!•

რამეთუ რაოდენსაცა იგი სიმაღლესა მისწუდა ზემო-კერძო, გულისკმა-ყო სულმან ყოველი, არამედ ვინაჲთგან არღა მიწდომილი[19] იგი ბევრწილ უმრავლეს იყო მიწთომილისა მის, ამისთჳს დაღაცათუ მრავალგზის ეჩუენაცა მას სიძე,[20] გარნა ვითარცა არღა ხილული, ეს-რეთ აღუთქუამს კმისა მიერ გამოჩინებად სძალსა სიძე იგი სულთაჲ უხილავი.

ხოლო რაჲთა უცხადესად გულისკმა-ვყოთ, სახე რაჲმე წინა-უყოთ სიტყუასა ჩუენსა, ესე-იგი არს, უკუეთუმცა ვინ მახლობელ იქმნა წყაროჲსა მის, რომლისა აღმოსლვაჲ თქუა დაბადებისა შინა წიგნმან,[2•] რომელი-იგი ესოდენ[21] არს სიმრავლითა და სიმდიდრითა, ვიდრეცა კმა-არს მორწყვად პირსა ყოველისა ქუეყანისასა, და განკურდამცა, რომელი-იგი მიეახლა წყაროსა მას აურაცხელისა მისთჳს სიმრავლისა წყალთაჲსა, რომელნი-იგი მარადის აღმოუცენებიან და აღმოდიან მის-გან, ხოლო ვერმცა თქუა, თუ ყოველივე წყალი უხილავს, რამეთუ ვითარცა ეხილვა, რომელი-იგი წუთღა წიაღთა შინა ქუეყანისათა და-ფარულ არს? ვინაჲცა დაღაცათუ მრავალჟამ ხედვიდეს აღმოცენებასა მას სამარადისოდ, დასაბამსა ოდენ ხედავს წყლისასა, რამეთუ არა დასცხრების წყალი იგი არცა დინებისაგან, არცა აღმოცენებისა და ორივე ესე სამარადისო არს და დაუსრულებელ.

ეგრეთცა, რომელი-იგი საღმრთოსა მას და უსაზღვროსა შუენიერე-ბასა განიცდიდეს, ვინაჲთგან მარადის პოვნადი იგი უაღრეს არს და [136vb] უსაკჳრველეს აწღა პოვნილისა მის და მიწთომილისა, უკჳრს მარადის ხილულისა მისთჳს, ხოლო ხედვისა გულისთქუმისაგან არაოდეს დადგების ყოველადვე, რამეთუ ხილულისა მის უშუენიერეს

---

18 წარემატებოდის C;.

19 მიწთომილი B;

20 სიძე] – B;

21 ესეოდენ A;

1• I კორ. 8,2;

2• შესაქ. 2,10;

და უბრწყინვალეს არს მოლოდებადი იგი.

და ეგრეთვე აქა, სძალიცა სამარადისოდ განჰკრთების და განკჯრდების ცნობილთათჳს, ხოლო სურვილსა მას ხილვადთასა არაოდეს დააცხრობს ცნობილთა მათთჳს.

და აწცა ეგრეთვე, ვითარცა აწღა კარსა მრეკალად[22] აგრძნობს სიტყუასა და სმენად ჴმისა მისისა აღდგების და იტყჳს: *„ჴმაჲ ძმისწულისა ჩემისაჲ ჰრეკს კარსა“*, და მერმე დუმილით მიუპყრობს სასმენელთა და ესმის ჴმისა მიერ სიტყჳსა ჴმაჲ, მეტყუელი ესევითართა სიტყუათაჲ:

„ვანაღე, დაო ჩემო, მაბლობელო ჩემო, ტრედო ჩემო, სრულო ჩემო, რამეთუ თავი ჩემი აღიესო ცუარითა და თმანი ჩემნი — ცუართაგან ღამისათა“.[1•]

ხოლო ძალი თქუმულთაჲ ამათ: ნუუკუე და ესრეთ იპოოს ხილვასა მას დიდისა მოსესსა, ნათლისაგან იწყო საღმრთომან ჩუენებამან და მისა შემდგომად ღრუბლით გამო ეტყოდა მას ღმერთი. და მერმე, უსრულეს რაჲ იქმნა და უმაღლეს, ნისლსა შინა იხილა ღმერთი.

ხოლო რასა-იგი ამიერ ვისწავებთ, ესე არს პირველი განშორებაჲ მტყუეართა და ცთომილთა ეჭუთაგან: ღმრთისათჳს მოპოვნებულთა არს ბნელისაგან ნათლად მიცვალებაჲ, ხოლო შემდგომითი შემდგომად — დაფარულთა შეკადრებაჲ, რომელი-იგი ხილულთა მათ მიერ უხილავისა მის ბუნებისა განცდად წარუძღვების სულსა; არს იგი, ვითარცა ღრუბელი, რომელი-იგი ყოველსავე მას გამოჩინებულსა ჰფარავნ, ხოლო ხილვად დაფარულთა დააჩუენ სულსა და წა[137ra]რუმართებნ, ხოლო სული იგი, რომელი ამათ მიერ სიმაღლედ აღვიდოდის, რაოდენ[23] შესაძლებელ არს კაცობრივისა[24] ბუნებისაგან მიწდომად, შინაგან შეევალს ღმრთისმეცნიერებისა შეუვალთა, საღმრთოჲთა მით ნისლითა ყოვლით კერძო მოცუული, სადა-იგი ყოვლისავე ხილულისა და მიწდომილისაგან გარეშე დაშთების და ხილვითა ოდენ სულისაჲთა განიცდის უხილავსა მას და მიუწდომელსა, რომელ არს ღმერთი, ვითარცა იტყჳს სიტყუაჲ შჯულისმდებელისათჳს, ვითარმედ: „ხოლო

---

22 მრეკელად A;

23 რავოდენ C;

24 კაცობრიეი B;

1• ქ.ქ. 5,2;

მოსე შევიდა ნისლსა"[1] მას, სადა-იგი იყო ღმერთი.

ხოლო ესე რაჲ ესრეთ განვიცადეთ, სახილველ არს ამიერითგან წინამდებარეთაცა სიტყუათა თქუმულთა ამათ მიმართ შეტყუებაჲ.

იყო, ოდეს-იგი შავ იყო სძალი, განუნათლებელთა მათ სიტყუათაგან დაბნელებული, რაჟამს-იგი აჳნო მას მზემან და განსაცდელთა მიერ კლდესა ზედა ძირდაუბმელი იგი თესლი განაკმო, რაჟამს-იგი მოლალეთა მისთაგან იძლია და საჳნაკე[25] თჳსი არა დაიცვა, რაჟამს-იგი თავი თჳსი ვერ იცნა და კოლტსა თიკანთასა საცხოვართა წილ მწყსიდა.

ხოლო ვინაჲთგან ბოროტთა ზიარებისაგან თავი თჳსი განაშორა და საიდუმლოთა მით ამბორის-ყოფათა მიახლებად პირისა წყაროჲსა მის ნათელთაჲსა სურვიელ იქმნა, მიერითგან იქმნა შუენიერ და ნათლითა მით ჭეშმარიტებისაჲთა განბრწყინდა და სიშავე იგი უმეცრებისაჲ განიბანა წყლითა.

და მერმე ემსგავსა ცხენსა მალიადმორბედებითა და ტრედსა — მოსწრაფებითა სარწმუნოებისაჲთა, რომელთა მიერ ყოველივე მიწთომილი[26] და ხილული, ვითარცა ცხენმან, წარირბია[27] და ვითარცა ტრედი, აღფრინდა.

და პირველად აჩრდილითა მით ვაშლისაჲთა, ვითარცა გულმან უთქუა, განისუენა, რომელსა-იგი [137rb] ღრუბლისა წილ მაგრილობელისა უწოდა, ხოლო აწ საღმრთოჲსა მწუხრისა მიერ შეიცვა; რომელსა-იგი შინა მოიწევის, სიძე არს, ხოლო გამო-არა-ჩნდების, რამეთუ ვითარ გამოჩნდეს ღამესა შინა, რომელი-იგი უხილავ არს, გარნა მოსლვისა თჳსისა გრძნობასა რასმე მისცემს სულსა, ხოლო განცხადებულად გამოჩინებისაგან ივლტის, უხილავობითა მით ბუნებისაჲთა დაფარული.

და რაჲ-მე არს ღამისა ამის მიერ სულისა მიმართ მითხრობილი საიდუმლოჲ? შეახებს უკუე სიტყუაჲ კარსა, ხოლო კარად გულისკმა-ჰყოფთ გონებასა, განმცდელსა გამოუთქუმელთასა, რომლისა მიერ გულისკმა-იყოფების და შემოვალს ჩუენ შორის საძიებელი იგი.

---

25 საჳნახი C;

26 მიწუთოჩილი C;

27 წარირბა C;

1• გამოსლ. 24,18;

გარეშე უკუე ბუნებისა ჩუენისა მდგომარე იყო ჭეშმარიტებაჲ და მცირედ-მცირედ ცნობისა მიერ,[1•] ვითარცა იტყჳს მოციქული, ესე იგი არს იგავთა რათმე, და სახეთა ჰრეკდა კარსა გონებისასა და იტყოდა: *„განაღე“*. და სიტყჳსა თანა აუწყებდა სახესა, თუ ვითარ ჯერ-არს განღებაჲ კარისაჲ, და ვითარცა კლიტესა რასმე, მოგუპყრობდა კეთილთა ამათ სახელთა, რომელთა მიერ დაკშული განეღების.

და რამეთუ კლიტეთა შესწორებული ძალი აქუს სახელთა ამათ წარმოჩენასა, ცხად არს, რომელნი-იგი განახუმენ დაფარულთა — დაო და მახლობელო და ტრედო სრულო — და ეტყჳს, ვითარმედ: უკუეთუ გნებავს, რაჲთა განგეღოს შენ კარი და აღეხუნენ ბჭენი სულისა შენისანი, რაჲთა შევიდეს მეუფე დიდებისაჲ, თანა-გაც შენ, რაჲთა იქმნე და ჩემდა ნებათა ჩემთა სულსა შინა შენსა შეწყნარებითა, ვითარცა-იგი თქუმულ არს სახარებასა შინა, ვითარმედ: *„რომელი ნებისაებრ მისისა ცხონდებოდის, იქმნების იგი მისა ძმა და და და დედა“*.[2•]

და კუალად თანა-გაც, რაჲთა მიეახლო ჭეშმარიტებასა [137va] და იქმნე მახლობელ ჭეშმარიტებით, რაჲთა არარაჲ იყოს შუაკედელ და განმყოფელ შენდა და რაჲთა ბუნებასა შინა ტრედისასა გაქუნდეს სისრულე, ესე იგი არს, რაჲთა უნაკლო იყო და აღსავსე ყოველითა უმანკოებითა და სიწმიდითა.

ესე უკუე ესევითარნი სახელნი მიიხუენ, ჳ სულო, ვითარცა კლიტენი, და განუხუენ მათ მიერ ჭეშმარიტებისა შესავალნი და იქმენ და მისა და ტრედ და სრულ და მახლობელ, ხოლო შეწყნარებითა ჩემითა და შენ შორის დამკჳდრებითა იქმნეს შენდა სარგებელ და შესაძინელ ცუარი თავისა ჩემისაჲ, რომლითა აღსავსე ვარ და ცუარნი და ნიჟნი ღამისანი, რომელნი დიან[28] თმათაგან ჩემთა და დალალთა.[29]

ხოლო ამათ მიერ, სიტყჳსაებრ წინაჲსწარმეტყუელისა, ამას ვისწავებთ, ვითარმედ ცუარი მისმიერი საკურნებელ არს, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: *„ცუარი შენმიერი საკურნებელ არს მათდა“*.[3•]

და ეგრეთვე ცუართა და ნიჟთა ღამისათა იგივე ძალი აქუს ზემოთქუმულისა ამის სიტყჳსაჲ, რამეთუ არცა შესაძლებელ არს შინაგან

---

28 ჰსდიან C;

29 დალალთა A;

1• I კორ. 13,12;
2• მთ. 12,49;
3• ეს. 26, 19;

უხილავთა და შეუვალთა შესლვაჲ, არცა წყმათა რათმე და ღუართა გულისკმის-ყოფისათა მიმთხუევაჲ, არამედ კმა-არს და საყუარელ, უკუეთუ მსგავსად ცუარისა და ნიჟისა დაანთოს გულისკმის-ყოფაჲ თჯსი ჭეშმარიტებამან წმიდათა და ღმერთშემოსილთა სიტყჳერთა მათ ცუართა დინებისაგან და რამეთუ არცა დაიტევს უმეტესსა რასმე კაცობრივი უძლურებაჲ.

ხოლო თმად და დალალად თავისა მის ყოველთაჲსა დამოკიდებულად და სახისმეტყუელებით ესრეთ წოდებულად ასწავებს წინაჲსწარმეტყუელთა და მახარებელთა და მოციქულთა, რომელთაგანმან თითოეულმან, რაოდენცა დაიტევდეს, ბნე[137vb]ლთა მათგან და დაფარულთა და უხილავთა საუნჯეთა აღმოივსეს[30] და ჩუენ მდინარე გუექმნეს, აღსავსე წყალთა მიერ.

ხოლო ჭეშმარიტისა მის ჭეშმარიტებისა თანა ცუარნი არიან და ნიჟნი ცუართანი, დაღაცათუ სიმრავლითა და სიმაღლითა მოძღურებათაჲთა დიდროოდინ და გარდაეცემოდინ, ვითარი-იგი იყო პავლე, რომლისა დინებაჲ გულისკმის-ყოფათა ღელვათა უმაღლეს ცათა ამაღლებულ იყო და ვიდრე სამ ცამდე[1•] და ვიდრე სამოთხემდე[31] და ვიდრე უთქუმელთა მათ და გამოუთქუმელთა სიტყუათამდე და ყოვლისაჲე ესევითარისა მაღლადმეტყუელებისა მოძღურებითა მჭაელოოდა და უფსკრულებრ მოიქცეოდა.[32]

გარნა ეგრეთცა თუთჳე ცხად-ჰყოფდა, ვითარმედ ნიჟი რაჲმე არს ცუარისაჲ ჭეშმარიტისა მის ჭეშმარიტებასა თანა შეტყუებულად, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: *„მცირედ რაჲმე უწყით და მცირედ რაჲმე კნინ ვწინაჲსწარმეტყუელებთ“*[2•] და ვითარმედ: *„უკუეთუ ვისმე ეგონოს, ვითარმედ უწყის რაჲმე, არღა უცნობიეს, ვითარ-იგი ჯერ-არს ცნობად“*,[3•] და ვითარმედ: *„მე აბლა შემირაცხიეს თავი ჩემი წარწევნულად“*.[4•]

აწ უკუე, უკუეთუ ნიჟი ცუარისაჲ და ნოტიობაჲ თმათაჲ მდინარე არიან და უფსკრულ და ღელვა, ძალსა რაჲ ჩუენსა თანა-შეეტყუნენ,

---

30 აღმოივსნეს B;

31 სამოთხედმდე B;

32 მოიქცეულა C;

1• II კორ. 12,4;

2• I კორ. 13, 9;

3• I კორ. 8,2;

4• ფილიპ. 3,13;

რაჲ ჯერ-არს მოგონებად წყაროჲსა მისთჳს, რომელმან თქუა,[33] ვითარმედ: *„რომელსა სწყურის, მოვედინ ჩემდა და სუემდინ თჳთ“.*[1*]

თჳთოეულმან მსმენელთაგანმან თქუმულთა ამათ შეტყუებითა თავით თჳსით გულისკმა-ყავნ და განკურდინ,[34] რამეთუ უკუეთუ ნიჟი და ცუარი მდინარედ აღორძინებად კმა-იქმნა, თჳთ მის საღმრთოჲსა მდინარისათჳს რაჲ ვინ მოიგონოს ანუ რასა ამსგავსოს? [138ra].

ვიხილოთ უკუე ესეცა, თუ ვითარ ისმენს სიტყჳსასა სძალი და ვითარ განუღებს კარსა სიძესა, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„განვიძარცუე*[35] *სამოსელი ჩემი, ვითარ-მე შევიმოსო იგი? დავიბანენ ფერკნი ჩემნი, ვითარ-მე შევაგინნე იგი?“*[2*]

კეთილად ისმინა მისი, რომელმან-იგი უბრძანა, რაჲთა იქმნეს და მახლობელ და ტრედ და სრულ, რაჲთა ამათ მიერ დაემკჳდროს სულსა შინა ჭეშმარიტებაჲ. რამეთუ ვითარცა ესმა, ეგრეთცა ქმნა[36] და განიძარცუა ტყავისა იგი სამოსელი, რომელი შემდგომად ცოდვისა შეიმოსა, და განიბანა მტუერი ფერკთაგან, რომელი-იგი დაედვა, რაჟამს სამოთხისა ცხორებისაგან მიწად მიიქცა, ოდეს-იგი ესმა, ვითარმედ: *„მიწაჲ ხარ და მიწადცა მიიქცე“*,[3*] და ამათ მიერ განულო შესავალი სულისაჲ სიტყუასა და აღუძარცუა კრეტსაბმელი გულისაჲ, რომელ არს საბურველი ჴორცთაჲ, ესე იგი არს ძუელი იგი კაცი, რომლისა განძარცუვად და განგდებად ბრძანებს წმიდაჲ მოციქული, რომელთა-იგი ენებოს საბანელითა სიტყჳსაჲთა მწიკულსა მას სულისა და გონებისასა განბანად.

ვინაჲცა რომელმან ძუელი იგი კაცი განიძარცუა და განაგდო საბურველი გულისა თჳსისაჲ, მან განულო შესავალი სიტყუასა.

ხოლო იგი, შე-რაჲ-ვიდა შინაგან, ჴო[37] იგი შესამოსელ თჳსა სულმან სიტყჳსაებრ სამოციქულოჲსა, რომელი[38] უბრძანებს ძუელისა მის

---

33 ჰსთქუა C;
34 განჰკურდინ C;
35 განვიძარცუა B;
36 ჰქმნას C;
37 ჰყო C;
38 რომელი-იგი C;

1* ინ. 7, 37;
2* ქ.ქ. 5,3;
3* დაბ. 3,19;

და ძონძისა სახისა კაცისა სამოსლისა განმძარცუველსა შემოსად ახლისა მის სამოსლისა, ღმრთისა მიერ დაბადებულისა ღირსებით და სიმართლით, რომელ არს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე.[1*]

ვინაჲცა აღიარებს სძალი და იტყჳს, ვითარმედ რომელი-იგი ერთგზის განაგდო სამოსელი, კუალად შემოსაჲ მისი შეუძლებელ არს, არამედ კმა-იყოფს ერთსა სამოსელსა, შჯულისა მისებრ მოწაფეთა- და მიცემულისა, რომელი-იგი მეორედ შობისა მიერ რაჲ განახლდა, შეიმოსა სულმან, და დაამტკიცებს სიტყუასა უფლისასა, რომელი ბრძანებს, რაჲთა რომელნი-იგი ერთგზის შეიმ[138rb]კვნენ საღმრთოჲთა სამოსლითა, არღარა შემოსად სამოსელსა ცოდვისასა, არცა ორისა სამოსლისა ქონებად, არამედ ერთისა ხოლო, რაჲთა არა იყვნენ ორნი სამოსელნი ერთბამად ურთიერთარს შემსგავსებულნი.

რამეთუ რაჲ ზიარებაჲ არს დაბნელებულისა სამოსლისა ნათლისფერისა მის თანა და უნივთოჲსა? ხოლო შჯული არა ამას ოდენ იტყჳს, ვითარმედ: *„არა ჯერ-არს ორისა სამოსლისა ქონებად“*,[2*;39] არამედ *„არცა დაკერებად ახლისა სადგმელისა*[40] *სამოსელსა ზედა ძუელსა“*;[3*] რაჲთა არა უძჳრეს იქმნეს უშუერებაჲ ეგევითარისა მის შემმოსველისაჲ და არცაღა ახალი იგი დაადგრის და ძუელი იგი უძჳრესად განაპის და ძნიად საკურნებელ იქმნის.

რამეთუ იტყჳს, ვითარმედ აღიღის ახალმან მან სავსებაჲ იგი ძუელისა მის სამოსლისაჲ და უფროჲსად განაპის, ვიდრეცა წინაშე ყოველთაჲსა განაქიქის მის მიერ უშუერებაჲ იგი მისი. ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: *„განვიძარცუე სამოსელი ჩემი, ვითარ-მე შევიმოსო იგი?“*.

რამეთუ ვინმცა იყო, რომელიმცა ხედვიდა თავსა თჳსსა მზისფერითა მით უფლისა სამოსლითა შემოსილად, რომელი-იგი სიწმიდისა და უხრწნელებისა მიერ იქსოვების, ვითარცა-იგი მთასა ზედა ფერისცვალებასა თჳსსა შეიმოსა უფალმან[4*] და მერმეცა თავს-იდვა გლახაკისა და დაბებკულისა მის სამოსლისა შემოსად, რომელსა-იგი შეიმოსს

---

39 ქონებაჲ C;

40 სადგმელისა C;

1* ეფეს. 4,24;
2* მთ. 10,10;
3* მარკ. 2,21;
4* მთ. 17,2;

მომთრვალე[41] და მსიძავი,[1*] ვითარცა იტყჳან იგავნი.

და კულად, არცაღა ფერკთა განბანილთა ტკებნითა ქუეყანისაჲთა თავს-იდებს შეგინებად, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: *„დავიბანნე ფერკნი ჩემნი, ვითარ-მე შევაგინნე იგინი?“*.

რამეთუ არცაღა მოსესთჳს წერილ არს, რაჟამს-იგი საღმრთოჲთა ბრძანებითა მკუდრისტყავისა მის ფერკთშესასხმელისაგან რაჲ განათავისუფლნა ფერკნი თჳსნი, რაჟამს-იგი წმიდასა მას და განათლებულსა ქუეყანასა აღსლვაჲ ეგულებოდა, თუ შე-ღა-უმოსიან [138va] იგინი კამლთა მიერ.

ვინაჲცა სამღდელოჲ იგი სამოსელი საზისა მისებრ რაჲ მთასა ზედა ჩუენებულისა შეამკო და ფერად-ფერადად და პირად-პირადად განაშუენა, ფერკთა სამკაულისათჳს არარაჲ იღუაწა, არმედ იყო სამღდელოთა მათ ფერკთა შემამკობელ სიშიშულე და თავისუფლებაჲ ყოელისაჲვე შესამოსლისაგან.

რამეთუ ვინაჲთგან თანა-აც მღდელსა სლვაჲ წმიდასა მას ქუეყანასა ზედა, არა ჯეროვან არს, რაჲთა მკუდრის ტყაჳთა ვიდოდის მას ზედა; ამისთჳს მოწაფეთაცა უბრძანა უფალმან არა კუმეცაჲ კამლთაჲ, ვინაჲთგან ამცნო მათ გზასა წარმართთასა არა სლვაჲ, არამედ სრბაჲ გზასა მას წმიდასა და უბიწოსა.[2*]

და არა უმეცარ ხარ განაღა გზასა მას წმიდასა, რომელსა ზედა ებრძანა მოწაფეთა სლვაჲ, რამეთუ გესწაოს მისგან, რომელმან-იგი თქუა,[42] ვითარმედ: *„მე ვარ გზაჲ, რომლისა-იგი შეხებაჲ არს მის მიერ, რომელმან არა წარიკადოს მკუდრისა ამის კაცისა შესამოსელი“*.[3*]

და ვინაჲთგან მის გზისა ღირს-იქმნა სძალი, რომლისა-იგი მავალთა დაჰბანს ფერკთა უფალი წყლითა და წარჰკოცს არდაგითა, რომელი-იგი მოერტყა, ხოლო მორტყმაჲ იგი უფლისაჲ ძალი არს, განმწმედელი შეცოდებათაჲ, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: *„შეიმოსა უფალმან ძალი და გარე-შეირტყა“*.[4*] ვინაჲცა განიწმიდნა რაჲ ფერკნი სამეუფო-

---

41 მემთვრალე C;
42 ჰსთქუა C;

1* იგაკ. 23,21;
2* მთ. 10,5-6;
3* ინ. 14,6;
4* ფსალ. 92,1;

ჲსა გზისათჳს, სცავს მათ, რაჲთა არა მიდრკეს[43] არცა მარჯუენით, არცა მარცხენით, რაჲთა ორკერძოვე მიდრეკისა მიერ არა განვიდენ გზისაგან კუალნი მისნი და შეაგინნეს თიკითა ფერკნი თჳსნი.

და გულისკმა-ჰყოფ[44] განაღა ძალსა ამათ თქუმულთასა? ესე იგი არს, რამეთუ რომელმან ნათლისღებისა მიერ ერთგზის წარიკადნეს კამლნი თჳსნი, რამეთუ თჳსი არს ნათლისმცემელისაჲ განკსნაჲ საბელსა კამლთასა, ვითარცა წამა[45] იოვანე,[46] ვითარმედ: *ამისი ქმნაჲ უფლისათჳს ხოლო ვერ ძალ-მიც*, რამეთუ და ვითარმცა განეკსნნეს, რომელმან-იგი არცა თუ დასაბამი ცოდვისა საბელთაჲ შეიწყნარა? [138vb] ხოლო ამან განიბანნა ფერკნი და ყოველივე მწიკული ქუეყანისაჲ წარირღუნა და კამლთა თანა განაგდო. ეკრძალების უკუე ფერკთა თჳსთა და ჰმარხავს კუალთა თჳსთა გზისა მისთჳს ქვაფენილისა შეუგინებელად, ვითარცა-იგი ჰყოფდა დაეითცა, რაჟამს-იგი თიკისაგან და უყისა განბანნა და კლდესა ზედა დაამტკიცნა ფერკნი თჳსნი და თქუა,[47] ვითარმედ: *„აღმომიყვანა მე მღუმისაგან, გლახაკობისა და თიკისაგან უყისა და დაამტკიცნა კლდესა ზედა ფერკნი ჩემნი და წარმართნა სლვანი ჩემი“*.[1•]

ხოლო კლდედ უფალსა ვიტყჳთ, რომელი-იგი არს ნათელი და ჭეშმარიტებაჲ და ცხორებაჲ და უხრწნელებაჲ და სიმართლე, რომელთა მიერ გზაჲ იგი სულიერი ქვაფენილ იქმნების, რომლისაგან უკუეთუ ვინმე არცა მარჯულ მიდრკეს[48] და არცა მარცხნ, უბიწოდ დაიცავს კუალთა თჳსთა და თიკითა გულისთქუმათა და გემოთაჲთა არაოდეს შეიგინების ყოვლადვე.

და ესე არს სიტყჳსაებრ ჩემისა, რომლისა მიერ განეღების სძლისა მიერ კარი სიტყუასა, რამეთუ აღსარებაჲ და აღთქუმაჲ არღარა დასურიდა[49] ფერკთა განგდებულისა მისგან თიკისა, არცა სხჳათა ცხორე-

---

43 მიჰსდრკეს C;

44 გულისხმა-ჰყაე C;

45 ჰსწამა C;

46 ი˜ე A;

47 ჰსთქუა C;

48 მისდრკეს C;

49 დასჳრად C;

1• ფსალ. 39,3;

ბისათა შებღალვად მიწისა მიერ და მტუერისა ქუეყანისა საქმეთაჲსა შესავალ იქმნების სიწმიდისა ესრეთ განმზადებულისა მის სულისა მიმართ. ხოლო სიწმიდე უფალი არს. და ესე არს, რომელი ზემოთქუმულთათჳს განვიხილეთ.

ხოლო კუალად შემდგომად ამისა უმაღლესთა აღსლვათა მიმართ წარემატების სული და არღარა კმისა მიერ იტყჳს რეკასა გულისასა, არამედ თჳთ თავადისა მის საღმრთოჲსა კელისა სარკუმლით შეხებასა ქადაგებს და იტყჳს, ვითარმედ:

„ძმისწულმან ჩემმან მოყო[50] *კელი მისი სარკუმლით გამო და მუცელი ჩემი აღიძრა მის ზედა“.*[1*] ხოლო განაღა ცხად არს ესე გონიერთაგან და საცნაურ [139ra], თუ რაოდენ უმაღლეს არს აწ თქუმული ესე პირველთქუმულთაჲსა, რამეთუ ეტყჳს სიტყუაჲ სძალსა, ვითრმედ: *„განაღე“* და საღმრთოთა მათ სახელთა მიერ განაძლიერებს მას; განღებად ერჩის სძალი სიტყუასა და იქმნების, ვითარცა ისმინა, ესე იგი არს *„და მახლობელ და ტრედ და სრულ“.*

და განიძარცჳს სამოსელსა მას ტყავისასა და მწიკულსა ფერკთასა განაგდებს და განიბანს და არცაღა საძაგელსა მას და დაბებკულსა სამოსელსა შეიმოსს კუალად და არცაღა ქუეყანასა ზედა თავს-იდებს დადგმად ფერკისა.

რამეთუ ესმა კმაჲ მისი და დაემორჩილა ბრძანებასა მისსა, განუღებს კარსა და განაგდებს საბურველსა გულისასა და მოსძრცჳს კარისაგან საბურველსა კორცთასა.

და ესრეთ განუღო ყოველივე ბჭე სულისაჲ, რაჲთა შევიდეს მეუფე დიდებისაჲ, გარნა სივრცე იგი ბჭისაჲ მის მცირედ რაჲმე სარკუმლად შეირაცხა და კურელად და იწრო და კნინ, ვინაჲ-იგი არა თუ თჳთ თავადი სიძე, არამედ კელი მისი ძნიად შეეტია, რაჲთა მის მიერ შინაგან შევიდეს და შეახოს, რომელსა-იგი სწადდა[51] ხილვაჲ სიძისაჲ, რომელმან-იგი ესეოდენ შეიძინა, ვიდრეღა ცნა,[52] ვითარმედ კელი იგი სასურველისაჲ მის არს.

ხოლო თუ ვითართა მოძღურებათა გუჩუენებს ჩუენ სიბრძნისმე-

---

50 მოჰყო C;

51 ჰსწადდა C;

52 ჰსცნა C;

1* ქ.ქ. 5,4;

ტყუელებითა ამათ თქუმულთაჲთა, ნუუკუე და ვისწავოთ, უკუეთუ მცირედ ვყოვნოთ თქუმულთა ამათ შინა. ესე იგი არს:

კაცობრივი გონებაჲ ორთა ბუნებათა შინა[53] მდგომარე არს, რომელთაგანი ერთი უკორცო არს და გონიერ და უხრწნელ, ხოლო მეორე იგი — კორციელ და ნივთიერ და პირუტყუ. და რაჟამს-იგი ზიარებისაგან ზრქელისა მის და ქუეყანისა ცხორებისა განწმდეს[54] სული სათნოებათა მიერ და აღიხილნეს თუალნი გონებისანი[55], თუსებისა მიმართ საღმრთოჲსა არა დასცხრების გამოკულევად და გამო[139rb]ძიებად დასაბამისა მის არსთაჲსა,[56] თუ რაჲ არს წყაროჲ იგი შუენიერებისა მის არსთაჲსა, ვინაჲ აღმოეცენების ძალი, ვინაჲ აღმოდის სიბრძნე ესე, რომელი ხილულთა შორის იხილვების.

ხოლო ყოველნი რაჲ გულისსიტყუანი და ყოველივე ძალი გონებისაჲ გამომეძიებელი აღძრას და მი-მო-იწულილვიდეს საძიებელისა მის მიწდომასა, მიწდომისა მის საზღერად განაჩინებს საქმეთა ხოლო და ძლიერებათა ღმრთისათა, რომელნი-იგი ვიდრე ჩუენდა მომართ მოიწეევიან და რომელთა-იგი ვაგრძნობთ ცხორებისა ჩუენისა მიერ.

და ვითარცა იგი წყაროჲსა თანა ქუეყანით აღმომავალი ქარი არა დაადგრების ტბათა შინა სიღრმისათა, არამედ პერულ იქმნების და თუსებისა მიმართ ქართაჲსა აღმოვალს და რაჟამს წარვლის ბუშტმან მან გინა პერულმან პირი წყლისაჲ და მიიწიის[57] კიდესა მისსა და ჰაერთა შეეზავის, მაშინღა დადგის აღმართ სლვისაგან.

ესევითარივე საქმე იხილვების საღმრთოთა საქმეთა გამომეძიებელსა სულსა თანა, რამეთუ რაჟამს ქუეყანით უზეშთაესისა მის გულისკმისყოფისა მიმართ გონებაჲ თუსი აღამაღლოს და საქმეთა ღმრთისათა საკჳრველებანი გულისკმა-ყვნეს, უმეტესისა მიმართ წარმატებად გამოკულევისა მის მიერ ვერ ქელ-ეწიფების, ვერცა ძალ-უც, არამედ განკჳრდების და ადიდებს მას ამისთჳს ოდენ, რამეთუ ჰგიეს არსებასა შინა და იცნობს დაბადებულთაგან დამბადებელსა თუსსა, განიცდის შუენიერებასა ცისასა და მნათობთა ბრწყინვალებასა და მსწრაფლსა მას

53 შორის C;
54 განჰსწმდეს C;
55 გონებისა C;
56 არსთაჲსაჲ B;
57 მიიწის A;

ცისა სიმრგულისა[58] მოქცევასა და წესიერსა მას და მოზავებულსა ვარსკულავთა მისთა მიმოსლვასა და განწესებასა წელიწდისასა [139va], ოთხთა მათ ჟამთა მიერ თავისავე თჳსისა მიმართ მოქცეულსა, და ქუეყანასა და მცენარეთა მისთა და ყოველივე, რაჲ არს მას შინა, და განყოფილებასა მას და მრავალფერებასა[59] მათსა, რომელნი ვლენან მას ზედა, და ცხორებასა და სახესა და წესსა და მრავალსახესა მას ცხოველთა ბუნებასა, რაოდენნი იგი წყალთა შინა იქცევიან და რაოდენნი ჰაერთა შინა მყოფ არიან, რომელნი-იგი ქუეყანასა ზედა ცხოვნდებიან, და მრავალფერთა მათ ნერგთა სახესა და პირად-პირადთა მცენარეთა, სიპოხითა და ძალითა და ფერითა ურთიერთარს განყოფილთა და ნაყოფთა და გემოთა თჳთებასა და სხუათა ყოველთავე, რომელთა მიერ საქმენი ღმრთისანი წარმოიჩინებიან, განიცდის სული საკჳრველებასა მათსა და განიზრახავს გონებასა შინა თჳსსა და დაამტკიცებს, ვითარმედ *„არს ღმერთი“*.

და ვითარ ვჰგონებ, მერმესა მას საუკუნესა, რაჟამს წარკდენ ყოველნი ესე ხილულნი სიტყჳსაებრ უფლისა, ვითარმედ: *„ცანი და ქუეყანაჲ წარკდენ“*,[1] რაჟამს-იგი მას ცხორებასა მივიცვალნეთ, რომელი-იგი უაღრეს არს თუალთა და სასმენელთა და გონებისა, მაშინ უკუე არღა[60] საქმეთა მიერ, არცა ზოგს-რაჲმე ვიცნათ ბუნებაჲ იგი კეთილისაჲ, ვითარცა აწ და არცაღა ხილულთა საქმეთა მიერ იცნობებოდის არსებაჲ იგი დაუსაბამოჲ, არამედ სხუთა სახითა იხილვების გამოუთქუმელი იგი ნეტარებაჲ და სხუაჲ პირი და სხუაჲ გუარი იყოს სახე იგი შუებისაჲ, რომელსა აწ გულად კაცისა მოსლვად ბუნებაჲ არა აქუს.

გარნა წყალსავე[61] ზედა საზღვარ სულისა გამოუთქუმელთა მათ გულისკმის-ყოფისა არს ხილულთა ამათ დაბადებულთა დაბადებაჲ და საქმე და აგებულებაჲ, რომელიცა საზისმეტყუე[139vb]ლებით კელად გულისკმა-ყავთ და ესე მოძღურებაჲ საღმრთოთა ამათ სიტყუათა მიერ გუესწავა ჩუენ, რომელთა მიერ უბიწოჲ სული არღარა იქცევის ქუეყ-

---

58 სიმრგულით C;

59 მარავალფერებასა A;

60 არღარა BC;

61 აწ ყოველსავე BC; ὅροϛ τῇ ψυχῇ PG 44, col. 1012 A_9;

1• მთ. 24,35;

ანასა და ნივთიერსა ცხორებასა შინა, რაჲთა არა შეაგინნეს კუალნი თჳსნი ტკებნითა ქუეყანისათა, რამეთუ ესავს და მოელის, რაჲთა თჳთ თავადი იგი სიძე შეიწყნაროს, ყოვლითურთ სტუმრებული და სახლად მისა მოსრული, დაღაცათუ კელისა ოდენ ღირს-იქმნა ხილვად, რომელი-იგი შეიყუარა, რამეთუ ესეოდენ იტევდა ბუნებაჲ მისი, რომელი- 5
იგი ითარგმანების არსთა არსებისა მომცემელად და შემოქმედებისა[62] ძლიერებად, ვითარცა იტყჳს: *„ძმისწულმან ჩემმან მოყო კელი მისი სარკუმლით“*, რამეთუ ვერ იტევს კაცობრივი სიგლახაკე უსაზღვროსა მას და გარეშეუწერელსა ბუნებასა თავსა შორის თჳსსა შეწყნარებად.

„და მუცელი ჩემი აღიძრა მის ზედა“ — განკურვებასა რასმე მო- 10
ასწავებს სიტყუაჲ ესე და განკრთომასა გამოჩინებულისა მისთჳს საკურველებისა, რომელ არს, ვითარმედ: „აღიძრა“. რამეთუ ყოველივე ძალი გულისკმის-ყოფისა მისისაჲ აღიძრა საკურველებისა მისთჳს, რომელი საღმრთომან მან კელმან დაჰბადა, რომლისა განცდაჲ,[63] ამაღლებული კაცობრივისა ძალისაგან მიუწდომელსა და დაუტევნელსა 15
ძალსა შემოქმედისა მის ბუნებისასა, თავისა მიერ თჳსისა თარგმნის, რამეთუ ყოველივე არსთა დაბადებაჲ მის კელისა საქმე არს, რომელი სარკუმლისა მიერ ჩუენ გამოგუეცხადა, ვითარცა ქმობს იოვანე და იტყჳს, ვითარმედ: *„ყოველივე მის მიერ იქმნა“*[1•] და ეგრეთვე წინაჲსწარმეტყუელი გალობს მასვე ქმასა და ქმობს, ვითარმედ: *„ესე ყოველი* 20
კელმან ჩემმან შექმნა“[2•]

და ვინაჲთგან მის კელისა საქმე არს და სხუაჲცა ყოველი და ცათა შუენიერებაჲ და ვერღა მიწდომილ[64] არს გამომეძიებელი იგი კაცობრივი [140ra] გონებაჲ, თუ რაჲ არს არსებაჲ ცათაჲ, ანუ თუ მზისაჲ, ანუ თუ სხუაჲ რაჲმე ხილულთა ამათ დაბადებულთა საკურველება- 25
თაჲ, ამისთჳს აღიძრვის გული მისი და შეძრწუნდების საღმრთოთა ძლიერებათათჳს და საქმეთა.

რამეთუ უკუეთუ ამათსა მიწდომასა ვერ დაიტევს, ვითარ მისწუთეს, გინა ვითარ დაიტიოს გულისკმის-ყოფად ამათ ყოველთაგან

---

62 შემოქმედისა C; ἡ ἐνεργητικὴ PG 44, col. 1012 B_3;

63 განცდად C;

64 მიწუდომილ B;

1• ინ. 1,3;

2• ეს. 66,2;

აღმატებულისა მის ბუნებისაჲ?

და უკუეთუ სხუთაცა სახითა გულისკმა-ყვნეს ვინ[65] იგავნი ესე ამათ სიტყუათანი, არა გარეშე ჯეროვნისა იქმნეს განცდაჲ მათი.

სახლად სძლისა გულისკმა-იყოფების ყოველივე კაცობრივი ცხორებაჲ, რომლისა მიმართ მოვიდა კელი იგი, ყოველთა არსთა დამბადებელი, სიკნინისა მიმართ და უნდოებისა კაცობრივისა ცხორებისა თავისა თჳსისა დაფარვად ბუნებისა ჩუენისა შემოსითა ყოველითავე მსგავსებითა, თუნიერ ხოლო ცოდვისა.

ხოლო ჩუენ თანა რაჲ დაემკჳდრა, აღიძრნეს და განჰკრთეს და შეძრწუნდეს სულნი და გონებანი კაცთანი, ვითარ ღმერთი ჴორცითა გამოცხადნა, ვითარ სიტყუაჲ ჴორციელ იქმნა, ვითარ ქალწულებისა შორის შობაჲ და დედისა შორის ქალწულებაჲ შემოკრბეს, ვითარ ბნელსა ნათელი იგი შეეზავა და სიკუდილი ცხორებითა განიზავა, ვითარ დაიტია უნდომან მან ცხორებისა სარკუმელმან კელი იგი, ყოველთა არსთა დამბადებელი, რომელი განჰზომს[66] ცათა და აღსწონს ქუეყანასა და შეიცავს წყალთა.

სახლად უკუე მადლი სახარებისაჲ იგავითა კელისაჲთა წინაჲსწარმეტყუელებით სძლისა მიერ მოესწავების, რამეთუ რაჟამს-იგი ქუეყანასა ზედა გამოჩნდა უფალი და კაცთა შორის იქცეოდა წმიდაჲ იგი და უნიეთოჲ შუენიერებაჲ სიძისაჲ, და ღმრთეებაჲ სიტყჳსაჲ და ნათლისა მის ჭეშმარიტისა ბრწყინვალებაჲ ძალისა მიერ კელთაჲსა გულისხმა-ვყავთ.

ხოლო კელად უწოდთ ძალსა მას, [140rb] მოქმედსა საკჳრველებათასა, რომლისა მიერ განცხოველდებოდეს მკუდარნი და ბრმათა თუალნი აღეხილვოდეს,[67] კეთროვანებისა სენი იოტებოდა[68] და ყოველივე სახე უკურნებელისა და ბოროტისა სალმობისაჲ ბრძანებით განეშორებოდა ჴორცთაგან.

ვინაჲცა, აჰა ესერა, წინადაგებულ არს ჩუენდა მრჩობელი ესე გულისკმის-ყოფაჲ კელისათჳს, რომელთაგანი ერთი გუაუწყებს, ვითარმედ საღმრთოჲ ბუნებაჲ ყოვლითურთ მიუწდომელ არს და უსაზღვრო

---

65 – ვინ გულისკმა-ყვნეს B;

66 განზომს B;

67 აღეხილვოდის B;

68 იოტებდა C;

და საქმეთაგან ხოლო[69] იცნობების და გულისკმა-იყოფების, ხოლო მეორე მადლსა სახარებისასა სიტყუათა ამათ მიერ სძლისა მიერ წინაჲსწარმეტყუელებით წინაჲსწარ მოსწავებულად იტყჳს.

აწ უკუე ამათი გამორჩევაჲ მსმენელსა ზედა იყავნ, თუ რომელი უფროჲს შეჰგავს წინამდებარეთა მათ სიტყუათა ძალსა, გინა თუ უფროჲს[70] მოეზავების. გარნა რომელიცა ვინ გამოირჩიოს, სულთამცა ოდენ სარგებელი იხილვების მის შორის და ორკერძოვე კეთილისამცა სახესა მოგუატყუებს გულისკმის-ყოფაჲ მათი, რომელი-ესე ორსავე ესე ამას სახესა შინა ბრწყინვალედ იხილვების მადლითა ღმრთისაჲთა.

რამეთუ ერთი იგი გულისკმა-გუყოფს, სიტყჳსაებრ პავლესსა,[71] ვითრმედ: *„უხილაჲი იგი ძლიერებაჲ ღმრთისაჲ დაბადებისაგან სოფლისა განცხადებულად იხილვების“*.[1•]

და ესე რაჲ გულისკმა-ვყოთ, გამოკულეველთა გამოკულევისაგან ვივლტოდით, რაჲთა არა ბუნებათა მეტყუელებისა მიერ მიუწდომელისა მის და გამოუთქუმელისა ბუნებისა ნივთი მიიღოს ჭეშმარიტებასა ზედა წვალებამან.

ხოლო უკუეთუ სახარებისა იგავად გულისკმა-ვყოთ სახისმეტყუელებაჲ ესე კელისაჲ, და ეგრეთცა უმტკიცეს იქმნეს ჩუენდა [140va] საიდუმლოთა მათ მოძღურებათა სარწმუნოებაჲ, რაჟამს წინაჲსწარმეტყუელებისა მიერ წინაჲსწართქუმულთა მათ სიტყუათა ჭეშმარიტებაჲ უცილობელ იქმნეს ქრისტე იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და ძლიერებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

---

69 ხოლო] – C;

70 შეჰგავს უფროჲს]-C;

71 პაელსა BC;

1• რომ. 1,20;

ᲪᲮᲝᲚᲘ XII

სიტყუაჲ ესე:

5,5. აღვდეგ მე[1] განღებად ძმისწულისა ჩემისა. კელთა ჩემთა დასწუთა მური; თითთა[2] ჩემთა მური სავსედ კართა ზედა საკშველისათა.

5,6. განუღე მე ძმისწულსა ჩემსა. ძმისწული ჩემი[3] წარვიდა და სული ჩემი განვიდა სიტყუასა მისსა თანა; ვეძებდ მას და არა ვპოვე იგი. უკმობდ მას და არა კმა-მცა.

5,7. მპოვეს მე მკუმილთა, რომელნი მოჰველიდეს ქალაქსა. მცეს და მწყლეს მე და განმძარცუეს სამოსელი ჩემი მცველთა ზღუდისათა.

რომელნი სასოებითა სიმდიდრისაჲთა დასდებენ სლვასა თჳსსა ზღუასა ზედა, რაჟამს იხილონ ნავი ნავთსადგურისაგან განმავალად და საჭეთა ზედა მჯდომარემან მან მენავეთმოძღუარმან ვითარცა მოაქციის ნავი იგი და მიჰმართის უფსკრულთა, ლოცვაჲ იქმნების მენავეთა მიერ დასაბამსა მას სლვისასა, რაჲთა იქმნეს ღმერთი მომცემელ კეთილად განმარჯუებისა და წარმმართებელ სლვისა მათისა. ხოლო ლოცვისა მის დაწყებაჲ ესევითარი არს, ვითარმედ: ნიავმან ტკბილმან და ჰამომან და კეთილად წარმმართებელმან ნავისამან განავსენინ აფრანი და ნებისაებრმცა მენავეთმოძღურისა ჰბერვენ ქარნი მარჯუენი და კეთილნი უკუანა კერძო ნავისა.

და ესრეთ რაჲ ნებისაებრ მათისა მოჰბერის, იქმნის ზღუად ტკბილ წინაშე მათსა და მყუდროთა ღელვათა მიერ ამჭავლებულად ლურჯად და მკიედ ბრწყინვალითა ოხრითა [140vb] ავლინებენ ნავსა მას და შეუწუხებელად განავლნის მათ სიღრმენი იგი უფსკრულთანი და სივრცენი ზღუათანი და წინაშე თუალთა მათთა დაუდვის ვაჭრობისა იგი სიმდიდრე, პირველ ვაჭრობისაცა მოლოდებადი იგი განმარჯუებითა მით და წარმართებითა.

და რაჲ-მე ჰნებავს სიტყუასა ამას ჩემსა? რამეთუ ამიერ ვჰყოფ დასაბამსა, ანუ ცხად არს გონიერთა და გულსმოდგინედ მსმენელთადა პირი წინამდებარისა ამის დასაბამისაჲ:

---

1 აღვდეგ მე] აღვჰსდეგ C;

2 თითა A;

3 ძმისწული ჩემი]- C;

დიდი უფსკრული მდებარე არს წინაშე სიტყჳსა ამის ჩუენისა საღმრთოთა სიტყუათა განხილვისაჲ და ამის მენავეობისა მიერ მრავალი სიმდიდრე გულისჴმის-ყოფისაჲ დაგუეუნჯების. ხოლო სულიერი ესე ნავი ეკლესიისაჲ, ყოველით სავსებით თჳსითურთ აღპყრობილი[4] გონებითა, სიმდიდრესა თარგმანებისასა მოელის.

და მენავეთმოძღუარი სიტყუაჲ არა ქელ-ჰყოფს საჭეთპყრობასა პირველ, ვიდრე არა ყოვლისავე მენავეთა ამათ სავსებისა მიერ იქმნეს ლოცვაჲ ღმრთისა მიმართ, რაჲთა მოგუბეროს ჩუენ ძალი სულისა წმიდისაჲ და აღძრნეს ღელვანი გულისჴმის-ყოფისანი და მათ მიერ კეთილად მავალ-ყოს სიტყუაჲ ჩუენი, რაჲთა ესრეთ წიაღ-ვლნეთ უფსკრულნი ზედვათანი და გულისჴმის-ყოფისა სიმდიდრე მოვიეაჭროთ, უკუეთუ ოდენ მოვიდეს სული წმიდაჲ ლოცვითა თქუენითა სიტყუასა ჩუენსა ზედა და განავსნეს აფრანი განზრახვათა ჩუენთანი.

ხოლო დასაბამ სიტყჳსა ჩუენისა იქმენინ კსენებაჲ ღმრთივსულიერთა მათ სიტყუათაჲ, რომელნი ესრეთ იტყჳან:

„აღვდეგ მე განლებად ძმისწულისა ჩემისა. ქელთა ჩემთა დასწუთა მური; თითთა ჩემთა მური სავსედ“,[1*] რამეთუ სხუებრ არა დაე[141ra] მკუდრების ჩუენ შორის ცხოველი იგი სიტყუაჲ ღმრთისაჲ, რომელ არს წმიდაჲ იგი და უკორცოჲ სიძე, რომელი-იგი უხრწნელებისა და სიწმიდისა მიერ შეიერთებს სულსა, გარნა თუ ვინმე მოკუდინებითა ქუეყანისა ასოთაჲთა მოიძარცოს ჯორცთა საბურველი და ესრეთ განულოს კარი სიძესა, რომლისა მიერ სულსა შინა დაემკუდრების.

და ესე ცხად არს არა ხოლო თუ საღმრთოთა მათგან ოდენ მოციქულისა მოძღურებათა, არამედ აწ თქუმულთაგანცა სძლისა მიერ, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: აღვდეგ მე განლებად კარსა ძმისწულისა ჩემისა ამისთჳს, რამეთუ ვყვენ ქელნი ჩემნი წყარო მურისა, რომელნი-იგი თავით თჳსით დიოდეს ნელსაცხებელთა და სავსებაჲ თითთაჲ ვაჩუენე სავსედ მურითა.

ხოლო ღონე იგი, რომლითა განეღების კარი სიძესა, მოგუთხრობს თქუმულთა ამათ მიერ და იტყჳს, ვითარმედ: *„ამისთჳს აღვდეგ, რამეთუ დაეფალ ნათლისღებისა მიერ სიკუდილსა მისსა თანა“*.[2*] და ვითარმედ

---

4 აღყრობილი A;

1* ქ.ქ. 5,5;
2* რომ. 6,4;

უკუეთუმცა არა წინამძღუარქმნილ იყო ნებსითი იგი სიკუდილი, არამცა ქმნილ იყო აღდგომაჲ. ხოლო ნებსითსა საცნაურ-ჰყოფენ კელთა მისთაგან დამომდინარენი წუეთნი მურისანი და აღვსებაჲ იგი თითთა მისთაჲ ამისვე ნელსაცხებლისა მიერ, რამეთუ არა იტყჳს, ვითარმედ სხუაგნით სამე დაესხა მური კელთა მისთა.

რამეთუ უკუეთუმცა ესე ესრეთ იყო, საგონებელმცა იქმნა ამის მიერ იბედივად და უნებლიეთ, შემთხუევად უწყებული იგი მურისა-თჳს; არამედ მათ კელთა იტყჳს თჳსთა და მოასწავებს კელთა მიერ ძალთა მათ და საქმეთა სულისათა; და თავით თჳსით დაწთობისა[5] მიერ მურისა მოასწავებს თჳს გამოჲდთ და ნებსით თჳსით კორციელთა მათ ვნებათა ქმნილსა მოკუდინებასა, რომლისა მიერ ყოველთა თითთა აღვსებასა იტყჳს, თითოსახედ[6] გან[141rb]ყოფილთა მათ სათნოებათა აღსრულებისა მოსწრაფებასა, რომელთა-იგი თითთა სახელითა გუასწავებს.

ხოლო ყოველივე ძალი თქუმულთაჲ ამათ ესევითარი არს, ვითარმედ: მოვიღე ძალი აღდგომისაჲ მოკუდინებითა ქუეყანისა ასოთა ჩემთაჲთა და ესევითართა მათ ასოთა ნებსით თჳსით ვქმენ მოკუდინებაჲ, რამეთუ არა სხჳსა მიერ დამისხა[7] კელთა ჩემთა მური, არამედ ჩემისა წადიერებისაგან დამომდიოდა, ვინაჲცა ყოველთავე სათნოებისა საქმეთაგან, რომელთაცა თითად სახელ-სდვა, უნაკლულოდ იხილვა ესევითარი ესე გულსმოდგინებაჲ, რამეთუ უსრულად[8] სათნოებისა მოქმედთა შორის იხილვების ერთითა რაჲთმე სიკუდილი და სხჳთა განცხოველებაჲ. ვითარცა ვხედავთ ვიეთმე, უკუეთუ სამე იქმნენ[9] მომაკუდინებელ თავთა შორის თჳსთა სიძვისა,[10] ხოლო ამპარტავანებისა მზრდელად გულსმოდგინებით ანუ თუ სხჳსა რომლისამე ვნებისა, სულთა მკლველისა, რომელ არს საკმართმოყურებაჲ, გინა მრისხანებაჲ, ანუ თუ დიდების-მოყუარებაჲ, ანუ თუ სხუაჲ რაჲმე ესევითარი, რომელი-იგი ბოროტად ცხოველ იყოს რაჲ სულსა შორის, ვერ ძალ-უც, რაჲთამცა სავსედ აჩუენნა თითნი თჳსნი მურითა, რამეთუ არა ყოველთა საქმეთა მიერ

---

5 დაწუთობისა BC;

6 თჳთოსახედ B;

7 დაჰესხა C;

8 უსრულოდ C;

9 იქმნენ BC;

10 სიძისა C;

ჩანს მისი იგი ბოროტთა მოკუდინებაჲ და უცხო-ყოფაჲ.

ხოლო ესევითარნი იგი თითნი ყოველნი რაჲ აღივსნენ საცნაურითა მით მურითა, და აღდგებისცა სული და განუღებს კარსა სიძესა, ვინაჲცა დიდმან პავლე კეთილად გულისკმა-ყო ქმაჲ იგი სამეუფოჲ, რომელი იტყჳს, ვითარმედ: *„ვერ ეგების აღმოცენებაჲ თაჳისაჲ, უკუეთუ პირველ სიკუდილისა მიერ არა განილიოს მარცუალი“*.[1*]

და ამას ქადაგებს მოძღურებაჲ იგი, ვითარმედ ჯერ-არს, რაჲთა სიკუდილი წინა-უძღოდის [141va] ცხორებასა[2*] და ვითარმედ ვერ შესაძლებელ არს სხჳთა საზითა, რაჲთამცა კაცსა შორის ცხორებაჲ იქმნა, არა თუ სიკუდილისა მიერ იქმნეს შემოსლვაჲ მისი.

რამეთუ ვანაჲთგან მრჩობლი არს ჩუენ შორის ბუნებაჲ, რომელთაგანი ერთი არს წულილ და გონიერ და სუბუქ, ხოლო მეორე — ზრქელ და ნივთიერ და მძიმე, უცილობელ არს და საჭირო, რაჲთა მოუზავებელ იყოს თითოეული ამათი მეორისა მიმართ და განთჳსებული აქუნდეს ნებაჲ და მიმართებაჲ და ცხორებაჲ, რამეთუ გონიერსა მას და სუბუქსა განთჳსებული აქუს ზეცად მიმართ ამაღლებაჲ, ხოლო მძიმესა მას და ნივთიერსა — დამართ დაზიდვაჲ და დამდაბლებაჲ სამარადისოჲ.

და ვინაჲთგან ბუნებით იქმნების მათ შორის წინააღმდეგობაჲ ძრვისაჲ, ვერ ეგების პირველისა წარმართებაჲ, არა თუ მოუძლურდეს მეორე იგი ბუნებითისა ძრვისა თჳსისაგან. ხოლო ორთავე შორის მდგომარე არს თჳთმფლობელი ძალი და ჯერჩინებაჲ ჩუენი და თავისა მიერ თჳსისა მისცემს ძალსა მოუძლურებულსა მას და მოაუძლურებს განძლიერებულსა, რამეთუ რომელსაცა კერძსა მიიქცეს, მასცა მისცემს ძლევასა მეორისასა.

ესრეთ იქების[11] სახარებასა შინა ბრძენი იგი და გონიერი და სარწმუნოჲ განმგე, რომელ არს, სიტყჳსაებრ ჩემისა, ნებაჲ იგი, კეთილად ზედამდგომელი და განმგებელი ჩუენი.

რამეთუ იქების იგი, ვინაჲთგან ზრდის მონათა მეუფისათა წინააღმდგომთა მოკუდინებითა, ვინაჲთგან მათი იგი ხრწნილებაჲ საზრდელ და სიმრთელე ექმნების უაღრესთა მათ. ხოლო შეისმინების ბოროტი იგი

---

11 იქმნების A; ἐπαινεῖται PG 44, col. 1017 D_4;

1* I კორ. 15,36;

2* კორ. 15 42;

მონაჲ, რომელი მომთრვალეთა[12] თანაქცევითა სტანჯვიდა და ჰგუემდა მონათა ღმრთისათა.

და რამეთუ ჭეშმარიტად წყლულებაჲ არს სათნოებათაჲ უკეთურებისა დღეკეთილობაჲ, ვინაჲცა [141vb] კეთილ არს, უკუეთუ შური იგი საწინაჲსწარმეტყუელოთა მათ სიტყუათაჲ აღვიღოთ და აღმოუბრწყინვოთ თავთა ჩუენთა ცისკარი ყოველთა ცოდვილთა ქუეყანისათა მოწყუედითა და მოსპოლვილთა სულისაგან, რომელ არს ქალაქი უფალი ყოველთა გულისსიტყუათა უშჯლოებისა მოქმედთა[1*], რომელთაიგი მოსპოლვაჲ კეთილთა მათ განმაცხოველებელ იქმნების.

ესრეთ უკუე ვცხონდებით[13] სიკუდილისა მიერ, სიტყჳსაებრ წინაჲსწარმეტყუელისა, რაჟამს-იგი ჩუენ შორის რომელიმე მოაკუდინოს და რომელიმე აცხოვნოს სიტყუამან მან, რომელმან თქუა, ვითარმედ: *„მე მოვაკუდინო და ვაცხოვნო“*;[2*] ვითარცა-იგი პავლე მკუდარი ცხოველ იყო და უძლური — ძლიერი და შეკრული რბიოდა და გლახაკი განმდიდრდებოდა და არარაჲსა ქონებითა ყოველიევე აქუნდა[3*] და ყოვლადვე სიკუდილი იგი იესუჲსა ჴორცთა შინა თჳსთა ეტჯრთა და მარადის ცხორებასა მას მისსა თავსა შორის თჳსსა გამოაცხადებდა.

აწ უკუე წინამდებარისა მიმართ აღვიდეთ და რამეთუ სიკუდილითა სული სიკუდილისაგან აღდგების და რამეთუ უკუეთუ არა მოკუდეს, მარადის ჰგიეს სიკუდილსა შინა და შეუწყნარებელ იქმნების ცხორებისა, ხოლო სიკუდილითა ცხოველ იქმნების და ყოველსავე სიკუდილსა განაგდებს.

და ესე მოძღურებაჲ წინამდებარისა ამის სიტყჳსაგან დაგჳმტკიცდების ჩუენ, რამეთუ ესრეთ თქუა სძალმან, ვითარმედ: *„აღვდეგ მე განღებად კარსა ძისწულისა ჩემისა. კელთა ჩემთა დასწუთა მური; თითთა ჩემთა მური საცსედ“.*

ხოლო რამეთუ საზე არს სიკუდილისა მური, არავინ იცილობჳის, რომელსა საღმრთო წიგნნი ეკითხნენ, ხოლო თუ ვითარ სიკუდილი სიკუდილისაგან აღადგენს, ნუუკუ ვიეთნიმე ეძიებდენცა ამის პირისათჳს განცხადებუ[142ra]ლსა უწყებასა, რომელი-იგი არა უდებ-ვყოთ, არამედ

---

12 მომთურალეთა C;

13 ვჰსცხონდეთ C;

1* ფსალ. 100,8;
2* II შჯ. 32, 39;
3* II კორ. 6,10;

მსგავსად ძალისა შემდგომითი შემდგომად მოკლედ წარმოვაჩინოთ.

ყოველივე, რაოდენიცა ქმნა ღმერთმან, *„კეთილ იყო ფრიად“*,[1•] ვითარცა წამებს დაბადებაჲ. და ერთი ფრიად კეთილთა მათგანი იყო კაცი, უფროჲსლა სხუათა მათ ყოველთაჲსა უმეტეს შემკობილი შუენიერებითა და რამეთუ რაჲმცა იყო ესრეთ კეთილ, ვითარ ხატი[14] და მსგავსებაჲ უხრწნელისა მის კეთისაჲ? ხოლო ვინაჲთგან ყოველივე კეთილ იყო ფრიად და ყოველთა თანა და პირველ ყოველთაჲსა კაციცა იყო კეთილ, არა იყო კაცისა თანა სიკუდილი.

და ესე უეჭველ არს და უცილობელ, რამეთუ რაჲმცა იყო კაცისა სიკეთე, უკუეთუმცა აქუნდა თავისა თჳსისა თანა სიკუდილისა უშუერებისა მჭმუნვარე იგი ხატოვნებაჲ? არამედ სამარადისოჲსა მის ცხორებისა ხატი იყო და მსგავსებაჲ და კეთილ იყო ჭეშმარიტად და ფრიად კეთილ ბრწყინვალისა მის ცხორებისა მსგავსებითა შემკობილი და აქუნდა საღმრთოჲცა იგი სამოთხე და ნაყოფიერებითა ნერგთაჲთა აღმოდიოდა ცხორებასა და საღმრთოჲცა იგი მცნებაჲ შჯული იყო ცხორებისაჲ, რომელი ამცნებდა, რაჲთა არა მოკუდეს.

ხოლო იყო ნერგთა მათ შორის სამოთხისათა ცხორებისა აღმომაცენებელი იგი ხე, რომლისათჳს თუ რაჲ ჯერ-არს გულისჴმისყოფად, რომლისა ნაყოფი იყო ცხორება, და სიკუდილშემოსილისა მისცა ხისათჳს, რომლისა ნაყოფსა, კეთილსა და ბოროტსა, ერთბამად წარმოაჩენს სიტყუაჲ.

და იგიცა სამოთხისაჲვე საშუალ მდგომარე იყო, ხოლო შეუძლებელ არს ორთა ხეთა ერთბამად დგომაჲ საშუალსა ადგილსა, რამეთუ ორთაგანსა ერთსა, რომელსაცა მივსცეთ საშუალისა ადგილისა დაპყრობაჲ თუნიერ ყოვლისა ცილობისა, მეორე იგი საშუალისაგან[15] განეშორების, რამეთუ საშუალად სიმრგულისა შორის [142rb] კარაკინითა მოვლებულსა წერტილსა მას გულისჴმა-ვჰყოფთ, რომელსა ზედა დაიბრჭინების მეორე იგი კერძოჲ კარაკინთაჲ და გარეშემოჲ იგი მოვლებული ყოვლით კერძო სწორებითა შორავს.

და ვინაჲთგან ერთი იყოს მრგუალიცა და წერტილიცა, არა არს ღონე, რაჲთამცა ერთსა მრგუალსა შორის და საშუალ ორნი წერტილნიმცა

---

14 ხატი] + იგი BC;

15 საშოჳალ B;

1• შესაქ. 1,31;

ერთბამად საშუვალ იქმნეს[16], რამეთუ უკუეთუ წერტილი მიიცვალოს, მაშა სხუაჲ კამს მრგუალი მის ზედა მოვლებული, რაჲთა წერტილიცა იგი საშუვალ აღიღოს უეჭველად.

და ესე რაჲ იქმნეს, პირველი იგი სიმრგულე და წერტილი და საშუვალი საშუვალობისაგან განვიდეს და მეორემან მიიღოს საშუვალი.

ხოლო დაღაცათუ ესე ესრეთ არს, არამედ წიგნი ორთათჳსვე შუაყოფასა მოასწავებს, დაღაცათუ წინააღმდგომ იყვნეს ერთმანერთისა აგებულებითა. და ძალითა მათითა ზესა მას ვიტყჳ ცხორებისასა და ზესა სიკუდილისასა, რომელსა-იგი ცოდვად უწოდა პავლე და თქუა[17], ვითარმედ: *„სიკუდილი ნაყოფი არს ცოდვისაჲ“*![1*]

ხოლო ვითარ ვჰგონებ, თქუმულთა ამათ სიბრძნისმეტყუელებისაგან გულისჴმის-ყოფაჲ ჯერ-არს, ვითარმედ სამოთხისა ღმრთისა საშუვალი არს ცხორებაჲ, ხოლო სიკუდილი დაუნერგველ არს თავით თჳსით და უბრო და ყოვლადვე არა აქუს თჳსი ადგილი, ხოლო მოკლებითა ცხორებისაჲთა დაენერგვის, რაჟამს უქმ იქმნეს ცხოველთაგან ზიარებაჲ ცხორებისაჲ.

და ვინაჲთგან საშუვალ[18] ნერგთა ღმრთისათა არს ცხორებაჲ, ხოლო მისგან განშორებითა მიიღებს არსებასა ბუნებაჲ სიკუდილისაჲ, ამისთჳს ხესა მასცა სიკუდილშემოსილსა, რომელი მოძღურებამან მან სახისმეტყუელებით სიბრძნის[142va]-მეტყუელა, საშუვალ[19] სამოთხისა იტყჳს, რომლისა ნაყოფი კეთილისა და ბოროტისაგან შერეულად ითქუა.

და ვითარ ვჰგონებ, ცოდვისა ბუნებაჲ მოასწავა მის მიერ, რამეთუ ვინაჲთგან ყოველთავე სიბოროტისა საქმეთა გულისთქუმაჲ რაჲმე და გემოვნებაჲ წინა-უძღჳს და არა არს ცოდვაჲ განყოფილი გულისთქუმისაგან და გემოვნებისა ვნებათაჲსა, რავოდენიცა იქმნების გულისთქუმისაგან, გინა გემოთმოყუარებისა და ამის პირისათჳს ეწოდების კეთილნაყოფსა მას განბჭობითა ცთომილისა ეჭუსაჲთა და არაკეთილისა კეთილად შერაცხითა, ვითარცა ცთომილსა მას და ამაოსა გულისთქუმასა კეთილად სახელ-სდებდა და ეგრეთ ჰგონებდა,

---

16 იქმნეს BC;

17 ჰსთქუა C;

18 საშოვალ B;

19 საშოვალ C.

1* რომ. 6,23;

ხოლო შემდგომად მისა[20] მწარითა მით გემოჲსხილვითა და ჭამითა სიკუდილისა სიმწარისა მშობელად,[21] ვითარცა იტყჳს იგავთა შინა, ვითარმედ; *„თაფლი დამოსწუთინ ბაგეთა სიბოროტისათა, რამეთუ წუთ ერთ დაატკბის სასაჲ შენი, ხოლო მისა შემდგომად უმწარეს ნაღლისა ეპოვის“*[1]· ბოროტად[22] დამტკბარსა მას.

და ვინაჲთგან განეშორა კაცი მრავალნაყოფიერებასა მას კეთილთასა და განმხრწნელითა მით ნაყოფითა ურჩებისაჲთა აღივსო, ხოლო სახელი ნაყოფისაჲ მის იყო სიკუდილისა მომატყუებელი ცოდვაჲ, მყის კეთილისა მის ცხორებისაგან მოკუდა და პირუტყჳ ესე და პირუტყული[23] ცხორებაჲ საღმრთოჲსა მის წილ ცხორებისა მოიგო და ერთგზის რაჲ აღერია სიკუდილი ბუნებასა, შემდგომებასა მას შინა შობადთასა შემოკდა მკუდრობაჲ იგი და მკუდარმან ცხორებამან შეგუწყნარნა ჩუენ, ვითარმცა სახითა რაჲთმე თუთ ცხორებაჲ იგი ჩუენი მომკუდარ იყო. და რამეთუ ჭეშმარიტად მკუდარ არს ცხორებაჲ ჩუენი და მკუდრისა მსგავს და უკუდავებისაგან დაკლებულ[142vb], ამისთჳსცა ორთა ამათ ცხორებათა შუვამდგომელ ექმნა, რომელი-იგი ორთა მათ ცხოველთა შორის საცნაურ-იქმნა, რაჲთა დარღუეევითა მით უდარესისაჲთა ძლევაშემოსილ-ყოს უაღრესი იგი და ვითარცა-იგი ჭეშმარიტისა მის ცხორებისაგან სიკუდილითა კაცისაჲთა მკუდარსა ამას ცხორებასა შთავარდა კაცი, ეგრეთვე, რაჟამს მოკუდეს, მკუდრისა ამის და პირუტყულისა ცხორებისაგან სამარადისოდ ცხორებად მიიცვალოს, ვინაჲცა უეჭუელ არს და უცილობელ, ვითარმედ სხჳთა სახითა ნეტარისა მის ცხორებისა მიმთხუევაჲ შეუძლებელ არს მისგან, რომელი-იგი არა მოკუდეს ცოდვისაგან.

და ამის მაღლისათჳს თქუმულ არს სიტყჳსა მიერ ორთა მათ ხეთა ერთბამად შორის სამოთხისა დგომაჲ სიბრძნისმეტყუელებით, რომელთაგანი ერთი იგი ბუნებით არს, ხოლო მეორე იგი მოკლებითა კეთილისაჲთა[24] იქმნების, რამეთუ მისგანვე მისა მიმართ ზიარებითა

---

20 შემდგომად მისა] შემდგომისა C;

21 მყოფელად C;

22 პოროტად A;

23 პირმეტყუელი A;

24 კეთილისა C;

1· იგ. 5,3;

და მოკლებითა ურთიერთარს[25] შეცვალებაჲ იქმნების, ესე იგი არს სიკუდილისა და ცხორებისაჲ, ვინაჲთგან რომელი მოკუდეს, კეთილისაგან, ცხორებს იგი ბოროტსა შინა და რომელი მოკუდეს ბოროტისაგან, განცხოველდების სათნოებითა.

ამისთჳსცა კეთილად აჩუენებს სძალი კელთა თჳსთა აღსავსედ მურითა და ყოვლისავე სიბოროტისაგან სიკუდილითა აღდგების განღებად კარსა წინაშე სიტყჳსა და მზა-ყოფად შესავალსა თავსა შორის თჳსისა, ხოლო სიტყუასა, რომელსა შეიწყნარებს, ცხორებად ეწოდების და არს.

და ესეოდენსა სიმაღლესა აღვიდა სული იგი ღმრთისა მიმართ მხედველი, ვითარცა ესერა განვიცადეთ და, სატყჳსაებრ პავლესა, არღა უცნობიეს, ვითარ-იგი ჯერ-არს ცნობაჲ, არცა შეურაცხიეს თავი თჳსი მიწდომილად, არამედ ჯერეთ [143ra] უმაღლესისა მიმართ რბის და წინაკერძო მისწუთების,[1•] რამეთუ შემდგომთა მათ სიტყუათა შემდგომებაჲ ამას მოასწავებს მისთჳს, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ:

აღვიღე კლიტე კართსაჴშველისაჲ და განუღე ძმისწულსა ჩემსა. და მერმე შესძინა, ვითარედ: *„ძმისწული ჩემი წარვიდა, სული ჩემი განვიდა სიტყუასა მისსა თანა“*.[2•]

მათ მიერ უკუე გუასწავებს ჩუენ, ვითარმედ ყოველთა უაღრესისა მის ძლიერებისა ერთი სახე არს მიწდომისაჲ[26] — არა დადგრომაჲ მიწდომილსა მას ზედა, არამედ მარადის მიწდომილისა მის უმეტესისა ძიებისაგან არა დაცხრომაჲ. რამეთუ რომელი-იგი სავსე იქმნა მურითა ყოველთაჲვე შინა სათნოებისა მოღუაწებათა და ამის ცხორებისა საქმეთა, რომელნი-იგი თითთა მიერ სახისმეტყუელებით წარმოაჩინნა და ბოროტთაგან სიკუდილი თჳსი[27] მოასწავა და ნებსითნი სათნოებანი თავით თჳსით დამოდინებისაგან მურისა კელთაგან მისთა ცხად-ყვნა, მერმე იტყჳს შეხებასა კარისა კლიტეთასა, რომელ არს თავისა თჳსისა შეახლებაჲ საქმეთა მიერ იწროსა მას და საჭირველსა ბჭესა, რომლისა კლიტეთა კელთ-უსხამს სიტყუაჲ პეტრეს და მსგავსთა მისთა.

---

25 ურთიერთას B;

26 მიწუდომისაჲ B;

27 თჳსი] – C;

1• ფილიპ. 3,13;

2• ქ.ქ. 5,6;

განულებს უკუე ორკერძოვე თავსა თჳსსა სასუფეველისა კარსა კელთა მიერცა, რომელთა მიერ შრომანი მოესწავებიან და კლიტისა, რომლისა მიერ სარწმუნოებაჲ იქადაგების, რამეთუ ამათ ორთავე მიერ საქმისა ვიტყჳ და სარწმუნოებისა კლიტე სასუფეველისაჲ სიტყჳსა მიერ შეიმზადების ჩუენ შორის.

გარნა რაჟამს-იგი ესვიდა მსგავსად მოსესა განცხადებულად გამოცხადებასა და ხილვად პირსა სასურველისასა, მაშინ თანა-წარჰკლდა[28] მიწუდომასა მისსა საძიებელი იგი, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„ძმისწული [143rb] ჩემი წარვიდა“*. არა თუ დაუტევა მოსურნე მისი სული, არამედ თავისა მიმართ თჳსისა მიიზიდა, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„სული ჩემი განვიდა სიტყუასა მისსა თანა“*.

ეჰა, ნეტარისა მის განსლვისა, რომლითა განვალს სული, მოსურნე სიტყჳსაჲ, რომლისათჳს გალობს[29] მეფსალმუნე და იტყჳს, ვითარმედ: უფალმან იცევინ შესლვაჲ შენი და გამოსლვაჲ შენი.[1*] და ესე არს ჭეშმარიტად ღმრთის მიერ დაცული შესლვაჲ და გამოსლვაჲ ღირსთაჲ, რამეთუ განსლვაჲ მიერ, სადა-იგი ვიყვნეთ, უაღრესთა მათ კეთილთა შესავალ იქმნების.

ამას უკუე განსლვასა განვიდა სული და წინამძღურად თჳსად მოიგო სიტყუაჲ, რომელმან-იგი თქუა, ვითარმედ: მე ვარ გზაჲ და ჭეშმარიტებაჲ და ცხორებაჲ და კარი“,[2*] და ვითარმედ: უკუეთუ ვინმე ჩემ მიერ შევიდეს და განვიდეს და არასადა დააცადოს, არცა შესლვაჲ და არცა გამოსლვაჲ დაასრულოს, არამედ ყოვლადვე წარმატებისა მიერ უაღრესთა მიმართ შევიდოდეს და მარადის მიწდომილთა მათ გარეშე იქმნებოდის.

ესრეთ წარჰკლდა ოდესმე მოსესცა სასურველი იგი პირი უფლისაჲ და ესრეთვე სულიცა იგი შჯულისმდებელისაჲ; მარადის, სადა-იგი იყო, გარეშე იქმნებოდა და თანაწარსრულსა მას სიტყუასა შეუდგებოდა და არასადა დადგებოდა უაღრესისა მიმართ აღორძინებისაგან, რამეთუ დასაბამსა აღორძნდა, რაჟამს-იგი მეგჳბტელთა მეფობისა უმაღლეს შეჰრაცხა ყუედრებაჲ იგი ქრისტესი და უფროჲსღა აღირჩია თანაძურ-

---

28 თანა-წარკდა C;

29 ჰგალობს C;

1* ფსალ. 120,8;

2* ინ. 10,9;

ისხილვაჲ ერსა თანა ღმრთისასა, ვიდრეცა ქონებაჲ საწუთროჲსა მის ცოდვისა საშუებელისაჲ.

და კუალად აღორძნდა, რაჟამს ერეოდა დაწუნებულსა მას ებრაელსა მეგუბტელი იგი და შურისგებითა მით ისრაიტელისათჳს მოკლა მეგუბტელი იგი, [143va] ხოლო განაღა სცნობ ამათ მიერ სახესა აღორძინებისასა, უკუეთუ შესცვალო უწყებაჲ იგი ქცეულებად სახისმეტყუელებისა. კუალად უაღრეს იქმნა თავისა თჳსისა, რაჟამს-იგი მრავალჟამ უდაბნოთა შინა მოღუაწებითა უშფოთველად სცვიდა ცხორებასა თჳსსა.

და მერმე ცეცხლითა მით მაყულისაჲთა განათლდა და შემდგომად მისა სასმენელიცა შარავანდედსა მას თანა ნათლისასა სიტყჳსა მიერ გაბრწყინდა და ამათ თანა განიშიშულნა ფერკნი თჳსნი შესასხმელთა მათგან მკუდრისათა, მოსრნა[30] კუერთხითა გუელნი იგი მეგუბტელთანი, იკსნნა[31] მძლავრებისაგან ფარაოჲსა ტომნი თჳსნი, უძღოდა მათ საგრილითა ღრუბლისაჲთა. განაპო უფსკრული, დაანთქა მძლავრი, დაატკბო მერრანი, სუა კლდისაგან, განძღა ანგელოზთა საზრდელისაგან. ესმნეს საყურნი, მთასა მათ მოტყჳნარესა შეჰკადრა, თხემსა მთისასა აღიწია, ღრუბელი განვლო, შინაგან ნისლისა შევიდა, სადა-იგი იყო ღმერთი. შჯული მოიღო.

მზედ შეიცვალა შეუხებელად და განუცდელად, რომლისა პირისაგან გამოჰკრთებოდეს[32] ნათელნი და ყოველთავე მათ აღმაღლებათა მისთა და პირად-პირადთა ღმრთისმხილველობათა ვითარ ვინ უძლო სიტყჳთა წარმოთქუმად, გარნა ესრეთცა ესოდენი იგი და ესევითარი, რომელი ესოდენთა საქმეთა შინა შეუიდა და ესეოდენთა სიმაღლეთა მიერ ღმრთისა მიმართ ამაღლდა; წუთღა განუძღომელ არს გულისთქუმაჲ მისი უმაღლესთა სურვილთა მიმართ და პირისპირ ხილვად ღმრთისა ილოცავს.

და ესე, ოდეს-იგი წამა[33] მისთჳს სიტყუამან, ვითარმედ პირისპირ ღირს-იქმნა იგი ზრახვასა ღმრთისასა, არამედ არცა ვითარცა მეგობრისა მეგობრისა მიმართ ზრახვამან, არცა პირისპირ ღმრთისა მი-

30 მოჰსრნა C;

31 იჴსნა A;

32 გამოჰკრთებოდენ C;

33 ჰსწამა C;

მართ მეტყუელებამან უმაღლესთა გულისთქუმათაგან უძლეს დაყენებაჲ [143vb] მისი, არამედ იტყოდა, ვითარმედ: უკუეთუ ვპოვე[34] მადლი წინაშე შენსა, განცხადებულად მიჩუენე მე თავი შენი. და რომელმან თხოვილისა მის მადლისა მიცემაჲ აღუთქუა და რომელმან-იგი ჰრქუა, ვითარმედ: *„გიცი შენ უფროჲს ყოველთა“*,[1*] თანა-წარვლო[35] იგი, რაჟამს-იგი საღმრთოსა მას ადგილსა კურელსა კლდისასა ქელისა მიერ საღმრთოჲსა დაფარა[36], ვიდრეღა შემდგომად წარსლვისა ძნიად სამე იხილა ზურგით მისა.

და ვითარ ვჰგონებ, ამას გუასწავებს ჩუენ სიტყუაჲ ამის მიერ, ვითარმედ რომელსა სუროდის ხილვაჲ ღმრთისაჲ, მარადის შედგომითა მისითა იხილავს სასუფეველსა მას. და ხილვაჲ პირისა მისისაჲ არს დაუცადებელად სლვაჲ მისა მიმართ და შედგომითა სიტყჳსაჲთა წარმართებული.

ეგრეთცა უკუე აწ და სულიცა, რაჟამს აღდგა[37] სიკუდილისა მიერ, რაჟამს აღივსო მურითა, რაჟამს მიყენა კლიტეთა საქმით მოღუაწებათა მიერ კელნი და შინაგან შეყვანებად სასურველისა მის ესვიდა, მაშინ იგი წარვიდა, ხოლო ესე განვიდა და არღარა დაადგრა, სადა-იგი იყო, არამედ სიტყუაჲ რაჲ წარმართებულად ვიდოდა, უკუანა მისა შეუდგა. და შემდგომი იგი სიტყუაჲ უმეტეს დაამტკიცებს ძალსა ამას თარგმანებისა ჩუენისასა, ვითარმედ არა მიწთომითა იცნობების სიმაღლე საღმრთოჲსა ბუნებისაჲ, არამედ თანაწარსლვითა ყოველსავე მიწთომისა საოცრებასა და ძალსა.

რამეთუ აჰა ესერა, რომელი-იგი ზეშთა ექმნა ბუნებასა სული, რაჲთა არარაჲ საქმეთაგანი ექმნეს დამაბრკოლებელ უხილავთა ხილვისაგან, არცა ძიებად უპოვნელისა მის დასცხრების, არცა კმობად უკმობელისა მის დაღგების, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„ეძიებდ მას და არა ჰპოე“*.[2*;38]

და ვითარმცა იპოვა, რომლისა მაუწყებელ ცნობილთაგანი არარაჲ

---

34 ჰპოვე C;

35 თანა-წარჰვლო C;

36 დაჰფარა C;

37 აღჰსდგა C;

38 ჰპოვე C;

1* გამ. 33,17;

2* ქ.ქ. 5,6;

არს არცა სახე, არცა ფერი, არცა გამო[144ra]სახულებაჲ, არცა ვითარებაჲ, არცა რაბამობაჲ, არცა ადგილი, არცა გუარი, არცა მოგონებაჲ, არცა გულისკმის-ყოფაჲ, არცა შეტყუებაჲ, არამედ ყოვლისავე მისაწდომელისა ღონისძიებისაგან მარადის გარე-იპოვების და ივლტის ყოველთავე შეპყრობისა კელთაგან და ძიებისა ბადეთაგან, ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: ვეძიებდ მას მპოვნელთა მათ მიერ სძალთა სულისათა და გულისსიტყუათა მიერ და მოგონებათა და ყოველთავე გარესკნელ იყო და მიახლებისაგან გონებისა განიელტოდა.

ხოლო რომელი-იგი ყოვლისავე ნიშნიანისა ხატისაგან გარესკნელ არს, ვითარმცა ეგო, რაჲთამცა სახელდებულისა რაჲსმე სახისა მიერ შეპყრობილ იქმნა? და ამისთჳს მოიგონებს ყოველსავე ძალსა სახელთასა გამოუთქუმელისა მის კეთილისა სახელისდებად, გარნა იძლევის ყოველივე ძალი სიტყუათა გამოთქუმისაჲ და ჭეშმარიტებისაგან ნაკლულევანებაჲ ემხილების.

ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: მე უკმობდ, რაოდენ ძალ-მედვა, რამეთუ მოვიგონე[39] შემდგომად კმათა რათმე საჩინოთა, გამოუთქუმელისა მის ნეტარებისა შემსგავსებულთა, ხოლო იგი უაღრეს იყო სახეთა მათ და უწყებათა, ვითარცა იქმოდა დიდი დავით და მრავალგზის ბევრეულთა სახელთა მიერ უწოდა[40] ღმერთსა. და ჭეშმარიტებისაგან ძლევასა აღიარებენ, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: შენ ხარ *„ღმერთი მოწყალე და მწყალობელ და სულგრძელ და დიდად მოწყალე“*[1*] და ჭეშმარიტ და *„ძალ და სიმტკიცე და შესაჲედრებელ და შემწე და კელისამპყრობელ და რჩა ცხოვრების“*[2*] და მსგავსი ამათი. და კუალად აღიარებს, ვითარმედ სახელი მისი ყოველსა ქუეყანასა ზედა არა თუ იცნობების, არამედ საკჳრველ იქმნების, რამეთუ იტყჳს,[41] ვითარმედ: *„ვითარ საკჳრველ არს სახელი შენი ყოველსა ქუეყანასა ზედა!“*. და მანოესცა ესრეთ ჰრქუა, რომელმან-იგი ყრმისა შობაჲ აუწყა, იკითხა[42] რაჲ სახელისათჳს, ვითარმედ საკჳრველ [144rb] არს იგი და დაუტეველ

---

39 მოვიგონებდ C;
40 უწოდნ C;
41 იტყჳ C;
42 ეკითხა C;

1* ფსალ. 102,8;
2* ფსალ. 17,2-3;
3* ფსალ. 8.2;

კაცთა სასმენელისა“.

ამისთჳს სულიცა უწესს სიტყუასა, რაოდენცა ძალ-უც, ხოლო ძალ-უც არა ეგოდენ, რაოდენ ჰნებავს, რამეთუ ჰნებავს უფროჲს, ვიდრე-ღა ძალ-უც, და ვერცა ძალ-უც ესოდენსა ნებებად, რაოდენ-იგი არს, არამედ რაოდენი ძალ-უც ნებასა ნებებად და რაოდენსა შემძლებელ არს და ვინაჲთგან წოდებული იგი მიუწდომელ არს მწოდებელისა მის წადიერებისაგან, ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: *„ქმა-ჳსცემდ მას და არა ქმა-მცა“*.[1*]

ხოლო რაოდენსა-იგი თქუმულთა ამათ ზედა შესძინებს სძალი, დაღათუ მჭმუნვარებისა სახესა აჩუენებს, არამედ ვითარ მე ვჰგონებ, მასვე სახესა ხედავს და მაღალთა მათ აღსლვათა გზასა იარების, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„მპოვეს მე მკუმილთა,*[43] *რომელნი მოჰვ-ლიდეს*[44] *ქალაქსა. მცეს და მწყლეს მე და განმძარცუეს სამოსელი ჩემი მცველთა ზღუდისათა“*.[2*]

და ნუუკუე და ეგონოს ვისმე, ვითარმედ ესე სიტყუანი მგლოვარი-სანი არიან უფროჲს, ვიდრეღა მოხარულისანი, ვითარმედ: *„მცეს და მწყლეს მე და განმძარცუეს სამოსელი ჩემი“*, ხოლო გამოწულილ-ვით გულისკმისმყოფელსა კეთილისა სიქადულისა მიზეზად[45] აღუჩნდენ სიტყუანი ესე და რაჲთა საცნაურ იქმნენ ჩუენდა თქუმულნი ესე, მცირედ უწინარეს მისა უკუანა კერძო აღწერილი მოვიკსენოთ, რა-ჟამს-იგი განწმედაჲ მისი ყოვლისაჲვე საფარველისაგან და საბურველი-სა წამა სიტყუამან, სადა-იგი იტყჳს პირისაგან სძლისა, ვითარმედ: *„განვიძარცუე*[46] *სამოსელი ჩემი, ვითარ-მე შევიმოსო იგი?“*

და აქა კუალად მიღებასა სამოსლისა თჳსისასა იტყჳს და რომელი-იგი იტყოდა, ვითარმედ: „განვიძარცუე“, ვინაჲ აქუს აწ სამოსელი ესე, გარნა თუ ცხად არს და მის მიერცა აღსლვაჲ სიმაღლედ, რამ-ეთუ რომელმან-იგი განიძარცუა ძუელი იგი სამოსელი და ყოვლისაჲვე საბურველისაგან წმიდა [144va] იქმნა, ესოდენ იქმნა უწმიდეს თავისა

---

43 მკმილაჲთა C;

44 მოვლიდეს C;

45 ხოლო გამოწულილჲით... მიზეზად A ხელნაწერის კიდეზეა მიწერილი;

46 განჲიცარცუე B;

1* ქ.ქ.5,6;

2* ქ.ქ. 5,7;

თჳსისა, ვიდრეცა შეტყუებასა თანა აწინდელისა ამის სიწმიდისასა, ვითარმცა საგონებელ იყო, თუ ყოვლადვე არა განეძარცუა სამოსელი, არამედ ვითარმცა შემდგომად განშიშულებისა მის პოვნილმცა რამე იყო მის თანა კუალად განსაგდებელი, რომელი-იგი აწ განაგდო.

ესრეთ ღმრთისა მიმართ აღსლვაჲ მისი პოვნილსა მას სიმაღლესა მისსა მარადის უზრქეს გამოაჩინებს, ვინაჲცა აწინდელსა ამას სიწმიდესა მისსა თანა პირველისა მის სამოსლისა განძარცუაჲ, ვითარცა საფარველი, მიეღების მკუმილთა მიერ, რომელთა პოვეს იგი, რომელნი მოჰვლიდეს ქალაქსა.

ხოლო ქალაქად სული გულისკმა-ყაჳ და მკუმილად — გონებაჲ და საღმრთონი გულისსიტყუანი, რომელნი-იგი უწერტენ და ჰგუემენ სულსა წმიდათა მათ და უბიწოთა გულისზრახვათა მიერ, ვიდრემდის მოსძარცონ[47] მას ყოველივე სიზრქე და ღმერთსა შეაერთონ.

და ამისთჳს ვიტყოდე, ვითარმედ აწინდელი ესე მიღებაჲ სამოსლისაჲ საბედ კეთილისა გულისკმა-იყოფების, რაჲთა თჳნიერ საფარველისა და საბურველისა განიცდიდეს შუენიერებასა მას სასურველისა თჳსისასა, რომელსა-იგი დაამტკიცებს სიტყუაჲცა იგი სამოციქულოჲ, რომელი-იგი აღძრცუასა საბურველისასა ძალსა სულისა წმიდისასა მიაჩემებს და იტყჳს, ვითარმედ: *„რაჟამს მოიქცეს უფლისა მიმართ, აღეძრცუების საბურველი იგი, ხოლო უფალი სულ არს“*.[1°]

და რამეთუ კეთილისა მიმართ განმმზადებელი კეთილ არს, ვერვინ გუაცილობს ამისთჳს. და ვინაჲთგან საბურველისა მიღებაჲ კეთილ არს, კეთილ სამე იყოს წყლულებაჲცა და გუემაჲ, რომელთა მიერ იქმნების აღძრცუაჲ იგი საბურველისაჲ; გარნა ვინაჲთგან მარტივი და მსწრაფლი მიხედვაჲ სიტყუათაჲ ამათ [144vb] რეცა მჭმუნვარედ სახილველ არს, ესე იგი არს, ვითარმედ *„მცეს მე და მწყლეს მე“*, კეთილ არს, რაჲთა წიგნთაგან გულისკმა-ვყოთ[48] ესეეითართა ამათ სიტყუათა ძალი, უკუეთუ სამე კეთილისა კერძსა ზედა ქმნილ არს კსენებაჲ მათი და ესრეთ განხილვად გონებაჲ მათი, ვითარ იკსნის სიბრძნე სულსა ჭაბუკისასა სიკუდილისაგან, ანუ რასა განაზრახებს ყოფად, რაჲთა არა მოკუდეს იგი. თჳთ მისივე ვისმინოთ, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ

---

47 მოჰსძარცუონ C;

48 გულისხმა-ვჰყოთ C;

1° II კორ. 5,16;

„უკუეთუ ჰგუემო იგი კუერთხითა, არა მოკუდეს, — რამეთუ შენ სამე კუერთხითა ჰგუემო იგი, ხოლო სული მისი იკსნე სიკუდილისაგან“[1•]

აჰა ესერა, უკუდავებისა მომატყუებელად თარგმნა სიტყუაჲ იგი გუემისაჲ, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: *„უკუეთუ ჰგუემო კუერთხითა, არა მოკუდეს“*[2•] და ვითარმედ სხუებრ ვერ იკსნების სული სიკუდილისაგან, უკუეთუ არა იგუემოს კუერთხითა.

იხილე, ვითარ კეთილ არს გუემაჲ და თუ რაბამ საწადელ არს სიკუდილისაგან კსნაჲ სულისაჲ, რომელი-ესე გუემისა მიერ მოგუეტყუების.

და ამასვე წესსა წამებს[49] ღმრთისათჳს წინაჲსწარმეტყუელი, რამეთუ მოკუდინებისა მიერ აცხოვნებს და წყლვისა მიერ განჰკურნებს, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„მე მოვაკუდინო და ვაცხოვნო, მე*[50] *ვგუემო და განვკურნო“*[3•]

ხოლო დავით არა წყლულებად უწოდა, არამედ ნუგეშინისცემად ესევითარსა მისსა კუერთხსა და არგანსა და თქუა,[51] ვითარმედ: *„კუერთხმან შენმან და არგანმან შენმან ამათ ნუგეშინის-მცეს მე“*,[4•] რომელთა მიერ იქმნების თავადისა მის საღმრთოჲსა ტაბლისა განმზადებაჲ; და რაოდენსა-იგი შემდგომითი შემდგომად წარმოიტყჳს ფსალმუნი იგი, რომელ არს საცხებელი თავისაჲ და ურწყოებაჲ სასუმლისაჲ, რომელი იქმს ფრთხილსა მას სიმთრვალესა და კეთილი იგი თანასლვაჲ წყალობისაჲ [145ra] და სახლსა შინა ღმრთისასა განგრძობაჲ დღეთაჲ.

და ვინაჲთგან ამას ყოველსა მოატყუებს ტკბილი იგი წყლულებაჲ, სიტყჳსაებრ იგავთაჲსა და მოძღურებისაებრ წინაჲსწარმეტყუელისა, კეთილ სამე არს გუემაჲ კუერთხითა, რომლისა მიერ იქმნების ესეოდენთა კეთილთა განმრავლებაჲ, და უფროჲსღა დაშთომილი პირველთქუმულთაჲ მათ გამოვიძიოთ, ვითარ-იგი თანა-წარჰკდა[52] სიტყუაჲ სძალსა და შეუპყრობელ იქმნა კელთა მათგან მოსურნისა

---

49 პსწამებს C;
50 მე] -C;
51 პსთქუა C;
52 თანა-წარკდა C;

1• იგ. 23,13-14;
2• იგ. 23,13;
3• ᲐᲛ. სჯ. 32,9;
4• ფს. 22,4;

მისისათა, თანა-უკუე-წარჰკდა, არა თუ რაჲთამცა დაუტევა, რომელი-იგი თანა-წარველო, არამედ უფროჲსღა, რაჲთა თავისა მიმართ თჳსისა მისსა მიიზიდოს.

რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„სული ჩემი განვიდა სიტყუასა მისსა თანა“*.[1*] პირველად უკუე განვალს სული მიერ, სადა-იგი იყო, და მერმელა იპოვების მკუმილთაგან ქალაქისათა, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: „მპოვეს მე მკუმილთა, რომელნი მოჰვლიდეს[53] ქალაქსა“.[2*]

უკუეთუმცა ჭირთა ჯოჯოხეთისათა ეპოვნა იგი, გინა ავაზაკთა, ბოროტმცა იყო ესევითარი პოვნაჲ, რამეთუ *„მპარავი არა მოვალს, არამედ რაჲთა იპაროს და დაკლას და წარწყმიდოს“*.[3*] ხოლო მცველნი იგი, რომელნი ჰპოებენ მას, რომელნი-იგი მოჰვლიან ქალაქსა, ესევითარნი არიან, ვიდრეცა ნეტარ არს ესევითარისა მის პოვნისათჳს, რამეთუ რომელი მცველთა მიერ იპოვოს, მპარავთა მიერ და ავაზაკთა არა წარიპარვის იგი, არცა წარიტყუენვის.

და ვინ-მე უკუე არიან მცველნი იგი და ვინმცა იყვნეს სხუანი? არამედ მსახურნი მისნი. *„რომელი-იგი სცავს[54] ისრაელსა“*,[4*] რომელი-იგი ცვისა მის მიერ ჰფარავს მარჯუენესა კელსა მისსა, რომლისა-და-იგი რწმუნებულ არს ყოვლისაგან ბოროტისა დაცვაჲ სულისაჲ, რომელი-იგი შესლვისა და გამოსლვისა იქმნების მცველი, იგი არს მცველი ქალაქისაჲ, რომლისათჳს თქუმულ არს, ვითარმედ: *„არა თუმცა უფალმან დაიცვა ქალაქი, ცუდად იღუძებენ მკუმილ[145rb]ნი მისნი“*,[5*] ვინაჲცა სულთა მათ მსახურთა წარვლინებულთა მსახურებად მათთჳს, *„რომელთადა-იგი დამკჳდრებად არს ცხორებაჲ“*,[6*] მათ წარმოაჩინებს *„მკუმილთა“* მიერ სიტყუაჲ, *„მოჰვლიან[55] ქალაქსა“*.

ხოლო ქალაქად სული გულისკმა-ყავ,[56] ვითარ-იგი ვთქუთ[57], სამ-

---

53 მოვლიდეს C;
54 ჰსცავს C;
55 მოვლიან C;
56 გულისხმა-ჰყავ C;
57 ვჰსთქუთ C;

1* ქ.ქ. 5,6;
2* ქ.ქ. 5,7;
3* ინ. 10,10;
4* ფსალ. 120,4;
5* ფსალ. 126,1;
6* ებრ. 1,14;

კჳდრებელი იგი ღმრთისაჲ. ამათ მიერ იპოვა სული, ვითარცა-იგი ოდესმე მწყემსისა მის მიერ კეთილისა წარწყმედული იგი ცხოვარი, რომლისათჳს-იგი სიხარულად აღიძრნეს ყოველნივე გუნდნი ანგელოზთანი. სიტყჳსაებრ უფლისა, ესრეთვე იპოვა ოდესმე დრაქმაჲცა იგი ნათლითა მით სანთელისაჲთა, რომლისა პოვნისათჳს განიხარეს ყოველთა მეგობართა და მახლობელთა.[1*]

ესრეთვე პოვნილ იქმნა დავითცა — მონაჲ უფლისაჲ, ვითარცა იტყჳს ფსალმუნი პირისაგან ღმრთისა, ვითარმედ: *„ვპოვე დავით, მონაჲ ჩემი, და საცხებელი წმიდაჲ ჩემი ვსცხე მას“*,[2*] რომელ-იგი, ვინაჲთგან მონაგებ მპოვნელისა მის იქმნა, ვისმინოთ, თუ ვითარცა ნიჭთა ღირს-იქმნა, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„ჴელი ჩემი შეეწიოს მას და მკლავმან ჩემმან განაძლიეროს იგი, არა ირგოს მტერმან მისგან და შვილმან უშჯულოებისამან ვერაჲ აჳნოს მას“*[3*] და ვითარმედ: *„მოვსრნე პირისაგან მისისა მტერნი მისნი და მოძულენი მისნი მოვასრულნე“*.[4*] და რაოდენიცა-იგი მწყობრსა მას კურთხევათასა წერილ არს, ვინაჲცა კეთილ არს მჴუმილთა მათ ანგელოზთაგან[58] პოვნაჲ სულისაჲ, რამეთუ ესრეთ გულისჴმა-ჳყოფს დავით და იტყჳს, ვითარმედ: *„დაიბანაკებს ანგელოზი უფლისაჲ გარემოჲს მოშიშთა მისთა და იჴსნნეს ივინი“*.[5*]

აწ უკუე სიტყუაჲ იგი, რომელი იტყჳს, ვითარმედ: *„მცეს და მწყლეს მჴუმილთა“*, შეძინებაჲ რაჲმე წარმატებისაჲ შეიკრიბა მათ მიერ და იქადა მისთჳს; და წყლულებაჲცა იგი მისი ესრეთ გულისჴმა-ყავ[59], რამეთუ საღმრთოჲსა მის კუერთხისა მიერ სიღრმეთა შინა სული[145va]სათა ქმნილი სასწაული მოასწავა, რამეთუ სულიერი იგი ქალაქი არა ესრეთ შეიწყნარებს წურთასა მას საღმრთოჲსა მის კუერთხისასა, რაჲთამცა თჳნიერ სასწაულისა და ნიშისა დაშთა იგი და არამცა აქუნდა მას სახე კსენებისაჲ, არამედ წყლულებისა მის მიერ წარჩინებულ იქმნების და საღმრთოსა მას წყლულებასა სახითა მით სიქადულისაჲთა საანჯმნო-ჰყოფს სძალი და ესე ესრეთ გულისჴმა-ყავ.

---

58 ანგელოსთაგან C;

59 გულისხმა-ჰყავ C;

1* ლუკ. 15,9;
2* ფსალ. 88,21;
3* ფსალ. 88,22-23;
4* ფსალ. 88,24;
5* ფსალ. 33,8;

სალმრთოჲ იგი არგანი და ნუგეშინისცემისა კუერთხი, რომელი-იგი გუემისა მიერ კურნებასა მიანიჭებს, სული არს წმიდაჲ, რომლისა-იგი ნაყოფ არიან ყოველნივე იგი ნაყოფნი, რომელთა აღჰრაცხს პაულე, და სხუათა მათ ყოველთა თანა მასწაულელი იგი სათნოებათაჲ, რომელ არს მარხვაჲ და მოღუაწებაჲ, რომელთათჳს-იგი თჳთ პაულეცა იქადის და იტყჳს, ვითარმედ: *„წყლულებანი იგი ქრისტესნი კორცთა შინა მიტჳრთვან“*.[1*]

და ესრეთ საანჯმნო ჰყოფს, ვითარმედ ყოველნივე უძლურებანი და ჭირნი, რომელნი სათნოებათათჳს იქმნებოდიან, უძლურებისა მის მიერ სრულ-იქმან ძალსა ქრისტესსა[2*] და წყლულებისაცა იგი გულისკმის-ყოფაჲ კეთილად გუეუწყა ჩუენ, რომლისა-იგი მიერ იქმნა მიღებაჲ თერისტრისაჲ სძლისაგან, რომელ არს ზეწარი რაჲმე სასძლოჲ და ჰფარავს იგი თავსა და პირსა და ყოველსავე გუამსა, ვითარცა-იგი რებეკაჲსთჳს წერილ არს, ვითარმედ: *„შეიმოსა ზეწარი თჳსი, რომელ არს თერისტოჲ“*,[3*] რაჲთა განცხადნეს შუენიერებაჲ სულისაჲ და არღარა უბნელობდეს მას აჩრდილი იგი საბურველისაჲ.

ხოლო აწ კუალად-ვიქცეთ პირველსავე სიტყუასა და განხილვაჲ ესე სიტყუათაჲ ამათ სრულ-ვყოთ.[60] ესე იგი არს ღმრთისა მიმართ მხედველი სული და კეთილითა მით სურვილითა უხრწნელისა მის სიკეთისაჲთა შეპყრობილი მარადის უაღრესისა სურვილისა მიმართ წარე[145vb]მატების და არაოდეს მოამდოვრებს სურვილსა მას სიმაძღრითა, ვინაჲცა მარადის წაღმართ და წაღმართ წარემატების და წარმატებისაგან არა დასცხრების და სადა-იგი იყოს, განვალს, სადა-იგი არა იყოს, შევალს და ყოვლადვე, რომელი-იგი დიდად და საკჳრველად უჩნდეს, უადრეს შეჰრაცხს შემდგომისა მის ამისთჳს, რამეთუ პოვნილისა მის არღა პოვნილი იგი მარადის უაღრეს და უსაკჳრველეს იპოვების, ვითარცა-იგი პაულე დღითიდღე მოკუდებოდა,[4*] ვინაჲთგან

---

60 სრულ-ეჰყოთ C;

1* გალატ. 6,17;
2* II კორ. 12,9;
3* ქართული თარგმანის ეს მონაკვეთი: „რომელ არს ზეწარი... რომელ არს თერისტოჲ] არ არის ბერძნულ ტექსტში (იხ. PG. 44, col. 1033 D,).
4* I კორ. 15,13;

ყოვლადვე ახლისა რაჲსმე მიმართ ცხორებისა[61] მიიცვალებოდა[1*] და თანაწარსრულისა მისგან სამარადისოდ მოკუდებოდა და გარდასრულთა მათ მოღუაწებათა დაიყენწყებდა.

ამისთჳს სძალიცა, სიძისა მიმართ მორბედი, დაცადებასა რასმე უაღრესისა მიმართ წარმატებისა არა ჰპოვებს, რამეთუ აჰა ესერა, მროწეულისა სამოთხენი აღმოაცენნა პირისაგან მისისა და მომადინებელნი ნელსაცხებელთანი და საზრდელ განუმზადა მეუფესა დაბადებულთასა და თჳსთა ნაყოფთა მიერ ისტუმრა, მორწყნა[62] მტილნარნი, იქმნა ჯურღმულ წყლისა ცხოველისა და ყოვლითურთ შუენიერ და უბიწო იქმნა, ვითარცა წამა[63] მისთჳს სიტყუამან.

და კუალად უაღრეს რაჲ იქმნა ამისსა, აგრძნა ღმრთივშუენიერად მისლვაჲ სიტყჳსაჲ, აღსებულ რაჲ იყო თავი მისი ცუარითა და ნიჟითა ღამისაჲთა, რომელ არს მწყობრი იგი ღულარჭნილთა მისთაჲ.

განიბანნა ფერკნი თჳსნი და განიძარცუა სამოსელი თჳსი და მოადინა მური კელთაგან, მიყვნა თითნი კლიტეთა, განუღო კარი, ძიება-ყო შეუპყრობელისა მის და ენება მიწდომაჲ მიუწდომელისაჲ მის.

კმობდა კმაცემად უსაზღუროსა მას, პოვნილ იქმნა მკუმილთაგან, მიითუალა გუემაჲ არგნისაჲ, ემსგაესა კლდესა, რომელსა *„სცა [146ra] კუერთხმან და გამოეცნეს წყალნი“*,[2*] ვითარცა თქუა წინაჲსწარმეტყუელმან.

ხედავ-ა, რაოდენსა სიმაღლესა აღიწია სძალი? ამისთჳს ეხეთქნა, ვითარცა კლდესა მას განუკუეთელსა მოსეს მიერ, რაჲთა მსგავსად მისა ამანცა აღმოუცენოს წყურიელთა [64] სიტყუაჲ ცხორებისაჲ წყლულებისა მისგან საწადელისა.

და მერმე შემდგომად ამისა[65] განაცხადა და განაშიშულა შუენიერებაჲ პირისაჲ, მი-რაჲ-უღეს მკუმილთა ზეწარი იგი, მფარველი სიკეთისა მისისაჲ, რომელ არს თერისტოჲ.

ესე უკუე არს, რომელსა-იგი სახედ სურვილისა მისისა შეუძლეთ

---

61 ცხოვრებისა C;

62 მოსწყლნა C;

63 პსწამა C;

64 წყურვიელთა C;

65 ამისსა C;

1* I კორ.15,22;

2* ფსალ. 77,20;

ჩუენ მიწდომად[66], ხოლო შური არცა ერთი არს, უკუეთუ ვისმე უალრესი რაჲმე გამოეცხადოს მის მიერ, რომელი-იგი განაცხადებს დაფარულთა საიდუმლოთა და სარგებელად სულთა აღწეროს იგი.

და ნუუკუე და ხილვასა მასცა ესაიაჲსსა აქუნდეს რაჲმე ზიარებაჲ წინამდებარისა ამის სიტყუსა მიმართ?

ხოლო მას ვიტყუ ხილვასა, რომელი-იგი შემდგომად სიკუდილისა კეთროვნისა მის მეფისა იხილა, ვითარ-იგი საყდართა მჯდომარე იყო უფალი, რომლისა-იგი სახე და მსგაესებაჲ და განუზომელობაჲ და სიდიდე ხილვამან მისმან ვერ დაიტია, რამეთუ უკუეთუმცა დაეტია და ეთქუაცამცა, ვითარცა-იგი სხუათა მათთჳს თქუა, რომელნი-იგი იხილნა და ფრთენი აღრაცხნა და დგომაჲ და ფრინვაჲ მოგვითხრა, არამედ კმისა ხოლო სმენასა იტყჳს, რაჟამს-იგი აღმაღლდა[67] კრეტსაბმელი იგი ბჭეთა ზედა კმისა მისგან სერაბინთაჲსა და ტაძარი იგი აღივსო კუამლითა და ერთისა მის სერაბინთაგანისა მიერ შეეხო პირსა მისსა ნაკუერცხალი იგი მოტყინარე.

და ესე რაჲ იქმნა, არა ხოლო თუ ბაგენი ხოლო, არამედ სასმენელნიცა შეწყნარებად და სმენად სიტყჳსა განწმიდნეს, რამეთუ ვითარცა აქა ცემასა იტყჳს და წყლულებასა მჯუმილთა მიერ სძალი და განშიშულებასა სამო[146rb]სლისაგან, ეგრეთცა მუნ ზეწრისა წილ კრეტსაბმელი ამაღლდა,[68] რაჲთა დაუბრკოლებელ იქმნეს მისგან შეუვალთა მათ შინა უხილავთა მათ განცდაჲ და მჯუმილთა წილ სერაბინნი წარმოიჩინნეს და კუერთხისა წილ — ნაკუერცხალი და წყლულებისა წილ — დაწუვაჲ.

ხოლო ორთავე სრულებაჲ ზოგადი იქმნა სძლისაჲცა და წინაჲსწარმეტყუელისაჲცა, რომელ არს სიწმიდე და ვითარცა-იგი წინაჲსწარმეტყუელი ნაკუერცხალისა მის მიერ არა ტკივნეულ იქმნა, იწუებოდა რაჲ, არამედ იდიდა და განბრწყინდა, ეგრეთვე აქა სძალი არა ლმობასა მოასწავებს წყლულებისა მისთჳს, არამედ იქადის კაძნიერებისა შეძინებასა საბურველისა მიღებითა, რომელსაცა-იგი ზეწრად უწოდა სიტყუამან.

არს უკუე სხუაჲცა რაჲმე გულისკმის-ყოფაჲ წინამდებარისა ამის

---

66 მიწუთომად B;

67 ამაღლდა C;

68 აღმაღლდა C;

პირისათჳს, განხილულთავე ამათ სწორი ძალითა, რამეთუ გან-რაჲ-ვიდა სული სიტყჳსა მისსა თანა და ეძიებდა პოვნად შეუძლებელსა მას და უკმობდა სასწაულითა კმისა და სახელისაჲთა შეუსწავლელსა მას, ეუწყა უკუე და ესწავა მკუმილთა მიერ, ვითარმედ[69] მიუწდომელისა სურის და გამოუთქუმელისა სურვიელ არს.

და სიტყუათა ამათ მიერ მათთა, ვითარცა სახედ წყლულებითა და გუემითა, ესრეთ იწყლა უსასოებითა ვერ პოვნისა მისთჳს სასურველისა მის, რამეთუ უსრულად და უშუებელად ჰგონა სურვილი იგი კეთილისაჲ, არამედ მოეძარცუა მწუხარებისა იგი საბურველი, რამეთუ ესწავა და ცნა, ვითრმედ მარადის წარმატებაჲ იგი ძიებისაჲ და არასადა დაცხრომაჲ აღმაღლებისაგან არს ჭეშმარიტი პოვნაჲ და შუებაჲ სასურველისა მისგან, რაჟამს პოვნილი იგი სურვილი სხჳსა სურვილისა [146va] დასაბამ ექმნებოდის და მშობელ.

და ესრეთ აღეძარცუა რაჲ უსასოებისა იგი საბურველი და იხილა უსაზღვროჲ იგი და გარეშეუწერელი სიკეთე საყუარელისა მის და სასურველისა შუენიერებისაჲ, დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა თანა უფროჲს და უმეტეს აღორძინებული და განმრვლებული, უმეტესითა სურვილითა აღეტყინა და ცხად-ყო[70] ასულთა მიერ იერუსალემისათა წადიერებაჲ იგი გულისა მისისაჲ საყუარელისა მისთჳს და ვითარმედ რჩეული იგი საღმრთოჲ ისარი თავსა შორის თჳსსა შეუწყნარებიეს ისრისპირითა მით სარწმუნოებისაჲთა და მოწყლულ არს გულითა და განგურემულ სიღრმეთა შინა სულისათა შეწყნარებითა სიყუარულისა ისართაჲთა, ხოლო ვითარცა იტყჳს იოვანე: *„სიყუარული ღმერთი არს“*,[1*] რომელსა შუენის დიდებაჲ და სიმტკიცე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

---

69 არამედ A;

70 ცხად-ჰყო C;

1* I იო. 4,16;

ᲒᲐᲜᲯᲘ XIII

სიტყუაჲ ესე:

5,8. გაფუცებ[1] თქუენ, ასულნო იერუსალჱმისანო, ძალთა და სიმტკიცეთა აგარაკისათა, უკუეთუ სადა ჰპოოთ ძმისწული ჩემი, უთხართ მას, ვითარმედ წყლულ ვარ მე სიყუარულითა.

5,9. რაჲ არს ძმისწული შენი ძმისწულისაგან, შუენიერო დედათა შორის? რაჲ არს ძმისწული შენი ძმისწულისაგან, რამეთუ ეგრეთ გუაფუცე ჩუენ?

5,10. ძმისწული ჩემი მწყაზარ და მწითურ, გამორჩეულ შობითგან ბევრეულთაგან.

5,11. თავი მისი — ოქროჲსა ოფაზისაჲ;[2] თხზული თმათა მისთაჲ, ვითარცა ჭედილი; შავ, ვითარცა ყორანი.

5,12. თუალნი მისნი, ვითარცა ტრედისანი სავსებასა ზედა წყალთასა, განბანილნი სძითა, მჯდომარე სავსებასა ზედა წყალთასა.

რომელმან-იგი მოსეს მიერ დასხნა შჯულად საიდუმლონი იგი შჯულისანი და სრულ-ყო[3] თავისა მიერ თჳსისა ყოველი შჯული და წინაჲსწარმეტყუელნი, ვითარცა ბრძანა სახარებასა შინა, ვითარმედ: *„არა მოვედ და[146vb]ჴსნად შჯულისა, არამედ აღსრულებად“*[1•]; რომელმან-იგი უჩინო-ყო[4] კაცისკლვაჲ განქარვებისა თანა რისხვისასა და წარწყმედასა თანა გულისთქუმისასა განჰფხურა ბილწებაჲ იგი მრუშებისაჲ, მანვე განჰკადა ცხორებისა ამისგან ცრუჲსაცა[5] ფიცისწყევაჲ და სიბოროტე და სრულიადითა მით დაყენებითა ფიცისაჲთა შეკრა იგი და უქმ-ყო მომსრველი იგი მანგალი მისი, რომელიცა იხილა წინაჲსწარმეტყუელმან, რამეთუ გარდასლვაჲ ფიცისაჲ შეუძლებელ არს, სადა ფიცი არა იყოს“.

---

1 გაფუცე BC;
2 უფაზისაჲ C;
3 სრულ-ჰყო C;
4 უჩინო-ჰყო C;
5 ცროჲსაცა C;

1• მთ. 5,17;

ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: *„გესმა, რომელი[6] თქუა პირველთა მათ მიმართ — „არა ცილი ჰფუცო, არამედ მისცე უფალსა ფიცი შენი“!*[1•] ხოლო მე გეტყჳ თქუენ არა ფუცებად ყოველადვე ნუცა ცასა, რამეთუ საყდარი არს ღმრთისაჲ, ნუცა ქუეყანასა, რამეთუ კუარცხლბერკი არს ფერჴთა მისთაჲ, ნუცა იერუსალემისა, რამეთუ ქალაქი არს მეუფისა დიდისაჲ. ნუცა თავსა შენსა ჰფუცაჲ, რამეთუ ვერ ძალ-გიც ერთისა თმისა განსპეტაკებად, გინა დაშავებად, არამედ იყავნ სიტყუაჲ თქუენი „ჰე-ჰე“ და „არა-არა“, რამეთუ ამისა უმეტესი უკეთურისაგან არს.[2•]

ხოლო ქებისა მიერ ქებათაჲსა სისრულითა წამებული სული და განშიშულებული საბერველთაგან გულისათა განძარცუვითა ძუელისა მის სამოსლისაჲთა, რომელმან-იგი საბურველი პირისაჲ განაგდო, რომელ არს თერისტოჲ, ესე იგი არს ყოველივე იჭუეული და შემამრღუეველი გონებაჲ, რაჲთა წმიდად და უბიწოდ ხედვიდეს ჭეშმარიტებასა, აფუცებს ასულთა იერუსალემისათა არცა საღმრთოჲსა საყდრისა მიმართ, რომელსა ცად უწოდს სიტყუაჲ, არცა ღმრთისა მეუფებისა, რომელ არს იერუსალემი, არცა თავისა მის პატიოსნისა[7], რომლისა თმასა არცა სპეტაკად შესაძლებელ არს შეცვალებაჲ, არცა შავად, არამედ აგარაკისა მიმართ შესცვალებს ფიცსა და ძალთა მიმართ მისთა აფუცებს ქალწულსა და ეტყჳს:

„აჳფუცებ[8] თქუენ, ასულნო იერუსალ[9]მისანო,[9] ძალთა მიმართ და სიმტკიცეთა [147ra] აგარაკისათა“.[3•] რომელი-იგი ყოველითურთ შუენიერად და უბიწოდ იწამა, ცხად არს, რამეთუ არა იტყჳს იგი ნამეტნავსა, რომელი-იგი არს საშმაკოჲსა ნაწილისაჲ, არამედ ღმრთისა მიერ ზრახავს, რომლისა მიერ, სიტყჳსაებრ ზაქარიაჲსა, სხუაჲ არარაჲ იქმნების, არამედ რაოდენიცა რაჲ არს კეთილ და ღმრთივშუენიერ, რომელი-იგი იწამა ღმრთისა მიერ წარმატებათა მათთჳს, რომელნი მოიგნა, ვითარცა სძალმან სამეუფომან.

და არავინ არს იჭუეულ მისთჳს, რომელმან-იგი ყოველივე სახე

---

6 რომელი] რ˜ B;

7 პატიოსნისა C;

8 გაფუცეთ B;

9 იერუსალიმისანო C;

1• მთ. 5,33;

2• მთ. 5,34-37;

3• ქ.ქ. 2,7; 3,5; 5,8;

უჯეროჲსა ფიცისაჲ განაგდო და არცა სამეუფოდ ქალაქი აფუცა ქალწულთა და არცა საყდარი ღმრთისაჲ.

და ამის მიერ გუასწავებს, თუ რაოდენ ჯერ-არს შეკადრებად ფიცისა, რამეთუ არცა საყდარისა[10] ფუცვად, არცა ქალაქისა, არცა პატიოსნისა[11] თავისა შეგუნდობს ჩუენ, რომელსა-იგი მცირედ უკუანაჲსკნელ ოქროჲსად უწესს, რომლისა-იგი თმანი არცა შავ არიან და არცა სპეტაკ, რამეთუ ოქროჲ ვითარ შეიცვალოს შავად, გინა თუ სპეტაკად?

და ესე ცხად არს, რამეთუ ესევითარსა რასმე ფიცსა აფუცებს ქალწულთა, რომელი იგი არცა სახარებისა შჯულსა უკდების და მფუცველთა მათ მიზეზ ქებისა ექმნების, ვითარცა იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი, ვითარმედ: *„და იქოს ყოველი, რომელი ფუცვიდეს მისსა“*,[1•] ვინაჲცა ძალი თქუმულთაჲ ამათ არა უცხო არს შჯულისა მისგან სახარებისა, რომლითა სარწმუნო-ჰყოფს ჭეშმარიტებასა და იტყჳს, ვითარმედ: *„იყავნ თქუენი ჰე-ჰე და არა-არა“*.[2•]

აწ უკუე, ვინაჲთგან წესთა შინა ფუცებისათა დაყენებულ არს ფუცვად საყდრისა და ქალაქისაჲ და ჭეშმარიტისა მის თავისაჲ და „ჰე“ ხოლო და „არა“ შენდობილ არიან[12] და ორთავე მიერ სწორი ჭეშმარიტებაჲ იხილვების და აწინდელიცა ესე სძლისა ფუცებაჲ ამასვე სახესა მოასწავებს, რამეთუ იტყჳს: *„გაფუცებ თქუენ, ასულნო იერუსალემისანო*[13]*, ძალთა და სიმტკიცეთა აგარაკისათა, უკუეთუ ჰპოოთ ძმისწული ჩემი, უთხართ მას, ვითარმედ წყლულ ვარ მე სიყუარულითა“*.[3•] [147rb] ესე სიტყუანი განხილულ არიან ზემოკერძოცა, ვითარცა-იგი წესი სიტყჳსაჲ ეძიებდა მუნ და აწცა კუალად ვთქუათ, უკუეთუ რაჲ-მე ჯერ-იყოს. უძრავად საქმედ უწესს მოციქული ფიცსა[14] და დამამტკიცებელად ჭეშმარიტებისა და ყოვლისა ცილობისა დასასრულად,[4•] ვინაჲცა

---

10 საყდრისა C;
11 პატიოსნისა C
12 არნ A;
13 იერუსალიმისანო C;
14 ფისა C;

1• ფსალ. 62,12;
2• მთ. 5,37;
3• ქ.ქ. 5,8;
4• ებრ. 6,16;

აფუცებს ქალწულთა სძალი, რაჲთა უქცეველად დაიცვან სიტყუაჲ მისი, არამედ ვინაჲთგან ყოველი ფუცებაჲ უფროჲსისა მიმართ იქმნების, ვითარცა იტყჳს მოციქული, რამეთუ უფროჲს თავისა თჳსისა, შეურაცხისა მიმართ, არავინ აფუცებს; გულისკმის-ყოფაჲ ჯერ-არს, თუ რად არს უფროჲსი იგი, რომლისა მიმართ ქალწულთა აფუცებს სძალი, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ:

„გაფუცებ თქუენ, ასულნო, ძალთა და სიმტკიცეთა აგარაკისათა“.

და რაჲმცა იყო ჩუენსა უფროჲსი ამას შინა, რამეთუ აგარაკად სოფელსა ამას[15] ეწოდების სიტყჳსაებრ უფლისა[1*], და ამას არა უმეცარ ვართ. ხოლო ძალნი ესე და სიმტკიცენი, რომელნი მას შინა იხილევებიან და უმეტეს ჩუენსა საგონებელ იქმნებიან, რომელთა მიერ ფუცებაჲ იგი დამტკიცების, რაჲმცა იყუნეს?

და ამისთჳს თანა-გუაც, რაჲთა უმეტესისა გამოცხადებისათჳს სჳსა თარგმნისა მიერ აღწერილი მოვიკსენოთ სიტყუათა ამათთჳს, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: გაფუცე თქუენ, ასულნო იერუსალჵმისანო,[16] ქურციკთა მიმართ და ირემთა აგარაკისათა. და ესე საბელნი გუაუწყებენ, თუ რასა შინა არს ძალი ამის სოფლისაჲ და სიმტკიცე, რომელი-იგი დამამტკიცებელად ჭეშმარიტებისა ფუცებისა მიერ წარმოიჩინების.

ორნი საქმე არიან, რომელნი საკუთარ ღმრთისა ჰყოფენ კაცსა. ერთი იგი — რაჲთა შეუცთომელ იყოს ჭეშმარიტისა მის ჭეშმარიტებისაგან ჭეშმარიტებით გულისკმის-ყოფისა და ცნობისა და რაჲთა არცა[17] ცთომილთა გონებათა მიერ წარმართთა და მწუალებელთა ცთომილებაჲ შეიწყნაროს ღმრთისათჳს და ჭეშმარიტად ესევითარი ესე მართალი [147va] ღმრთისმეტყუელებაჲ არს „ჰე“.

ხოლო მეორე — წმიდაჲ გულისსიტყუაჲ, რომელი-იგი ყოველსავე ენებულსა სიყუარულსა გულისაგან განსდევნიდეს და ესეცა უკუე არა უცხო არს მისივე სიტყჳსაგან, ვითარმედ „ჰე“.

ესე უკუე ორნი წესნი კეთილნი, რომელთაგანი ერთი ჭეშმარიტსა მას ჭეშმარიტებასა, რომელ არს ღმერთი, შეგუმშჭუალავს, ხოლო მეორე იგი ენებათა მათ განმხრწნელთა სულისათა იოტებს, ქურ-

---

15 ამას] + შინა C;

16 იერუსალიმისანო C;

17 არა B;

1* მთ. 13, 38;

ციკთა და ირემთა მოკსენებითა გამოისახვიან და გულისკმა-იქმნებიან, რომელთაგანი ერთი უცთომელად ხედავს და ფრთხილად, ხოლო მეორე იგი მკლველ არს და განმხრწნელ არაწმიდათა მათ ქუეწარმავალთა და მკეცთა.

და ამას „ჰე"-სა წინა-უყოფს ქალწულთა სძალი, რომელ არს მართლმადიდებლობით ხედვაჲ ღმრთისა მიმართ და სიწმიდით და უვნებელად განვლად საწუთროჲსა ამის ცხორებისაგან, რომელნი-ესე თუ წარვჰმართნეთ, შეუძრავი იგი საქმე დამტკიცდების ჩუენ შორის, რომელ არს „ჰე" და ესე არს ჭეშმარიტებაჲ იგი დამამტკიცებელი ფიცისაჲ და რომელი ესრეთ ფუცვიდეს, ჭეშმარიტებით იქმნეს საქებელ, ვითარცა გალობს მეფსალმუნე.

რამეთუ ჭეშმარიტად, რომელმან ორთა ამათ საიდუმლოთა[18] სიმაღლე თავისა მიერ თჳსისა სრულებით წარჰმართოს, რაჟამს სიტყუაჲ სარწმუნოებისა მისისაჲ უცთომელად ხედვიდეს ჭეშმარიტებისა მიმართ და წესითა ცხორებისაჲთა ყოვლისავე საეშმაკოჲსა შეგინებისაგან წმიდა-იქმნეს, იგი ფუცავს უფლისა მიმართ არა აღსლვად *„სარეცელსა ცხედრისა თჳსისასა"*,[1*] არცა ცემად ძილისა თუალთა მისთა, არცა ჰრულისა წამთა თჳსთა, ვიდრემდის პოვოს თავსა თჳსსა ადგილი უფლისაჲ და იქმნეს საყოფელ ღმრთისა, მის შორის დამკუდრებული.

აწ უკუე, უკუეთუ ვართ ჩუენცა შვილ ზეცათა იერუსალემისა, ვისმინოთ მოძღურებაჲ ესე სძლისაჲ, თუ ვითარ იქმნების ხილვაჲ სასურველისაჲ და რაჲ არს, რომელსა-იგი გუასწავებს. [147vb] ესე იგი არს, უკუეთუ ვფუცოთ ძალთა მიმართ, რომელ არს დაფარულთა მხილველობისა[19] ქურციკი და სიმტკიცეთა მიმართ, რომელ არს ბოროტთა უჩინო-ყოფისა ირემი.

ამათ მიერ იქმნების ხილვაჲ სიძისა მის წმიდისაჲ და მოისარისა მის სიყუარულისაჲ და მიერითგან ძალ-უც კაცად-კაცადისა სულსა სასოებით თქუმად მისა მიმართ, ვითარმედ: *„წყლულ ვარ მე სიყუარულითა შენითა"*.

ხოლო თუ რაბამ კეთილ არს სიყუარულისა წყლულებაჲ, იგავთა

---

18 საქმეთა BC. „საიდუმლოთა" A-ში აღდგენილი ფორმაა. τὸ ἀσφαλὲς PG 44, col. 1044 A 5-6.

19 მხედველობისა C;

1* ფსალ. 131, 3;

მიერ გუსწავიეს. რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„უმჯობეს არიან წყლულებანი მეგობრისანი უფროჲს, ვიდრე ამბორის-ყოფანი მტერისანი“*![1*]

ხოლო ვინ არის მეგობარი იგი, რომლისა წყლულებანი უპატიოსნეს არიან ამბორის-ყოფათა მტერისათა, ცხად არს ესე და საცნაურ ყოველთაგან, რომელნი არა უმეცარ არიან სიტყუათა ცხორებისათა.

მეგობარ უკუე არს ჭეშმარიტ და მტკიცე, რომლისა-იგი მტერცა რაჲ ვიქმნენით, არაჲე დასცხრა სიყუარულისაგან ჩუენისა, ხოლო მტერ — ურწმუნო და დაუმშჳდებელ და ველურ, რომლისადა-იგი დაღაცათუ არარაჲ გუეენო, სიკუდილი მოაწია ჩუენ ზედა და უბადრუკად[20] მოგუაკუდინნა; წყლულებად ეოცნა პირველქმნულთა მათ მცნებისამიერი იგი ბოროტთაგან განშორებაჲ, რამეთუ წყლულებად საგონებელ იქმნა სიტკბოებისაგან უცხო-ყოფაჲ იგი, ხოლო ამბორის-ყოფად — სიტკბოებისა მიმართ და შუენიერებისა წუეევაჲ იგი მტერისაჲ, არამედ ცხადყო გამოცდილებამან, რამეთუ მეგობრისა იგი წყლულებად საგონებელი ბრძანებაჲ ფრიად იყო უმჯობეს და უსაწადელეს ზაკუვითთა მათ ამბორის-ყოფათა მტერისათა; და ვინაჲთგან გამოაცხადა თჳსი იგი სიყუარული კეთილმან მან ტრფიალმან სულთა ჩუენთა ცხორებისამან[21] და ვიდრე-იგიღა ცოდვილ ვიყვენით, ქრისტე ჩუენთჳს მოკუდა.

ამისთჳს ეტრფიალა მას სძალი, სიყუარულისა მისისა წილ შეიყუარა იგი და გამოაჩინა სიღრმეთა შინა [148ra] სულისა თჳსისათა მდებარე იგი სიყუარულისა მისისა ისარი, რომელ არს ღმრთეებისა იგი ზიარებაჲ, რამეთუ ღმერთი სიყუარული არს, ვითარცა თქუმულ არს, რომელი-იგი სარწმუნოებისა ისრითა განეწონების გულსა.

ხოლო უკეთუ ჯერ-არს სახელსაცა ისრისასა თქუმაჲ, იგი ვთქუათ, რომელი პავლესგან ვისწავეთ, ესე იგი არს სარწმუნოებაჲ, სიყუარულითა სრულქმნილი.[2*] ვიხილო უკუე ქალწულთაცა მიერ წინაყოფილი კითხვაჲ მოძღურისაჲ: *„რაჲ არს ძმისწული შენი ძმისწულისაგან, რამეთუ ესრეთ მაფუცე ჩუენ!“*[3*]

ხოლო სიტყუასა ამას ესევითარი აქუს ძალი, ვითარცა შემდგომებაჲ პირველთქუმულთაჲ საგონებელ ჰყოფს, რამეთუ ვინაჲთგან იხ-

---

20 უბრალოდ C;

21 ცხოვრებისა C;

1* იგ. 27,6;

2* გალ. 5,6;

3* ქ.ქ. 5,9;

ილეს ქალწულთა კეთილი იგი განსლვაჲ სძლისა სულისაჲ, რაჟამს-იგი სწადდა სიტყუსა, რომელმან-იგი თქუა, ვითარმედ: *განვიდა სული ჩემი სიტყუასა მისსა თანა,*[1*] და გულისკმა-ყვეს, ვითარმედ გან-რაჲ-ვიდა, ეძიებდა სასწაულთა მიერ ვერსაპოვნელსა მას, კმობდა და უწოდდა, რომელი-იგი არავის კმა-სცემს საზელთა მიერ. ამისთჳს ეტყუან, ვითარმედ: ვითარ ვიცნათ ჩუენ იგი, რომელი ნიშთა მიერ და სასწაულთა არა იპოვების და არცა კმა-სცემს, უკმობენ რაჲ, და არცა შეიპყრობვის, ეძიებდენ რაჲ?[2*]

აწ უკუე მოგუბარცუე შენცა თუალთაგან ჩუენთა საბურველი იგი, რომელი მოგბარცუეს შენ მკუმილთა ქალაქისათა, რაჲთა გუექმნეს ჩუენ ესე წინამძღუარ საძიებელისა მ̣ისთჳს; გუთხარ ჩუენ, ვინ არს ძმისწული შენი და ვითარი არს ბუნებაჲ მისი?

მოგუეც ჩუენ სახე რაჲმე და სასწაული ცნობისა მისისაჲ შენ, რომელი-ეგე კეთილთა მიერ აღივსე და ამისთჳს იქმენ შუენიერ დედათა შორის.

გუაუწყე ჩუენ საძიებელი იგი. გუასწავე ჩუენ, ვითართა ნიჭთა მიერ იპოვების უხილავი იგი, ვითარ-იგი გაუწყებს შენ[22] ისრისა მისთჳს სიყუარულისა, რომლითა განგურემულ[23] არს გული შენი და ტკბილისა მის მიერ ლმობისა აღატყინებს სურვილსა შენსა, რამეთუ[24] უმჯობეს არს, რაჲთა იგივე სიტყუაჲ კუალად მოვიკსენოთ, რაჲთა შეიერთოს და შეიზაւოს[25] ძალი თქუმულთაჲ ამათ. [148rb] რაჲ არს ძმისწული შენი, შუენიერო შორის დედათა; *რაჲ არს ძმისწული შენი ძმისწულისაგან, რამეთუ ესრეთ მაფუცე ჩუენ?*

ვისმინოთ უკუე მისი, რომელსა-იგი ყოველითურთ მოეძარცუა თერისტოჲ და სულისა თუალითა განცხადებულითა განიცდის ჭეშმარიტებასა, თუ ვითარ გამოსახავს მათ მიერ საძიებელსა მას და ვითარ გამოხატავს სიტყუათა მიერ ყოვლადსაწადელსა მას ხატოვნებასა და ვითარ სახილველ-ჰყოფს ქალწულთა მიერ უცნაურსა მას და გა-

---

22 ჩუენ C;
23 განგმერილ C;
24 ხოლო C;
25 შეიზაოს C;

1* ქ.ქ. 5,6;
2* ქ.ქ. 5,6;

ნუცდელსა.

რამეთუ ვინაჲთგან უფალი გულისკმა-იყოფების, ესე იგი არს დაბადებულად და დაუბადებელად, დაუბადებელად უკუე ვიტყჳთ დაუსაბამოებასა და სამარადისოებასა და დაუსრულებელობასა და უწყით იგი უწინარესად საუკუნეთა დამბადებელად ყოველთა დაბადებულთა, ხოლო დაბადებულად — ჩუენისა მისთჳს ბუნებისა, რომელი ჩუენგან მიიღო განკაცებისა მიერ და თანაზატ-ექმნა კორცთა ამათ[26] სიმდაბლისა ჩუენისათა და რაჲთა საღმრთოთა მათ სიტყუათა მიერ წარმოვაჩინოთ საიდუმლოჲსა ამის ძალი, რამეთუ ესრეთ უბრწყინვალეს არს.

დაუბადებელად ვიტყჳთ და აუგებელად სიტყუასა მას, რომელი *პირველითგან იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი, რომლისა მიერ ყოველივე შეიქმნა და თჳნიერ მისსა არცა ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი რაჲ იქმნა,*[1*] ხოლო დაბადებულად — რამეთუ კორციელ იქმნა და დაემკჳდრა ჩუენ შორის, რომელი-იგი, დაღაცათუ განკორციელდა, მის თანა დამკჳდრებული იგი დიდებაჲ ცხად-ჰყოფს, რამეთუ ღმერთი გამოჩნდა კორცითა. ესე იგი არს, რომელი-იგი იყო წიაღთა მამისათა მხოლოდშობილი იგი ძე და სიტყუაჲ ღმრთისაჲ, რომლისათჳს-იგი თქუა იოანე, ვითარმედ: „ვიხილეთ დიდებაჲ მისი და დაღაცათუ ხილული იგი კაცი იყო, არამედ მის მიერ ცნობილი იგი ღმერთი იყო“; ამისთჳს შესძინა, ვითარმედ: „დიდებაჲ, ვითარცა მხოლოდშობილისაჲ მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა“[2*] [148va].

და ვინაჲთგან დაუბადებელობაჲ მისი და წინა საუკუნეთა შობაჲ და დაუსრულებელობაჲ[27] მიუწდომელ არს ყოველთა ბუნებათაგან და გამოუთქუმელ, ამისთჳსცა დუმილით იდიდების და თაყუანის-იცემების, ხოლო კორცითა გამოჩინებაჲ შესაძლებელ არს ზოგს რაჲმე სახილველ-ყოფად და გულისკმის-ყოფად.

და ამის საიდუმლოჲსა მიმართ ხედავს მოძღურებაჲ იგი სძლისაჲ და მისთჳს ჰყოფს სიტყუასა, რაოდენი შესაძლებელ არს დატევნად მსმენელთა მათგან, ხოლო წარმოიტყჳს დიდსა მას ღმრთისმსახურებისა ქადაგებასა, რომლისა მიერ ღმერთი გამოჩნდა კორცითა, რომელი იყო

---

26 მათ BC;

27 დაუსრულებლობა C;

1* იხ. 1,1-3;

2* იქვე 1,14;

ხატითა ღმრთეებისაჲთა და მონებრივითა ხატითა კორცითა იქცეოდა კაცთა შორის.

და ვინაჲთგან ერთგზის მიიღო თავისა მიერ თჳსისა კაცობრივი ბუნებაჲ უხრწნელისა მის და ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისაგან, ესრეთ დასაბამისა მის მიერ მარადის წმიდა-ჰყოფს ზოგადსა მას თბესა კაცთა ბუნებისასა შეერთებისა მის მიერ ზიარებითა მით საიდუმლოთაჲთა და ზრდის თავისა მიერ თჳსისა გუამსა მას ეკლესიისასა და შემსგავსებულად თითოეულისა ასოჲსა სარწმუნოებისა მიერ მის თანა აღზრდილისა ზოგადსა მას გუამსა შეაერთებს და ესრეთ ყოველთა შეამკობს და განაშუენებს.

და თუალად და პირად და კელად და ნეშტად ასოებად შუენიერად და შემსგავსებულად შეაწყობს და შეაერთებს მწყობრსა მორწმუნეთასა, ვითარცა იტყჳს პავლე, ვითარმედ: *„გუამი იგი ერთ არს, ხოლო ასონი — მრავალ“*.[1•]

და ყოველთა მათ ასოთა არა იგივე საქმე აქუს, არამედ რომელიმე თუალ არს გუამსა შინა და ვერ შეურაცხ-ჰყოფს კელთა, და რომელი-იგი თავ იყოს, ვერ განეშორების ფერკთა, არამედ შეაზავებს თავისა მიერ თჳსისა მრავალფერთა მათ საქმეთა, ვითარცა ასოთა მიერ გუა[148vb]მი, რაჲთა არა იყოს კდომაჲ გუამისაჲ და განწვალებაჲ ასოთაჲ.

და ესევითარნი რაჲ გულისკმის-ყოფანი წინა-უყჳნა იგავით, მერმე განაცხადა სიტყუაჲ თჳსი და თქუა, ვითარმედ: *„დაადგინნა ღმერთმან ეკლესიათა შინა მოციქულნი და წინაჲსწარმეტყუელნი და მოძღუარნი და მწყემსნი დასამტკიცებლად წმიდათა საქმედ მსახურებისად, აღსაშენებელად გუამისა ქრისტესისა, ვიდრემდის მივიწინეთ*[28] *ყოველნი ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ღმრთისასა მამაკაცად სრულად, საზომად ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა“*.[2•]

და კუალად იტყჳს, ვითარმედ: *„აღვაორძინებდეთ მისსა მიმართ ყოველსავე, რომლისა-იგი თავ ქრისტე არს, რომლისა მიერ ყოველივე გუამი — შენაწევრებული და შემტკიცებული ყოველითა შეახლებითა უხუებისაჲთა, შეწევნისაებრ საზომისა თჳთოეულისა ასოჲსა;*

---

28 მივიწიენეთ C;

1• I კორ. 12,14;

2• ეფეს. 4,11-13;

სიორძილსა მას გუამისასა ჰყოფდით აღსაშენებელად თავთა თჳსთა სიყუარულით“.[1*]

ვინაჲცა რომელი ეკლესიასა განიცდიდეს, ქრისტესა განიცდის, რომელი-იგი შეძინებითა ცხოვნებულთაჲთა თავსა თჳსსა აღაშენებს და ადიდებს.

და ამისთჳს სძალი, რომელმან-იგი განაგდო საბურველი თუალთაგან თჳსთა განწმედილითა თუალითა, გამოუთქუმელსა მას შუენიერებასა სიძისასა განიცდის, რომლისა-იგი მიერცა მოიწყლა უკორცოჲთა მით და მოტყინარითა ტრფიალებისა ისრითა.

ხოლო ტრფიალებად მდუღარესა და აღგზებულსა სიყუარულსა ეწოდების, რომელსა თანა არღარა არნ სირცხჳლი, უფროჲსღა რაჟამს არა კორცთა მომწყლველ იქმნებოდის ისარი სიყუარულისაჲ, არამედ იქადისცა წყლულებისა მისთჳს, რაჟამს უნივთოჲ იგი ისარი სიღრმეთა შინა სულისათა შეიწყნაროს, რომელი-ესე აწ ქმნა[29] სძალმანცა, ვინაჲცა იტყჳს ქალწულ[149ra]თა მიმართ, ვითარმედ: *„მოწყლულ ვარ მე სიყუარულითა“.* და ვინაჲთგან ესევითარსა სრულებასა მიიწია და ჯერ-იყო, რაჲთამცა ქალწულთაცა უჩუენა შუენიერებაჲ იგი სიძისაჲ, არა მას იტყჳს, რომელი-იგი იყო პირველითგან, რამეთუ არცა შესაძლებელ იყო ძალითა სიტყუათაჲთა გამოუთქუმელთა გამოთქუმაჲ და გამოცხადებაჲ, არამედ კორცითა გამოჩინებასა ღმრთისასა მიუთხრობს ქალწულთა, რომელი-იგი ქმნა[30]დიდმანცა იოვანე.[31] რამეთუ რომელი-იგი იყო პირველითგან, დაიდუმა, ხოლო რომელი-იგი იხილა და ესმა და კელთა ჰმსახურა[32] სიტყუასა მას ჭეშმარიტებისასა, გამოწულილვით წარმოაჩინა.

ეტყჳს უკუე სძალი ქალწულთა, ვითარმედ: *„ძმისწული ჩემი მწყაზარ არს და მწითურ და გამორჩეულ შობითგან ბევრეულთაგან. თაჲი მისი ოქროჲსა ოფაზისაჲ. თხზული თმათა მისთაჲ, ვითარცა ჭედილი; შაე, ვითარცა ყორანი. თუალნი მისნი, ვითარცა ტრედისანი სავსებასა ზედა წყალთასა, განბანილ სძითა, მჯდომარე სავსებასა*

---

29 ჰქმნა C;

30 ჰქმნა C;

31 ი˜ე A;

32 მსახურა C;

1* ეფეს. 4,15-16;

ზედა წყალთასა. ღაწუნი მისნი, ვითარცა ფიალნი ნელსაცხებელთანი, ფშუან სულნელებასა ნელსაცხებელთმგბოლველთასა. ბაგენი მისნი — შროშან, დამომადინებელ მურსა სავსედ. კელნი მისნი ოქროჲსანი — წაბნაგებულ, აღსებულ თარშითა. მუცელი მისი, ვითარცა ფიცარი პილოჲსძულისაჲ[33] თუალთაგან საფიროვნისათა. წყვილნი მისნი — მარმარილოჲსანი, დაფუძნებულ ხარისხთა ზედა ოქროჲსათა. ხილვაჲ მისი, ვითარცა ლიბანე რჩეულ, ვითარცა ნაძუ. კორკი მისი — სიტკბოება და ყოველადსწადელ. ესე არს ძმისწული ჩემი და ესე არს მახლობელი ჩემი, ასულნო იერუსალჱმისანო.“[1•:34]

და ესე ყოველნი, რომელთა მიერ გამოსახვაჲ შუენიერებისაჲ იქმნა, არა უხილავისა და მიუწდომელისა ღმრთეებისა არნ მაუწყებელ, არამედ განგებულებით გამოჩინებულისა მის, რომელი-იგი ქუეყანა[149rb]სა ზედა გამოჩნდა და კაცთა შორის იქცეოდა და კაცობრივი ბუნებაჲ შეიმოსა, რომელთა მიერ, სიტყუსაებრ სამოციქულოჲსა, უხილავი იგი მისი ქმნულთა[35] ამათ შორის საცნაურად იხილვების, საეკლესიოჲსა სოფლისა დაბადებითა გამოჩინებული.[2•]

რამეთუ ეკლესიისა აღშენებაჲ დაბადებაჲ არს სოფლისაჲ, რომელსა შინა, კმისა მისებრ საწინაჲსწარმეტყუელოჲსა, და ცაჲცა დაიბადების ახალი, რომელ არს სამყაროჲ[3•] ქრისტეს მიმართ სარწმუნოებისაჲ, ვითარცა იტყჳს პავლე,[4•] და ქუეყანაჲ ახალი შეიმზადების, რომელი სუამს მის ზედა მომავალსა წჳმასა და კაციცა დაიბადების სხუაჲ, მეორედ შობისა მიერ განახლებული ხატად და მსგავსად დამბადებელისა.

და სხუაჲ ბუნებაჲ იქმნების მნათობად, რომელთათჳს იტყჳს ვითარმედ: „თქუენ ხართ მნათობნი სოფლისანი“[5•] და „რაჲთა ჰბრწყინვიდეთ, ვითარცა მნათობნი სოფელსა შინა“.[6•] და ვარსკულავთა სიმრავლე არამცირედი ბრწყინავს სამყაროსა მას შინა სარწმუნოებისასა

---

33 პილოჲსძუალისაჲ B;
34 იერუსალიმისანო C;
35 ქმნილთა C;

1• ქ.ქ. 5,10-16;
2• რომ. 1,20;
3• ეს. 65,17;
4• I ტიმ. 3,15;
5• მთ. 5,14;
6• ფილიპ. 2,15;

და არა ესე არს საკჳრველ, რამეთუ სიმრავლე ვარსკულავთაჲ ბრწყინავს ახალსა ამას სოფელსა შინა, რომელთა-იგი აჰღრაცხს[36] ღმერთი და სახელით უწესს, არამედ რამეთუ სახელებსა მათსა შემოქმედი იგი ესევითართა მათ ვარსკულავთაჲ აღსწერს ცათა შინა, რამეთუ ესრეთ ჰრქუა[37] შემოქმედმან ახლისა ამის დაბადებულისამან თჳსთა მათ მნათობთა, ვითარმედ: *„სახელები თქუენი აღწერილ არს ცათა შინა“*.[1*]

და არა ესე ხოლო არს საკჳრველ, რამეთუ სიმრავლე ვარსკულავთაჲ დაიბადების მას შინა სიტყჳსა მიერ, არამედ მზენიცა მრავალნი აღმოჰკლებიან მას შინა, რომელნი-იგი კეთილთა საქმეთა ბრწყინვალებითა ჰნათობენ სოფელსა, რამეთუ ესრეთ ჰრქუა შემოქმედმან მან ესევითართა მათ მზეთამან, ვითარმედ: *„ესრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა“*[2*] და ვითარმედ: „მაშინ მართალნი [149va] გამობრწყინდენ, ვითარცა მნათობნი“.[3*]

და ვითარცა რომელმან-იგი ხილულსა ამას სოფელსა მიხედნეს და საჩინოთა ამათ შუენიერებათა მიერ სიბრძნე იგი ჭეშმარიტი განიცადოს, გულისჴმა-ჰყოფს იგი თქუმულთა ამათ მიერ უხილავსა მას შუენიერებასა და უფსკრულსა მას სიბრძნისასა,[38] რომლისა სიღრმემან[39] არსთა ამათ შუენიერებაჲ და ბუნებაჲ დაჰბადა.

ეგრეთვე, რომელმან ახალსაცა ამას ცასა და ქუეყანასა საეკლესიოჲსა დაბადებისასა მიხედნეს, იხილავს მის შორის, რომელი-იგი არს ყოვლად ყოველსა შინა და დასატევნელთა მათ და მისაწდომელთა მიერ ბუნებისა ჩუენისაგან უხილავთა მათ და დაუტევნელთა გულისჴმის-ყოფად მოვალს.

და ვინაჲთგან ამას პირსა წინა-უყოფენ სისრულედ მიწევნულსა სულსა ქალწულნი იგი სულნი, რაჲთა აუწყოს მათ სასურველისა მისთჳს, ამისთჳს მაცხოვრად ჩუენდა გამოჩინებულთა მიერ გამოუსაზავს ქალწულთა საძიებელისა მის სასწაულთა და ყოველსავე ეკლე-

---

36 აღრაცხს C;

37 ჰსთქუა C;

38 სიბრძნესა C;

39 სიბრძნემან A (A-ში ეს სიტყვა ჩასწორებულია); ἡ ἀπόῤῥοια PG 44, col. 1052 A_2.

1* ლუკა 10,20;

2* მთ. 5,16;

3* მთ. 13,43;

სიისა[40] ერთგუამად სიძისა გამოაჩინებს და თჳსსა გულისკმის-ყოფასა თითოეულთა ასოთა შეუნიერებითა გამოხატავს და საანჯმნო-ჰყოფს, რომელთა-იგი თითოეულად წარმოთქუმითა ყოველისავე გუამისა შეუნიერებასა სრულ-ჰყოფს.

ხოლო მოძღურებისა თჳსისა დასაბამსა გუამთა ჩუენთა აგებულებისაგან იწყებს, ვითარცა-იგი ქმნა მათეცა[41] და აბრაჰამისაგან და დავითისგან იწყო განკაცებისა საიდუმლოსა ტომთმეტყუელებად და დიდსა იოანეს დაუუნჯა ესევითართა მათ ასოთა გამოსახვითა დაუსაბამოჲსა მის შობისა აღწერაჲ და პირველითგანისა მის სიტყჳსა სახარებაჲ.

ეგრეთცა სძალი ესევითართა ამათ[42] გულისკმის-ყოფათა მიერ გონიერ-ჰყოფს და ასწავებს ქალწულთა, ვითარმედ მიუწთომელთა მათ და უხილავთა მიმართ შეუძლებელ არს აღსლვაჲ გონებისა ჩუენისაჲ, უკუეთუ პირველად გამოჩინებული იგი სა[149vb]რწმუნოებით არა შეეიკრძალოთ, ხოლო გამოჩინებაჲ კორცთა ბუნებისა საქმე არს, რამეთუ თქუას[43] რაჲ, ვითარმედ: *„ძმისწული ჩემი მწყაზარ და მწითურ“*,[1°] ორთა ამათ ფერთა შეზავებითა კორცთა პატივსა და თჳსებასა გამოსახავს და ესევე სახე ქმნა[44] ზემოცა, რაჟამს-იგი ვაშლად სახელ-სდვა მას, რომლისა-იგი ფეროვნებაჲ ორკერძოვე შეზავებითა ამასვე პირსა საანჯმნო-ჰყოფს, რამეთუ სპეტაკ არს ვაშლი და წითელ და სპეტაკობაჲ კორცთა, ხოლო ფეროვნებაჲ სისხლთა გამოსახავს.

ხოლო ვინაჲთგან ყოველი კორციელი ქორწილისა მიერ და მამაკაცისა და შობისა შემოვალს სოფელსა ამას, და რაჲთა არა კორციელი რაჲ შობაჲ შეიწყნაროს ღმრთისმსახურებისა საიდუმლოსა შინა, ბუნებისა საქმეთა და ვნებათა მიერ შესცთეს[45] გონებითა და ეგევითარივე შობაჲ მოიგონოს საუფლოთა მათ კორცთაჲ, ვითარი იქმნების ყოველთა ქუეყანისა ნაშობთაჲ, ამისთჳსცა, რომელი-იგი ეზიარა კორცთა და სისხლთა, ვითარმედ მწითურ არს და მწყაზარ აღიარა და

---

40 ეკკლესიასა C;
41 მატთეცა C;
42 მათ BC;
43 ჰსთქუას C;
44 ჰქმნა C;
45 შეჰსცთეს C;
1° ქ.ქ. 5,10;

ორთა მათ ფერთა მიერ ჯორცთა ბუნებაჲ მოასწავა, ხოლო სახე შობისა მისისაჲ ზიარებისაგან შობილთაჲსა განყო[46] და მსგავსებისაგან ქუეყანისა ნაშობთაჲსა უცხო-ყო[47] და თქუა,[48] ვითარმედ: *„ყოველთაგე ბევრეულთაგან“*.[1*]

ვინაჲთგან შეიქმნეს კაცნი და რაოდენნიცა[49] შემოიყვანნეს ბუნებამან ვიდრე აღსასრულამდე ჟამთა, ესე ხოლო არს ახალი სახე შობისაჲ ცხორებასა ამას შემოსრული, რომლისა შობასა არა შემწე ექმნა ბუნებაჲ, არამედ ჰმსახურა, ვინაჲცა იტყჳს, ვითარმედ: *„ესე მწითური და მწყაზარი“*.

რომელი ჯორცითა და სისხლითა სოფლად შემოვიდა, მხოლოჲ არს ყოველთა ბევრეულთაგან, ქალწულებრივისა სიწმიდისაგან შობილ, რომლისა-იგი მიდგომილებაჲ უთესლოდ იქმნა და შობაჲ უხრწნელად და ულმობელად, რომლისა სასძლო იქმნა ძალი მაღლისაჲ და მსგავსად ღრუბლისა [150ra] აგრილობდა ყოვლადწმიდასა[50] ქალწულებასა მისსა და ღმრთიებრწყინვალე საქორწინე ელჳარებაჲ და ნათელი სულისა წმიდისაჲ, ხოლო ცხედარ — უვნებელობაჲ და ქორწილ — უხრწნელებაჲ.

აწ უკუე, რომელი ესეეითართაგან იშვა, კეთილად სახელ-ედვა *„ყოველთაგე ბევრეულთაგან გამორჩეულ“*, რომელი-იგი მოასწავებს უთესლოსა მას და უხრწნელსა შობასა მისსა, რომელი-იგი[51] ხოლო მხოლოჲ იშვა თჳნიერ წესთა შობისათა.

ამისთჳსცა უქორწინებელისა მის და უხრწნელისა დედისა არცა სახე იპოვების შობისაჲ და არცა სახელი, რამეთუ ერთბამად შობისა და ქალწულებისა სახელი უპოვნელ არს და მოუგონებელ; არამედ ვითარცა თჳნიერ მამისა ძე მოგუეცა ჩუენ, ეგრეთვე თჳნიერ ხრწნილებისა ყრმაჲ იშვა ჩუენდა, რამეთუ ვითარცა-იგი არა აგრძნა ქალწულმან საუფლოთა მათ ჯორცთა ხრწნილებითი აგებულებაჲ თჳსთა მათ შინა

---

46 განჰყოს C;

47 უცხო-ჰყო C;

48 ჰსთქუა C;

49 რაჟოდენნიცა C;

50 ყოველადწმიდასა] + მას C;

51 რამეთუ იგი C;

1* ქ.ქ. 5,10;

ჴორცთა უბიწოთა, ეგრეთვე არცა სალმობაჲ შობადისაჲ გულისჴმაყო,[52] ვითარცა წამებს[53] წინაჲსწარმეტყუელი ულმობელსა მას შობასა მისსა და იტყჳს, ვითარმედ: *„პირველ მოსლვადმდე სალმობათა სალმობათაგან განერა და შვა წული“!*[1] ამისთჳს გამორჩეულ იქმნა და უცხო ორივე იგი საიდუმლოჲ უზეშთაესი ბუნებათაჲ, რომელმან არცა გულისთქუმისაგან იწყო, არცა სალმობათაგან წარმოიჩინა, არცა ტკივილთა მიერ იშვა და ესე ღირსებით იქმნა და არა გარეშე ჯეროვნისა.

რამეთუ ვინაჲთგან სიკუდილი ცოდვისა მიერ შემოიყვანა ბუნებამან, მწუხარებაჲ და სულთქუმაჲ, და ესაჯა, ვინაჲცა უცილობელ იყო და ჯეროვან, რაჲთა დედამან მან ცხორებისამან, ვითარცა-იგი სიხარულისაგან იწყო მიდგომილებაჲ, ეგრეთვე რაჲთა სიხარულისა მიერ სრულ-ყოს შობაჲ იგი, ცნობათა უაღრესი, რამეთუ ესრეთ ჰრქუა მას მთაჳარანგელოზმან, ვითარედ: *„ჳიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა“*[2] და მეყსეულად სიტყუათა მათ მიერ განკადა[54] მწუხარებაჲ იგი, რომელი პირველითგან დაშჯილ იყო ბუნები[150 rb]სა და შობისა მიერ.

ესრეთ უკუე, რომელი-იგი ახლისა მის და განკუთნვილისა და განთჳსებულისა შობისა მიერ მხოლოჲ გამორჩეულ იქმნა ბევრთაგან და მწყაზარ და მწითურ, ბუნებისათჳს ჴორცთაჲსა, კეთილად იწოდა და უხრწნელად და უვნებელად მიდგომილებისათჳს და შობისა და ყოველთაჳე მათ შობისა საიდუმლოთა საკჳრველებისათჳს, ესეჳთარნი ესე სიტყუანი აღმოთქუნა მისთჳს სძალმან.

ხოლო ვჰგონებ, თუ არა უმეცარ ხარ პირმშოებისა მისისათჳს, თუ რაოდენგზის იქმნა და რაოდენგზის იწოდა: პირმშოჲ იგი ახლისა ამის დაბადებულისაჲ და პირმშოჲ მრავალთა ძმათა შორის და პირმშოჲ მკუდრეთით, რომელმან-იგი პირველ დაჰკსნნა სალმობანი სიკუდილისანი და ყოველთაჳე სიკუდილით აღმოშობასა აღდგომისა მიერ გზაუყო.

---

52 გულისხმა-ჰყო C;
53 ჰსწამებს C;
54 განხადა C;

1° ეს. 66,7;
2° ლუკ. 1, 28;

ამათ უკუე ყოველთა შინა იქმნა პირმშო, გარნა არა თუ წესითა შობისაჲთა შემოვიდა შობად, ვინაჲცა ემბაზიცა იგი მეორედშობისაჲ შობისა ვნებათაგან უცხო არს და მკუდრეთით აღდგომისა იგი მეორედშობაჲ და ახლისა ამის დაბადებისა საღმრთოჲ პირმშოებაჲ, რამეთუ ამათ ყოველთა შობათა შინა წესთაგან შობისათა უცხო-იქმნა.

ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: *„გამორჩეული ბევრეულთაგან“. ხოლო თუ ვითარსა შეუნიერებასა მისსა მიუთხრობს თითოეულთა ასოთა მისთა მიერ, ჟამი არს უწყებისა მათისაჲ, რამეთუ იტყჳს: „თავი მისი ოქროჲსა ოფაზისაჲ“*[1°]

სიტყუაჲ ესე ებრაული არს და მოასწავებს ოქროსა წმიდასა და ბრწყინვალესა და ყოველისაგან შერევნისა[55] უცხოსა. ხოლო დაუტევეს თარგმანთა თუნიერ თარგმანებისა, რამეთუ არა იპოვა შესწორებული მისი სიტყუაჲ ელინურად. ხოლო ჩუენ გულისკმა-ვყაჲთ,[56] ვითარმედ ოფაზი[57] წმიდასა და ბრწყინვალესა და ყოველისაჲვე შერევნისაგან უცხოსა ოქროსა [150va] მოასწაჲებს, ხოლო შეტყუებაჲ მისი ესეჲთარი არს:

თაჲ გუამისა მის ეკლესიისა ქრისტე არს, ხოლო ქრისტედ ვიტყჳთ უფალსა, გარნა არა ღმრთეებასა მივაჩემებთ სახელსა ამას, არამედ კაცსა მას განღმრთობილსა,[58] რომელი ქუეყანასა ზედა გამოჩნდა და კაცთა შორის იქცეოდა, რომელსა შინა დაიმკჳდრა ყოველმანეჲ სავსებამან ღმრთეებისამან კორციელად პირმშოსა მას ზოგადისა მის თბისასა, რომლისა მიერ მიიღო სიტყუამან ბუნებაჲ ჩუენი და ყო იგი უხრწნელ და ყოველთაჲვე ვნებათა მისთაგან განათავისუფლა და განწმიდა.

რამეთუ ესრეთ იტყჳს მისთჳს წინაჲსწარმეტყუელებაჲ, ვითარმედ: *„ცოდვაჲ არა ქმნა, არცა იპოვა ზაკუაჲ პირსა მისსა“*[2°], *რომელიცა იგი გამოიცადა ყოველითჳე მსგავსებითა ბუნებისა ჩუენისაჲთა თუნიერ ხოლო ცოდვისა“*[3°]

---

55 ყოლისაგან შერევნისა] ყოლისაჲე შერევნისაგან BC;

56 გულისხმა-ვჰყაჲთ C;

57 უფაზი C;

58 განღთობილსა C;

1° ქ.ქ. 5,11;

2° ეს. 53,9; I პეტრ. 2,22;

3° ებრ. 4, 15;

აწ უკუე თავი გუამისა მის ეკლესიისაჲ პირმშოჲ იგი,[59] დასაბამი ყოვლისავე ბუნებისა ჩუენისაჲ, წმიდაჲ და ყოვლისავე სიბოროტისაგან შეურევნელი და შეუწყნარებელი, ოქროჲსაჲ არს; ხოლო განთხზულნი[60] თმათანი, რომელნი ოდესმე წყუდიად და შავ იყვნეს, ვითარცა ყორანნი ხილვითა, ხოლო მათ ვიტყჳ ყორანთა, რომელთა საქმე არს აღმოკდაჲ თუალთაჲ, სიტყჳსაებრ იგავთაჲსა, და შესაჭმელთა ორბისა მართუეთაგან, დამბრმალთა მათ მხილველთა მათგან საცნობელთა და სახედველთა, რომელნი-იგი იქმნნეს[61] ხე მაღალ და მობაძავ ცათა სიმაღლედ აღმაღლებითა სიღრმეთაგან ქუეყანისათა, რომელთა-იგი განაშუენეს შუენიერებაჲ[62] სიძისაჲ და იქმნნეს განთხზულ თავისა მის საუფლოჲსა და ტევნეულ წინამოთა.

ხოლო განაღა არა უმეცარ ხარ, თუ რაჲ არს საქმე ამათ თმათაჲ, ვინაჲთგან ზემოკერძო ისწავე კმისა მისგან სიძისა, რამეთუ თქუა, ვითარმედ: *„თმანი ჩემნი აღივსნეს ნიჟთაგან და ცუართა ღამისათა“*. იგი უკუე თმანი არიან მადინებელნი წჯმათანი, რომელთა წინაჲსწარმეტყუელნი ღრუბლად უწესენ, რომელთაგან გამოვლენ წჯმანი მოძღურებათანი, რომელნი-იგი სულიერთა [150vb] მათ ურნატთა[63] დაათრობენ და ნამუშაკევთა ღმრთისათა ნაყოფითა აღავსებენ.

ხოლო თმად და განთხზულად და ტევნეულად და წინამოდ და კოწლად მოციქულთა საბელ-სდებს სახისმეტყუელებით სიტყუაჲ, რომელნი-იგი იყვნეს პირველად წყუდიად და შავ საქმეთა შინა სოფლისათა, ესე იგი არს მეზუერე და ავაზაკ და მდევარ და სხუაჲ, რომელიცა ვინ იყო ესევითარი, მიმსგავსებული შავისა მის და მძორისმჭამელისა და თუალთა აღმომკდელისა ყორნისაჲ, რომელ არს მთავარი ბნელისაჲ,[1*] ვითარცა იტყჳს, რომელი-იგი ყორანთაგან იქმნა ხე მაღალ და იწოდა კოწოლ საღმრთოჲსა მის თავისა და რომელი-იგი იყო *„პირველ მგმობარ და მდევარ და მაგინებელ“*[2*] და ყორან და მკეც, ესრეთ შეიცვალა მადლისა მიერ, ვიდრეცა იქმნა იგი განთხზულ საუფლოჲსა მის თა-

---

59 იგი] + და C;
60 თხზულნი BC;
61 იქმნეს C;
62 შუენიერება] + იგი C;
63 ორნატთა C;

1* ეფეს. 2,2-3;
2* I ტიმ. 1,13;

ვისა, დალტობილ ცუარითა ზეცისაჲთა და შემაცურეველ ყოველსავე გუამსა ეკლესიისასა დაფარულთა მათ და უჩინოთა საიდუმლოთა ნაკადულითა და მოძღურებითა.

ესენი უკუე გულისკმა-ვყვენით, სიტყჳსაებრ სძლისა, თმად და კოწლად ოქროვანისა მის თავისა, არამცირედისა შუენიერებისა შემძინებელ თავისა მიერ თჳსისა, მი-მო-რაჲ-იფქურეოდინ ნიავითა სულისა წმიდისაჲთა; ესენი იქმნებიან გურგუნ სიკეთისა უხრწნელისა მის თავისა და შეამკობენ მას თჳსითა მოწყობითა და ტევნეულად მოცვითა თმაგრუზთაჲთა, ვითარცა იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი, ვითარმედ: *„დაადგა თავსა მისსა გურგუნი ქებისა მისგან პატიოსნისა“*.[1*]

და ორთავე ამათ სახელთა მიერ იგინივე გულისკმა-იყოფებიან, რომელ არს შუენიერებაჲ თმათაჲ და პატიოსნებაჲ[64] ქვათაჲ და თავთა თჳსთა მიერ სამეუფოსა მას თავსა შეამკობენ.

ხოლო ამიერითგან[65] ჯერ-არს, რაჲთა შეტყუებაჲცა თუალთაჲ მოვი[151ra]კსენოთ, რამეთუ იტყჳს: *„თუალნი მისნი, ვითარცა ტრედისანი საცსებასა ზედა წყალთასა, განბანილნი სძითა, მჯდომარენი საცსებასა ზედა წყალთასა“*.[2*]

ძალი უკუე თქუმულთაჲ ამათ მიწდომისა ჩუენისა უაღრეს არს, რამეთუ რომელიცა რაჲ გულისკმა-ვყოთ, უდარეს გუგონიეს ჭეშმარიტებისა, ხოლო ვეძიებდით რაჲ გამოწულილვით, ესევითარი რაჲმე გულისკმის-ყოფაჲ იპოვა:[66]

იტყჳს სამე სიტყუათა შინა თჳსთა წმიდაჲ მოციქული, ვითარმედ: *„ვერ ძალ-უც თუალსა თქუმად კელთაჲსა: არა მეკმარებით“*.[3*]

და ესევითარი ძალი აქუს მოძღურებასა ამას, რამეთუ ორთავე მიმართ თანა-აც გუამსა ეკლესიისასა საქმედ კეთილისა მართლიად ხედვისა მიერ ჭეშმარიტებისა და საქმით მოღუაწებისა უბიწოჲსა.

რამეთუ ხედვაჲ ოდენ მარტოდ ვერ სრულ-ჰყოფს სულსა, უკუეთუ არა შეეზაოს[67] მას საქმეცა მოღუაწებისაჲ და გულისკმის-ყოფით

---

64 პატიოსნება C;

65 ამიერიდგან C;

66 ~ იპოვა გულისხმის-ყოფა C;

67 შეეზაოსცა C;

1* ფსალ. 20,4;

2* ქ.ქ. 5,12;

3* I კორ. 12,21;

ცხორებისაჲ და ვერცა საქმე ოდენ მოღუაწებათაჲ მარტოდ აღიყვანებს სისრულედ, უკუეთუ არა ჭეშმარიტი ღმრთისმსახურებაჲ წინაუძღოდის მას, განცდითა მით და ხედვითა უბიწოჲთა შეზავებული.

აწ უკუე, ვინაჲთგან ესრეთ საჭირო არს თუალთაჲ კელთა მიმართ ზიარებაჲ, ნუუკუე და მივეახლნეთ განცდად შეტყუებასა თუალთასა და ქებისა მათისა გულისკმის-ყოფით განხილვად. ხოლო კელთათჳს სიტყუაჲ თჳსსა ადგილსა განვიხილოთ.

თუალთა უკუე საქმე ბუნებით ესე არს, რაჲთა ხედვიდენ; ამისთჳს უმაღლეს ყოველთა საცნობელთაჲსა დასხმულ არიან გუამსა შინა და წინამძღურად ყოვლისავე გუამისა დაწესებულ არს ბუნებისა მიერ.

აწ უკუე, რაჟამს გუესმეს საღმრთოთა წერილთა მიერ ჭეშმარიტებისა წინამძღუართა ესრეთ წოდებაჲ, ვითარ-იგი რომელსამე ერქუა მხილველ[1•] და სხუასა — მხედველ და სხუასა — მსტოვარ,[2•] რომელთა-იგი ესრეთ სახელ-სდვა[68] ღმერთმან წინაჲსწარმეტყუელებისა მიერ, ამას გულის[151rb]კმა-ჰყოფთ, ვითარმედ მხილველთა მათ და მხედველთა და მსტოვრად დადგინებულთა სახელ-სდებს[69] თუალად ამას ადგილსა, ხოლო საკჳრველებაჲ მათი, მიმსგავსებული და[70] შეტყუებული, უაღრესისა რაჲსმე შუენიერებისა გულისკმის-ყოფასა მოგუცემს, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„თუალნი მისნი, ვითარცა ტრედისანი“*.[3•]

რამეთუ კეთილ არს ჭეშმარიტად ესევითართა მათ თუალთა უმანკოებისამიერი იგი ქებაჲ, რომელსა წარჰმართებენ,[71] რომელნი-იგი ჯორციელითა ცხორებითა არღარა შეიგინებოდინ, არამედ ცხოველ იყვნენ და ეგნენ სულითა, რამეთუ სულიერი და უნივთოჲ ცხორებაჲ სახითა ტრედისაჲთა გამოისახვის, ვინაჲთგან თჳთ თავადიცა სული წმიდაჲ ესრეთ ეჩუენა იოანეს, ზეცით რაჲ გარდამოჴდა იორდანესა ზედა, ვინაჲცა, რომელი თუალთა წილ გუამსა შინა ეკლესიისასა დაწესებულ იყოს ღმრთისა მიერ, უკუეთუ ჰნებავს სიწმიდით განმსტუვრობაჲ და ხილვაჲ და ხედვაჲ, ყოველსავე მწიკულსა უკეთურებისასა წყლითა

---

68 სახელ-ჰსდვა C;

69 სახელ-ჰსდებს C;

70 და] — C;

71 წარმართებენ C;

1• I მეფ. 9,11;

2• ეზეკ. 3,17;

3• ქ.ქ. 5,12;

განბანაჲ თანა-აც.

წყალი ესე, განმბანელი თუალთაჲ, არა ერთი არს, არამედ მრავალ არს ესევითართა ამათ წყალთა ბუნებაჲ და სავსებაჲ, რამეთუ რაოდენნიცა სათნოებანი არიან, ეგოდენთავე ჯერ-არს განმწმედელთა წყალთა წყაროთა გულისკმის-ყოფაჲ, რომელთა მიერ მარადის თუალნი იგი უწმიდეს იქმნებიან. ესე იგი არს: წყაროჲ წყლისა განმწმედელისაჲ არს სიწმიდე და სხუაჲ ეგევითარიცე სიმდაბლე და სიმართლე[72] და ჭეშმარიტებაჲ და სიმკნე და კეთილისა სურვილი და ბოროტისა[73] მოძაგებაჲ.

ესე და ესევითარნი წყალნი წყაროჲსა ერთისაგან არიან, ხოლო მდინარეთა და ნაკადულთა მრავალთაგან შეკრბებიან ერთად სავსებად, რომელთა[74] მიერ იქმნების ყოვლისაცე არმურისა და ენებისა თუალთაჲსა გან[151va]წმედაჲ; არიან უკუე სავსებასა ამას ზედა წყალთასა თუალნი სიწმიდისა და უმანკოებისა მიერ მიმსგავსებულნი ტრედთანი და საბანელ მათდა იქმნების სძე, ვითარცა-იგი თქუა[75] სიტყუამან, ვითარმედ: *„განბანილნი სძითა“*. შუენის უკუე ჭეშმარიტად ესევითართა მათ თუალთა ქებაჲ ესე და ესევითარსა მას ტრედსა სძითა განბანაჲ და განშუენებაჲ.

ხოლო ჭეშმარიტი სძისა გამოცდილებაჲ ესე არს, რამეთუ ნედლთა და ნოტიათა შინა ამას ოდენ აქუს ესევითარი განკუთნილებაჲ, რაჲთა არა ჩნდეს[76] მას შინა კერპი რაჲმე და მსგაუსებაჲ, რამეთუ სხუათა ყოველთავე ნივთთა მდინარეთა შინა შთახედვითა იხილების შთამხედველისა მის ხატი, ვითარცა სარკითა მზესა ქუეშე და ესევითარსა მას სახესა სძისა ხოლო შორის არა აქუს ადგილი.

ამისთჳსცა ესევითართა მათ თუალთა ეკლესიისათა სრული ქებაჲ ესე არს, რაჲთა არარაჲ უგუამოჲ და უარსებოჲ და ცთომილი და ამაოჲ და უცხოჲ ჭეშმარიტისა მის ჭეშმარიტებისაგან გამოსახონ თავთა შორის თჳსთა საცთურისა მიერ, არამედ რაჲთა ჭეშმარიტსა მას ჭეშმარიტებასა ხედვიდენ, ხოლო ცთომილთა მათ ამის ცხორებისა სახეთა და საოცრებათა არა შეიწყნარებდენ.

---

72 სიმაღლე B;

73 საბოროტისა A (ფურცელი რესტავრირებულია);

74 რომლისა A (სხვა ხელით);

75 ჰსთქუა C;

76 ჰსჩნდეს C;

ამისთჳსცა მაღალი იგი სიწმიდე თუალთაჲ სულისა მის მიერ სრულისა განბანითა სძისაჲთა მოესწავა. ხოლო შემდგომი იგი სიტყუაჲ გულისკმა-გჳყოფს, რომლისა მიმართ ჯერ-არს მოსწრაფებაჲ თუალთაჲ მათ, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ:

„*მჯდომარე სავსებასა ზედა წყალთასა*“,[1•] ესე იგი არს, სამარადისოდ დადგრომასა[77] საღმრთოთა შინა სწავლათა და გულისკმისყოფით განკრძალვასა მათ მიერ წარმოაჩენს ძალი ამის სიტყჳსაჲ და რომელთა-იგი აქებს თუალთა მათ წმიდათა, მათ მიერვე გუასწავებს ჩუენ, თუ ვითარ მოვიგოთ სიწმიდე იგი და შუენიერებაჲ თუალთაჲ, რომელ არს, — რაჲთა მარადის ვსხდეთ საv[151vb]სებასა ზედა წყალთასა.

გარნა აწ მრავალნი, თუალად დაწესებულნი, დაუტეებენ ესევითართა წყალთა ზედა ჯდომასა და მდინარეთა ზედა ბაბილოვნისათა[78] სხენან და თავსა თჳსთა ზედა დაიკრებენ პირისაგან ღმრთისა ესევითართათჳს აღმოთქუმულსა ბრალობასა, ვითარმედ: „*მე დამიტეეს წყაროჲ წყლისა ცხოველისაჲ და ითხარნეს თავისა თჳსისა ჯურღმულნი განბურეტილნი, რომელთა ვერ უძლონ დაპყრობად*[79] *წყალი*“.[1•]

აჰა ესერა, გჳსწავიეს, თუ ვითარ იქმნების კეთილ თუალი და მომზავებელ და განმაშუენებელ ოქროვანისა მის თავისა, ესე იგი არს: რაჲთა იყოს იგი უმანკო, ვითარცა ტრედი, და უზაკველ და უცთომელ, ვითარცა სძე და რაჲთა არცა ერთი საცთური უარსებოჲ ეოცნებოდის და რაჲთა ჯდეს[80] სამარადისოდ მოთმინებით და მოუწყინებელად სავსებასა ზედა საღმრთოთა მათ წყალთასა მსგავსად ხისა მის, თანაწარსავალსა წყალთასა დანერგულისა, რომელმან გამოსცეს[81] ხილი თჳსი ჟამსა თჳსსა და რტონი მისნი სამარადისოდ ყუაოდიან[82] სიმწუანითა ფურცელთაჲთა ნიავებულნი.

ხოლო აწ მრავალნი თუალთაგანნი, ვითარცა ზემო ვთქუ, სული-

---

77 დადგომასა C;

78 ვავილოვნისათა C;

79 დაშრობად C;.

80 პსჯდეს C;

81 გამოსცის C;

82 ყუაოდიან C;

1• ქ.ქ. 5,12;

ერთა ამათ წყალთა უდებ-ჰყოფენ და საღმრთოთა წიგნთა წურთისათჳს არცა თუ ერთი აქუს ზრუნვაჲ, არამედ საკმართმოყუარებისა ჯურღმულთა ხოლო[83] უთხრიან თავთა თჳსთა ანუ ცუდადმზუაობრებასა[84] აღმოჰკუეთენ, ანუ თუ ამპარტავანებასა აღმოსთხრიან, ანუ თუ სხუათა რათმე ლაკუათა და მთხრებლთა ფრიადითა მოსწრაფებითა აღმოიქმან, რომელთა-იგი დაპყრობა წყლისაჲ ამის, რომლისათჳს-იგი ისწრაფიან, ვერ ძალ-უც, რომელნი-იგი პატივისა ამისთჳს და დიდებისა და მადლი[152ra]ერებისა საწუთროჲსა ისწრაფიან და განილევიან და ვიდრეღა იგი შეჰკრებდენ, მეყსეულად განიბნევიან და ამაოჲსა მის მოსწრაფებისა არცა ერთსა კუალსა დაუტევებენ მათ მიერ შეცთომილთა მათ შორის.

ხოლო ეპისკოპოსთა მათ და მნეთა და განმგეთა ეკლესიისათა ესევითართაჲ ჯერ-არს, რაჲთა იყვნენ ვითარცა წამნი და წამწამნი, რაჲთა ესრეთ შეამკონ საღმრთოთა მათ მოძღურებათა მიერ თუალი სულისაჲ და რაჲთა, ვითარცა წარბთა მიერ, მოწერონ[85] იგი სიმდაბლისა მიერ, რაჲთა განწმედილსა მას გუგასა მათსა არა შთავარდეს მწარე იგი დჯრე ამპარტავანებისაჲ და შეამრღჳოს[86] თუალი სულისაჲ.

ხოლო თუალთა შემდგომად ნეშტთა[87] მათ ასოთა სიძისათა ქებაჲ და შეტყუებაჲ ამისა შემდგომად აღმოვთქუათ[88] ნებითა და ჯერ-ჩინებითა ღმრთისაჲთა, რომელ არს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

---

83 ხოლო] — C;

84 ცუდადმზუაობრობასა C;

85 მოჰსწერონ C;

86 შეამრღჳონ BC;

87 ნეტართა C;

88 აღმოვჰსთქუათ C;

ᲒᲐᲜᲯᲘ XIV

სიტყუაჲ ესე:

5,13. ღაწუნი მისნი, ვითარცა ფიალნი ნელსაცხებელთანი, ფშუან სულნელებასა ნელსაცხებელთ მგბოლველთასა. ბაგენი მისნი — შრომან, დამომწთოლვარე მურისა სავსედ.

5,14. კელნი მისნი — ოქროჲსანი წაბნაგებულ, აღვსებულ თარშითა; მუცელი მისი, ვითარცა ფიცარი[1] პილოჲსძულისაჲ თუალსა ზედა საფიროვნსა.

5,15. წუენი მისნი — სუეტნი მარმარილოჲსანი, დაფუძნებულნი ხარისხსა ზედა ოქროჲსასა; ხილვაჲ მისი, ვითარცა ლიბანე რჩეული და ვითარცა ნაძუნი.

5,16. კორკი მისი — სიტკბოება და ყოვლადსაწადელ. ესე[2] არს ძმისწული ჩემი და ესე არს მახლობელი ჩემი, ასულნო იერუსალემისანო[3].

მზარდული იგი სულიერისა მის ჰასაკისაჲ პაველე, რომელი-იგი უზაკუელითა მით სძითა ზრდის წუთღა ჩჩულსა მას შვილსა ეკლესიისასა,[1*] ვითარცა თქუა: *„პურსა სიბრძნისასა დაუუნჯებს სრულქმნილთა მათ შინაგანითა მით კაცითა“*, და იტყჳს, ვითარმედ: *„სიბრძნესა ვიტყჳთ სრულთა მათ შორის“*,[2*] რომელთა-იგი წესითა მით კეთილთა მოძღ[152rb]ურებათაჲთა წურთილნი ჰქონან საცნობელნი სულისანი და პურსა მას სიბრძნისასა შემწყნარებელ იქმნებიან, რამეთუ ესევითარნი იგი დამაწულილებელთა მათ კბილთა გონებისათა და გამომზრდელთა ღაწუთა მოქნე არიან, ვინაჲცა ჯერ-არს, რაჲთა ღაწუნიცა იყვნენ გუამსა მას შინა ქრისტესსა, რომელნი არღარა თავსიდებენ სძესა სიტყჳსასა, არამედ მტკიცესა მას საზრდელსა ეძიებენ, რომელთათჳს აწ წარმოაჩენს სძალი სიტყუასა და იტყჳს:

„ღაწუნი მისნი, ვითარცა ფიალნი ნელსაცხებელთანი, ფშუან სულ-

---

1 ფიცარა A (ბოლო ასო „ა“ A-ში აშიაზე არის მიწერილი);

2 ერსე A;

3 იერუსალიმისანო C;

1* ებრ. 5,13;

2* I კორ. 2. 6;

ნელებასა ნელსაცხებელთ მგბოლველთასა“.[1°]

ესე ცხად არს ყოველთა მიერ, რომელნი გულისჴმის-ყოფით ისმენდენ, რამეთუ შემდგომად თუალთა მოჴსენებისა ჯეროვნითა შემდგომებითა მოიკსენა სიტყუაჲ ღაწუთა შესხმისაჲ, ვინაჲცა თანა-აც თუალთა მათ, რომელნი საესებასა წყალთა სულიერთასა დადგრომილ იყუნენ, რაჲთა უზაკუველითა მით და უცთომელითა სძითა განიბანნენ[4] და უმანკოსა მას ტრედსა[5] მიემსგავსნენ და რაჲთა იზიარნენ თჳსთა კეთილთა ყოველნივე, რომელნიცა იყვენ გუამისა მისგან ეკლესიისა, რომლისათჳსცა ებრძანა დიდსა ესაიასა[6] აღსლვად მთასა მაღალსა მოქალაქობისა მიერ და ღაღადებად ბრწყინვალითა კმითა, რაჲთა იცნან მის მიერ მსმენელთა მათ ძლიერებით მომავალი უფალი და მკლავი მისი, მფლობელი არსთა, რომელი მწყსიდეს სამწყსოსა და შეჰკრებდეს კრავთა და კეთილად მიდგომილთა მათ სასოებათა მიერ კეთილთა ნუგეშინის-სცეს, რომელმან განზომნა ცანი მტკაცლითა და ნებთა შინა შეუცავს ყოველი ქუეყანაჲ. ამის ყოვლისათჳსცა იტყჳს წინაჲსწარმეტყუელებაჲ, ვითარმედ:

ჯერ-არს, რაჲთა თავისაგან მთათაჲსა ქადაგოს და ვინაჲცა ვინაჲთგან ამის მიერ მიეცემის თუალთა[7] მათ სძისა მიერ და წყლისა ძლიერებაჲ ცნობად ჭეშმარიტებისა, ჯეროვნად იქებიან შემდგომად ღაწუნი, რომელთა საქმე არს დაწულილე[152va]ბაჲ საზრდელისაჲ, რომლისა მიერ დაიმარხვის ძლიერებაჲ ჴორცთა ბუნებისაჲ. ხოლო ვიხილოთ, თუ რაჲ არს ქებაჲ იგი ღაწუთაჲ და თჳთ თავადისა სძლისაგან ვისმინოთ, თუ ვითარცა შესხმათა წარმოიტყჳს მათთჳს, რამეთუ იტყჳს: *„ღაწუნი მისნი, ვითარცა ფიალნი ნელსაცხებელთანი, ფშუან სულნელებასა*[8] *ნელსაცხებელთ მგბოლველთასა“.*

განფენილსა ჭურჭელსა მოასწავებს სიტყუაჲ სახელისა ამის მიერ ფიალისა, რომელი-იგი აგებულებითა თჳსითა უპარავ არს და ცხად, რამეთუ არცა ფრიად ღრმა არს და უჩინო, არცა სრულიად მარტივ

---

4 განიბანენ C;

5 ტრედსა A;

6 ისაიას C;

7 წყალთა A (τοῖς ὀφθαλμοῖς PG 44, col 1064 B_3. A-ში „წყ“ გვიან არის შეცდომით აღდგენილი).

8 სუნნელებაჲ C;

1° ქ.ქ. 5,13;

და განმარტებულ. და ესე არს მიზეზი, რომლისა-იგი სახე სახედ შესხმისა წარმოაჩინა სძალმან; და ამით საბითა აქებს ესევითართა მათ ღაწუთა, რომელ არს მარტივი და განმარტებული და უზაკუველი სახე მოძღურებისაჲ.

და ამისთჳს მოიკსენა სახელი ესე ფიალისაჲ, რომელსა შინა შესმენილსა მას და სალტოლველსა სახესა, რომლისაგან იელტის წინაჲსწარმეტყუელი, დატევნად ვერ ძალ-უც, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„განვერი მე მოძულეთა ჩემთაგან და სიღრმეთაგან*[9] *წყალთა მრავალთაჲსა“*.[1]

აწ უკუე მარტივად გამოჩინებულსა ჭეშმარიტებასა, თუნიერ ზაკულისა რაჲსმე სიღრმისა და მოქცევისა, სახელითა ამით ფიალისაჲთა გულისკმა-ვჰყოფთ[10], რომლისა-იგი ნივთ ნელსაცხებელი არს და საქმედ — გბოლვაჲ ნელსაცხებელთაჲ, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: *„ღაწუნი შენნი, ვითარცა ფიალნი ნელსაცხებელთანი“*,[2] რომელნი-იგი არა შეიმზადებიან ოქროჲსაგან და ვეცხლისა, გინა თუ ჭიქისა, ანუ თუ სხჳსა რაჲსმე ესევითარისა ნივთისა, არამედ თჳთ ნელსაცხებელთაგან და იგინიცა კუალად ნელსაცხებელთავე შეჰმზადებენ.

და ვითარ ვჰგონებ, ცხად არს სიტყუათა ამათ მიერ თქუმულთა ამათ შინა ხილული გულისკმის-ყოფაჲ, რამეთუ წმიდათა მათ ეკლესიისა თუალთაჲ [152vb] არს ესევითარისა კორცთა საზრდელისა შემზადებაჲ დამაწულილებელითა მით ძალითა ღაწუთაჲთა, რაჲთა არარაჲ[11] იხილვებოდის ღრმაჲ და გულარხჱილი და ზაკული თქუმულთა მათ შინა, არამედ რაჲთა იყოს ყოველივე ბრწყინვალე და საჩინო და თავისუფალ და ყოვლისავე ზაკუვისა და მალეჳისა და სიღრმისაგან განშორებულ, რაჲთა ჩჩულთაცა მოეზავებოდის, ვითარცა იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი, ვითარმედ: *„წამებანი უფლისანი სარწმუნო არიან და განმაბრძნობელ ჩჩულთა“* და ვითარმედ: *„მცნებაჲ უფლისაჲ ბრწყინვალე არს და განმანათლებელ თუალთა“*.[3]

და ვინაჲთგან ესევითარნი არიან ფიალნი სიტყჳსანი, ცხად არს,

---

9 სიღრმისაგან C;

10 გულისკმა-ვყოფთ C;

11 არა C;

1• ფსალ. 68, 15;

2• ქ.ქ. 5,13;

3• ფსალ. 18,8-9;

რამეთუ არა შეიმზადებიან იგინი ქუეყანისა ნივთთაგან, არამედ თჳთ მათვე ნელსაცხებელთაგან არს ბუნებაჲ მათი, ხოლო მათ ვიტყჳ ნელსაცხებელთა, რომელთა-იგი სძალი მოიკსენებს დასაბამსა ქებათასა.

ესევითარი ფიალი იყო პაველე, რომელი-იგი არა სივერაგითა ზაკუვიდა სიტყუასა, არამედ გამოცხადებითა ჭეშმარიტებისაჲთა თავსა თჳსსა ეწამებოდა, რომელმან-იგი ნივთი ქუეყანისაჲ განაგდო, ვინაჲთგან ნათლისღებისა მიერ ნაქურთენნი თუალთანი განსთხინა[1*] და კორცთა და ქუეყანისა საქმეთა სრულიად განეშორა, ვინაჲცა სულნელისა მისგან ნელსაცხებელისა შეიზავა და იქმნა შვილ სულისა წმიდისა, რომელი-იგი ვინაჲთგან ესევითარისა ჭედისა მიერ ჭურად რჩეულად აღეშენა და ფიალ სასუმურ სიტყჳსა შეიმზადა, არღარა საკმარ იყო მისა კაცობრივი, არამედ თჳთ აღმოაცენებდა საიდუმლოთა, რამეთუ არა აუწყა კორცთა და სისხლთა,[2*] არამედ თჳთ აგობდა თავით თჳსით და აღმოდიოდა საღმრთოთა მათ ნელსაცხებელთა და სასუმელთა და ქრისტეს სულნელებისა მიერ პირად-პირადსა მას სათნოებათა ნელსაცხებელსა მსმენელთა მათ ყოვლით კერძო მიჰფენდა, ვინაჲცა განყოფილებისაებრ და განთჳსებ[153ra]ისა მსმენელთაჲსა შემსგავსებულითა მიჰრონითა კაცად-კაცადსა აღავსებდა, ჰურიათა და წარმართთა, დედათა და მამათა, უფალთა და მონათა, მშობელთა და შვილთა, უშჯულოთა და შჯულიერთა.

და ესრეთ მრავალსახე იყო და ყოვლითა სათნოებითა შენელებულ მოძღურებისა მისისა მადლი და მრავალფერთა მათ სწავლათა მიერ, ვითარცა პირად-პირადად შემზადებული ნელსაცხებელი, ყოველთა განასულნელებდა ფიალისა მისგან მადლთაჲსა, რომლითა-იგი აღსავსე იყო.

ამათ უკუე ესევითართა ღაწუთა შეასხამს, რომელი-იგი სიძისა კორცთა შუენიერებასა გამოსახავს, და რამეთუ ამის ქებისა მიმართ ხედავს შესხმაჲ იგი ღაწუთაჲ, შემდგომი ესე სიტყუაჲ დაამტკიცებს წამებითა თჳსითა და შეწყობილებითა ძალისაჲთა, რამეთუ შემდგომად ღაწუთა აქებს ბაგეთა, რომელთაგან წარმოიჩინების სულნელი იგი სიტყუაჲ და[12] იტყჳს: *„ბაგენი მისნი — შრომან დამომწთოლეარე მურისა*

---

12 რამეთუ C;

1* საქ. მოც. 9,18;

2* გალატ. 1, 16;

სავსედ"[1]"

ორთა სათნოებათა ერთბამად წამებს სიტყუაჲ მრჩობლთა სახელთა მიერ, რომელთაგანი ერთი ჭეშმარიტებაჲ არს, ბრწყინვალე და განათლებული, რამეთუ ესევითარი არს სახე შროშნისაჲ, რომლისა ბრწყინვალებაჲ გამოსახავს თქუმულთა ამათ სიწმიდესა და ჭეშმარიტებასა, ხოლო მეორე იგი უხილავსა და უნივთოსა ცხორებასა ცხადჰყოფს მოძღურებისა მიერ თჳსისა, რაჟამს განუცდელთა მით კეთილთა განცდითა ქუეყანისა ესე ცხორებაჲ მოიძაგოს და მოკუდეს მისგან, რომელი აღესრულების კორცთა მიერ და სისხლთა.

რამეთუ პირით დამომდინარე იგი მური და აღმავსებელი სულისა მის შემწყნარებელისა თჳსისაჲ, კორცთა მოკუდინებისა მაუწყებელ იქმნების, რამეთუ მრავალნი წერილნი გუაუწყებენ მურისა სახელსა სახედ სიკუდილისა.

ვინაჲცა წმიდამან მან და უბიწომან თუალმან, რომელმან ღაწუნი თჳსნი ფიალად შეჰ[153rb]მზადნა ნელსაცხებელთ მოქმედად და შემზავებელად[13], რომლისა სიტყუაჲ ყუავის, ვითარცა შროშანი, განშუენებული საღმრთოჲთა ბრწყინვალებითა, რამეთუ სათნოებათა მიერ წმიდათა და სულნელთა ესრეთ სახელ-სდებს[14] სიტყუაჲ, რომლისაგან გამოელენ წუეთნი მიჰრონისანი დაუწყუედელნი, აღმავსებელნი გონებასა შემწყნარებელთასა, რომელ არს ნივთიერისა ცხოვრებისა შეურაცხებაჲ და ყოველთაგე მსოფლიოთა განსუენებათაგან უქმობაჲ და სიკუდილი დაუსრულებელთა მათ კეთილთა სურვილთა.

ესევითართა ამით მიჰრონთა, აღზავებულთა შროშნითა სიწმიდისაჲთა, წუთოდა ოდესმე პირი პაულესი და შთაასხმიდა სასმენელთა წმიდისა ქალწულისათა. ხოლო სახელი წმიდისა ქალწულისაჲ მის იყო თეკლა, რომელმან-იგი კეთილად შეიწყნარნა მდინარენი იგი სულსა შინა თჳსსა და სიკუდილსა მისცა გარეშე იგი კაცი თჳსი და ყოველივე კორცთა ნებაჲ და გულისთქუმაჲ დაშრიტა, რომლისა-იგი შემდგომად კეთილისა მის მოძღურებისა მკუდარ იყო სიჭაბუკე და მკუდარ ხილული იგი სიკეთე და შუენიერებაჲ და მკუდარ ყოველნივე

---

13 შემზადებელად C;

14 სახელ-ჰსდებს C;

1* ქ.ქ. 5,13;

საცნობელნი კორცთანი, არამედ სიტყუაჲ ხოლო ცხოველ იყო მის შორის, რომლისათჳს-იგი მკუდარ იყო მისა ყოველი სოფელი და მკუდარ იყო იგიცა ყოვლისა სოფლისა.

ეგრეთვე ოდესმე კურნილეს[15] მიმართცა მეტყუელებდა[16] დიდი პეტრე ბრწყინვალეთა მათ სიტყჳსა შროშანთა და აღაჳსნა მიჰრონითა სულნი იგი მსმენელთანი, რომელთაცა მეყსეულად შეიწყნარეს სიტყუაჲ მისი და ქრისტეს თანა დაეფლნეს ნათლისღებითა და მკუდარ იქმნეს ამის ცხორებისაგან.

და ამათ თანა სხუანი ბევრეულნი სახენი იპოვებიან[17] წმიდათანი, თუ ვითარ ექმნეს ზოგადსა მას გუამსა ეკლესიისასა და ენებათა მოაკუდინებელითა მიჰრონითა აღავ[153va]სნეს სასმენელნი იგი მათნი და ყუაჲილოვან ყვნეს შროშნითა მით სიტყუათაჲთა, რომელთა მიერ დიდნი იგი ღმრთისმსახურებისა წინამბრძოლნი და სარწმუნოებისა შემწენი კეთილისა მის აღსარებისა მიერ ჟამსა მას წამებისასა ღუაწლთა მათ მიმართ ღმრთისმსახურებისათა შეიმურნეს და მსგავსად უკორცოთა იღუაწეს.

და რად საკმარ არს უმეტეს განგრძობაჲ სიტყჳსაჲ, ვინაჲთგან თქუმულთა ამათ მიერ განგუეცხადა ჩუენ ძალი სიტყჳსაჲ, თუ ვითარ იქმნების შროშანი პირი ეკლესიისაჲ და თუ ვითარ დამოსწუთის შროშანსა მიჰრონი და თუ ვითარ აღივსების ესეჳთართა წუეთთა მიერ სული იგი შემწყნარებელთა მიერ მათთაჲ? არამედ აწ შემდგომისა მის მიმართ სიტყჳსა მივიდეთ, რამეთუ იტყჳს:

„კელნი მისნი ოქროჲსანი — წახნაგებულ, აღვსებულ თარშითა“.[1*] და რამეთუ უსრულ არს გუამსა შინა ეკლესიისასა მადლი თუალთაჲ თჳნიერ კელთა მსახურებისა, განცხადებულად გჳსწავიეს დიდისა პავლესაგან, რამეთუ იტყჳს, *ვითარმედ: „ეერ კელ-ეწიფების თუალსა, რაჲთამცა ჰრქუა კელსა“, ვითარმედ: „არა მიკჳ“.*[2*] რამეთუ უფროჲსღა მაშინ გამოჩნდების ძალი და საკმე თუალთაჲ, რაჟამს

---

15 მკურნალისა C;

16 პმეტყუელებდა C;

17 იპოებიან C;

1* ქ.ქ. 5,14;

2* I კორ. 12,21;

საქმე კელთაჲ[18] წამებდეს მახულად ხედვასა თუალთასა და კეთილთა მოსწრაფებისა კეთილთა უკეთესისა მიმართ წინამძღურობასა მათსა საცნაურ-ჰყოფდნენ.

ხოლო ვინაჲთგან თანა-გუაც გამოძიებად კელთათჳს საღმრთოჲსა გუამისათა, რომელი-ესე წინადაგებულ არს განსახილველად ჩუენდა ქებისა მიერ, თუ ვითარ მოეზავოს ძალი გულისკმის-ყოფისაჲ მათისაჲ გუამსა ეკლესიისასა, თჳთ მებრ იგივე საღმრთონი სიტყუანი აღმოვიკითხნეთ, რაჲთა შეტყუებისაცა მათისა შეუძლოთ პოვნად შეწევნითა და კელისაპყრობითა ღმრთისაჲთა, რამეთუ იტყჳს: *„კელნი მისნი ოქროჲსანი — წახნაგებულ“*.

ესევითარი ძალი გამოჩნდების თქუმულთა ამათგან, ვითარმედ ქებათა, რომელთა მიერ სახე თავისა საუფლოჲსა შეისხმის, მათვე [153vb] სიტყუათა მიერ კელთაცა ქებაჲ სრულ-იქმნების.

ხოლო თავად ეკლესიისა ქრისტე გულისკმა-ვყავთ კორციელად, რომლისა თანა ღმერთი იყო და სოფელი თავსა თჳსსა დააგო, სიტყჳსაებრ სამოციქულოჲსა, რომელმან-იგი კორციელად ძალთა მიერ საკჳრველებათა თავი თჳსი გამოაცხადა და ვითარცა თავი ესე, რომელი გულისკმა-ვყავთ ოქროჲსა რჩეულისად, სახელ-სდვა სიტყუამან ამისთჳს, რამეთუ უცხო იყო იგი ყოელისავე ცოდვისაგან, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: *„რომელმან-იგი ცოდვაჲ არა ქმნა და არცა იპოვა ზაკუვაჲ პირსა მისსა“*![1•]

ეგრეთვე და კელთაცა მისთა ოქროდ იტყჳს სიტყუაჲ და ცხად არს გულისკმის-ყოფაჲ და ძალი სიტყუათაჲ ამათ, რამეთუ ყოველითურთ სიწმიდესა და უცოდველობასა და ყოელისა ბოროტისაგან შეურევნელობასა და შეუწყნარებლობასა გუასწავებს ჩუენ კელთა მიერ სიტყუაჲ. ხოლო კელად გულისკმა-ვჰყოფთ ზოგადსა მას ეკლესიისა მცნებათა აღსრულებისა წესსა და გლახაკთმოწყალებისა მოღუაწებასა, რომელთა ქებად მიეცემის მსგავსებაჲ ბუნებასა მას თავისასა სიწმიდითა და უცოდველობითა.

ხოლო წმიდა მაშინ იქმნების კელი, რაჟამს წახნაგებითა ყოველივე მაბრკოლებელი შუენიერებისაჲ განიხუეწოს. რამეთუ ვითარცა-იგი, რომელნი სახესა რასმე ცხოველისასა გამოსწერდნენ მარმარილოსა

---

18 ∾ კელთა საქმე C;

1• ეს. 53,9; I პეტრ. 2,22;

ზედა, ესრეთ იღუწიან, დაშურებიან, რაჲთა ხუეწისა და წახნაგებისა მიერ ყოვლითურთ სახე იგი გამოწერონ მას ზედა, რომლისა მსგავსებისა გამოსახვაჲ კელ-ეყვის[19], ეგრეთვე შუენიერებასა ეკლესიისა გუამისა კელთასა ფრიადი მოღუაწებაჲ და შრომაჲ ეკმარების გულისსიტყუათა წახნაგებისა და ხუეწისა მიერ, რაჲთა იქმნენ კელნი იგი ჭეშმარიტად კელ ოქროჲსა რჩეულისა.

და ესე ცხად არს ყოველთა, თუ რაოდენი ნივთი მიუღებს შუენიერებასა, უკუეთუ არა განეყაროს კელსა, ესე იგი არს კაცთმოთნებაჲ, შეძინებისმოყუარებაჲ, დიდების[154ra]მოყუარებაჲ, საწუთროჲსა[20] ამის საქმეთა შემშჭუალვაჲ, წარჩინებულებასა რასმე ქრთამითა მოგებაჲ, მისდა რწმუნებულისა მის გლახაკთა ქველისსაქმისა თჳსისა შუებისა და განსუენებისათჳს განლევაჲ. ვიდრემდის ესე და ყოველივე მსგავსი ამისი ორღანოჲთა მით გულისსიტყუათაჲთა არა განიყაროს და წმიდაჲ იგი ხოლო და უზაკუველი კეთილისა ნებისა ოქროჲ არა დაუტეოს,[21] უხრწნელისა მის თავისა კელ-ყოფად ვერ კელ-ეწიფების.

და რაჲთა უცხადეს იქმნეს, სიტყუაჲ სამოციქულოჲ მოვიკსენოთ, რომელმან-იგი სარწმუნოდ სახელ-სდვა ღმერთსა და არარას სხუასა ეძიებს მნეთა შორის თუნიერ ხოლო, რაჲთა სარწმუნო იყუნენ".[1*] რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: ამიერითგან საძიებელ არს მსმენელთა მათ შორის, რაჲთა სარწმუნო ვინმე იპოვოს, ვინაჲცა სარწმუნოჲ[22] და ბრძენი და გონიერი მნე კელისა წილ შერაცხილ არს ეკლესიისა და სარწმუნოდ განგებითა მით ოქროჲსად შეიცვალების და ღირს მობაძაჲყოფად თჳსისა მეუფისა საღმრთოჲთა მით და კეთილითა ცხორებითა.[2*]

არა იყო ესევითარი კელი მოციქულთა გუამისა შორის საწყალობელი იგი და უბადრუკი იუდა, უფროჲსღა ხენეში იგი და სახებოროტი და გარემისაქცეველი და სალტოლველი, რომელსა ერწმუნა განგებაჲ გლახაკთაჲ და საქმართმოყუარებისა მღიერი არა განიყარა, არამედ

---

19 კელ-ყვეს B ხელ-ჰყუეს C;

20 საწუთოსა C;

21 დაუტეოს C;

22 A ნუსხაშია: „სარწმოჲ";

1* I კორ. 4,2;

2* მთ. 22,45;

გუადრუცისა მის მცველად დადგინებულ იყო და რაჲთა სცვიდეს მპარავთაგან.

ხოლო იგი თავისა თჳსისა მპარავ იქმნებოდა და რომელი-იგი თჳსთა ქელთა აქუნდა, თჳსთა ქელთა მიერ გამოაკუებდა და არა ქველისსაქმესა, არამედ საქმართა განიცდიდა, რომელთა-იგი განსუენებაჲ ექმნა მას; შიშთჳილ და ნებსით თჳსით ცხორებისაგან განვარდა და იქმნა მკლველ სულისა თჳსისა და საკსენებელად სიბოროტისა [154rb] შემდგომითი შემდგომად მომავალთა ჟამთა თავით თჳსით დაუტევა.

და ამისთჳს ჯერ-არს, რაჲთა მოხუეწილ იყვნენ ქელნი იგი ეკლესიისანი და წახნაგებულ, რაჲთა განეყაროს ყოველივე ნამეტნავი და არაწმიდაჲ და იქმნენ იგი ოქროჲსა და ღირს თავისა მის საუფლოჲსაჲ.[23]

ხოლო სიტყუაჲ იგი თარშისაჲ მრავალფერად მოიკსენების წერილთა მიერ და არაერთსახედ იპოვების[24] ძალი მისი, რამეთუ ოდესმე სასოწარკუეთილებისა და ოდესმე საღმრთოდ ნეტარებად შეიცვალების მოსწავებაჲ მისი.

და ესრეთ გულისკმა-ყავ[25], ივლტოდა რაჲ იონა პირისაგან უფლისა, ეძიებდა ნავსა თარშედ წარმავალსა.[1*] და დიდი დავით ნავთა თარშისათა ქარითა სასტიკითა შემუსრვასა იტყჳს.[2*] და ვითარ ვჰგონებ, ქარად სასტიკად სულსა მას მოასწავებს, რომელმან მოჰბერა მოწაფეთა ზედა ქორსა მას ზედა სიონისასა, რომელი-იგი პირველ სასმენელთა მიერ ეცნობა, ვითარცა მობერვაჲ ქარისა სასტიკისაჲ.

ხოლო შემდგომად მისა თუალთაცა მათთა განეცხადა, სახითა ენათაჲთა გამოსახული და ბრწყინვალებასა ცეცხლისა ბუნებისასა მიმსგავსებული,[3*] რომლისა მიერ შეიმუსრა მრავალსახე იგი ბოროტი, კაცსა ბუნებასა ზედა მიფენილი, რომელსაცა სახელ-სდვა წინაჲსწარმეტყუელმან ნავად თარშისად და ესე არს, რომლისა მიერ უდარესი იგი კერძოჲ თარშისაჲ მოესწავების.

ხოლო დიდი ეზეკიელ, ხილვისა საღმრთოჲსა ჩუენებასა რაჲ გამოუსახვიდა ერთა, საღმრთოთა მათ ხილვათაგანი ამით სახელითა

---

23 სამეუფოჲსა BC;

24 იპოების C;

25 გულისხმა-ჰყავ C;

1* იონა 1,3;

2* ფსალ. 47,8;

3* საქ. მოც. 2,20;

წარმოაჩინა და თქუა, ვითარმედ: *„ხილვაჲ მისი, ვითარცა ხილვაჲ თარშისაჲ“*![1*]

ხოლო რომელთა-იგი ებრაელთა ენისა სახენი გამოწულილვით უწყნიან, ესრეთ იტყჳან, ვითარმედ უხილავსა და უკორცოსა და გამოუსახველსა ეწოდების ამით სახელითა წინაჲსწარმეტყუელთა მიერ.

და ვინაჲთგან მრჩობლი ძალი აქუს სიტყუასა ამას, საცნაურ არს, [154va] რამეთუ ამას ადგილსა უაღრესი კერძი მისი მოესწავა, რამეთუ მიზეზად შესხმისა ბრალეული კერძი[26] მისი არა მოიკსენებოდა, ვინაჲცა ჯეროვან არს, რაჲთა ქებულთა ამათ კელთათჳს გულისკმა-ვყოთ სიტყუაჲ ესე. რამეთუ რომელმან ყოველივე ქორციელი და ნამეტნავი და უწესოჲ ცხორებაჲ განიყაროს თავისა თჳსისაგან და განსთხიოს[27] და ამაოთა და ცუდთა საქმეთა და მძიმეთა და ნივთიერთა სიყუარული მოიძაგოს, ეგევითარი იგი უხილავისა მის და გამოუსახველისა საღმრთოჲსა ცხორებისა მიმართ მიიცვალების და ყოველსავე ბოროტსა განეშორების, ვითარცა იტყჳან სამარაგდოჲსათჳს, რომელსა-იგი თუალთმთლელნი გამოუჭრიან და ბეჭდისმოქმედნი გამოჰქანდაკებენ, რამეთუ ბნელსა და მიწის მსგავსსა ლესვისა მიერ განჰლეჳენ და მას ხოლო დაუტევებენ განულეჳნელად, რომელი ბრწყინავნ და სიმწუანისა თანა და ელვარებისა ნოტიობნ ზეთისფერად, რომელსა-იგი უცხადესადრე თარგმნის[28] წმიდაჲ მოციქული სიტყუათა შინა თჳსთა და განგუაზრახებს, ვითარმედ ჯერ-არს, რაჲთა ხილულთა ამათ სიყუარული განვაგდოთ და უხილავთა მათ სურვილი განვიკუთნოთ და იტყჳს, ვითარმედ: *„არა ეხედაეთ ჩუენ ხილულსა ამას, არამედ უხილავსა მას, რამეთუ ხილული ესე საწუთრო[29]არს, ხოლო უხილავი იგი — საუკუნო“*.[2*]

ესე უკუე გულისკმა-ვყავთ[30] ქებასა შინა კელთასა, თუ ვითარ მოხუეწილ იქმნენ სურვილისაგან ნივთიერთა საქმეთაჲსა და იქმნენ უხრწნელ და უნიეთო ნებისა მიერ და გულსმოდგინებისა კეთილი-

---

26 კერძოჲ BC;

27 განჰსთხიოს C;

28 ჰსთარგმნის C;

29 საწუთო C;

30 გულისხმა-უყავთ C;

1* ეზეკ. 1,16;

2* II კორ. 4,18;

სა, რომელთათჳს იტყჳს, ვითარმედ: *„ქელნი მისნი წაბნაგებულ და ოქროჲსა და აღსავსე თარშითა“*.[1*]

ხოლო შესაწყობელ არს შემდგომიცა იგი სიტყუაჲ, რომელი თქუა მუცლისათჳს, ესე იგი არს, ვითარმედ: *„მუცელი მისი ფიცარი პილოჲსძულისაჲ ქუასა ზედა საფიროვნსა“*[2*][154vb]. რაჟამს-იგი მოსეს ფიცართა შინა ქვისათა[31] აღწერილი შჯული შჯულისმდებელმან ბუნებათამან მისცა, ფიცრად ქვისად სახელ-სდვა[32] ფიცართა მათ, რომელთა შინა გამოისახნეს საღმრთონი იგი ასონი,[3*] რომელთათჳს-იგი ჰრქუა ღმერთმან მოსეს, ვითარმედ: *„აღმოვედ ჩემდა მთად და იყავ მუნ და მიგცნე შენ ფიცარნი ქვისანი — შჯული და მცნებანი ჩემნი“*.[4*]

ხოლო შემდგომად ამისა, რაჟამს-იგი ბრწყინვალებითა და განცხადებულებითა სახარებისაჲთა ყოველივე კორციელი და ქუეყანისაჲ განიყარა შჯულმან, არღარა ქვისანი არიან ფიცარნი[33] იგი შეწყნარებული შჯულისანი, არამედ ბრწყინვალისა და ახლადგანკარგულისა პილოჲსძულისანი, რამეთუ შემწყნარებელსა მას შჯულისა და მცნებათასა, რომელსა-იგი მუცლად სახელ-სდვა, ფიცრად უწესს პილოჲსძულისად ქვასა ზედა საფიროვნთა.[34]

იტყჳან უკუე, ვითარმედ ფრიადისა სიჴშოჲსაგან და სიმტკიცისა ესევითარი ესე ძუალი განუხრწნელად ჰგიეს მრავალჟამ და არცა ერთსა ვნებასა შეიწყნარებს სიგრძისაგან ჟამთაჲსა. ხოლო საფიროვნი მჟიისფერ არს და ლურჯ და ნუგეშინისსაცემელად შრომისა თუალთაჲსა მოპოვნებულ, რომელნი-იგი სამარადისოდ წურთითა წერილთაჲთა აჭირვებდენ სახედველთა, რამეთუ ქვაჲ ესე ფეროვნებითა მით ბუნებითითა განუსუენებს ეგეევითართა მათ თუალთა.

სახე ესე, რომელსა მიემსგავსების ქებათა მიერ მუცელი ეკლესიისაჲ, ესევითარი არს. ხოლო მე სიტყჳსა მის მიერ საღმრთოჲსა, რომელი უბრძანებს წინაჲსწარმეტყუელსა ფიცართა შინა აღწერასა

---

31 შჯულისათა C;

32 სახელ-ჰსდვა C;

33 ∾ ფიცარნი არიან ქვისანი C;

34 საჰფირონსა C;

1* ქ.ქ. 5,14;

2* ქ.ქ. 5,14;

3* გამ. 34,29;

4* გამ. 24,12;

ხილვისასა და კუალად შჯულისა და მცნებათასა გულისკმის-ყოფად, მოვალ,[35] თუ ვითარ ჯერ-არს შეტყუებაჲ გუამსა შინა სამეუფოსა მუცლად წოდებულსა მას ფიცარსა საუფლოსა, რამეთუ სიტყუაჲ იგი, რომელი უბრძანებს აღწერასა ხილვისასა ფიცართა შინა, სიწმიდესა გულისასა მოა[155 ra]სწავებს სახელითა მუცლისაჲთა, რომელსა შინა აღვსწერთ საღმრთოთა ხილვათა, ვითარცა რომელმან-იგი აღაღო პირი დიდისა ეზეკიელისი და შთაუდვა მას თავი წიგნისაჲ, აღვსებული წერილითა ორკერძოვე, ესე იგი არს შინაგან და გარეშე, და ჰრქუა მას, ვითარმედ: *„პირმან შენმან შეჭამოს*[36] *და მუცელი შენი აღივსოს“*,[1°] რომელ არს გონებაჲ და გულისკმის-ყოფაჲ სულისაჲ, რომელსაცა მუცლად სახელ-სდვა[37], რომელსა-იგი შინა დაიუნჯნეს საღმრთონი იგი მოძღურებანი.

და კუალად ეგრეთვე დიდი იერემია, რომელსა-იგი მჭმუნვარეთა მათ გულისკმის-ყოფათაგან ელმოდა გული, მუცლად სახელ-სდებდა და ეტყოდა, ვითარმედ: *„მუცელი ჩემი მელმის და საცნობელნი გულისა ჩემისანი შეიჭმებიან“*.[2°]

ხოლო უკუეთუ ჯერ-არს უცხადესადრე გამოცხადებაჲ სიტყჳსაჲ ამის, საღმრთოჲ მოძღურებაჲ მოვიკსენოთ,[38] რამეთუ ესრეთ უბრძანა მორწმუნეთა თჳსთა, ვითარმედ: *„რომელსა ჰრწმენეს*[39] *ჩემი, ვითარცა თქუა წიგნმან, მდინარენი მუცლითა მისისაგან დიოდიან*[40] *წყლისა ცხოველისანი“*.[3°]

და ამათ ყოველთა მიერ წმიდასა გულსა სახელითა მუცლისაჲთა გულისკმა-ვჰყოფთ, რომელი-იგი იქმნების ფიცარ საღმრთოჲსა შჯულისა, ვითარცა იტყჳს მოციქული, ვითარმედ: *„რომელნი-იგი აჩუენებენ საქმეთა შჯულისათა, აღწერილთა გულთა შინა მათთა არა მელნითა,*

---

35 მოვალსა C;
36 შეჰსჭამოს C;
37 სახელ-ჰსდუა C;
38 მოვიხსენეთ C;
39 რწმენეს C;
40 ჰსდიოდენ C;

1° ეზეკ. 3,3;
2° იერემ. 4, 19;
3° ინ. 7,38;

არამედ სულიერთა ღმრთისა ცხოველისაჲთა“.[1°]

და ესევითარნი ესე წერილნი აღიწერებიან არა ფიცართა ქვისათა, არამედ ფიცართა[41] გულისათა,[2°] წმიდათა და წყლტუთა და ელვარეთა, რამეთუ ესევითარი ჯერ-არს, რაჲთა ჴსენებაჲ საღმრთოთა სიტყუათაჲ ცხადად და შეურევნელად გამოისახოს მის შორის, ვითარცა წერილითა რაჲთმე შუენიერითა აღწერილი, ხოლო კეთილად შეერთებულ არს ესევითარსა მას ფიცარსა თანა შუენიერებად მუცლისა და საქებელად და საფიროვნიცა, რომლისა-იგი ბრწყინ[155rb]ვალებაჲ ცისფერ არს.

და ამას განგუაზრახავს იგავი ესე, რაჲთა ზეცისასა ზრახვიდეს გონებაჲ ჩუენი და ზეცად მიმართ ხედვიდეს, რაჲთა სადაცა-იგი საუნჯე დაეუნჯოს, მუნცა განუსუენებდეს თუალთა თჳსთა, და რაჲთა არა მოეწყინოს წურთაჲ საღმრთოთა მცნებათაჲ, რაჟამს სასოებაჲ იგი ზეცათაჲ თუალთა მათ სულისათა განუსუენებდეს.

და ესრეთ შესხმასა მუცლისასა შეუდგს ქებაჲ წყვილთაჲ, რამეთუ იტყჳს: *„წყვილნი*[42] *მისნი — სუეტნი მარმარილოჲსანი, დაფუძნებულნი ხარისხთა ზედა ოქროჲსათა“.*

სახლი იგი სიბრძნისაჲ სუეტმრავალ არს, რომელი აღუშენა თავსა თჳსსა და ეგრეთვე მრავალნი სუეტნი განამტკიცებდეს წამებისა კარავსა, თითოფერთა ნივთთაგან შემკობილნი, რომელთა ხარისხნი და სუეტისთავნი იყვნეს ოქროჲსანი, ხოლო საშუალი მათი შემოსითა ვეცხლისაჲთა განშუენდებოდა. ხოლო ეკლესიისა სუეტთა, რომელ-იგი არს სახლი ღმრთისაჲ, ვითარცა იტყჳს მოციქული, ვითარმედ ვითარიგი ჯერ-არს სლვაჲ სახლსა შინა ღმრთისასა,[3°] მარმარილოჲსად იტყჳს სძალი, დაფუძნებულად ხარისხთა ზედა ოქროჲსათა.

და თუ ვითარ ეწამების სიბრძნესა მას ბესელელისსა[43] სძალი და ეგრეთვე შეამკობს ხარისხთა მიერ და სუეტისთავთა ოქროჲსათა შუენიერებასა მას სუეტთასა, საჩინო არს და ცხად ყოველთა მიერ, რომელთაცა აღმოუკითხავს უწყებაჲ იგი კარვისაჲ, რამეთუ ვითარცა-იგი მან თითოეულსა სუეტსა ოქროჲსა სუეტისთავი შეუმზადა და

---

41 ფირთა A;

42 წჳნი C;

43 ბესელიელისსა C;

1° რომ. 2,13;

2° II კორ. 3,3;

3° I ტიმ. 3,15;

ოქროჲსა ხარისხთა[44] ზედა აღჰმართა, ეგრეთვე აქა იტყჳს სიწმიდით მხედველი შუენიერებასა სიძისასა, რამეთუ თავსა მისსა უწესს ოქროჲსა წმიდისა და რჩეულისა, რომელსა წამებს[45] სიტყუაჲ იგი ოფაზისაჲ და წყვილთა მისთა ოქროსა ზედა დაფუძნებულად იტყჳს.

ხოლო თუ ვითარ ჯერ-არს სუეტთა ამათ იგავი[155va]სა შეტყუებაჲ, უკუეთუ დავემოწაფნეთ წმიდასა პავლეს, ჭეშმარიტისა გულისკმისყოფისაგან არა დავეცნეთ, რომელმან-იგი თავთა მათ მოციქულთა — პეტრეს და იაკობს და იოვანეს — სუეტად ეკლესიისად სახელ-სდვა[46].

ხოლო ვინაჲთგან ამისიცა ჯერ-არს ცნობაჲ, თუ ვითარ ვინ იქმნების სუეტ, რაჲთა ნუუკუე და ჩუენცა ღირს-ვიქმნეთ ესევითარისა ამის წოდებისა, კუალად პავლესვე სიბრძნისაგან ვისმინოთ, რომელი უწესს სუეტად და სიმტკიცედ ჭეშმარიტებასა.[1*]

ხოლო შენ სახედ ჭეშმარიტებისა გულისკმა-ყავ[47] ოქროჲ, რომელი ექმნების ხარისხ და სიმტკიცე წყვილთა[48] მათ საუფლოთა და თავსა და კელთა თავისა მიერ თჳსისა შეამკობს.

ხოლო სიმტკიცედ უკუეთუ ბუნებაჲ მარმარილოჲსაჲ გულისკმაჰყო, არა სცთე, რამეთუ ესევითარი აქუს ძალი თქუმულთა ამათ, ვითარმედ წყვილნი[49] გუამისანი არიან სუეტნი მარმარილოჲსანი, ესე იგი არს, რომელნი ბრწყინვალითა ცხორებითა და მართლითა სარწმუნოებითა ზოგადსა მას გუამსა ეკლესიისასა[50] იტჳრთვენ და დაამტკიცებენ, რომელთა მიერ ხარისხიცა სარწმუნოებისაჲ დაემტკიცების შეუძველად და სათნოებათა სარბიელი სრულ-იქმნების და საღმრთოთა სასოებათა მიერ ყოველივე გუამი ამაღლდების.

და ესე ორთა ამათ მიერ წარემართების ჭეშმარიტებისა და სიმტკიცისა, რამეთუ ოქროჲ ჭეშმარიტებასა შეეტყუების, რომელი-იგი, სიტყჳსაბრ სამოციქულოჲსა, საფუძველ იქმნების საღმრთოჲსა სახლისა და სახელ-ედების, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: *„სხუაჲ საფუძ-*

---

44 ხარისხსა C;
45 ჰსწამებს C;
46 სახელ-ჰსდუა C;
47 გულისხმა-ჰყავ C;
48 წჳვთა C;
49 წჳუნი C;
50 ეკკლესიისა C;
1* გალატ. 2,9;

ველი ვერვის ძალ-უც დადებად გარეშე მისა[51]*, რომელი დადებულ არს, რომელ არს ქრისტე იესუ*“,[1*] ხოლო ქრისტე ჭეშმარიტებაჲ არს, რომელსა ზედა დაეფუძნებიან სუეტნი ეკლესიისანი[52], ხოლო მარმარილოჲ მოასწავებს ბრწყინვალესა ცხორებასა და კეთილთა მიმართ სიყუარულსა, მტკიცესა და უცვალებელსა.

ხოლო ვინაჲთგან ფრიად არიან სუეტნი იგი კარვისანი და რომელნი-იგი სახლსა სიბრძნისასა იტყრთვენ, [155vb] ხოლო აქა ორნი კმა არიან ყოველისაჲ გუამისა ტყრთვად, ვჰგონებ, თუ სხუასა რაჲსმე შეტყუებისა მიმართ ჯერ-არს შეცვალებად სახესა მას იგავისასა. ხოლო ესე ესრეთ გულისკმა-ყავ:

მრავალსახე არიან შჯულისა მცნებათა სიმრავლენი, რომელნი-იგი სათნოებისა ქმნასა გუაწუევენ და ეგრეთვე მრავალთა სწავლათა მოგუთხრობს სიბრძნე, რომელნი-იგი მისვე პირისა მიმართ ხედვენ, ხოლო შემოკლებული იგი სიტყუაჲ სახარებისაჲ ყოველსავე სათნოებათა სისრულესა ადვილად აღსარაცხელთა მცნებათა შინა შეაყენებს და ესრეთ იტყჳს, ვითარმედ: *ამათ ორთა მცნებათა ყოველი შჯული და წინაჲსწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან.*[2*]

და უეჭველად ერთი ძალი აქუს, გინა თუ დამოკიდებით ვინ იტყრთოს სიმძიმე, გინა თუ ტყრთვით, რამეთუ ერთი ძალი იხილვების ორთავე მიერ, რაჟამს სიმძიმესა ორკერძოვე იტყრთვიდეს, გინა თუ ქელითა, გინა თუ მკრითა და ვინაჲთგან უფალი ორთა ამათ მცნებათა იტყჳს შჯულისა და წინაჲსწარმეტყუელთა დამოკიდებასა და აქა სძალი ორთა სუეტთა, ოქროჲსა ხარისხთა ზედა დამტკიცებულთა, მიერ იტყჳს ტყრთვასა გუამისასა, არა სამე შეუმსგავსებელ იყოს შეტყუებაჲ ესე წყჳლთა საზისაჲ ორთა მათ მცნებათა იგავისაგან, რომელთაგანსა ერთსა პირველად უწესს უფალი და მეორესა — მსგავსად მისა, რამეთუ შეყუარებასა ღმრთისასა ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა პირველად მცნებად სახელ-სდებს, და მოყუსისასა[53], ვითარცა თავისა თჳსისა, სწორ-ჰყოფს ძალითა პირველისა.

---

51 მისსა C;

52 ეკკლესიისანი C;

53 მოყურისა C;

1* I კორ. 3,11;

2* მთ. 22,40;

და კუალად პაველეცა, რაჟამს-იგი ვითარცა სახლსა საღმრთოსა შეჰმზადებდა, დიდსა ტიმოთეს ორნი ესე სუეტნი შეუდგნა, რომელ არიან სარწმუნოებაჲ და სუნიდისი წმიდაჲ. [156ra] და სარწმუნოებისა მიერ სიყუარული ღმრთისაჲ მოასწავა ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა, ხოლო კეთილისა გონებისა მიერ სიყუარული მოყუსისაჲ გამოსახა.[1*]

და ვჰგონებ, თუ არა უცხო არს პირველისა სახისაგან აწ პოვნილი ესე გულისკმის-ყოფაჲ, რამეთუ ამათ ორთა მიერ იქმნების სუეტ, ვითარცა პეტრე და იაკობ და იოვანე, და უკუეთუ სხუაჲ ვინმე იქმნეს მსგავს[54] მათდა ღირს ამის სახელისა, გინა თუ აწ და გინა თუ შემდგომად ამისა და ანუ თუ პირველ იყო, რამეთუ რომელი ამათ ორთა[55] სათნოებათა მიერ სრულ-იქმნეს, ეგევითარი იგი სუეტად და სიმტკიცედ ჭეშმარიტებისად შესცვალებს თავსა თჳსსა სიტყჳსაებრ მოციქულისა.[2*]

და ორთა ამათ სათნოებათა მიერ, რომელ არს სარწმუნოებაჲ მიუდრეკელი და ყოველთა მიმართ სიყუარული, უცვალებელი იქმნების კაცი, მტკიცე გუამსა მას ეკლესიისასა, ვითარცა სუეტნი იგი, ხარისხთა ოქროჲსათა დამყარებულნი.

და შემდგომად ამათ შესხმათასა სრულ-ჰყოფს ყოველსავე შეუნიერებასა სიძისასა და იტყჳს:

„ხილვაჲ მისი, ვითარცა ლიბანე რჩეული და ვითრცა ნაძუნი. კორკი მისი — სიტკბოება და ყოველადსაწადელ. ესე არს ძმისწული ჩემი და ესე არს მახლობელი ჩემი, ასულნო იერუსალჱმისანო“.[56*]

ამათ სიტყუათა მიერ უგანცხადებულესად საცნაურ-ჰყოფს, ვითარმედ ხილულისა მისთჳს სიძისა შეუნიერებისა არს ქებაჲ ესე, ხოლო მას ვიტყჳ ხილულსა, რომელსა თითოეულთა[57] ასოთა მიერ, სრულმყოფელთა ეკლესიისათა, გუამოან-იქმს[58] მოციქული, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ

---

54 მსგაესად C;

55 ორთა ამათ B;

56 იერუსალიმისანო C;

57 თუთოეულსა C;

58 გუამოვან-იქმს C;

1* I ტიმ. 1,5,19; 3,9;

2* I ტიმ. 3,15;

3* ქ.ქ. 5,15-16;

ხილვისა მისისაგან არიან ბევრეულნი იგი ნაძუნი, რომელთა მიერ შეცვულ არს ყოვლით კერძო ლიბანი და აუწყებს თქუმულთა ამათ მიერ, ვითარმედ არარაჲ იხილვების მდაბალი და უნდოჲ შუენიერებასა მას შინა გუამისასა, უკუეთუ არა იყოს მაღალ მსგავსად ნაძუთა და სიმაღლისა მიმართ თხემისა [156rb] აღმავალ, ვინაჲცა კუალად წინადაგებულნი სიტყუანი განვიხილნეთ, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„ხილვაჲ მისი, ვითარცა ხილვაჲ ლიბანისაჲ რჩეული“*, ხოლო გამორჩევაჲ ყოველსავე საქმესა შინა წინაუკუმოჲსა[59] წესისაგან იქმნების, ვინაჲთგან სეხნა არიან ჭეშმარიტად ჭეშმარიტი კეთილი და საგონებელი; რომელი-იგი არა არნ, კეთილად იჩემებენ სიცრუვით და რომელი კეთილად განბჭობისაგან არა უცხო იყოს, მან უეჭუელად რჩეული იგი კეთილი აღირჩიოს ცთომილისა მის და არაჭეშმარიტისა.

და ვინაჲთგან აქა რჩეულსა ლიბანსა ამსგავსა ხილვაჲ სიძისაჲ, ორთა ლიბანთა შეტყუებასა შემოიღებს სიტყუაჲ: ერთსა მას — ბოროტსა და განგდებულსა, მსგავსსა კბოჲსასა და ნაძუთა მათ შემუსრვილთასა,[1*] ვითარცა თქუა[60] წინაჲსწარმეტყუელმან, ხოლო მეორესა[61] მას — რჩეულსა და პატიოსანსა, რომლისა-იგი სიკეთე ღმრთივშუენიერ არს და ღმრთის მსგავს.

და ესრეთ გულისჴმა-ყავ[62] სიტყუაჲ ესე: ერთი მეუფე არს თავადი და ჭეშმარიტი და დიდი მეუფე იგი ყოველთა დაბადებულთაჲ, გარნა სოფლისმპყრობელიცა ბნელისაჲ აჩემებს თავსა თჳსსა მეუფებისა საბელსა; გუნდნი ანგელოზთანი ჰმონებენ ჭეშმარიტსა მას მეუფესა და გუნდნი ეშმაკთანი — სოფლისმპყრობელსა მას ბნელისასა.[2*]

მთავრობანი და კელმწიფებანი და ძალნი იწოდებიან მსახურ მეუფისა მის მეუფეთაჲსა და უფლისა უფლებათაჲსა; ჰქონან მასცა, სიტყჳსა მისებრ სამოციქულოჲსა, მთავრობანი და კელმწიფებანი და ძალნი განქარვებადნი, რაჟამს-იგი არსებაჲ ბოროტისაჲ უჩინო-იქმნეს და წარწყმდეს და არაარსებად მოვიდეს,[3*] ვითარცა-იგი კუალად თქუა

---

59 წინაუკმო C;
60 ჰსთქუა C;
61 მეურესა A;
62 გულისხმა-ჰყავ C;

1* ფსალ. 28,5-6;
2* კოლ. 1,13;
3* II კორ. 3,11;

მანვე, ვითარმედ რაჟამს-იგი განაქარვნეს ყოველნი კელმწიფებანი და მთავრობანი და ძალნი, საყდართა ზედა იხილა წინაჲსწარმეტყუელმან მეუფე დიდებისაჲ, მჯდომარედ [156va] მაღალთა და აღმატებულთა, და მანცა თქუა დადგმაჲ საყდართაჲ ზედა ვარსკულავთა ცისათა და მსგავსებაჲ მაღლისაჲ; ჭურნი რჩეულნი ჰქონან მეუფესა დიდსა მას შინა სახლსა თჳსსა, ჰქონან მასცა ჭურნი რისხვისანი, განმზადებულნი წარწყმედად.[1*] და კუალად ცხორებასა და მშუდობასა ანგელოზთა მიერ მისცემს ღირსთა თჳსთა მეუფე იგი ანგელოზთაჲ, *„ხოლო იგი გულისწყრომასა და ჭირსა მიუვლენს ანგელოზთა მიერ ბოროტთა“*.[2*]

და რად საკმარ არს თითოეულად თქუმად, რომელთა მიერ მჴდომ და წინააღმდგომ იქმნების ბუნებითისა მის კეთილისა ტყუვილისა მიერ და ძმაცუვისა მტერი იგი ჭეშმარიტებისაჲ?

და ვინაჲთგან წარჩინებულ არს სახილველად მთაჲ იგი ლიბანისაჲ, ყოველით კერძო ნაძუთა მიერ ბორობანთა[63] მოსხმული, ამისთჳსცა[64] წინააღმდგომთა გონებათა მიმართ იგავთა მათ მიერ საჩინოთა, წერილთა მიერ შემსგავსებულად თითოეულისა[65] კერძოჲსა, განიყოფვის[66] ძალი მისდა და გულისჴმის-ყოფაჲ.

და ესრეთ იხილვების სახელი მისი, წინაჲსწარმეტყუელთა მიერ განყოფილებისა ამის მიერ უწყებულისა ქებულ და ძაგებულ, რამეთუ ოდესმე შეჰმუსრავს უფალი ნაძუთა მათ ლიბანისათა და კუალად ყოველსავე ლიბანსა და ნაძუთა მისთა და დააწულილებს მსგავსად კერპსა[67] მას ხბოჲსასა,[3*] რომელი ქმნეს უდაბნოსა ზედა.

ხოლო ამის მიერ ამას მოასწავებს წინაჲსწარმეტყუელებაჲ, ვითარმედ თუთ იგი სიბოროტე და ყოველივე მისმიერი სიმაღლე, მეცნიერებასა ზედა ღმრთისასა ამაღლებული, არაარს იქმნეს და განქარდეს.

და კუალად ოდესმე უმჯობესისა კერძსა მოიკსენებს უწყებასა მისსა

---

63 შრომანთა C;

64 ამისთჳს C;

65 თჳთოეულისა C;

66 განიყოფის C;

67 კერპთა C;

1* რომ. 9,21-22;

2* ფსალ. 77,49;

3* ფსალ. 28,5-6;

და იტყჳს: *„მართალი, ვითარცა ფინიკი, აღყუავნეს და ვითარცა ნაძჳ ლიბანისაჲ, განმრავლდეს“*![1*] ხოლო ჭეშმარიტად მართალი თჳთ არს თავადი უფალი, [156vb] რომელი-იგი ჩუენთჳს აღმოჰკლა[68] ქუეყანით, მაღალვარჯოვანი იგი ფინიკი, რომელი-იგი ნივთსა შინა ბუნებისა ჩუენისასა აღმოჰკლა და იქმნა მთა ნაძუთა მათ დანერგულთა სარწმუნოებისა მიერ და მის მიერ განმრავლებულთა, რომელნი-იგი, რაჟამს დაენერგნენ სახლსა შინა ღმრთისასა, ეზოთა შინა საღმრთოთა ყუავოდიან.

ხოლო სახლად, სიტყჳსაებრ მოციქულისა, ეკლესიაჲ ღმრთისაჲ გულისკმა-ყავ[69], რომელსა შინა იქმნების დანერგვაჲ ნაძუთა ღმრთისათაჲ და ეზოდ — საუკუნენი იგი საყოფელნი, რომელთა შინა იქმნეს ჟამთა მათ განმზადებულთა კეთილთა მათ სასოებათა აღყუავებაჲ და გამოცხადებაჲ.

ხოლო ვინაჲთგან გუამი ქრისტესი თითოეულთა[70] ასოთა მიერ სრულ-იქმნების და რამეთუ ყოველნივე ასონი ერთგუამ იქმნებიან, სიტყჳსაებრ მოციქულისა[2*], ამისთჳს ყოველსავე შეუნიერებასა სიძისასა რჩეულად ლიბანედ სახელ-სდვა და განგდებულისა მის ლიბანისა განწჳალებაჲ სახელით მით რჩეულისაჲთა განყო[71], რამეთუ იგი ლიბანი ეგევითარი არს, ვითარცა თქუა ესაია[72], რომელი-იგი მაღალთა მისთა თანა, და შეიმუსროს,[3*] რაჟამს კუერთხმან მან იესესმან გამოიღოს ყუავილი და კუერთხი იგი კელმწიფებისაჲ აღმოსცენდეს,[73] რომლისა მიერ შეიცვალოს ბუნებაჲ ლომისა და ვეფხისა და ასპიტისაჲ შინაურად და მდოვრად, ვიდრეცა იზარდებოდის[74] ლომი კარსა თანა და ვეფხი განისუენებდეს თიკანთა თანა და ჰმწყსიდეს მათ ყრმაჲ იგი ჩჩჳლი, რომელი იშვა ჩუენდა, რომლისა კელი კურელსა ასპიტისასა

---

68 აღმოქდა C;
69 გულისხა-ჰყავ C;
70 თჳთოეულთა C;
71 განჰყო C;
72 ისაია C;
73 აღმოჰსცენდეს C;
74 იზრდებოდის C;

1* ფსალ. 91,13;
2* I კორ. 12,14;
3* ეს. 10,34;

დაედების და ნაშობსა ასპიტისასა შეეხების და გესლსა მათსა მოაუძლურებს.

და ესე რაჲ იქმნეს, ვითარცა თქუა წინაჲსწარმეტყუელმან, ლიბანი იცა მაღალთა მისთა თანა დაეცეს, ხოლო თუ რაოდენსა ძალსა მოასწავებს იგავთა ამათ მიერ წინაჲსწარმეტყუელებაჲ, ვითარცა საცაურსა ყოველ[157ra]თა მიერ, ნამეტნავად შევჰრაცხეთ[75] ყოვლისავე გამოწულილვით თარგმანებაჲ, რამეთუ ვინ არა უწყის ყრმაჲ იგი, რომელი იშვა ჩუენდა, რომელი შეახებდა ასპიტსა კელითა, რომლისაიგი კელისაპყრობაჲ[76] გესლსა მას მკეცთასა თანამკუდრად ჩუენდა გამოაჩინებს და ბუნებითისა სიმწარისა დამვიწყებელ-ჰყოფს?

და ვინაჲთგან დაეცემის მის მიერ ბოროტი იგი ლიბანი და მის თანა დაეცემის პირველი იგი და თავი ბოროტთაჲ, აღმაღლებული ჭეშმარიტებასა ზედა, ამისთჳს რჩეულსა მას ლიბანსა მიამსგავსებს სძალი შუენიერებასა უფლისასა და ესრეთ იტყჳს, ვითარმედ: *„ხილეაჲ მისი, ვითარცა ლიბანი რჩეული და ვითარცა ნაძუნი“.*

და მერმე შესძინებს შუენიერებასაცა კორკისასა და სიტკბოებად საწადელად უწესს მას და იტყჳს: *„კორკი მისი — სიტკბოება და ყოვლადსაწადელ“*.[1°]

ხოლო შეტყუებაჲ მისი ესევითარი არს: მკრდით[77] კერძოსა მას ნაწილსა ყელისასა კორკად ეწოდების, რომლისაგან-იგი აღმოვალს კმაჲ სახიობითა გონებისაჲთა და აღძრვითა სულისაჲთა და შეთქმულებითა ნაწევართაჲთა გამოცემული, ვინაჲთგან კეთილნი სიტყუანი არიან თაფლ გოლეულ და ორღანო სიტყჳსა არს კმაჲ, რომელი გამოვალს კორკისაგან. უკუეთუ ვინმე მოწაფეთა და მსახურთა[78] სიტყჳსათა, რომელთა მიერ იტყოდა ქრისტე, ამით სახელითა მოსწავებულად სახელ-სდვას[79], არა ცოდოს.

და რამეთუ დიდსა იოანეს ეკითხა რაჲ, თუ ვინ არს, კმად სახელ-

---

75 შევრაცხეთ C;

76 კელისაღპყრობა C;

77 მკერდით C;

78 ~ მსახურთა და მოწაფეთა C;

79 სახელ-ჰსდუას C;

1° ქ.ქ. 5,16;

სდვა[80] თაესა თჳსსა,[1*] ვინაჲთგან წინამორბედი იყო სიტყჳსაჲ.

და ნეტარი პაველე გამოცდილებასა მისცემდა მის შორის მეტყუელისა ქრისტესსა,[2*] რომლისა-იგი კმაჲ მეტყუელებდა[81] და სიტკბოებაჲ ექმნებოდა მის მიერ მეტყუელსა მას და ყოველთავე წინაჲსწარმეტყუელთა ორღანოჲ იგი კმისა მათისაჲ მათ შორის მეტ[157rb]ყუელსა სულსა წმიდასა განუმზადეს და სიტკბოება იქმნეს. და საღმრთოსა მას თაფლსა ჯორკით მათით აღმოდიოდის, რომელსა-იგი მეფენი და გლახაკნი სიცოცხლედ მიიღებენ, რომლისა-იგი შუებაჲ არა განჰკუეთს გულისთქუმასა სიმაძღრითა, არამედ ზრდის უფროჲსღა სურვილსა გულისსათქუმელთა მათ ზიარებითა.

ამისთჳს ყოვლითურთ საწადელად სახელ-სდებს[82] მას და ვითარცა საზღვარითა რაჲთმე სასურველსა მას შუენიერებასა, სიტყჳსა ამის მიერ გამოსწერს და იტყჳს, ვითარმედ: *„და ყოველადსაწადელ“*, ვინაჲცა ნეტარ არიან ასონი იგი, რომელთა მიერ ყოველადსაწადელ იქმნებისა, სისრულითა ყოველთა კეთილთაჲთა შეზავებული და საწადელითა მით შუენიერებითა განშუენებული, ვიდრეღა არა ხოლო თუ თუალთა ოდენ მიერ და კელთა და თმათა, არამედ ფერკთა[83] და წყჳილთა[84] და ჯორკისა ეგრეთვე სწორად გულისსათქუმელ არს და საწადელ.

და არცა ერთი ასოთაგანი გარდარეულისა მისგან შუენიერებისა მოაკლდების, ვინაჲცა იტყჳს, ვითარმედ: *„ესე არს ძმისწული და ესე არს მახლობელი ჩემი, ასულნო იერუსალჵმისანო“*.[3*]

რამეთუ ყოველივე სახე მისი გამოუცხადა მათ გამოხატვითა სიტყჳსაჲთა, რაოდენცა იყო შესაძლებელ საძიებელისა მის გამოცხადებაჲ და მერმეღა ყოველთა მათ სიტყუათა შემაერთებელი სიტყუაჲ წარმოაჩინა და თქუა, ვითარმედ: *„ესე არს ძმისწული ჩემი და ესე არს მახლობელი ჩემი“*.[4*] ესე იგი არს, ვითარმედ იუდაჲსგან აღმოგუბრ-

---

80 სახელ-ჰსდუა C;
81 ჰმეტყუელებდა C;
82 სახელ-ჰსდებს C;
83 ფერკთაცა C;
84 წჳეთა C;

1* ინ. 1,23;
2* II კორ. 13,3;
3* ქ.ქ. 5,16;
4* ქ.ქ. 5,16;

წყინდა ქრისტე, რომელსა-იგი ძმად უწოდა სძალმან, ხოლო მოყუას და მახლობელ იქმნა მისა, რომელი-იგი შთავარდა ქელსა ავაზაკთასა და ზეთითა და ღუნითა და შეხუევითა წყლულებანი მისნი განკურნნა და თუსსა კარაულსა აღსუა იგი და ყოველთა სადგურსა [157va] შინა განუსუენა და ორნი იგი დრაჰკანნი საღუაწად მისცნა[85] მისთუს და მოსლვასა მისსა შეძინებულისა მის მოღუაწებისა გარდაკდაჲ აღუთქუა.

და ვჰგონებ, თუ ცხად არს თითოეული ამათგანი, თუ რაჲ ძალი აქუს და რომლისა პირისა მიმართ ხედავს, რამეთუ ღმრთის გამომცდელსა მას შჯულისმეცნიერსა ენება უფროჲს სხუათაჲსა გამოჩინებაჲ თავისა თუსისაჲ და ამპარტავანებისა მიერ სხუათა მათ სწორებასა განიშორებდა სიტყუსა მის ძლით, რომელი აღმოთქუა, ვითარმედ: „და *ვინ არს მოყუას ჩემდა*“?[1*]

მაშინ მითხრობისა სახითა ყოველივე კაცთმოყვარებაჲ განგებულებისაჲ წარმოთქუა უფალმან, ესე იგი არს კაცისა იგი სიმაღლით გარდამოსლვაჲ და ავაზაკთა დასხმაჲ და უხრწნელისა მის სამოსლისა განძარცუვაჲ და ცოდვისა იგი წყლულებანი და სიკუდილი იგი ბუნებისა ნახევრისაჲ და სულისა უკუდაებისაჲ და შჯულისა იგი ურგები თანაწარსლვაჲ და მღდელისა და ლევიტელისა უღუაწი იგი გონებაჲ, რამეთუ ვერ ძალ-ედვა სისხლსა ვაცთა და კუროთასა მოსპოლვაჲ ცოდვათაჲ. არამედ მას, რომელმან-იგი ყოველივე კაცობრივი ბუნებაჲ ცომისა მის მიერ ადამეანისა[86] შეიმოსა, რომელსა-იგი შინა იყო ყოველთა ტომთა ნაწილი ჰურიისა და სამარიტელისა და წარმართისა და ყოველთავე კაცთაჲ ერთბამად, რომელი-იგი კორცითა[87] კარაულითა მოვიდა კაცსა მას ზედა ნახევარმწყდარსა და განკურნა იგი და თუსსა მას ზედა კარაულსა იტჯრთა და საკანედ მისა ყო თუსი კაცთმოყუარებაჲ, რომელსა შინა ყოველნი მაშურალნი და ტჯრთმძიმენი განისუენებენ, ხოლო რომელი-იგი მუნ შეევედროს, უეჭუელად შეიწყნარებს მას თავსა შორის თუსსა, რომლისა-იგი შორის მკუდრ იქმნა, რამეთუ

---

85 მისცა C;

86 ადამიანისა C;

87 კორცთა A (A-ში ადგილი არის დატოვებული სიტყვის შიგნით ერთი ასოსთვის).

1* ლუკა 10,29;

ესრეთ თქუა, ვითარმედ: *„რომელი ეგოს ჩემ თანა და მე მის თანა“*.[1•]

შეი[157vb]წყნარებს უკუე თჳსსა სავანესა და განუსუენებს თავსა შორის თჳსსა მას, რომელი-იგი დაუტევნელ არს, რომლისა მიერ მიიხუამს ორთა დრაჰკანთა, რომელ არს სიყუარული ღმრთისაჲ და მოყუსისაჲ.

გარნა ვინაჲთგან არა მსმენელნი შჯულისანი განმართლდებიან წინაშე ღმრთისა, არამედ მყოფელნი,[2•] არა მიხუმაჲ ოდენ ჯერ-არს დრაჰკანთა მათ სარწმუნოებისა ღმრთისა და მოყუსისა სიყუარულისაჲთა, არამედ თავისა მიერცა თჳსისა რასმე შეძინებაჲ საქმეთა მიერ მცნებათა ამათ აღსრულებად.

და ამისთჳს ჰრქუა სადგურისმოღუაწესა მას უფალმან, ვითარმედ ყოვლისავე მოსწრაფებისა მისისა სასყიდელი მეორედმოსლვასა მისსა მიიღოს.

აწ უკუე, რომელი-იგი მოყუას და მახლობელ ჩუენდა იქმნა ესევითარისა ამის კაცთმოყუარებისა მიერ და რომელი-იგი იუდაჲსგან აღმობრწყინვებითა ძმისწულ იქმნა წარმართთა ერისა, ესე არს, რომლისათჳს მიუთხრობს სძალი ქალწულთა.

და ესე არს, რომლისათჳს წმიდაჲ იგი და უხრწნელი სძალი აუწყებს ასულთა იერუსალემისათა და იტყჳს, ვითარმედ: *„ესე არს ძმისწული ჩემი და ესე არს მახლობელი ჩემი, ასულნო იერუსალემისანო“*, რომლისადა იგი ჩუენცამცა მიმთხუეულ ვართ[88] და გჳპოვნიეს უწყებულთა ამათ სახელითურთ და შეტყუებითა მაცხოვრად სულთა ჩუენთა წინამძღურობითა სულისა წმიდისაჲთა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

---

88 მიმთხუელ ვართ] მიმთხუევად ვართ C;

1• ინ. 6,57;

2• რომ. 2,13;

ᲙᲔᲜᲘ XV

სიტყუაჲ ესე:

5,17. ვიდრე წარვიდა ძმისწული შენი, შუენიერო დედათა შორის, ვიდრე მიიმართა ძმისწულმან შენმან? და ვიძიოთ იგი შენ თანა?

6,1. ძმისწული ჩემი შთავიდა მტილსა თჳსსა, წედთა მათ საკუმეველთასა, მწყსად შორის მტილთა, დაკრებად შროშნისა.

6,2. მე — ძმისწულისა ჩემისა და ძმის[158ra]წული ჩემი — ჩემდა, რომელი ჰმწყსი შორის შროშანთა.

6,3. კეთილ ხარ, მახლობელო ჩემო, ვითარცა სათნოებაჲ შუენიერ, ვითარცა იერუსალჱმი, საკჳრველ, ვითარცა დაწესებულნი.

6,4 მიდრიკენ[1] თუალნი შენნი წინაშე ჩემსა, რამეთუ ამათ ფრთოვანმყვეს მე. თმაჲ შენი, ვითრცა სამწყსოჲ თხათაჲ, რომელნი გამოჩნდეს[2] გალადით.

6,5. კბილნი შენნი, ვითარცა არვე მორისულთაჲ, რომელნი აღმოკდეს საბანელით[3]. ყოველნი ორთმსხმელ და ბერწი არა არს მათ შორის.

6,6. ვითარცა საბელი ძოწეული, ბაგენი შენნი, და სიტყუაჲ შენი შუენიერ; ვითარცა ნაქურცენი მრონწეულისაჲ საკეთენი შენნი, გარეშე დუმილისა მაგის შენისა.

6,7. სამეოც[4] არიან დედოფალნი და ოთხმეოც — ხარჭნი და ქალწულნი, რომელთაჲ არა არს რიცხჳ.

6,8. ერთ არს ტრედი ჩემი, სრული ჩემი. ერთ არს დედისა თჳსისა. რჩეულ არს მშობელისა თჳსისა.

რომელი-იგი იწამა, ვითარმედ იყო ქალაქისაგან ანდრეაჲსა და პეტრესა[5], ფილიპე მოციქული, არა ცუდად რაჲმე ითქუა სიტყუაჲ ესე, არამედ სახედ შესხმისა წარმოიჩინა ფილიპესთჳს[6] მოქალაქედ წოდებაჲ

---

1 მიპსდრიკენ C;

2 გამოჩსჩნდეს C;

3 საბანლით C;

4 სამეოც C;

5 პეტრესსა C;

6 ფილიპე C (ყოველთჳის);

ესევითართა მათ ძმათაჲ, რომელნი-იგი საკურველ იქმნნეს სახარებასა შინა და განთქუმულ უწყებისა მის მიერ მათთჳს აღწერილისა. რამეთუ ანდრეას უჩუენა რაჲ წინამორბედმან ტარიგი იგი, ამხუმელი[7] ცოდვათა სოფლისათაჲ, მანცა გულისკმა-ყო საიდუმლოჲ იგი და ჩუენებულსა მას შეუდგა და სადა იყოფოდა[8], ისწავა და თჳსსა ძმასაცა ახარა, ვითარმედ მოვიდა პირველუწყებული იგი შჯულისა მიერ და წინაჲსწარმეტყუელთა. ხოლო მას რაჲ ესმა, ჰრწმენა ყოვლითა სულითა და გონებითა და ესრეთ მკურვალედ შეუდგა უფალსა, ვიდრე თჳთ კმისა მის მიერ საუფლოჲსა მყისსა შინა უმაღლეს და [158rb] უზეშთაეს იქმნა და საღმრთოდ შეიცვალა, რამეთუ სიმონის წილ ეწოდა მას პეტრე და არა ხოლო თუ ეწოდა, არამედ იქმნაცა.

დაღათუ აბრაჰამს[9] და სარრას შემდგომად მრავალთა ჟამთაჲსა და შემდგომად მრავალთა ღმრთისმსხილველობათა უკუანაჲსკნელღა მიეცა კურთხეჲაჲ იგი სახელისაჲ და მთაერად ნათესაჲთა დაიდგინნეს. და ეგრეთვე იაკობს შემდგომად ღამე ყოველ რკინობისა ეწოდა ისრაელ.[10] ხოლო დიდი პეტრე არა შემდგომად მცირედ-მცირედ აღორძინებისა აღიწია მაღლსა მას, არამედ ვითარცა ესმა ძმისაგან და ჰრწმენა ტარიგი იგი ღმრთისაჲ და სრულ-იქმნა სარწმუნოებითა, და კლდისა მის მიერ ცხორებისა კლდედ იწოდა სარწმუნოებისა და იქმნა, ვითარცა ვთქუთ.[11]

ეგრეთვე ფილიპე, თანამოქალაქე იგი ესევითართა ამათ წარჩინებულთაჲ, ვინაჲთგან იქმნა პოვნილ უფლისა, ვითარცა იტყჳს სახარებაჲ, ვითარმედ: *„ჰპოვა იესუ*[12] *ფილიპე“*; მეყსეულად მიდევნებულ სიტყჳსა იწოდა, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: *„მომდეველი მე“*.[1*] და ვითარცა ნათელსა მას ჰეშმარიტსა, მიეახლა, ვითარცა სანთელმან, მიერ მოიღო ზიარებაჲ ნათლისაჲ და განანათლა ნათანაელ და განაბრწყინვა იგი ღმრთისმსახურებისა საიდუმლოჲთა, რამეთუ ჰრქუა მას,

---

7 ალმხმელი C;
8 იყოფოდა C;
9 აბრაამს C;
10 ისრაილ C;
11 ვჰსთქუთ C;
12 იესო C;
1* ინ. 1,43;

ვითარმედ: *„რომელი-იგი დაწერა*[13] *მოსე შჯულსა და წინაჲსწარმეტყუელთა, ჰპოვეთ იესუ*[14] *ნაზარეთით გალილეაჲსაჲთ“*![1*]

ხოლო ნათანაელ[15] გულისკმის-ყოფით ისმინა სახარებაჲ იგი, რამეთუ გამოწულილვით ასწავა მას წინაჲსწარმეტყუელთა მიერ თქუმული იგი საიდუმლოჲ ფილიპე და ჰრქუა, ვითარმედ საღმრთოჲ იგი კორცითა გამოჩინებაჲ ბეთლემით იქმნა პირველად და ვითარმედ ნაზარეთს აღზრდისათჳს ნაზარეველ ეწოდა.[2*]

და ორკერძოვე გულისკმა-უყოფდა და განაზრახვიდა, ვითარმედ დაჲითისთჳს [158va] ბეთლემს შობაჲ უფლისაჲ თანაწარუვალ იყო და უღონო საიდუმლოჲსა მისთჳს ქუაბისა და ბაგისა და სახუეველთა, ხოლო გალილიაჲ, ადგილი იგი წარმართთაჲ[16], მათ თანა დამკჳდრებისა მისთჳს სიტყჳსა განათლდა და იქმნა დასაბამ წარმართთა განათლებისა.

და ესე ყოველი ესრეთ[17] გამოწულილვით ფილიპეს მიერ ისწავა ნათანაელ[18] და მის მიერ იყო იგი განათლებულ, ვინაჲცა განკჳრვებით იტყოდა, ვითარმედ: *„და ნაზარეთით შესაძლებელ არს-ა კეთილისა რაჲსამე ყოფად?“*[3*] მაშინ წინამძღუარ მადლისა მის ექმნა მას ფილიპე და ჰრქუა, ვითარმედ: *„მოვედ და იხილე“*.[4*] ვინაჲცა დაუტევა ნათანაელ ლელჳ იგი შჯულისაჲ, რომლისა აჩრდილი მიფენასა ნათლისასა აყენებდა, და მივიდა მისა, რომელმან-იგი უნაყოფოებისათჳს კეთილთაჲსა განაკმო ფურცელი იგი ლელჳსაჲ.

ამისთჳსცა იწამა სიტყჳსა მიერ, ვითარმედ არა ზაკული არს იგი, არამედ ჭეშმარიტი ისრაიტელი, რომელმან-იგი უზაკუველობაჲ იგი და სიწრფოებაჲ მამათმთავრისაჲ თავსა შორის თჳსსა განცხადებულად გამოაჩინა, ხოლო ამისთჳსცა ღირს-იქმნა სმენად, ვითარმედ: *„ეჰა,*

---

13 დასწერა C;
14 იესო C;
15 ნათანაილ C;
16 ადგილი იგი წარმართთაჲ] წარმართთა ადგილი C;
17 ესე C;
18 ნათანაილ C;

1* ინ. 1,41;
2* ინ. 1,45;
3* ინ. 1,46;
4* ინ. 1,46

ჭეშმარიტი ისრაიტელი, რომლისა თანა ზაკუვაჲ არა არს“.[1]•

ხოლო თუ რომლისა პირისა მიმართ ხედავს დასაბამი ესე დაწყებისაჲ, ვჰგონებ, თუ არა უცნაურ არს გულისკმისმყოფელთა და სწავლულთა მსმენელთაგან შემდგომისა მისგან ქებისა ქებათაჲსა, რომელსა-
5 იგი მოგჳთხრობს ჩუენ, რამეთუ ვითარცა იგი ანდრეა წინამორბედისა კმითა შეუდგა უფალსა, ხოლო ნათანაელ[19] განათლდა ფილიპეს მიერ და აჩრდილსა მას შჯულისასა განეშორა და ჭეშმარიტსა მას ნათელსა შეესაკუთრა, ეგრეთვე ქალწულნი პოვნად მათდა უწყებულისა მის კეთილისა წინამძ[158vb]ღურობასა შეეევედრებიან სულსა მას, სრულქმ-
10 ნილსა სიკეთითა, და ესრეთ ეტყჳან: *„სადა წარვიდა ძმისწული შენი, შუენიერო შორის დედათა, ვიდრე მიიმართა ძმისწულმან შენმან და ვიძიოთ იგი შენ თანა“?*[2]•

ჯეროვნად უკუე ჰკითხვენ მოძღუარსა ქალწულნი იგი სულნი, რამეთუ პირველ ამისა ეტყოდეს, ვითარმედ: *„რაჲ არს ძმისწული შენი,*
15 *შუენიერო დედათა შორის?“* ვინაჲცა ისწავეს რაჲ ზემოთქუმულთა მათ სასწაულთაგან, ვითარმედ: *„მწყაზარ არს და მწითურ“* და შემდგომთა, რომელთა მიერ გამოისახა სახე იგი საძიებელისაჲ, აქა კუალად ეტყჳან, ვითარმედ: *„სადა წარვიდა ძმისწული შენი და ვიდრე მიიმართა?“* რაჲთა უკუეთუ ცნან და ისწავონ, თუ სადა არს, და-
20 ვარდენ და თაყუანის-სცენ ადგილსა მას, სადა დადგეს ფერკნი მისნი და თუ გულისკმა-ყონ, ვიდრე მიიმართა, ესრეთ განჰმზადნენ[20] თავნი თჳსნი, რაჲთა მათდაცა მიჳიდეს და მათცა გამოუჩნდეს დიდებაჲ მისი, რომლისა-იგი გამოჩინებაჲ ცხორება ექმნების გამოჩინებულთა მათ, ვითარცა თქუა წინაჲსწარმეტყუელმან, ვითარმედ: *„გამოაჩინე პირი შენი*
25 *ჩუენ ზედა და ვცხონდეთ“.*[3]•

და მოძღუარიცა, მსგავსად ფილიპესსა, რომელმან-იგი თქუა, ვითარმედ: *„მოვედ და იხილე“*, წარუძღუების ქალწულთა საძიებელისა მის პოვნად და ამის წილ თუ იხილე, ადგილსა უჩუენებს, თუ სადა არს, რომელსა-იგი ეძიებენ. და ეტყჳს, ვითარმედ: *„ძმისწული ჩემი*

---

19 ნათანაილ C;

20 განმზადენ C;

1• იხ. 1,47;

2• ქ.ქ. 5,17;

3• ფსალ. 79,4;

შთავიდა მტილსა თჳსსა წედთა ზედა საკუმეველთასა“.[1*]

ვიდრე აქამომდე, სადა-იგი არს, მოესწავების სიტყჳსა მიერ, ხოლო ამიერითგან, თუ სადა მიიმართა, ანუ თუ სადა ხედავს, უჩუენებს მათ მოძღუარი და ეტყჳს, ვითარმედ: *„მწყსად შორის მტილთა, დაკრებად შრომშნისა“.*[2*]

ქორციელი უკუე და მარტი[159ra]ვი ძალი, ქალწულთა მიმართ მითხრობილი სძლისა მიერ, ესე[21] არს, რომლისა მიერ ისწავეს, თუ ვიდრე მივიდა, ანუ სადა ხედავს, ხოლო განაღა ჯერ-არს უეჭუელად, რაჲთა ღმრთივსულიერთა ამათ სიტყუათა სარგებელიცა გულისკმა-ვყოთ შეტყუებისა მიერ სულიერისა.

აწ უკუე, რაჟამს გუესმის, ვითარმედ: *„ძმისწული ჩემი შთავიდა მტილსა თჳსსა“*, თქუმულთა ამათ მიერ საიდუმლოთა მათ სახარებისა-თა ვისწავებთ, რომელი-იგი თითოეულთა ამათ სახელთა მიერ დაფარ-ულთა მათ სიტყუათა ძალსა გამოგჳცხადებს ჩუენ მის მიერ, რომელი-იგი ჴორცითა გამოგჯჩნდა ჩუენ ღმერთი, რომელი-იგი აღმობრწყინდა იუდაჲსგან და მიეფინა წარმართთა ზედა, რომელნი-იგი სხდეს ბნელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა.

და კეთილად და შუენიერად სახელ-ედების მას ძმისწულად მის მიერ, რომელი-იგი დაეწინდა მას წმიდითა მით და უბიწოჲთა სამარადის-ოჲთა მეუღლებითა, რომელ არს წარმართთა ეკკლესიაჲ, რომელი-იგი იქმნა და ერისა მის ჰურიათაჲსა. ხოლო შთასლვაჲ მოასწავებს იერუ-სალემით[22] იერიქოდ შთასრულსა მას და აჳაზაკთა მიერ მოწყლულსა,[3*] რომლისათჳს იგი თავადიცა გარდამოჴდა, რაჲთა იკსნეს იგი მბრ-ძოლთაგან, რომლისა მიერ მოასწავებს გამოუთქუმელთა მათ სიმაღლე-თაგან სიმდაბლისა ჩუენისა მომართ გარდამოსლვასა.

ხოლო მტილისამიერითა იგავითა ამას ვისწავებთ, რამეთუ მეორედ დაგუნერგავს ჩუენ ჭეშმარიტი იგი მუშაკთმთავარი და ქუეყანისმოქ-მედი, რამეთუ ჩუენ ვართ ნამუშაკევნი მისნი, სიტყჳსაებრ პავლესა.[4*]

და იგი არს, რომელმან-იგი დასაბამსა სამოთხესა შინა მოიმუშაკა

---

21 ესეა A;

22 იეროსალიმით C;

1* ქ.ქ. 6,1;
2* ქ.ქ. 6,1;
3* ლკ. 10,30;
4* I კორ. 3,6;

კაცობრიეი ბუნებაჲ, რომელი-იგი დაჰნერგა მამამან ზეცათამან, ხოლო ვინაჲთგან ეშუმან მაღნარისამან განრყუნა იგი და ბრანგუმან მძუნვარემან მოძოვა იგი — ესე იგი არს საღმრთონი ესე სამოთხენი და ნა[159rb]მუშაკევნი, ამისთჳს გარდამოჴდა, რაჲთა მოოკრებული იგი კუალად აღაშენოს სამოთხედ სათნოებათა და შეამკოს და საღმრთოჲ და წმიდაჲ წყაროჲ მოძღურებათაჲ სიტყუათა მიერ თჳსთა მიჰფინოს და მორწყოს მტილი იგი სამეუფოჲ.

ხოლო ნელსაცხებელთა ფიალნი სახესა მას შინა შუენიერებისასა შემამკობელად ღაწუთა წარმოიჩინნეს, რომელთა მიერ დაწულილდების სულიერი საზრდელი მოზარდულთაჲ. ხოლო აქა ადგილად და საყოფელად სიძისა მოესწავნეს სიტყჳსა მიერ.

და ამას გუასწავებენ ჩუენ, ვითარმედ არცა სათნოებათაგან ოკერსა სულსა შინა დაადგრების სიძე, არცა სულმყრალთა საქმეთა და გულისსიტყუათაგან შებღალულსა, არამედ უკუეთუ ვინმე იყოს ფიალ ნელსაცხებელთა პირველთქუმულისა მისებრ სიტყჳსა,[23] ეგეჳთარი იგი იქმნების ტაკუკ სიბრძნისა და შეიწყნარებს თავსა შორის თჳსსა საღმრთოსა მას და უბრწნელსა ღჳნოსა, რომელი-იგი შემწყნარებელსა მისსა ექმნების სიხარულ.

ხოლო შემდგომი იგი სიტყუაჲ გუასწავებს[24] ჩუენ, თუ ვითართა საძოვართა ზედა განიპოხების სამწყსოჲ იგი კეთილისა მის მწყემსისაჲ, რამეთუ არა უდაბნოთა ოკერთა და ეკლოვანთა ადგილთა მი-მოიყვანებიან ცხოვარნი, რაჲთამცა თივათა რათმე და მდელოთა ბოვდეს უკმართა, არამედ საზრდელად მათდა დაგებულ არს მტილთა შინა ნელსაცხებელი და ნაცვალად თივისა — შროშანი, რომლისათჳს იტყჳს მწყემსისა მიერ საზრდელად ცხოვართა შეკრებასა.

და ესევითარი არს სიბრძნისმეტყუელებაჲ, რომელსა გუასწავებს ჩუენ სიტყუაჲ ესე, ვითარმედ ყოველისამპყრობელი იგი ბუნებაჲ და ძლიერებაჲ, რომელსა ყოველიეე უპყრიეს თავისა შორის თჳსისა, ადგილ და [159va] განსასუენებელ თჳსა ჰყოფს შემწყნარებელთა მისთა სიწმიდესა, რომელთა მიერ მრავალსახე იგი სათნოებათა მტილი მოიმუშაკების და ყუავის ყუავილითა შროშანთაჲთა და აღმოდის ნელსაცხებელთა ნაყოფიერებასა, რამეთუ შროშანნი ბრწყინვალისა და წმიდისა

23 მისებრ სიტყჳსა] სიტყჳსაებრ C;

24 გასწავებს C;

გონებისა სახე იქმნებიან, ხოლო ნელსაცხებელთა სულნელებაჲ ყოველისავე ცოდვათა სიმყრალისაგან უცხო-ყოფასა მოასწავებს.

ამათ მიერ უკუე იტყჳს პირმეტყუელთა სამწყსოთა მწყსასა და ძოვნასა სიტყჳსა მიერ და გამოზრდად ცხოვართა კრებასა და შეკრებასა შროშანთასა, რომელსაცა დაუგებს ცხოვართა დიდი პაელე, რომელი- 5
იგი დიდისა მისგან საუნჯისა წინა-მიყოფს ჩუენ საზრდელსა, ესე იგი არს: *„რაოდენი არს ჭეშმარიტ, რაოდენი — წმიდა, რაოდენი — მართალ, რაოდენი — პატიოსან, რაოდენი — სიყუარულ, რაოდენი — საქებელ, რაოდენი — სათნო და ქებულ“*.[1*] ესე არიან, ვითარ ჩემი სიტყუაჲ ჰგონებს, შროშანნი იგი, რომელთა მიერ გამოიზარდებიან სამ- 10
წყსონი კეთილისა მის მიერ მწყემსისა და მოძღურისა.

და შემდგომიცა იგი სიტყუაჲ ვისმინოთ, რომელსა იტყჳს წმიდაჲ იგი და შეუგინებელი სძალი: *„მე — ძმისწულისა ჩემისა და ძმისწული ჩემი — ჩემდა“*.[2*] რამეთუ კანონი არს და საზღვარი სათნოებათა სისრულისაჲ და ამას გუასწავებს, ვითარმედ არა ჯერ-არს, რაჲთა თჳ- 15
ნიერ ღმრთისა სხუაჲ რაჲმე ვის აქუნდეს[25] ყოვლადვე.

და ნუცამცა რას ვინ სხუასა განიცდის რაჲთურთით, ნუცამცა რას ხედავს განწმედილი სული თჳნიერ ღმრთისა, არამედ ესრეთ განწმიდე თავი თჳსი ყოვლისაგან ნივთიერისა საქმისა და გულისზრახვისა, რაჲთა ყოველით კერძო და ყოვლითურთ უსხეულოსა და უნივთო- 20
სა შეესაკუთროს და ბრწყინვალედ სახედ პირმშოჲსა მის ხატისა თავი თჳსი [159vb] გამოაჩინოს, ვითარცა-იგი უკუეთუ ვინ იხილოს ფიცარსა ზედა გამოწერილი სახე პირმშოჲსა რაჲსმე ხატისაჲ, ყოვლითურთ მსგავსი და უცვალებელი, და განაჩინის, ვითარმედ ორთავე ხატი ერთ არს ჭეშმარიტად; და ხატისა მის შუენიერებასა პირმ- 25
შოჲსად იტყჳნ პირმშოჲსა მისთჳს, იტყჳნ, ვითარმედ მსგაესებასა მას შინა იხილვების ყოველითურთ ეგრეთვე სახედ, რომელი იტყოდის: *„მე — ძმისწულისა ჩემისა და ძმისწული ჩემი — ჩემდა“* — თჳსისა სიკეთისა თანახატ-ქმნად ქრისტესა მოასწავებს და პირველსა მას ნეტარებასა ბუნებისა ჩუენისასა მიმღებელად თავსა თჳსსა გამოაჩინებს 30
და ხატად და მსგავსად პირმშოჲსა მის მხოლოჲსა ჭეშმარიტისა

---

25 ქონდეს C;

1* ფილიპ. 4,8;
2* ქ.ქ. 6,2;

შუენიერებისა.

და ვითარცა-იგი სარკისა მიერ განწმედილისა იხილვების, რაჟამს ქელოვნებით ვინ იგულებნ[26] პირსა თჳსსა და შთახედვითა მით სარკისაჲთა შუენიერად და გამოწულილვით განიშუენის თავი თჳსი და შეამკვის ხატი პირისა თჳსისაჲ, ეგრეთვე სულმან, რაჟამს ყოველივე ნივთიერი და ამაოჲ ნივთი განაგდოს და უხრწნელისა მის შუენიერებისა სიკეთე თავსა შორის თჳსსა გამოსახოს, ეგევითარი იგი სიტყჳერი და სულიერი სარკე შემძლებელ არს აღმოთქუმად კმისა ამის, ვითარმედ: ვინაჲთგან მე ყოველსავე სახესა ძმისწულისა ჩემისასა თავსა შორის ჩემსა ვხედავ, ამისთჳსცა ყოველივე იგი სიკეთე მისი ჩემს შორის იხილვების.

ამათ კმათა მიემსგავსებოდა ჭეშმარიტებით პაელე და იტყოდა, ვითარმედ: „*ღმრთისა ცხოველ არს, რომელი-იგი მკუდარ იყო სოფლისა*“[1•] და ვითარმედ: „*ცხოველ არს ქრისტე მის შორის*“,[2•] რამეთუ რომელმან-იგი[27] თქუა,[28] ვითარმედ: „*ჩემდა ცხორება*[29] *ქრისტე არს*“;[3•] ესრეთ იტყჳს, ვითარმედ არარაჲ კაცობრივთა და ნივთიერთა ვნებათაჲ ცხოველ არს მის შორის, არცა გულისთქუმაჲ, არცა მწუხარებაჲ, არცა გულისწყ[160ra]რომაჲ, არცა შიში, არცა მოშიშებაჲ, არცა სილაღე, არცა თაყჳედობაჲ, არცა ძჳრისკსენებაჲ, არცა შური, არცა ბოროტის მიმგებელი ნებაჲ, არცა საკმართმოყუარებაჲ, არცა დიდებისმოყუარებაჲ, არცა პატივისმოყუარებაჲ, არცა სხუაჲ რაჲმე სულისა შემაგინებელთა საქმეთაგანი, არამედ ვითარმედ იგი ხოლო არს ჩემი, რომელი ამათგან უცხო არს, რამეთუ ყოველი, რომელი ბუნებასა შინა მისსა არა იხილვების, ეგევითარი იგი განმიშორებიეს და განმიგდიეს, და რომელი მის თანა არა არს, არარაჲ მაქუს ეგევითარი. ამისთჳსცა „*ჩემდა ცხორება ქრისტე არს*“.[4•]

და ერთ არს ესე კმასა მას თანა სძლისასა, ესე იგი არს, ვითარმედ:

---

26 იგულვებნ C;
27 რომელნი-იგი C;
28 ჰსთქუა C;
29 ცხოვრება C;

1• რომ. 6,10;
2• გალ. 2,20;
3• ფილიპ. 1,21;
4• ფილიპ. 1,21;

„მე — ძმისწულისა ჩემისა და ძმისწული ჩემი — ჩემდა“,[1*] რომელი-ი-გი არს სიწმიდე და უბიწოებაჲ და უხრწნელებაჲ და ნათელი და ჭეშმარიტებაჲ და ყოველივე ესევითარი, რომელი-იგი მწყსის სულსა ჩემსა და ზრდის არა თივითა რაჲთმე და ქარქუეტითა, არამედ ბრწყინვალებითა წმიდათაჲთა, რამეთუ ბუნებაჲ შროშნისაჲ ბრწყინვალებითა ფერისაჲთა ესევითარსა ძალსა გულისკმა-გუყოფს, ვინაჲცა ველთა შროშნისათა აძოებს[30] სამწყსოთა თჳსთა, რომელი-იგი მწყსის შროშანთა შორის, რაჲთა მიეფინოს ნათელი უფლისა ღმრთისაჲ მათ ზედა[2*], რამეთუ სახე იგი საზრდელისაჲ თჳსისა აგებულებისა წესსა მისცემს გამოზრდითა მით.

ხოლო შენ მოიგონე სახედ ამისა ჭურჭელი რაჲმე ჭიქისაჲ, რომელ-სა შინა ყოველივე შთასრული ჩანს,[31] ვითარცა რაჲ იყვის[32], გინა თუ მელანი, გინა თუ ბრწყინვალეთაგანი რაჲმე და წმიდათაჲ, ვინაჲცა, რომელმან ბრწყინვალებაჲ შროშნისაჲ სულსა შინა თჳსსა შეიწყ-ნაროს, განაბრწყინვებს იგი მის მიერ სულსა თჳსსა და შინაგან მყოფი იგი სახე მისი გარეთ საცნაურ იქმნების და რაჲთა უმეტესად ცხად იქმნეს, ესრეთ გულისკმა-ყავ [160rb]:

იზარდების[33] უკუე სული სათნოებათა მიერ და სათნოებათა იგავი შროშნად სახელ-ედების, რომელთაგან უკუეთუ ვინმე კეთილად მო-ქალაქობითა განძლეს, ცხად-ჰყოფს ცხორებისა მიერ და წესიერებისა სახესა თავსა შორის თჳსსა.

შროშან წმიდა არიან სიწმიდე და სიმართლე და სიმკნე და გონიერე-ბაჲ და ყოველნივე იგი კეთილნი, რომელთა იტყჳს მოციქული: *„და რაოდენი არს ჭეშმარიტ,[34] რაოდენი — პატიოსან და რაოდენი — მარ-თალ, და რაოდენი — უბიწო და რაოდენი — საყუარელ და რაოდენი — საქებელ და რაოდენი — სათნო და რაოდენი — ქებულ“.*[3*]

რამეთუ ესე ყოველნი რაჲ სულსა შინა დაემკჳდრნენ, წმიდასა

---

30 აძოვებს B;
31 ჰსჩანან C;
32 იყოს C;
33 იზრდების C;
34 ჭეშმარიტი C;

1* ქ.ქ. 6,2;
2* ფსალ. 89,17;
3* ფილიპ. 4,8;

და უბიწოსა ცხორებასა წარმოაჩენენ მის მიერ და განაშუენებენ და შეამკობენ მომგებელსა მათსა. და ესე ყოველნი განშუენდებიან მომგებელისა მის მიერ.

აწ უკუე, რომელმან-იგი შეჰვედრა თავი თჳსი საყუარელსა თჳსსა და შუენიერებაჲ მისი შეიწყნარა სულსა შინა თჳსსა, თუ ვითართა ნიჭთა ღირს-იქმნების მის მიერ, რომელი-იგი ადიდებს მადიდებელთა თჳსთა, ვისმინოთ შემდგომებისაგან წინამდებარეთა ამათ სიტყუათაჲსა, რამეთუ ესრეთ იტყჳს სძლისა მიმართ სიტყუაჲ: *„კეთილ ხარ, მახლობელო ჩემო, ვითარცა სათნოებაჲ; შუენიერ, ვითარცა იერუსალმი,*[35] *საკჳრველ, ვითარცა დაწესებულნი“*,[1*] რამეთუ დიდებაჲ ზეცისა მჴედრობათა მიერ შეიწირვის ღმრთისა მაღალთა შინა კაცთა შორის სათნოებისათჳს სასმენელისაგან მწყემსთაჲსა.[2*] ვისწავეთ, ვითარცა იტყჳს სახარებაჲ. რაჟამს-იგი იხილეს მშჳდობაჲ ქუეყანასა ზედა შობილად და რამეთუ ქალაქი არს მეუფისა დიდისაჲ იერუსალემი[36], თჳთ წამებს[37] თავადი უფალი.

და თუ რაბამსა შუენიერებასა სძლისასა წამებენ[38] სიტყუანი ესე სათნოე[160va]ბასა თანა და იერუსალემსა[39] შეტყუებითა მისითა, არა უცნაურ არს გონიერთაგან, რამეთუ ვინაჲთგან ესევითარსა სიმაღლესა აღიწია ძალითიძალად აღმაღლებითა[40] სათნოებათა მიერ სული იგი ღმრთისმოყუარე, ვიდრეღა ღმერთსა შეეყო და ღმრთისა სამკჳდრებელად გამოჩნდა, ამისთჳს საკჳრველებათა მათცა საუფლოთა განკუთნვასა ღირს-იქმნების.

რამეთუ ღმერთი იგი, რომელი მაღალთა შინა წიაღთა მამისათა მყოფი[41] იყო, სათნოებისათჳს კაცთაჲსა კორცთა და სისხლთა ეზიარა, რაჲთა გამოჩნდეს[42] ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ ჩუენი.

---

35 იერუსალიმი C;
36 იერუსალიმი C;
37 ჰსწამებს C;
38 ჰსწამებენ C;
39 იერუსალიმსა C;
40 ამაღლებითა C;
41 მყოფ C;
42 გამოჰსჩნდეს C;

1* ჭ.ჭ. 6,3;
2* ლუკა 2,14;

აწ უკუე, რომელმან-იგი სათნოებასა მას საუფლოსა თჳსი შუენიერებად ამსგავსა, ცხად არს, რამეთუ ქრისტესა ემსგავსა იგი სათნოებითა და ვითარცა-იგი ქრისტე, ექმნა ბუნებასა კაცთასა.

ეგრეთვე იგი ექმნების სჯუათა, ვითარცა-იგი ქრისტეს მობაძავი პავლე იქმოდა, რომელმან-იგი თჳსი ცხორებად წარიწირა, რაჲთა თჳსითა მით ზღუევითა ცხორებად მოატყუას ისრაელთა, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: *„ვილოცევედ შეჩუენებულ-ყოფად თავსა ჩემისა ქრისტესგან ძმათა ჩემთათჳს და ნათესავთა ჩემთა კორციელად“*,[1*] რომლისა-იგი მიმართ ჯეროვან არს თქუმად სიტყჳუთა მათ სძლიასათა, ვითარმედ: ესევითარი არს შუენიერებაჲ სულისა შენისაჲ, ვითარცა-იგი სათნოებაჲ მეუფისაჲ იქმნა ჩუენთჳს, *რომელმან-იგი თავი თჳსი დაიმდაბლა და ხატი მონებისაჲ*[43] *მიიღო*[2*] და მისცა თავი თჳსი საკრძალ ცხორებისათჳს სოფლისა, და *მდიდარი იგი ჩუენთჳს დაგლახაკნა, რაჲთა ჩუენ ვცხონდეთ*[44] *სიკუდილითა მისითა და საგლახაკოთა მისითა განვმდიდრდეთ*[3*], და ხატითა მით მონებისაჲთა მეუფე ვიქმნეთ.

და ამასვე ესევითარსა სიმაღლესა შუენიერებაჲ იერუსალემისა წარმოაჩინებს, რომელ არს ზეცათა იერუსალემი[45], აზნაური იგი და[46] [160vb] დედაჲ აზნაურთაჲ, *რომელი-იგი არს ქალაქი მეფისა დიდისაჲ*,[47;4*] ვითარცა თქუა[48] უფალმან.

რამეთუ რომელმან შეიწყნაროს თავსა შორის თჳსსა დაუტევნელი იგი, რაჲთა დაემკუდროს და ვიდოდის[49] მის შორის ღმერთი და შუენიერებითა მით მის შორის დამკუდრებულისაჲთა განშუენდეს, ეგევითარი იგი ზეცათა იერუსალემ[50] იქმნების და შუენიერებასა მისსა

---

43 მონისაჲ C;
44 ვსცხოვნდეთ C;
45 იერუსალიმი C;
46 და]-C;
47 დიდისა BC;
48 ჰსთქუა C;
49 ვიდოდეს C;
50 იერუსალიმ C., იწლიმ B;

1* რომ. 9,3;
2* ფილიპ. 2,7;
3* II კორ. 8,9;
4* მთ. 5,35;

თავსა შორის თჳსსა შეიწყნარებს. ხოლო სიკეთე დიდისა მის მეფისა ქალაქისაჲ და შუენიერებაჲ რაჲმცა[51] იყო სხუაჲ, გარნა სიკეთე იგი უსაზღუროჲ და შუენიერებაჲ მეფისაჲ. და რამეთუ ჭეშმარიტად იგი არს, სიტყჳსაებრ წინაჲსწარმეტყუელისა, შუენიერებაჲ და სიკეთე, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ შუენიერებითა შენითა და სიკეთითა შენითა და გარდააცუ[52] და *„წარემართე და სუფევედი ჭეშმარიტებისა-თჳს და სიმართლისა და სიმშჳდისა“*,[1•] რამეთუ ამათ მიერ გამოისახვის საღმრთოჲ[53] სიკეთე, რომელ არს ჭეშმარიტებაჲ და სიმართლე და სიმშჳდე.

და სული, რომელი ესევითართა სიკეთეთა მიერ გამოისახოს, შუენიერ იქმნების იგი, ვითარცა იერუსალჱმი[54], და შუენიერებითა მეუფისაჲთა შეიმკობვის.[55]

და ესე შესხმაჲ ცხად არს, რამეთუ სძლისა ზედა სრულ-იქმნების და შესამკობელად მისდა წარმოჩენილ არს; ესე იგი არს სათნოებაჲ და შუენიერებაჲ იერუსალჱმისაჲ შეტყუებითურთ, ხოლო შემდგომი იგი სიტყუაჲ უწყი, რამეთუ შესხმაჲვე არს სძლისაჲ.[56]

ხოლო ძალი, თუ ვითარ შეინელების ეგევითარი იგი შესხმაჲ, ანუ თუ ვითარ შეამკობს მის შესხმისა[57] ღირსქმნულსა მას სულსა, არა ადვილ[58] არს საპოვნელ, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„განსაკრთომელ, ვითარცა დაწესებულნი“*, გარნა თუ ვინმე პირველ შეტყუებულთა მათ შესხმათა იპყრას გზად და თქუას[59], ვითარმედ: ზეცათა მჴედრობისა და უკორცოჲსა მის ბუნებისა მათისა შესწორებითა შეასხამს სძალსა [161ra] სიტყუაჲ და მიბაძვითა მათითა აღამაღლებს და ადიდებს, რამეთუ იგინი არიან დაწესებულნი ძალნი, სადა-იგი კელმწიფებანი სამარადისოდ ჰგიან კელმწიფებასა ზედა და უფლებათა იგი უფლებაჲ

---

51 რაჲმე BC;
52 გუარდააცუ A;
53 საღმთოჲ C;
54 იერუსალიმი C;
55 შეიმკობის C, შეიმკვობის A;
56 სძლისაჲ A;
57 შესხმულსა C;
58 ადვილად C;
59 ჰსთქუას C;

1• ფსალ. 44,5;

უცვალებელ არს და მდგომარე არიან მტკიცედ საყდარნი და დაუმონებელად ჰგიან მთავრობანი და აკურთხევენ ღმერთსა დაუცხრომელად ძალნი და ფრინვაჲ იგი სერაბინთაჲ[60] არა დასცხრების, დადგომაჲ არა იცვალების და ქერობინთა[61] უპყრიეს მაღალი იგი და აღმატებული საყდარი და ესე არს საქმე მათი სამარადისოდ და მსახურნი იგი, რომელნი იქმან საქმეთა და ისმენენ სიტყუათა, არაოდეს დასცხრებიან მსახურებისაგან.[1*]

და ვინაჲთგან ქელმწიფებანი ესე ღმრთისა მიერ დაწესებულ არიან და წესნი გონიერთა მათ და ზეცისა ძალთანი შეურევნელად ჰგიან მარადის და არცა ერთი სიბოროტე შესცვალებს წესიერებასა მათსა, ამისთჳს მობაძავი იგი მათი სული ყოველსაჲე წესიერად და შუენიერად აღასრულებს და ამის მიერ ესეეითარსა საკურველებასა მოიტყუებს, ვითარ-იგი არს ძალთა მათ შორის დაწესებულთა, რამეთუ განმაცუბრებელად[62] ითარგმანების ძალი განკრთომისაჲ.

ხოლო უკუეთუ ვინმე განკრთომაჲ საკურველებად გულისკმა-ყოს[63], არა სცთეს.[64] ხოლო შემდგომი იგი სიტყუაჲ საეჭუელ-ჰყოფს პირთა, რომელთაგან თქუმულ არს და რომლისა მიმართ თქუმულ არს. ესე იგი არს, ვითარმედ:

„მიდრიკენ თუალნი შენნი წინაშე ჩემსა, რამეთუ ამათ ფრთოვანმყუეს მე“.[2*]

რამეთუ რომელთამე ჰგონეს, თუ მეუფისა მიმართ[65] ითქუნეს ესე, სძლისა[66] მის მიმართ და სულისა უბიწოჲსა, ხოლო მე ვიტყჳ, ვითარმედ ესე სიტყუანი მათი მას მიაჩემებს თქუმულთა ამათ და რაჲ-იგი გულსა მომიკდა, შემოკლებულად [161rb] მიგითხრა, რამეთუ მასმიეს მრავალგზის ღმრთიესულიერთა წიგნთაგან საბელი ფრთეთა საღმრთოთაჲ, რამეთუ ოდესმე იტყჳს: *„საფარველსა ფრთეთა შენთასა დამი-*

---

60 სერაფიმთა C;
61 ხერუვმთა C;
62 განმაცუფრებელად C;
63 გულისხა-ჰყოს C;
64 ჰსცთეს C;
65 მიმართ] მიერ C;
66 ჰსძლისა C;

1* ფსალ. 102,21;
2* ქ.ქ. 6,4;

ფარო მე“[1*] *და ეითარმედ: „საგრილსა ფრთეთა მისთასა ესვიდე“*.[2*]

და კუალად მოსე დიდსა მას გალობასა შინა თჳსსა მასვე სახესა მოასწავებს და იტყჳს, ვითარმედ: *„განყვნა*[67] *ფრთენი თჳსნი და შეიწყნარნა იგინი“*.[3*]

და უფლისა მიერ იერუსალიმისათჳს[68] თქუმული უფლისაჲ, ვითარმედ: *„რაოდენგზის ვინებე შეკრებაჲ შვილთა შენთაჲ, ვითარცა სახედ ფრინველმან შეიკრიბნის*[69] *მართუენი თჳსნი ქუეშე ფრთეთა თჳსთა“*.[4*]

და უკუეთუ ვინმე შეწყობაჲ ძალისაჲ გულისჴმა-ყოს, არა შეუტყუებელად შეჰრაცხოს[70] თქუმული ესე შემდგომებისაგან.[71]

და უკუეთუ გამოუთქუმელითა რაჲთმე[72] გულისჴმის-ყოფითა ფრთეთა აჩემებს სალმრთოჲსა ბუნებასა წმიდაჲ წერილი და რამეთუ პირველი დაბადებაჲ ჩუენი ხატად ღმრთისა დაიბადა, ბუნებაჲ ჩუენი დაამტკიცებს და ესე ცხად არს, რამეთუ ხატებად იგი იწოდების, რომელი ყოვლითურთ უნაკლულო იყოს პირმშოჲსა მის ხატისაგან და უკუეთუმცა პირმშოჲ იგი ხატი ფრთოვან იყო, ფრთოვან ვიდრემემცა იყო კაცობრივიცა ბუნებაჲ, რაჲთამცა ფრთეთა მიერცა აქუნდა სალმრთოჲ მსგავსებაჲ.

გარნა ცხად არს, რამეთუ ფრთეთა სახელი სახისმეტყუელებითა რაჲთმე იგავითითა ღმრთივშუენიერად რადმე[73] გულისჴმის-ყოფად ჯერ-არს შეცვალებად, ესე იგი არს ძლიერებად და ნეტარებად და უხრწნელებად[74], რამეთუ ესევითართა ამათ დიდებათა საღმრთოთა ეწოდა სახელითა ფრთეთაჲთა.

---

67 განჰყუნა C;
68 იერუსალიმისათჳს C;
69 შეკრიბნის C;
70 შერაცხოს C;
71 შემდგომებისა C;
72 რაჲთამე C;
73 ღმრთივშუენიერად რადმე] ღ˜თივშუენიერადმე C;
74 უკრწნელებად C;

1* ფსალ. 16,8;
2* ფსალ. 35,8;
3* II სჯ. 32,11;
4* მთ. 23,37;

და ესე ყოველი კაცისა თანა იხილვებოდა, ვიდრემდის ეგო საღმრთოსა მას შინა ხატოვნებასა,[75] ხოლო მისა შემდგომად ბოროტისა მიმართ მიდრეკამან ესევითარნი ესე ფრთენი მიგუპარნა, რამეთუ ვინაჲთგან გარეშე საფარველისა ფრთეთა საღ[161va]მრთოთაჲსა ვიქმნენით, თჳსთაცა ფრთეთაგან განვშიშულდით.

და ამისთჳს გამოჩნდა[76] მადლი იგი ღმრთისაჲ განმანათლებელად ჩუენდა, რაჲთა უვარ-ყოთ[77] ყოველი უღმრთოებაჲ[78] და კორციელნი გულისთქუმანი და სიწმიდისა და სიმართლისა მიერ კუალად ფრთოვან ვიქმნენთ.[1*]

და უკუეთუ ესე ჭეშმარიტებისაგან არა უცხო არს, ჯეროვან სამე იყოს სძლისაგან[79] აღსაარებად[80] მის ზედა ქმნილი მადლი, საღმრთოჲთა მოხედვითა მოფენილი,[81] რამეთუ ვითარცა მოიხილა ჩუენ ზედა ღმერთმან კაცთმოყუარებისა თუალითა და ჩუენცა პირველისავე მის მადლისა მიმართ ფრთოვან ვიქმნენთ[82], და ამისთჳს ილოცვიდა დავით და იტყოდა, ვითარმედ: *„და თუალთა შენთა იხილედ სიწრფოებაჲ ჩემი, რამეთუ გამოსცადე გული ჩემი და განიხილე ღამე, გამომაკურვე მე და არა იპოვა ჩემ თანა სიცრუჱ“*[2*] და ესე ორივე ერთ არს, ვითარმედ: *„თუალთა შენთა იხილედ სიწრფოებაჲ“*[3*] და ვითარმედ: *„თუალნი შენნი მიდრიკენ წინაშე ჩემსა“*,[4*] რამეთუ რომელი წიფელსა ხედვიდეს, გულარძნილსა არა იხილავს და რომელმან გულარძნილი არა იხილოს, უეჭუელად წიფელსა იხილავს და წინააღმდგომისა მის კერძოჲსა მოსპოლვაჲ კეთილთა ხილვასა ცხად-ჰყოფს საღმრთოთა მათ თუალთასა, რომელთა მიერ ფრთოვან იქმნების სული ურჩებისა

---

75 ცხოვრებასა C;
76 გამოჰსჩნდა C;
77 უარ-უჰყოთ C;
78 უღვთოებაჲ C;
79 ჰსძლისაგან C;
80 აღსარებად C;
81 მოფენილი] ქმნილი C;
82 ვიქმნეთ C;

1* ტიტ. 2,12;
2* ფსალ. 16,2-3;
3* ფსალ. 16,2;
4* ქ.ქ. 6,4;

მისთჳს პირველშექმნულისა, უცხოქმნული ფრთეთაგან, რამეთუ რაჟამს თუალთა საღმრთოთა მოიხილონ ჩუენ ზედა, არღარა იხილონ[83] წინააღმდგომთა რათმე და უჯეროთა საქმეთა თუალნი ჩუენნი.

და ესრეთ ფრთოვან ვიქმნებით კუალად და აღვიხუამთ სათნოებათა მიერ ფრთეთა, ვითარცა ტრედისათა, და აღვფრინდებით და განვისუენებთ განსასუენებელსა მას, რომლითა-იგი განისუენა ღმერთმან საქმეთაგან თჳსთა.

და კუალად ამისა შემდგომად იწყებს შემოსლვად შე[161vb]სხმაჲ სძლისა შუენიერებისაჲ, რომელსა-იგი თითოეულად შემსგავსებულითა რაჲთმე სახისმეტყუელებითა წარმოიტყჳს სიტყუაჲ, რამეთუ აქებს შუენიერებასა თმათა მისთასა და მწყობრსა კბილთასა და ყუავილსა ბაგეთასა და სიტკბოებასა კმისასა და ფეროვნებასა ღაწუთასა.

და თითოეული[84] შესხმაჲ შეტყუებითა რაჲთმე ჯეროვანითა[85] სრულიქმნების, რამეთუ თმანი არვესა თხათასა მიემსგავსნეს, რომელნი-იგი გამოჩნდეს გალადით, ხოლო სამწყსონი — ცხოვართა მორისულთანი, საბანელით აღმოსრულნი, მოხარულნი ორთმშობელობისათჳს — ქებასა კბილთასა სრულ-იქმან მსგავსებითა და ძოწეულსა საბელსა ემსგავსებიან ბაგენი და ფეროვნებაჲ მროწეულისაჲ ღაწუთა შეამკობს.

ხოლო სიტყუანი იგი ესრეთ ითქუმიან, რამეთუ იტყჳს: *„თმანი შენნი, ვითარცა არვე თხათაჲ, რომელნი გამოჩნდეს გალადით; კბილნი შენნი, ვითარცა სამწყსოჲ მორისულთაჲ, რომელნი აღმოვიდეს საბანელით; ყოველნივე ორთმსხმელ და ბერწი არა არს მათ შორის. ვითარცა საბელი ძოწეული, ბაგენი შენნი, და სიტყუაჲ შენი შუენიერ; საკეთენი შენნი, ვითარცა ნაჭურცენი მროწეულისაჲ, გარეშე დუმილისა მაგის შენისა“*.[1*]

ამათ ყოველთა შეტყუებაჲ ზემო წარმოგჳთქუამს და ვჰგონებ, თუ ნამეტნავ არს მათვე სიტყუათა კუალად წარმოთქუმაჲ და საწყინოდ გაკდაჲ სიტყჳსაჲ. ხოლო უკუეთუ[86] ვინმე მათვე სიტყუათა წარ-

---

83 იხილვენ C;

84 თჳთოეული B;

85 ჯეროვნითა C;

86 უკეთუ C;

1* ქ.ქ. 6,4-6;

მოთქუმად გუაწყენდეს[87], მათთჳს, რომელნი-იგი ვერ დახუდეს პირველთა მათ სმენასა, არა დავიცონოთ სულ მცირედ წარმოთქუმაჲ მათი.

ყოვლისავე გუამისა განთჳსებული წესი უპყრიეს თმათა. რამეთუ ყოველივე გუამი[88] გრძნობითა რაჲთმე განეგების, რომელსა თჳნიერ ცხორებაჲ შეუძლებელ არს, რამეთუ კორცთა ცხორებაჲ გრძნობაჲ არს, და თმათა ხოლო ვხედავთ, რამეთუ ნაწილნი[162ra]ცა არიან გუამისანი და უცხოცა[89] არიან გრძნობისაგან და ესრეთ საცნაურ-ჰყოფენ ამას, რამეთუ არცა დაწუვითა, არცა აღპარსვითა ელმის მათ მსგავსად სხუათა ასოთაჲსა.

და ვინაჲთგან პავლეს კმისაებრ: *„დიდება დედაკაცისა არს თმაჲ და განთხზჳისა მიერ შეამკობს თავსა“*,[1*] ვისწავებთ ქებისა მის მიერ სძლისა თმათაჲსა, ვითარმედ თანა-აც მათ, რომელნი-იგი თავსა სძლისასა იხილვებოდინ, რომელთა მიერ ეკლესიაჲ იდიდების, რაჲთა უაღრეს[90] იყუნენ[91] გრძნობისა საცნობელთაჲსა და დაჰფარვიდენ სიბრძნით გრძნობასა, ვითარცა წერილ არს იგავთა, ვითარმედ: *„ბრძენთა დაიფარიან გრძნულებაჲ“*,[2*] რომელთა-იგი არცა საბილველნი იქმნებიან სამშჯავრო კეთილისა, არცა გემოჲსხილვითა გამოირჩევის კეთილი, არცა საყნოსელნი, არცა შეხებაჲ და არცა სხუასა რომელსამე საცნობელსა ერწმუნების გამოცნობაჲ კეთილისაჲ, არამედ ყოველთავე საცნობელთა მოაკუდინებენ და სულისა მიერ ხოლო და გონებისა ხილულთა მათ კეთილთა შეეხებიან და გული-უთქუამს.

და ესრეთ იქმნებიან დიდება ეკლესიისა, რომელი-იგი გამოისახვის საბითა დედაკაცისაჲთა. და არცა პატივთათჳს განლაღდებიან,[92] არცა შესაწუხებელთათჳს სულმოკლებითა[93] შეიწრდებიან, არამედ დაღაცათუ დაჭრაჲ ჯერ-იყოს ქრისტეს სარწმუნოებისათჳს, გინა თუ ცეცხლსა, გინა თუ მკეცთა მითხევაჲ, ანუ თუ სხუათა რათმე მწუხარებათა

---

87 გუაწყენდენ C;
88 გუმაჲი A;
89 უცხონიცა C;
90 უღრეს A;
91 იყუნეს C;
92 განლაღნებიან C;
93 სულმოკლებით C;

1* I კორ. 11,15;
2* იგ. 10,14;

მოთმენაჲ, უგრძნულებასა თმათასა აჩუენებენ.

ესევითარი იყო ელია, რომელი-იგი გალადით გამოჩნდა, ფაჩუნიერითა და განკმელითა კორცითა და ტყავითა თხისაჲთა დაბურვილი, რომელი-იგი ყოველისავე მძლავრთა შინებისაგან ეგო შეუძრწუნებელად; და ყოველთავე, რომელთაცა[94] მსგავსად საწინაჲსწარმეტყუელოჲსა აზოვნებისა ყოველისავე მსოფლიოსა საქმისაგან თავნი თუსნი განაშორნა[95] და ნაკლულევანნი და ჭირვეუ[162rb]ლნი და ძურხილულნი მთათა შინა და ქუაბთა და კურელთა ქუეყანისათა ცხოვნდებოდინ,[96] რომელთა ღირსვე არა იყოს სოფელი ესე,[1*] ესევითარნი იგი არვეულად თავისა მის შორის ყოველთაჲსა იხილვებიან და სამკაულ იქმნებიან ეკლესიისა და ზეცათა სიხარულისა მიმართ გალააღელისა მის თანა ამაღლდებიან.

ხოლო რამეთუ თხათა ცხოველი საქებელად[97] თმათა განიკუთნა, ნუუკუე და ამისთუსცა, რამეთუ ბუნებაჲ ამის ცხოველისაჲ მარჯუე არს აღმოცენებად თმისა და რაჲთა ამისცა პირისათუს იქმნეს იგავ თმათა სამკაულისა და კუალად რამეთუ შეუბრკოლებელად ვალს კლდეთა ზედა და თხემსა ზედა მთათასა იქცევის და ძნიად სავალთა და ფიცხელთა ადგილთა კაძნიერებით ვალს.

და ესე ყოველი კეთილად მოეზავების, რომელნი-იგი ფიცხელსა მას სათნოებათა სრბასა წარჰმართებენ,[98] და ნუუკუე და ამისთუსცა, რამეთუ მსახურებასა შინა შჯულისასა მრავალთა სამსახურებელთათუს საქმრად[99] შემოღებულ არს შჯულისმდებელისა მიერ ცხოველი ესე და რაჲთა ამის მიერცა ღირს-იყოს იგი ქებად თავისა.

და კუალად ვიცი იგავთაცა შინა ოთხთა მათ შორის კეთილად წარმართებულთა ერთად ესე აღრაცხილად, ესე იგი არს ვაცი წინამძღუარი თხათაჲ.

და რომელსა ამისთუს გულისკმა-ვჰყოთ, ესევითარი არს:

---

94 ყოველთავე, რომელთაცა] ყოველივე, რ˜ითაცა C;

95 განაშორნენ C;

96 ცხონდებოდინ C.

97 საქებად C;

98 წარმართებენ C;

99 საკმარად C;

1* ებრ. 11,37-38;

ყოველივე საქმე, ერთისა მიერ დაწყებული, მრავალთა მიმართ მიეფინების; ვითარცა-იგი მჭედლობისა მომპოვნებელად თობელს უწოდა წიგნმან და ყოველთავე შემდგომთა მისთა და რკინისსაქმისა კელმყოფელთა მისსა მიმართ აღიყვანებს კელოვნებასა, ეგრეთვე მწყემსობისა წინამძღუარ იქმნა აბელ და კაინ – ქუეყანისმოქმედებისა და ნებროთ – ნადირობისა და ნოე – ვენა[162va]კისმოქმედებისა და ენოს – სასოებისა ღმრთისა.

და ესეეითარი მრავალი ისწავების წმიდათა წერილთა მიერ, რომლისა-იგი ერთი ვინმე იქმნა მომპოვნებელ და ესრეთ საქმე იგი შემოვიდა ცხორებასა ამას.

და ვინაჲთგან საღმრთოჲსა შურისა უფროჲს ყოველთაჲსა ელია იქმნა წინამძღუარ და მოშურნედ ეწოდა, ყოველნივე, რომელნიცა შემდგომად მისა კუალსა მისსა შეუდგეს და შურსა მისსა მიემსგავსნეს, არვე იქმნნეს[100] იგინი წინამძღურისა მის ესეეითარისა ცხორებისა და ესეეითარნი იგი დიდება და საქებელ ეკლესიისა გამოჩნდეს და სამკაულად თავისა დაეწესნეს თმათა წილ.

და ამისვე მსგავსად აღასრულებს ქებასა კბილთასა, რომელნი-იგი ზრდიან გუამსა ეკლესიისასა,[101] რომელთაჲ ჯერ-არს, რაჲთა სამარადისოდ განბანილ იყვნენ და წმიდად იხილვებოდინ და რაჲთა არარაჲ აქუნდეს ნამეტნავი, ვითარცა ახლად განრისულთა, ხოლო რაჲთა სათნოებათა შობისათჳს ორთმშობელ იყვნენ და მრჩობლთა სიწმიდეთა იქმნენ მამა, რომელი-იგი იხილების სულისა შორის და ჴორცთა და რაჲთა ოტებულ იყოს ესეეითართა მათ კბილთაგან ყოველივე ბერწობაჲ კეთილთაჲ.

ხოლო საბელი მეწამული, სახედ ბაგეთა მოღებული, ზომიერსა და წესიერსა მსახურებასა სიტყჳსასა მოასწავებს, რომელსა წინაჲსწარმეტყუელმან საცოდ და კარად ძნელად სახელ-სდვა,[1*] რაჲთა ჟამიერად განელებოდის კარი სიტყჳსაჲ და ჟამიერად დაიკშვოდის.

და რამეთუ საზომისა სახელითა წოდებულ არს საბელი, წინაჲსწარმეტყუელებისაგან ზაქარიაჲსა ვისწავეთ, რამეთუ საბელი, ქუეყა-

---

100 იქმნეს C;

101 ეკკლესიისა C;

1* ფსალ. 140,3;

ნისა საზომი, ჰქონდა ანგელოზსა მას,[1*] რომელი-იგი ზრახვიდა მას; ხოლო უმეტესად მაშინ იქმნების საზომ სიტყჳსა, [162vb] რაჟამს ღებულ იყოს მეწამულითა, რომელი-იგი სახე არს სისხლისა მის მაცხოვრისა ჩუენისაჲ.

და უკუეთუ ვისმე, მსგავსად პავლესა, ქრისტე აქუნდეს თავსა შორის თჳსსა მეტყუელად,[2*] რომელმან-იგი თჳსითა სისხლითა გჳკსნა ჩუენ, ამას აქუს საბელი იგი ქუეყანის საზომი პირსა თჳსსა, ფერითა[102] მეწამულითა განშუენებული. ხოლო შემდგომი იგი სიტყუაჲ თარგმანებაჲ არს იგავისაჲ ამის, რამეთუ სიტყუად შუენიერად უწესს საბელსა მას ძოწეულსა და ამის მიერ კუალად მოასწავებს სიწმიდესა და წესიერებასა, რამეთუ გამოწულილვით შუენიერ სისრულესა შინა ჰასაკისასა გამოჩნდების[103], რომელი არა უსაზღვრო იყოს, არცა გარეშე საზღვართა, არამედ ჟამთა და წესითა და აგებულებითა ყოვლითურთ სრულ იყოს და უნაკლულო; ხოლო ნაქურცენსა მროწეულისასა მსგავსებითა საკეთეთა განშუენებაჲ დიდსა რასმე კეთილთა სისრულესა წამებს[104] სძლისასა, რამეთუ მოასწავებს, ვითარმედ სიმდიდრე თჳსი არა სხუაგან სადმე შეუკრებიეს, არამედ თჳთ არს საუნჯე თავისა თჳსისა და ყოველთავე კეთილთა განმზადებაჲ თავსა შორის თჳსსა შეუცავს.

რამეთუ ვითარცა-იგი ნაქურცენი მროწეულისაჲ გარე-შეიცავს საჭამადსა მას კერძოსა, ეგრეთვე მას წარმოჩინებულითა მით სიკეთითა ცხორებისაჲთა შინაგან თჳსა შეუკრებიეს საუნჯე თჳსი. და ესე არს დაფარული იგი საუნჯე სასოებათაჲ და თჳსი ნაყოფი სულისაჲ, რომელი სათნოჲთა ცხორებითა, ვითარცა მროწეულისა ქერქითა, შემტკიცებულ არს.

ხოლო სიტყუაჲ ესე ვითარმედ: *„გარეშე დუმილისა მაგის შენისა“* — ესევითარსა ძალსა მოასწავებს, ვითარმედ: ქებაჲ შენი არა არს ესოდენ წარმოჩინებულთაგან და ცხადთა [163ra], რაოდენ სიტყუაჲ მოასწავებს, არამედ უფროჲსღა, რაოდენი იგი დუმილისა მიერ დაფარულ არს

---

102 ფერითა] + მით C;

103 გამოსჩნდების C;

104 სწამებს C;

1* ზაქ. 2,1;

2* II კორ. 13,3;

და სიტყუთ გამოცხადებასა ევლტის; რამეთუ ვითარცა გარეშე სიტყუსა დუმილი მოესწავების, ეგრეთვე უკუე გარეშე დუმილისა სიტყუაჲ ვინ გულისკმა-ყოს, არა სცთეს, რამეთუ მას დავიდუმებთ, რომელსა სიტყუათა მიერ წარმოთქუმაჲ ვერ ძალ-გუეძგას და უკუეთუ გარეშე მისა დუმილი გულისკმა-იყოფების, უეჭუელად გარეშე დუმილისა სიტყუაჲ მოესწავების.

ვინაჲცა რომელმან-იგი თქუა, ვითარმედ: *„გარეშე დუმილისა მაგის შენისა“*, ამას ცხად-ჰყოფს სიტყუსა ამის მიერ, ვითარმედ: დიდ არიან და მაღალ სიტყუთცა შესაძლებელნი გამოცხადებად, რაოდენნი იგი გარეშე არიან დუმილისა, ხოლო სიტყუსა გარეშე დუმილითა დაფარულნი და გამოუთქუმელნი და წარმოუჩინებელნი უფროჲს და უაღრეს წარმოთქუმულთასა არიან.

ვისმინოთ უკუე შემდგომისაცა ქებისა ძალი, რომლისა გულისკმის-ყოფაჲ მსგავს არს ჯურღმულისა მის, რომლისა-იგი პირი დაეყო მძიმესა მას ლოდსა და შეუხებელ ჰყოფდა მწყემსთა მათ ქალთაგან[105] ზიარებასა წყლისასა, ხოლო იაკობ მიეიდა და აღძრა ლოდი იგი და გარდააგორვა პირისა მისგან ჯურღმულისა და აღაესნა სასუმელნი იგი წყლითა და ასუა ცხოვართა და მისცა კელმწიფებაჲ მწყემსთა მათ კუმევად წყლისა მისგან,[1*] ვითარცა ინებონ.

და რაჲ-მე არს ესე, რომელსა ეგევითარსა მას ჯურღმულსა ვამსგავსებთ ჩუენ? ესე იგი არს: *„სამეოც არიან დედოფალნი და ოთხმეოც — ბარჭნი და ქალწულნი, რომელთა არა არს რიცხუ. ერთ არს ტრედი ჩემი, სრული ჩემი. ერთ არს დედისა თჳსისა, რჩეულ არს მშობელისა თჳსისა“*.[2*]

ვინმცა იყო უკუე,[106] რომელმანმცა გარდაგუ[163rb]გორვა ჩუენ დაფარულებაჲ სიტყუსაჲ ამის, ვინმცა აღმოგუჴსო გულისკმის-ყოფისა წყალი, ესევითართა სიღრმეთა შინა მდგომარე, რომელი-ესე შეუხებელ არს სიტყუათა ჩუენთაგან?

გარნა ვითარ ვჰგონებ, კეთილ არს, რაჲთა უწამოთ სასმენელთა ჩუენთა, ვითარმედ ამისი ცნობაჲ მათი ხოლო არს, რომელთა მიმართ

---

105 ქალწულთაგან C;

106 ~ უკუე იყო C;

1* შესაქ. 29,9-10;

2* ქ.ქ. 6,7-8;

იტყჳს მოციქული, ვითარმედ: *„ყოვლითაჲ განმსდიდრდით,*[107] *ყოვლითა სიტყჳთა და ყოვლითა მეცნიერებითა“,*[1*] ხოლო სიგლახაკე ჩუენი წინამდებარისა ამის სიტყჳსა საუნჯეთა კელთდებად შეუძლებელ არს, არამედ რაჲთა მცონარებისა და უქმობისა[108] საშჯელისაგან განვერნეთ მის მიერ, რომელმან-იგი მიბრძანა ჩუენ გამოძიებაჲ წიგნთაჲ. ამათთჳსცა მცირედთა რათმე ოფლთა დათხევად არა დავიცონოთ.

ამას უკუე ვიტყჳთ, ვითარმედ:[109] მოძღურებასა რასმე და სიბრძნისმეტყუელებასა მაღალსა წინა-დამიგებს ჩუენ სიტყუაჲ ქებათა მათგან სძლისათა სიტყუათა ამათ მიერ, ხოლო მოძღურებაჲ იგი ესევითარი არს:

არა ერთითა შემდგომებითა და წესითა დაიბადნეს დაბადებულნი და განახლდეს, რამეთუ რაჟამს-იგი დასაბამსა საღმრთოჲთა ძლიერებითა არსთა ბუნებაჲ შეიმზადა, თითოეულისა[110] არსთაგანისა დასაბამი და სრულებაჲ ერთბამად აღეგო და ყოველნივე არაარსისაგან არსებად მოვიდეს და დასაბამსავე თანა სრულებაჲ მიიღეს.

ხოლო ერთი დაბადებულთაგანი არს კაცობრივიცა ბუნებაჲ, გარნა არა მსგავსად სხუათა მათ დაბადებულთა მიიღო მან წესი სრულებისაჲ, არცა არსებაჲ დაბადებისაჲ, არამედ ფრიად უმაღლეს ყოველთაჲსა და უდიდებულეს, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: *„შეიქმნა კაცი ხატად*[111] *ღმრთისა და მსგავსებად“,*[112;2*] რომელი-ესე ცხად-ჰყოფს სიმაღლესა და თავსა კეთილ[163va]თასა, რამეთუ რაჲმცა იყო მობაძავ მსგავსებისა ღმრთისა?

ხოლო პირველსა მას შინა დაბადებასა განუკუეთელ იყო დასაბამისაგან აღსასრული და სრულებისაგან მიიღო ბუნებამან ჩუენმან დაწყებაჲ. ხოლო ვინაჲთგან ბოროტისა მიმართ მიდრეკითა სიკუდილი განითჳსა და კეთილისა მის ცხორებისაგან განვარდა, არღარა მეყსეუ-

---

107 განმჰსდიდრდით C;
108 უქმებისა C;
109 ვითარმედ] - B;
110 თუთოეულისა C;
111 ხად A;
112 მსგავსად C;

1* I კორ. 1,5; II კორ. 8,9;
2* შესაქ. 1,26;

ლად და მსგავსად პირველისა დაბადებისა მიიღებს სისრულესა, არამედ გზითა რაჲთმე და სლვითა და მცირედ-მცირედ სისრულედ წარმატებითა და შემდგომებითა და წესითა აღიწევის თავსა სათნოებათასა, რაჟამს განაგდოს ყოველივე უჯეროჲ სიყუარული და წინააღმდგომთა საქმეთა ზიარებაჲ.

რამეთუ პირველსა მას დაბადებასა არარაჲ იყო დამაყენებელ სისრულისათჳს ბუნებისა, ვინაჲთგან ბოროტი არა იყო, ხოლო მეორესა ამას განახლებასა საჭირო იქმნა სიგრძე ჟამისაჲ და სიმრავლე შრომათაჲ და პირად-პირადნი სათნოებანი, რომელთა ენებოს აღსლვაჲ პირველსავე მას კეთილთა კუალადგებასა, ვინაჲთგან ნივთიერთა სიყუარულთა შეეკრა სიბოროტითა გონებაჲ ჩუენი და მცირედ-მცირედ, ვითარცა ქერქსა რასმე და ნაქურცენსა, გარემოხუეულსა მოღუაწებით ცხორებისა მიერ, განვიყრით სიმრავლეს მას ბოროტთასა, შემოსრულსა ჩუენ ზედა.

და ამისთჳს გჳსწავიეს, ვითარმედ: *„სახლსა მამისა ჩემისა საკანე მრავალ არიან“*[1*] და შემსგავსებულად კაცად-კაცადისა კეთილთა განთჳსებისა და ბოროტთა მოძაგებისა განემზადების ყოველთა მისაგებელი შრომათაჲ და სასყიდელი მოღუაწებათაჲ. რამეთუ რომელსამე უწყიეს[113] ოდენ ქმნად კეთილისა და აწღა სამე ვითარცა სიღრმით ბოროტად ცხორებისაგან ზიარებად ჭეშმარიტებისა აღმოცურებულ არს [163vb] და სხუაჲ სურვილითა კეთილთაჲთა უფროჲს აღორძინებულ არს, ხოლო რომელიმე მოღუაწებისა მიერ უმაღლეს ქმნილ არს[114], ხოლო რომელიმე მაღალთა აღსლვათა განზოგებასა აღსრულ არს და სხუასა განზოგებაჲცა წარუელიეს.

და არიან ვიეთნიმე, რომელნი ამათსაცა აღმატებულ არიან, და სხუანი მათდაცა წარმატებულ არიან, და ამისა კუალად სხუანი ზეცისა სარბიელსა უახოენეს აღისწრაფიან.

და ყოველით კერძო მრავალფერისა მისებრ ნებათა განწუალებისა და განყოფილებისა, ყოველთაე ღმერთი თჳსთა საკანეთა შეიწყნარებს და თჳსთა მონაგებთა[115] შეაერთებს და ყოველთაე მიაგებს კეთილსა

---

113 უწყი C;

114 ხოლო რომელიმე მოღუაწებისა მიერ უმაღლეს ქმნილ არს] – A;

115 მონათა A; τὰ προς αξίαν PG 44, col. 1109 D_{13};

1* იხ. 14,2;

მისაგებელსა და გარდაჰმატებს[116] ნიჭთა თჳსთა წარმატებულთა და მიუწყავს უხუებით მოკლებულთა[117] და კაცად-კაცადსა მიაგებს საქმეთა თჳსთაებრ.[118]

ამას უკუე სიბრძნის-მეტყუელებს სიტყუაჲ იგი, ვითარცა გულისკმა-ვყოფთ,[119] რამეთუ განყოფილებასა სულთასა, რომელნი-იგი ხედვენ სიძესა, თქუმულთა ამათ მიერ გუასწავებს ჩუენ და რომელთამე უწესს ქალწულად, საზომსა რიცხჳსასა აღმატებულად სიმრავლითა და სხუათა — ხარჭად და სხუათა — დედოფლად.

რვა ათეულად უკუე ხარჭთა სახელები აღწერა,[120] ხოლო დედოფალთაჲ — სამეოცად, ხოლო აღმატებულ-ჰყოფს[121] ყოველთა მარტოებით ხილულსა მას ერთსა ტრედსა სრულსა და მხოლოსა დედისასა და რჩეულსა მშობელისასა.

და ამას გულისკმა-გუყოფენ საღმრთონი ესე სიტყუანი, ვითარმედ რომელნი-იგი აწღა ვითარცა საშოჲთ სიღრმისაგან საცთურთაჲსა გამოვიდეს და მსგავს არიან იგინი ახალშობილთა რათმე და არღა განუმტკიცებიეს მათ თავთა შორის თჳსთა სიტყუაჲ და მეტყუელებაჲ და ჩჩულებრ[122] განკუთნილ არიან სარწმუნოებისა და აურაცხელ არიან იგინი სიმრავლითა და ჰ[164ra]სწამს, ვითარმედ მაცხოვარ არს სიტყუაჲ საიდუმლოჲსაჲ და ცხორება, გარნა არა მოძღურეულად და გულსავსებითა სიტყჳსაჲთა განუმტკიცებიეს თავთა შორის თჳსთა ჭეშმარიტებაჲ.

ესენი წოდებულ არიან ამას ადგილსა ქალწულად სიჩჩოებისათჳს სულიერისა ჰასაკისა, რომელნი-იგი იშჳნეს სიტყუთა სარწმუნოებისაჲთა, გარნა ჯეროვნითა აღზრდითა არღა ქმნილ არიან ესევითარნი, რაჲთამცა ქორწინებისა წესსა მოვიდეს და იქმნნეს მამაკაც სრულ საზომად ქორწინებისა ჰასაკისა, რაჲთამცა შიშითა უფლისაჲთა ძალედვა მიდგომაჲ და სულისა მაცხოვარებისასა შობაჲ, არამედ წუთღა ჩჩულებრითა და უსრულითა გონებითა თჳნიერ მეტყუელებისა ცხოვნ-

---

116 გარდამატებს C;
117 მოუკლებელთა C;
118 მისთაებრ C;
119 გულისხმა-ეჰყავთ C;
120 აღჰსწერა C;
121 აღმატებულ-ჰყოფ C;
122 ჩჩულად C;

დებიან.[123]

გარნა ესენიცა ცხოვნებადთაგანნი[124] არიან, ვითარცა იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი, ვითარმედ: *„კაცსა და საცხოვარსა აცხოვნებ შენ, უფალო“*,[1*] ხოლო პირუტყუად უწესს მეტყუელებითა უსრულსა მას კერძოსა ცხოვნებულთასა. ხოლო ჯეროვნითა მოღუაწებითა აღორძინებულთა შორის გონებითა და ჯმნილთა სიჩჩოებისაგან მრჩობლი განყოფილებაჲ გუესწავების, რამეთუ იქმნებიან სულნი ამათნიცა და მათნიცა თანაკორც სიტყჳსა, არამედ ესენი ტრფიალებითა რაჲთმე და უსაზღვროჲთა სიყუარულითა შეეყოფვიან უფალსა, ვითარ იყო სული დავითისი და სული პავლესი.

რამეთუ ერთი იგი იტყოდა ვითარმედ: *„ხოლო ჩემი მიახლებაჲ ღმრთისა კეთილ არს“*[2*] და კუალად მეორე, ვითარმედ: *„ვერვინ განმაშორნეს ჩუენ სიყუარულსა მას ღმრთისასა, რომელ არს ქრისტე იესუჲს მიერ, ვერცა ცხორებამან, ვერცა სიკუდილმან, ვერცა ამან სოფელმან, ვერცა მერმემან და ვერცა რამან სხუამან არსთაგანმან ყოვლადვე“*.[3*] ხოლო მეორენი იგი შიშითა სატან[164rb]ჯველთაჲთა ევლტიან სიძვასა; დაადგრებიან უკუე უბრწნელებასა და სიწმიდესა ზედა ესენიცა, გარნა შიშითა უფროჲს, ვიდრეცა სიყუარულით განსწავლულნი, უცხო-იქმნებიან ბოროტისაგან და არა შეიწყნარებენ ვნებასა.

ხოლო მაღალნი იგი სულნი, რომელნი სრულითა მით სურვილითა და სიყუარულითა უბრწნელებისაჲთა შეეზავებიან სიწმიდესა საღმრთოსა, ზიარებისათჳს მეუფისა დედოფლად იწოდებიან.

ხოლო რომელნი-იგი შინებათა და თქუმათა ზარითა მუშაკ სათნოებათა იქმნებიან, ხარჭად საბელ-სდებს[125] მათ სიტყუაჲ, რამეთუ წუთღა არავინ ქმნილ არს მათგანი დედა მეფისა და ვერცა ძალ-უც ზიარყოფად პატივისა მის სამეუფოჲსა.

და ვითარ უძლოს, რომელი-იგი არღა ქმნილ არს თავისუფალ და თჳთმფლობელ თავისა თჳსისა და თჳთმპყრობელ სათნოჲსა გონებისა

---

123 ცხონდებიან C;

124 ცხოვრებადთაგანნი C;

125 საბელ-ჰსდებს C;

1* ფსალ. 35,7;

2* ფსალ. 72,28;

3* რომ. 8,38-39;

და გონიერებისა, არამედ მკეცლებრითა შიშითა განეყენების ბოროტთა ზიარებისაგან?

ხოლო სასწაულ თქუმულთა ამათ – ესე არს დედოფალთათჳს მარჯუენით დგომისა ღირს-ყოფაჲ, რომელთა მიმართ[126] იტყჳს მეუფე, ვითარმედ: *„მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკჳდრეთ განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი“*.[1] ხოლო უმრწემესისა მის მეორისა კერძოჲსა, რომელთა მიმართ იტყჳს უფალი, ვითარმედ: *„გეშინოდენ მისგან, რომელსა შემდგომად მოწყუედისა კელმწიფებაჲ აქუს შთაგდებად თქუენდა ცეცხლსა მას გეჰენიისასა“*.[2]

და მას[127] განყოფილებასა ჳჰგონებ ორთა მათ წესთა განწჳალებისასა საბისმეტყუელებით რიცხჳსათჳს, ესე იგი არს:

ექუსნი არიან მცნებანი, რომელთათჳს განემზადების სასუფეველი მარჯუენითთა, რომელნი-იგი გულისჴმა-ვყჳნეთ სამეუფოდ ტალან[164va]ტად, რომელთაჲ თანა-აც თითოეულისა მათისა ათად შეკეცაჲ შეძინებითა გონიერსა მას და სარწმუნოსა მონასა, რაჲთა ესრეთ შევიდეს სიხარულსა უფლისა თჳსისასა[128] და მცირედსა ზედა სარწმუნო-ყოფისათჳს მრავალსა ზედა დადგინებად, ვინაჲცა ექუსთა ამათ მცნებათა, რომელ არიან, ვითარმედ: „მშიოდა“ და შემდგომნი, რომელთათჳს იქმნების სული ზიარ სასუფეველისა და თითოეულისა სრული შეძინებაჲ არს ათად შეკეცაჲ, ვითარცა ჰრქუა კეთილმან მან მონამან უფალსა თჳსსა, ვითარმედ: *„ტალანტმან შენმან ათი სჱუაჲ შესძინა“*.[129]

ამის უკუე შემდგომებისაგან ვჰპოვებთ[130] ერთსა დედოფალსა, სამეოცად განვრცელებულსა ექუსთა მათ მცნებათა თითოეულისა ათად შეკეცისათჳს და ზიარებად სასუფეველისა შეწყნარებულსა. რამეთუ ერთი მცნებაჲ მრავალწილად რაჲ განიყოს, ესრეთ განამრავლებს თავსა თჳსსა და თითოეულთა სათნოებათა მიერ განითჳსების და გამოისახჳის.

---

126 მიერ C;

127 ამას C;

128 უფლისა თჳსისა] უფლისასა C;

129 შეჰსძინა C;

130 ეპოებთ C;

1° მთ. 25,34;

2° ლკ. 12,5;

ესრეთ უკუე სამეოც დედოფლად განიყოფის[131], თითოეული პირად-პირადთა მათ მცნებათა მიერ განაწილებული და აღრიცხული და იქმნების სძალ ზიარ სუფევისა საღმრთოჲსა და გუნდად დედოფალთა შეიცვალების ერთი და ეგეოდენთაცე მცნებათა პატივითა აღირაცხვის.[132]

ხოლო უკუეთუ ექუსეულსა მცნებათასა თითოეულად ათკეცად შემძინებელი[133] სული სახისმეტყუელებით სამეოცთა დედოფალთა მიერ მოსწავებულად არა გარეშე ჯეროვნისა გულისჴმა-ყოფათ, ჯეროვან არს, რაჲთა ოთხმეოცთა ხარჭათაჳს, რომელნი-იგი რჳა ათეულად აღირაცხვიან, მერვისა ფსალმუნთა წარწერილისაგან საიდუმლოჲ იგ-ავით გულის[164vb]ჴმა-ყოფათ,[134] რომლისა მიმართ ხედვენ[135] შიშით განსწავლულნი და ბოროტთაგან განეყენებიან, რომლისა-იგი სიტყუანი გუემათა შესატყუებელ არიან და შიშითა ტანჯვათაჲთა წყალობად მოსდრეკენ[136] საშინელსა მას მსაჯულსა, რამეთუ იტყჳს:

„უფალო, ნუ გულისწყრომითა შენითა მამხილებ მე, ნუცა რისხ-ვითა შენითა მსწავლი მე, მიწყალე მე, უფალო, რამეთუ უძლურ ვარ, განმკურნე მე, უფალო, რამეთუ შეშიძრწუნდეს ძუალნი ჩემნი.“[1] და რაოდენსაცა სხუასა შესძინებს[137] შემდგომითი შემდგომად საშინელსა მის მსაჯულისა ვედრებასა, რომელთა-იგი შინა გოდებს ამისთჳს, რამეთუ არა არს ჴსენებაჲ ღმრთისაჲ სიკუდილსა შინა.

და ვითარმცა შესაძლებელ იყო ტირილითა და ღრჭენითა კბილთაჲთა დაშჯილთა ჴსენებისა ღმრთისა სიხარულსა მიმთხუევაჲ, ვითარცა იტყჳს სხუასა ადგილსა, ვითარმედ: *„ჴსენებაჲ ღმრთისაჲ სიხარულისა მომატყუებელ არს“*[2] და სხუათა ესევითართა მრავალთა წარმოაჩენს. აწ უკუე, რომელსა მერვისაგან ეშინოდის, წყალობისა ღმრთისა ზიარებასა ეძიებს და ღირს-იქმნების, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: *„შეისმინა*

---

131 განიყოფების C;
132 აღირიცხვის C;
133 შემძლებელი C;
134 გულისხმა-ვჰყოთ C;
135 ჰხედვენ C;
136 მოჰსდრეკენ C;
137 შეჰსძინებს C;

1* ფსალ. 6,2-3;
2* ფსალ. 76,4;

ქმაჲ ტირილისა ჩემისაჲ“.[1*]

და ვინაჲთგან მრავალთა სანატრელთა შიშითა გუაუწყებენ წმიდანი[138] წერილნი, იყავნ უკუე ამათთჳსცა ეგრეთვე ექუსთა მათ მცნებათაგან ათწილად აღორძინებაჲ. და თუ სწავლული იგი ფსალმუნთაჲ შიში უფლისაჲ ვითარ წარემართების, რომელ არს მოქცევაჲ ბოროტისაგან და ქმნაჲ კეთილისაჲ,[2*] და ვითარცა მნაჲ რაჲმე გინა ტალანტი ათწილ[139] ქმნად შეძინებითა შიშისაჲთა, რაჲთა ესრეთ სულმან მან შემდგომმან დედოფალთამან შიშითა და არა სიყუარულითა კეთილი შესძინოს და რიცხჳსა მის მიმართ [165ra] ოთხმეოციისა განვრცელდეს და თითოეული სახე შიშისა სათნოებათაჲ ცხორებასა[140] შინა თჳსსა შეურევნელად და განთჳსებულად წარმოაჩინოს, რაჲთა ესრეთ მერვისა იგი ათწილად აღორძინებაჲ ათწილად უფროჲს განდიდნეს და ესრეთ იქმნეს შიშითა მკეცლებრითა და არა ტრფიალებითა სძლებრითა მიახლებულ კეთილისა და ხარჭ დედოფლისა წილ შიშისათჳს მერვისა, რომელი სათნოებათა მიერ ათწილად აღაორძინა მობაძავად რიცხჳსა მას ოთხმეოცთასა, რომელსა ბრძანებს სიტყუაჲცა უწყებათაჲ, რაჲთა ვერ მკუდრ იქმნეს[141] დედოფლისა თანა მკეცალი და არცა ხარჭისა ნაშობი ძისა თანა აზნაურისა.

რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„განაძე მკეცალი ეგე და ძე მაგისი, რამეთუ არა დაიმკუდროს ძემან მკეცალისამან ძისა თანა აზნაურისა“.*[3*]

ხოლო უკუეთუ სასტიკად ვისმე აღუჩნდეს წინაჲსწართქუმულთა მათ რიცხჳთა შეტყუებაჲ, მოიკსენენ, რამეთუ დასაბამსავე სიტყჳსასა ვწამეთ, ვითარმედ: ვერ ძალ-გჳც ძალსა მათსა ჭეშმარიტებით მიმთხუევაჲ, არამედ ესეოდენ შევახეთ, რაჲთა არა სრულიად განუნახველად თანა-წარგუკდეს იგავი იგი.

ხოლო რამეთუ სრული სიყუარული გარე-განსდევნის შიშსა,[4*] ვითარცა წერილ არს, და შე-რაჲ-იცვალოს შიში სიყუარულით, მაშინ

---

138 წმიდანი] — C;
139 ათწილ] — C;
140 ცხოვრებასა C;
141 იქმნე BC;

1* ფსალ. 6,9;
2* ფსალ. 33,15;
3* დაბ. 21,10; გალ. 4,30;
4* I ინ. 4, 18;

იპოვებიან[142] სავანენი იგი ცხოვრებულთანი მხოლოჲსა მის კეთილისა ზიარებითა, რაჟამს-იგი ყოველნი ურთიერთას შეიერთებენ მსგავსებითა მით სრულისა მის ტრედისაჲთა.

რამეთუ ესევითარი რაჲმე ძალი იხილვების წინამდებარესა მას სიტყუასა შინა, რამეთუ[143] იტყჳს, ვითარმედ: *„ერთ არს ტრედი ჩემი, სრული ჩემი. ერთ არს დედისა თჳსისა, რჩეულ არს მშობელისა თჳსისა“*![1*] 5

და ამათ სიტყუათა ძალი სახარებასა შინა სიტყუათაგან ღმრთისათა განცხდებულად გუესწავების ჩუენ; რაჟამს-იგი მოძღურე[165rb]ბისა[144] თჳსისა ყოველივე მადლთა სიმრავლე მიჰმადლა მოწაფეთა თჳსთა და მამისა მიმართ მეტყუელებითა[145] ურიცხუნი იგი კეთილნი ღირსთა თჳსთა მიანიჭნა, თავიცა იგი კეთილად შესძინა, რაჲთა არღარა იყვნენ იგინი განყოფითა რაჲთმე ნებათაჲთა მრავალწილად განბნეულ, გინა განწვალებულ, არამედ რაჲთა ყოველნი ერთ იყვნენ და ერთისა მის მხოლოჲსა კეთილისა შეერთებულ და ერთობითა მით სულისა წმიდისაჲთა შემტკიცებულ, ვითარცა იტყჳს მოციქული, და საკრველითა მით მშჳდობისაჲთა შეძერწულ და ერთსულ და ერთკორც და ერთითა მით სასოებითა, რომლითაცა[146] იჩინნეს.[2*] 10 15

და ვჰგონებ, თუ კეთილ არს, რაჲთა თჳთ მებრ სიტყუანი იგი სახარებისანი მოვიკსენნეთ, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *„რაჲთა ყოველნი ერთ იყვნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო და მე შენდამი, რაჲთა იგინი*[147] *ჩუენ შორის იყვნენ“*![3*] 20

ხოლო ამის ერთობისა შემკრებელი[148] დიდებაჲ არს, ხოლო დიდებად სულსა წმიდასა ეწოდების. ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: „დიდე-

---

142 იპოებიან C;
143 ვითარცა C;
144 მოძღურებისა] + მიერ C;
145 მეტყუელებით C;
146 იჩინენეს A;
147 იგინიცა C;
148 შემკრველი C;

1* ქ.ქ. 6,8;
2* ეფეს. 4,3-4;
3* ინ. 17,21;

ბაჲ, რომელი მომეც, მივეც მათ“[1]· და რამეთუ ჭეშმარიტად მისცა[149] მათ ესევითარი ესე დიდებაჲ, ჰრქუა რაჲ, ვითარმედ: *„მიიღეთ სული წმიდაჲ“*[2]·

ხოლო მოიღო დიდებაჲ ესე, რომელი მარადის აქუნდა უწინარეს სოფლის დაბადებისა, რომელმან-იგი კაცობრივი ბუნებაჲ შეიმოსა, რომელი-იგი იდიდა რაჲ სულისა წმიდისა მიერ, მოწაფეთაგან იწყო და გარდაეფინა ყოველთა მიმართ, ვინაჲცა იტყჳს, ვითარმედ: *„დიდებაჲ, რომელი მომეც მე, მივეც მათ, რაჲთა იყუნენ ერთ, ვითარცა ჩუენ ერთ ვართ. მე მათ შორის და შენ ჩემ შორის, რაჲთა იყუნენ იგინი სრულ ერთობითა“*[150;3]·

აწ უკუე, რომელი სიჩჩოებისაგან სისრულედ მამაკაცობისა აღიწიოს აღორძინებითა და სრული ჰასაკი და სულიერი მოიღოს სავსებისა მის ქრისტჱსისაჲ, ხოლო მკჳლობისა და ხარჭობისა წილ მეფობისა [165va] პატივი მოიგოს და შემწყნარებელ იქმნეს მამულისა დიდებისა უნებელობითა და სიწმიდითა, იგი არს სრული იგი ტრედი, რომლისა მიმართ ხედავს[151] სძალი და იტყჳს, ვითარმედ: *„ერთი არს ტრედი ჩემი, ერთი არს დედისა თჳსისაჲ, რჩეული არს მშობელისა თჳსისაჲ“*.

ხოლო განაღა არავინ არს, რომელიმცა უმეცარ იყო დედასა მას ტრედისასა, ვინაჲთგან ნაყოფისაგან ხე საცნაურ იქმნების? რამეთუ ვითარცა-იგი კაცი რაჲ ვიხილით, არა იჭუეულ ვიქმნით, თუ კაცისაგან არს იგი შობილ, ეგრეთვე რომელნი რჩეულისა მის ტრედისა დედასა ეძიებდენ, სხუასა ვერარას გულისკმა-ჰყოფენ თჳნიერ ტრედისავე, რამეთუ შვილი უეჭუელად მშობელისა ბუნებითა იხილვების.

და ვინაჲთგან შობილი იგი სულისაგან სული არს და შვილი ტრედი არს, შვილისა იგი დედაჲცა განაღა ტრედივე იყოს უეჭუელად, რომელი-იგი იორდანესა ზეცით გარდამოჴდა, ვითარცა წამებს[152] იოანე.

ამას ჰნატრიან ქალწულნი, ამას აქებენ ხარჭნი და დედოფალნი,

---

149 მიჰსცა C;
150 ერთობით C;
151 პხედავს C;
152 პსწამებს C;

1· იხ. 17,22;
2· იხ. 20,22;
3· იხ. 17,22-23;

რამეთუ ყოველთაგე წესთაგან და ყოველთა სულთა ზოგადი შეკრებაჲ იქმნების ესევითარსა მას ნეტარებასა, ვინაჲცა იტყჳს, ვითარმედ: *„იხილეს იგი ასულთა და ჰნატრეს მათ, დედოფალთა და მკევალთა აქეს იგი“*, რამეთუ ბუნებით აქუს ყოველთა ნეტარისა მის მიმართ და ქებულისა გულისთქუმისა თჳსისა და სურვილისა აღორძინებაჲ.

და ვინაჲთგან ჰნატრიან ტრედსა მას ასულნი, გული-უთქუამს უეჭუელად, რაჲთა იქმნენ იგინიცა ტრედ და ქებაჲ ტრედისაჲ მკევალთაგან და დედოფალთა სასწაული არს, რაჲთა მათცა ქებულისა მის მიმართ მოსწრაფებაჲ აქუნდეს, ვიდრემდის ყოველნი ერთ იქმნენ[153] [165vb] წინამდებარისა მის მოსწრაფებისა ხედვად და სურვილად და არცა ერთი რაჲ დაშთეს სიბოროტე ყოვლადვე, არამედ რაჲთა იყოს ღმერთი ყოველად ყოველსა შინა, რომელნი-იგი ერთობისა მიერ ერთ იქმნნენ და ურთიერთარს[154] შეიერთნენ კეთილისა ზიარებითა ქრისტე იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომელსა შუენის დიდებაჲ და სიმტკიცე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

153 იქმნენ BC;

154 ურთიერთას B;

I. სალექსიკონო ეროეულები წარმოდგენილია სახელის ან საწყისის სახით; თანხმოვანფუძიანი სახელები გატანილია სახელობითი ბრუნვის ფორმით, ხმოვანფუძიანები – ფუძის სახით.

II. სალექსიკონო ეროეულის განმარტების შემდეგ მოტანილია მისი შემცველი კონტექსტი ქართული თარგმანიდან.

III. ყოველ სალექსიკონო ეროეულთან მითითებულია მისი ბერძნული შესატყვისი ორიგინალის ადგილის მითითებით, ან, ტექსტის უკეთ გაგების მიზნით, მოტანილია მოლიანი ბერძნული კონტექსტი.

IV. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ ქართულ სალექსიკონო ეროეულს სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებული მნიშვნელობები აქვს და, სათანადოდ, სხვადასხვა ბერძნული შესატყვისები, ეს მნიშვნელობები დანომრილია.

V. მაშინ, როდესაც ამა თუ იმ ადგილის შედარებით თავისუფალი მოარგმნელობითი მეთოდით გადმოღების გამო ვერ ხერხდება ქართული სალექსიკონო ეროეულის ზუსტი შესატყვისის მითითება, მოტანილია სრული ბერძნული კონტექსტი, რათა მკითხველისათვის ნათელი იყოს ქართული თარგმანის სპეციფიკა.

VI. ვიყენებთ ბერძნული ტექსტის შემდეგ გამოცემას: S. N. P. Gregorii, Episcopi Nysseni, Commentarius in Canticum Canticorum, Accurante J. –P. Migne, Patrologiae Graecae, Tomus 44, Turnholti (Belgium), Typographi Brepols, Editores Pontificii, col. 755-1118.

ა

ავაჯ-ი (ავაჯა) ხმა, კილო: „ზედა კერძო გულისა ეზოთა აქუს მას საუნჯე ქმისაჲ, რომელსა შინა ყოველივე ავაჯთა და კილოთა აგებულებაჲ შეიმზადების“ 222,7-8 ὁ ἦχος 932 D_{12}.

აგარაკ-ი 147,26; 148,4; 149,17 სახნავ-სათესი ადგილი ὁ ἄγρος 856 D_6.

აზნაურება 216,6 თავისუფლება ἡ ἐλευθερία 925 D_1.

ალო 241,12 საკმევლის ხე ἡ ἀλόη.

ამბორის-ყოფა ამბორი, კოცნა τὸ φίλημα: „ამბორს-მიყავნ მე“ 72,24 φιλησάτω με 764 C_9.

ამხუმელ-ი ამღები αἴρων: „წინა-უყოფდა... ტარიგსა ღმრთისასა, ამხუმელსა სოფლისა ცოდვათასა“ 164,15 ὑπεδείκνυε τὸν ἀμνὸν τὸν αἴροντα τὴν ἁμαρτίαν 872 B_{7-8}.

ანთრაკ-ი 207,3 ძვირფასი თვალი ὁ λίθος 993 A_6; 916 C_4.

არგან-ი 318,1 ჯოხი, კვერთხი ὁ ράβδος 1032 B_9.

არდაბაგ-ი 157,15 ბაღე სარკმელზე τὸ δίκτυον 858 B_6.

არდაგ-ი 292,25 ტილო τὸ λέντιον 1005 A_7.

არე 1. გაზაფხული: „ზაფხული და არე შენ დაჰბადე“ 158,9 θέρος καὶ ἔαρ σὺ ἔπλασας 865 A_{10}. 2. მხარე: „წარპელის არეთა ბღუარისათა“ 270,20 διὰ τοῦ νοτίου τὸν δρόμον ποιούμενος 984 B_{12} 3. „არესა რასმე და მსგავსებასა საძიებელისასა გამოსწერენ“ 115,1 ἔμφασίν τινα σκιογραφεῖ τοῦ ζητουμένου 821 A_{3-4}.

არვე „ჯოგი თხათა და ცხოვართა“ (საბა) ἡ ἀγέλη: „თმაჲ შენი, ვითარცა არვე თხათაჲ“ 197,10 ὡς ἀγέλαι 905 D_2.

არძანიგ-ი ღირსი, ღირსეული: „ბღუარსა არძანიგით მოუწოდს“ 267,24 τὸν Νότον φιλοφρόνως καλοῦσα 980 D_9.

---

1 ლექსიკონისათვის ძირითადად შერჩეულია ისეთი სიტყვები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის. თითოეულ მათგანს განმარტებასთან ერთად ახლავს შესაბამისი ბერძნული კონტექსტით დადასტურებული შესატყვისი (ან შესატყვისები). ტექსტის უკეთ გაგების მიზნით, სიტყვათა უმეტესობასთან ვიძლევით საილუსტრაციო მასალას ქართულ და ბერძნულ ენებზე (ეს უკანასკნელი დამოწმებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით. Patrologiae Graeca, Accurante J.P. Migne, t. 44, Turnholti (Belgium).

ასპიტ-ი 362,22 გველი ἡ ἀσπίς 1084 A_2.

აღზუავება გაამპარტავნება ἐξογκόω: „პატივისაგან აღზუავნებოდის“ 212,12-13 ὑπὸ δόξης **ἐξογκούμενος** 921C_{12-13}. აღაზუავოს 126,29 ἐξογκώσας 833 A_8.

აღძურცა გახდა, გაძარცვა ἡ περιαίρεσις: „აღძრცუასა საბურველისასა მიაჩემებს“ 314,18 **τὴν περιαίρεσιν** ἀνατίθησι 1029 D_1.

ახლადგანკარგულ-ი ახლად წესრიგში მოყვანილი; აქ: გამოთლილი: „ახლადგანკარგულისა პილოჲსძულისაგან“ 354,14 ἐκ τοῦ **νεοξύστου** ἐλέφαντος 1029 D_1.

ბ

ბაბილო ვაზი მაღალი: „ბაბილოთა ცვასა... შეეაქციე გონებაჲ ჩემი“ 93,24 καὶ **τὰς** κληματίδας φυλάσσουσά 800 B_{4-5}.

ბაყლ-ი ჭუჭყი τὸ ῥύπος: „ბაყლი მწიკულევანთა გულისზრახვათაჲ განვიბანოთ“ 83,22 **ῥύπον** αἰσχρᾶς ἐννοίας ἀποκλυσάμενοι 789 A_4.

ბევრეულ-ი ათიათასი, მრავალი μυρίος: „ესევითარი ბევრეულნი სიტყუანი იპოვებიან სახარებასა შინა“ 55,25 **μιρία** τοιαῦτα... ἔστιν 760 C_9.

ბიწ-ი 87,18; 125,21 ლაქა τὸ αἶσχος 793 A_4.

ბორობან-ი დაბურული, „ხე კეთილჩრდილოიანი და მაღალი“ (საბა): „ყოველით კერძო ნაძუთა მიერ ბორობანთა მოსხმული“ 361,14 **ταῖς** ὑψηλαῖς κὲδροις συνηρηφὴς 1081 B_3; „ვითარცა ნაძუ რაიმე ბორობანი შუენიერებითა და სიკეთითა შეამკო“ 188,19 τὸ ὕψος ποιήσασα 897 A_{14}.

ბოროტ-ი უკეთურება, ბოროტება ἡ κακία: „ქუეყანად ბოროტთა შინა განფრდილთა სახელ-სდებს“ 164,19 **γῆν τοὺς κατεγνωσμένους ἐν κακία** κατονομάζει 872 B_{11}. „დანთქმისა ბოროტთაგან“ 111,8 ἐκ **ναυαγίου κακῶν** 817 A_7.

ბრალება ბრალდება διαμέμφομαι: „აბრალებნ“ 55,14 διεμέμφετο 760 B_{10}.

ბრალეულ-ი 353,8 დამნაშავე τὸ ὑπαίτιον 1072 C_{1-2}.

ბრალობა ბრალდება, დანაშაული ἡ κατηγορία: „დაიკრებენ ბრალობასა“ 342,15 πληροῦντες **τὴν κατηγορίαν** 1060 D_4.

ბრანგუ 372,2 დათვი (საბა) μονιός 841 D_{10}.

ბრძყლ-ი ჭრილობის ნაკვალევი; ლაქა ἡ ῥυτίς: „მიეღოს ბრძყლი, გინა ნაოჭი, გინა მწიკული“ 78,7 προσλαβοῦσα... ῥυτίδα 784 C_2.

ბულქყ 249,30 ჩირგვი, ბუჩქი θάμνον 961 D_4.

ბუტკოვა კვირტის გამოტანა, გაყვავება κυπρίζω: „ტევანი ჩემი, რომელი ყუავის და ბუტკოვის“ 123,26 ἐμὸς βότρυς ὁ δι' ἄνθους κυπρίζων 829 C_7.

გ

გაგა 164,23; 165,6 მკვახე ლეღვი: „პირველ ტკბილისა მის და სრულისა ნაყოფისა ლეღუსა მიერ სახედ ნაყოფისა გამოღებულსა გაგად სახელ-ედების“ 165,1-2 ὁ ὄλυνθος 872 C_2.

გავალაკ-ი 197,1 ტახტრევანი: „მეფეთა თავს ზეით საფარებელი ნაქსოვთაგან, საჩრდილობელი, შემზადებული ეტლთა ზედა, გინა ცხენთა ანუ ქვეითთათჳს“ (საბა) τὸ φορεῖον 905 C_5.

გამობუტკოვა ყვავილის გამოტანა: „გამობუტკოვდა, ესე იგი არს ყუავოდა“ 122,1-2 κυπρίζοντος 828 C_{9-10}.

გამოთარგმანება განმარტება: „გამოუთარგმანებდა და განუმარტებდა“ 55,12 ἑποιεῖτο ἐξήγησις 768 B_1. „გამოუთარგმანა“ 55,22 ἑρμενεύει 760 C_5.

გამომტკუფოლვარე „წვით გამომხეთქელი“ (საბა): „ფაქლსა გამომტკუფოლვარესა კორცთაგან აღმოადუღებდა“ 106,17 τὰς φλυκτιδὰς ἀπὸ τῶν σωμάτον ἀναζέειν ποιεῖ 812 D_{1-2}; „ნაკუერცხალთა გამომტკუფოლვარეთა აღაგზებს“ 107,30 φλυκτίδας ἀναζέειν ποιεῖ 813 C_{5-6}.

გამოცდილება 227,18; 232,1; 341,19 ცდა, გამოცდა ἡ πεῖρα 944 A_5. ἡ παρατήρησις 1060 B_8.

გამოწერა გამოსახვა, გამოხატვა: „გამოსწერენ“ 115,1; „გამოსწერდენ“ 350,32 σκιογραφεῖ 821 A_4; ἐγγλύφουσι 1069 B_5. „გამოწერონ“ 351,2 ἀποτυποῦται 1069 B_6.

გამოწულილვით 56,28 დაწვრილებით ἀκριβῶς 761 B_{4-5}.

გან-ი სამიზნე, „ისრის ნიშანი“ (საბა): „განისა მიმართ... წარჰმართებს ისარსა“ 145,9 ὡς βέλος πρὸς τὸν ἀγαθὸν εὐθύνων σκοπόν 852 D B_{2-3}.

განბჭობა განხილვა, განსჯა ἡ κρίσις: „განბჭობითა ცთომილისა ეჭუსაჲთა“ 306,28 κατὰ τὴν ἡμαρτημένην τοῦ καλοῦ κρίσιν 1021 C_5.

განგება რიგი: „წესი და განგება“ 63,5 τάξις τις καὶ ἀκολουθία 768 $A_{9\text{-}10}$.

განგულება გათვალისწინება προβλέπομαι: „წინაჲსწარ განიგულა მისთჳს“ 96,27 προβλεψαμένου 801 D_3.

განდგომა 91,15 ღალატი ἡ ἀπόστασις 797 A_{10}.

განზოგება გაშუალება, განახევრება: „ხოლო... რომელიმე მაღალთა აღსლვათა განზოგებასა აღსრულ არს და სხუასა განზოგებაჲცა წარუვლიეს“ 389,23 ὁ δὲ μέσης ἔχει τῆς τῶν ὑψελῶν ἀναβάσεως ἕτερος καὶ τὸ μεσὸν παρέδραμεν 1109 $D_{7\text{-}8}$.

განზოგებულ-ი 244,31 დანაწილებული, გაყოფილი τὰς μερικὰς 957 A_6.

განზრახვა 112,4 რჩევა ἡ συμβουλή 817C_1: „რასა განაზრახებს ყოფად“ 314,30 τί συμβουλεύει ποιεῖν 1032 A_7.

განთჳსება 1. თვისება, თავისებურება ἡ ἰδιότης: „განყოფილებისაებრ და განთჳსებისა“ 347,16 κατὰ τὰς διαφορὰς τε καὶ ἰδιότητος 1065 B_6 2. მიკუთვნება, მიჩემება οἰκειόω: „ბოროტისა მიმართ მიდრეკითა სიკუდილი განითჳსა“ 388,25-26 τῷ θανάτῳ διὰ τῆς πρὸς τὴν κακίαν σχέσεως οἰκειωθεῖσα 1109 B_{11}.

განთჳსებულ-ი 378,9 დამახასიათებელი, მიკუთვნებული ἰδιάζουσα 1104 B_3: „გონიერსა მას... განთჳსებული აქუს ზეცად მიმართ ამაღლებაჲ“ 303,16 Τὸ νοερὸν... οὐκείαν ἔχει τὴν ἐπὶ τὰ ἄνω φοράν 1017 C_8.

განთხზულ-ი ნაწნავი ὁ βόστρυχος: „განთხზულნი თმათანი“ 338,3 βόστρυχοι 1056 C_{12}.

განკუთნვა მინიჭება, განკუთვნა: „თითოეულად შემდგომითი შემდგომად დაბადებულთა სიბრძნისა ძლიერებასა განუკუთნაჳს“ 65,6 τὰ καθ' ἕκαστον τῶν ἐν τῇ κτίσει θεωρουμένων εἰς τὴν τῆς σοφίας ἄγει δύναμιν 769 $B_{1\text{-}2}$.

განკუთნვილება თვისება, თავისებურება ἡ ἰδιότης: „ნედლთა და ნოტიოთა შინა ამას ოდენ აქუს ესევითარი განკუთნვილებაჲ“ 341,20 μόνον τοῦτο τοιαύτην ἔχει τὴν ἰδιότητα 1060 $B_{7\text{-}8}$.

განმსტურობა მზერა, დაზვერვა: „ჰნებავს... განმსტუერობაჲ და ხილვაჲ“ 340,27 μέλει ἐπισκοπεῖν τε καὶ ἐπιβλέπειν 1060 $A_{2\text{-}3}$.

განპოხება გასუქება παίνω „...საძოვართა ზედა განიპოხების სამ-

წყსოჲ იგი“ 372,20 νομαῖς τὰ ποίμνια πιαίνεται 1093 A_{2-3}; „განაპობებს ჴორცთა“ 142,9 πιαίνει τὸ σῶμα 848 D_{10}.

განრისუა გაკრეჭა κείρω: „განრისუეან და განიბანებიან“ 217,20 κείρονται καὶ λούονται 928 B_{13}.

განრისულ-ი გაპარსული, გაკრეჭილი: κεκαρμένος: „შეასწორებს შუენიერებასა კბილთასა განრისულთა არვეთა“ 214,25 παραβάλλει τὸ ἐν τοῖς ὀδοῦσι κάλλος τοῖς κεκαρμέναις ἀγέλαις 924 D_{13-14}.

განრჩუნვილ-ი მოჭედილი, მოოჭვილი: „სისპეტაკე იგი ვეცხლისაჲ, ელვარებასა თანა ოქროჲსასა განრჩუნვილი“ 112,27 τὸ κάλλος... τῆς αὐγῆς τοῦ ἀργύρου πρὸς τὴν λαμπηδόνα τοῦ χρυσίου συγκιρναμένης 817 D_{8}.

განსუენება დასვენება: „...რომლითა-იგი განისუენა ღმერთმან საქმეთაგან თჳსთა“ 382,6 ἡ κατάπαυσις 1101 C_{13}.

განუნაბველ-ი განუსჯელი, შეუსწავლელი, გამოუკვლეველი ἄκριτος, ἀγύμναστος: „...განუნაბველად და გამოუძიებელად წარმოიჩინების ქებაჲ მათი“ 240,12 ἄκριτος αὐτῶν καὶ διημαρτημένος ὁ ἔπαινος 952 D_{8}; „...არა სრულიად განუნაბველად თანა-წარგუკდეს იგავი იგი“ 394,24 μὴ ἀγύμναστα καθ' ὅλου παραδραμεῖν τὰ αἰνίγματα 1116 C_{7-8}.

განფრდილ-ი გაყიდული, განწირული, „თავმიცემული“ (ილ. აბულაძე): „ქუეყანად ბოროტთა შინა განფრდილთა სახელ-სდებს“ 164,19 γῆν τοὺς κατεγνωσμένους ἐκ κακίᾳ κατονομάζει 872 B_{11-12}.

განფხურა ამოგლეჯა συνεξελαύνω: „განჰფხურა ბილწებაჲ იგი მრუშებისაჲ“ 322,18 συνεξελαύνων τῆς μοιχείας τὸ ἄγος 1040 A_{2-3}.

განქარება გაქრობა, მოსპობა განადგურება: „არაარს იქმნეს და განქარდეს“ 361,25 εἰς τὸ μὴ ὂν περιστῆσεται 1081 C_{3}.

განქარვებად-ი წარმავალი; რაც განადგურდება καταργούμενος: „ჰქონან მათცა... ძალნი განქარვებადნი“ 360,27 ἔχει... δυναμεις, τὰς καταργουμένας 1081 A_{3}.

განქიქება გამომჟღავნება, გამოაშკარავება δημοσιεύω: „განაქიქის... უშუერებაჲ იგი მისი“ 291,22 δημοσιεύεσθαι... τὰ ἀσχήμονα 1005 B 14.

განქრევა განიავება διακρίνω: „არცამცა განანქრია და არცამცა ბზისაგან განყო“ 57,30 μή τῷ λικμητῷ διακρίνας 761 D_{4}.

განყოფილება განსხვავება: „ანუ თუ განყოფილებაჲ აქუს“ 147,22 διαφορὰν ἔχει 853 D_7. „განყოფილებისაებრ და განთჳსებისა“ 347,16 κατὰ τὰς διαφορὰς 1065 B_6.

განჩინებულ-ი განკუთვნილი ἀφορισθείς, - θεῖσα, - θέν: „აჩუენონ... მტერთათჳს განჩინებული სიყუარული“ 140,28 ...επιδείξαιντο τὴν τοῖς ἐχθροῖς ἀφορισθεῖσαν ἀγάπην 848 A_{12}.

განცდა 1) მხედველობა ἡ ὄψις: „აღასრულებს განცდასა თუალი“ 128,10 ἐνεργεῖ τὴν ὄψιν ὁ ὀφθαλμός 833 D_5 2) „ხედვა“, βλέπω: „თჳსსა კაცობრივისა ბუნებისასა განიცდიდეს“ 99,3 ἴδιον τῆς ἀνθρωπίνης φύσεως βλέπων 805 A_2.

განძება გაძევება ἐκβάλλω: „წუეთნი იგი... განაძებენ კაცსა“ 132,16; „განაძე მჴევალი ეგე“ 394,19 Ἔκβαλε... τὴν παιδίσκην 1116 C_3.

განწვალება გაყოფა: „განწვალებისა და განყოფილებისა“ 389,28 κατα τὴν διαφοράν 1109 D_{12}.

განწვალებულ-ი გაყოფილი: „იყვნენ გაბნეულ, გინა განწვალებულ“ 395,13 διασχὶζεσθαι 116 D_{12}.

განწონება ჩხვლეტა, დასობა: „სარწმუნოებისა ისრითა განეწონების გულსა“ 327,23 ἡ διὰ τῆς κατὰ τὴν πίστιν ἀκίδος τῇ καρδίᾳ ἐγγενομένη 1044 D_1.

განხუეწა გარანდვა, გაფხეკა ἀποξύω: „წახნაგებითა ყოველივე დამაბრკოლებელი შუენიერებისაჲ განიხუეწოს“ 350,31 διὰ τῆς τορείας ἄπαν ἀποξύσηται τὸ ἐμποδίζον τῷ κάλλει 1069 B_2.

გარდარეულ-ი მომეტებული, გადაჭარბებული: „გარდარეულისა მისგან შუენიერებისა“ 364,19 κατὰ **τὴν ὑπερβολὴν** τοῦ κάλλους 1084 D_1.

გარდაქცევა სხვად ქცევა, შერყვნა ἐξαμαρτεύω: „გარდააქცევენ სარწმუნოებასა“ 259,7 οἱ περὶ τὴν πίστιν **ἐξαμαρτεύοντες** 972 C_5.

გარდაცემა „გარდადენა“ (საბა) πλημμυρέω: „დიდროდინ და გარდაეცემოდინ“ 289,15 πλημμυρῶσιν 1004 B_5.

გარდაცემულ-ი აღსავსე, უხვი βρύων: „სამოთხეთა წარმოაჩენს შუენიერებასა და ველთა გარდაცემულთა ყუავილთა“ 158,12 λειμῶνας δείκνυσι **βρύοντας** τοῖς ἄνθεσι 865 A_{14}; „გარდაცემულ ყვნეს“ 137,20 **βρύειν** παρασκευάσιῃ 844 B_{12}.

გარდაცვალება შეცვლა μεταβαίνω: „სიკუდილისაგან ცხორებად

გარდაიცვალების“ 73,11 ἀπὸ θανάτου εἰς τὴν ζωὴν μεταβαίνει 777 D_{10}.

გარეგანთხევა გაყრა, განდევნა ἀπορρίπτω: „ბრწყინვალეთა მათგან საქორწინეთა გარე-განითხიოს“ 61,5 ἔξω ἀπορρίφῇ 765 $A_{9\text{-}10}$.

გარემისაქცეველ-ი ზურგის შესაქცეველი, საძაგელი: „გარემისაქცეველი და სალტოლველი“ 351,27 ἀποτρόπαιος 1069 D_9.

გარემოქცევა ზურგის შექცევა; აქ: უწესობა: „უწესოდ და გარემოქცევით იქმნეს“ 140,11 ἄτακτός τις καὶ ἐνηλλαγμένη γένηται 845 $D_{7\text{-}8}$.

გარესკნელ-ი გარეშე, გარეგანი, გარეთ: „გარესკნელ იყო“ 312,8 ἐξώτερος ἦν 1028 B_{13}. „ბნელსა მას გარესკნელსა განიკადოს“ 61,5.

გარეშერტყმა შემორტყმა: „გარე-შეირტყა“ 292,28 περιεζώσατο 1008 A_{10}.

გარეშეუწერელ-ი 116,4; 321,15 უსაზღვრო ἀπερίληπτος 1012 B_6.

გარნა 112,28; 314,24 მაგრამ ἄλλα 1029 D_9.

გბობა ხარშვა ფύω: „აგბობდა“ 347,13 ἔφυεν 1065 B_2.

გემოთმოყუარე სიამოვნების მოყვარე: „გემოთმოყუარებად მისდრეკს“ 126,15 εἰς ἡδονὴν διαλύεται 832 D_8.

გემოჲსხილვა 208,16 გემოს გასინჯვა ἡ γεῦσις 917 C_6.

გზის-ყოფა გზის ჩვენება ὁδοποιέω: „ყოველთავე სიკუდილით აღმოშობასა აღდგომისა მიერ გზა-უყო“ 336,28 καὶ πᾶσι τὸν ἐκ νεκρῶν τόκον ὁδοποίησας διὰ τῆς ἀναστάσεως 1053 C_{12}.

გოგო 127,15 გომბეშო ὁ φρῦνος 933 B_9.

გოდოლ-ი 197,17 კოშკი ὁ πύργος 905 D_8.

გონება 60,19; 312,8 აზრი νοήμασι 765 A_3; τῆς διανοίας 1028 B_{14}.

გრკჳნვა მოხვევა, ხელში აყვანა ἀναλαμβάνω: „არცა სრული წიაღთა მპოხელისათა იგრკჳნვის“ 63,1 οὔτε ὁ τέλειος ἐν ταῖς ἀγκάλαις τῆς τιθήνης ἀναλαμβάνεται 768 $A_{5\text{-}6}$.

გრძნობა შეტყობა, მიხვედრა αἰσθάνω: „აგრძნა... მოსლვაჲ“ 319,11 αἰσθάνεται 1036 B_4.

გრუზ-ი იხ.: თმაგრუზი.

გუადრუც-ი 352,1 γυῖα τὸ γλωσσόκομου 1069 D_4.

გუალულ-ი გამომშრალი αὐχμηρός: „გუალული და წყურიელი ქუეყანაჲ“ 188,1 αὐχμηρὰ καὶ διψώδης 896 D_{12}.

გუამოან-ქმნა აგება, შეერთება; გამოსახვა σωματο ποιέω: „ხილულსა... ასოთა მიერ გუამოან-იქმს მოციქული“ 359,27 τὸ βλεπόμενον... διὰ τῶν... μελῶν... **σωματοποιεῖ** ὁ Ἀπόστολος 1080 B_{8-11}. (ნ. გუამოან-ყოფა).

გუამოან-ყოფა „გუამოან-ყო ეკლესიაჲ სიტყუამან მსგავსებითა სძლისაჲთა“ 219,6 Σωματοποιήσας τὴν Ἐκκλησίαν ὁ Λογος εἰς τὸ τῆς νύμφης εἶδος 929 A_{15} -B_1 (ნ. გუამოან-ქმნა).

გუელისსავარცხელ-ი 127,16 ზოოლ. სკოლოპენდრა η σκολόπενδρα 833 B_{10}.

გულარძნილ-ი 381,20 არაწრფელი, ბოროტი, მზაკვარი σκολιός 1101 B_{14}; „გულარძნილი და ზაკული“ 346,22 ὕπουλος 1064 D_9.

გულება სურვილი, ნდომა βούλομαι: „ეგულების“ 113,17 βούλεται 841 B_1.

გულისეზო 223,15 აქ: ყელი: „კმატკბილ და კმამაღალ იყვნეს გულისა ეზონი მისნი“ 223,15 ἡ ἀρτηρία 933 C_{1-2}.

გულისთქუმა 126,14 სურვილი ἡ ἐπιθυμία 832 D_8. „ვაშლისა გული-უთქუამს“ 142,26 μήλων **ἐπιθυμεῖ** 849 A_{14}.

გულისსიტყუა 314,11 აზრი, ფიქრი ὁ λογισμός 1041 D_3.

გულისკმის-ყოფა 152,6; 312,3 გაგება, შეტყობა, მიხვედრა ἡ κατανοήσις 857 D_2.

გულსავსება 153,17 დაჯერება, დაკმაყოფილება ἡ πληροφορία 860 B_{11}.

გულქველ-ი აღფრთოვანებული: „გულქველ იქმნეს და სურვილი შესძინეს სურვილსა ზედა“ 237,13 ἐκαρδιώθησαν 949 A_{11}.

დ

დაბებკულ-ი 291,28 დაძონძილი, დახეული ῥακώδης 1005 C_5.

დაბრყულება დაჩლუნგება: „არა დაიბრყულებდენ თუალთა“ 209,16 ἐναμβλυωποῦντες 920 A_{12}.

დაბუშება დასიება, „დაბუჟება“ (საბა): „ვრცელ ბარკალსა ენებაჲ იგი დაბუშებისაჲ შეიწყნარა“ 268,6 τω μηρῷ τὸ πάθος ἐδέξατο 981 A_{10}.

დაგება დადება προτίθεμι: „მჯაჲ იფქლისაჲ საზრდელად კაცთა დაუგო“ 57,29 **προθείη** πρὸς ἀνθρωπίνην βρῶσιν 761 D_7.

დაგლა დანაყვა καταλεαίνω: „უდაბნოსა ზედა დაიგალა მოსეს მიერ“ 203,15-16 ἐν τῇ ἐρήμῳ **καταλεανθέντα** 912 D_8.

დაგლახაკება გაღარიბება πτωχεύω: 377,13 ἐπτώχευσε 1097 C_{11}.

დამაბრკოლებელ-ი ხელის შემშლელი: „წახნაგებითა ყოველივე მაბრკოლებელი შუენიერებისაჲ განიხუეწოს“ 350,30-31 διὰ τῆς τορείας ἅπαν ἀποξύσηται τὸ ἐμποδίζον 1069 B_2. იხ.: დამაყენებელი.

დამაყენებელ-ი დამაბრკოლებელი, ხელისშემშლელი: „არარაჲ იყოს დამაყენებელ სისრულისათჳს ბუნებისა“ 389,6-7 οὐδὲν ἦν **τὸ κωλύον**... 1109 C_2. იხ.: დამაბრკოლებელი.

დამკუდრება დასახლება σκηνόω: „დაემკუდრა“ 298,9 σκηνώσαντα 1045 C_{13}.

დამჭირვა დაჭერა τὸ κατέχειν: „დამჭირვაჲ შეუძლებელ არს“ 98,5 τὸ **κατέχειν** μὴ δυνάμενος 804 C_1.

დანაკ-ი 193,2 დანა, მახვილი μάχαίρας 901 D_2.

დაუდგრომელ-ი 66,6; 97,29 ცვალებადი, წარმავალი ἄστατος 770 D_6.

დაუმშუდებელ-ი დაუწყნარებელი, ველური, სასტიკი: „დაუმშუდებელ და ველურ“ 327,8 **ἄπιστος** τε καὶ ἀνήμερος 1044 C_1.

დაუცადებელ-ი შეუჩერებელი: „დაუცადებელად სლვაჲ“ 311,12 ἡ **ἄπαυστος**... πορεία 1025 D_{13}.

დაფხურა დაგლეჯა παρατίλλω: „ჴორცთა, რომელთაგან აღმოსცენდებიან, ელმის, და-რაჲ-იფხურებოდინ (თმანი)“ 212,6-7 ὀδυνᾶται παρατιλλόμενον 921 C_7.

დაყუდება დაწყნარება: „სული თჳსი ესრეთ დააყუდოს“ 110,28 τὴν ἑαυτοῦ ψυχὴν **καταστήσιεν** 816 D_{12-13}. „დაყუდდების და დასცხრების“ 162,13 ναρκᾷ 869 B_5. „დაყუდნების და განეგების ქუეყანაჲ“ 105,18 **κατοικίζεται** καὶ ἡσυχάζει 812 B_8.

დაცადება შეჩერება, შეწყვეტა ἡ στάσις: „დაცადებასა... არა ჰპოვებს“ 319,4-5 **στάσιν** οὐχ εὑρίσκει 1032 A_2.

დაცონება დაზარება **κατοκνέω**: „არა დავიცონოთ სულ მცირედ წარმოთქუმაჲ მათი“ 383,2 Θεωρηθέντων δι' ὀλίγων τὴν διανοιαν τῶν αἰνιγμάτων ἐπιδραμούμεθα ἐπιδραμούμεθα 1104 A_{14-15}.

დაცუმულ-ი ასხმული: „ყელი შენი, ეითარცა მძივი დაცუმული“ 102,3-4 τράχηλός σου ὡς ὁρμισκοί 808 C_4. „წულილად დაცუმულისა

ვეცხლისა მიერ“ 114,21.

დაწუხვა დახუჭვა ἐπιμύω: „დაიწუხნეს თუალნი“ 200,27 πρὸς φῶς ἐπιμύσαντος 909 C_1.

დიდროვა ადიდება πλημμυρέω: „დიდროოდინ და გარდაეცემოდინ“ 289,15 πλημμυρῶσιν 1004 B_{4-5}.

დრაქმა 317,4 ფულის ერთეული ἡ δραχμή 1033 A_{12}.

დრაჰკან-ი ფულის ერთეული 365,5 τὸ δηνάριον 1085 A_{11}.

დურე მორი, ხის ნაჭერი, ნაფოტი ἡ δοκός: „დურე ამპარტავანებისაჲ“ 343,17 τῆς οἰήσεως δοκός 1061 B_9.

დღეკეთილობა 304,4 კეთილდღეობა ἡ εὐημερία 1017 D_3.

ე

ედნა საქორწინო საჩუქარი τὸ ἔδνον: „მიუძღუანეს დაწინდებულსა მას მადლნი საღმრთონი, რომელსა-იგი ედნად სახელ-ედების“ 67,7-8 προσήγαγον τῇ μεμνηστευμένῃ τὰ θεῖα χαρίσματα, ἅπερ ἔδνα καλεῖ ἡ συνήθεια 772 C_2.

ეზოჲსმოძღუარი-ი ქორწილის მომწყობი, მომრიგებელი: „დიდი მოციქული მოგუათხოვებს ჩუენ ქრისტესა ქალწულად და ეზოჲსმოძღუარ ექმნების სულსა“ 130,19-20 ὁ Ἀπόστολος ἁρμόζεται τῷ Χριστῷ... ἡμᾶς, καὶ νυμφοστολεῖ τὴν ψυχήν 836 D_5.

ეზოჲსმოძღურება ქორწილის მოწყობა: „ეზოჲსმოძღურებად იწყებს... ესეეითარისა მეუღლებისა მიმართ“ 65,10 νυμφοστολεῖν ἄρχεται... προς τὴν τοιαύτην συνοίκησιν 769 B_{5-6}.

ეთერ-ი ჰაერის ზედა ფენა: „წინაჲსწარმეტყუელი ელია ეთერისა სიმაღლედ აღიყვანა“ 105,14-15; 160,10 τὸ αἰθέριον 812 B_3; 868 A_{13}.

ეკლოვან-ი 249,30 ეკლიანი ἀκανθοφόρος 1093 A_3.

ემბაზ-ი საბანელი, სანათლავი τὸ λοῦτρόν: „...წყალთა შინა სინანულისა და ემბაზისათა დაუანთქათ“ 107,5-6 τῷ ὕδατι καταπίξαντας 813 A_9.

ერთსახე ერთგვარი, ერთნაირი: „ერთსახედ და ერთბამად“ 172,22-23 κατὰ τὸ ἴσον 881 A_{11}.

ერთბამად ერთად: „ერთბამად და ზოგებით შემოკრბეს“ 54,25 περὶ τὸ ἓν συνδεδραμηκότων 760 A_{1-2}. ნ. ზოგებით.

ეროდიონ-ი 132,24; 132,29: „ეროდიოს ებრაულ არს, ვიეთთაგან ყარყადად ითქმის, ვიეთთაგან არა“ (საბა) ὁ ἐρωδιός 837 D_8.

ესავს იხ.: სავ-

ესეზომი ასეთი: „ესეზომი და ესევითარი“ 172,19 τοσοῦτος 881 A_7.

ეშუ ტახი ὁ ὗς: „განრყუნა იგი ეშუმან მაღნარისამან“ 136,22 Ἐλυρήνατο αὐτὴν **ὗς** ἐκ δρυμοῦ 841 $D_{9\text{-}10}$.

ვ

ვაც-ი 384,25 მამალი თხა ὁ τράγος 1085 B_{12}.

ველისყრდელ-ი 275,7 მწარე ბალახი ἡ πικρίς 988 D_7.

ვენაკისმოქმედება 385,6 ვენახის დამუშავება ἡ ἀμπελουργία 1105 B_8.

ვიდრე სად, საითკენ : „ვიდრე მიიმართა“ 367,2 ποῦ ἀπέβλεψεν 1089 $D_{13\text{-}14}$; „ანუ ვიდრე ვალს“ 226,5 ποῦ ὑπάγει 936 D_{10}.

ვინაჲ საიდან : „ვინაჲ მოვალს“ 226,4 ὅθεν ἔρχεται 936 D_9.

ვითარება 259,2; 77,17 მდგომარეობა, რაობა ἡ ποσότης; ποιότητα 784 A_{10}.

ვრცელბარკალ-ი „სისხო ბარკალი“ (საბა) ὁ μηρός : „ვრცელ ბარკალსა ენებაჲ იგი დაბუშებისაჲ შეიწყნარა“ 268,6-7 τῷ μηρῷ τὸ πάθος ἐδέξατο 981 A_{10}.

ზ

ზაკუვა ცბიერება, სიცრუე ὁ δόλος; ἡ πανουργία: „რომლისა თანა ზაკუვაჲ არა არს“ 370,1 ...ᾧ δόλος οὐκ ἔστι 1089 C_1. „სიცრუეთა ზაკუვიდა სიტყუასა“ 347,4-5 ὁ μὴ ἐν πανουργίᾳ τὸν λόγον 1065 A_8.

ზაკუვით-ი ვერაგული: „იყო უსაწადელეს ზაკუვითთა მათ ამბორის-ყოფათა მტერისათა“ 327,15 τραύματα τῶν φιλημάτων 1044 C_7.

ზაკულ-ი ვერაგი: „თუნიერ ზაკულისა რაჲსმე სიცრმისა“ 346,10-11 ἄδολον 1064 C_7: „გულარძნილი და ზაკული“ 346,22 βαδυ τε καὶ ὔπουλον 1064 $D_{9\text{-}10}$.

ზარმცემელ-ი შემაშინებელი: „ზარმცემელ და შემაძრწუნებელ“ 224,8 φόβον ἐμποιοῦσι 933 D_6.

ზედა „ზედ, გინა საზედაო ქსლისა“ („საქსვალის გასაყრელი საქსოვად“ საბა): „ნაქსოვისა აგებულებაჲ მრავალთა საქუსალთა მიერ და ზედათა შეიმზადების“ 248,25 ἐπὶ τῆς τῶν ὑφασμάτων κατασκευῆς διὰ πολλῶν νημάτων 961 $A_{8\text{-}9}$.

ზედამდგომელ-ი ზედამხედველი: „ზედამდგომელნი და მაწუეველნი“ 106,14 οἱ ἐπιστάται 812 C_{15}.

ზედაწარწერილ-ი 69,13 წარწერილი ἡ ἐπιγραφή 773 C_5.

ზეზ-ი „ესე არს ორფერი ძაფი და ძაფი და სირმა ერთად შესთული“ (საბა): „ოქრომკედითა და იაკინთითა და ზეზითა ...ყუავილოვნად მოქსოვილ“ 82,21-22 βύσσῳ 788 C_3.

ზეშთა-ქმნა ზევით მოქცევა, ამაღლება: „და ყოველსავე... შებრკოლებასა... ზეშთა-ექმნებოდის“ 110,7-9 πάντα τὰ ἐμπόδια... ὑπερβαίνουσαν 816 C_{10}.

ზეშთასოფელ-ი ზეცა ὑπερκόσμος: „მოვლო... ზეშთასოფლისა ქალაქი“ 185,5-6 διεξῆλθε τὴν ὑπερκόσμιον πόλιν 893 B_8.

ზმნობა მიკვლევა, მიგნება: „სიტყუაჲ ჩუენი გამოიკულევს და მისაწდომელთა მსგავსებათა მიერ აზმნობს წარმოჩინებად“ 76,24-26 καταστοχάζεται διὰ τῶν καταλαμβανομένων εἰκάζων 781 D_{3-4}.

ზოგად-ი 79,30 საერთო κοινὴ 785 C_3.

ზოგებით ერთად: ნ. ერთბამად.

ზოგსრაჲმე 296,19 ნაწილობრივ ἐκ μέρους 1012 A_2: „ზოგსრაჲმე მოვიკსენნეთ... წოდებანი სძლისანი 232,7-8 „ზოგს-რაჲმე ვიცნათ ბუნებაჲ იგი კეთილისაჲ“ 296,19.

ზურგით დაგდება უკან მოტოვება: „ბოროტი ზურგით დაიგდო“ 127,19 κατὰ νώτου τὴν κακίαν ποιησαμένη 868 D_6.

ზრახვა ლაპარაკი: „და სარკუმელთაგან... მზრახავს“ 156,31 ἐκ τῶν δικτύων διαλεγόμενος 864 B_{12-13}.

ზრქელი-ი მკვრივი: „ზრქელი... და კორციელი“ 157,4 σωματικός 864 C_1; ზრქელი 128,10 γεῶδες 872 C_6.

თ

თავ-ი თავთავი ὁ στάχυς: „ვერ ეგების აღმოცენებაჲ თავისაჲ, უკუეთუ პირველ... არა განილიოს მარცუალი“ 303,5-6 οὐκ ἔστι φυῆναι στάχυν 1017 B_{14}.

თავსმდებ-ი 98,28 თავსმდები ὁ ἐγγυητής 804 D_{12}.

თანააღმაღლებულ-ი 234,11 ერთად ამაღლებული συμμετεωροπορεῖν 945 B_2.

თანამავალ-ი თანამგზავრი: „სიმაღლისა თანა საღმრთოჲსა თანამა-

ვალ იქმნა“ 234,10-11. πρὸς τοσοῦτον ὑψώθη 945 B_1.

თანაქროლა სხვასთან ერთად ქროლა: „თანა-ქროდის და თანა-რბიოდის“ 270,6-7 συμπνέοντα 984 A_{14}.

თანაძრისხილვა 309,30 ერთად უბედურების გადატანა συγκακουχεῖσθαι 1052 B_6.

თანაწარსადინელ-ი მდინარის სავალი, კალაპოტი ἡ ἐπιρροή: „ხე სახარულევან... თანაწარსადინელსა წყალთასა განპოხებულ“ 123,10 δένδρον τῶν ὑδάτων ἐπιῤῥοαῖς πιαινόμενον 829 B_{6-7}.

თანაწარსავალ-ი: „მსგავსად ხისა მის თანაწარსავალსა წყალთასა დანერგულისა“ 342,24 καθ' ὁμοιότητα τοῦ ξύλου τοῦ παρὰ τὰς διεξόδους τῶν ὑδατων πεφυτευμένου 1061 A_{2-3} (იხ. თანაწარსადინელი).

თანაწარკდომა გვერდის ავლა παρίημι: „თანა-წარეჰკადოთ სიტყუაჲ ჩუენი“ 200,11-12 τῷ λόγῳ παρήσομεν 909 B_{1-2} „თანა-წარგუკდეს იგავი იგი“ 394,25 παραδραμεῖν τὰ αἰνίγματα 1116 C_8; „თანა-წარეჰკდა მიწდომასა მისსა“ 309,7 παρῆλθε τὴν κατάληψιν 1024 D_4.

თანახატ-ქმნა 373,29 დამსგავსება συμμορφόω: „თანახატ-ექმნეს მსგავსებასა მას სიკუდილისა მისისა“ 262,19-20 συμμορφούμενος τῷ ὁμοιώματι τοῦ θανάτου 976 C_2 „თანახატ-ექმნა კორცთა ამათ სიმდაბლისა ჩუენისათა“ 329,7 συσχηματισθὲν τῷ σωματι 1045 C_8.

თანაკორც-ი ერთხორცი, ერთიანი σύσσωμος: „იქმნებიან სულნი ამათნიცა და მათნიცა თანაკორც სიტყჳსა“ 391,7-8. Γίνονται... αἱ ψυχαὶ καὶ σύσσωμα τῷ Λογῷ 1112 C_{12}.

თარშ-ი ძვირფასი თვალი: „ქელნი მისნი ოქროჲსანი, წახნაგებულ, აღვსებულ თარშითა“ 332,3-4 Χεῖρες αὐτοῦ πεπληρωμέναι θαρσεῖς 1062 C_{11}.

თბე ცომი: „წმიდა-ჰყოფს ზოგადსა მას თბესა კაცთა ბუნებისასა“ 330,5-6 (თბე + ქართ.). ...τὸ κοινὸν τῆς φύσεως 1048 A_7.

თეატრონ-ი 187,6 სანახაობა, თეატრი τὸ θέατρον 896 B_1.

თერისტრო (თერისტოჲ: „ზეწარი ქალთა მოსაფარავი“ საბა) τοῦ θερίστρου 1033 D_5: „...იქმნა მიღებაჲ თერისტრისაჲ სძლისაგან, რომელ არს ზეწარი რაჲმე სასძლოჲ“ 318,11-12; „შეიმოსა ზეწარი თჳსი, რომელ არს თერისტოჲ“ 305,6.

თითოსახე 70,13 მრავალფეროვანი, სხვადასხვაგვარი διάφορος

824 A_2. იხ.: თითოფერი.

თითოფერ-ი მრავალგვარი διάφορος: „თითოფერთა ნივთთაგან შემკობილნი“ 356,19 διαφόρις 1076 C_6. იხ.: თითოსახე.

თითოფერება მრავალგვარობა: „ნივთისა მის პირად-პირადობაჲ და თითოფერებაჲ“ 202,12-13 το τῆς ὕλης ποικίλον τε καὶ **πολυειδές** 912 B_5.

თმაგრუზ-ი ხუჭუჭი თმა: „შეამკობენ ტევნეულად მოცვითა თმაგრუზთაჲთა“ 339,8-9. κοσμοῦντες αὐτὴν τῷ ἰδίῳ κυκλωματι 1057 A_{6-7}.

თუალ-ი „წყაროთა გამოსადინებელი“ (საბა) ἡ φλέψ: „აღმოუცენებს გუერდისა შენისა მდინარისაგან, რომლისა-იგი თუალი ლახუარმან განაპო“ 96,3 τὴν φλέβα ταύτην ἀναστομώσαντος 801 A_{11}.

თუალთმთლელ-ი 353,16 იუველირი, ოქრომჭედელი λιθόγλυφος 1072 C_8.

თუალითმხილველ-ი 79,24 თვითმხილველი αὐτόπτης 785 B_9.

თუალთშეუდგამ-ი თვალუწვდენელი, უსაზღვრო ἄκρατος: „თუალთშეუდგამნი იგი ღმრთეებისა შარავანდედნი“ 130,6 ...τὴν ἄκρατον τῆς θεότητος ἀκτῖνα 836 C_7.

თუთება 238,23 თუსება, თავისებურება ἡ ἰδιότης: „ნაყოფთა და გემოთა თუთებასა“ 296,11 τῶν καρπῶν... ἰδιότητας 1009 D_7.

თუს-ი 1. 99,3 თვისება, თავისებურება τὸ ἴδιον: „და გრძნობისაგან დაკლებაჲ მკუდართაჲ არს თუსი“ 212,9-10 τὸ δὲ ἀμοιρεῖν τῆς αἰσθήσεως τῶν νεκρῶν ἐστιν **ἴδιον** 921 C_2. 2. მახლობელი, მეგობარი ὁ συνήθης „თუსთა... და მოჰასაკეთა მისთა“ 67,18 **συνήθεις** καὶ ὁμήλικες 772 C_{13}.

თქუმა 61,17 დაშინება, მუქარა ἡ ἀπειλή 765 B_6; „უთქუამს მოკუეთასა“ 58,11 φοβερῶς... τὴν ἀκμὴν παραδεικνύουσα 764 A_9.

თხზულ-ი თმათა ნაწნავი 322,9 ὁ βόστρυχος 1037 D_8.

ი

იაკინთ-ი 82,22 ძვირფასი თვალი ὑάκινθος 788 C_3.

იბედივ-ი ბედისმიერი, შემთხვევითი ἀκούσιος: „საგონებელმცა იქმნა... იბედივად და უნებლიეთ“ 302,7; „სიტყუაჲ იგი ასისთავისაჲ არა თუ იბედივი რაჲმე არს“ 268,15.

იგავ-ი 63,6; 361,15 არაკი, მაგალითი. ἡ παροιμία; ἡ ἀλληγορ-

ία „იგავით შემკობაჲ“ 113,22 ἡ τροπικὴ σημασία 820 B_7. „იგავად და სახისმეტყუელებად სახელ-სდებს“ 53,26 ἀλληγορίαν ὀνομάζει 752 B_9.

იფქლ-ი 57,29 ხორბალი: „არცა ბზისაგან განყო იფქლი“ 57,30-58,1 ἄρτον 761 D_{10}.

იფხლ-ი გვიმრა (საბა): „ეკლითა, იფხლითა და ლერწმითა“ 141,31: ἀκάνθαις, καὶ χόρτῳ καὶ καλάμῃ 848 D_1.

იქედნე 154,3-4 გველი ἡ ἔχιδνα 861 D_7.

იწრო 308,28 ვიწრო στενός 1024 C_{10}.

იჭუეულ-ი 323,12 საეჭვო διστάζουσα 1040 B_6.

კ

კადნიერება უშიშრობა, გაბედულება ἡ εὐθαρσία: „კადნიერებით ვალს“ 384,18 εὐθαρσῶς τὴν πορείαν ποιούμενον 1105 A_6.

კამარა 197,2 თაღი ἀνάκλιτον 905 C_7.

კარაკინ-ი ფარგალი: „კარაკინითა მოავლო მრგუალი წერტილი“ 56,28-29 (+ქართ.). καθάπερ ἐν κύκλου τῇ περιγραφῇ 761 B_5.

კარაულ-ი 365,4 სახედარი τὸ ὑποζύγιον 1085 A_{10}.

კაცად-უკაცად-ი 326,27 თითოეული ἑκάστος 1044 B_6.

კაცთმოთნება 351,8 პირფერობა το ἀνθρωπαρέσκον 1069 B_{12}.

კაწახ-ი 257,22 „უმწიფარი, მკვახე ზეთისხილი, გინა ისრიმი, გინა უჟამი ხილი“ (საბა) τὸ βράβυλον 969 D_2.

კედარ-ი ბოტ.: ხე: „საყოფელნი კედარისანი“ 82,2 σκηνώματα κηδάρ 788 A_8.

კეთილ-ი სიკეთე τὸ ἀγαθόν: „სიმრთელისა კეთილი“ 234,18 τὸ τῆς ὑγείας ἀγαθόν 945 B_9.

კერპ-ი გამოსახულება: τὸ εἴδολον: „არა ჩნდეს მათ (ნედლთა და ნოტიოთა) შინა კერპი რაჲმე და მსგავსებაჲ“ 341,21 τὸ μὴ ἐμφαίνεσθαι αὐτῷ εἴδωλόν τινος καὶ ὁμοίωμα 1060 B_9.

კეც-ი 202,26 თიხა: „კეცსა მიგუაშსგავსნა“ ὀστρακίνους ἐποίησεν 912 C_5.

კინამო სურნელოვანი ყვავილი, 241,11 κιννάμωμον 953 A_{11}.

კმასაყოფელ-ი 66,4 საკმარისი ἱκανός 770 D_3.

კოწოლ-ი კულული, „თმის ნაწნავი“ (საბა) ὁ βόστρυχος: „გულისკმა-ყვენით თმად და კოწლად“ 339,4-5 βοστρύχους ὑπενοήσαμεν 1057 A_2.

კრეტსაბმელ-ი 320,19-20 ფარდა τὸ ὑπέρθυρον 1037 A_1.

კრძალულება მორცხვობა, მოკრძალება: „ხედავ მორცხუეობისა და კრძალულებისა ვარდსა“ 164,4-5 ὁρᾷς τὴν αἰδῶ 872 A_{12}.

კუალადგება დაბრუნება ἐπανάγω: „პირველსავე მას მადლსა კუალად-აგო“ 125,17 ἐπὶ τὴν πρώτην **ἐπανάγει** χάριν 832 B_6.

კუალადქცევა დაბრუნება, გამოერება: „აწ კუალად-ვიქცეთ პირველსავე სიტყუასა“ 318,18 ἐπαναλάβωμεν πάλιν 1033 D_7.

კუალადწარმოთქუმა 382,27 გამოერება ἡ παλιλλογία 1104 A_{11}.

კურო 365,20 ხარი, მოზვერი ταῦρος 1085 B_{13}.

კუროჲსთავ-ი 227,8 ნარი, ტატაში, ოთხკალი ὁ τρίβολος 937 C_8.

ლ

ლაკუა 343,5 ორმო, წყლის დასაყენებელი ὁ λάκκος 1061 A_{12}.

ლალვა შუღლი, ჩხუბი μάχομαι: „ძენი დედისა ჩემისანი მლალვიდეს მე“ 82,4 υἱοὶ μητρός μου ἐμαχέσαντο ἐν ἐμοί 788 A_{10-11}.

ლიბან-ი 362,17 საკმევლის ხე ὁ λίβανος 1081 D_6.

ლიტონ-ი, 207,22 სადა, უბრალო ἁπλῶς 917 A_7.

ლმობა ტკენა: „გული გუალმე ჩუენ... ერთითა მძიეთა ყელისა შენისაჲთა“ 229,4-5 ἐκαρδίωσας ἡμᾶς... 940 C_{11}. „ელმოდა გული სურვილითა“ 237,26-27 ἐκαρδιώθησαν 949 B_{11}.

ლმობიერება თანაგრძნობა: „წყალობად და ლმობიერებად“, 93,30 εἰς συμπάθειαν 806 B_9.

ლოდება ცდა, ლოდინი: „არა დგომით, არცა ლოდებით“ 153,22-23 οὐδὲ ἑστὼς, οὐδὲ **παραμένων** 860 C_{3-4}.

ლხინება შვება „ჭირთა ლხინება“ 250,18 πόνων ἄνεσις 964 A_{14}.

მ

მაბრალობელ-ი 52,21 ბრალის დამდები ἐγκαλῶν 756 B_8.

მალემხედველ-ი 239,6 ფხიზლად მხედველი ὀξυδερκής 952 A_9.

მალიადმორბედება 287,15 ჩქარი სიარული, რბენა τὸ εὔδρομον 1001 B_5.

მანაკ-ი 63-17 ყელსაბამი ὁ μανιάκης 768 B_{10-11}.

მართუსსმა ბარტყების გამოჩეკა, დაბუდება: „მართუე-ისსმენ მფრ-

ინველნი“ 132,24 ἐννοσεύσουσι τὰ στρουθία 837 D_7.

მარტივი პირი პირდაპირი აზრი: „მარტივისა პირისა უმაღლესი“ 56,10-11 τῆς προχείρου κατανοήσεως ὑψηλότερος 761 A_1.

მარტოებით 390,10 მარტო τῇ μονάδι 1112 A_{11}.

მასკნე 94,14 ვაზის ულვაში, რქა ὁ ἔλιξ 800 C_8.

მატყლმცენარე მატყლიანი, მატყლის მატარებელი: „კბილნი ბუნებით შიშუელ არიან და მატყლმცენარეთა უმარჯუ შესატყუებელად“ 215,14-15 γυμνῷ τῷ ὁδόντι κατὰ φύσιν ὄντι εἰς σύγκρισιν τὸ ἐρειοφοροῦν οὐκ εὐάρμοστον 925 B_4.

მაღალვარჯოვან-ი 362,4 მაღალრტოიანი ὑψίκομος 1081 C_8.

მაღლადმეტყუელება 289,19 მაღალფარდოვანი ლაპარაკი ἡ μεγαληγορία 1004 B_{10}.

მგლოვარ-ი 313,15 მგლოვიარე ὀδυρόμενος 1029 A_8.

მდოვრ-ი მშვიდი: „შეიცვალოს ბუნებაჲ ლომისაჲ... შინაურად და მდოვრად“ 362,22-23 πρὸς τὸ τιθασσόν τε καὶ ἥμερον 1084 A_{1-2}.

მდრანჯობალ-ი მოაშიყე: „იქმნებიან ცხენ მცბიერ მდრანჯობალ“ 108,13-14 "Ιπποι θηλυμανεῖς ἐγενήθησαν 813 D_{5-6}.

მებრ 86,11 სწორედ, მხოლოდ: „მას მებრ მოწილესა ჟამსა მიწევნულ არიან“ 158,13-14; „თჳთ მებრ თავსაცა თჳსსა წარჰკდა“ 277,1; „თჳთ მებრ იგიცა შესხმაჲ განვიხილოთ“ 214,23-24.

მეგუბტელ-ი ეგვიპტელი 309,29 Αἰγύπτιος 1025 B_3.

მედრეკან-ი დრეკადი, ღუნვადი: „მედრეკანითა რაჲ და კეთილად გამოწერილითა ყელითა მიმოიქცეედეს კიცჳ ქედსა თჳსსა“ 109,28 εἰς κύκλου σχῆμα 816 C_{1-2}.

მეზუერე 164,20 მებაჟე ὁ τελώνης 872 B_{14}.

მენაკი „ესე არს ხარისხი ცათა მზომელობისა, გინა თლილის ქვისა“ (საბა) „მენაკად არა ხოლო თუ მენათა მოჭდობასა ეწოდების, არამედ ყოვლისავე სართულისა ულპოლეელთა და კეთილად მოხუეწილთა ფიცართა მიერ მტკიცედ შენაწევრებით მოჭედასა“ 133,12-14. τὸ φαντῶμα 840 A_{11}.

მეტისმეტყუელება მრავალმეტყველება, ზედმეტსიტყვაობა ἡ ματαιολογία: „ამაოდ რაიმე და ცუდად მეტის-მეტყუელებს“ 166,13-14 κα-τά τινα παρέλκουσαν ματαιολαγίαν 873 C_4.

მზირა ჩასაფრება, თვალთვალი: „მზირინ იგი, ვითარცა ლომი საყ-

ოფელსა თჳსსა“ 172,4 Ἐνεδρεύει 880 D_4.

მზისთუალ-ი 96,9 მზე ὁ ἥλιος 801 C_3.

მთხრებლ-ი 110,4 თხრილი, ორმო ὁ βόθρος 816 C_5; „ლაკუათა და მთხრებლთა“ 343,5 ὁ λάκκος 1061 A_2.

მითუალვა მიღება ἀπόδεχομαι: „მივითუალე“ 52,1 ἀπεδεξάμην 756 A_1; „მიითუალავს“ 170,13 μεταλαμβάνει 877 D_9.

მიმდგომ-ი 172,22 თანამდგომი, მომხრე ὑποχείριος 881 A_{10}.

მიმოდაბძარვა დაბზარვა, დაგლეჯა διασχίζω: „მი-მო-დაბძარა ბუნებაჲ“ 91,13 τὴν φύσιν διέσχισεν 797 A_9.

მიმოდაღება მიცემა, გადაცემა, სწავლება: „მისცვალებს და მი-მოდასდებს მოყუასთა მიმართ საიდუმლოთა საბარებისათა“ 276,10-11 περιτίθεται τοῖς πλησίον τὰ τοῦ Εὐαγγελίου μυστήρια 989 B_{7-8}.

მისაგებელ-ი 390,1 საზღაური, სანაცვლო ἡ ἀμοιβή 1112 A_1.

მიჩემება მიკუთვნება ἀνατίθημι: „შემოქმედსა მიაჩემონ“ 87,9 ἀνατιθέναι 792 D_{10}.

მიწისაგან-ი მიწიერი γεώδης „მიწისაგანსა ცხორებასა... მოასწავებენ“ 99,8 ...τῷ γεώδει βίῳ ἐνσημαίνονται 805 A_6.

მნა 394,6 ფულის ერთეული, 1/60 ტალანტისა ἡ μνᾶ 1116 A_{13}.

მობაძავ-ყოფა მიბაძვა: „ღირს-იქმნების მობაძავ-ყოფად ძალისა მის“ 107,18-19 ἄξιός ἐστιν ὁμοιωθῆναι 813 B_{9-10}.

მოდნობა 164,28 მონელება ἡ πέψις 992 C_2.

მოვაჭრება ἐμπορεύω ყიდვა, მოგება: „სათნოებათა ნამუშაკევსა... მოივაჭრებდეს“ 247,7-8 „გულის-კმის-ყოფისა სიმდიდრე მოვივაჭროთ“ 301,11 ἐμπορεύεσθαι 960 B_{1-2}.

მოლოდებად-ი 71,25-26 მოსალოდნელი ἐλπιζόμενος: „მოლოდებადი იგი შემდგომად მკუდრეთით აღდგომისა ცხორებაჲ მოუგიეს“ 71,25-26 τὴν ἐλπιζομένην... ζωὴν ἐπιδείκνυται 776 D_{12}.

მომდოვრება მოდუნება ἀμβλύνω: „არაოდეს მოამდოვრებს სურვილსა მას სიმაძღრითა“ 318,22 οὐδέποτε κόρῳ τὸν πόθον ἀμβλύνουσα 1036 A_1.

მომმუხავ-ი მწარე, დამშხალავი: „მომმუხავისა მისგან და მწარისა გემოჲსა“ 250,14 διὰ τοῦ δριμυτάτου 964 A_8.

მომმუხარება 219,12; 219,16 სიმწკლარტე, სიმჟავე ἡ στύψις: „მომმუხარებაჲ მროწეულისა ქერქისაჲ ჰფარავს შინაგანსა მის ნაყოფისა

სიტკბოებასა“ 219,14-15 ἡ στύψις τοῦ ῥόας λεπύρου... φυλάσσει τοῦ ἐμπεριεχομένου καρποῦ τὴν γλυκύτητα 929 B_9.

მომწთოლვარე მაწვეთებელი, მომდინარე: „მომწთოლვარე მურისა სავსედ“ 344,3 στάζοντα σμύρναν 1061 C_{1-2}.

მონადირება მოგება, შეძენა θηράω: „მოსწრაფე ვიქმნეთ... სარგებელისა მონადირებად“ 52,24-25 σπυδάζειν ἡμᾶς θηρεύειν... τὸ ὠφέλιμον 756 B_{11}.

მოოკრებულ-ი 372,4 უდაბნო, აოხრებული ἐρῆμος 1092 C_{14}.

მოპოვნებულ-ი გამოგონილი: „მოპოვნებულსა და შეწმასნილსა საცთურსა აღირჩევენ“ 259,8 τὰς σεσοφισμένας ἀπάτας... αἱρούμενοι 972 C_6.

მორისულ-ი გაკრეჭილი: „არეე მორისულთაჲ“ 367,12 ἀγέλαι τῶν κεκαρμένων 905 D_{12}.

მორჩ-ი 135,2 ყლორტი ἡ βοτάνη 841 A_4.

მოსელ-ი სახურავის ხე ἡ δοκός: „მოსელნი სახლისა ჩუენისანი ნაძუსანი“ 124,5 δοκοὶ οἴκων ἡμῶν κέδροι 837 A_{14}.

მოსთულება მოკრეფა: „ჟამი მოსთულებისა მათისა მოიწია“ 164,8 τῆς τομῆς 872 B_1. „ნაყოფნი... მოისთულნა“ 274,3-4 τοὺς καρποὺς ἐδρέψατο 988 B_{1-2}.

მოსუმურ-ი 278,5 თანამესუფრე ὁ συμπότης 992 B_9.

მოსხმულ-ი მოცული, გარემოცული: „ყოველით კერძო ნაძუთა მიერ... მოსხმული“ 361,14 ταῖς ὑψηλαῖς κέδροις συνηρεφής τε καὶ λάσιος 1081 B_4.

მოფარდულ-ი სავაჭრო, ფარდული: „მასუთ მე ღუნოჲ სძითა განზავებული და არა წყლითა, ჩუეულებისაებრ მოფარდულთაჲსა“ 276,5-6 τῶν καπήλων 989 B_3.

მოქცევა მობრუნება: „მოიქეც“ 152,1. ἀπόστρεψον.

მოქენე მახვეწარი, მთხოვნელი: „მოქენე არს ხედვად“ 63,15 ἐπιδεᾷ βλέπει 768 B_5. „მოქენე ვართ“ 137,14-15 δεόμεθα 844 B_7.

მოღუაწება დათმენა, მარხულობა, თავშეკავება ἡ ἐγκρατεία: „მოღუაწებისა და მარხვისა მახულითა“ 194,5 τῇ τῆς ἐγκρατείας ῥομφαίᾳ 904 B_{11-12}; „უდაბნოთა შინა მოღუაწებითა... სცვიდა ცხორებასა თჳსსა“ 310,8 τὴν ζωὴν φυλάττων δυὶ τῆς ἐν τῇ ἐρήμῳ φιλοσοφίας 1025 B_{13}.

მოძღურეულად ცოდნით: „მოძღურეულად... განუმტკიცებიეს ჯეშმარიტებაჲ“ 390,19-20 ἐπιστῆμῃ τινὶ... ἔχοντες... τὴν ἀλήθειαν 1112 B_5.

მოწილვა 158,13; 163,27 დაკრეფა, მოკრეფა ἡ τομή 865 A_{15}. „მოწილოს“ 117,20 ἀνδολογήσας 824 C_{11-12}.

მოწრფელება მოსწორება, დაწყნარება: „მოწრფელდის პირი ზღუსაჲ 282,5 ἐν ὁμαλῷ τὴν τῆς θαλάσσης ἐπιφανείαν δείκνυσι 996 C_1.

მოჰასაკე 67,18 თანატოლი ὁμήλιξ 772 C_{11}.

მპოხელ-ი ძიძა ἡ τιθήνη: „არცა სრული წიაღთა მპოხელისათა იგრკუნვის“ 62,30-63,1 οὔτε ὁ τέλειος ἐν ταῖς ἀγκάλαις τῆς τιθήνης ἀναλαμβάνεται 768 A_{5-6}.

მრავალსასყიდელ-ი 64,10 ძვირფასი πολύτιμος 768 D_4.

მრავალსახე 63,22 მრავალგვარი πολυειδής 768 C_2.

მროწეულ-ი 284,4 ბროწეული ἡ ῥοά 997 C_1.

მსახიობელ-ი მგალობელი, მომღერალი μουσικός: „მსახიობელთა მფრინველთა ჴმითა“ 181,27 μουσικῶν ὀρνίθων φωναῖς 889 C_7.

მსტურობა 223,25-26 თვალთვალი: „იმიერ ამიერ ხედვად და მსტურობად“ σκοπεῖν 928 A_3.

მტილნარ-ი 319,8 ბაღნარი ὁ κῆπος 1036 B_2.

მურტ-ი 249,31 (მც.) მუტვია murtus, ἡ μυρσίνη 961 D_4.

მქანრ დაქანებით: „მქანრ მომავალისაჲ ლიბანით“ 264,7-8 ῥοιζοῦντος ἀπὸ τοῦ Λιβάνου 953 A_{13-14}.

მღიერ-ი 351,28 ძნელი მუნი (საბა), კანის დაავადება: λέπρα 1069 D_3. „საკმართმოყუარებისა მღიერი... განიყარა“... τὴν τῆς φιλοχρηματίας λέπραν ἀπεξύσατο 1069 D_3.

მღილ-ი 131,12 მუმლი ὁ σής 837 A_{10}.

მღუანება სიწითლე τὸ ἐρύθημα: „ფეროვნებითა ღაწუთაჲთა და მღუანებითა...“ 219,9 διά τοῦ ἐρυθήματος 929 B_4.

მღუმე 293,15 ὁ λάκκος 1008 B_{13}.

მშულდი ცისაჲ 82,24 ცისარტყელა ἡ ἶριδος 788 C_7.

მშუნვიერი 128,17 სულიერი, მსუნთქავი ψυχικός 833 D_{14}.

მცირედ-მცირედ 368,16; 389,2 ცოტა-ცოტა κατα μικρόν 1088 D_9.

მცონარება სიზარმაცე ἡ ἀργία „მცონარებისა და უქმობისა“ 388,4

τῆς ἀργίας 1109 A_3.

მწიკულევან-ი 52,12; 60,11 ჭუჭყიანი ῥύπώσης 756 A_{11}.

მძორისმჭამელ-ი 338,23 ლეშის მჭამელი σαρκοβόρος 1056 D_9.

მწვალებელ-ი ერეტიკოსი αἱρετικός: „წარმართთა და მწვალებელთა ცთომილებაჲ“ 325,22. αἱρετικὰς 1041 D_2.

მწუანვილოვან-ი 95,10 ბალახიანი, მწვანე ადგილი ὁ τόπος τῆς χλοῆς 801 A_6.

მწურე „მყრალი ლაფა“ (საბა): „პირუტყულთა და მწიკულევანთა ენებათა მწურესა შთავარდეს“ 61,1-2 (+ქართ.). εἰς κτηνώδη καὶ ἄλογα καθέλκων πάθη 765 A_{7-8}.

მწყაზარ-ი თეთრი, წმინდა, ბრწყინვალე: „მწითურ და მწყაზარ“ 322,7 Λευκὸς καὶ πυῤῥός 1052 D_{11}.

მჭაელოვა ღელვა „მჭაელოოდა და უფსკრულებრ მოიქცეოდა“ 289,19-20 πελαγίζων 1004 B_{10}.

მჭამელ-ი 131,12 „წყლული კირჩხიბი“ (საბა) ὁ εὐρώς 837 A_{10}.

მჭელ-ი 100,27 მუჭა ἡ δράξ 805 D_{11}.

მკიისფერ-ი 354,21 ნაცრისფერი τι ξύλον 1073 B_5.

მკუმილ-ი 300,6; 313,12 მცველი ὁ φύλαξ 1011 D_7.

ნ

ნაეითმბრძოლ-ი 104,24 საზღვაო მებრძოლი ὁ ναυμάχος 809 D_9.

ნავთსაყუდელ-ი 110,18 ნავსადგური ὁ λιμήν 816 D_3.

ნაველელ-ი ნაღველი, 93,2 ἡ χολή 797 D_{12}.

ნაკრავ-ი 120,17 გამოკრული, პარკი ὁ ἀπόδεσμος 828 A_5: „ნაკრავ... ესევითარისა მის საკუმეველისა გამოაჩინოს“ 121,7-8 τὴν ἔνδεσμον ποιήσας 828 B_3.

ნამეტნავ-ი 385,20 ზედმეტი: „ნამეტნავ არს“ 186,14 μὴ χρείαν εἶναι 896 A_8.

ნარდ-ი 180,8 „ყუავილი სუნნელი“ (საბა) ὁ νάρδος 808 C_7.

ნარდიონ-ი 102,7 „სურნელოვანი ნივთიერება ნარდისაგან“ ὁ νάρδος 953 A_{10}.

ნასხმან-ი ძარღვი, სახსარი: „ძუალნი იგი შენაწევრებულნი... და ძარღუთა და ნასხმანთა მიერ შეძერწულნი“ 221,22-23 διὰ τῶν

πεφυκότων αὐτοῖς νεύρων καὶ συνδέσμων ἡ ἕνωσις... γίνεται 932 C_{10-11}.

ნატაცებ-ი 143,26 წანაგლეჯი, წართმეული ὁ ἁρπαγμός 849 D_{11}.

ნატყუენავ-ი 220,13 ნადავლი τὸ λάφυρον 932 A_2.

ნაქურცენ-ი (ნაქურთენი 347,7) ქერქი τὸ λέπυρον „ნაქურცენი მროწეულისაჲ“ 367,16 λέπυρον ῥοᾶς 905 D_7.

ნაკევალ-ი ჩამონაჭერი τὸ ἀφαίρεμα: „და განზოგებულნი იგი ნაკევალთა შესაწირავნი... ამათ მწყობრსა შინა დააწესე“ 244,31-245,5 καὶ τὰς μερικὰς **τῶν ἀφαιρεμάτων** ἀφιερώσεις... ἐν τῷ καταλόγῳ ἔστω 957 A_6.

ნებ-ი 100,28 ხელის გული, მუჭა ἡ παλάμη 805 D_{13}.

ნელსაცხებელთმგბოლველ-ი 332,2 მენელსაცხებლე, ზეთების დამამზადებელი ὁ μυρεψός 1049 A_{13}.

ნეშტ-ი 330,11; 277,23 ნაშთი, დარჩენილი λειπόμενος 992 A_{12}.

ნიავება განიავება διαπνέω: „ბღუარითა სამხრისაჲთა ინიავნეს“ 272,11 μάτων ἐγένοντο 985 B_{6-7}.

ნიავებულ-ი განიავებული, აშრიალებული: „რტონი მისნი... ყუაოდიან სიმწუანითა ფურცელთაჲთა ნიავებულნი“ 242,25-26 ὁ κλάδος τῇ εὐχροίᾳ τῶν φύλλων περισοβούμενος 1061 A_7.

ნიჟ-ი 319,12-13 ცვარი ἡ ψεκάς 1036 B_6.

ნიშნიანობა სახელოვნება, სახელგანთქმულება: „აქუს საბრძოლთაგანცა ნიშნიანობაჲ“ 220,30 ἔχει ἀπὸ τῶν ἐπάλξεον τὸ γνώριμον 932 B_{1-2}.

ნოტია 164,25-26 1. სინოტივე νοτίδος 872 C_2; 2. ნოტიო: „პოხიერი და ნოტიაჲ“ 188,1 πίων καὶ **κατάῤῥυτος** 896 D_9.

ნოტიობა „ნოტიობნ ზეთისფერად“ 353,19 ἐλαιάζουσα 1072 C_{12}.

ნუკევა გამასპინძლება δεξιόω: „საგზლითა ანუკევებს და ისტუმრებს“ 270,3 τοῖς ἐφοδίοις **δεξιούμενον** 984 A_{11}.

(ო)

ორთმსხმელ-ი 197,12; 217,11 ტყუპის დამბადებელი διδυμεύουσαι 905 D_6; διδυμοτόκος 928 B_3.

ორღანო 222,9; 263,6 ორგანო, იარაღი, ინსტრუმენტი τὸ ὄργανον 932 D_{12}; 1084 C_2.

ორძნება 188,2 ზრდა: „ვინაჲ ორძის?“ 188,2 ὅθεν αὔξεται 896 D_{14}, „ორძიან“ 94,19 συναναθαλόντων 800 C_{15}.

ოტება 191,10 განდევნა, გაძევება φυγαδεύω: „სდევნის და იოტებს“ 270,13 φυγαδεύσαντος 825 A_8. „სუნნელებისა მისგან იოტებოდეს“ 119,6 ἀπὸ τῆς αὐωδίας ἐφυγαδεύοντο 825 A_8.

ოტებულ-ი 385,23 გაქცეული, განდევნილი ἐξόριστος 1105 C_{13}.

ოფაზ-ი κεφάζ: „ოფაზი (უფაზი C) წმიდასა და ყოლისაგე შერევნისაგან უცხოსა ოქროსა მოასწავებს“ 337,14-15 „თავი მისი ოქროჲსა ოფაზისაჲ“ 322,9; 331,27 κεφαλὴ αὐτοῦ χρυσίον κεφάζ 1057 D.

ოცნება მოჩვენება, „წყლულებად ეოცნა... ბოროტთაგან განშორებაჲ“ 327,10 τραῦμα ἐδόκει 1044 C_3.

ოხრა 111,3 ღელვა, ხმიანობა τὸ κῦμα 817 A_4: „კმაჲ გურიტისაჲ ოხრინ და განაცხრობნ სასმენელთა“ 158,18 τῆς φωνῆς... προσηχούσης 865 B_5.

პ

პასექ-ი 192,8 ებრაელების დიდი დღესასწაული, დაწესებული უფლის მიერ ისრაელიტების ეგვიპტიდან გამოსვლის წინ τὸ Πάσχα.

პეროვა აქაფება: „ღელვათა მიერ პეროდის“ 111,1 ἐξαφρίζουσαν 817 A_2.

პერულ-ი ქაფი ἡ πομφόλυξ: „ბუშტმან გინა პერულმან“ 295,20 პერულ იქმნების 295,18 πομφόλυξ γενόμενον 1009 B_{14}.

პირად-პირად-ი 237,1; 389,9 მრავალი, მრავალგვარი ποικίλος 1009 D_{4-5}.

პორფირ-ი 212,23 ბოწეული ἡ πορφύρα 788 C_4.

პოხიერ-ი ნოყიერი, ნაყოფიერი; „ქუეყანაჲ... პოხიერი და ნოტიაჲ“ 187,30-188,1 πίων τίς ἐστι γῆ καὶ κατάῤῥυτος 896 D_{11}.

პოხილ-ი 123,3 ნოყიერი πίων 829 A_{14}.

ჟ

ჟამ-ი დრო ὁ καιρός: „ჟამი სხლვისაჲ მოიწია“ 151,11-12; 158,4 καιρὸς τῆς τομῆς ἔφθακε 857 B_{11}.

ჟამიერ-ი დროული: „ჟამთა შინად აჰყუავდები და ჟამიერად განჰყრი ყუავილსა“ 129,18-19 κατὰ καιρὸν 836 B_9.

რაბამ-ი 255,25 როგორი, როგორ πόσος: „რაბამსა შემდგომებასა წარმოაჩინებს უწყებაჲ ესე“ 192,24; „რაბამ კეთილ არს სიყუარულისა წყლულებაჲ“ 326,30.

რაბამობა 166,23-24 როგორობა, თვისება ἡ ποιότης 873 C_{10}.

რაჟამს 309,6 როცა, როდესაც ὅτε.

რეკა კაკუნი κρούω: „ჰრეკს კარსა“ 281,1 **κρούει** ἐπὶ τὴν θύραν 9 93 D_9.

რეცა თითქოს, ვითომ: „მიხედვაჲ სიტყუათაჲ ამათ რეცა მჭმუნვარედ სახილველ არს“ 314,25.

რიდობა მორიდება: „კორციელთა მათ რიდობათა შჯულისათა არა განიშორებს“ 170,12 τὰς σωματικὰς τοῦ νόμου παρατηρήσεις ἀποθεμένη 877 D_7.

რკინობა 368,15 შეჭიდება, შებრძოლება ἡ πάλη: „რკინობასა მას წინააღმდგომისასა ძნიად განერა“ 268,3-4 ἐν τῇ πρὸς ἀντικείμενον πάλῃ... διέφυγεν 981 A_{7-8}.

რტოდაჩჩობილ-ი სუსტრტოიანი: „ლელჳ რტოდაჩჩობილი“ 56,6 βλέπει... συκῆν τὴν ἀπαλυνομένην 760 D_8.

რჩეულ-რჩეულ-ი საუკეთესო, რჩეული τὸ ἀκροθίνιον: „რჩეულ-რჩეული ნატყუენავი დაუნჯა“ 220,13 **τὰ ἀκροθίνια** τῶν λαφύρων ἀνέθηκεν 929 D_{10}.

ს

საანჯმნო-ყოფა 91,20-21; 317,28 გამოაშკარავება, ცხად-ყოფა ἐνδείκνυμι: „საანჯმნო-ჰყოფს“ ἐνδείκνυται 797 B_2; δείκνυται 1033 C_6.

საბანელ-ი 197,12 აბაზანა τὸ λουτρόν 905 D_{4-5}.

საბარკალ-ი (საბარკალე) 191,24 მახვილი, საომარი იარაღი ἡ ρομφαία „საბარკალე მისი წელთა მისთა“ 191,21-22 – ῥομφαίαν αὐτοῦ ἐπὶ μηρὸν αὐτοῦ 885 B_5.

საგრილ-ი 169,25 საჩრდილობელი: „ცხედარსა ჩუენსა ზედა საგრილი“ 124,4 προσκλίνη ἡμῶν σύσκιος 836 C_2.

საღგმელ-ი 291,16 საკერებელი τὸ ὕφασμα 1005 B_7.

საღგურისმოლუაწე 366,11 სასტუმროს უფროსი ὁ πανδοκεύς

1085 D_7.

სავ- „მოსავ-ყოფა“, იმედი, ლოდინი: „ესავს და მოელის“ 297,2 προσδοκήκασα 1012 A_{15}; „ესვიდა“ 309,6 ἤλπισε 1024 D_2

სავენაკე 82,5 ვენახი, ზვარი: „სავენაკე ჩემი არა დავიცევ“ 82,5 ἀμπε-λῶνα 788 A_{11}.

საზრდელ-ი საკვები, საზრდო, საჭმელი: „წინა-დაუგოთ საზრდელად მისა ცხორებაჲ სულთა ჩუენთაჲ“ 272,28-29 οἱ τροφὴν 985 C_{10}.

საკეთე ლოყა: „ვითარცა ნაქურცენი მროწეულისაჲ საკეთენი შენი“ 367,16 ὡς λέπυρον ῥοᾶς μηλόν σου 905 D_8.

საკუერთხ-ი საკლავი, შესაწირავი: „საკუერთხნი... ამათ მწყობრთა შინა დააწესე“ 244,31 τῶν ἀφαιρεμάτων 957 A_8.

სამარაგდო 353,15 ძვირფასი ქვა ἡ σμάραγδος 1072 C_8.

სამე დადასტ. ნაწ. 302,5: „მოყუასსა ძნიად სამე აჩუენონ მტერთათჳს განჩინებული სიყუარული“ 140,28.

სამინდ-ო 245,2 ფქვილი ὁ σεμίδαλιν 957 A_{9-10}.

სამკეც-ი 258,24 სამმაგი τριπλῷ 972 B_7.

სამნაკეცი ღელვა სამმაგი, ყველაზე ძლიერი ტალღა, გადატ. ქარიშხალი ἡ τρικυμία: „უფსკრულსა შინა ცხორებისასა იღელვებოდინ სამნაკეცთა მათ და პირად-პირადთა უკუეთურებისა ღელვათა მიერ“ 111,4-5 χειμαζομένους ἐν ταῖς παντοδαπῶν τῶν κακῶν τρικυμίαις καταστέλλοι 817 A_7.

სამხარ-ი 274,12 შუადღე ἡ μεσημβρία 988 B_{12}.

სანუკვარ-ი საჭმელი, საზრდო τὸ ὄψον: „თჳსად სანუკვარად ჰყოფს თაფლსა“ 275,9 ὄψον τὸ μέλι ποιούμενος 899 D_9. „საზრდელ და სანუკვარ“ 273,1 „სულიერთა სანუკვართა მიერ იშუებდა“ 241,61 (+ქართ.).

სართულ-ი 142,7 სახურავი, ჭერი ἡ στέγη 848 D_{10}.

სასმენელ-ი 278,29 ყური ἡ ἀκοή 992 C_{15}.

სასუმურ-ი სასმისი: „სასუმურ სიტყჳსა შეიმზადა“ 347,11 κατασκευάσθη πρὸς τὸ οἰνοχοίαν τοῦ λόγου 1065 A_{14}.

სასძლო საქორწინო ოთახი: „შემოვედინ შინაგან... მის სასძლოჲსა“ 60,18 τοῦ νυμφῶνος 765 B_2.

სასწაულ-ი 392,3 ნიშანი τὸ σημεῖον 896 D_{11}.

საფირონ-ი 354,17 ძვირფასი თვალი: „ქვასა ზედა საფურიებთა“

354,17 ἡ σάπφειρος 1073 B_2.

საქუსალ-ი 218,7 საქსოვი ძაფი: „ნაქსოვისა აგებულებაჲ მრავალთა საქუსალთაჲერ შეიმზადების“ 248,24-26 διὰ πολλῶν νημάτων 961 A_{8-9}; „პირად-პირადთა საქუსალთაგან შეერთებულ და შეთხზულ“ 218,7 ἐκ διαφόρων νημάτων συγκεκλωσμένην 928 C_{10}.

საღუაწ-ი საარსებო, სახარჯო: „ორნი... დრაჰკანნი საღუაწად მისცნა“ 365,5 δύο δηναρίαι πρὸς τὴν ζωὴν παρεχόμενος 1085 A_{1-2}.

საყოფელ-ი 82,2 სადგომი τὸ σκήνωμα 788 B_3.

საცნობელ-ი 66,7; 383,14; შეგრძნების ორგანო τὸ αἰσθητήριον 800 C_7; 1104 C_{11}.

საცო საცავი, საფარველი: „საცოდ და კარად სახელ-სდვა“ 385,27 φυλακὴν τε καὶ θύραν περιοχῆς κατωνόμασε 1105 D_1.

საცხოვარ-ი საქონელი: „არა ჯერ-არს ხედვაჲ კუალსა საცხოვართასა“ 99,7-8 τῶν βοσκημάτων 805 A_6.

საწუთრო სააქაო, წარმავალი: „საწუთროჲსა ამის საქმეთა შემშჭუალვაჲ“ 351,9-10 πρὸς τὸ φαινόμενον βλέπειν 1069 B_{13}.

საჭამად-ი საჭმელი: „...ნეშტი იგი იქმნეს საჭამადად“ 277,23 τὸ ἐδώδιμον 992 A_{13}.

სახარულევან-ი 250,23 გახარებული, აყვავებული: „ხე სახარულევან“ 123,10 εὐθαλὴς 829 B_6.

სახე 218,1 მაგალითი, ნიშანი, გამოხატულება: „სახე რაჲმე და სასწაული“ 328,13 τὸ ὑπόδειγμα 1073 C_{10}.

სახებოროტ-ი 351,26 ცუდი, საძაგელი (ნ. ხენეში) στυγητός 1069 D_2.

სახიობა გალობა, მღერა: „რომლისაგან-იგი აღმოვალს კმაჲ სახიობითა“ 363,20-21 τὸν ἦχον τῇ προπτώσει ἀπογεννέσθαι 1084 B_{12-14}.

სახისმეტყუელება იგავი, ალეგორია: „სახისმეტყუელებაჲ კელისაჲ“ 299,18 τὸ αἰγίγμα τῆς χειρός 1013 C_5; „ქცეულებად სახისმეტყუელებისა“ 310,6-7 εἰς τροπικὴν θεωρία 1025 B_{12}; „სახისმეტყუელებაჲ რაჲმე... საძიებელისაჲ მის“ 116,20-21 ἔμφασις τοῦ ζητουμένου 821 D_{10}.

საქმარ-ი 52,10 საჭირო ნივთი χρησιμαῖον 756 A_9.

საქმართმოყუარება 343,2 ანგარება, სიხარბე ἡ φιλοχρηματία: „საქმართმოყუარებისა მღიერი არა განიყარა“ 351,28 τὴν τῆς **φιλοχρη-**

ματίας λέπραν οὐκ ἀπεξύσατο 1069 D_{3-4}.

საკსარ-ი 237,7 გამოსახსნელი, გამოსასყიდი: „საკსრად ჩუენდა თავი თჳსი მისცა“ 237,7 ἑαυτὸν ἔδωκε λύτρον ὑπὲρ ἡμῶν 949 A_5.

საკუმილ-ი 107,29 ღუმელი, ქურა ἡ κάμινος 813 D_6.

სერაბინ-ნი 320,21; 379,3 ანგელოზთა დასი τὰ Σεραφίμ 1100 A_{14}.

სერობა 272,26 ვახშამი „ისერებდა უფალი“ 119,19 τὸ συμπόσιον ἦν 825 B_7.

სეხნა 85,17; 360,9 თანამოსახელე ὁμώνυμος 1080 C_7; ἐπώνυμος 792 A_6.

სიავ-ი 259,24 კარდალა, ქვაბი ὁ λέβης 972 D_9.

სიბრძნისმეტყუელება 183,15 ფილოსოფია ἡ φιλοσοφία 892 B_9. „გამოუთქუმელთა გულისკმის-ყოფათა მიერ სიბრძნის-მეტყუელებს“ 66,30 δι' ἀπορρήτων φιλοσοφεῖ 772 B_4.

სიდაშნე სინაზე, სიმშვიდე: „აღმაორძინებელ გულისთქუმათა იქმნების წყლიანობაჲ და სიდაშნე სახისაჲ, ყოვლისავე... მრისხანისა სიყუარულისაგან განშორებული“ 190,22-24 ἐλεγτικὸν εἰς ἐπιθυμίαν ἐστὶ τὸ προσηνὲς τῇ ὄψει καὶ μειλίχιον 900 B_{14}.

სიკეთე 112,20 სილამაზე τὸ κάλλος 817 D_2.

სიკუდილშემოსილ-ი 306,19 სასიკვდილო θανατηφόρος 1021 B_9.

სიმია საგანგებო ნიშანი სწრაფი საუბრის ჩასაწერად: „ვიეთმე ჩუენ თანა მყოფთა სწაულისმოყუარეთა აღწერნეს სიმიაჲთა 58,24-25 ὑπὸ φιλομαθείας ἐσημειώσαντο 764 A_8.

სიმქისე სიმწკლარტე ἡ στύφις: „სიმქისითა და მომშუხაობითა ქერქისაჲთა“ 219,12 στύφει ἐντρέφεται 929 B_6.

სიორძილ-ი 212,19 გაზრდა, ამაღლება ἡ αὔξησις 1048 C_4.

სირ-ი ჩიტი: „მფრინველნი და სირნი“ 132,27 τὸ στρουθίον 857 D_{11}.

სიპოხე სინოტივე, ნოყიერება: „სიპოხესა სახლისა ღმრთისასა სუმიდენ“ 276,28 τὴν ποιότητα τοῦ οὔκον πίνοντες 989 C_{18}; „განრჩეული უკმრისა მისგან სიპოხისა“ 164,31 κεκαθαρμένον τῆς ἀχρήστου ποιότητος 872 C_{10}. „პირად-პირადთა მცენარეთა სიპოხითა“ 296,9-10 τὰς ποίκιλας πόας 1009 D_5.

სისრა 145,5 სროლა ἡ τοξεία 852 B_{10}.

სიცბილ-ი უგუნურება ἡ τερατεία: „ზღაპრისა სიცბილთა... არა

მიხედავს“ 261,24 τὰς μυθικὰς τερατείας χαίρειν ἐᾶσαι 976 A_{7-8}.

სიცონილ-ი დაზარება, სიზარმაცე: „სიცონილითა დამდაბლდეს ნაშენები“ 132,6 ὀκνηρίαις ταπεινωθήσεται 837 C_1.

სიწლო 116,19 სიმცირე τό στίγμα 821 D_9.

სიწრფოება წრფელობა, პირდაპირობა ἡ εὐθύτης: „სიწრფოებამან შეგიყუარა შენ“ 60,9 εὐθύτης ἐγάπησέν 764 D_3; „სიწრფოებად წარჰმართებს“ 81,3 πρὸς τὸ ὄρθον ἀπευθύνεται 788 A_{1-2}.

სიწყლტუე 133,19 სიგლუვე τὸ λεῖον 840 B_1.

სიკშო 187,27 სიმკვრივე, სიმტკიცე: „სიკშოჲსაგან და სიმტკიცისა... ძუალი განუხრწნელად ჰგიეს“ 354,18-19 ἡ πυκνότης 1073 C_2.

სოფლისმოყუარე წუთისოფლის მოყვარული, სამკაულების მოყვარული φιλόκόσμος: „ესევითარი მოსწრაფებაჲ აქუს სოფლისმოყუარეთა დედათა“ 120,12-13 ἐπιμέλείαν εἶναι τοῖς φιλοκόσμοις τῶν γυναικων 825 D_7.

სპარაზენ-ი მხედარი ἱππικός: „არა ეგების... მკედრობისა ძლევაჲ თუნიერ აღჭურვილთა სპარაზენთა კუეთებისა“ 104,25-26 μή τινος ἱππικῆς καὶ τῶν ἐναντίαν ἀντιτυχθεισης δυνάμεω: 809 D_{12-13}.

სუნიდის-ი 359,3; 282,19 სვინდისი ἡ συνείδησις 1086 A_2.

სულთქუმა 93,30 ოხვრა ὁ στεναγμός 800 B_9.

სულმოკლება სულმოკლეობა 383,24 ἡ μικροψυχία 1104 C_{10}.

სულმცირე 146,2 მსუბუქი κοῦφος 852 D_{11}.

სძისმწოვარ-ი 263,5 ძუძუმწოვარი (+ქართ.).

სხუაგნით 302,5 სხვა მხრიდან ἑτέρωθεν 1016 D_9.

ტ

ტაბლა 315,18 სუფრა ἡ τράπεζα 1032 B_{11}.

ტაკუკ-ი 372,16 ჭურჭელი ἡ κρατήρ 1092 D_{12}.

ტალანტ-ი 394,6 ფულის ერთეული τὸ τάλαντον 1116 A_{14}.

ტარიგ-ი 368,3 კრავი ὁ ἀμνός 1088 C_7.

ტევნეულ-ი 1) მტევანი: „ესევითარი ვენაკი იყო სოდომი და ესევითარი ტევნეული მოაქუნდა გომორსა“ 93,3 κληματὶς 800 A_1. 2) ხვეულად: „ტევნეულად მოცვითა თმაგრუზთაჲთა“ 339,8-9. τῷ ἰδίῳ κυκλώματι 1057 A_7.

ტომთმეტყუელება გენეალოგია: „იწყო განკაცებისა საიდუმლოსა

ტომთმეტყველებად“ 334,7 γενεαλογήσας τὸ κατὰ σάρκα μυστήριον 1052 B_7.

ტკებნა ტკებნა ἐρείδω: „ვსტკებნით მიწასა“ 89,1 τῇ γῇ... ἐρείδοντες 793 D_9.

ტკრთმძიმე 365,27 დატვირთული πεφορτισμένος 1085 C_7.

ტყუბ-ტყუბ-ი 214,26 ტყუპები δίδυμος 924 D_{14}.

ტყუელვა ხმიანობა ἐπικροτέω „იტყუელვენ კმითა ორღანოთაჲთა“ 263,5-6 οἱ ἐπικροτοῦντες πρὸς τὴν φωνὴν τῶν ὀργάνων 976 D_3.

უ

უბადრუკ-ი უბედური: „საწყალობელი და უბადრუკი“ 351,25-26 ἐλεεινὸς καὶ δείλαιος 1069 D_2.

უდარეს-ი მდარე: „უკნინეს არს და უდარეს“ 75,24 μικρότερος 781 A_{14}.

უდებ-ყოფა უგულებელყოფა, შეუსრულებლობა ῥᾳθυμέω: „უდებ-ყოს ბრძანებაჲ მისი“ 147,3 μὴ ῥᾳθυμῆσαι περὶ τὸ πρόσταγμα 853 B_{14}.

უზაკუველობა 369,23 სიწმიდე τὸ ἅδολον 1089 B_{14}.

უკეთურება 111,5 ბოროტება, უბედურება ἡ κακία 817 A_8.

უნდო 1. მცირე, პატარა: „უნდო არს და კნინ“ 75,19 ἀδυνατως 781 A_7. 2. უვარგისი, ცუდი: „მდაბალი და უნდოჲ“ 360,3 χαμαίζηλος 1080 B_{14}.

უნდოება სიმცირე, არარაობა: „სიკნინისა მიმართ და უნდოებისა“ 298,6 πρὸς τὸν οὐτιδανόν 1012 D_{3-4}.

ურვა ჭმუნვა, წუხილი: „იურვის და მჭმუნვარე არს“ 182,26 δυσχεραίνει 892 A_7. „ვნებანი... აწ გუაურვებენ“ 72,3 ἐνοχλοῦντα πάθη 777 A_{4-5}. „არა თუ ჯართაჲ რაჲმე ეურვებოდა“ 54,2 οὐ μέλει περὶ τῶν βοῶν 757 B_{14}.

ურიდ-ი 195,14-15 მოურიდებელი ἀναιδής: „იტყჳს ურიდად მთხოველისა მის მიმართ“ 195,14-15 πρὸς τὸν ἀναιδῶς θυροκρουστο ῦντα 905 A_8.

ურნატ-ი 338,17 კვალი ნახნავისა ἡ ἄρουρα 1056 C_{14}.

უსასო უიმედო: „არა უსასო იქმნეს 267,7 οὐκ ἀπ' ἐλπίδος γενήσεται 980 C_5.

უქმ-ი გამოუსადეგარი, უხარისხო ἄποιος: „უქმნი ყოვლისავე საქმრისა საქმისა მიმართ“ 259,4 ἄποια... πρὸς εὐχρηστίαν 972 C_2.

უქმობა უსაქმურობა ἡ ἀργία: „უქმობითა ჴელთაჲთა წუთოდიან სახლნი“ 132,7 ἐν ἀργία χειρῶν στάζει 837 C_2.

უღირსებით 278,9 უღირსად ἀναξίως 992 B_{12}.

უყე საფლობი, ტალახი: „აღმომიყვანა... თიჯისაგან უყისა“ 293,15-16 ἀπὸ πηλοῦ ἰλύος 1008 B_{12}.

უჩინო 133,22 დაფარული ἄδηλος 840 B_6.

უჩინო-ქმნა დაკარგვა, განადგურება ἀφανίζω: „არსებაჲ ბოროტისაჲ უჩინო-იქმნეს და წარწყმდეს“ 360,27-28 τὸ κακὸν εἰς τὸ μὴ ὂν ἀφανίζεσθαι 1081 A_3. „უჩინო-იქმნეს ბუნებისაგან“ 72,11 ἐξαφανισθείσης ἀπὸ τῆς φύσεως 777 A_{13-14}.

უცებ-ი უვიცი: „უცებნი და უსწავლელნი“ 259,5 ἄπειρος 972 C_8.

უცხოთესულ-ი 86,14 უცხო, უცხო ტომისა ἀλλόφυλος 792 C_8.

უცხო-ქმნა გაქცევა φεύγω: „უცხო-იქმნებიან“ 391,19. „ბოროტთაგან უცხო-იქმნებოდინ“ 61,18 τοῦ κακοῦ χωριζώμεθα 765 B_7.

უცხო-ყოფა 235,5 განდევნა ἡ ἀλλοτρίωσις 945 C_{15}.

უწყება τὸ διήγημα 53,17-18 თხრობა διηγημάτων 757 A_{14}.

უჭირველ-ი 169,25 გაუჭირვებელი, ადვილი ἀδιάστατος 877 C_5.

ფ

ფარღელ-ი ὁ ὄρμος 110,11-12; 225,2 მძივი, ყელსაბამი: „სახედ მძივთა და ფარღელთა“ 109,14 τῶν ὅρμων 816 C_{11}.

ფაქლ-ი 106,17; 107,17 ბებერა, მუწუკი ἡ φλυκτίς 812 D_2; 813 B_6.

ფაჩუნიერ-ი 384,2-3 თმიანი, ბანჯგვლიანი δασύς 1104 D_1.

ფიალ-ი 332,1 ფიალა, სასმისი ἡ φιάλη 1049 A_{12}.

ფინიკ-ი 250,1; 249,28 ჰალმა, ფინიკის ხე ὁ φοῖνιξ 961 $D_{4:8}$.

ფიცხელ-ი 1. სასტიკი σκληρός: „ფიცხელ არს ქარი ჩრდილოჲსაჲ 269,24-25. 2. ოღრო-ჩოღრო, არასწორი: „ძნიად საჳალთა და ფიცხელთა“ 384,17-18 διὰ τῶν δυσπορεύτων καὶ ἀποτόμων 1105 A_6.

ფუფუნება ნებიერობა καταλέω: „იფუფუნებოდინ“ 212,8-9 καταλεαίνοιτο 921 C_9; „მზრდელი ჰფუფუნებს“ 227,25 θάλπει 937 D_{13}.

ფუფუნეულ-ი განებივრებული: „ფუფუნეულ-იქმნეს“ 234,24-25 ἐντρυφῶῃ 945 C_{2-3}.

ფუცება 324,1 დაფიცება ὁρκίζω: „გაფუცებ“ 322,1; 323,20 Ὥρκισα ὑμᾶς 829 D_{11}; 853 A_{12}.

ფრთე 379,25 ფრთა ἡ πτέρυξ 1100 D_1.

ფრთხილ-ი 315,21 ფხიზელი νεφάλιος 1032 B_{14}: „უცთომელად ხედავს და ფრთხილად“ 326,2 ἁπλανῶς ὁρᾷ 1100 D_1.

ფშუნვა 155,19 სუნთქვა τὸ ἄσθμα 861 C_8. „ფშუან სულნელებასა“ (გამოსცემენ სურნელებას) 332,2; 344,1-2 φύουσα 1064 B_4.

ქ

ქარქუეტ-ი 375,4 „ხმელი კაჭაჭი“ (სპა), ფიჩხი: τὸ φρύγανον 1096 B_7.

ქედ-ი 221,13 კისერი ὁ τράχηλος 932 C_1.

ქერობინ-ნ-ი 379,4 ანგელოზთა დასი τὰ Χερουβίμ 1100 A_{15}.

ქვაქმნილ-ი 159,13; 159,18 გაქვავებული ἀπολιθωθείς 865 D_5, 865 C_{11}.

ქორ-ი 352,20 ზედა სართული τὸ ὑπερῷον 1072 A_{13}.

ქუაბ-ი 369,10 გამოქვაბული τὸ σπήλαιον 1089 B_2.

ქუეყანისაგან-ი 101,2 ამქვეყნიური, მიწიერი τῶν περιγείων 808 A_2.

ქურქუმა 256,9 სურნელოვანი მცენარე ὁ κρόκος 972 B_6.

ქცევად-ი 235,3 ბრუნებადი, წარმავალი τρεπτός: „ქცევადისა ბუნებისა“ τρεπτοῦ τῆς φύσεως 945 C_{11}.

ქცეულება იგავი: „იკუმიოს ქცეულებაჲ ესე სიტყჳსაჲ“ 139,22 χρήσῃ τῇ ἀναστροφῇ τοῦ Λόγου 845 C_3.

ღ

ღებულ-ი შეღებილი: „ღებულ იყოს მეწამულითა“ 386,3 περικεχρωσμένος τύχῃ τῷ ἐρυθήματι 1105 D_8.

ღელვა 104,12 ტალღა, ზვირთი τὸ κῦμα 809 C_{13}.

ღელვაგუემულ-ი 109,24 ღელვით ნაგვემი χειμαζόμενος 816 D_{11}.

ღელვატეხილ-ი მშფოთვარე ტალღებში მოხვედრილი 30,23: „ღელვატეხილი და მიმოტაცებული“ 78,2 κλυδωνιζόμενος 784 B_{10}.

ღელვატეხილობა მღელვარება, ქარიშხალი: „ღელვატეხილობაჲ... მყუდროებად შეცვალა“ 269,19-20 τὴν λαῖλαπα 981 D_9.

ღელოვან-ი ღელეებიანი: „ღელოვანთა ამათ მთათა“ 175,22 τὰ κοῖλα ὄρη 884 C_{13}; „ღელოვანნი და მღუმენი“ (იქვე) φάραγγες 884

C_{13}.

ღირღოვან-ი 175,23 ὀρθρο-βόρρω τὸ ἀνάστημα 884 C_{14}.

ღმრთისმშილველობა 310,22 ἡ θεοφανεία 1025 C_{10}.

ღნიოშ-ი საბაგელი, ცუდი, უვარგისი: „ნივთიერნი და ღნიოშნი“ 142,1 ὑλώδης 848 D_3.

ღრიაკალ-ი 156,5 მორიელი ὁ σκορπίος 868 A_8.

ღუწა აქ: მოღვაწეობა, აზროვნება ἐμφιλοσοφέω: „მთასა მას ზედა გალადისასა მრავალჟამ იღუაწა“ 213,6-7 ἐμφιλοσοφήσας χρόνον πολύν 924 A_{7-9}.

ღულარჭნილ-ი ხვეული (თმა), კულული: „მწყობრი... ღულარჭნილთა მისთაჲ“ 319,13 ὁ βόστρυχος 1036 B_7.

ღჯა 250,5 ეკლიანი მცენარე: „ნუცა ძეძჯ, ნუცა ღჯაჲ“ 249,30-31. κόνυζαν 961 D_5.

ყ

ყინელ-ი 159,18 ყინული ὁ κρυμός 865 C_3.

ყოველ-ი მთელი: „ყოვლისავე გუამისა ტჳრთვად“ 358,8 ἐξαρχοῦσιν ὅλον ἀνέχειν... τὸ σῶμα 1077 C_2.

ყოველთა სადგურ-ი 365,4 სასტუმრო τὸ πανδοχεῖον 1085 A_{10}.

ყოვლადდასაწუელ-ი 244,30-31 ზვარაკი, შესაწირავი ἡ ὁλοκαύτωσις 957 A_6.

ყოვლადსაჭურველ-ი 195,4-5 მთლიანი შეიარაღება τὰ πανοπλία 904 D_{10}.

ყოფად-ი 123,2; 169,15 მომავალი: „ყოფილთა და ყოფადთა... წარჰჴდა“ 62,8-9 τοῖς προγεγονόσι καὶ ἐσομένοις ἀσύγκριστος οὖσα 765 C_{10}.

ყუავილოვან-ი მდელო, ბაღი ὁ λειμών: „მიმოფრინვიდეს ყუავილოვანსა კეთილთა სიტყუათასა“ 246,27-28 τῷ λειμῶνι τῶν θεοπνεύστων ἐφιπτάμενον λόγων 960 A_8.

შ

შეთხზვა დაწენა πλόκω: „არა შესთხზავ ამათგან გჳრგჳნსა“ 164,6 οὐ στεφανοπλοκεῖς διὰ τούτων 872 A_{13-14}.

შეკეცა გამრავლება: „ათად შეკეცაჲ“ 392,14-15 δεκαπλασιασθῆναι

1113 B_4.

შეკეცილ-ი გამრავლებული κεφαλαιούμενος: „ხუთნი იქმნებიან, რომელთა რიცხჳ, ათორმეტად შეკეცილი, სრულ-იქმს რიცხუსა სამეოცთასა“ 193,16-17 ὁ ἀριθμὸς δωδεκάσις **κεφαλαιούμενος** τὸ πληρω-μα ποιεῖ τῶν ἑξήκοντα 904 A_6.

შეკრძალვა დაცვა: „ვითარ ვინ უძლოს შეკრძალვად“ 97,19 πῶς... ἄν τις **φυλάξετεν** 804 A_{14}.

შემსგავსებულ-ი მსგავსი: „შემსგავსებულად“ 105,4 κατὰ τὴν ἀναλογίαν 1109 C_{13}.

შენაწევრებულ-ი შეერთებული: „ხედავს საროჲსაცა სამკაულსა, კეთილად მოხუეწისა და მტკიცედ შედგმისა მიერ შენაწევრებულსა“ 133,10 ὁρᾷ... κόσμον... **ἀναγλαΐζοντα** 840 A_{10}.

შესმენა διαβάλλω დაბეზღება, გაკიცხვა: „სიყუარულსა კაცთასა შეასმენს“ 66,5-6 διαβαλὼν... τὴν σχέσιν 769 D_4.

შესულება გაოგნება, გაშტერება τὸ κῶμα: „ძილითა რაჲთმე და შესულებითა“ 279,12 ὕπνῳ τινὶ καὶ **κώματι** 993 A_{2-3}.

შესხმა 66,1 შექება ἡ ἐγκωμία 769 D_1.

შეტყუება 119,11; 208,27; 286,26 მსგავსება, შესაბამისობა ἡ ἀναλογία 1028 B_{11}. τὸ συγγενές 825 A_{14}: „ოქროჲ ჭეშმარიტებასა შეეტყუების“ 357,25 τοῦ χρυσοῦ μεταλαμβανομένου πρὸς τὴν ἀλήθειαν 1077 B_{4-5}.

შეუვალ-ი 68,10; 71,15 წმიდათა-წმიდა ადგილი τὸ ἄδυτον: „შინაგან შეუვალთა სამოთხისათა შევიდა“ 79,19 ἐν τοῖς **ἀδύτοις** τοῦ παραδείσου 785 A_{14-15}.

შექუსვა შეთვისება: „გუასწავებს, რაჲთა არა წიგნსა და წერილსა ხოლო შევექუსნეთ“ 54,8-9 τὸ μὴ δεῖν πάντως παραμένειν τῷ πράγματι 757 C_{11}.

შეყოფა შეერთება: „შეყოფითა“ 66,18 κολληθείς 772 A_8; „ჴორცნი... სულსა კაცისასა შეეყოფვიან“ 72,2 τὸ σῶμα... τῇ ψυχῇ του ἀνδρώπου συμπλέκεται 777 A_{2-4}.

შეცურევა პკურება, დანამვა ἐπιδροσίζω: „შეაცურევს ესეითარსა მას მაღნარსა“ 188,4 ἐπιδροσίζων τὸ ἄλσος 897 A_1.

შეცურეულ-ი გაგრილებული δροσώδης: „ჩრდილოვან და შეცურეულ იქმნების ცხორებაჲ ჩუენი“ 89,4 Σκειρὸς δὲ γίνεται ἡμῖνκ-

αἱ δροσώδης ὁ βίος 793 D_{10}.

შეძინება დართვა, დამატება προστίθημι: „შესძინა ფილოსოფოსობაჲ იგი ეკლესიასტისაჲ“ 66,3 **προστίθησι** τὴν φιλοσοφίαν 769 D_1.

შეწმასნილ-ი მოგონილი, მოჭორილი σεσοφισμένος: „მართალთა და მრთელთა მოძღურებათა წილ მოპოვნებულსა მას და შეწმასნილსა საცთურსა აღირჩევენ“ 259,8-9 **τὰς σεσοφισμένας** ἀπάτας... αἱρούμενοι 972 C_6.

შეწყნარება მიღება: „სიტყუასა... შეიწყნარებს“ 308,8 εἰσοικίζεται 1024 B_1.

შინაურ-ი მოთვინიერებული, მშვიდი ἥμερος: „შეიცვალის ბუნებაჲ ლომისაჲ... შინაურად და მდოვრად“ 362,22-23.

შინება დამუქრება, დაშინება: „შინებათა და თქუმათა“ 391,24 ἡ ἀπειλή 1112 D_{11}.

შიშთვილ-ი 352,6 τοκι ἡ ἀγχόνη 1069 D_{10}.

შტახს-ი სურნელოვანი ფისი: „შეკრული შტახსი, ძმისწული ჩემი ჩემდა“ 102,9 Ἀπόδεσμος στακτῆς 808 C_{8-9}.

ჩ

ჩაფხუტ-ი მუზარადი, საომარი ქუდი: „ფარი სარწმუნოებისაჲ და ჩაფხუტი ცხორებისაჲ“ 269,8-9 τὰ σκεπαστηρία 981 C_{11}.

ჩემება მიკუთვნება, მითვისება: „განყოფილებითა მით ჩემებისაჲთა“ 187,8 τῇ διαφορᾷ τῶν προσωπείων 896 C_1; „აჩემებს თავსა თჳსსა“ 360,21 σεμνύνει 1080 D_5; „სახესა იჩემებდენ“ 187,7 ὑποκρινόμενοι 896 C_1.

ჩრდილო ჩრდილოეთის ქარი: „აღდეგ, ჩრდილოო“ 266,1; 276,25-26 τῷ βορρᾷ 984 A_1.

ჩრდილება დაჩრდილება σκεπάω: „აჩრდილობდენ“ 225,26 σκιαὶ κρατῶσι 936 D_2.

ჩრდილოვან-ი ჩრდილიანი, გრილი σκειρός 793 D_{10}: „ჩრდილოვან და შეცურეულ“ 89,4.

ც

ცილობა დავა, კამათი: „ყოველისა ცილობისა დასასრულად“ 324,26 ἡ ἀντιλογία 1041 B_4; „ვერვინ გუაცილობს ამისთჳს“ 314,21-22

οὐκ ἄντις ἀμφιβάλλοι 1029 D_5; „არავინ იცილობეის“ 304,27 ἂν ἀμφιβάλλοι 1020 B_{10}.

ცმელ-ი 245,1 გადაუმდნარი ქონი, ცხიმი τὸ στέαρ 957 A_8.

ცოცხლებით ჯანმრთელად: „ყოვლითურთ მრთელად და ცოცხლებით ჰგიეს“ 170,4-5 ὅλος ὑγιὴς μένει 877 C_{13}.

ცუდ-ი ამაო: „ცუდად იღუძებენ მკუმილნი“ 316,21 εἰς μάτην ἠγρύπνησεν 1033 A_3.

ცუდადმზუაობრება 343,3 (ცუდადმზუაობრობა 105,24) ამპარტავნება, პატივმოყვარეობა ἡ κενοδοξία 1061 A_{11}.

ცხედარ-ი 177,19; 191,13 საწოლი ἡ κλίνη 885 B_3.

ცხოვნებადთაგან-ი გადასარჩენი: „ესენიცა ცხოვნებადთაგანნი არიან“ 391,2 σωζόμενος 1112 C_1.

ძალ-ი აზრი, მნიშვნელობა: ἡ ἔννοια: „გულისჴმის-ყოფაჲ ჯერ-არს ძალსა მას იგავისასა“ 63,20 νοεῖν χρὴ... τοῦ αἰνίγματος **ἔννοια** 768 B_{13}. „ძალი სიტყჳსაჲ ამის“ 128,4 τὸ **νόημα** τοῦ λόγου 952 C_2.

ძალცემა ძალის შემატება, გაძლიერება: „ძალ-სცემენ გულსა და განაძლიერებენ“ 254,19 δύναμιν ἐντιθέναι 968 A_6.

ძელ-ი 212,22 ხე τὸ ξύλον 921 D_9.

ძეძჳ ეკლიანი ბუჩქი 249,30 ἡ κόνυζα 961 D_5.

ძიება ძებნა ζητέω: „ძიება-ყო შეუპყრობელისა მის“ 319,15-16 ζητεῖ τὸν μὴ καταλαμβανόμενον 1036 B_{10}; „ეძიებდ მას და არა ვპოვე იგი“ 117,2 - ἐζήτησα αὐτόν 885 A_1.

ძირდაუბმელ-ი 287,6 უფესვო, ფესვმოუმაგრებელი ἄῤῥιζος: „ძირდაუბმელი იგი თესლი“ 287,6.

ძმაცუვა სიეერაგე, ცბიერება: „წინააღმდგომ იქმნების... ტყუვილისა და ძმაცუვისა მიერ მტერი იგი ჭეშმარიტებისაჲ“ 361,11-12 πρὸς τὴν τοῦ ἀγαθοῦ φύσιν ὁ ἀντικείμενος 1081 B_{1-2}.

ძნიად 311,7 ძნელად μόγις 1025 D_{10}.

ძნობა სიმღერა, გალობა ἡ μελῳδία: „დუშს ძნობაჲ ტკბილად მეტყუელთა მათ მფრინველთაჲ“ 162,12 Σιγᾷ τῶν μουσικῶν ὀρνίθων ἡ μελῳδία 869 B_4: „ქმითა და ძნობითა მფრინველთაჲთა“ 158,16 ταῖς τῶν ὀρνίθων ᾠδαῖς 865 B_9.

ძურისხილვა 110,19 უბედურების გადატანა ἡ κακοπάθεια 816 D_{2-3}.

ძურუკსენებლობა 144,6 ავის, ბოროტის დამვიწყებლობა τὸ

ἀμνησίκακον 849 D_{11}.

ძურისკსენება 374,19 ცუდის დამახსოვრება, გახსენება ἡ μνησικακία 1096 A_{14}.

ჳ

წადიერება 313,7 სურვილი ἡ ὁρμή 1028 D_{12}.

წამ-ი 326,18 **წამწამი** τὸ βλέφαρον 1044 A_{12}.

წამის-ყოფა 142,23-24 ნიშნება, ნიშნის მიცემა: „წამ-უყენეს“ 201,22 ἡ ροπή 849 A_{10}.

წარმდებობა თავხედობა: „მოასწავებს უგუნურებასა და წარმდებობასა“ 260,5-6 προπετὲς ἂν εἴη καὶ ἀνεπίσκεπτον 973 A_{10-11}.

წარმოცენება 264,21 აღმოცენება ἡ φορά 977 C_4.

წაროტება განდევნა, მოცილება ἀπολαύνω: „ჰრული თუალთაჲ... წარიოტონ“ 281,15 τὸν νυσταγμὸν **ἀπελαύνοντας** 996 A_{14}.

წარპარვა მოპარვა: „არა წარიპარვის“ 316,14 κλαπῆναι αὐ δύναται 1032 D_7.

წარრბევა გარბენა διατρέχω: „ყოველივე..., ვითარცა ცხენმან, წარირბია“ 287,17 πάν ὡς ἵππος διαδραμοῦσα 1001 A_7.

წარრღუნა განბანა, მოცილება: „მწიკული... წარირღუნა და... განაგდო“ 293,10-11 ῥίπον συναποβαλοῦσα 1008 B_7.

წარმართ პირდაპირ: „წარმართ და წარმართ წარემატების“ 318,23 τοῖς ἔμπροσθεν ἐπεκτεινομένη 1036 A_2.

წახნაგება 350,30 გამოთლა ἡ τορεία: „წახნაგებითა... განიხუეწოს...“ 350,30 **διὰ τῆς τορείας** ἀγγλύφουσι 10069 B_6.

წედ-ი სასმისი ἡ φιάλη: „წედთა მათ საკუმეველთასა“ 367,3-4 **εἰς φιάλας** τοῦ ἀρώματος 1088 B_1.

წერტა ჩხვლეტა, ცემა πατάσσω: „უწერტენ და ჰგუემენ სულსა“ 314,11-12 διὰ τοῦ πατάξαι... περιελόντες 1029 C_8.

წვალება 299,17 გაყოფა ἡ αἵρησις 1013 C_3.

წიაღ-ი 1. სიღრმე: „წიაღთა შინა ქუეყანისათა“ 285,19 ἐπὶ **τοῖς κόλποις** τῆς γῆς 1000 B_{3-4}; 2. კალთა, უბე: „წიაღთა მპოხელისათა“ 62,30-63,1 ἐν **ταῖς ἀγκάλαις** τῆς τιθήνης 768 A_5.

წიაღსლვა გადასვლა μεταβαίνω: „კლდისა მიმართ წიაღ-ვლე“ 133, 17-18 ἐπι τὴν πέτραν... μετάβηθι 877 B_{12-13}; „სიშორენი წიაღ-ვლნა“

169,16 διαβᾶσα 909 B_4.

წინაგანწყობა 104,24 წინააღმდეგობა, ბრძოლა: „წინა-განეწყობვის შჯულსა მას“ 72,7 ἀντιστρατευομένου τῷ νόμῳ 777 A_{10}.

წინამო „თმა ღაწვთ მაშვენებელი“ (საბა), ნაწნავი: „...წინამოდ და კოწლად... სახელ-სდებს“ 338,19-20 ὁ βόστρυχος 1056 D_3.

წინამბრძოლ-ი 349,13 მოწინავე მებრძოლი, დამცველი ὁ πρόμαχος 1068 B_{11}.

წინამოზღუდვილ-ი 169,25; 169,18 სიმაგრე, ბურჯი τὸ προτείχισμα: „წინამოზღუდვილ ექმნა შჯული სარწმუნოებასა მას სახარებისასა“ 169,18 ὁ νόμος προτείχισμα γέγονε 877 B_{14}.

წინაჲსწარდამწინდებელ-ი მაჭანკალი ὁ προμνήστωρ: „მიუძღუანნეს წინაჲსწარდამწინდებელთა მათ... მადლნი საღმრთონი“ 67,7-8 οἱ προμνήστορες προσήγαγον... τὰ χαρίσματα 772 B_{14}.

წინაუკუმო საპირისპირო ἐναντίος: „გამორჩევაჲ ყოველსა საქმესა შინა წინაუკუმოჲსა წესისაგან იქმნების“ 360,7-8 Ἐκλογὴ... διὰ τῆς ἐναντίου παραθέσεος γίνεται 1080 C_6.

წინა-ყოფა მირთმევა, ჩვენება: „წინა-უყოფდა... ტარიგსა ღმრთისასა“ 164,14-15 ὑπεδείκνυε τὸν ἀμνόν 872 B, „წინა-უყოს მოსუმურთა“ 166,1 προσκείσεται 873 B_4.

წრფელ-ყოფა მოსწორება: „სიწრფოებად წარჰმართებს და წრფელ-ჰყოფს“ 81,3 πρὸς τὸ ὀρθὸν ἀπεύθύνεται 788 A_{1-2}.

წუთღა 77,28 კინაღამ ἔτι 784 B_8.

წყლიანობა სილამაზე, მიმზიდველობა, სინაზე: „წყლიანობაჲ და სიდაშნე სახისაჲ“ 190,23 τὸ προσηνὲς τῇ ὄψει καὶ μελίχιον 900 C_1.

წყლვა დაჭრა ტრაუმატიზმი: „მწყლეს მე“ 300,8 ἐτραυμάτισάν με 1029 A_6.

წყლტუ 356,3 გლუვი, სწორი λεῖος 1076 B_5.

წყუდიადშემოსილ-ი 91,8 შავი, ბნელი ζοφώδους 797 A_3.

ჭ

ჭამად-ი საჭმელი: „ჩემი ჭამადი ესე არს“ 55,23 βρῶμά 985 C_{12}.

ჭიაფუნდურ-ი 118,26; 119,6 მწერი ὁ κάνθαρος 825 A_7, 824 D_{11}.

ჭედა მოჭედვა χαλκεία: „ესევითარისა ჭედისა მიერ... აღეშენა“ 347,10 διὰ τῆς τοιαύτης χαλκείας κατασκευάσθη 1065 A_{14}.

ჭიმ-ი ავშარა ὁ κημὸς: „ჭიმითა და აღურითა“ 108,17 ἐν κημῷ τε και χαλινῷ 813 D_9.

ჭიქა 346,15 მინა ἡ ὕελος 1064 D_2.

ჭუჭილ-ი 158,10 წუხილი, ჭმუნვა ἡ σκυθρωπότης 865 A_{12}.

ჭურ-ი 347,10; 361,5 ჭურჭელი ἡ σκεύη 1081 A_9.

ჭურვილ-ი მეომარი 195,26 ὁ ὁπλίτης 905 B_4.

ჭურობა ხედვა, ჭვრეტა: „ჭურობითა“ 157,9 δικύπτονος 864 C_7.

ხ

ხარისხ-ი 82,18 კიბის საფეხური ἡ βάσις 788 B_{14}.

ხარჭობა 396,13 ხასობა ἡ παλλακία 1117 B_9.

ხატ-ი 100,15; 188,8; 373,31 სახე, ფორმა, გამოსახულება ἡ μορφή 1093 C_{13} ἡ εἰκών 805 C_{14}: „ხატად ნათლისა მის ჭეშმარიტისა“ 88,2 τοῦ ἀληθινοῦ φωτὸς ἀπεικόνισμα 793 B_{7-8}. „ნიშნიანისა ხატისაგან“ 312,9 γνωριστικοῦ χαρακτῆρος 1028 C_1.

ხედვა 54,8 განხილვა ἡ θεωρία 757 C_{15}.

ხემალალ-ი 338,25 ნაძვი ἡ ἐλάτη 1056 D_8.

ხენეშ-ი ცუდი, ავი, საძაგელი: „ხენეში იგი და სახებოროტი“ 351,26 στυγητός 1069 D_2.

ხილვა 360,7 ფორმა, სახე, შესახედაობა τὸ εἶδος 1080 C_2.

ხლდომა ხტომა πηδάω: „მოვალს ხლდომით მთათა ზედა“ 151,1 πηδῶν ἐπὶ τά ὄρη 857 B_2.

ჯ

ჯამლ-ი 292,9 ფეხსაცმელი τὰ ὑποδήματα 1005 D_1.

ჯელისაღყრობა შეწევნა, დახმარება 363,9 „ჯელისაღყრობა“ 266,14 ἡ ἐπιστασία 1084 A_5.

ჯელ-ყოფა დაწყება, შედგომა προστίθημι: „ძალისა მათისა თარგმანებად ჯელ-ყოთ“ 70,1 **προσθειναι** τῇ θεωρία τοῦ λόγου 865 D_{13}; „შგავსებისა გამოსახვაჲ ჯელ-ეყვის“ 351,2-3.

ჯმობა დაძახება, გამოხმაურება, შეხმიანება καλέω: „უკმობდ მას და არა კმა-მცა“ 300,5 ἐκάλεσα αὐτὸν 1013 D_6; „გალობს მასვე კმასა და ჯმობს“ 297,20 συμφδέγγεται 1012 C_2; „ჯმობდიან“ 158,17 περιηχούμενον 865 B_4.

კორცადშეცვალებულ-ი ხორცით შეცვლილი, სახეცვლილი, გასიებული: „კორცადშეცვალებულ იყო ვნებისა მისგან და სალმობისა“ 74,4 ὑπερσαρκήσας διὰ τῆς νόσου 780 B_{4-5}.

კუებულ-ი დაკლებული: „კუებულ ვიქმენ და დავაკლდი“ 94,28 ἀτυχήσασα 800 D_{10}.

კუმევა ხმარება, გამოყენება χράω: „იკუმიოს ქცეულებაჲ ესე სიტყჳსაჲ“ 139,22 χρήσῃ τῇ ἀναστροφῇ 845 C_3. „ვიკუმიოთ წოდებაჲ იგი“ 235,3.

ჯ

ჯერეთ 138,27 ჯერ კიდევ ἔτι 845 A_8.

ჯეროვან-ი სათანადო, რიგიანი: „ჯეროვნად“ 154,27; 345,19 προσφυῶς 861 A_{141}, „გარეშე ჯეროვნისა“ ἔξω τοῦ εἰκότος 1113 C_{12}.

ჯერ-ყოფა აუცილებლობა, წესი 345,17 δεῖν 1064 B_2.

ჯერჩინება ნება, შესაფერისად მიჩნევა: „ძალისაებრ თჳსისა და ჯერჩინებისა“ 75,31 χάριτι τοῦ Κυρίου ἡμῶν 1061 B_{13}.

ჯურღმულ-ი 254,6 ჭა, ორმო ὁ λάκκος 1058 B_2: „ჯურღმულ წყლისა ცხოველისაჲ“ 253,12 φρέαρ... ὕδατος ζῶντος 1036 B_2.

ჰ

ჰაეროვნება 126,1 სილამაზე, მშვენიერება τὸ κάλλος 832 C_6.

ჰამბავ-ი 234,17 ამბავი τὸ διήγημα 945 B_9.

ჰამო საამო, სასიამოვნო: „ტკბილსა და ჰამოსა“ 166,6 ἡδὺς και προσηνής 873 B_{9-10}.

ჰასაკ-ი 78,6 ასაკი ἡ ἡλικία 784 C_1.

ჰე 323,8; 325,24 ჰო, დიახ: „ჰე – ჰე, არა – არა“ 323,8 Ναὶ ναὶ 1040 A_{14}.

ჰინდო გადატ. შავი, ბნელი μέλας: „შავ იყო და ჰინდო წარმართთა ეკლესიაჲ“ 200,21 μέλαινα ἦν ἡ Ἐκκλησία 909 B_5.

ჰინდოება 200,21 გად. სიშავე ἡ μελανία 909 C_5.

ჰრულ-ი 281,16 რული, თვლემა ὁ νυσταγμός 996 B_{14}.

ჰუნე 104,19 ცხენი ὁ ἵππος 812 A_{11}.

სარჩევი

წინასიტყვა ——— 5

I. გიორგი მთაწმიდლის ერთი თარგმანის
კიმენი და ლექსიკა ——— 8

ქებაჲ ქებათაჲ (კიმენი) ——— 39

II. წმ. გრიგოლ ნოსელის ნააზრევის ფილოლოგიური
ასპექტებისათვის „თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲს“
წმ. გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანის მიხედვით ——— 45

Abstract (to two articles) ——— 49

ტექსტისათვის ——— 51

წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა
გრიგოლ ნოსელ მთავარეპისკოპოსისა
თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲ ——— 52

თავი I ქებისა ქებათაჲსაჲ
თარგმანებული წმიდისა გრიგოლ ნოსელისაჲ
ქებაჲ ქებათაჲ ——— 60

თავი II ——— 82

თავი III ——— 102

თავი IV ——— 124

თავი V ——— 151

თავი VI ——— 177

თავი VII ——— 197

თავი VIII ——— 229

თავი IX ——— 241

თავი X ——— 266

თავი XI ——— 281

თავი XII ——— 300

თავი XIII ——— 322

თავი XIV ——— 344

თავი XV ——— 367

ლექსიკონისათვის ——— 398

ლექსიკონი ——— 399

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის
გამომცემლობა
2013

კომპიუტერული უზრუნველყოფა და ტექნიკური რედაქტორი
შორენა ფარქოსაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, სიონის ქ. №13/40.

E-mail: gamomcemloba@mail.ru

Address of editorial Board:
13/40, SIONI STR. TBILISI.